



რავალთავი

ქ ტ ზ ც ხ ძ თ ლ

ემღვნება ელენე მეტრეველის
დაბადებიდან 90 წლისთავს

*Dedicated to the 90th Anniversary of
Helene Metreveli*



სელნაწერთა ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI
2007

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

22

ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 22-ე ტომი ეძღვნება ძველი ქართული მწერლობის საყოველთაოდ აღიარებული მკვლევრის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტის) ერთ-ერთი დამაარსებლისა და დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ელენე მეტრეველის დაბადების 90 წლისთავს.

კრებულში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს ეხება, აგრეთვე ქრონიკა კონფერენციების, გამოფენების, ექსპედიციამივლინებებისა და ახალი გამოცემების შესახებ.

სარედაქციო კოლეჯია

ცისანა აბულაძე, ზაზა ალექსიძე (მთავარი რედაქტორი), ქეთევან ბეზარაშვილი, დარეჯან კლდიაშვილი, ბუბა კუდავა, ნინო მელიქიშვილი, თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე

ტომის რედაქტორები: დარეჯან კლდიაშვილი, თამარ ოთხმეზური

EDITORIAL BOARD

Tsisana Abuladze, Zaza Alexidze (editor-in-chief), Ketevan Bezarashvili, Darejan Kldiashvili, Buba Kudava, Nino Melikishvili, Tamar Otkhmeuri, Maia Raphava, Mzia Surguladze

Editors of the volume: Darejan Kldiashvili, Tamar Otkhmeuri

ISSN 1987-7943 („მრავალთავი“)

ISBN 978-9941-9091-0-8 (ტომი 22)

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2007.

შინაარსი

ელენე მეტრეველი. ფიქრი ძველ ქართულ ხელნაწერებზე..... 15

ფილოლოგია

ლიანა ახობაძე

„თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ ქართული რედაქციები.....27

ლელა შათირიშვილი

ბასილი ანკურიელის თხზულების ქართული თარგმანის სავარაუდო ბერძნული დედნის დადგენის ცდა.....40

რუსუდან გვარამია

ზოგიერთი ცნობა რამდენიმე ჰაგიოგრაფიული თხზულების ქართულ-არაბული ვერსიების შესახებ.....44

ანა ხარანაული

„ანას გალობის“ ქართული ტექსტი, მისი ბერძნული წყაროები და ქართული ბიბლიის თარგმანის ისტორიის პრობლემები.....50

ეკა დულაშვილი

კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა თარგმანები X საუკუნის ქართულ იადგარებში.....68

ქეთევან ბეზარაშვილი

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების (Or. 20, Or. 37, „სწავლანი სულიერნი“) შემცველი ეფთვიმე ათონელისეული ხელნაწერი კრებულების ურთიერთმიმართება.....75

ნანა ჩიკვატია

ელინური სიბრძნე და ერეტიკოსთა სწავლება ეფთვიმე მთაწმიდლის „წინამძღუარში“84

ენრიკო გაბიკაშვილი

ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი თარგმანის ირგვლივ შექმნილი გაუგებრობის გამო.....93

მანია მაჭავარიანი

ტაო-კლარჯეთისა და შავი მთის მნიგნობრული სკოლების ისტორიიდან:
ორი დავითი ძველ ქართულ მწერლობაში..... 97

ღავით შენგალია

ისევ „დოგმატიკონის“ წუსხების, „გამოკრებანი წამებათანის“ ავტორისა და
არსენ იყალთოელის შესახებ 106

მანია რაფავა

ერთი იამბიკოს შესახებ პროკლე დიადოხოსის „კავშირნი
ღვთისმეტყველებითნისა“ და იოანე პეტრინის „განმარტებების“ ე. წ.
ბოლოსიტყვაობაში 122

ლელა ალექსიძე

ნება ნეოპლატონიზმში: პროკლე და პეტრინი..... 134

თინა ცერაძე, ლელა ხოფერი

დანიელ ხამბაშურის ეპისტოლე – ქართული კანონიკური მწერლობის
დღემდე უცნობი ძეგლი..... 153

ლია სამყურაშვილი

შუაზიური კოლექციის არაბული სამედიცინო ხელნაწერები 171

ქეთევან ტატიშვილი

ანტონ კათალიკოსის ორიგინალურ საგალობელთა მიმართება ბიბლიურ
წიგნებთან (დავით აღმაშენებლისა და გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა
მიხედვით)..... 178

ციალა კახაბრიშვილი

იოანე ბატონიშვილის „მცირე უწყების“ ავტორობის საკითხი..... 186

ლია კიკნაძე

ვასილ ჭილაძის რუსულ-ქართული ლექსიკონი207

ზაზა ალექსიძე

გრიგოლ რობაქიძე და ყურბან საიდი (ესად ბეი). ახალი მასალა225

ტექსტების კუბლიკაცია

ციალა ქურციკიძე

პავლეს აპოკალიფსი („პავლეს ცათა მოხილვა“)......242

თამარ მოხმეზური

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით
ტრადიციაში: „აღვსების საკითხავის“ ბასილი მინიმუსის განმარტება.....260

წყარომცოდნეობა

ელენე ცაბარაიშვილი

სტეფანოს ორბელიანის ცნობები საქართველოს შესახებ274

რაულ ჩაბუნავა

დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო ოთხნეულის ქრონოლოგიისათვის301

მანია კარანაძე

ახალი ქრონოლოგიური ცნობა ბაღვაშთა ფეოდალური სახლის შესახებ315

ეპიგრაფიკა

დარეჯან კლდიაშვილი

უცნობი წარწერები არტანუჯიდან320

ისტორია

ნათია ფსუტუში

XVII საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს შინაპოლიტიკური ისტორიიდან325

ბულიკო მჭედლიძე

ქვათხევის მონასტრის ისტორიიდან (XIX საუკუნის ქართული ისტორიული მასალების მიხედვით)336

ხელნაწერი ნიშნის ისტორიიდან

მანია კარანაძე

X საუკუნის კიდევ ერთი ხელნაწერის ყდა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან346

ელენე მაჭავარიანი

მხატვრულად გაფორმებული ქართული ხელნაწერი: შრომის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხისათვის352

საარქივო ფონდებიდან

ცისანა გიგილიშვილი

ცნობები სოფიო ჭავჭავაძის გარდაცვალების შესახებ ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის ფრანგულენოვანი არქივის მიხედვით365

მერი ფოფხაძე

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ქალები ალექსანდრა ორბელიანი-
მელიქიშვილისა381

მეცნიერების ისტორიიდან

ნანა ყანჩაველი

გიორგი წერეთელი – დაღესტნური არაბულენოვანი
ძეგლების მკვლევარი393

ნუზარ პაპუაშვილი

ჰუბერტ კაუფჰოლდი გეორგ გრაფისა და მისი ქართველოლოგიური
შტუდიების შესახებ400

ქრონიკა, ინფორმაცია

ბამოფენები404

სიმპოზიუმები, კონფერენციები419

პროექტები, ექსპედიციები439

ბასენება

ედიშერ ხოშტარია-ბროსე455

ნიკო ხუციშვილი459

ბედი მოღვაწისა. ვახტანგ ჯობაძე464

ახალი მასალა471

ახალი გამოცემები474

შინაარსი

PHILOLOGY

Lia Akhobadze

The Georgian Redactions of the “Life of Theoctistus of Lesvos” 39

Lela Shatirishvili

An Attempt to Determine the Conjectural Greek Original of the Georgian
Translation of the Treatise of Basil of Ancyra..... 43

Rusudan Gvaramia

Some Evidence on Georgian-Arabic Versions of Several Hagiographic Monuments.... 49

Anna Kharanauli

The Georgian Text of “Ana’s Hymn”, Its Greek Sources and
Problems of the History of the Translation of the Georgian Bible..... 67

Eka Dugashvili

Translations of the Hymns of Cosmas of Jerusalem in Tenth Century Georgian
Iadgaries 74

Ketevan Bezarashvili

The Collections of Euthymius the Athonite Containing the
Writings of Gregory the Theologian (Or. 20, Or. 37, Spiritual Teachings)..... 83

Nana Chikvatia

Hellenic Wisdom and Heretic Teaching in the “Guide” of Euthymius
the Hagiorite..... 92

Enriko Gabidzashvili

On the Misunderstanding Arising Over One Translation Made
by Euthymius the Hagiorite..... 96

Maia Machavariani

On the History of Tao-Klarjeti and Black Mountain Literary Schools:
Two Davids in Old Georgian Literature..... 105

David Shengelia

Again About the Manuscripts of the Dogmaticon, the author of the „Collection
of Holy Testimonies“ and Arsen Iqaltoeli 121

Maia Rapava

On One Iambus in Proclus’ “Elements of Theology” and in the So-called
Epilogue to Ioane Petritsi’s Commentaries 133

Lela Alexidze

The Will in Neo-Platonism: Proclus and Ioane Petritsi..... 152

Tina Tseradze, Lela Kopperia	
The Epistle of Daniel Khambashuri – Hitherto	
Unknown Example of Georgian Canonical Writing	170
Lia Samkurashvili	
Arabic Medical Manuscripts from the Middle Asian Collection	177
Ketevan Tatishvili	
The Relation of the Original Hymns by the Catholicos Anton I	
and the Books of the Bible	185
Tsiala Kakhbrishvili	
The Issue of the Authorship of the Work “Brief Evidence on Georgian Writers”	206
Lia Kiknadze	
Vasili Chiladze’s Russian-Georgian Dictionary	224
Zaza Alexidze	
Grigol Robakidze and Kurban Said (Essad Bey). New material	241
PUBLICATION OF TEXTS	
Tsiala Kurtsikidze	
Apocalypsis Pauli	243
Thamar Otkhmezuri	
Commentaries on the Works of Gregory of Nazianzus in the Georgian Translation	
Tradition: Basilius Minimus’ Commentary on Oratio I	264
SOURCE STUDIES	
Elene Tsagareishvili	
Evidence of Stephanos Orbeliani on Georgia	300
Raul Chagunava	
Towards the Chronology of the Last Four Years of the Life and Activity	
of David the Builder	314
Maia Karanadze	
New Chronological Data about the Baghvashi Feudal Family	319
EPIGRAPHY	
Darejan Kldiashvili	
Unknown Inscriptions from Artanuji	323
HISTORY	
Natia Psuturi	
From the History of Interior Policy of Eastern Georgia in the Second Half of	
the 17 th Century	335
Guliko Mchedlidze	
On the History of the Kvatakhevi Monastery (19 th Century	
Georgian Historical Documents and Other Materials on the Monastery)	345

FROM THE HISTORY OF MANUSCRIPTS

Maia Karanadze

Another 10th-century Book Binding From the New Collection
of the Georgian MSS on Mount Sinai.....350

Elene Machavariani

Some Questions of the Organization of Work in Preparing Medieval Georgian
Manuscripts364

FROM THE ARCHIVE FUNDS

Tsisana Bibileishvili

Evidence on the Death of Sopia Chavchavadze
(According to the French-language Archive of Baron Nicolai).....380

Mary Popkhadze

Famous Georgian Women of the 19th Century Alexandra Orbeliani-Melikishvili.....392

FROM THE HISTORY OF SCIENCE

Nana Kanchaveli

Giorgi Tsereteli: Researches of Dagestanian Arabic-language Sources.....399

Nugzar Papuashvili

Hubert Kaufhold About Georg Graf and his Kartvelological Studies.....403

CHRONICLE, INFORMATION

Exhibitions404

Symposiums, Conferences419

Projects, Expeditions439

Memoria

Edisher Khoshtaria-Brosset.....455

Niko Khutsishvili.....459

Wakhtang Djobadze.....464

New Materials.....471

New Publications.....474

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

- ბიამ სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- სცსა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
- სიამ სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- საჰიმ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- ძიამ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- ხმ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- ხეც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
- ზიამ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

წარმოვადგენთ „შუშანიკის წამების“ 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1978 წელი, 4 აგვისტო) გამოქვეყნებულ ინტერვიუს ელენე მეტრეველთან. ამ ინტერვიუში ქალბატონი ელო საუბრობს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაობაზე, იქ დაცულ ხელნაწერებზე, მათი დაცვის, შესწავლის, გამოცემის პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს პუბლიკაციის შემდეგ თითქმის სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა, ვფიქრობთ, ელენე მეტრეველის მიერ იშხანად გამოთქმულ მოსაზრებებს – ფაქტობრივად, ინსტიტუტის პროგრამასა და სამომავლო პერსპექტივებს – აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ისინი კვლავინდებურად უაღრესად მნიშვნელოვანია და ნათლად წარმოაჩენს ელენე მეტრეველს, როგორც შესანიშნავ მეცნიერს, შორსმჭვრეტელ ორგანიზატორს, ფართო მასშტაბის მკვლევარსა და პიროვნებას, რომელიც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პოზიციებიდან დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა.

ფიქრი ძველ ქართულ ხელნაწერებზე

- მ. ნიკლაური: ქალბატონო ელენე, ჩვენი საუბარი ქართული ხელნაწერების საგანძურზე სწორედ „შუშანიკის“ იუბილეს ეძღვნება და ამით დავიწყობთ. გთხოვთ, მოკლედ მოგვითხროთ ჩვენი ამ დიდი ეროვნული მონაპოვრის შესახებ – ხელნაწერის ისტორია, მისი პირველი პუბლიკაცია...*
- ე. მეტრეველი: წლებგანდელი წელი მართლაც დიდი სახალხო ზეიმის წელია. ქართველი ხალხი იზეიმებს „შუშანიკის წამებისა“ და მასთან ერთად მდიდარი ქართული მწერლობის ისტორიის 1500 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ზედმეტი არ იყოს ორიოდ სიტყვით ითქვას უძველეს წერილობით ძეგლებზე და თვით „შუშანიკის მარტვილობის“ შემცველ უძველეს ხელნაწერზეც. უძველესი დამწერლობის ნიმუშები ჩვენ შემოგვინახეს V საუკუნის ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა (პალესტინისა და ბოლნისის წარწერებმა)

* კორესპოდენტის შეკითხვები ნაწილობრივ შემოკლებულია (რედ.).

და ეტრატზე შესრულებულმა ხანმეტმა პალიმფსესტურმა ხელნაწერებმა, რომლებიც V-XII საუკუნეებით თარიღდება. რაც შეეხება „შუშანიკის წამების“ ხელნაწერებს: ცნობილია, რომ უძველესი ხელნაწერი, რომელმაც „შუშანიკის“ ტექსტი შემოგვინახა, არის ე. წ. „პარხლის მრავალთავი“, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. „პარხლის მრავალთავი“ პირველად თ. ჟორდანიამ დაათარილა პალეოგრაფიული მონაცემებით X საუკუნით. ამ თარიღში ეჭვი შეიტანა პ. პეტერსმა. კ. კეკელიძემ კი მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული საბუთების საფუძველზე თარიღი XI საუკუნეში გადმოიტანა. უკანასკნელ ხანებში ბელგიელმა მეცნიერმა მ. ვან ესბროკმა მოხსნა ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ხელნაწერის X საუკუნით დათარიღებას. „პარხლის მრავალთავი“ რომ X საუკუნისაა, დღეს ეს ეჭვს არ იწვევს. ეტრატზე დანერილი „პარხლის მრავალთავი“ ძალიან დიდი ზომის ხელნაწერია. მისი სიგრძე ნახევარ მეტრამდე აღწევს. შეიცავს 655 ფურცელს (მიუხედავად იმისა, რომ ნაკლულია). დანერილია სქელ და თეთრ ეტრატზე გაბრიელ პატარაის მიერ პარხლის ტაძარში. ხელნაწერი იმზომამდე მძიმეა, რომ მისი აწევა ღონით სავსე ჭაბუკსაც გაუჭირდება. „პარხლის მრავალთავი“ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი შეიცავს საკუთრივ „მრავალთავის“ ტექსტს – წლის საუფლო დღესასწაულებისათვის განკუთვნილ საკითხავებს, ხოლო მეორე ნაწილი – წმინდანთა „ცხოვრებანამებებს“. ამ ნაწილშია შეტანილი ორი უძველესი ქართული აგიოგრაფიული თხზულება – შუშანიკისა და აბო თბილელის „ნამებები“. სამწუხაროდ, „შუშანიკის წამების“ ტექსტი ნაკლულია. „პარხლის მრავალთავი“ სამხრეთ საქართველოს მღელვარე ცხოვრების მონმე და მონანილევ ყოფილა. ის XVII საუკუნეში (1634-1682 წწ.) როსტომ მეფის მეუღლე მარიამ დედოფალს ურუმთა ტყვეობიდან უხსნია. მარიამისვე გაკეთებული მინაწერიდან ვგებულობთ: „ჩუენ ხელმწიფემა პატრონმა დადიანის ასულმა დედოფალთდედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმის ქუეყნიდან გამოვიხსენ და გავაახლე დაშლილი და წამხდარი ჩემდა სადღეგრძელოდ და ცოდვთა ჩუენტა შესანდობად, ვინც ამა წიგნს ნაიკითხევდეთ, შენდობით მომიხსენებდით.“

„შუშანიკის წამების“ რამდენიმე გამოცემა არსებობს. ყველა ხელნაწერზე დამყარებული პირველი მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის ს. გორგაძეს. „შუშანიკი“ მონოგრაფიულად შეისწავლა და მისი კრიტიკულად დადგენილი ტექსტი გამოაქვეყნა ილ. აბულაძემ 1938 წელს თავის შესანიშნავ წიგნში „იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი“. ტექსტის შემდგომი გამოცემები მას იმეორებენ. საიუბილეო დღეებისათვის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ციალა ქურციკიძემ მასობრივი გამოცემისათვის მოამზადა „შუშანიკის“ ტექტი ვრცელი ლექსიკონით, რომელსაც გამოსცემს „საბჭოთა საქართველო“. გამომცემლობა „მეცნიერებას“ გადაეცა ახალი გამოცემისათვის ი. აბულაძის

მონოგრაფია, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ დაბეჭდავს ჯანაშიას მონოგრაფიას „შუშუნის ნამება“ (I ნიგნი), საიუბილეო დღეებისათვის ინსტიტუტს განზრახული აქვს, მოაწიოს ხელნაწერების გამოფენა.

მ. ნიკლაური: იქნებ მოკლედ უამბოთ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს თქვენი ინსტიტუტის მუშაობის შესახებ. ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი ახალგაზრდაა მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს შორის და ბევრმა არ იცის იმ დიდი სამეცნიერო მოღვაწეობის ამბავი, რასაც თქვენ ეწვეით... ბევრმა არ იცის, რა განძია ამ კედლებში, რა შრომისა და ბრძოლის ფასად დაუფდათ იგი ჩვენს წინაპრებს. ის, რაც თქვენს ინსტიტუტში ინახება, საერთოდ, დაუფასებელი ეროვნული სიმდიდრეა, მაგრამ აქ განსაკუთრებული „ბინადარნიც“ არიან – ხელნაწერები, რომელთაც გამორჩეულად საინტერესო თავგადასავალი აქვთ – რა არ გადახდენიათ მათ, სად არ უმოგზაურიათ, ვის ხელში არ მოხვედრილან... ზოგი ხელნაწერის ისტორია პირდაპირ საქართველოს ისტორიას მიჰყვება, მის ძნელბედობაზე მოგვითხრობს.

ე. მეტრეველი: მოგეხსენებათ, ხელნაწერთა ინსტიტუტი შეიქმნა სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე, სადაც 1929 წლიდან თავი მოიყარეს სხვადასხვა მუზეუმებსა და საზოგადოებებში გაფანტულმა ქართულმა ხელნაწერებმა. 1958 წელს კი პროფ. ილია აბულაძის ინიციატივით, ზემდგომი ორგანოებისა და აკადემიის მხარდაჭერით, შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომლისთვისაც იმთავითვე დაიგეგმა ხელნაწერთა დაცვისა და შესწავლისათვის შესაფერისი შენობის აგება.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაობას აქ დაცული მასალის ხასიათი და რაობა განსაზღვრავს. ქართული სულიერი კულტურის უდიდეს განძს პირველ რიგში ესაჭიროებოდა სათანადო მკურნალობა და მოვლა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მრავალსაუკუნოვანი ჭირნახული ხელნაწერებისათვის სიცოცხლის გახანგრძლივება. ამ მიზნით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ხელნაწერთა ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილება, რომელიც დაკომპლექტდა სპეციალისტებით (მიკოლოგით, ქიმიკოსით და მაღალი კვალიფიკაციის რესტავრატორებით). ამ უბანზე მომუშავე ინსტიტუტის თანამშრომლებმა ბევრ ხელნაწერს დაუბრუნეს სიცოცხლე, ბევრ ეტრატს – ელასტიურობა. მრავალი ხელნაწერის დაზიანებულმა მოტივიფორულმა ყდამაც თავისი სილამაზე დაიბრუნა. ინსტიტუტის მეორე – დაცვისა და აღრიცხვის განყოფილება – ზრუნავს იმაზე, რომ სეიფებში, სადაც ინახება

ხელნაწერთა და ისტორიულ დოკუმენტთა ფონდები, დაცული იყოს მათთვის საჭირო რეჟიმი და წარმოებდეს მათი ზუსტი აღრიცხვა.

მეორე მხრივ, ინსტიტუტს ევალება შეისწავლოს ხელნაწერთა მდიდარი მრავალენოვანი მემკვიდრეობა, შეადგინოს ფონდების აღწერილობები თუ კატალოგები და ამით ეს მასალა ხელმისაწვდომი გახადოს მრავალი დარგის სპეციალისტებისათვის. ამ მიმართულებით ბევრია გაკეთებული. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის 20 ტომია დღეისათვის გამოქვეყნებული. გამოქვეყნდა აგრეთვე სამი ტომი სპარსულ-არაბულ და თურქულ ხელნაწერთა აღწერილობებისა; მომზადდა და გამოცემლობას გადაეცა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ორი ნაკვეთი, მომზადდა სომხური ხელნაწერების მდიდარი კოლექციის აღწერილობა და სხვა. ფილოლოგები და ისტორიკოსები სწავლობენ ამ მასალას, ამზადებენ მათ მეცნიერულ პუბლიკაციებს, აქვეყნებენ გამოკვლევებს. მაგრამ იმისათვის, რომ ნათელი იყოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინსტიტუტის ამ საქმიანობას, პირველ რიგში, თვითონ ხელნაწერის მნიშვნელობაზე უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა.

როდესაც ქართულ ხელნაწერებზე ვლაპარაკობთ, უნდა წარმოვიდგინოთ ერთობლიობა იმ ხელნაწერებისა, რომლებიც V საუკუნიდან XX საუკუნემდე იქმნებოდა საქართველოში, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, საზღვარგარეთის ქართული კულტურის ძველ კერებში – პალესტინაში, სინაზე, ათონზე, შავ მთაზე, პეტრიწონში, უფრო გვიან – თურქეთში, ავღანეთში, ირანში, რუსეთში. თითოეული ხელნაწერი უნიკუმია, ვინაიდან ის გარკვეული ისტორიული და კულტურული პირობების პროდუქტია და როგორც ლიტერატურულ-მხატვრული მთლიანობა – განუყოფელი. ის უნიკუმია მაშინაც, როდესაც მისგან პირებს აკეთებენ, ვინაიდან ორი სავსებით ერთნაირი ხელნაწერი არ არსებობს. ამ ხელნაწერთა ერთობლიობა კი არის ქართველი ხალხის ცხოვრებისა და შემოქმედების თხუთმეტსაუკუნოვანი გზა, მთელი თავისი ჭირითა და ლხინით, ეს არის ეროვნული კულტურის, მწერლობის, მეცნიერებისა და თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია. მაშინაც, როდესაც საქართველოდან დიდი მანძილით მოცილებული ქართველები ქმნიდნენ შესანიშნავ ხელნაწერებს მათთვის უცხო გარემოში, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ქართულ საქმეს ემსახურებოდნენ, ქართულ სულიერ კულტურას ამდიდრებდნენ, ქართული მეცნიერებისა თუ მწერლობის განვითარებაზე ზრუნავდნენ, რათა მიღწევათა დონე საერთაშორისო დონეს არ ჩამორჩენოდა.

ასე ესმოდათ ქვეყნის სამსახური შესანიშნავ ქართველ მოღვაწეებს: იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს, ეფრემ მცირესა და მის მოწაფეებს, იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელს, პროხორე ჯვარელს თუ ჯიბისძეებს. ამით იხსნება ერთი შეხედვით ძნელად ასახსნელი ფაქტი, რომ

ადრე შუა საუკუნეებში, როდესაც მგზავრებს დიდი სივრცეების გადალახვა უხდებოდათ ფეხით, ცხენით ან ნავეებით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ქართველები საოცარ მობილურობას იჩენდნენ და ქართული კულტურის კერებს შორის ურთიერთობის დასამყარებლად არ ერიდებოდნენ იმ დიდ სირთულეებსა და ხიფათს, რომელიც იმ დროს მგზავრობასთან იყო დაკავშირებული; ახერხებდნენ ინფორმაციების მიწოდებას ყველგან, სადაც ამას საქმე მოითხოვდა. ამ გზით მუშავებოდა არა მარტო ერთიანი თვალსაზრისი მოვლენება და ფაქტებზე, არამედ ერთიანი მოქმედების გეგმაც. ამით აიხსნება ის, რომ გრიგოლ ხანძთელმა მშვენივრად იცოდა, თუ რა კეთებოდა პალესტინის საბანძიდის ქართულ კერაში, ხოლო იქ მოღვაწე მისმა მოწაფეებმა ის, თუ რა ხელნაწერები უნდა მიეწოდებინათ გრიგოლისათვის, რა იყო მისთვის საჭირო იმ დიდი სამონასტრო და კულტურული მშენებლობისათვის, რომელსაც ასე ბრწყინვალედ წარმართავდა გრიგოლი ტაო-კლარჯეთში და რაც შესანიშნავი ტაო-კლარჯული ლიტერატურული სკოლის შექმნით დაგვირგვინდა. ასეთივე ლიტერატურული კონტაქტები და მეტიც, შრომის განაწილება და ურთიერთდახმარება სუფევდა საქართველოს ადგილობრივ კულტურულ და სამონასტრო ცენტრებსა და კონსტანტინოპოლსა და ათონის ქართველთა კოლონიებს შორის, შავი მთისა და პალესტინის კერებს შორის. ასევე ქართულ საქმეზე ზრუნავდნენ და ქართულ საქმეს ემსახურებოდნენ ბედის უკუღმართობის გამო საქართველოდან გადახვენილი ვახტანგ VI-ის ამალის წევრები – პოლიტიკოსები, მწერლები თუ მთარგმნელები. ამ ურთიერთობათა საშუალებით შემოდიოდა საქართველოში საზღვარგარეთის ქართული კერებიდან ყველაზე ახალი, უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და მწერლობისა.

ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი X-XII საუკუნეებში ქართული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მწერლობის სწრაფი აღმავლობისა. თავის მხრივ, ამან განაპირობა ამ ეპოქის მოღვაწეთა ფართო განათლება და ჰორიზონტი, მასშტაბურობა და საზოგადოებრივი ჟღერადობა საქმიანობაში, რომლის შედეგია შესანიშნავი ქართული ორიგინალური პროზა და პოეზია, აგრეთვე უმდიდრესი თარგმნითი ლიტერატურა, რომელმაც რიგ შემთხვევაში შემოგვინახა ისეთი იშვიათი ძეგლები, რომლის სხვაენოვანი მოდელები დაკარგული ან სახეცვლილია, რის გამოც ქართულ თარგმანს ორიგინალის მნიშვნელობა ენიჭება.

ვფიქრობ, ზემოთქმულის საფუძველზე აშკარაა, თუ რა მრავალმხრივ მიდგომას თხოულობს ხელნაწერი მისი შესწავლისა და გამოქვეყნების მიზნით, იმისათვის, რომ მას მოეძებნოს ადგილი არა მარტო ქართული კულტურისა თუ მწერლობის განვითარების პროცესში, არამედ მსოფლიო საგანძურშიც. ამ ბოლო წლებში ქართული ხელნაწერებისადმი ინტერესი ძალიან გაიზარდა როგორც საბჭოთა კავშირის სლავისტებისა და ბიზანტინ-

ისტების წრეში, ასევე ევროპელი ორიენტალისტების და ბიზანტინისტებისა. ამის შედეგია ის, რომ დღითიდღე იზრდება ევროპის ორიენტალისტურ ცენტრებში ქართული ენის შემსწავლელთა რიცხვი, იზრდება ევროპაში ქართველოლოგთა რიცხვი. დღითიდღე იზრდება ინტერესი ქართული ხელნაწერებისადმი, ვინაიდან უკვე წარმოუდგენელია ამ დარგის მეცნიერებისათვის მუშაობა ქართულ ხელნაწერთა მონაცემების გათვალისწინების გარეშე. ჩვენი ვალია, ქართული სულიერი კულტურის ეს შესანიშნავი განძი ჩვენივე ძალებით შევისწავლოთ, გამოვაქვეყნოთ და ხელმისაწვდომი გავხადოთ მსოფლიო მეცნიერებისათვის. ხელნაწერთა ინსტიტუტმა არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი ძეგლი გამოაქვეყნა, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში იმ მასალასთან შედარებით, რომელიც თხოულობს გამოქვეყნებას. 1977 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით დაარსდა „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების სერია“, რომელიც ხელს შეუწყობს ხელნაწერთა ინსტიტუტს უფრო ფართოდ გაშალოს უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლების შესწავლა და პუბლიკაცია. ამ სერიის პირველი ორი წიგნი უკვე გამომცემლობაშია. მესამე და მეოთხე კი მზადდება გამოსაცემად.

მ. ნიკლაური: როცა თქვენს ინსტიტუტში შენახულ ფონდებს ათვალიერებ, არ შეიძლება მოწინება არ იგრძნო გადამწერთა და მხატვართა დიდი ხელოვნების მიმართ – ესაა ჭეშმარიტი ხალხური გენია, რომელიც ... მოწინებას იწვევს იმ დიდი წინაპრების წინაშე, თავისი გარჯა და სიყვარული რომ დაუდეს საფუძვლად ამ ჭერქვეშ მოქცეულ ხელნაწერებს... იმ მრავალ ხელოვანთაგან ცოტა ვინმე გადაურჩა დავინწყებას. ზოგის სახელმა მაინც მოაღწია ჩვენამდე – ინსტიტუტის ხელნაწერთა საცავში ყოფნისას სულ ვფიქრობდი, რომ ჩვენ მაინც ვალში ვართ ამ დიდი საგანძურის წინაშე – სათანადო ვერ „გავხსენით“ ის, ვერ ვაქციეთ ხალხის კულტურულ საკუთრებად. საგანგაშოდ მეჩვენება ის ფაქტი, რომ ჩვენ ჯერ ვერ შევქმენით ძველი ქართული წიგნის ისტორია, რომელიც სათანადოდ წარმოაჩენდა იმ დიდ მწერლებსა და მხატვრებს.

ამ სამიოდე წლის წინ ზ. ჭუმბურიძემ გამოსცა შესანიშნავი წიგნი „ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი“. კრებული პოპულარულად დაწერილი ისტორიული ნარკვევებისაგან შედგება და არაა გასაკვირი, რომ იგი უცებ გაქრა წიგნის მაღაზიებიდან... ჩვენს ხალხს, განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობას, ასეთი წიგნები სჭირდება და უნდა ჰქონდეს.

ე. მეტრეველი: თქვენ მართალი ბრძანდებით. ქართული წიგნის (ხელნაწერის) ისტორია ჯერ არ დაწერილა, თუმცა ბევრია ამ მიმართულებით გაკეთებული. ქართული ხელნაწერი წიგნის შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ივანე

ჯავახიშვილმა, თავისი კაპიტალური შრომით „ქართული პალეოგრაფია“. ქართული პალეოგრაფიის შესწავლას დიდად შეუწყო ხელი ილია აბულაძის სპეციალურმა გამოკვლევებმა და მის მიერ გამოქვეყნებულმა „პალეოგრაფიულმა ალბომმა“, აგრეთვე ლევან მენაბდის შრომამ „ძველი ქართული მწერლობის კერები“. ხელნაწერთა ინსტიტუტში სისტემატურად მუშავდება ამ რიგის საკითხები. უახლოეს დროში გამოვა ინსტიტუტის თანამშრომლის, მზია სურგულაძის შრომა „პალეოგრაფიული ტერმინები“, სადაც თავმოყრილი და ახსნილია ის ტერმინები და შრომითი პროცესები, რომლებიც ხელნაწერის შექმნასთან არის დაკავშირებული. ვფიქრობ, ეს შრომა ნაწილობრივ მაინც შეავსებს იმ ხარვეზებს, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ. უფრო ფართო კულტურულ-ისტორიულ პლანში ამ საკითხის განხილვა კი თხოვლობს ძალიან დიდ წინასწარ მუშაობას: ქართული – როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთის – სკრიპტორიუმების ისტორიის გაღრმავებულ შესწავლასა და დანერას. ამ საკითხებზე მუშაობა მიმდინარეობს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაინეროს ქართული წიგნის ისტორია.

მ. ნიკლაური: ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში „ლომის წილი“ ბიბლიურ ტექსტებს უჭირავთ... ბევრი რამ გაკეთდა „ქართული ბიბლიის“ მოვლა-პატრონობის საქმეში. „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიით გამოიცა ძველი და ახალი აღთქმის მთელი რიგი წიგნები. ქართული ფილოლოგიური მეცნიერების პატრიარქმა, აკაკი შანიძემ უდიდესი წვლილი შეიტანა ამ საშვილიშვილო საქმეში, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ მაინც ბევრია. ფაქტია, რომ ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება ბიბლიის სათანადო დონეზე გამოცემული კრიტიკული ტექსტი, არ გვაქვს ის, რაც ყველა კულტურულ ერს უნდა ჰქონდეს. ეს ხარვეზი მით უფრო თვალშისაცემია, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ბიბლიის თარგმნა უძველეს დროში დაიწყო და მისი უმეტესი ნაწილი ბრწყინვალედაა თარგმნილი ჩვენი ძველი მწერლების მიერ. თქვენთან, ქალბატონ ნინო სალიას ფონდში ვნახე სამენოვანი ბიბლია, რომელიც უმაღლეს დონეზე გამოცემული მრავალტომეულის სახითაა წარმოდგენილი და კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ის ჩამორჩენა, რაც ამ სფეროში გვაქვს. უნდა ველოდოთ თუ არა უახლოეს ხანებში ბიბლიის, როგორც ქართული ლიტერატურის ძეგლის გამოცემას?

ე. მეტრეველი: ქართული ბიბლია დიდი მეცნიერული ღირებულების ლიტერატურული ფაქტია. მის თარგმანზე V საუკუნიდან მოყოლებული მუშაობდნენ შესანიშნავი ქართველი მთარგმნელების თაობები. ჩვენი ბიბლიის მეცნიერული მნიშვნელობა შორს სცილდება ქართული მეცნიერების ფარგლებს, ვინაიდან სულ თითზე ჩამოსათვლელია მსოფლიოში ქართული ბიბლიის ხნოვანების სხვაენოვანი თარგმანები. ამიტომაც, რომ ქართული

ბიბლიისადმი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენენ როგორც ქართველი მეცნიერები, ასევე ევროპის ბიბლიოლოგიური სამეცნიერო ცენტრები. დღეს ჩვენ ბიბლია გვაინტერესებს, როგორც უძველესი ენობრივი ძეგლი და ლიტერატურულ ურთიერთობათა ამსახველი მრავალფენიანი თარგმანი და ისტორიული პირველწყარო. სამწუხაროდ, ქართულ ბიბლიას სრული სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. შედარებით ყველაზე სრული ნუსხაა ათონის ქართველთა მონასტერში დაცული X საუკუნის ე. წ. „ომკური ბიბლია“. „ომკური ბიბლიის“ გამოცემა წამოიწყო და რამდენიმე წიგნი გამოსცა კიდეც აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ, მაგრამ ამ შესანიშნავი საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა.

სრული ქართული ბიბლიის შედგენისა და სტამბურად გამოქვეყნების აუცილებლობას ძალიან კარგად ხედავდა უკვე XVII-XVIII საუკუნეების მონინავე ქართველი ინტელიგენცია. ვახტანგ VI-მ და საბა ორბელიანმა კი ბიბლიის გამოცემა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნიეს და თბილისში სტამბის გახსნაზე ზრუნვაც მას დაუკავშირეს. ქართლში – ვახტანგმა და საბამ, მოსკოვში – არჩილმა თითქმის ერთდროულად დაიწყეს მუშაობა ქართული ბიბლიური წიგნების მოპოვებისა და სრული ქართული ბიბლიის დასაბეჭდად მომზადებისათვის. საბას მესვეურობით ქართველ მეცნიერთა და კალიგრაფთა ერთობლივი შრომის შედეგია კარგად ცნობილი „მცხეთური ბიბლია“, ანუ საბა ორბელიანის რედაქტირებული ბიბლიის ხელნაწერი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. ბიბლიის ამ ნუსხის შექმნისათვის საბამ გამოიყენა მის ხელთ არსებული ბიბლიის ყველა ნუსხა, მოძიებული საქართველოს ტერიტორიაზე. ბიბლიის იმ წიგნებისათვის, რომელთაც ხელნაწერები არ დაეძებნათ, საბამ გამოიყენა ბიბლიური საკითხავების შემცველი „ლექციონარები“ და „საწინასწარმეტყველოები“, მაგრამ ვერც ამ მასალამ შეკრა სრული ბიბლია. ნაწილი დარჩენილი ლაკუნებისა საბამ თავისი ახალი თარგმანებით შეავსო. ამ გზით შექმნა საბამ ქართული ბიბლიის შედარებით სრული ნუსხა, რომლის დაბეჭდვასაც ვარაუდობდა ვახტანგის სტამბაში. მაგრამ ქვეყნის შიგნით შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ხელი შეუშალა ამ საჭირო წამოწყების განხორციელებას. ასევე თავის სიცოცხლეში არჩილმა ვერ შეძლო მოსკოვის სტამბაში სრული ქართული ბიბლიის დაბეჭდვა. მისი დაწყებული საქმე დაავიწყდებინა ბაქარმა მოსკოვში 1743 წელს ქართული ბიბლიის დაბეჭდვით. საბასეული ბიბლია, როგორც პირველი ცდა სრული ქართული ბიბლიის შეკვრისა, რა თქმა უნდა, დიდად საინტერესოა და უთუოდ სპეციალურ შესწავლას იმსახურებს, რისთვისაც აუცილებელია მისი გამოქვეყნება. გამოცემა დიდად შეუწყობს ხელს ქართული ბიბლიის შემდგომ კვლევას, მაგრამ ამ გამოცემით დღის წესრიგიდან არ მოიხსენება ქართული ბიბლიის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება ყველა არსებული ნუსხის

გამოყენებით. ამ დიდსა და მეტად რთულ საქმეს პროფ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და მისივე შედგენილი გეგმით ხელი მოჰკიდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივმა. პროფ. ილია აბულაძის უდროო სიკვდილმა დააბრკოლა ამ დიდი სამუშაოს დროული დასრულება. უკანასკნელი წლების მანძილზე ამ კოლექტივმა კვლავ განაახლა მუშაობა და მიმდინარე წლის ბოლოსათვის განზრახულია დასაბეჭდად მომზადდეს „მოსეს ხუთნიგნეულის“ კრიტიკული ტექსტი.

- მ. ნიკლაური: ოდნავ გადავუხვიოთ ჩვენი საუბრის თემას. როგორც ცნობილია, ჩვენი ჰიმნოგრაფიული პოეზია, ძირითადად, ბერძნულიდან არის თარგმნილი, მაგრამ არსებობს ორიგინალური ქართული სასულიერო პოეზიაც. რამდენად შეიძლება ვილაპარაკოთ ამ პოეზიაზე, როგორც ორიგინალურ ეროვნულ პოეზიაზე, მის სპეციფიკაზე... ?
- ე. მეტრეველი: ადრეული ჰიმნოგრაფიული კრებულები მართლაც ძირითადად თარგმანებს მოიცავენ, მაგრამ ეს თარგმანისა და გარდათქმის ისეთი მაღალი ოსტატობა და ტექნიკაა, რომ თამამად შეიძლება ლაპარაკი ქართველ მთარგმნელთა საკუთარ პოეტურ ხელწერაზე. მაგრამ მთარგმნელების გარდა IX-XI საუკუნეებში ჩვენ გვყავს მთელი პლეადა ქართველი პოეტებისა, რომლებიც ქმნიან სასულიერო პოეზიის ორიგინალურ შედეგებსაც, რომლებიც თავისი პოეტური ღირსებებით არაფრით ჩამოუვარდებიან ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოდების ფრიად აღიარებულ ნაწარმოებებს. სამწუხაროდ, ქართული სასულიერო პოეზია ჯერ კიდევ საკმარისად შესწავლილი არ არის. შესწავლის შედეგად მოსალოდნელია ახალი ქართველი პოეტების გამოვლენა. ხელნაწერთა ინსტიტუტში ბევრი კეთდება ჰიმნოგრაფიულ ძეგლთა შესწავლისა და გამოქვეყნებისათვის: გამოიცა „ძლისპირთა“ ძველი რედაქციები, გადაეცა გამომცემლობას „უძველესი იადგარი“ (ტექსტი და გამოკვლევა), „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების“ III ტომი დაეთმო „ძლისპირთა“ ნევემირებულ ვრცელ რედაქციას, ე. წ. „იორდანეს ძლისპირნის“ პუბლიკაციას. დაიგეგმა და მუშაობა მიმდინარეობს „ახალი იადგარის“ გამოსაცემად მომზადებაზე. ამ გამოცემას საფუძვლად დაედება მიქაელ მოდრეკილის ცნობილი კრებული. მზადდება გამოსაცემად გიორგი მთაწმინდელის „თთუენი“.
- მ. ნიკლაური: ქართული ხელნაწერები, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გარდა, დაცულია მესტიაში, ზუგდიდში და სხვაგან. რას იტყოდით იმ ხელნაწერების მდგომარეობაზე? ყველგან არის თუ არა შექმნილი საჭირო პირობები ძვირფასი განძის შესანახად? ხომ არ თვლით

აუცილებლად საქართველოში არსებული ყველა ძვირფასი ხელნაწერის თბილისში, სპეციალურად მოწყობილ საცავში თავმოყრას?

ე. მეტრეველი: გარდა ხელნაწერთა ინსტიტუტისა, სხვადასხვა მოცულობისა და მნიშვნელობის ხელნაწერთა კოლექციები დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში, სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, საჯარო ბიბლიოთეკაში, ქუთაისის, მესტიისა და ზუგდიდის, თელავის, ახალციხის, ოზურგეთის, ბათუმის მუზეუმებში. ამავე დროს, გარდა ცენტრარქივისა, ამ მუზეუმებში ხელნაწერების მოვლისა და დაცვისათვის სადღეისოდ პირობები არ არის შექმნილი, რამაც არ შეიძლება თავისი უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ხელნაწერთა ფიზიკურ მდგომარეობაზე.

ხელნაწერთა ინსტიტუტის სათანადო ლაბორატორიები ცდილობენ, საჭირო შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინონ ცალკეულ მუზეუმებს ხელნაწერთა მკურნალობითა და რესტავრაცია-აკინძვით, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, გამოსავალი არ არის. განსაკუთრებული მნიშვნელობის ხელნაწერები ყველგან და ყოველთვის საგანგებო შესწავლასა და მუდმივ მეთვალყურეობას თხოულობენ. ასე რომ, საქართველოში არსებულ ხელნაწერთა დაცვის საქმე ჯერჯერობით მოგვარებულად ვერ ჩაითვლება და ეს ფრიად სამწუხაროა.

მ. ნიკლაური: ცოტა გულუბრყვილობის ელფერი დაჰკრავს ამ კითხვას – რას გეუბნებათ სპეციალისტის გუჟანი, უნდა ველოდოთ თუ არა, და უფრო სად უნდა ველოდოთ დიდ აღმოჩენებს? შესაძლებელია თუ არა, რომ „შუშანიკს“ ქართული ლიტერატურის სათავის წოდება წაერთვას?

ე. მეტრეველი: ვფიქრობ, რომ სიტყვა „აღმოჩენა“, რომელიც ძალიან ბევრს ხიბლავს, ფილოლოგიაში უნდა შეიცვალოს სიტყვებით „მიკვლევა“ და „მიგნება“. „აღმოჩენას“ რომ ამბობთ, თქვენ ალბათ გულისხმობთ აქამდე უცნობი, განსაკუთრებული მნიშვნელობის ხელნაწერის გამოჩენას. ვთქვათ, შოთა რუსთაველის ავტოგრაფისა ან „ვეფხისტყაოსნის“ XIII-XIV საუკუნის ნუსხისა. ამ მნიშვნელობის „აღმოჩენა“ ნაკლებადაა მოსალოდნელი დღეისათვის ცნობილ ხელნაწერთა კოლექციებში. ქართველი მეცნიერებისათვის ზოგადად მაინც ცნობილია მსოფლიოში გაბნეული ქართულ ხელნაწერთა კოლექციების თუ ცალკეული ხელნაწერების შინაარსი, მაგრამ არ არის გამოორიცხული დღემდე უცნობი მნიშვნელოვანი ხელნაწერების გამოჩენაც. ამ ბოლო ხანებში ქართული ხელნაწერების ფრაგმენტები აღმოჩნდა დამასკოში, ლიბანის ერთ-ერთ მონასტერში, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ და არაბულ ფონდებში, იერუსალიმის სომხურ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში, იერუსალიმის უნივერსიტეტის ებრაულ ფონდში და სხვა.

შარშან კი გვაცნობეს, რომ თურქეთში, დიარბექირის მონასტერში სირიულ ხელნაწერებს შორის აღმოჩნდა ქართული ხელნაწერი. ამ ხელნაწერის უკანასკნელი ფურცლის ფოტოს მიხედვით, რომელიც ჩვენ გადმოგვცა ცნობილმა სირიოლოგმა, პროფ. სანდერსმა, გაირკვა, რომ ხელნაწერი ყოფილა 1210 წლის ქართული სვინაქსარი, რომელიც ცნობილი ქართველი მოღვაწის, გრიგოლ ფანასკერტელის შეკვეთითაა გადაწერილი. ეტყობა, სვინაქსარი ფანასკერტელთა საგვარეულო ხელნაწერია. ამიტომ სავსებით მოსალოდნელია, რომ ამ ხელნაწერის მინაწერებში თამარისა და მისი მომდევნო ეპოქის ისტორიულ მოვლენებზე თვითმხილველთა ცნობები იყოს მოტანილი.

ისე კი, „აღმოჩენილშიც“ ბევრი რამაა „აღმოსაჩენი“ – ახალი ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენებისა და ფაქტების დადასტურება, რაც წყაროების და ლიტერატურული პროცესების გაღრმავებული შესწავლის შედეგად შეიძლება მივიღოთ. გამოსავლენი და შესასწავლი კი ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

მ. ნიკლაური: დიდი მადლობა ამ საუბრისათვის. დაგვრჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი უბანი, რომელთაც ვერ შევეხეთ და შემდგომისთვის უნდა გადავდოთ, მაგრამ ამით მაინც ნუ დავამთავრებთ. მოდით, ხმამაღლა ვიოცნებოთ ქართული ხელნაწერების მომავალზე, მათთან დაკავშირებულ საქმეებზე...

ე. მეტრეველი: რაკი ოცნებაში საზღაურს არავინ თხოულობს, ამიტომ მეც არ შევიზღუდები: ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის აშენდება ახალი საფონდო და საგამოფენო კორპუსი თავისი მიწისქვეშა სახიზარით, რომელიც ჩვენი სულიერი კულტურის საუნჯეს დაიცავს ყველა დროსა და ვითარებაში. საცავებში ლაღად და შეუზღუდველად განლაგდება ფონდები. საგამოფენო დარბაზებში ერთდროულად მოეწყობა რამდენიმე თემატური გამოფენა, რომლებიც საზოგადოების ფართო წრეებს გაცნობენ ქართული ხელნაწერების საუკეთესო ნიმუშებს... ფოტოლაბორატორია დაასრულებს მთელი ფონდების მიკროფილმირებას და ძირითადი სახმარი ხელნაწერებისა და საბუთების ფოტოპირების მომზადებას. მომსვლელებს სამუშაოდ დედნების მაგიერ მიეცემათ ხელნაწერების მიკროფირები და ფოტოპირები, მოხერხებულად აკინძული და ადვილად სახმარი. ინსტიტუტის ფოტოტექნოლოგიაში თავს მოიყრის საქართველოს მუზეუმებისა და საქართველოს გარეთ დაცული ხელნაწერების მიკროფირები და ფოტოპირები. ინსტიტუტი აღჭურვილი იქნება საჭირო ტექნიკით: უახლესი ტიპის მიკროფირების საკითხავი აპარატით, ქსეროქსით, პალიმფესტების საკითხავი აპარატით, ქალაღდის აღსადგენი აპარატით. ხელნაწერთა ინსტიტუტის ლაბორატორიები დაუბრკოლებლივ მიიღებენ ხელნაწერთა რესტავრაციისა და აკინძვისათვის საჭირო მაღალი ხარისხისა და დიდი ასორტიმენტის ქალაღდს, ხეს და ტყავს.

გაიზრდება ინსტიტუტის საგამომცემლო ლიმიტი. ყველა გამომცემლობა დიდი სიხარულით მიიღებს დასაბეჭდად ხელნაწერთა ინსტიტუტის ძნელად ასანყობ ნიგნებს. მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცემა ისეთი შესანიშნავი მოხატული ხელნაწერები, როგორიცაა: ბეგთაბეგისეული „ვეფხისტყაოსანი“, გელათის, ვანის, ჯრუჭისა და მოქვის ოთხთავები, მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“. მონოგრაფიულად შეისწავლება და გამოიცემა ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერი, გამოიცემა ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსი. ინსტიტუტის თანამშრომლები დაწერენ გამოკვლევებს მრავალ ახალსა და საინტერესო საკითხზე. დაიწერება ქართული ადგილობრივი და საზღვარგარეთის სკრიპტორიუმების ისტორია, ძველი ქართული მწერლობის ისტორია გამდიდრდება მრავალი ახალი პრობლემით.

ლიანა ახოვაძე

**„თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“
ქართული რედაქციები**

სვიმეონ ლოლოთეის ბევრი მეტაფრასი ქართულად ორჯერ სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა დროს არის გადმოთარგმნილი.¹ კ.კეკელიძის მიერ გამოთქმულ ამ აზრს სავსებით ადასტურებენ ნოემბრის თვის მეტაფრასული საკითხავების შემცველი კრებულები, რომლებიც ასევე მდიდარ მასალას იძლევიან იმის დასადასტურებლად, რომ, ზემოთ აღნიშნულის გარდა, ქართულ ენაზე გადმოთარგმნილია ერთი და იმავე თხზულების სხვადასხვა რედაქცია, შესრულებული სხვადასხვა მთარგმნელის მიერ. რიგ შემთხვევებში თარგმანები ისეთ რედაქციებს წარმოადგენენ, რომლებიც ბერძნულში არ დასტურდება, რის გამოც ქართულ მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამის საილუსტრაციოდ გამოვადგება, ერთი მხრივ, ათონურ კრებულებში (Ath. 36, XI ს., Ath. 37, XI ს.) წარმოდგენილ თხზულებათა თეოფილე ხუცესმონაზვნისეული თარგმანები და, მეორე მხრივ, ის ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა მეტაფრასულ კრებულშია თავმოყრილი. ეს არის ეფრემ მცირის, სტეფანე სანანოჰსძის, დავით ტბელის, ხშირად კი უცნობ პირთა მიერ შესრულებული თარგმანები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილი ბერძნული ტექსტებიდან არ მომდინარეობენ.

საუკეთესო მაგალითი იმისა, რომ თეოფილე ხუცესმონაზონს ხელთ აქვს მეტაფრასულ თხზულებათა განსხვავებული რედაქციები, არის „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ ტექსტი, რომელიც ქართულად ორი თარგმანითაა წარმოდგენილი: ერთია თეოფილე ხუცესმონაზვნის თარგმანი (Ath. 36, 4v-15v) და მეორე – სტეფანე სანანოჰსძისა (S-384, 295r-302v).²

¹ კ. კეკელიძე, *ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, V, თბილისი, 1957, გვ. 154.

² ბერძნული ტექსტი: *Acta Sanctorum, Novembris*, IV, Bruxellis, 1925, p. 224-233.

ეს თხზულება, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ აქ მოყვანილი ერთი ფრაზის გამო ბასილი იმპერატორმა „დააყენა წიგნები ამისი კითხვად ეკლესიათა შინა“.³

ეს ფრაზა უნდა ეკუთვნოდეს არა თხზულების ავტორს, ნიკიტა მაგისტროსს, არამედ მას, ვინც ტექსტი გადაამეტაფრასა; სტეფანე სანანოოსძის თარგმანის § 2 იწყება ფრაზით, რომელშიც მოიხსენიება ლეონ იმპერატორის სახელი: „ვიყავ ოდეს მე ჭალაკსა პაროს და კრიტედ, გუენება მისლვაჲ ზღვთ, რამეთუ სანატრელისა ლეონის მიერ წარვლენილ ვიყვენით. ლეონს ვიტყვ დიდსა მას და წარმართებულსა ნანდკლვე მეფეთა შორის, რომელმან ყოველივე წარმართებაჲ ბერძენთაჲ საფლავსა თვსსა თანა შთაჰვლა“ (S-384, 295 v).

იგივე ფრაზა, მცირედ შემოკლებული, წარმოდგენილია თეოფილეს თარგმანშიც, რომელშიც ასევე იხსენიება იმპერატორის სახელი: „მივედ ოდეს მე პარონს, რამეთუ წარვლენილ ვიყავ ნეტარისა ლეონ მეფისაგან კრიტედ, რომელი-იგი ჭეშმარიტი მეფე იყო და სუჲ და ბედი საბერძნეთისაჲ მის თანავე დაჰვლა საფლავად“ (Ath. 36, 5 r).

ამ ფრაზით იწყება ბერძნული ტექსტის § 2-ც, მაგრამ თუ ბერძნული კიმენური ვერსია მხოლოდ მიანიშნებს, მეტაფრასული ტექსტი იმპერატორის სახელსაც მოიხსენიებს:

Γειομένω μοί ποτε κατὰ τὴν Πάρον, ἑγεγόνειν (γέγονα M) δὲ καὶ γὰρ ἔπι Κρήτην ἔπλεον (διέπλεον M) ὑπὸ τοῦ μακαρίτου (μακαρίου) καὶ Θεοσεβίους βασιλέως στελλόμενος (καὶ θ. β. στ. Λέοντος ἐκέισε πεμφθεὶς Λέοντός φημι M), τοῦ εὐτυχούς ὄντῳ (βασιλέως add. M) καὶ τὴν εὐτυχίαν Ῥωμαίων τῷ τάφῳ συσθίψαντος.⁴

და რადგანაც „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ მეტაფრასული ვერსია სვიმეონ მეტაფრასტის სახელს დაუკავშირდა, ბასილი იმპერატორმა აკრძალა სვიმეონის თხზულებები. როგორც ეფრემ მცირის „მოსაწყენებელი მცირე სვიმეონისთვის ლოლოთეტიისა და თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“ გადმოგვცემს, „დაფარულად ეპყრა წიგნები და სახლებსა შინა იკითხვიდეს მათ მეცნიერნი და ტრფიალნი შუენიერებათა მათისანი“. ხოლო მას შემდეგ, რაც ჯერ სვიმეონი გარდაიცვალა და მერე ბასილი, „შენყნარებულ იქნენ წიგნნი ლოლოთეტიისნი“⁵ და ისინი კვლავ იკითხებოდა საბერძნეთის ეკლესიებში.

ნმ. თეოქთისტეს კულტი ნიკიტას გადმოცემიდან იღებს სათავეს. მას კუნძულ პაროსის მცხოვრებნი თავიანთ მფარველად აღიარებენ და ხსენების დღეს აღნიშნავენ 9 ნოემბერს. მეტაფრასტის მენოლოგიონში კი ხსენების დღედ 10 ნოემბერია მიჩნეული.⁶ ქართულ სინამდვილეშიც სხვადასხვაგვარი ვითარებაა:

³ კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 224.

⁴ *Acta Sanctorum, Novembris, IV*, p. 225.

⁵ კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 224.

⁶ *Acta Sanctorum, Novembris, IV*, p. 224.

S-384 (XI-XII სს.) კრებულში თეოქთისტეს ხსენების დღე 8 ნოემბერია, ათონურში – 10 ნოემბერი, A-188 (XIII ს.) კრებულში კი, რომელშიც „ცხოვრების“ განსხვავებული რედაქციაა წარმოდგენილი, თარიღი საერთოდ არ არის მინიშნებული. ეს ფაქტიც ამ კრებულებისა და მათში შემავალი თხზულებების განსხვავებულ რედაქციულ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ბერძნულში გამოყოფენ „თეოქთისტეს ცხოვრების“ N და M რედაქციებს: N პირველადი, კიმენური ტექსტია და ნიკიტა მაგისტროსს ეკუთვნის, რასაც მოწმობს თხზულების სათაური:

Βίος τῆς ὁσίας μητρὸς ἡμῶν Θεοκτίστης τῆς Λεσβιάς τῆς ἀσκησάσης καὶ κοιμηθείσης ἐν νήσῳ τῇ καλουμένῃ Πάργα συγγραφεὶς ὑπὸ Νικίτα τοῦ πανευκλεσεστάου μαγίστρου.⁷

ნიკიტა პაფლაგონელი, მაგისტროსი, ცნობილი ჰაგიოგრაფი, მოღვაწეობდა იმპერატორ ლეონის დროს. მისი ცხოვრების ბოლო წლები კი კონსტანტინე პორფიროგენეტის გამგებლობის პერიოდს ემთხვევა. ბერ სვიმეონს „თეოქთისტეს ცხოვრება“ X საუკუნის I ნახევარში უნდა ჩაენერა.

თხზულების მეორე, მეტაფრასული (M), რედაქცია მიენერება სვიმეონ ლოლოთეს, რომელმაც თითქოს გადაამეტაფრასა ნიკიტას თხზულება.

ნიკიტა გადმოსცემს ამბავს, რომელსაც კუნძულ პაროსზე მისულს მოუთხრობს ბერი სვიმეონი. მეორე, M რედაქცია, რომელიც მეტაფრასულად არის მიჩნეული, ანონიმურია და დასკვნითი ნაწილის (§ 23) გარდა შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს.

თუ, ტრადიციული გაგებით, კიმენური ტექსტი ლიტონად, მარტივად აღწერილი ამბავია, მაშინ N რედაქცია ამის ნიმუშად არ გამოდგება, რადგან ის მაღალმხატვრულობით ხასიათდება და, როგორც თხზულების გამომცემლები მიუთითებენ, გამოირჩევა ნიკიტა მაგისტროსისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მჭევრმეტყველებით. ამის შესანიშნავი მაგალითია თხზულების შესავალი ნაწილი (§1), რომელიც კიმენურ (N) რედაქციაში საკმაოდ ვრცელია და M ვერსიისაგან სხვაობს სწორედ ზეანეული ტონითა და ძლიერი ემოციური განწყობით.

N და M რედაქციებს შორის სხვაობა ძირითად ნაწილში (§ 2-19) ვარიანტულს არ სცილდება, რაც გამოცემაშიც აისახება: ცალკე რედაქციად გამოყოფილია მხოლოდ § 1 და § 20-23.

რედაქციათა ურთიერთშეპირისპირების დროს კარგად ჩანს, თუ რა სამუშაო ჩაატარა მეტაფრასტმა: შეცვალა პროლოგი (§ 1), რომელიც არა მხოლოდ შეამოკლა, არამედ თხზულებას რედაქციულად სრულიად განსხვავებული შესავალი წაუმძღვარა, შეცვალა ზოგიერთი სენტენცია და ბოლო მონაკვეთი

⁷ იქვე.

(§ 23) განავრცო. მეტაფრასტის ხელი არ შეხებია იმ ძირითად ნაწილს (§ 2-19), რომელსაც ბერი სვიმეონი მოგვითხრობს.

კ. კეკელიძე სტატიაში „Симеон Метафраст по грузинским источникам“⁸, რომელშიც მსჯელობს „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ რედაქციებზე, აღნიშნავს, რომ „ცხოვრება“ დაწერილია მხედართმთავარ იმერის (v. I. მერის – S-384) ექსპედიციის თანამედროვისა და მონანილის მიერ იმპერატორ ლეონის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ არაფერი ადასტურებს იმას, რომ ეს არის სწორედ სვიმეონ მეტაფრასტი. ის აზრი, რომ „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრება“ სვიმეონ ლოლოთეტს მიეკუთვნება, დადასტურებული აქვს ეფრემ მცირესაც თავის „მოსაწყენებელში“.⁹ მაგრამ ი. დელეიე მიიჩნევს, რომ მეტაფრასული თხზულება შეცდომით მიეწერა სვიმეონს. ეს შეცდომა გამოიწვია იმან, რომ „ცხოვრების“ მთხრობელი არის ბერი, სახელად სვიმეონი. თხზულება სვიმეონ ლოლოთეტს პირველად მიანერა მიქაელ ფსელოსმა, შემდგომში ეს შეცდომა გაიმეორა ლ. ალაციუსმა, დაეყრდნო რა მიქაელ ფსელოსს. სწორედ ამ შეცდომის გამო იყო მიჩნეული „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ ტექსტი სვიმეონ მეტაფრასტის პირველ თხზულებად.¹⁰ არსებობს ეჭვი ნიკიტას მიერ გადმოცემული ამბების სანდოობის თაობაზედაც. სანდოდ თვლიან პასაჟებს, რომლებიც იმდროინდელ ამბებს გადმოსცემენ – ეგეოსის ზღვის კუნძულებზე არაბთა თარეშსა და ნისირისის სარდლობით მათ მიერ დატრიალებულ უბედურებებს. დასაშვებია ისიც, რომ ნიკიტა მოხვედრილიყო კუნძულ პაროსზე, მოენახლებინა ღვთისმშობლის ტაძარი და იქ შეხვედროდა სვიმეონ ბერსაც, რომლისგანაც შეიძლება მოესმინა თეოქთისტეს ცხოვრების შესახებ. მაგრამ ამ ამბის მონმე არც თავად სვიმეონია. მან უცნობი მონადირისაგან ჩაიწერა თეოქთისტეს ცხოვრების ისტორია. ამის გამო მონათხრობის მიმართ ჩნდება ორი სახის ეჭვი: ერთია ის, რასაც მონადირე გადმოგვცემს თეოქთისტეს ცხედრის გაქრობის შესახებ, და მეორე – ხომ არ არის ეს მონათხრობი განმეორება იმისა, რაც მარია მევგიპტელის შესახებ არის ცნობილი. მიიჩნევენ, რომ აქ მხოლოდ დრო და ადგილია შეცვლილი, თორემ „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრებაშიც“ მსგავსი ისტორიაა გადმოცემული.

ი. დელეიე „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ შესახებ აღნიშნავდა, რომ ნიკიტას თხზულება საკითხავად სასიამოვნოა და დახვეწილი, რის გამოც მკითხველში დიდი მოწონებით სარგებლობს, მაგრამ ამავე დროს ის თხზულებას განიხილავდა, როგორც პლაგიატს, როგორც მარიამ მეგვიპტელის შესახებ არსებული ლეგენდის განმეორებას, ე. ი. მისი აზრით, ნიკიტა მაგისტროსი გადმოგვცემს არა ნამდვილად მომხდარს, არამედ საღვთო ფაბულაზე დაწერილ ამბავს.

⁸ კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 222.

⁹ იქვე, გვ. 212-223.

¹⁰ იქვე, გვ. 223.

მაგრამ, როგორც ა. კაჟდანი მიუთითებს, ამ ორ თხზულებას შორის დიდი და არსებითი განსხვავებაა.¹¹ მარიამ მეგვიპტელი იყო მეძავი, დაუოკებელი ვნებებით. სწორედ ამით იყო იგი ცნობილი იერუსალიმში. მან მოულოდნელად შეცვალა ცხოვრების წესი და გახდა უბინოებისა და უმნიკვლობის განსახიერება, რის შემდეგაც წავიდა უდაბნოში და იქ შეხვდა ზოსიმე იერუსალიმელს, რომელიც ყოველწლიურად გადიოდა იორდანეს გაღმა, რათა მარხვის დღეები უდაბნოში გაეტარებინა. თეოქთისტეს არ ჰქონია ასეთი წარსული. მან, ახალგაზრდა მონაზონმა, შეძლო გაჰქცეოდა არაბთა ტყვეობას, თუმცა ამის შემდეგ იწყება მისი მძიმე ცხოვრება, რომელსაც ის მარტოობაში ატარებს, საზრდოობს ბალახეულით და იმის გამო, რომ ტანსაცმელი ნაფლეთებად ექცა, იძულებულია, შიშველმა იაროს. „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრებაში“ მთავარია ვნებათა დათრგუნვის თემა, „თეოქთისტეს ცხოვრებაში“ კი ეს თემა არ არის.

ა. კაჟდანი ადასტურებს და ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ „თეოქთისტეს ცხოვრება“ არ წარმოადგენს ძველი ლეგენდის უბრალო გადაკეთებას. ის თვლის, რომ ძველ მონამეთა „ვნებანი და ცხოვრებანი“, მათი მარტივი ენა და თხრობის მანერა აღარ იყო მკითხველისათვის მიმზიდველი. ამის გამო გაჩნდა ისეთ თხზულებათა შექმნის საჭიროება, როგორიც ნიკიტა მაგისტროსის თხზულებაა, რომელშიც გამოყენებულია ძველი ლეგენდა და შევსებულია ახალი მოტივებით.

„მარიამ მეგვიპტელის ცხოვრებასთან“ მსგავსება-დამოკიდებულებაზე მეტყველებს თავად ნიკიტა მაგისტროსის თხზულება, თუმცა აქაც, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, სხვაობაა როგორც ბერძნულ, ისე ქართულ რედაქციებს შორის: თეოფილეს თარგმანში მხოლოდ ზოსიმეს სახელია ნახსენები, რითაც ის მხარს უჭერს ორივე ბერძნულ რედაქციას – როგორც კიმენურს, ისე მეტაფრასულს. არც ერთ მათგანში მარიამი არ მოიხსენიება, განსხვავებით სტეფანე სანანოჰსდის თარგმანისაგან:

მსგავს იყო იგი დიდისა ზოსიმესსა, რომელმანცა გამოცნა ყოველი ცხოვრება და მოღუანება ნეტარისა მარიამისი (S-384, 301v).

არა თუ ზოსიმე იყო დიდი სიწმინთეანვე სიბრძნესა მას სულიერსა სწავლული (Ath. 36, 13r).

N: Ἄλλὰ τί πάθω, τοῦ προστυχόντος τῆ μεγάλης μὴ κατὰ τὸν μέγαν ὄντος Ζωσιμᾶν, ὅς ἠπίστατο βίους καὶ ἀγῶνας ἀνιχνεύειν καὶ κατορθώματα § 22.

M: Ἄλλὰ τί πάθω, τοῦ τῆ μεγάλης (φησὶν) ἐντυχόντος μὴ κατὰ τὸν μέγαν ὄντος Ζωσιμᾶν, ὅς ἠπίστατο βίους καὶ ἀγῶνας ἀνιχνεύειν καὶ κατορθώματα § 22.

„თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ ქართული თარგმანები ბერძნულ კიმენურ (N) და მეტაფრასულ (M) რედაქციებთან მიმართებით მეტად რთულ, არაერთ-

¹¹ A. Kazhdan, *Hagiographical Notes. The Hunter or the Harlot?* Byzantinische Zeitschrift, 78, 1985, p. 49-50.

გვაროვან სურათს გვიჩვენებენ. თუმცა თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე თარგმანი მეტაფრასულ რედაქციასთან მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში მათში კიმენური ვერსიის მასალაც დასტურდება (მაგალითად, § 20). მეტაფრასულ რედაქციასთან სიახლოვეს პირველ რიგში ბერძნული M რედაქციის შესატყვისი ქართული ტექსტების სათაურები მოწმობს:

M: Βίος καὶ πολιτεία τῆς ὀσίας καὶ ἀειμνήστου Θεοκτίστου τῆς Λεσβίας.

„ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ყოვლად ქებულისა წმიდისა თეოქტისტის ლეზველისა“ S-384, 295 r.

„ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა დედისა თეოქტისტი მეუდაბნოსა“ Ath. 36, 4v.

როგორც ვხედავთ, სტეფანე სანანოჟის თარგმანის სათაური იდენტურია ბერძნულისა და, მიუხედავად იმისა, რომ თეოფილეს ტექსტის სათაურიც განსხვავებულია (თეოქტისტე ლეზველად არ მოიხსენიება არც სათაურში და არც შემდგომ, ტექსტში), არც ერთ რედაქციაში არ დასტურდება კიმენური ტექსტის სათაურში ნახსენები ნიკიტა მაგისტროსი.

ამავე რიგში განიხილება იმპერატორ ლეონის სახელის მოხსენიებაც „ცხოვრების“ ბერძნულ რედაქციებსა და ქართულ თარგმანებში.

ბერძნულ კიმენურ (N) ტექსტში ასევე არ მოიხსენიება პავლე მოციქული, განსხვავებით ბერძნული მეტაფრასული (M) ვერსიისა და ქართული თარგმანებისაგან:

M: Ἐνδυναμῶσθιν καὶ αὐτὸ ἀπὸ ἀσθενείας (τὸ τοῦ Παύλου καθ' ἑαυτὸν εἶπεῖν) § 23.

ძალი უძლურებასა შინა სრულ იქმნების მსგავსადვე პავლეს სიტყვსა (S-384, 302v).

სიტყვსაებრ ნეტარისა პავლე მოციქულისა განძლიერდა უძლურებისაგან (Ath. 36, 14r).

ქართული თარგმანები იმ შინაარსობრივ დეტალებსაც წარმოგვიდგენენ, რომლებიც ერთმანეთისაგან განასხვავებენ ბერძნულ რედაქციებს:

ვინა-იგი შემემთხვა ჩუენ საქმე ესევითარი, რომელ გარენარი იგი უმეტეს იყო ყოველსავე საქმესა ჩუენსა, რომელიცა ჩუენ საჭიროდ შევუერაცხა (S-384, 295v).

ვინაეცა შევუმთხვა ჩუენ საქმე საკვრველი, რამეთუ რომელ-იგი გარენარად გუაქუნდა, უაღრეს იპოვა საქმისა მის გულითადისა ჩუენისა (Ath. 36, 52r).

ტექსტის ეს მონაკვეთი არის მხოლოდ მეტაფრასულ რედაქციაში.

M: Ἐντεῦθεν δὲ καὶ συσβῆν τὸ πάρεργον μείζον ἤμιν κομιδῇ τοῦ ἔργου γενέσθαι (add. M) § 3.

ქართული თარგმანები, მიუხედავად ტექსტობრივი სხვაობებისა, ცალკეულ შემთხვევებში საკმაო სიზუსტით წარმოადგენენ ბერძნულში დადასტურებულ ჩართულ ფრაზებსაც კი:

Ἀληθέστερον δὲ εἶπεῖν (M, N) §2.

ვინათუ ვთქუა უჭეშმარიტესადრე (S-384, 295v).

უფროსლა სამართალ არს სათქუმელად (Ath. 36, 5r).

Ταῦτα ἄς ἀπαίρω (μοι add.M) λέλεκται διηγησάμενος ἐκείνος ὁ μακάριος τοῦ Θεοῦ ἄνθρωπος (M, N) § 22.

ესე ყოველი, ვითარცა ვთქუ, წარმომითხრა მე კაცმან მან ღმრთისამან (S-384, 301v).

ესე ყოველი მომითხრა ნეტარმან მან ბერმან წმიდამან, რომელი ზემო მოვაჭსენეთ, და ფიცითა ფიცხელითა მომიმტკიცა (თეოფილეს თარგმანი, Ath. 36, 13r).

ასეთია ქართული თარგმანების ბერძნულ რედაქციებთან მიმართების ძირითადი სურათი, თუმცა ის ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის: მიუხედავად რიგ შემთხვევებში შინაარსობრივად ძალიან ახლოს მდგომი მონაკვეთებისა (მაგალითად, §17-ის დასაწყისი), ჩვეულებრივ, სტეფანე სანანოხსძის თარგმანი უფრო ვრცელია ბერძნულ ტექსტსა და თეოფილე ხუცესმონაზვნის თარგმანთან შედარებით. ზოგჯერ მოცულობითი გავრცობა შინაარსობრივად არაფერს ახალს, განსხვავებულს არ იძლევა, მაგალითად:

და იგი დაეცა პირსა ზედა თვსსა ქუეყანად და ეზიარა საუფლოსა მას ჯორცსა საღმრთოსა საიდუმლოსა ტირილითა და გოდებითა, ვიდრელა დაალტობდა ქუეყანასა დინებითა ცრემლთაათა, რამეთუ მრავალგზის აღსძრავს ცრემლთა არა ხოლო მწუხარებაჲ, არამედ სიტკბობაჲცა, ვითარცა ესე აჩუენებს უბადრუკი ესე და მრავალსაგლოველი ცხორებაჲ ჩუენი და მერმე შესძინა და თქუა შემდგომად ზიარებისა (S-384, 300r).

და წმიდაჲ იგი დავარდა ქუეყანად და მდინარებითა ცრემლთა ცხელთაათა ეზიარა წმიდათა მათ საიდუმლოთა. მერმე უმეტესადლა აღდულნა სულითა და გონებითა, აღუტევა ჳმაჲ ტირილისაჲ და თქუა (Ath. 36, 11r).

Πεσοῖσα δ' εἰς γῆν ἐκείνῃ, τὸ θεῖον ἀπέλαβε καὶ θρήνοις καὶ δάκρυσι τὴν γῆν καταβρέχουσα ἔλεγε (§ 18).

ზოგჯერ გავრცობილია ორივე ქართული თარგმანი, თუმცა დაცულია შინაარსობრივი იდენტურობა, მაგალითად, § 6, 7, 11. ეს თეოფილესთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი, ჩვეულებრივ, გავრცობილია სტეფანეს თარგმანი. მაგალითად, სტეფანეს თარგმანში ვხვდებით ისეთ მხატვრულ სახეებს, რომელთა შესატყვისი არც ბერძნულ ტექსტშია და არც თეოფილესთან:

Ταῦτα καὶ ἄλλ' ἄλλα παρακαλέσας ἰσύχασεν (§ 7).

ესევითარნი და სხუანიცა რავდენნიმე მომითხრნა ჩუენ სიტყუანი და დადუმნა და ვისმენდით ყოველსა, ვითარცა ანგელოზისაგან ღმრთისა (S-384, 296v).

ამით ესევითარიითა მოძღურებითა გულოცვიდა ჩუენ და გუსწავლიდა, მერმე დადუმნა (Ath. 36, 6v).

Ἐωράκειν οὖν, ἄς ἔφην, τὰ θέρμια ἀπαλυσόμεθα § 11.

განვიცდიდი რაჲ თერმუზთა მათ, ესრეთ შუებულთა და ჩჩკლთა (S-384, 298r).

ვიხილე რაჲ თერმაჲ იგი დამბალი (Ath. 36, 8v).

Καὶ πάντις ἔδεικνυτο φασί § 13.

და კუალად მოინია ჩემდა, ვითარცა აჩრდილი წმისა ნულილისა (S-384, 298v).

და თან კუალადცა წმა-ყო ჩემდამო (Ath. 36, 9r).

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ეს დამატებული ეპითეტები და შედარებები მთარგმნელისეული იყოს, ისევე, როგორც სინონიმური წყვილიდან ერთ-ერთი, რომელიც ბერძნულ ტექსტში არ დასტურდება. მაგრამ როდესაც ისეთი მცირე ნიუანსებიც კი, რომლებიც ერთეულ შემთხვევებში შეიძლება მთარგმნელისეულად ჩაგვეთვალა, ქართულ თარგმანებში ერთნაირად არის გადმოცემული და ამას ჩვენს ხელთ არსებული ორივე ბერძნული ტექსტიც (როგორც M, ისე N რედაქციები) უჭერს მხარს, ეს უნდა მიანიშნებდეს განსხვავებული ბერძნული დედნის არსებობაზე იმ შემთხვევებშიც, როცა ქართულ თარგმანში განსხვავებულ ნაკითხვასა თუ მატებას შესაბამისი ბერძნული ვარიანტი არ მოეპოვება.

ქართული თარგმანების რედაქციულ სხვაობას ტოპონიმებისა და ადამიანთა საკუთარი სახელების სხვადასხვაგვარად გადმოცემაც ადასტურებს; მაგალითად, სტეფანე სანანოხისის თარგმანის §23-ში დასახელებული ტოპონიმი ნაქსიონი არ არის არც თეოფილესთან და არც ერთ ბერძნულ რედაქციაში:

ნარვემართენით ჩვენ ნაქსიონად, ვითარ ათი უტევანი აქუნდა მიერ ნიალსავალად მცირედლა (S-384, 302r).

სტეფანეს თარგმანის § 17-ში სამჯერ არის ნახსენები ჭალაკი პარო, განსხვავებით ყველა სხვა ტექსტისაგან:

მეგულეობდა მოყუასთა ჩემთა თანა განსლვაჲ ნადირობად ირემთა და გარეთხათა ველურთა, რომელთაცა ზრდის ჭალაკი პაროესაჲ (S-384, 299v).

გამოვედ მე მოყუასთა თანა ჩემთა ჭალაკსა მას ნადირობად ირემთა და გარეთხათა, რომელთა ზრდის უხუებით უდაბნოჲ იგი დიდროანთაცა და მსუქანთა (Ath. 36, 10v).

მეგულეობდა ჩუენ ნიალსლვად ნადირობად პაროს (S-384, 302r).

თეოფილეს თარგმანში ამ წინადადების შესატყვისი არ არის.

ხოლო ვითარცა მოვიწინენით ჭალაკსა მას პაროესასა და ვითარცა გან-ოდენ-ვდეგით წმელად (S-384, 300r).

და ვითარცა გან-ოდენ-ვდეგით წმელად (Ath. 36, 10v-11r).

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, არც თეოფილეს თარგმანში და არც ბერძნულ რედაქციებში არ არის მინიშნება „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრებაზე“ (§22). სტეფანეს თარგმანში კი პირდაპირ არის ნათქვამი ამის შესახებ:

არა თუ მსგავს იყო იგი დიდისა ზოსიმესსა, რომელმანცა გამოცნა ყოველი ცხოვრებაჲ და მოლუანებაჲ ნეტარისი მარიამისი (S-384, 301v).

ტექსტებს შორის ასეთი მიმართება არცთუ იშვიათად დასტურდება ლექსიკური შესატყვისობებითაც:

ალმემართენს თმანი თავისა ჩემისანი (S-384, 298v).

აღმემართნეს თმანი ჴორცთა ჩემთანი (Ath. 36 8v).

Ἐπειὴ οὕτως γὰρ μὴ σαρκοῦ ἀὶ τριχῶς §13.

თუ ზემოთ მოყვანილი ნიმუშების მიხედვით ვიმსჯელებთ, სტეფანეს თარგმანი სხვაობს ბერძნულსაგან, თეოფილეს ტექსტი კი მხარს უჭერს ბერძნულს, მაგრამ რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს საპირისპირო ფაქტებსაც – თეოფილეს თარგმანი უპირისპირდება სტეფანეს თარგმანსა და ბერძნულ ტექსტს; მაგალითად, თეოფილეს თარგმანში არ არის მოხსენიებული ვინმე *ნისირინი*:

მოვიდა ოდესმე აქა შალანდები კრიტისაჲ (Ath. 36, 7r).

ბერძნულ ტექსტსა და სტეფანეს თარგმანში ვკითხულობთ: Τὸν Νίσιριν ἐκείνον ἀκούεις τὸν τοῦ ναυτικῶν τῆς Κρήτης κατάρξαντα § 8.

გასმიეს სადამე ნისირინ, ნინამძღუარი მენავეთა მათ კრიტისაჲთა (S-384, 297r).

თეოფილეს ტექსტში გამოტოვებულია ტოპონიმი Ἐββία § 9:

ჰსცა ნავი თვსი ადგილსა მას, რომელსა ქსკლოფალო ეწოდების (Ath. 36, 7v).

შდრ. ბერძნული ტექსტი და სტეფანეს თარგმანი:

Πρὸς τῷ τῆς Ἐββίης συντριβῆς ἄκρῳ, ὃ Ξυλοφάγος καλεῖται § 9.

ვითარ შთავიდა იგი ზღუად ევევით კერძო, მოინია რაჲ კიდურსა მას, რომელსა ქსკლოფალო ეწოდების (S-384, 297v).

აშკარა რედაქციულ სხვადასხვაობაზე მიუთითებს ისეთი პასაჟების არსებობა, როგორცაა, მაგალითად:

Καθίσας οὖν ἐπὶ τῆς πόας καὶ αὐτόν με παρακαθισάμενος, ἐώκει γεγιθῆναι, ὅτι περὶ ἡμῖν περιέτυχεν. Ἄπεισας δὲ εἰς αὐτόν § 8.

და დაჯდა იგი ადგილსა მწუანვილოვანსა და მის თანავე მახლობელად დამსუა მეცა და საგონებელ იყო, რომელ რეცა განმხიარულდა შემთხუევისათვის ჩუენისა და მივხედენ მისსა მიმართ და ვთქუ (S-384, 297r).

დავსხედით უკუე წყაროსა თანა წყლისასა, ვინაჲთგან უხუებით აღმომდინარე იყო და მივხედენ მას და ვარქუ (Ath. 36, 6v).

თეოქთისტეს გარეგნობის აღწერა სტეფანე სანანოესძის თარგმანში ბერძნული ტექსტის ზუსტი შესატყვისია, თეოფილესთან კი შემოკლებულად არის წარმოდგენილი:

Θριξ λευκή, πρόσωπον μέλαν, μικρὰν ὑποφαῖνον λευκότητα, δερματὶς συστέχουσα τὴν ὀσταν ἄρμοισιν, ἥκιστα σαρκὸς ἐμπεφυκίας, σκιὰ παραπλήσιος, ἕιδος μόνιον τὴν ἀμφωπίου σῶζον ἐμφέρειαν § 13.

თმა სპეტაკი, პირი ვითარცა მელანი, რომელი კნინ რაჲმე შეეცყუებოდა ფერი ჴორცისაჲ, ტყავი შემოკრულ იყო გუამსა, რომელსა ეპყრნეს ძუალთა ნახმანნი, ხოლო არასადა საგონებელ იყვნეს ჴორცნი ყოფად, არამედ მიმსგავსებულ იყო ყოვლად აჩრდილსა კაცისასა (S-384, 298v).

და იყო იგი განსპეტაკებულ თმითა ყოვლად. ხოლო პირითა იყო იგი შავ და მცირედ მოთეთრე, რომელსა ტყავი ოდენ აქუნდა შესამტკიცებლად ძულთა მისთა, ხოლო სხუად ყოვლად აჩრდილსა მსგავს იყო იგი (Ath. 36, 9r).

ზემოთ განხილული ცალკეული პასაჟების მიუხედავად (როდესაც ერთ შემთხვევაში თეოფილეს თარგმანი უფრო შეესატყვისებოდა ბერძნულს, სხვა შემთხვევებში – სტეფანე სანანოჰსძისა), ქართული თარგმანების ურთიერთ-დამოკიდებულებისა და მათი ბერძნულ ტექსტებთან მიმართების მთლიანობაში განხილვის შედეგად ნათელი ხდება, რომ ქართული თარგმანები განსხვავებულ რედაქციებს წარმოადგენენ და არც ერთი მათგანი არ მისდევს ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ ტექსტებს.

როგორც უკვე ვთქვით, „თეოქისტე ლეზველის ცხოვრების“ კიდევ ერთი, განსხვავებული რედაქციაა წარმოდგენილი XIII საუკუნის კრებულში A-188 (6r-13r). ეს კრებული საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში დაცული რამდენიმე თხზულება კომპილაციური ხასიათისაა და შექმნილია ქართული მასალის გადამუშავების საფუძველზე. ერთ-ერთი ასეთი თხზულებაა „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“, რომელიც შეისწავლა და გამოსცა რ. გვარამიამ¹².

თხზულება ქართულში ორი თარგმანით არის წარმოდგენილი: ერთია თეოფილე ხუცესმონაზვნის თარგმანი (Ath. 36) და მეორე – ეფრემ მცირისა (S-384). რ. გვარამია თვლის, რომ A-188 ხელნაწერის ტექსტი „ცხოვრების“ სრულიად განსხვავებული რედაქციისაა: „იგი არის კომპილაცია, ადრეული კიმენური და მეტაფრასული რედაქციების შეერთების შედეგად მიღებული, და ამ სრულიად ახალი კომპილაციის ქართული ვერსიისათვის გამოყენებულია ქართული თარგმანები: ერთი მხრივ, ადრეული რედაქციისა და, მეორე მხრივ, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი მეტაფრასული ტექსტისა“.¹³

მკვლევარი დანვრილებით განიხილავს დასახელებულ რედაქციებს შორის არსებულ სხვაობებს: ეს არის მექანიკურად შემოკლების, ცალკეული ადგილების პარაფრაზირებისა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სხვადასხვა რედაქციის პასაჟების მონაცვლეობის ფაქტები.

ზემოთ დასახელებული თხზულებისაგან განსხვავებით, არ არსებობს „თეოქისტე ლეზველის ცხოვრების“ ქართული კიმენური ტექსტი. ამის გამო რედაქციათა შორის სხვაობათა ხასიათის დასადგენად და შესაფასებლად ბერძნული კიმენური ვერსიის მონაცემები უნდა გაგვეთვალისწინებინა. ეს კი სრულიად არ არის ის, რაც შეიძლებოდა ეჩვენებინა ქართულ ტექსტს, მაშინ, როცა ვიცით ქართველ მთარგმნელთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება დედნებისადმი.

¹² რ. გვარამია, „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, თბილისი, 1986.

¹³ იქვე, გვ. 013-014.

————— „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ ქართული რედაქციები

„თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ A-188 კრებულში წარმოდგენილი ტექსტი ეფუძნება სტეფანე სანანოაძის თარგმანს და, როგორც ტექსტის ანალიზი აჩვენებს, წარმოადგენს ამ თარგმანის გადამუშავებულ ვერსიას. ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც ამ ორ ტექსტს განასხვავებენ ერთმანეთისაგან, არც ერთ ბერძნულ რედაქციაში არ დასტურდება. ზოგიერთი პასაჟი შემოკლებული და გამარტივებულია:

[დავყვებით მუნ] ჟამნი რამდენნიმე ზამთრისაგან და ღელვათა შეწყუდეულთა (S-384, 297v).

ამ ფრაზის ნაცვლად A-188-ში წარმოდგენილ ტექსტში ვკითხულობთ: „დღენი მრავალნი“ (8v). ასევე გამარტივებულია და შემოკლებული ვრცელი მონაკვეთები §10, 11. იქნება შთაბეჭდილება, რომ საგანგებოდ უგულებელყოფილია პასაჟები გამორჩეული მშვენიერი მხატვრული სახეებით; მაგალითად, მთლიანად ამოღებულია შემდეგი ფრაზები:

წინააღმდგომი ქარი აღდგომილ იყო ჩუენდა და ზამთარსა აღსძრვიდა სიფიცხით ბერვითა ზღვსაჲთა (S-384, 297v).

ვითარცა რაჲ კიცჲ მშობელისა თვისსა თანა დამწყსად, ყოველთავე სახეთა მწედრობისა და სიმწნისათა მის თანა დასწავლად (S-384, 295v).

მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ასეთი ტენდენცია დამახასიათებელი მთელი ტექსტისათვის: რიგი პასაჟებისა სრულიად სხვა სურათს გვიჩვენებს. კერძოდ, სტეფანეს თარგმანთან შედარებით A-188-ის ტექსტში ზოგიერთი ფრაზა გავრცობილია და ემოციურადაც გაძლიერებულია:

მოვჰყუეთე ჴელი წმიდისაჲ მის (S-384, 300v).

ჰ ჩემდა, უბადრუკისა ამის, რამეთუ მოვჰყუეთე ჴელი იგი მისი წმიდაჲ და პატიოსანი (A-188, 11r).

დამატებულია სინონიმური სიტყვა: *ბოროტმან მან თავმან* (+და უკეთურმან A-188, 8r) და მისთ. ზოგჯერ დამატებული ლექსიკური ერთეული შინაარსობრივად არაფერს ცვლის, მაგრამ, ერთგვარად, აზრის დასრულებისა და რიტმული წონასწორობის აღდგენის ფუნქციას ასრულებს:

ვითარ-იგი თითოეული ჭალაკი – თითოსახეთა მწუანვილთა (+აღმოაცენებს A 188, 9r), (S-384, 298r).

შევძრწუნდი (+ფრიად A-188, 9v) და განვიცადე (S-384, 298v).

ყველგან, სადაც კი სტეფანეს თარგმანში ნათქვამია „წორცი ქრისტესი“, A-188-ში დამატებულია: „და სისხლი“.

განსახილველ ტექსტებს შორის აღინიშნება სინტაქსური და ფონეტიკური ხასიათის სხვაობებიც:

შეცვლილია სინტაქსური კონსტრუქციები ისე, რომ ტექსტის მნიშვნელობა და აზრი არ იცვლება; მაგალითად, ინფინიტურ კონსტრუქციას მასდარული ცვლის:

ვინებე მითხრობად – ვინებე მითხრობაჲ

მიბრძანა დაჯდომად – მიბრძანა დაჯდომა

გვხვდება სიტყვათა ფონეტიკური სახესხვაობები, რომელსაც სისტემური ხასიათი აქვს:

მიტუმნია – ბითუნია

ნანდკლვე – ნამდკლვე

მინდომად – მინთომად

ნებსით – ნეფსით და ა. შ.

ძალიან ხშირია ლექსიკური ერთეულების ცვლა სინონიმური სიტყვებით:

ვსდაგებდი – ვსწყევდი, ბარბაროზა – ბილნსა,

უხრწნელთა – ცხოველისმყოფელთა, საქმისა – ბუნებისა, კკროზა – ლომისა, ძაგებად – წყევად, თერმუზთა – ცერცუთა და ა. შ.

ყველაზე მნიშვნელოვანი რედაქციული სხვაობა ეხება § 23-ს, თხზულების დამამთავრებელ ნაწილს, და, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ბერძნული მეტაფრასული (M) რედაქცია მხოლოდ ამ ნაწილს წარმოადგენს გავრცობილად. სტეფანე სანანოესძის ტექსტის შესაბამისი მონაკვეთი კიდევ უფრო ვრცელია (თეოფილეს თარგმანი ამ შემთხვევაში მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ბერძნულ ტექსტთან). A-188 კრებულში წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც სტეფანეს თარგმანს ეყრდნობა, ამ ნაწილს კიდევ უფრო ავრცობს უფლისადმი მიძღვნილი ტრადიციული შესხმით, რაც განსხვავებული წყაროს არსებობაზე შეიძლება მიანიშნებდეს; მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ დანართი ეკუთვნოდეს უცნობ რედაქტორს:

სძლო ძუელსა მას გუელსა ბოროტსა შემუსრვად მისდა თავსა, რომელი-იგი მარადის უმზირის ბრჭალსა ყოველთასა, განძლიერებულმან მის მიერ, რომლისა ძალი უძლურებასა შინა სრულ იქმნების მსგავსადვე პავლეს სიტყვსა: ძლიერ იქმნა იგი ბრძოლასა შინა დიდებად და ქებად ქრისტესსა, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა (S-384, 302v).

სძლო ძუელსა მას გუელსა ბოროტსა და შემუსრა თავი იგი მისი წამლიანი, რომელიცა ლუანლთა მათ და იწროებათა ძნელთა მოთმინებითა წინა-აღუდგა მრავალსახეთა მათ მანქანებათა მისთა, რომლითა ჩუენთვის ჯუარცუმულსა მისდა მოწყალისა მეუფისაათა. დიდებაჲ მისსა მას უსაღვროსა მოწყალებასა, რომელი-იგი ჩუენთვის განაჩინა და ყოველივე სახე მოგუცა დათრგუნვად და ძლევად თავსა მას ბოროტთასა. დიდებაჲ გამოუკულებელსა მას მისსა სიტკბობებასა, რომელი მიითულავს სინანულსა ცოდვილთასა, რომელთაცა შეინანონ და გულისწმისყოფად მოვიდენ და თავნი თვსნი არა განსცნენ უწყალოესა მის მთავრისა მონებასა. დიდებაჲ მისსა მას მიუწდომელსა სახარებასა, რომელი თვთ მიმოვალს და ეძიებს ღირსთა მისთა, რომელთაცა მიაქციენ გულნი მისსა მიმართ, მადლი მისთა მათ ყოვლად განსაკრთომელთა სიმდაბლეთა უფსკრულსა, რომელმან ხატი მონისაჲ მიიღო, რაჲთა მონებისა მისგან მწარისა განმათავისუფლნეს. დიდებაჲ და ქებაჲ მისსა მას დიდებულსა განგებულებასა, რომლითა გუაცხოვნნა ჩუენ და გვზიარნა მამულსა მას დიდებასა თვსსა (A-188, 12v-13r).

————— „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ ქართული რედაქციები

ამგვარად, ქართულ მეტაფრასულ კრებულებში დასტურდება „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ სამი განსხვავებული რედაქცია, რომელთაგან არც ერთს არ მოეპოვება ბერძნული დედანი: ერთი ეკუთვნის თეოფილე ხუცესმონაზონს (Ath. 36), მეორე – სტეფანე სანანოისძეს (S-384), მესამე, რომელიც A-188 კრებულშია წარმოდგენილი, უცნობ რედაქტორს.

Lia Akhobadze

THE GEORGIAN REDACTIONS OF THE “LIFE OF THEOCTISTUS OF LESVOS”

SUMMARY

Two Georgian translations of the “Life of Theoctistus of Lesvos” are extant: those of Teophile the Hieromonk (Ath. 36, 4v-15v) and Stephane Sananoisdze (S-384, 295r-302v). In Greek, the work is available in two redactions – N and M (Acta Sanctorum, Novembris, IV, Bruxellis, 1925, 224-233). N is the primary, keimenic text, and M is a metaphrastic version, whose authorship is ascribed to Symeon Metaphrastes. A study of the interrelations of the Georgian translations and their relations with the above cited Greek texts has shown that the Georgian translations represent the redactions, differing from the Greek ones.

One more redaction of the “Life” is to be found in a 13th century collection A-188 which, like the other works of the collections, is of compilation character, largely relying on the translation of Stephane Sananoisdze.

ლელა შათირიშვილი

ბასილი ანკვირიელის თხზულების ქართული თარგმანის სავარაუდო გერძნული დედნის დადგენის ცდა

ძველ ქართულ თარგმანთა შორის გვხვდება ბასილი ანკვირიელის ასკეტიკური ნაწარმოები „ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათჳს“, რომლის მიმართ მნიშვნელოვან ინტერესს იჩენდნენ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. არსებობს ამ თხზულების რედაქციები და გამოცემები სხვადასხვა ენებზე. მაგალითად, ბერძნული ტექსტი XIV საუკუნეში უთარგმნიათ ლათინურად; XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში იცნობდნენ ტექსტის დაახლოებით ორმოცდათორმეტ ხელნაწერს (ბერძნულსა და ლათინურს), რომელთაგან შვიდი განეკუთვნება X საუკუნეს, ხოლო რვა – X-XI საუკუნეებს.¹ ლათინურ თარგმანს თითქმის ხუთასი წლით უსწრებს წინ სლავური ვერსია.² ათონის ქართულ სამწერლობო კერაში XI საუკუნეში გიორგი მთაწმიდელს შეუსრულებია ამ ტრაქტატის ქართული თარგმანი.

ბასილი ანკვირიელის თხზულების ბერძნული ტექსტის პირველი ბეჭდური გამოცემა 1535 წელს განეკუთვნება³, დაბეჭდილია ვენეციაში. ამ გამოცემას საფუძვლად დაედო პარიზული ხელნაწერის ფ. 969-ის ტექსტი, რომელსაც აღნიშნავენ ლიტერით 28⁴. გამოცემა ხელახლა გამოიყენეს მავრისტებმა, შეიტანეს დიდ გამოცემაში (Garnier et Maran, Paris), რომელიც პარიზში განხორციელდა XVIII საუკუნეში⁵.

ტრაქტატის ბერძნული ხელნაწერი ნუსხები ორ დიდ ჯგუფად იყოფა. ეგენია: I – T ჯგუფისა და II – A ჯგუფისა. A ჯგუფი მოიცავს რვა ხელნაწერს,

¹ F. J. Leroy, *La tradition manuscrite du "De virginitate" de Basile d'Ancyre*, *Orientalia Christiana Periodica*, 38, Roma, 1972, p. 196.

² A. Vaillant. *De Virginitate de Saint Basile*, Institut d'Études Slaves, Paris, 1943, p. I-VIII.

³ F. J. Leroy, *La tradition manuscrite*, p. 196.

⁴ *Ibid.*, p. 202-203.

⁵ *Ibid.*, p. 201.

რომელთაგან სამი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. იგივე ვითარებაა T ჯგუფის ხელნაწერთა შორისაც. ეს ჯგუფი კიდევ ორ ნაწილად იყოფა. I ნაწილში შედის ოცდასამი ნუსხა, რომელიც უფრო უნიფიცირებული ჩანს, ვიდრე II ჯგუფი, რომელიც შეიცავს ძალიან ნაკლებ იტალიურ-ბერძნული წარმომავლობის ხელნაწერს და ტრანსლიტერაციის ერთ დამოუკიდებელ ცალს – P. ტექსტის ბერძნულ ნუსხებს შორის მიმართება შესწავლილი აქვს ფრანგ მეცნიერს ფ. ლეროუს, რომელიც ჩატარებული შრომის საფუძველზე იძლევა საინტერესო დასკვნებს. კერძოდ, თვალსაჩინო ხდება, რომ არსებობს განსხვავებანი ხელნაწერებს შორის და ბეჭდურ ტექსტსა და A და T ჯგუფების ნუსხებს შორის. გარდა ამისა, მკვლევარისათვის ცხადია რა უდიდესი მნიშვნელობა პარიზული ხელნაწერის ფ. 969-ისა, ითვალისწინებს მასაც და უთითებს ლიტერით 28⁶.

ამ მონაცემთა საფუძველზე ჩვენთვის საინტერესოა იმის გარკვევა, რომელი რედაქციის ტექსტს იყენებდა სათარგმნელად გიორგი ათონელი; ხომ არ იყო ქართველი მთარგმნელის ხელთ არსებული დედანი რედაქციულად მსგავსი ან რამდენადმე განსხვავებული მოღწეულ ბერძნულ ტექსტებთან შედარებით? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო გახდა ყველა განსხვავების წარმოჩენა, რომელიც დაიძებნა ქართულ თარგმანსა და PG 30-ში გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტს შორის. შედარებამ გამოავლინა, რომ ზოგიერთი ცვლილება, რომლებსაც იძლევა ბერძნული ნუსხები ბერძნული ტექსტისაგან, ანუ ბეჭდური გამოცემისაგან განსხვავებით, მოცემულია ქართულ თარგმანშიც. ამისი მიზეზი უნდა იყოს ის ბერძნული დედანი, რომლითაც სარგებლობდა მთარგმნელი გიორგი ათონელი. მაგალითად:

1) τῶν ἀρετῶν ἑπιστήρα (PG 30, col. 672 A 9, cf. n. 35: φῦσεω).

ბუნებობისა მათისაჲ გულისხმა-გიყავ შენ (1, 3).

არსებული სხვაობა, სადაც τῶν ἀρετῶν ფორმის ნაცვლად გამოყენებულია ნაკითხვა φῦσεω, ყოფილა editio Veneta-ში, რასაც მხარს უჭერს კიდევ ხუთი ხელნაწერი. შენიშვნაში მითითებულია, რომ φῦσεω არასწორი ნაკითხვაა. ამ მცდარ ნაკითხვას მიჰყვება ქართული თარგმანი.

2) τῆς εἰσοῦτης εἰσοίας (PG 30 col. 672 B 3. cf. n.37: εἰσοίας] διάνοια, εἰσοίας).

გონიერთა გულს მოდგინებთა (1, 4).

ქართული გულს მოდგინებთა უფრო შეეფერება ერთ-ერთი ხელნაწერის ფორმას – διάνοια-ს და კარდინალ მაზარინის ნუსხის εἰσοίας-ს, და არა εἰσοίας-ს, რაც ნიშნავს – *კეთილგანწყობას*.

3) Παρθείαν δι' ἑκείνη (PG 30 col. 672 C 9. cf. n. 41: Παρθείαν, om. δι' ἑκείνη).

ქალწულება მისთვის და კუალად თვთ (2, 6).

ამ ადგილას ბერძნულში არის მხოლოდ Παρθείαν,

⁶ F. J. Leroy, *La tradition manuscrite*, p. 202.

4) τὴν δύναμιν εἰλεφός (PG 30 col. 676 B 11. cf. n. 56: τὴν δύναμιν] ἰδού).
გულისთქუმაჲ მიულებიეს (3, 20).

ბექედურ გამოცემაში უპირატესობა ენიჭება ფორმას δύναμιν - *ძალა*, ზოგიერთ ნუსხაში კი ყოფილა ἰδού - *გულისთქუმა*, რასაც მისდევს ქართული.

5) ἄσπερ δὲ τινῶν θηράτρων τοῦτ' ἔμπεσόντας ἀγρεύει πάντας (PG 30 col. 680 B 10-11. cf. n. 71: τινῶν θηράτρων add. ὄπλων).

ვითარცა სანადიროჲთა რაჲთმე გრძნობითა მათითა აღიჭურვის და გარეშეიცვის და შთავრდომილსა მას მოინადირებს (5, 7).

ბერძნულში დაბეჭდილი ტექსტი ამ წაკითხვას არ იძლევა, სამაგიეროდ ყოფილა ნუსხა, სადაც გვხვდება სიტყვა ὄπλων - *აღჭურვილობა, იარაღი*. ამ წაკითხვას უჭერს მხარს ქართული (მდრ. აღიჭურვის).

6) ἰδούνας πολυμῶρφας βλαστάνει (PG 30 col. 681 C 3. cf. n. 81: πολυμῶρφας] πολυμῶρφους).

მრავალსახეთა გულისთქუმათა აღმოაცენებს (6, 5).

πολυμῶρφας - სიტყვასიტყვით ნიშნავს *მრავალსახოვნად*, არის ზმნიზედა, ქართულში კი თარგმნილია, როგორც ზედსართავი სახელი. ის ფაქტი, რომ თარგმანში გვაქვს *მრავალსახეთა*, შეიძლება ეთანხმებოდეს ერთ-ერთ ბერძნულ ნუსხას, სადაც არის ფორმა πολυμῶρφους - ზედსართავი სახელი.

7) σθειραρὸν (PG 30 col. 685 B 3. cf. n. 95: σθειραρὸν τὸ σῶμα) - *წორცთა ძალი* (8, 8).

ერთ-ერთ ხელნაწერში ყოფილა σθειραρὸν τὸ σῶμα - *ძლიერი სხეული*, რასაც ეთანხმება ქართული თარგმანიც.

8) Ἐσθὴ γάρ, φεσί (PG 30 col. 696 A 12. cf. n. 25: Ἐσθὴ] ἔστί).

და იყოს მიერთვან, მსგავსად თქუმულისა (13, 5).

ნაბეჭდ ტექსტშია ἔσθὴ *იყავ*, ქართულში არის ფორმა *იყოს* - ἔστί. ასე ყოფილა პარიზულ გამოცემაში. მას მიჰყვება ქართული თარგმანიც.

9) τῆς ἀλεθῶς παρθένου (PG 30 col. 704 B 1. cf. n. 55 τῆς ἀλεθῶς παρθένιας)

ჭეშმარიტისა ქალწულებისასა (16, 1).

ბექედურ გამოცემაში, როგორც ვხედავთ, არის τῆς ἀλεθῶς παρθένου, ხუთ ნუსხაში კი ყოფილა τῆς ἀλεθῶς παρθένιας *ჭეშმარიტი ქალწულება*, რასაც მხარს უჭერს ქართული.

10) Ἵσπε καὶ κατὰ φύσιν πρὸς οὖς εὐκαίρως λαλεῖ ἢ παρθένος (PG 30 col. 712 B 9-10. cf. n. 82: κατὰ φύσιν] ἢ φασὴ, εἰ φανεῖ)

და ეგრეთვე ჳმაჲცა ქალწულისაჲ კრძალულმცა არს და პატიოსან (20, 13).

κατὰ φύσιν PG-ს პუბლიკაციასთან ერთად დასტურდება პარიზულ გამოცემაშიც, მაგრამ ერთ-ერთ ხელნაწერში ყოფილა იკითხვისი εἰ φανεῖ, ხოლო ოთხ დანარჩენსა და ვენეციურში - ἢ φασὴ. გამოცემისას უპირატესობა მიენიჭა κατὰ φύσιν ფორმას, მაგრამ ქართველ მთარგმნელს უნდა ჰქონოდა ტექსტის ისეთი პირი, რომელშიც დასტურდებოდა ფორმა ἢ φασὴ - ჳმაჲ.

11) Συσέφερε γὰρ ἔκεινα τῶ ἀμθιρῶα (τολμᾶ εἰπεῖν) (PG 30 col. 752 B 8-9. cf. n. 63: εἰπεῖν add. εἰ μὴ ἔγγυσιθι).

უმჯობეს იყო კაცისა მის, (ვიკადრო და ვთქუა), უკუეთუმცა არა შობილ იყო...» (41, 8).

ნაკითხვა εἰ μὴ ἔγγυσιθι „უკუეთუმცა არა შობილ იყო“ არის მხოლოდ პარიზულ გამოცემაში. მას არც ვენეციური და არც სხვა რომელიმე ძველი ნიგნი – ხელნაწერი და ნაბეჭდი, მხარს არ უჭერს. ქართულ თარგმანში კი სწორედ ეს ფრაზა დასტურდება.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედგინა თითქმის ყველა ის სხვაობა, რომელიც ქართული და ბერძნული ტექსტების შედარებამ მოგვცა. სხვაობები არც თუ ბევრია. სავარაუდოდ, გიორგი ათონელის ხელში უნდა ყოფილიყო საკმაოდ კარგად გამართული ბერძნული პირი.

ძნელია იმის თქმა, კონკრეტულად რომელ ტექსტს იყენებდა სათარგმნელად გიორგი ათონელი, მაგრამ ნათელია, რომ მის ხელთ არსებული პირი უნდა ყოფილიყო ბერძნული A T 28 ჯგუფის ნუსხა.

Lela Shatirishvili

AN ATTEMPT TO DETERMINE THE CONJECTURAL GREEK ORIGINAL OF THE GEORGIAN TRANSLATION OF THE TREATISE OF BASIL OF ANCYRA

SUMMARY

A study of the difference existing between the manuscripts of the Greek recensions (A T 28) of one of the treatise of Basil of Ancyra with a view to determine the conjectural Greek original has shown that the Greek manuscript in Giorgi the Athonite's possession did not belong to the text of different recension. It must have been some manuscript of the A T 28 group – a fairly good copy.

რუსუდან გვარამია

ზოგი რამ ქრისტიანული არაბულიდან ქართულად თარგმნილი კავლების შესახებ

ძველ ქართველ მწიგნობართა კონტაქტები უცხოენოვან ხალხთა ლიტერატურასთან, განპირობებული ისტორიული ვითარებითა და ინტერესებით, ბუნებრივია, ამდიდრებდა ძველ ქართულ მწერლობას – სასულიეროსა თუ საეროს. იგი, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მისი განვითარების გეზს და ხელს უწყობდა ქართულ მწერლობას, ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. მაგრამ ამ კონტაქტების მნიშვნელობა არ იყო ცალსახა ხასიათის და მხოლოდ აღნიშნულით არ განისაზღვრებოდა. შუა საუკუნეებში ქართულიდანაც ითარგმნებოდა სხვა ენებზე თხზულებები, თუმც, როგორც ჩანს, არცთუ ისე დიდი ოდენობით. ამჟამად, გაღრმავებული სამეცნიერო კვლევის ეპოქაში, არაერთი დღეისათვის დაკარგული უცხოენოვანი თხზულების წარსულში არსებობის ფაქტი მათი ქართული თარგმანების მეშვეობით ხდება ცნობილი. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება აგრეთვე შესაბამისი დედნების სრული ან არქაული სახის აღდგენა, ავტორის ვინაობისა თუ სხვა საკითხების გარკვევა და დაზუსტება. ამ მხრივ ქართულ თარგმანებს, სომხურიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების ილ. აბულაძისეული შეფასება რომ განვაზოგადოთ, „უაღრესი მნიშვნელობა ენიჭებათ.“¹ ეს ითქმის სომხურიდან, სპარსულიდან და ძირითადად, ალბათ, მაინც ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ ძეგლებზე. ამჟამად, ჩვენი აზრით, მათ რიგებში შეიძლება ჩადგეს არაბულიდან ქართულად თარგმნილი რამდენიმე ჰაგიოგრაფიული ძეგლიც. შევეცდებით წარმოვაჩინოთ ამ ძეგლებთან დაკავშირებით არსებული ვითარება.

1. ხატომბრძოლობის ეპოქას განეკუთვნება „რომანოზ ახალი მონამის მარტვილობა“. რომანოზი ბიზანტიელი ბერი იყო, რომელიც სარკინოზებმა ბაღდადის ციხეში დაატყვევეს, შემდეგ კი ქალაქ რაკაში სიკვდილით დასაჯეს. ეს ხდებოდა ხალიფების – მანსურის (755-775) და მისი შვილის, მაჰდის (775-785) მმართველობის პერიოდში, რომლებიც ქართულ ტექსტში „ამირამუმნად“ იხსენიებიან, ანუ არაბული „ამირუ-ლ-მუ’მინინას“ – „მართლმორწმუნე ხალიფას“ ქართული ვარიანტით. როგორც ვხედავთ, მოვლენათა განვითარების არეალი არაბული სამყაროა, მაგრამ თხზულების არაბული ვერსია ამჟამად არ არსებობს. არ ჩანს იგი ბერძნულ

¹ ილ. აბულაძე, *ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში*, გამოკვლევა და ტექსტები, თბილისი, 1944, გვ. 072.

—— ქრისტიანული არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების შესახებ

ჰაგიოგრაფიაშიც. მოღწეულია მხოლოდ ქართული ვერსია, რომლის შესწავლის შედეგად პ. პეტერსმა დაადგინა მისი არაბული წამომავლობა. „ეჭვს გარეშეა, – წერდა იგი, – რომ ქართული ვერსია არაბული ორიგინალიდან მომდინარეობს.“²

ამდენად გამოდის, რომ დასახელებული თხზულების დღეისათვის დაკარგული არაბული ვერსიის წარსულში არსებობა ქართული ვერსიის მიხედვით ხდება ცნობილი. თხზულების ავტორის სახელიც ქართული ტექსტის სათაურშია აღნიშნული: „აღწერა ნეტარმან სტეფანე დამასკელმან, რომელი იყო ერთი მამათაგანი ლავრისა წმიდისა ჩუენისა საბაჲსა.“³

2. თითქმის იგივე ვითარებაა სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებასთან დაკავშირებითაც. ეს თხზულებაა „ოცი საბანმიდელი ბერის მარტვილობა“. ბერები 797 წელს ეწამნენ სარკინოზთაგან. მოღწეულია ამ თხზულების ქართული და ბერძნული ვერსიები. შესაბამისი არაბული ვერსია არ ჩანს. რ. პ. ბლეიკმა სპეციალური სტატია უძღვნა მოღწეულ ვერსიებს, ძირითადად, ქართულს და ქართული ტექსტიდან ის ადგილები გამოაქვეყნა, რომლებსაც ლაკუნებიანი ბერძნული ტექსტი არ შეიცავს.⁴ ქართული და ბერძნული ვერსიების შედარების საფუძველზე მან საკვებით დამაჯერებლად მიიჩნია ქართული ვერსიის არაბულიდან მომდინარეობა და სათანადო მაგალითებიც მოიყვანა.⁵ ასე რომ, ამ შემთხვევაშიც ქართული ვერსია მანიშნებელი ხდება წარსულში ძეგლის არაბული ვერსიის არსებობისა.

ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება „რომანოზ ახალი მოწამის მარტვილობის“ და „საბანმიდელი ბერების წამების“ ქართული ვერსიების არაბული წამომავლობის შესახებ. ამასთანავე, მიჩნეულია, რომ ამ ქართულ ვერსიათა დედნები არაბულ ორიგინალურ ნაწარმოებებს წარმოადგენს და „საბანმიდელი ბერების წამების“ ბერძნული ვერსიაც არაბულიდან არის თარგმნილი.⁶ დასახელებული თხზულებები სხვა ორიოდ თხზულებასთან ერთად ქმნის არაბული ჰაგიოგრაფიული თხზულებების იმ მცირე ჯგუფს, რომლებშიც ხალიფატში წამებული წმინდანების „ცხოვრებებია“ ასახული⁷ და რომელთა შექმნას აღმოსავლური საპატრიარქოების ბიზანტიისაგან მოწვევტას უკავშირებენ.⁸

² P. Peeters, *S. Romain le néomartyr († mai 780) d'après document géorgien*, Analecta Bollandiana, LXVIII, 1950, p. 403.

³ კ. კეკელიძე, *უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში*, ეტიუდები, V, თბილისი, 1957, გვ. 111.

⁴ R. P. Blake, *Deux lacunes comblées dans la Passion XX monachorum sabaitarum*, Analecta Bollandiana, LXVIII 1950, p. 27-43.

⁵ Ibid., გვ. 28.

⁶ Sidney H. Griffith, *The Monks of Palestine and the Growth of Christian Literature in Arabic*, Arabic Christianity in the Monasteries of Ninth-Century Palestine (Variorum, 1992), III, p. 15, 17.

⁷ Sidney H. Griffith, *The Arabic Account of 'Abd al-Masīḥ an-Naḡrānī al-Gassānī*, Arabic Christianity in the Monasteries of Ninth-Century Palestine, X, p. 332.

⁸ Sidney H. Griffith, *Greek into Arabic: Life and Letters in the Monasteries of Palestine in the 9th Century*, Arabic Christianity in the Monasteries of Ninth-Century Palestine, VIII, p. 125.

„საბანმიდელი ბერების წამება“ სხვა მხრივაც არის საყურადღებო. მასში, მსგავსად „რომანოზ ახალი მონამის მარტვილობის“ ქართული ვერსიისა, დასახელებულია ავტორი, რომლის შესახებაც ბერძნულ ტექსტში არაფერია თქმული. აქაც ტექსტის სათაურში ვკითხულობთ: „აღწერა ამბა სტეფანე მანსურის ძემან დამასკელმან საბანმიდას“ (A-95, 408v). რაც შეეხება ავტორის ვინაობის დაკონკრეტებას, ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ VIII-IX საუკუნეებში საბას ლავრაში რამდენიმე სტეფანე ჩანს: სტეფანე დამასკელი – ავტორი „რომანოზ ახალი მონამის მარტვილობისა,“ სტეფანე მანსურის ძე დამასკელი – ავტორი „საბანმიდელი ბერების წამებისა,“ რომლებიც კ. კეკელიძემ ერთსა და იმავე პიროვნებად მიიჩნია,⁹ აგრეთვე, სტეფანე ჰიმნოგრაფი და საკვირველმოქმედად წოდებული სტეფანე, რომელიც ქართულ ხელნაწერებში შემდეგ კონტექსტშია ხოლმე მოხსენიებული – „სტეფანე, რომელი ზღუასა ვიდოდა.“¹⁰ ამ უკანასკნელის ცხოვრება აღწერა მისმა მონაფე ლეონტიმ. ქართულად მისი „ცხოვრების“ ნაწილია შემორჩენილი, რომელიც, როგორც უ. გარიტმა გაარკვია, უთუოდ არაბულიდან არის თარგმნილი და რომელსაც იგი Doctrina Stephani-ს უწოდებს.¹¹ აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა ამ სტეფანეთა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. საბოლოოდ ამ საკითხში სიცხადე შეიტანეს რ. პ. ბლეიკმა და უ. გარიტმა. მათი დასკვნები დაემთხვა კ. კეკელიძის აღნიშნულ მოსაზრებას დასახელებული ჰაგიოგრაფიული თხზულებების ავტორთა იდენტიფიკაციის შესახებ. ამასთანავე გაიკვავა, რომ ერთი და იგივე პიროვნებაა სტეფანე ჰაგიოგრაფი და სტეფანე ჰიმნოგრაფი, და რომ ეს პიროვნება გარკვეულ ნათესაურ კავშირშია იოანე დამასკელთან. „ოღონდ არ შეიძლება ვთქვა, თუ რა ხასიათის ნათესაობა იყო მათ შორის“ – წერდა რ. პ. ბლეიკი.¹² ამისთვის დაბრკოლებას ქმნიდა ბერძნულ სვინაქსარებში ნახმარი ამ კავშირის აღმნიშვნელი არაცალსახა მნიშვნელობის სიტყვა – *ანექსიოს*, ეკვივალენტი რუსული *племянник*-ისა.¹³ გაიკვავა აგრეთვე, რომ სხვა პიროვნებაა სტეფანე საკვირველმოქმედი, „რომელი ზღუასა ვიდოდა“, და მას არავითარი კავშირი არა აქვს არც იოანე დამასკელთან და არც საერთოდ დამასკოსთან. იგი წარმოშობით ასკალონის რეგიონიდან იყო და გარდაიცვალა 794 წელს, ე. ი. სამი წლით ადრე საბას ლავრის აღწერილ დარბევამდე.¹⁴

აღნიშნული დასკვნების მართებულობას სავსებით ადასტურებს ქართული ლიტურგიკული კრებულების მონაცემები, როგორც ეს გაარკვია ლ. ხევსურიან-

⁹ კ. კეკელიძე თავის შრომაში „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ სტეფანე მანსურის ძე დამასკელის თხზულებებზე დასახელებს ორივე „მარტვილობას“, იხ. ეტიუდები, V, გვ. 111.

¹⁰ იქვე.

¹¹ G. Garitte, *Le début de la Vie de S. Étienne le Sabaïte retrouvé en arabe au Sinai*, Analecta Bollandiana, LXXVII (1955), p. 341.

¹² R. P. Blake, *Deux lacunes comblées dans la Passion XX monachorum sabaitarum*, p. 41.

¹³ G. Garitte, *Le début de la Vie de S. Étienne le Sabaïte retrouvé en arabe au Sinai*, p. 333.

¹⁴ Ibid., p. 341-342. R. P. Blake, *Deux lacunes comblées dans la Passion XX monachorum sabaitarum*, p. 41.

—— ქრისტიანული არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების შესახებ

მა თავის შრომაში: „სტეფანე საბანმიდელის უცნობი საგალობლები ქართულ მარხვანებში.“¹⁵

ამ მონაცემების მიხედვით ცალკე იმიჯნება სტეფანე საკვირველმოქმედი და აშკარა ხდება სტეფანე ჰაგიოგრაფისა და სტეფანე ჰიმნოგრაფის იდენტურობა. ზუსტდება ამ უკანასკნელის იოანე დამასკელთან ნათესაობის ხასიათი. ირკვევა, რომ იგი იოანე დამასკელის დისწული იყო. მაგალითად, მარხვანის შემცველ ხელნაწერში – Sin. 5-ში აღნიშნულია: „დასდებელნი ნმიდათა მარხვათანი კვრიაკეთა, თქუმულნი არიან ელია პატრიარქისა იერუსალჴმისანი, ... სხუანი თქუმულნი ნმიდისა სტეფანე მონაზონისა საბანმიდელისა, იოანე დამასკელის დისწულისანი“ (28v).¹⁶ ასეთ ცნობას სხვა ქართულ ხელნაწერებშიც ვხვდებით. ასე რომ, „რომანოზ ახალი მონამის მარტვილობისა“ და „საბანმიდელი ბერების წამების“ ქართული ვერსიებისა და სხვა ქართული მასალის ჩვენებათა მიხედვით ვლინდება დასახელებულ ძეგლთა არაბული ორიგინალების არსებობა და კონკრეტდება მათი ავტორის ვინაობა.

3. დასახელებულ თხზულებათა ქართული ვერსიების მსგავსად საინტერესო აღმოჩნდა ნიკოდიმოსის აპოკრიპული სახარების „განძთა ქვაბის“ ქართული ვერსია. განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა ამ ვერსიის წარმომავლობასთან დაკავშირებით. მას სომხურიდან და, კიდევ უფრო მეტად, ბერძნულიდან თარგმნილ ძეგლად მიიჩნევდნენ.¹⁷ საბოლოოდ ვითარება სხვაგვარად წარმოჩნდა. „განძთა ქვაბის“ ქართული ვერსიის ფრანგულად მთარგმნელმა, ჟან-პიერ მაიემ, არ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრებები და მისი წარმომავლობა არაბულ წყაროს დაუკავშირა. ამის საფუძველი მას მისცა ქართული ვერსიის ჩაღრმავებულმა შესწავლამ, სირიულ და არაბულ ვერსიებთან მისი მიმართების გარკვევამ და მასში ნიშანდობლივი არაბიზმების გამოვლენამ.¹⁸ ცხადი გახდა, რომ სრული საფუძველი არსებობს იმის დასაშვებად რომ ქართული ვერსია მომდინარეობს სირიულიდან თარგმნილი და დღეისათვის დაკარგული არაბული ვერსიიდან, რომელიც უფრო ახლოს იყო სირიულ ორიგინალთან, ვიდრე ამჟამად ცნობილი და გამოქვეყნებული არაბული ვერსია.¹⁹ ე. ი. იგი წარმოადგენდა შუალედურ თარგმანს სირიულ ორიგინალსა და ქართულ ვერსიას შორის, რაზედაც წარმოდგენას ქართული ვერსიის ჩვენებები გვიქმნის.

4. გვინდა შევხვთ, აგრეთვე, ამონიოსის „სინა-რაჰთის მამათა მოსრვის“ ქართულ ვერსიას, რომელიც ხანგრძლივი მთარგმნელობითი პროცესის შედეგია.

¹⁵ ნაშრომი, სამწუხაროდ, გამოუქვეყნებელია.

¹⁶ *ქართულ ხელნაერთა აღწერილობა, სინური კოლექცია*, II ნაკვეთი. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს ც. ჭანკიევამ და ლ. ჯღამაიამ, თბილისი, 1979.

¹⁷ ამის შესახებ იხ. *ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია*; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ, თბილისი, 1985, გვ. 18-31.

¹⁸ *La caverne des trésors, version géorgienne*, traduite par Jean-Pierre Mahé, CSCO, vol. 24 (1992), p. XXII-XXVI და სხვ.

¹⁹ იქვე, გვ. XXVI.

ძეგლი თავდაპირველად შეიქმნა კოპტურ ენაზე. კოპტურიდან იგი ითარგმნა ბერძნულად, ბერძნულიდან არაბულად და არაბულიდან, როგორც გაირკვა, ქართულად.²⁰ ბერძნულიდან არაბულად თხზულება ითარგმნა ორჯერ, რასაც არაბული ხელნაწერების შესწავლა ცხადყოფს. ნაწილი არაბული ხელნაწერებისა შეიცავს ადრეულ, კოლოფონის თანახმად, 772 წ. თარგმნილ ტექსტს, ნაწილი კი – უფრო გვიანდელს, შესაძლოა, XIII საუკუნისას. ასე რომ, არაბულად არსებობს ამონიოსის თხზულების ორი ვერსია – ადრეული და გვიანდელი. ადრეული, 772 წლის ვერსია წარმოდგენილია ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ IX-X საუკუნეების ხელნაწერებში – Brit. Mus. or. 5019 და ორ სინურ ნუსხაში, რომელთაგან ერთი IX-X საუკუნეებიდან დათარიღებული – Sin. ar. 542, მეორე კი XIII საუკუნით – (Sin. ar. 557). გვიანდელი ვერსიის უადრესი ხელნაწერები XIII საუკუნისაა – Sin. ar. 400 და Sin. ar. 401, ერთი კი – Sin. ar. 423 გადანერვილია 1643 წელს. აღნიშნული ვერსიები სხვაობენ ერთმანეთისაგან ბერძნულ ტექსტთან მიმართების თვალსაზრისით. გვიანდელი ვერსია ზუსტად მიჰყვება ბერძნულს, ადრეული კი რამდენადმე სხვაობს მისგან – იგი უფრო თავისუფალი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქართული ვერსია წარმოდგენილია უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერში, 864 წლის სინურ მრავალთავში – Sin. georg. 32-57-33, რომელიც ფაქტობრივად ყველა დასახელებულ არაბულ ხელნაწერზე უფრო ადრეულია. ქართული ვერსია X საუკუნის ათონურ ნუსხაშიც გვხვდება – Ath. 57. ქართული, ბერძნული და არაბული ვერსიების შეპირისპირებითა შესწავლამ აშკარა გახადა, რომ ქართული ვერსია ადრეული არაბული ვერსიიდან მომდინარეობს და თითქმის ისევე განსხვავდება ბერძნული ტექსტისაგან, როგორც ადრეული არაბული ვერსია. კ. კეკელიძეს ქართული ვერსია ბერძნულიდან თარგმნილ ძეგლად მიაჩნდა, ოღონდ, ამასთანავე აღნიშნავდა, რომ „ამონიოსის თხზულება ქართველ მთარგმნელს ცოტად გადაუკეთებიაო“.²¹ მაგრამ, როგორც ირკვევა, ამონიოსის თხზულება ცოტად გადაუკეთებია არა ქართველ, არამედ არაბ მთარგმნელს. ქართველ მთარგმნელს კი თავის ენაზე გადმოუტანია ეს ცოტად გადაკეთებული ტექსტი. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოდ გვეჩვენება ერთი დეტალი.

ადრეული არაბული ვერსიის ხელნაწერთაგან ტექსტობრივი თვალსაზრისით ქართული ვერსია ყველაზე ახლოს დგება ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერთან – Brit. Mus. or. 5019. მსგავსება იმდენად დიდია, რომ ადრე ჩვენ შემდეგი ხასიათის შენიშვნაც კი გავაკეთეთ: „ბრიტანეთის მუზეუმის X-XI საუკუნეების ნუსხასა და 864 წლის სინურ მრავალთავს შორის ქრონოლოგიური ბარიერი რომ არ ყოფილიყო, ეს არაბული ნუსხა ქართული ვერსიის *textus receptus*-ად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა“.²² ამის საილუსტრაციოდ არაბულ ტექსტებთან ერთად გამოცემული

²⁰ ამ და სხვა საკითხების შესახებ იხ. ამონიოსის „სინა-რაჰთის წმ. მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები, IX-X, XIII და XVII სს. ხელნაწერების მიხედვით ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რ. გვარამიამ, თბილისი, 1973, გვ. 011.

²¹ კ. კეკელიძე, *კიმენი*, I, ტფილისი, 1918, გვ. XI.

²² ამონიოსის „სინა-რაჰთის წმ. მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები IX-X, XIII და XVII სს. ხელნაწერების მიხედვით, გვ. 058.

—— ქრისტიანული არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების შესახებ

ქართული ტექსტიც ხელმეორედ გამოვაქვეყნეთ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ლოგიკურად გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი Brit. Mus. orio 5019 ყველაზე ახლოსაა იმ არაბულ დედანთან, საიდანაც ითარგმნა ქართული ვერსია და, ამდენად, არაბული ვერსიის არქაული სახეც ყველაზე მეტად ამ ხელნაწერშია საძიებელი.

ჩვენ მიერ აქ დაფიქსირებული რამდენიმე ფაქტის საფუძველზეც, ვფიქრობთ, გარკვეულწილად მაინც იკვეთება არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების მნიშვნელობა ქრისტიანული არაბული მწერლობის ცალკეული საკითხების შესწავლისათვის. სავარაუდოა, რომ მომავალში ასეთი ფაქტების რიცხვი გაიზრდება. ძველი ქართული და ქრისტიანული არაბული ლიტერატურული ურთიერთობები კვლავაც საკვლევი პრობლემაა.

Rusudan Gvaramia

SOMETHING ABOUT GEORGIAN LITERARY MONUMENTS TRANSLATED FROM CHRISTIAN ARABIC

SUMMARY

Research into Old Georgian and Christian-Arabic literary contacts and identification of Georgian translations done from the Arabic are valuable for the study of the history of Old Georgian literature. However, to a certain extent, they also help to clarify and specify some questions of Christian-Arabic literature. This may be illustrated by the Georgian versions of some hagiographic monuments: *Vita of St. Romanos the Neomartur*, *The Martyrdom of Twenty Monks from the Monastery of St. Sabas*, *The Massacre of the St. Fathers in Sinai and Raif* and apocryphal monument *The Cave of Treasure*.

The Arabic provenance of the Georgian versions of *Vita of St. Romanos the Neomartur* and *The Martyrdom of Twenty Monks from the Monastery of St. Sabas* has been established (R. P. Blake, P. Peeters). Nowadays, The Arabic originals of these writings are lost. Alongside the data supplied by Georgian liturgical manuscripts, the Georgian versions help to identify the authors of these works. In both cases the author is one and the same person: monk of the St. Sabas monastery Stephanus Damascenus, son of John Damascene's sister. As it appeared, the Georgian version of *The Cave of Treasure* must also be translated from the Arabic version, which is now lost (Jean-Pierre Mahé).

The story by monk Ammonius, *The Massacre of the St. Fathers in Sinai and Raif* was also translated into Georgian (R.V. Gvaramia). A comparative analysis of the manuscripts of the Georgian and Arabic versions of the cited work points to a particular textological closeness of the 10th-11th century Arabic manuscript - Brit. Mus. or. 5019 and the Georgian manuscript - Sin. Georg. 32-57-33 (a. 864), which is the earliest manuscript among the extant Georgian-Arabic manuscripts. Taking into account the closeness of the above mentioned manuscripts, it might be concluded that a more archaic text of the Arabic version of Ammonius' writing is to be found in manuscript Brit. Mus.or. 5019.

ანა ხარანაული

„ანას ბალოზის“ ქართული ტექსტი, მისი ბერძნული წყაროები და ქართული ბიბლიის თარგმანის ისტორიის პრობლემები¹

წმ. წერილის ქართულ თარგმანთან დაკავშირებით არაერთ საკვლევ თემას შორის ერთ-ერთი და უმთავრესი არის ბიბლიის თარგმანის ისტორია, კერძოდ კი იმის შესწავლა, თუ რა თანმიმდევრობით ხდებოდა ძველი აღთქმის წიგნთა ქართულად გადმოტანა და რა გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე სხვადასხვა წიგნების თარგმანები რედაქტირების თუ რეცენზირების პროცესში. ამ თემის შესწავლა ძირითადად ორ სფეროზე უნდა განაწილდეს, ესენია (1) ლექსიკა, რაც გულისხმობს დაკვირვებას ცალკეული ახალი ცნების ამსახველი ლექსიკური ერთეულების შექმნასა და დამკვიდრებაზე, ე. ი. ახალი მსოფლმხედველობის შესაბამისი ლექსიკონის შექმნაზე და (2) პარალელური ადგილების ტექსტოლოგიური შესწავლა. უკანასკნელი თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა კვლევა *გალობების* ტექსტისა, რომელიც ძველი და ახალი აღთქმის სხვადასხვა წიგნიდან არის ამოღებული და *ფსალმუნების* კანონშია ჩართული.² მითუმეტეს

¹ სტატია მომზადდა Helsinki Collegium for Advanced Studies-ის მხარდაჭერით ჰელსინკის უნივერსიტეტში მუშაობის დროს გეტინგენისა და ფინეთის აკადემიების ერთობლივ პროექტზე – „სეპტუაგინტას ტექსტუალური კრიტიციზმი“. გამოუქვეყნებელი მასალის გამოყენების უფლებისათვის მადლობელი ვარ *1. მეფეთას* სეპტუაგინტას გამოცემლის – ა. ემელეუსისა (Septuaginta. Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis). ამასთან, ეს მასალა საბოლოო სახით არაა წარმოდგენილი და მის სიზუსტეზე გამოცემელი პასუხს არ აგებს. უღრმეს მადლობას მოვასხენებ აგრეთვე უ. ცინდელიანს, რომელმაც ნება დამართო მესარგებლა მის მიერ გადანერილი ქართული *1 მეფეთას* ტექსტით, რომელსაც სეპტუაგინტას გამოცემისათვის ვადარებდი ბერძნულ წყაროებს. ფსალმუნთა გალობის ტექსტი მომყავს მზექალა შანიძესული გამოცემის მიხედვით: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, I. ტექსტი, 1960.

² ეს ტექსტებია (რაოდენობა და მიმდევრობა დასახელებულია შესაბამისად ტრადიციისა, რომელიც X ს.-ში უკვე დასტურდება და დღესაც მიღებულია): Exod. 15.1-19, Deut. 32.1-45, 1. Reg. 2.1-10, Hab. 3.2-19, Is.26. 9-20, Ion. 2.5-10, Dan. 3. 26-45, Dan. 3. 52-88, Luc. 1. 46-55, 68-79; Is.5. 1-9; Is. 38. 10-20, Luc. 2. 29-32; Gloria. *გალობ-*

საინტერესოა იმ გალობათა შესწავლა, რომლებიც შეიცავენ პარალელებს ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნის ცალკეულ პასაჟებთან. ასეთი ტექსტია ანას გალობა, რომლის / მეფ.-დან აღებული მონაკვეთი *ფსალმუნთა* კანონში III გალობად არის ჩასმული და, რომელიც 112-ე *ფსალმუნისა* და *იერემიას წინასწარმეტყველების* რამდენიმე პარალელურ სტროფს შეიცავს.

გალობები ფსალმუნების ბერძნულ ხელნაწერებში მხოლოდ V საუკუნიდან ჩნდება – უკვე არის Codex Alexandrinus-ში (V ს.) და ამის მომდევნო ყველა ხელნაწერში, მაგრამ არაა უფრო ადრეულ, IV ს-ის კოდექსებში – Codex Vaticanus-სა და Codex Sinaiticus-ში. ამის გამო სეპტუაგინტას ტექსტუალურ კრიტიკაში ივარაუდება, რომ *ფსალმუნთა* კანონი, რომელშიც თვითონ *ფსალმუნების* გარდა შედის ძველი და ახალი აღთქმიდან აღებული გალობები, ქრისტიანული მოვლენაა და თანაც გვიანდელი. ასე რომ, გაზიარებული თვალსაზრისით, ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანის, სეპტუაგინტას *ფსალმუნთა* წიგნში *გალობები* მეორეულია – ისინი აქ ბიბლიის სხვა წიგნებიდან არის შეუცვლელად გადმოტანილი.

რაც შეეხება ბიბლიის ქართული თარგმანის ისტორიას: ჯერ სრულებით შეუსწავლელია, *გალობების* ტექსტები, როგორც *ფსალმუნთა* შემადგენელი ნაწილები, ისე ითარგმნა და შემდეგ, უკვე ნათარგმნი მონაკვეთები შეიტანეს ძველი აღთქმის წიგნებში, თუ მოხდა პირიქით – უკვე თარგმნილ ბიბლიის წიგნთაგან ამოღებული მონაკვეთები შეიტანეს *ფსალმუნთა გალობებში*. კომპრომისული ვარიანტიც შეიძლება დავუშვათ: შესაძლოა, *გალობების* ტექსტები *ფსალმუნებსა* და ბიბლიის სხვადასხვა წიგნში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იყო თარგმნილი და შემდეგ, რეცენზირების დროს, იქნა ერთმანეთზე დაყვანილი.

ქართულისათვის ეს საკითხი, ბერძნული თარგმანისაგან განსხვავებით, მარტივად ვერ გადაწყდება. პრობლემის გადაჭრა იმის გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული, თუ როდის და რა თანმიმდევრობით მოხდა ბიბლიის ქართული წიგნების თარგმნა და როდის იქნა თავდაპირველად ბიბლია ერთიანად რედაქტირებული.

ითვლება, რომ ქრისტიანობის წიაღში ბიბლიის თარგმანის პროცესი ლიტურგიაში ხმარებული ტექსტებიდან დაიწყო. ამ ლოგიკით ისტორიულ წიგნებზე ადრე ქართულად *ფსალმუნები* უნდა ყოფილიყო გადმოტანილი. არსებული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ჯერჯერობით არ შეგვიძლია იმის დასაბუთება (თუმცა კი უფრო სავარაუდოა), რომ *ფსალმუნები V* საუკუნეზე ადრე ითარგმნა, ე. ი. მანამ, სანამ *ფსალმუნთა* კანონში *გალობები* შევიდოდა. ასე რომ, თუ

ბები ბერძნულ ხელნაწერებში – მათი შედგენილობა, განაწილება და მიმდევრობა *ფსალმუნთა* კრებულებში იხ. *Psalmi cum Odis*, ed. A. Rahlfs, Göttingen, 1979, 78-80; ქართული გალობების შედგენილობა და მიმდევრობა იხ. მ. შანიძე, *ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები*, 1979, 61-67.

ბიბლიის ქართული თარგმანის დასაწყისს V საუკუნის შემდეგ გადმოვწევთ, მაშინ *ფსალმუნნი გალობები*ანად იმ წიგნებზე (გარდა სახარებებისა) ადრე უნდა თარგმნილიყო, საიდანაც აღებულია *გალობათა* ტექსტები და ეს უკანასკნელნიც *ფსალმუნები*დან უნდა ყოფილიყო გადატანილი ძველი აღთქმის შესაბამის წიგნებში. მაგრამ თუ წმ. წერილის ცალკეულ წიგნთა თარგმნის თარიღი უფრო ადრინდელია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ *ფსალმუნთა* ქართულ კანონშიც, ისევე როგორც ბერძნულში, *გალობათა* მზა ტექსტები იქნა შეტანილი. მაგრამ ეს ყველაფერი – თეორიულად.

საკითხი, ერთი შეხედვით, უფრო მარტივად შეიძლება გადაწყდეს ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე: არის თუ არა ერთი ტექსტუალური მონაკვეთი რომელიმე მთელი ტექსტის ნაწილი, ჩვეულებრივ მათი – ტექსტის მონაკვეთისა და მთელი ტექსტის ლექსიკურ-სტილისტური და თარგმანის ტექნიკის თვალსაზრისით ანალიზისა და ურთიერთშედარების საფუძველზე დგინდება. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ მაგ. *ანას გალობა* თავისი ხასიათით სრულიად განსხვავდება I *მეფეთას* ნარატიული სტილისა და მისი ლექსიკისაგან თავად ბერძნულ ტექსტშიც, სათარგმნი ტექსტის ხასიათი კი თარგმანის ხასიათსაც განაპირობებს. ამდენად, ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ერთი ხელიდან გამოსული I *მეფეთას* და მისი ერთი მონაკვეთის – *ანას გალობის* თარგმანი, ამგვარი ტექსტოლოგიური კვლევიტაც ძნელი მისაღებია. მაშასადამე, ტექსტოლოგიური კვლევა სხვა მიმართულებით უნდა წარიმართოს: არა იმის გარკვევით, რამდენად არის *გალობის* ტექსტი მთელი წიგნის – ან *ფსალმუნთას*, ანდა I *მეფეთას* ნაწილი, არამედ იმის შესწავლით, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ამ ტექსტის იკითხვისები სხვადასხვა წიგნში.

სამუელის დედამ, ანამ, სამუელის გაჩენის შემდეგ ღმერთს გალობით შესწირა მადლობა. ამ მადლობას, როგორც ვთქვით, I *მეფეთას* 2. 1-10 მუხლები უჭირავს, ხოლო *ფსალმუნთა* კანონში III *გალობად* არის შესული. ამას გარდა, *გალობის* რამდენიმე სტროფი პარალელურია 112-ე *ფსალმუნის* 7-8 მუხლებისა და *იერემიას წინასწარმეტყველების* 9. 23-24-ისა.

სეპტუაგინტაში *მეფეთას* და *ფსალმუნთას გალობის* ტექსტები ფაქტიურად იდენტურია. რაც შეეხება განსხვავებულ იკითხვისებს ხელნაწერებში – *ფსალმუნის გალობის* ტექსტი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნულ ხელნაწერებში მინიმალურ ვარიანტულ სხვაობას იძლევა. I *მეფეთას* ხელნაწერები კი, ამ მონაკვეთში, მართალია, დიდად არა, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთებში განსხვავებულ იკითხვისებს იძლევა *იერემიას წინასწარმეტყველების* ხელნაწერებიც.

ანას გალობის ქართული თარგმანი *ფსალმუნებში* ორი რედაქციითაა წარმოდგენილი: (1) ძველი – მცხეთური (=ა), სინას ხელნაწერები (=ბ) და (2) გიორგი

მთანმიდელისეულით (=ბ)³. ასევე ორი რედაქციითაა იგი წარმოდგენილი *მეფეთა წიგნებშიც*: (1) ძველი – ლექციონარები (=L), ოშკი (=O), მცხეთა (=S), A-646 (=D) და (2) ახალი – ბაქარის ბიბლია (=B)⁴. ამას გარდა, მიმართება *ფსალმუნთას* და *მეფეთას* ვერსიებს შორის ცალსახაა: ერთმანეთის გვერდით დგანან, ერთი მხრივ, I *მეფეთას* ყველა ხელნაწერი, ბაქარის გამოცემის გარდა და *ფსალმუნთას* სინური ვერსია, და, მეორე მხრივ, I *მეფეთას* ბაქარის ბიბლია და *ფსალმუნთას* გიორგისეული რედაქცია. ათონამდელ და ათონურ ტექსტებს შორის არსებული განსხვავებები პრინციპული ხასიათისაა და გიორგის მთარგმნელობით მეთოდს ასახავს. მაგრამ ამჯერად მე მხოლოდ ის მაინტერესებს, რომ *ანას გალობა* I *მეფეთაში* და *ფსალმუნებში* ჩვენამდე ფაქტიურად იდენტური ტექსტითაა მოღწეული და რომ ეს იდენტურობა ტექსტუალური ტრადიციის სიმყარეზე მიუთითებს. აი, სწორედ ამ მყარი ტექსტის შედგენის ისტორიის გარკვევა ამჯერად ჩემი მიზანი, კერძოდ კი იმის დადგენა, თუ:

1. რა მიმართებაშია *ფსალმუნთა* და I *მეფეთას ანას გალობის* ქართული ტექსტი შესაბამისი წიგნების ბერძნულ ტექსტებთან – სეპტუაგინტასა და მის რედაქციებთან, განსაკუთრებით კი ძველი აღთქმის ქართული თარგმანის ტრადიციულ წყაროებთან – ჰექსაპლურ და ლუკიანურ რედაქციებთან.

2. რა მიმართებაშია *ანას გალობის* ქართული ტექსტი 112-ე *ფსალმუნისა* და *იერემიას წინასწარმეტყველების* ბერძნული ტექსტების (განსაკუთრებით ისევ ჰექსაპლურ-ლუკიანური ხელნაწერების) იმ მონაკვეთებთან, რომლებიც პარალელს პოულობენ *ანას გალობის* ტექსტში.

3. რა მიმართებაშია ყველა ამ წიგნის – *ანას გალობის*, 112-ე *ფსალმუნისა* და *იერემიას წინასწარმეტყველების* ქართული ტექსტები ერთმანეთთან.

4. დაბოლოს, წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, *ანას გალობის* მაგალითზე თვალი გაადევნოს, თუ როგორ განვითარდა ძველი აღთქმის ტექსტთა იმ მონაკვეთების ისტორია, რომლებიც *ფსალმუნთა* კრებულებში *გალობების* სახით არის შეტანილი და ამ ისტორიას ძველი აღთქმის თარგმანის ისტორიის კუთხით შეხედოს.

Ps. LXX contra 1. Reg LXX contra 1. Reg LXX^{var}

გალობის ტექსტს I *მეფეთას* სეპტუაგინტაში წინ უძღვის შესავალი ფრაზა και ἔπειν. ცხადია, ეს ფრაზა, რომელიც I *მეფეთაში* თხრობას აგრძელებს,

³ ლიტერები მოგვაქვს მზ. შანიძის გამოცემის შესაბამისად, ამასთან არ ვგულისხმობთ ა-თი აღნიშნული ტექსტის პირველადობას.

⁴ განსხვავებით I *მეფეთას* ტექსტის სხვა ნაწილებისაგან, *ანას გალობაში* ჩამოთვლილი ხელნაწერები ერთად დგანან. რედაქციული პლასტების შესახებ *მეფეთა* წიგნებში იხ. უ. ციდელიანი, καιά *წინდებულის ეკვივალენტები „მეფეთა“ წიგნების ქართულ თარგმანში*; მისივე, IV *მეფეთას 22-25-ე თავების მიმართებისათვის უცხო წყაროებთან*, ნაწ. I-II, მრავალთავი 18 და 19, 180-194, 176-185.

ფსალმუნების გალობის დასაწყისში არაა არც ბერძნულში და, შესაბამისად, არც ქართულში. ბერძნულ ხელნაწერებში ტექსტი სხვადასხვაგვარად არის გავრცობილი:

ჰექსაპლურ ხელნაწერებში დასტურდება ვარიანტი καὶ εἰπευ pr και πρὸς-ηὗξαι το κερια (ამ ვარიანტს, როგორც ჩანს, რედაქციული ხასიათი არა აქვს, ჰექსაპლური რეცენზიისთვის მეორადია და მისი კერძო ხელნაწერების კითხვასხვაობაა), ხელნაწერთა უმრავლესობაში კი, როგორცა ჩანს, ებრაულ ტექსტთან შედარების შედეგად, შემდეგი ფრაზაა ჩამატებული: καὶ εἰπευ pr και (>Ge¹) (πρὸς)ηὗξαι αὖτε A L C V 29 488 158 318 554 Ruf I Reg 14=MT. სწორედ ამ ვარიანტს, რომელსაც სხვა წყაროებთან ერთად ლუკიანური ხელნაწერებიც შეიცავენ, მიჰყვება ქართული თარგმანის საბასეული ვერსია: და ილოცა ანა S. ლექციონარები ამავე ვარიანტს მისდევენ, მაგრამ მცირეოდენი ცვლილებით (რაც შიდაქართული მოვლენა უნდა იყოს) – გამოტოვებენ მუხლის თავში მდგარ დას: ილოცვიდა ანა და თქუა L^h, პარიზული ხელნაწერი კი საკუთარ სახელსაც გადაადგილებს: ილოცა და თქუა ანა L^p.

ოშკური ხელნაწერი ყველა დანარჩენ ქართულ წყაროს გამოეყოფა და მხოლოდ სუბიექტს ამატებს ლემას: καὶ εἰπευ + ანა O, ისევე, როგორც z 121 La¹¹⁵. ბერძნულ 121 ხელნაწერთან და მასზე დამოკიდებულ z ჯგუფთან მსგავსება I მეფეთაში სხვაგანაც იჩენს თავს და ამ ტრადიციის კვალის ძიება მოცემული წიგნის ქართულ თარგმანში ცალკე კვლევის საგანია. ამ შემთხვევაში კი შეიძლება დავასკვნათ: გალობის შესავალი ფრაზა ქართულ ხელნაწერებში, ერთი მხრივ, ოშკურ ხელნაწერისა და, მეორე მხრივ, ლექციონარების სახით ერთი წარმომავლობის (ებრაულიდან მომდინარე) სხვადასხვა ტრადიციითაა შემონახული (საბას ვარიანტი, როგორც ჩანს, გვიანდელი სწორების შედეგია). ეს ვითარება ტიპიურია მთელი I მეფეთათვის, მაგრამ გალობაში გამონაკლისს წარმოადგენს: როგორც ვნახავთ, ლექციონარები და ოშკური ხელნაწერი გალობის დანარჩენ ნაწილში ფაქტობრივად იდენტურ ტექსტს შეიცავენ.

Ps. LXX = 1. Reg LXX contra 1. Reg LXX^{var}

აქ თავმოყრილია მაგალითები, სადაც ერთმანეთის იდენტურია, ერთი მხრივ, ქართული ანას გალობის ტექსტები (როგორც მეფეთასი, ისე ფსალმუნისა) და, მეორე მხრივ, გალობის სეპტუაგინტას⁵ ტექსტები, მაგრამ, ამავე დროს, მეფეთას ბერძნული ხელნაწერები თუ თარგმანები განსხვავებულ იკითხვისებს შეიცავენ. ჩვენი მიზანი ამ შემთხვევებში ისაა, გავარკვიოთ, რომელ ტექსტულურ ტრადიციას მისდევს ქართული – მეფეთა // ფსალმუნის სეპტუაგინტასი, თუ მეფეთას ცალკეული ხელნაწერებისა.

⁵ ე. ი. ტექსტი, რომელიც გამომცემლის მიერ თავდაპირველ ბერძნულ თარგმანთან ყველაზე ახლო მდგომად არის მიჩნეული.

Geo 1. Reg=Geo Ps.Od. = 1. Reg LXX^{var}

რიგ შემთხვევებში ქართული ტექსტი სექტუაგინტას ხელნაწერების იკითხვისებთან პოულობს პარალელს. მაგრამ თავისი ხასიათით ეს მსგავსი ვარიანტები ყოველთვის არ იძლევიან იმის საფუძველს, რომ ქართულ და სხვა წყაროთა შორის უშუალო კავშირი ვივარაუდოთ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შესაძლოა ეს მსგავსი ვარიანტები მართლაც უშუალოდ ერთმანეთისაგან მომდინარეობდეს, ანდა მომდინარეობდეს საერთო არქეტიპიდან, ან საერთო ტექსტუალური ტრადიციიდან, მაგრამ იკითხვისების ხასიათი ამის უეჭველი მტკიცების საშუალებას არ იძლევა. მსგავსი წაკითხვები შემთხვევითი შეიძლება იყოს, ანდა ტექსტის ერთგვარი ინტერპრეტაციით, პარალელური ადგილების გავლენითა და თარგმანის თუ რედაქციის სტილით შეიძლება აიხსნას. ასეთი პარალელები მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც თარგმანისა თუ რედაქციის მომდინარეობა უკვე დადგენილია, კვლევის ამ ეტაპზე კი მათი გათვალისწინება სიფრთხილით უნდა მოხდეს. ასეთი იკითხვისების მაგალითებია, პირველ რიგში, პარალელები სექტუაგინტას თარგმანებთან.

ეთიოპური და ლათინური თარგმანების მსგავსად ქართულშიც მოარული შესიტყვებებია აღდგენილი, რაც თარგმანის ტიპოლოგიით, თარგმანთა მსგავსი ხასიათით შეიძლება აიხსნას და არა მსგავსი არქეტიპით:

2.1. ἔν θεῷ μου ἑμῶν ἡμεῶν ἡμεῶν ἡμεῶν (მიერ) + *მაცხოვრისა* (σωτήρι) Ge^{L'S} Od^{A'} cf: ἔν θεῷ μου] + et (in) salvatore meo Ath. იხ. იგივე შესიტყვება (τῷ θεῷ τῷ σωτήρι ἡμῶν (// μου) *ღმრთისა მიმართ მაცხოვარისა ჩუენისა* (//*ჩემისა*)) ძველი ალექსანდრიის სხვა წიგნებშიც, მათ შორის *გალობებშიც*: Ps. 94.1.; Ps. Od. 4.18=Hab. 3. 18; Ps. Od. 9. 2=Luc.1.47; Mic. 7. 7.

2. 2. ἄς κύριος] sicut tu dms La 115; *შენებრ უფალო* Ge^B Od^G. იხ. იგივე შესიტყვება (*არავინ არს წმიდაჲ შენებრ, უფალო*): II მეფ. 7. 22. οὐκ ἔστιν ἄς σὺ καὶ οὐκ ἔστιν θεὸς πλὴν σὺ; III მეფ. 8. 23. οὐκ ἔστιν ἄς σὺ θεὸς ἔν τῷ ἰσραὴλ.

ტექსტი ერთგვარად ესმით ქართველ და ლათინ მთარგმნელს: 2. 5. οἱ πεισῶντες παρῆκαν γῆς] *მშვიერთა დაიპყრეს ქუეყანაჲ* Ge; *possederunt terram* La³⁰⁰: ბერძნული ტექსტი რთული გასაგებია (*მშვიერებმა მიატოვეს* (παρήκαν) *ქუეყანა?*) და, ამიტომაც, ძველ თარგმანებში განსხვავებული აზრით გადმოდის. ქართველი მთარგმნელი, როგორცა ჩანს, παρήκα-ს თარგმნის, რასაც გიორგი და მერე არც ბაქარი არ ასწორებს.

გალობაში ხშირია καὶ-ს სტილისტური ხმარება და მისი დამატებაც სტილისტური სწორების – სტილის გათანაბრების მიზნით. ამგვარი დამატება ქართულსაც ახასიათებს. ამდენად, ბერძნულ-ქართულ ხელნაწერთა შორის არსებული კავშირი მხოლოდ ბერძნული წყაროების და თანაც ქართულთან ტრადიციულად ახლო მდგომი წყაროების სიმრავლის შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ:

2. 2. οὐκ 3° B M V 98-379* (c pr m) 56 v 29 55 121 158] pr καὶ rel La³⁰⁰: და *არაჲვინ* Ge. ამ მუხლში ყველა სტროფს უძღვის მაერთებელი კავშირი.

2. 3. $\mu\eta$ 3° A B 56 La¹⁵] pr και L ⁻⁸² C t ⁻⁷⁴ z 318 554 Aeth^(A) La^M ნუცა. შდრ. και $\mu\eta$ $\lambda\alpha\lambda\epsilon\iota\tau\epsilon$] ნუცა იტყვთ. თუმცა არც ისაა გამორიცხული, ნუცა $\mu\eta\delta\epsilon$ -ს თარგმანი იყოს, რომელიც ბერძნულ ხელნაწერთა დანარჩენ ნაწილსა და სირო-ჰექსაპლაში დასტურდება.

შემდეგ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზოგადი მხოლობითისა და ზოგადი მრავლობითის მონაცვლეობასთან: 2. 8. (κατακληροισμα) $\alpha\upsilon\tau\omicron\varsigma$ მათ L^P] (დაუმკვდრნის (// -ეს)) მას Ge^P: $\alpha\upsilon\tau\omicron\upsilon\upsilon$ O 242' d 246 799*(c pr m) 71 244 460 554*; $\alpha\upsilon\tau\omega$ 731^{ms} 130-489 t. ბერძნულშიც და (შესაძლოა, მისგან დამოუკიდებლად) ქართულშიც ეს ცვლილება წინა სტროფის პირთან გათანაბრებით (καθίσαι $\alpha\upsilon\tau\omicron\upsilon\upsilon$] დასვს იგი) უნდა აიხსნას.

ამ გენეტიკური კავშირების სათუო მაგალითების გარდა კიდევ რჩება ქართულისა და სეპტუაგინტას ხელნაწერთა მსგავსი წაკითხვების მაგალითები, რომელთაც შიდაქართულ (ეგზეგეტიკურ, სტილისტურ ანდა ენობრივ საფუძველზე აღმოცენებულ) ვარიანტებად ვერ ჩავთვლით. ესენია ებრაულიდან მომდინარე გადაადგილებები 2.1-ში და 2.2-ში და, აგრეთვე, როგორცა ჩანს, ჰექსაპლას მცირე მთარგმნელების სვეტიდან მომდინარე დამატება 2.3-ში:

2. 1. $\epsilon\pi\iota$ $\acute{\epsilon}\chi\theta\iota\omicron\varsigma$ $\mu\omicron\varsigma$ $\iota\tau\omicron$ $\sigma\acute{\omicron}\mu\alpha$ $\mu\omicron\varsigma$] tr A 247 L d ⁻⁴⁴ ¹⁰⁷ 246 74 v ⁻⁵²⁷ 318 707 La²⁵⁰ =MT: (განვრცნა) პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა (მტერთა ჩემთა ზედა Od Geo^A) Geo.

2. 2. και 1° – $\eta\mu\omicron\upsilon$] ad fin tr Ge^B A La410 Syh=MT. ამ გადაადგილების შედეგად, პერიოდები $\acute{\alpha}\gamma\iota\omicron\varsigma$ -ით (წმიდა) ერთმანეთის გვერდითაა და აღარაა გაყოფილი: $\acute{\upsilon}\tau\iota$ $\sigma\iota\kappa$ $\acute{\zeta}\sigma\tau\iota\varsigma$ $\acute{\alpha}\gamma\iota\omicron\varsigma$ $\acute{\alpha}\varsigma$ $\kappa\acute{\upsilon}\rho\iota\omicron\varsigma$ // και $\sigma\iota\kappa$ $\acute{\zeta}\sigma\tau\iota\varsigma$ $\delta\iota\kappa\alpha\iota\omicron\varsigma$ $\acute{\alpha}\nu\tau$ \omicron $\theta\epsilon\delta\epsilon$ $\eta\mu\omicron\upsilon$ // $\sigma\iota\kappa$ $\acute{\zeta}\sigma\tau\iota\varsigma$ $\acute{\alpha}\gamma\iota\omicron\varsigma$ $\pi\lambda\eta\gamma$ $\sigma\iota\varsigma$. სამაგიეროდ, $\acute{\alpha}\varsigma$ (-ებრ) პერიოდებია ერთმანეთისგან გათიშული. მასორეტულის (MT) პარალელური ვარიანტის არსებობა სირო-ჰექსაპლაში და მათთან ქართულის თანხმობა იმაზე მიანიშნებს, რომ ჰექსაპლურ-ლუკიანურ ხელნაწერებში ეს ებრაულიდან მომდინარე იკითხვისი იყო და დაიკარგა.

2. 3. $\acute{\alpha}\psi\eta\lambda\acute{\alpha}$] + $\epsilon\iota\varsigma$ $\sigma\upsilon\pi\epsilon\rho\omicron\chi\eta\upsilon$ (+Syh) A M O L C-731-46^c-52-530 d 246 381 s t¹³⁴ z 55 71 158 244 318 460^c 554 707 Syh Syr^l (შდრ. უმცროსი მთარგმნელების ვარიანტები: $\epsilon\iota\varsigma$ $\acute{\sigma}\upsilon\pi\epsilon\rho\omicron\chi\eta\upsilon$ 731^{ms}) θ' ; ($\sigma\upsilon\pi\epsilon\rho\omicron\chi\eta\upsilon$] $\acute{\sigma}\upsilon\pi\epsilon\rho\beta\iota\lambda\eta\gamma$ 108 92 σ'): +გარდარეულად (-რევენულად Ge^k) Ge.

უკანასკნელი მაგალითების საფუძველზე სახვებით ნათელია გლობის (როგორც მეფეთას, ისე ფსალმუნთას) ქართულ თარგმანზე ბერძნული მეფეთას ხელნაწერების გავლენა. მაგრამ ეს გავლენა სისტემატური არ არის: ქართული ხშირად სცილდება I მეფეთას ჰექსაპლურ-ლუკიანურ ვარიანტებს. ქვემოთ უკვე ამგვარ მაგალითებს განვიხილავთ და ყურადღებას მივაქცევთ იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს განსხვავებები ხელნაწერთა ურთიერთმიმართებების დასადგენად.

Geo 1. Reg = Geo Ps. Od. contra I Reg LXX^{var}

მაგალითების ეს წყება შემდეგ ვითარებას ასახავს: ერთმანეთის იდენტური ფსალმუნთასა და მეფეთას ქართული ტექსტი მისდევს ერთმანეთის იდენტურ ფსალმუნთასა და მეფეთას სეპტუაგინტას ტექსტს და განსხვავდება სეპტუაგინტას ჰექსაპლურ-ლუკიანური ვარიანტებისაგან I მეფეთაში. აქაც, როგორც ზემოთ, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ (1) ვარიანტები, რომლებიც მათი ხასიათის გამო წყაროთა ურთიერთმიმართების დასადგენად სარწმუნო არგუმენტად არ გამოდგებიან და (2) ვარიანტები, რომელიც ქართულ თარგმანში აისახებოდა, მის დედანში რომ ყოფილიყო. ვარიანტების ხასიათის გარდა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ რამდენად სრულადაა ეს ვარიანტები დამონმებული ხელნაწერებში.

Geo contra LXX^{OL}:

ქართულის გადახვევები ჰექსაპლურ-ლუკიანური ხელნაწერების ერთი ნაწილის ვარიანტებისაგან არც თავისი ხასიათით და არც მათი დამონმების სისრულით (განსხვავებულ იკითხვისებს OL ხელნაწერთა მხოლოდ ერთი ნაწილი შეიცავს) არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ჰექსაპლურ-ლუკიანური წყარო ქართულის დედნად გამოირიცხოს:

2. 5. *πλήρεις* *შუებულთა* Ge Od AB¹ *πλήρης* V O 93-127 46*-236-242-313 56 314 74 55 71 121 318 460 509 707 La^{300ff}. ზოგადი მრავლობითის ხმარება აქ ფრაზის პარალელური წევრითაც შეიძლება აიხსნას: *οἱ πεισιπτεῖ* *მშიერთა*.

2. 9. *δυσπεδὸς / ἀήρ ძლიერებაჲ კაცისაჲ* tr 376 L⁻¹²⁷ 328*(c pr m). მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის რიგი ქართული ენის ბუნებრივ ტენდენციას შეესაბამება.

ბერძნული ჰექსაპლური და ლუკიანური ტრადიციის ხელნაწერებში დადასტურებული დიდი დამატება თავისთავად მნიშვნელოვანი ვარიანტია: 2. 9. *οἱκ ἔν ἰσχῆν δυσπεδὸς ἀήρ არა არს სიმტკიცე (-ით) ძლიერებაჲ კაცისაჲ* + *εὐ τη (> 554^c) ἰσχῆν (ἰσχῆν 158 318^c; δυσπεδ 74; δυσπετη 376) αὐτου O L 52-530 d 488 74 119 55 71 158 318 244 245 460 509^m 554 707*. ამ ტიპის ვარიანტები, რომელთაც პარალელი არა აქვთ მასორეტულ ტექსტთან და მცირე მთარგმნელებთან, განსაკუთრებით საინტერესოა სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიისათვის და ამდენად მათი ასახვა ან არასახვა ქართულში, სისტემური კვლევის შემდეგ ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემი შეიძლება იყოს შემდგომში.

შემდეგი ვარიანტები ჰექსაპლურ 376-სა და ლუკიანურ 93-ში, როგორცა ჩანს, გადამწერის შეცდომის შედეგადაა წარმოქმნილი და, ცხადია, მხოლოდ იმ ხელნაწერებთან კავშირის არარსებობაზე მიუთითებს, რომლებიც ამ შეცდომას შეიცავენ და არა მთლიანად ჰექსაპლურ-ლუკიანურ ტრადიციასთან დაპირისპირებაზე:

2. 3. *ἰμᾶν* *ჟაჲ* V 376 93 46 106* 799* 55*(vid) 71* 158 460

2. 9. *ἕτη* *წელიწადნი* *εἰ* 376 93 530 610 56 92 158 707* *err.*

მომდევნო შემთხვევები ცალ-ცალკე, ჰექსაპლური და ლუკიანური რედაქციების კითხვასხვაობებია:

Geo contra LXX⁰

O-ს კითხვასხვაობები გადამწერის მეტ-ნაკლებად გავრცელებული შეცდომის შედეგი უნდა იყოს:

2. 4. $\delta\sigma\alpha\tau\alpha\upsilon$ ძლიერთაჲ] $\delta\sigma\alpha\tau\omicron\upsilon$ MVO 236-313*-379-530 44 246 158 460 707*⁶.

2. 10. $\alpha\lambda\tau\omicron\upsilon\iota$ 2° Π 3° O ^{-376mg (c pr m)}.

ცხადია, ქართული არ გადმოსცემს O-ს ცალკეული ხელნაწერების მეორად ნაკითხვებს:

2. 2. $\acute{\alpha}\zeta$ 1° – $\delta\kappa\alpha\iota\omicron\zeta$] > 376^{bx} (c pr m): homoiarc;

2. 2. $\delta\kappa\alpha\iota\omicron\zeta$] $\alpha\gamma\iota\omicron\zeta$ 376^(mg)

2. 2. $\acute{\alpha}\gamma\iota\omicron\zeta$ 2°] $\delta\kappa\alpha\iota\omicron\zeta$ 376 530*

2. 3. $\xi\zeta\epsilon\lambda\theta\acute{\alpha}\tau\alpha$ A B V 55* 509] $\lambda\alpha\lambda\eta\tau\alpha\iota$ 376

Geo contra LXX^L

დედნის დადგენის თვალსაზრისით, თავისი ხასიათით ასევე უმნიშვნელოა ლუკიანური ხელნაწერების ერთი ნაწილის მრავლობითი რიცხვის მხოლობითი შენაცვლება: 2. 3. $\gamma\sigma\acute{\sigma}\epsilon\omega\sigma$ rel La²⁵⁰ Aug CD 17,4 = Ra; *deus scientiae* La^M La³⁰⁰ BrevGoth =Od. *მეცნიერებათა* Ge^B] $\gamma\sigma\acute{\sigma}\epsilon\omega\zeta$ B L ^{-19' 82°}.

2.7. $\kappa\alpha\iota$ / $\acute{\alpha}\sigma\psi\iota\omicron\iota$] tr 19. ამ ერთადერთი ხელნაწერის მეორად ნაკითხვას, ცხადია, ქართულში არც უნდა ველოდეთ.

მაშ, რა შეიძლება ვთქვათ ქართული *მეფეთას* თუ *ფსალმუნთა* გალობის უცხო წყაროებთან დამოკიდებულების შესახებ მათი კითხვასხვაობების მაგალითების მიხედვით? როგორც ვნახეთ, მაგალითები, რომლებიც ქართულის I Reg.-ის ჰექსაპლურ-ლუკიანურ ტრადიციასთან მიმართებას გამორიცხავენ, ფაქტიურად არ არსებობს. სამაგიეროდ არსებობს პარალელები, რომლებიც ამ მიმართებაზე მეტყველებენ.

მეორე საკითხია ის, თუ საიდან გაჩნდა I *მეფეთას* ბერძნულ ხელნაწერთა ვარიანტები ქართული *ფსალმუნების* გალობაში. ან უნდა ჩავთვალოთ, რომ (1) ეს ვარიანტები არსებობდა *ფსალმუნების* ბერძნული გალობის ტექსტშიც და აქედან შევიდა ჯერ ქართული *ფსალმუნების* და მერე – *მეფეთას* გალობაში, რაც ნაკლებ მოსალოდნელია; ან უნდა ვიფიქროთ, რომ (2) ეს ვარიანტები I *მეფეთას* ქართული თარგმანში მისი ბერძნული დედნიდან შევიდა და აქედან გადავიდა

⁶ ამ ვარიანტს გადამწერის და მერე ხელნაწერებში გავრცელებულ შეცდომად მიიჩნევს ა. ემელეუსი.

შემდეგ ქართულ *ფსალმუნთა* კანონში. ეს კი, თავის მხრივ, იმას გულისხმობს, რომ ქართული *ფსალმუნის გალობის* ვარიანტები და, მაშასადამე, ტექსტიც *I მეფეთაზეა* დამოკიდებული. და რადგანაც *ფსალმუნთა* უკვე შემდგარ კანონში სხვა წიგნების მიხედვით სწორება სავარაუდო არაა, უნდა დავასკვნათ, რომ *I მეფეთა*ს თარგმანი *ფსალმუნთა*ს კანონის ჩამოყალიბებამდეა განხორციელებული.

„ანას გალობა“ და 112-ე ფსალმუნი

ანას გალობის მე-8 მუხლი პარალელურია 112-ე *ფსალმუნის* მე-7 – მე-8 მუხლებსა. მაგრამ სიახლოვესთან ერთად მათი ტექსტები ერთმანეთისაგან კიდევ განსხვავდებიან და ეს განსხვავებები ძირითადად სინონიმურ წყვილებზე მოდის. განსხვავებების შემთხვევაში *I მეფეთა*ს ლუკიანური ხელნაწერები *ანას გალობის* სეპტუაგინტას ტექსტის ერთგულნი რჩებიან და არ მისდევენ 112-ე *ფსალმუნის* შესაბამის იკითხვისებს.

რაც შეეხება *ფსალმუნის* და *მეფეთა*ს *გალობის* ქართულ ტექსტებს, ისინი ამ მონაკვეთშიც ერთმანეთის იდენტურნი არიან. ამჯერად ჩვენი მიზანი ისაა, დავადგინოთ, თუ რა მიმართებაშია *გალობის* ეს ქართული ტექსტი ერთი მხრივ, *გალობის* ბერძნულ ხელნაწერებთან და, მეორე მხრივ, 112-ე *ფსალმუნის* ბერძნულ ტექსტთან თუ მის ქართულ თარგმანთან.

ანას გალობისა და *ფსალმუნის* პირველი პარალელური ფრაზაა:

Od. Ps. / I Reg.: ἀνιστᾷ ἀπὸ γῆς πύργα

Ps. 112. 7: ὁ ἔγειραι ἀπὸ γῆς πταχῶν

Od. Ps. / I Reg.: აღადგინის ქუეყანისაგან გლახაკი

Ps. 112. 7: რომელმან აღადგინის ქუეყანისაგან გლახაკი

Od. Ps. / I Reg.: καὶ ἀπὸ κοπριάς ἔγειρει πταχῶν

Ps. 112. 7: καὶ ἀπὸ κοπριάς ἀνυψῶν πύργα

Od. Ps./ I Reg.: და სკორეთაგან აღამალლის დავრდომილი

Ps.112. 7: და სკორეთაგან აღამალლის დავრდომილი

Od. (I Reg., Ps) ἀνιστᾷ] აღადგინის, შდრ. Ps. 112 ὁ ἔγειραι] რომელმან აღადგინის. ფორმალური თვალსაზრისით *გალობისა* და *I მეფეთა*ს ქართული ტექსტები თავთავიანთ ბერძნულ ტექსტებს მიჰყვებიან: ბერძნული *გალობის* პირიანი ფორმა (მე-3 პირის ანმყო) ქართულადაც პირიანი ფორმით არის გადმოტანილი (ხოლომეობითის მე-3 პირი), ხოლო 112-ე *ფსალმუნის* მიმღეობა დაქვემდებარებული წინადადებით არის თარგმნილი.

რაც შეეხება შესაბამისობას ლექსიკური ეკვივალენტების თვალსაზრისით: „აღდგინება“ *I მეფეთა*ში ორივე ზმნის ეკვივალენტად გვხვდება (ἀνίσταμαι: *I მეფ.* 2. 35 (აღვადგინო თავისა ჩემისა მღდელი; ἔγειραι: *I მეფ.* 5. 3. აღადგინე, თუმცა ასევე – 26. 12 *გან-ვინ-იღვიძა*).

ასე რომ, მხოლოდ ამ ორი განსხვავებული ბერძნული სიტყვის ქართული ეკვივალენტის მიხედვით ვერ ვიტყვით, რომელი ლექსიკური ვარიანტი იყო ქართულის დედანში ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში.

შემდეგ მაგალითებში ლექსიკური ეკვივალენტი უკვე ტექსტებს შორის არსებულ ცალსახა მიმართებაზე მეტყველებს და ცხადყოფს 112-ე *ფსალმუნის* გავლენას *ანას გალობის* ქართულ ტექსტზე. ამ გავლენით აიხსნება ალბათ I Reg-ის ვარიანტებიც ბერძნულ 106-ე ხელნაწერში:

ἐγείρει] *ალამაღლის*; შდრ. Ps. 112 ἄσπιδος] *ალამაღლის*. ქართულის ლექსიკური ეკვივალენტი უფრო *ფსალმუნის* ἄσπιδος-ს შეესაბამება (შდრ. წინა მუხლში: Ps. 112. 7. ἄσπιδος] *ალამაღლის*). იგივე ლექსიკური შენაცვლებაა I Reg-ის ბერძნულ ხელნაწერებშიც: ἐγείρει] *ასითა* 120-134 731^{მე}; ἄσπιδος⁷ 106.

πείθει] *πταχουσ* 106 120-134 731^{მე} *გლახაკი* Ge; შდრ. Ps. 112 πταχός] *გლახაკინი*

πταχός] *πείθει* 106 120-134 731^{მე} *დავრდომილი* Ge; შდრ. Ps. 112 πείθει] *დავრდომილნი*.

πταχός მარტო ამ ადგილასაა I *მეფეთაში*, ზმნის ფორმით ეს ძირი *გალობის* წინა მუხლშიც გვხვდება და ქართულადაც იმავე ძირითაა თარგმნილი – *დააგლახაკის*. ეს ლექსიკური წყვილი (πταχός – πείθει) *ფსალმუნებში* მარტო ამ მიმდევრობით გვხვდება და ისევეა გადმოტანილი (*გლახაკი – დავრდომილი*), როგორც ამ შემთხვევაში 112-ე *ფსალმუნში*.

ამრიგად, გალობის მე-8 მუხლის პირველი ფრაზის განხილვა გვიჩვენებს, რომ:

1. *ანას გალობის* ეს ნაწილი იდენტური ტექსტითაა წარმოდგენილი ათონამდელ ვერსიაში – ლექციონარისა და ოშკური ტიპის ხელნაწერებში და *ფსალმუნთა* მცხეთურ და სინურ ხელნაწერებში, რაც ტექსტუალური ტრადიციის სიმყარეზე მეტყველებს.

2ა. წინადადების სტრუქტურით ქართული *გალობის* განსახილველი ტექსტი განსხვავდება 112-ე *ფსალმუნის* ქართული ტექსტისაგან: *გალობაში* მარტივი წინადადება ასევე მარტივი წინადადებითაა გადმოტანილი, 112-ე *ფსალმუნში* კი ბერძნულ მიმღობას კავშირიანი დამოკიდებული წინადადება შეესაბამება. თუმცა, 112-ე *ფსალმუნთან* შემდგომი პარალელების გათვალისწინებით არაა გამორიცხული, რომ *გალობის* ტექსტი 112-ე *ფსალმუნის* შემოკლებული ვარიანტი იყოს (ბერძნულთან შედარების შედეგად ამოღებულია კავშირი – *რომელმამ*).

2ბ. ლექსიკური ეკვივალენტების თვალსაზრისით ქართული *გალობის* ეს ტექსტი იდენტურია 112-ე *ფსალმუნის* ქართული ტექსტისა და მისი ბერძნული ორიგინალისა.

⁷ ἄπὸ γῆς-თან არც ერთი ზმნა ამ მნიშვნელობით არც *ფსალმუნში*, არც *მეფეთაში* არ იხმარება.

3. სინტაქსური განსხვავება და ლექსიკური მსგავსება *გალობისა* და 112-ე *ფსალმუნის* ქართულ ტექსტებს შორის იმის საშუალებას იძლევა, რომ ვივარაუდოთ: *ფსალმუნთა* და *მეფეთას გალობის* ქართულმა ტექსტმა თარგმანისა თუ რეცენზირების ეტაპზე 112-ე *ფსალმუნის* გავლენა განიცადა.

ამ შერეულ სურათს მომდევნო ფრაზის თარგმანიც ადასტურებს:

Od. Ps./1.Reg.: τὸν καθίσαι ἀπὸς⁸ μετὰ δισασημῶ λαόν

Ps.112.8: τὸν καθίσαι ἀπὸς μετὰ ἀρχόντων μετὰ ἀρχόντων λαὸν ἀπὸς

Od. Ps./1.Reg.: *რათა (>Od. ACD) დასუას (დასჳს Od. ACD; დასხდენ L Od E) იგი (იგინი L Od.E) ძლიერთა თანა (+ძლიერთა O; +ძლიერთა თანა Od.) ერისა მისისათა (თჳსისათა Od. ACD)*

Ps.112.8: *რათა დასხნეს⁹ (დასუას C; დასხდენ E) იგინი¹⁰ (იგი C) მთავართა თანა (მთავრად A) მთავართა თანა ერისა მისისათა.*

Od. Ps.= Od. I Reg.= Ps. 112. 8

ფრაზის პირველ ნაწილში *ანას გალობის* და 112-ე *ფსალმუნის* ბერძნული ტექსტები იდენტურია, სამაგიეროდ მათი ქართული ხელნაწერები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ქართული ხელნაწერების ვარიანტული იკითხვისები შემდეგნაირადაა განაწილებული: *რათა დასუას I Reg OS; Od. B; Ps. 112 C; დასჳს Od ACD; რათა დასხნეს Ps. 112 ABD; რათა დასხდენ I Reg. L; Od E; Ps. 112 E; იგი I Reg OS; Od I^E; Ps. 112 C; იგინი I Reg L; Od E; Ps.112 I^C.*

მიზნის ინფინიტივი *ფსალმუნის გალობის* ქართულ A, C, D ხელნაწერებში დამოუკიდებელი წინადადების პირიანი ზმნითაა გადმოტანილი და ფორმით წინა წინადადების შემასმენლებსაა შეწყობილი (ისიც ხოლმეობითშია დასმული). ყველგან სხვაგან (*ფსალმუნთა გალობის B* და *E* ხელნაწერებში, *მეფეთას გალობისა* და 112-ე *ფსალმუნის* ხელნაწერებში) მიზნის ინფინიტივს ჩვეული ეკვივალენტი – *რათა* კავშირიანი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება შეესაბამება.

ქართული ხელნაწერები იყოფიან ინფინიტივთან მდგარი აკუზატივში დასმული ნაცვალსახელის გადმოტანისასაც (τὸν καθίσαι ἀπὸς): ეს ნაცვალსახელი I *მეფეთას* ლექციონარის ხელნაწერებსა და *ფსალმუნის გალობისა* და 112-ე *ფსალმუნის* E ხელნაწერში სუბიექტად არის გაგებული (*დასხდენ იგინი*). ყველა დანარჩენ ხელნაწერში (როგორც *გალობაში*, ისე 112-ე *ფსალმუნში*), კონსტრუქ-

⁸ რალფს / *მეფეთაში* ნაცვალსახელი სეპტუაგინტას კრიტიკულ ტექსტში არ შეუტანია.

⁹ A-ში ბოლო ოთხი ასო გადანასწორებია (მზ. შანიძე).

¹⁰ A-ში -ნი სხვა მელნითაა მიწერილი (მზ. შანიძე).

ცია შეცვლილია და ინფინიტივთან შეწყობილი აკუზატივი ობიექტადაა გადმოტანილი (*დასუას(//დასკს) ივი; დასხნეს ივინი*).

გარდა იმისა, რომ ქართული ხელნაწერები ნაცვალსახელს განსხვავებულ ფუნქციას ანიჭებენ, იგი სხვადასხვა რიცხვითაც გადმოაქვთ და ზოგან მხოლოდობით ზოგადი მრავლობითით ცვლიან: *ასბს ივი I Reg OS; Od I^E; Ps.112 C] ივინი I Reg L; Od E; Ps. 112 I^C*.

ამრიგად, ქართული ხელნაწერები ერთი ტექსტის (*καθισαι ασბს*) ფარგლებში და ბერძნული დედნისაგან დამოუკიდებლად შემდეგ მიმართებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან: ერთმანეთისაგან განსხვავდებიან *ფსალმუნთა გალობის* მცხეთური და სინური ხელნაწერები და, ამავე დროს, ერთმანეთის გვერდით დგანან *I მეფეთას* ლექციონარისა და *ფსალმუნთას* (როგორც *გალობის*, ისე 112-ე *ფსალმუნის*) სინური E ხელნაწერი. უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთური *ფსალმუნის* ტექსტი (*დასკს ივი*) განსხვავდება 112-ე *ფსალმუნის* ამავე ხელნაწერის მეორადი ტექსტისაგან (*დასხნეს ივინი*), რაც ამ კრებულის არაერთგვაროვნებაზე მიუთითებს კიდევ ერთხელ.

ამ ჭრელ სურათში ძნელია დანამდვილებით ანას *გალობის* ქართული თარგმანის პირველადი და მეორადი ვარიანტების გამოყოფა და თანაც იმის დადგენა, რომელი ვარიანტია ბერძნულთან შედარების შედეგად (ანდა – ბერძნულიდან თარგმნის შედეგად) მიღებული, ან ტექსტის შიდაქართული ცვლილების შედეგი, ამდენად იმის თქმაც შეუძლებელია, თუ რომელი წიგნის რომელი ვარიანტი ახდენს სხვებზე გავლენას.

Od. Ps.= I Reg. contra Ps. 112. 8

განხილული ფრაზის მომდევნო მონაკვეთში უკვე *გალობისა* და 112-ე *ფსალმუნის* ბერძნული ტექსტი განსხვავდება ერთმანეთისაგან:

δυσασδωσ] ძლიერთა თანა. შდრ. Ps 112. *μετα ἀρχύστωσ*¹⁰] *მთავრად Ge^A; მთავართა თანა Ge^A*.

ეს ორი სიტყვა ყოველთვის განსხვავებულადაა თარგმნილი როგორც *ფსალმუნში*, ისე *I მეფეთაში*. *ფსალმუნში*, გამონაკლისის გარეშე, *ἀρχωσ-ს მთავარი* შეესაბამება. ამდენად, ცხადია, რომ ლექსიკური თვალსაზრისით ქართული ხელნაწერები ამ შემთხვევაში უკვე თავთავიანტი წიგნის ბერძნულ ტექსტს მისდევენ.

მაგრამ შემდგომი იკითხვისი ქართული *გალობისა* (ამ იკითხვისს შეიცავენ *ფსალმუნთა გალობის* ყველა გიორგიმდელი ხელნაწერი და *მეფეთას* ომკური ხელნაწერი) ისევ 112-ე *ფსალმუნთან* მის დამოკიდებულებაზე მეტყველებს. *გალობის* ტექსტში ეკვივალენტი გაორმაგებულია: *μετα δυσασδωσ ძლიერთა თანა] +ძლიერთა O; +ძლიერთა თანა Od. I მეფეთას* ბერძნულ წყაროებში ეს დამატება არ ჩანს, ერთადერთი პარალელი მის ერთ-ერთ ლათინურ თარგმანში იძებნება: *cum principibus cum principibus populi sui L^c*. ამ გავრცობას, როგორც ვნახეთ, 112-ე *ფსალმუნის* ბერძნულ ტექსტთან აქვს პარალელი: *μετα ἀρχύστωσ μετα*

ἀρχιστρω, მაგრამ გალობის ქართული ვარიანტი 112-ე ფსალმუნის ქართული ტექსტის გავლენით არ აიხსნება, სადაც სხვა ლექსიკური ეკვივალენტებია დაცული: მთავართა თანა (მთავრად A) მთავართა თანა Ge^G. ქართული ვარიანტის 112-ე ფსალმუნის ბერძნულიდან მომდინარეობა სავსებით ცხადია და შეგვეძლო კიდევ გვევარაუდა, რომ აქ 112-ე ფსალმუნის თარგმანის თავდაპირველ ვარიანტთან გვაქვს საქმე.

ქართული კიდევ ერთხელ მიჰყვება 112-ე ფსალმუნს (და არა გალობის ტექსტს) და არსებით სახელს ნაცვალსახელს ამატებს: λαῖσιν ერისა] *populi sui* BrevGoth 86 PsCyp *ab* 6(?); + αἰτου Aeth Syr¹ *მისისათა (თჳსისათა Od A) = 112 Ps.* λαῖσιν αἰτου. 112-ე ფსალმუნის ამ გავრცობილ ტექსტსაც, როგორც ვხედავთ, I მეფეთას მხოლოდ თარგმანები ინახავენ და არა ბერძნული ხელნაწერები.

ამრიგად, გალობის მე-8 მუხლის უკანასკნელ მონაკვეთში მისი ქართული თარგმანი ერთი მხრივ (ლექსიკური თვალსაზრისით) გალობის ბერძნულ ტექსტს მიჰყვება, მეორე მხრივ კი – 112-ე ფსალმუნის ბერძნულ ტექსტს. აქედან გამომდინარე, ან უნდა დავუშვათ, რომ I მეფეთას მთარგმნელი გალობის თარგმნისას ითვალისწინებს მის პარალელს და იხედება ფსალმუნის ბერძნულ დედანში, ანდა ეყრდნობა ჩვენამდე არმოღწეულ ბერძნული გალობის ტექსტს, რომელსაც 112-ე ფსალმუნის პარალელური ტექსტი ჰქონდა (იხ. ზემოთ, ამ 112-ე ფსალმუნის იკითხვისები 106-ე ხელნაწერსა და ლათინურ თარგმანში), ანდა კიდევ – ფსალმუნის იმ ქართული თარგმანიდან მომდინარეობს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

საერთო ჯამში, ანას გალობის ქართული ხელნაწერების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გალობის ბერძნულ ტექსტთან და 112-ე ფსალმუნთან ვერც ქართულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების შესახებ და ვერც მათი ბერძნულ წყაროებთან დამოკიდებულების შესახებ ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას ვერ იძლევა. ცხადი მხოლოდ ისაა, რომ ჩვენამდე მოღწეული ფორმით ეს არის ნარევი ტექსტი, რომელიც ეყრდნობა როგორც ანას გალობის, ისე 112-ე ფსალმუნის ბერძნულ ტექსტს.

„ანას გალობა“ და იერემიას წინასწარმეტყველება

ანას გალობის მე-10 მუხლის დიდი ნაწილი პარალელურია იერემიას წინასწარმეტყველების 9.23-24-ისა. ამდენად, ისევე როგორც 112-ე ფსალმუნის შემთხვევაში, ამ მუხლის ქართული ტექსტის (რომელიც ისევ იდენტურია ფსალმუნთა და I მეფეთას გალობაში) ისტორიისა და მისი ბერძნულ დედანთან მიმართების გასარკვევად უნდა დადგინდეს ქართული გალობის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ბერძნულ I მეფეთას და ფსალმუნთას გალობასთან და, მეორე მხრივ, იერემიას ქართულ და ბერძნულ ტექსტებთან.

I Reg LXX=Ps. Od LXX= Ier. LXX

ერთგვაროვანი ბერძნული ტექსტები *გალობის* ყველა ქართულ ნუსხაში და *იერემიას* ოშკურ ხელნაწერში ძირითადად ერთგვარად არის გადმოტანილი, მხოლოდ *იერემიას წინასწარმეტყველების* იერუსალიმური ნუსხა იძლევა კითხვასხვაობებს, რაც მისი თარგმანის ხასიათიდან გამომდინარეობს:

καὶ μὴ] ნუცა Od Ge, Ier O; და ნუ Ier. J

ἐν τῷ πλίστῳ ἀπὸσιν] *სიმდიდრითა თჳსითა* Od.Ge; Ier O; *სიმდიდრესა ზედა თჳსსა* Ier.J.

I Reg LXX contra I Reg^L=Ps. Od=Ier. LXX

როდესაც სეპტუაგინტად მიჩნეული ტექსტი *ფსალმუნთას გალობაში* და *I მეფეთას გალობაში* ერთმანეთს შორდება, *ფსალმუნის გალობა იერემიას ტექსტს* მისდევს, *მეფეთას გალობა* კი ცალკე დგას:

Ps. Od.3.10; Ier. 9.22: μὴ καυχήσῃ ὁ σιφὸς ἐν τῇ σιφίᾳ ἀπὸσιν

I Reg.: μὴ καυχήσῃ ὁ φῖσῦμοσ ἐν τῇ φῖσῖσ ἐσ ἀπὸσιν

ოღონდ *I მეფეთას* ლუკიანური ხელნაწერები ასეთ შემთხვევაში სეპტუაგინტასგან განსხვავებულ იკითხვისებს იძლევა და *ფსალმუნთა გალობისა* და *იერემიას* ტექსტს ემხრობა (ოღონდ ძნელია თქმა, ლუკიანე *I მეფეთას* სეპტუაგინტას იკითხვისს *ფსალმუნებისა* თუ *იერემიას* მიხედვით ცვლის თუ – უძველესი, სეპტუაგინტას ვარიანტი სწორედ ლუკიანესეულ ხელნაწერებშია შემორჩენილი): ὁ φῖσῦμοσ] σιφὸς *L d 71 460*; ἐν τῇ φῖσῖს] *ἐν τῷ σιφίᾳ L d 71 460*.

ამრიგად, ბერძნული ტექსტები ერთმანეთისგან მხოლოდ სინონიმების შენაცვლებით (σιφὸς // φῖსῦμοσ) განსხვავდებიან.

რაც შეეხება ქართულ ხელნაწერებს, აქ სამივე ტექსტში (*I მეფეთა, ფსალმუნნი* და *იერემია*) ერთი ეკვივალენტი იხმარება: *ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნითა თჳსითა*.

φῖსῦμοσ და ამ ძირის სიტყვები *ფსალმუნებში* და *I მეფეთაში* სხვაგან არაა, თუ *III მეფეთას* მოვიშველიებთ, სადაც ამ ძირის სიტყვები უფრო გვხვდება, *ბრძენი* და *სიბრძნე* ორივე ბერძნულ ძირს უნდა შეესაბამებოდეს – σιφὸς-საც და φῖსῦμοσ-საც. ამდენად, ამ ლექსიკური ეკვივალენტების განაწილების მიხედვით *I მეფეთას* ქართულის დედანზე ვერაფერს ვიტყვით. თუმცა, ბუნებრივი იქნებოდა, რომ ამ დედანში ὁ σιφὸς ἐν τῇ σιφίᾳ გვევარაუდა, ვარიანტი, რომელიც *ფსალმუნთა გალობაში, იერემიაში* და *მეფეთას* ლუკიანურ ხელნაწერებში გვაქვს.

I Reg LXX= Ps. Od LXX contra I Reg^L = Ier. LXX

მომდევნო შემთხვევებში *I მეფეთას* და *ფსალმუნის გალობების* სეპტუაგინტას უკვე ერთი ტექსტი აქვთ, *მეფეთას* ლუკიანური ხელნაწერები კი შორდებიან მათ და *იერემიას* მიჰყვებიან:

ὁ δὲ ἀπὸ τοῦ ἔξ ἢ δὲ ἀπὸ τοῦ ἰσχυροῦ ἰσχυρὸς *L* ძლიერი (*ძრიელი L'*) ძალითა Ge=Ier 9.22. ქართულში ძალი მყარი ეკვივალენტია როგორც δὲ ἀπὸ τοῦ ἰσχυροῦ, ისე ἰσχυρῶς-ისთვის. თუმცა, როგორც ზემოთ (2.9) ვნახეთ, როდესაც ეს ორი ბერძნული სიტყვა ერთად გვხვდება, ქართულში ძალი δὲ ἀπὸ τοῦ ἰσχυροῦ-ს შეესაბამება, ἰσχυρῶς-ისთვის კი ეკვივალენტი იცვლება. მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევაა ცვლილებისა და *მეფეთას L*-ისაგან განსხვავების არგუმენტი არაა.

ὁ δὲ ἀπὸ τοῦ ἔξ ἢ δὲ ἀπὸ τοῦ ἰσχυροῦ *L*¹⁹ Syr¹ ქუეყანასა ზედა Ge= Ier.9.24. ქართული როგორც *I მეფეთაში*, ისე ფსალმუნის გალობაში, *მეფეთას* ლუკიანურ და, ამდენად, *იერემიას* იკითხვის უფრო შეესაბამება, ვიდრე ლემას (შდრ., მაგ. Ps. 73. 12. ἔξ ἢ δὲ ἀπὸ τοῦ ἰσχυροῦ შორის ქუეყანასა; I Reg. 4. 3. ἔξ ἢ δὲ ἀπὸ τοῦ ἰσχυροῦ შორის ჩუენსა *L* (om in Ge^{OS}). მაგრამ გადაწყვეტით ძნელი სათქმელია, ეს იკითხვის I Reg.-ის ლუკიანური ვარიანტიდან მომდინარეობს და შესწორება შემდგომ ქართულ ფსალმუნთა გალობაშიცაა შეტანილი თუ თარგმანის თავისუფალ სტილთან გვაქვს საქმე, რომელიც ქუეყანა-სთან ზედა თანდებულის ხმარებას ამჯობინებს.

I Reg LXX=Ps. Od LXX contra Reg^L=Ier^L

ამჯერად ერთ მხარეზე დგანან ანას გალობის (როგორც ფსალმუნებში, ისე *I მეფეთაში*) და *იერემიას* სეპტუაგინტას ტექსტები, ხოლო მეორე მხარეს – *I მეფეთას* და *იერემიას* ლუკიანური რედაქციის ხელნაწერები. ქართულის ტენდენცია რომელიმე დედნის მიმართ არც ამ შემთხვევაში ვლინდება:

συσίειν A B M V C-236-313 56* 120-134 799 122 29 55 121 158 244 509 La¹¹⁵] pr εἰ τὰ (εἰ τὸ 56^o) rel = Ier.9.24.: O-233 L'-198-311-538-613 239 410^o 534. ქართულის ვარიანტია გულისხმისყოფასა Ge. ამ ფორმის დედანი შეიძლება თანდებულისანი ინფინიტივიც იყოს და უთანდებულოც. ამდენად, ვერ ვიტყვი, რომელ ბერძნულ ტექსტს უფრო მიჰყვება ქართული თარგმანი.

I Reg LXX=Ps.Od LXX contra Ier. LXX

შემდეგ შემთხვევებში ბერძნული ანას გალობის იკითხვისები როგორც *I მეფეთაში*, ისე ფსალმუნებში უკვე სცილდება როგორც *იერემიას* სეპტუაგინტას, ისე მის ხელნაწერებს. ქართულიც ასევე, არ განიცდის *იერემიას* გავლენას და გალობის ბერძნულ ტექსტს მისდევს:

I Reg. = Ps. Od: γυσῶσκειν τὸν κῆρισ] ცნობასა უფლისასა.

Ier. 9. 24: γυσῶσκειν ὅτι ἐγὼ εἰμι κῆρισ] ცნობასა ჩემსა¹¹ (უფლისასა O), რამეთუ მე ვარ უფალი.

I Reg. = Ps. Od: καὶ ποιεῖν κῆριμα καὶ δικαιοσύνην] ყოფად საშჯელი (სარ-ჩელი L') სამართალი.

¹¹ ქართული მიჰყვება ჰექსაპლურ-ლუკიანურ ხელნაწერებს: σὺσσειν] + με Sea Q-V-46-86'544-613 O-233 I-198 Bo Arm=MT.

Ier 9. 24: *παιδων ἕλεος καὶ κρίμα καὶ δικαιοσύνη*] რომელმან ვყვი წყალობაჲ და განკითხვაჲ და სიმართლჳ.

მაშ, ქართული ანას გალობის განსხვავებები იერემიას ქართული ტექსტისაგან იმაზე მეტყველებს, რომ ამ წიგნების თარგმნისა თუ რედაქტირების პროცესი ერთმანეთთან არაა დაკავშირებული. მაგრამ ამასთან, თარგმანის ხასიათის გამო დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რამდენად აისახება გალობის ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ტექსტში იერემიას გავლენით წარმოქმნილი ბერძნული მეფეთას ლუკიანური ვარიანტები.

საბოლოოდ ანას გალობის ტექსტის ანალიზმა შემდეგ დასკვნამდე შეიძლება მიგვიყვანოს:

1. I მეფეთადან აღებული ანას გალობის ტექსტი მზა სახით და შეუცვლელად იქნა ჩართული ფსალმუნთა წიგნის კანონში. აქედან გამომდინარე, I მეფეთა მანამდე ითარგმნა, სანამ ფსალმუნთა კანონის ქართულ თარგმანში გალობები იქნებოდა შეტანილი.

2. გალობის ტექსტის თარგმანზე (თუ რეცენზიაზე) წმ. წერილის სხვა წიგნები სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენდნენ: იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტს გალობის ქართულ თარგმანზე უშუალო კვალი არ დაუმჩნევია, სამაგიეროდ, ამ თარგმანს ეტყობა 112-ე ფსალმუნის ბერძნული ტექსტის გავლენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეფეთას მთარგმნელი (თუ რეცენზენტი) ფსალმუნთას ბერძნული, ანდა მისი ჩვენამდე არმოღწეული ქართული თარგმანით სარგებლობდა და დამოუკიდებელი იყო იერემიას თარგმანისა თუ რეცენზიისაგან.

ღანართი

ხელნაწერების და თარგმანების ლიტერები, და სხვა პირობითი აღნიშვნები

Ge – ქართული თარგმანი

ფსალმუნის რეცენზიები და ხელნაწერები: ა (A-38), ბ (Sin-22 (=D), Sin-29 (=C),

Sin-42 (=B); Graz. Georg. 2 (=E)), გ (გიორგი მთაწმიდელის რედაქცია)

მეფეთა წიგნების რეცენზიები და ხელნაწერები: ლექციონარები (=L), ოშკი (=O),

მცხეთა (=S), A-646 (=D); ბაქარის ბიბლია (=B)

LXX – სეპტუაგინტა, ძვ. აღთქმის ბერძნული თარგმანი

LXX-ს რეცენზიები და ხელნაწერები:

ჰექსალური: O=247-376

ლუკიანური: L=19-82-93-108-127

კატენური: C

ბიზანტიური: d

MT: ძვ. აღთქმის მასორეტული ტექსტი

Arm: სომხური თარგმანი

La: ლათინური თარგმანი

Syh: სირიული თარგმანი (სიროპქესაპლა)

rel – ყველა ხელნაწერი გარდა ლემაში ნაჩვენები ხელნაწერისა

LXX-ს ხელნაწერებისა და მათი ვარიანტების აღნიშვნები შეესაბამება გამოცემის: Septuaginta. Vetus Testamentum Graecum. Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum სტანდარტს.

Anna Kharanauli

**THE GEORGIAN TEXT OF “ANA’S HYMN”, ITS GREEK SOURCES
AND PROBLEMS OF THE HISTORY OF THE TRANSLATION OF THE
GEORGIAN BIBLE**

SUMMARY

One of the primary tasks of research in the Georgian translation of the Bible is to study the sequence with which the books of the Old Testament were rendered in Greek and what influence the translations of various books exerted on one another in the process of redacting or reviewing. The question of the translation of “Ana’s Hymn” is discussed precisely in this context. The Greek and Georgian versions of “Ana’s Hymn” (Hymn III of the Psalms and I Reg., 2.1-10), Psalm 112 (7-8) and the Prophecy of Jeremias (9,23-24) are compared here.

1. The text of “Ana’s Hymn”, taken from I Reg., was entered, ready and unaltered in the Canon of the Psalms. Hence, I Reg. was translated before the Hymns were entered in the Canon of the Psalms.

2. Other books of the Bible exerted various influence on the translation (or recession) of the text of the Hymn: Jeremias’ text has not left a direct imprint on the Georgian translation of the Hymn. Instead, this translation bears the influence of the Greek text of Psalm 112. This means that the translator (reviewer) of the Reg. used a Greek, or its non-extant Georgian translation.

აკა დულაშვილი

კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა თარგმანები X საუკუნის ქართულ იადგარებში

საგალობელი ელემენტის ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში შესვლისა და დამკვიდრების შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს. ბიზანტიური ლიტურატურის მკვლევართა (გ. ბეკი, კ. კრუმბახერი, ე. ველეში, ნ. ტომადაკისი, პ. ტრემბელა და სხვ.) სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით, ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში საგალობელი ელემენტი ადრეული ეტაპიდანვე ჩნდება. იერუსალიმური ღვთისმსახურება თავდაპირველად ეყრდნობოდა ძველი აღთქმის საგალობლებს, ძირითადად ფსალმუნებს. მოგვიანებით ჩამოყალიბდა მცირე ფორმის მონოსტროფები (ანტიფონები), რომლებიც ფსალმუნთა რეფერენებად სრულდებოდა.¹ VI-VII საუკუნეებში ლიტურგიკულ კრებულებში უფრო მეტად იკვლევს გზას ჰიმნი და ყალიბდება უკვე ახალი ფორმის საგალობელი კონტაკიონი (უნდა შევნიშნოთ, რომ X საუკუნის ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში კონტაკიონების თარგმანები არ გვხვდება). მას მოჰყვება სტიქარონებისა და ჰიმნოგრაფიული კანონების შექმნა. ასეთი თანმიმდევრობით წარმოადგენენ ჰიმნოგრაფიის მკვლევარნი საგალობლის ფორმების განვითარებას.

ეს პროცესი მონოსტროფული საგალობლიდან ცხრაოდიან კანონამდე და ზოგადად, გალობის ადგილი ღვთისმსახურებაში შესაბამისი თანმიმდევრობით არის ასახული ქართულ ნათარგმნ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში. საგალობლის მარტივი ფორმის არსებობის ფაქტები ჩნდება ჯერ კიდევ *იერუსალიმურ ლექციონარში*.² მოგვიანო მრავალსტროფიანი სტიქარონებისა და კანონთა უძველესი თარგმანები დადასტურებულია *უძველეს იადგარში*,³ ამრიგად, ქართულ თარგმნილ ლიტურგიკულ კრებულებს, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადრეობიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტო-

¹ E. Wellesz, *The History of Byzantine Hymnography and Liturgy*, Oxford, 1969, p. 122.

² К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь*, 1912, с. 6.

³ უძველესი იადგარი, ელ. მეტრეველის, ც. ჭანკიევის, ლ. ხევსურიანის გამოც., თბილისი, 1980, გვ. 789.

რიისათვის, რადგან *იერუსალიმური ლექციონარისა და უძველესი იადგარის* შესაბამისი ბერძნული მოდელები შემორჩენილი არ არის. IX-X საუკუნეების მიჯნაზე ლიტურგიკული ხმარებიდან გადის ძველი ტიპის ჰიმნოგრაფიული კრებული, *უძველესი იადგარი* და მის ადგილს იკავებს ახალი, საბანძინდური რეფორმის ამსახველი ძეგლი, *დიდი იადგარი*. ბუნებრივია, ამ ეპოქის უმდიდრესი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი ქართულად ერთდროულად ვერ ითარგმნებოდა. ქართული *იადგარის* ნუსხები თანდათან ივსებოდა თარგმანებით. VIII საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჰიმნოგრაფის, კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული კანონებიც ასე ეტაპობრივად აისახა ქართულ *იადგარებში*.

ბერძნული ლიტურგიკული კრებულების საგალობელთა თარგმნისას აუცილებელი იქნებოდა, პირველ რიგში, დიდი საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი კანონების და შემდეგ ცალკეული წმინდანების სახელზე დაწერილ კანონთა თარგმნა. სწორედ ამგვარ სურათს გვიჩვენებენ X საუკუნის *დიდი იადგარები*. კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა თარგმანები იადგარის ცალკეული ნუსხის ხასიათს ასახავენ. ეს არის ნუსხები სინური კოლექციიდან: Sin. 34, Sin. 26, Sin. 1, Sin. 14, Sin. 59, Sin. 64-65), აგრეთვე საქართველოში დაცული ხელნაწერები: მიქაელ მოდრეკილის *იადგარი*, *წვირმის* და *იელის* კრებულები).⁴

პ. ინგოროყვას გამოკვლევისა და იადგართა შემდგომი შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული *იადგარების* განვითარება წარმართა ორი მიმართულებით. ერთი მიმართულების ამსახველია პალესტინური ტრადიციის კრებულები, რომელთაც მიეკუთვნება სინური ნუსხები და პალესტინური წარმომავლობის *წვირმისა* და *იელის* ხელნაწერები. მეორე მიმართულების მაჩვენებელია ქართულ კრებულებში შედგენილი მიქაელ მოდრეკილის კრებული S-425 დახელნაწერი A-190. ბოლო დროის გამოკვლევების მიხედვით, ქართული *დიდი იადგარები* რედაქციულობის თვალსაზრისით შემდეგნაირად ლაგდება: *იადგარის* კალენდარული დღესასწაულების ყველაზე ადრეული ფენა ასახულია იოანე ზოსიმეს გადაწერილ Sin. 34-ში, რომელიც ერთდროულად საგალობელთა ძველ და ახალ ფენას მოიცავს და *უძველესი იადგარიდან* დიდ *იადგარზე* გადასვლის საწყის ეტაპს ასახავს, თარიღდება X საუკუნის 40-50-იანი წლებით.⁵ სწორედ ამ კრებულში ვხვდებით უკვე კოზმას საუფლო დღესასწაულების, შობის, განცხადების, მიგებებისა და ფერისცვალების კანონთა და სტიქარონთა თარგმანებს. აქვე მივუთითებთ, რომ შობისა და განცხადების კანონთა თარგმანები შევსებულია მეორე ოდით (მოიხილეთ). *დიდი იადგარის* ვრცელი რედაქციის ერთ-ერთ ადრეულ ნუსხას წარმოადგენს Sin. 1, რომელშიც საგალობელი რეპერ-

⁴ ხელნაწერებს შემდეგი ლიტერებით აღვნიშნავთ: A – მიქაელ მოდრეკილის *იადგარი*, B – Sin. 64-65, D – Sin. 1, E – Sin. 14, M – *წვირმის იადგარი*, N – *იელის იადგარი*.

⁵ ლ. ხევსურიათი, ლ. ჯღამაია, *იადგარის ერთი ნუსხის შესახებ*, მრავალთავი, 1999, გვ. 35.

ტუარი უფრო გავრცობილია. Sin. 1-ში ჩნდება ღვთისმშობლის მიძინების, დავით და იაკობის, მინა მონამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. გიორგის კანონთა და სტიქარონთა თარგმანები. ამავე რედაქციას მიეკუთვნება Sin. 14, რომელსაც ნაკლულობის გამო მინა მონამისა და ღვთისმშობლის მიძინების კანონთა და სტიქარონთა თარგმანები არ შემოუნახავს.⁶ შემდეგი სინური კრებულია Sin. 59. მას ჯერ კიდევ პ. ინგოროყვა Sin. 1-ის დამატებად განიხილავდა⁷.

ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვითაც დადასტურდა, რომ Sin. 59 შეიცავს Sin. 1-სგან განსხვავებულ მასალას, იმ საგალობელ რეპერტუარს, რომელიც Sin. 1-ს ავსებს⁸. მართლაც, კოზმას კანონთა თარგმანების მაგალითზეც იგივე სურათია. Sin. 59-ში არ არის კოზმას არცერთი იმ კანონის და სტიქარონის თარგმანი, რომლებიც Sin. 1-შია. სინური იადგარების შემაჯამებელი ეტაპის გამომხატველი კრებულია Sin. 64-65. ამ ნუსხაში გაერთიანებულია Sin. 1-სა და Sin. 59-ის რეპერტუარი.⁹ ამრიგად Sin. 64-65 უკვე ისეთი ვრცელი და სრული კრებულია, რომელშიც საგალობელი მასალით შევსებულია თითქმის ყოველი დღე. ამ ნუსხებში ყველა აღნიშნული კანონისა და სტიქარონის თარგმანია დადასტურებული.¹⁰ Sin. 64-65 თარიღდება ერთ-ერთი ანდერძის მიხედვით, იგი გადაწერილია 987 წლის შემდეგ.¹¹

რაც შეეხება ქართულ კერებში დაცულ ნუსხებს, *წვირმისა* და *იელის იადგარებს*, მართალია, ეს კრებულები სვანეთში დაცული ხელნაწერებია, მაგრამ ისინი პალესტინური ტრადიციის კრებულებად ითვლება. *წვირმის იადგარი* შედგენილობით Sin. 1-სა და Sin. 59-ს შორის დგება, ქრონოლოგიურადაც ძალიან დაშორებული არ უნდა იყოს Sin. 1-სგან. *წვირმის კრებული X* საუკუნის შუა

⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვ. I. გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა, ც. ჭანკიევმა, თბილისი, წელი; შობის კანონი № 34:VI;1. განცხადების კანონი № 34:VI;2. მიგებების კანონი № 34:VI;3. ფერისცვალების კანონი 34:V;12. შობის კანონი № 1:V;1. № 14:III;38. განცხადების კანონი № 1:V;10. № 14:III;10. მიგებების კანონი № 1:V;23. № 14:III;23. ფერისცვალების კანონი № 1:IX; 33. № 14:III;92. ღვთისმშობლის მიძინების კანონი № 1:IX;137. № 1:IX;37. დავით და იაკობის კანონი 31:V;4. 314:III;4, გრიგოლ ღვთისმეტყველის კანონი № 1:V;19, № 14:III;19, მინა მონამის კანონი № 1 IX:69;7. წმინდა გიორგის კანონი № 1:IX;2. № 64:IX;4.

⁷ პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, თბილისი, 1959, გვ. 541-542

⁸ ლ. ხევსურიანი, მ. დოლაქიძე, *კალის ლექციონარის დათარიღებისათვის*, ფილოლოგიური ძიებანი, 1997, გვ. 75-80.

⁹ ლ. ხევსურიანი, მ. დოლაქიძე, *კალის ლექციონარის დათარიღებისათვის*, გვ. 76.

¹⁰ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია, ნაკვ. I. შობის კანონი № 64:II;9. განცხადების კანონი № 64:II; 21. მიგებების კანონი № 64:II; 45. ფერისცვალების კანონი № 65:II; 6. ღვთისმშობლის მიძინების კანონი № 65:II;14. დავით და იაკობის კანონი № 64:II;10. გრიგოლ ღვთისმეტყველის კანონი № 64:II;39. მინა მონამის კანონი № 65:II;72. წმინდა გიორგის კანონი № 64:9.

¹¹ ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია, *იადგარის ერთი ნუსხის შესახებ*, გვ. 35.

ნლებში ჩანს გადაწერილი, როცა რედაქციულად სწორედ ამგვარი *იადგარი* იყო დამკვიდრებული.¹²

ლ. ხევსურიანის დაკვირვებით, *წვირმის კრებული* არ იყო გათვალისწინებული Sin. 1-სა და Sin. 59-თან ერთად Sin. 64-65-ის წყაროდ, რადგან *წვირმის* განსხვავებული ხსენებები არ ასახულა Sin. 64-65-ში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ *წვირმის იადგარი* სინაზე არ მოხვედრილა¹³. *წვირმის* ნუსხაში ვხვდებით კოზმას შემდეგ კანონთა თარგმანებს: შობის, განცხადების, ფერისცვალების, ღვთისმშობლის მიძინების და დავით და იაკობის, წმ. გიორგის.¹⁴ დანარჩენ კანონთა და სტიქარონთა თარგმანები ნუსხის ნაკლებობის გამო არ შემორჩენილა. *იელის იადგარი* ტექსტობრივი ტრადიციით სინურ ნუსხებს უახლოვდება და მნიშვნელოვნად სხვაობს მიქაელის კრებულის ტექსტისაგან. ამიტომ ქართულ სამწერლობო კერაში ჩამოყალიბებულ ნუსხად ვერ ჩაითვლება. *იელის იადგარიც* Sin. 1-სა და Sin. 59-ს შორის პერიოდში უნდა იყოს შექმნილი, სისრულით ის Sin. 64-65-ს არ უტოლდება და ქრონოლოგიურადაც მასზე ადრეული ჩანს. *იელის იადგარი* შექმნილია პალესტინურ გარემოში, ისევე როგორც *წვირმის კრებული*¹⁵, მაგრამ კონკრეტულად რომელ კერაში, ძნელია განსაზღვრა. *იელის იადგარში*, კოზმას შობის კანონის თარგმანის გარდა, ყველა სხვა კანონისა და სტიქარონის თარგმანებს ვხვდებით.

ქართულ კერაში შექმნილი X საუკუნის ვრცელი კრებულის ნიმუშია მიქაელ მოდრეკილის *იადგარი* – სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბებული ნუსხა (978-988 წწ.)¹⁶ მასში შესულია ბერძნულიდან თარგმნილ რეპერტუართან ერთად ქართული ორიგინალური საგალობლებიც. *იადგარის* ეს ნუსხა ნაკლებია. სათვეო ნაწილიდან შემორჩენილია საგალობლები მხოლოდ 21 დეკემბრიდან 29 იანვრამდე და 7 ოქტომბრიდან 20 დეკემბრამდე.¹⁷ *იადგარის* ეს ნაწილიც ცხადყოფს, რომ კრებული მდიდარი საგალობელი რეპერტუარის შემცველია. ხელნაწერის თავდაპირველ სისრულეზე მეტყველებს თავად მიქაელ მოდრეკილის ანდერძი, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ შეკრიბა ყველა არსებული ბერძნული თუ ქართული საგალობლები.¹⁸

მიქაელის კრებული X საუკუნის *იადგარების* განვითარების შემაჯამებელი ძეგლია. ამიტომ მასში შეტანილი უნდა ყოფილიყო კოზმას ყველა კანონი. ნუსხ-

¹² ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია, *იადგარის ერთი ახალი ნუსხის შესახებ*, გვ. 78-79.

¹³ იქვე, გვ. 79.

¹⁴ შობის – 4v-6v, განცხადების – 26r, ფერისცვალების – 207v, ღვთისმშობლის მიძინების – 26r, დავით და იაკობის – 9r, წმინდა გიორგის – 134r-134v.

¹⁵ ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია, *იადგარის ერთი ახალი ნუსხის შესახებ*, გვ. 7.

¹⁶ პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 226.

¹⁷ იქვე, გვ. 436.

¹⁸ იქვე, გვ. 225.

ის ნაკლებობის გამო კრებულს არ შემორჩა მიგებების, ფერისცვალების და ღვთისმშობლის მიძინების კანონები.

X საუკუნის დიდი იადგარების ტექსტობრივი ურთიერთმიმართებების კვლევა მოჰყვანს ნათელს მათი ჩამოყალიბების ადგილის სწორად განსაზღვრას. ამ ფონზე კი საინტერესოა ქართულ იადგარებს შორის ტექსტობრივი მიმართებები კოზმას საგალობელთა თარგმანების მაგალითზე. თავდაპირველად შევნიშნავთ, რომ კოზმას კანონთა თარგმანებს, Sin. 34-დან ვიდრე მიქაელ მოდრეკილის კრებულამდე, მნიშვნელოვანი ტექსტობრივი ცვლილებები არ განუცდია. სხვაობანი უმეტეს შემთხვევაში შემოიფარგლება ვარიანტული იკითხვისებით. მაგალითად, ერთ ნუსხაში არის „შემოსე“, სხვგან „შეიმოსე“ ან „ქრისტე“ და „ქრისტე“, „ჩემთაჲ“ და „ჩემისაჲ“, „ნეტარებად“ და „ნეტარებაჲ“, „დამბადებს“ და „დაგუბადებს“, „ბუნებისაგან“ და „ბუნებისა“, „გამობრწყინდა“ და „გამოჰბრწყინდა“ და სხვ. ნუსხების ტექსტებს შორის განსხვავებანი ამგვარი მაგალითებით გამოირჩევა. თარგმანთა ტექსტობრივმა შედარებამ ცხადყო, რომ მიქაელ მოდრეკილის კრებულის ტექსტი იძლევა ყველაზე მეტ სხვაობას პალესტინურ-სინურ ნუსხებთან მიმართებით. პირველ ყოვლისა, მიქაელის იადგარში ყველა კანონი შევსებულია მეორე ოდით. ბერძნულ დედნისეულ სტროფებს დამატებული აქვს რამდენიმე ტროპარი: მაგალითად, შობის კანონის VI ოდას, განცხადების VII ოდას – მესამე ტროპარი, გრიგოლ ღვთისმეტყველის კანონის ყველა ოდას – ბოლო ტროპარი. სხვაობაში იგულისხმება ასევე დედნისეული სიტყვების სრულიად სხვადასხვაგვარი თარგმანები. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

- ἐθεοπαύσατς განამდიდრენ (შობა V) A განალმრთვენი BDE
- ἀνυσμῆσαμεν ვნატრით A ვნატრიდეთ BDEM
- φωτοφαιείας ἔτυχον გამოუჩნდა (შობა VII) A გამოუბრწყინდა BDE
- πρωτοεπίσκοπος მღვდელმთავარ-ჰყავ (დავით და იაკობ I) A მღვდელთმოძღუარ-ჰყავ M
- τόκον τῆς Θεοτόκου Μαρίας შობილსა (დავითს და იაკობ VII) A შობასა B
- ἐξ ἀφθίνου σὺν მოჰმადლე მეოხებითა შენითა (მინა მონ. V) A მადლი ქრისტესი მეუფებითა შენითა M
- ἀθλόφορε μονამეო (მინა მონამე. IX) A მოღვანეო BDM
- μαρτυρικῆ μορწმუნეთა (მინა მონამე VII) A მონამეთა BDM
- πριδῆλου γαστρος τῆ τέκουση პირველ შობად შენადმდე (გრიგ. ღვთისმ. III) A პირველად შობამდე BDEM
- θεόλογε მღვდელთმოძღუარო (გრიგ. ღვთისმ. III) A ღმრთისმეტყუელო BDEM
- ἐλλαμπομένοις განჯურდა (გრიგოლ ღვთისმ. V) A განჰბრწყინდა M

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ სინურ ნუსხებში ბერძნული დედნის სიტყვები უფრო ზუსტი მნიშვნელობით არის გადმოღებული, ვიდრე მიქაელის კრებულში.

MN ნუსხები ტექსტობრივად BDE კრებულების გვერდით დგება და უპირისპირდება მიქაელის კრებულს. მაგრამ დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა *წვირმის* კრებული სხვაობს სინური ნუსხებისაგან. მაგალითად, განცხადების კანონის VII ოდის მესამე ტროპარი (*მიქაელის იადგარის* მიხედვით) დასტურდება BD-ში, ხოლო N-ში ის არ არის. ასევე შობის კანონის VI ოდის მესამე ტროპარი (*მიქაელის იადგარის* მიხედვით) BD-ში არის, ხოლო N-ში არ ჩანს.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ ახალ გამოკვლევათა მიხედვით, *წვირმისა* და *იელის იადგარები* ტექსტობრივი ტრადიციით სინურ ნუსხებს, კერძოდ Sin. 64-65-ს უახლოვდება, მაგრამ ეს კრებულები სინას მთაზე არ უნდა იყოს შექმნილი. ამ მოსაზრების დასადასტურებლად შესაძარებლად ავიღეთ კოზმას მიგებების, ფერისცვალების და ღვთისმშობლის მიძინების კანონთა თარგმანები.

<i>სიმდიდრე</i> (ფერისცვ. I) B	<i>სიმდიდრესა</i> M
<i>განბრწყინვებად</i> (ფერისცვ. I) B	<i>განჰბრწყინდეთ</i> MN
<i>დაბნელებული</i> (ფერისცვ. III) B	<i>პირველდაბნელებული</i> MDN
<i>ღრუბელთა</i> (ფერისცვ. IV) B	<i>ღრუბელთა+ცეცხლსა</i> MN
<i>ჰზრახეთ</i> (ფერისცვ. IV) B	<i>ზრახევდ</i> MD
<i>მოციქულთა</i> (ფერისცვ. VIII) B	<i>მონაფეთა</i> MD
<i>მამისაიჲ</i> (ფერისცვ. I) B	<i>მამისაჲ+დღეს</i> MDN
<i>ღრუბლისა</i> (მიგებ. I) B	<i>ღრუბლისაგან</i> M
<i>წარუდგინა</i> (მიგებ. III) B	<i>წარადგინა</i> M
<i>ღალადებენ</i> (მიგებ. VII) B	<i>ღალატყვენ</i> M
<i>ზეცად</i> (ღვთისმ. მიძ. მიძ. I) B	<i>ზეცას</i> M
<i>სიხარულად</i> (ღვთისმშ. მიძ. I) B	<i>სიხარულით</i> M
<i>ნათლითა</i> (ღვთისმშ. მიძ. I) B	<i>ნათლისა</i> M
<i>სუფევასა</i> (ღვთისმშ. მიძ. VI) B	<i>დიდებასა</i> M
<i>ვიხარებთ</i> (ღვთისმშ. მიძ. VI) B	<i>ვიხარებდეთ</i> M
<i>მაგრილობელი</i> (ღვთისმშ. მიძ. VIII) B	<i>მაგრილობელად</i> M
<i>წარყვანებად</i> (ღვთისმშ. მიძ. IX) B	<i>წარმყვანებელად</i> M

აღნიშნული მაგალითები ცხადყოფენ, რომ *წვირმისა* და *იელის* კრებულები მიქაელის *იადგარისაგანაც* სხვაობს და სინური ნუსხებისაგან განსხვავებულ იკითხვისებაც შეიცავს. ეს ფაქტი ამყარებს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას კრებულთა განსხვავებული წარმომავლობის შესახებ.

ამრიგად, კოზმა იერუსალიმელის კალენდარული დღესასწაულების კანონების თარგმანები X საუკუნის პირველ ნახევარში განხორციელდა. ის აისახა *დიდი იადგარის* ადრეულ და X საუკუნის ვრცელ რედაქციებში. შემდგომ კი გაერთიანდა *დიდი იადგარის* 70-80-იან წლებში გადაწერილ მიქაელ მოდრეკილის კრებულსა და Sin. 64-65-ში.

Eka Dugashvili

**TRANSLATIONS OF THE HYMNS OF COSMAS OF JERUSALEM IN
TENTH CENTUARY GEORGIAN IADGARIES**

SUMMARY

Georgian translations of Cosmas of Jerusalem hymnographic canons and stichera were reflected in the collections of Sin. 34, Sin. 1, Sin. 14, Sin. 64-65, Tsvirmi, Ieli, Michael Modrekili's Iadgari. These translations were made in the 940s-980s. The richest repertory of this epoch was not translated into Georgian simultaneously. The lists of Georgian Iadgari were filled with translations gradually. At the first stage were translated the canons and stichera dedicated to the Lord's Feasts and then the hymnography written on separate Saints. Translations of the collections from St. Catherine's (Sinai) monastery consist of textual alterations and differ from the versions of Michael Modrekili's Iadgari.

ქეთევან ბაზარაშვილი

ბრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებაების (Or. 20, Or. 37, „სნაპლანი სულიარნი“) შიმცველი აფთვიმე ათონელისეული ხელნაწერი კრებულების ურთიერთმიმართება

1. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფთვიმე ათონელისეული კრებულები

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული კორპუსის შექმნას სა-
თავე ეფთვიმე ათონელმა დაუდო. ამ მიზნით მან გრიგოლის 15 ლიტურგიკუ-
ლი საკითხავის თავის მიერ ნათარგმნ ქართულ კრებულს დაურთო რამდენიმე
არალიტურგიკული ჰომილიის თარგმანი და შექმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის
მცირე კორპუსი ქართულად.¹ ეს პროცესი გრიგოლის ეფთვიმესულ კრებულებ-

¹ საკითხის ისტორიისათვის იხ. S. Gregorii Nazianzeni opera. Versio Iberica, I. Orationes I, XLV, XLIV, XLI, editae a H. Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, T. Othkhmezhouri, M. Rapava, M. Chanidze cum Introductione a H. Metreveli et E. Chelidze (Corpus Christianorum. Series Graeca, 36. Corpus Nazianzenum, 5), Turnhout, 1998, p. V-XII. დავით ტბელმა (XI საუკუნის I მეოთხედის ბოლო წლები) თარგმნა ერთი ლიტურგიკული ჰომილია (Or. 24), რადგან ის ეფთვიმეს სხვაგვარად ჰქონდა უკვე ნათარგმნი, კერძოდ, „წმ. კვიპრიანეს შესახებ“ (Or. 24) გადაკეთებული იყო „დიმიტრი თესალონიკელის შესახად“ და იგი, გარდა მეტაფრასული კრებულებისა, მოთავსებული იყო გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველ ეფთვიმე ათონელისეულ XI საუკუნის კრებულებში – S-1696 და A-87, იხ. მ. მაჭავარიანი, წმ. დიმიტრი თესალონიკელის შესახებ ქართულ მწერლობაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2004-2005, გვ. 165-176; მ. მაჭავარიანი, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1999, გვ. 9-12; 16-26. გრიგოლ ღვთისმეტყველის ეფთვიმე ათონელისეული კრებულები შეივსო Or. 24-ის და ზოგიერთი არალიტურგიკული ჰომილიის დავით ტბელისეული თარგმანებით. ეფრემ მცირემ (XI ს.) კი საბოლოოდ დაასრულა ეფთვიმე ათონელის მიერ დანყებული საქმე და შექმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა სრული ქართული კორპუსი, იხ. K. Bezarashvili, *The Problem of the so-called Aporeta in the Georgian Corpus of the Works of Gregory*

ში ამგვარ ქრონოლოგიურ და კომპოზიციურ სურათს ქმნის: ეფთვიმეს ადრეულ კრებულში მის მიერ თარგმნილ გრიგოლის 15 ლიტურგიკულ სიტყვასათან ერთად (კრებულს აკლია Or. 24) ჩნდება პირველად ოთხი, თეოლოგიურად სახელდებული არალიტურგიკული ჰომილია (Or.20, 29, 30, 31)². ეს არის ხელნაწერი A-92 (XI ს.,³ ეტრატი, ნუსხური). ე. მეტრეველის დაკვირვებით, A-92 არის ათონზე 1028 წლამდე, ეფთვიმეს სიცოცხლეში, მისი ავტოგრაფული ნუსხიდან გადანერილი კრებული.⁴

შემდგომი უფრო სრული კრებულები, რომლებიც შევსებულია გრიგოლის არალიტურგიკულ თხზულებათა (აპორიტათა) ეფთვიმესეული თარგმანებით, აგრეთვე სხვა აპორიტათა დავით ტბელისეული თარგმანებით, შედგენილი უნდა იყოს ეფთვიმეს თანამოღვაწე მწიგნობრების მიერ არა მარტო ათონის, არამედ სხვა ქართულ სამწიგნობრო ცენტრებში (მაგ., იერუსალიმში, შავ მთაზე და ა. შ.). ეფთვიმეს ამ კრებულებში, იქ, სადაც ჩნდება დავით ტბელის მიერ თარგმნილი მე-16 ლიტურგიკული ჰომილია (Or. 24), თანდათან ჩნდება ეფთვიმეს და დავითის მიერ თარგმნილი სხვა არალიტურგიკული საკითხავებიც (მათ შორის არის დავითის მიერ თარგმნილი ერთი თეოლოგიური ჰომილია – Or. 28, რომელიც მოქცეულია ეფთვიმეს მიერ თარგმნილი თეოლოგიური ჰომილიების აკოლუთიაში: Or. 20 (ეფთვიმე), 28 (ტბელი), 29 (ეფთვიმე), 30 (ეფთვიმე), 31 (ეფთვიმე); აგრეთვე აღვსების/აღდგომის აკოლუთიის (Or. 1, 2, 3) შემავსებელი ერთი აპოლოგეტური ჰომილია Or. 2, რომელიც მოთავსებულია Or. 3-ის ეფთვიმესეულ თარგმანთან ერთად. დავით ტბელის ეს თარგმანები ავსებს ეფთვიმეს მიერ დაწყებულ გრიგოლის მცირე ქართულ კორპუსს.

ეს ხელნაწერი კრებულებია: A-1, 1030-1031 წწ., ეტრატი, ნუსხური, გადანერილია კონსტანტინოპოლში.⁵ აღნიშნავენ მის მსგავსებას A-92-თან. უფრო სწორად, ორივე ეს ხელნაწერი ერთი საერთო დედნიდან მომდინარედ არის მიჩნეული.⁶ ხელნაწერის ზოგიერთი გადასული ადგილი, განსაკუთრებით ხელნაწერის

the Theologian, Le Muséon. Revue d' Etudes Orientales, 108, Louvain-la-Neuve, 1995, p. 131-142; ქ. ბეზარაშვილი, *გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფრემ მცირის მიერ შედგენილი კორპუსი და მისი მიმართება ბერძნულ ხელნაწერ კრებულებთან* (მომზადებულია დასაბეჭდად); ე. ჭელიძე, *ქველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, I, თბილისი, 1996, გვ. 544-555; თ. ოთხმეზური, *გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკულ თხზულებათა ეფრემ მცირისეული ქართული კრებულების ურთიერთმიმართებისათვის* (მომზადებულია დასაბეჭდად).

² ხელნაწერთა ტრადიციის გამო Or. 20-საც თეოლოგიურ სიტყვად მოვიხსენიებთ, იხ. Th. Sinko, *De traditione orationum Gregorii Nazianzeni*, I (Meletemata Patristica, II), Cracoviae, 1917, p. 60-63.

³ თ. ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბილისი, 1988, გვ. 78-83.

⁴ *S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica*, I, p. XXXIX.

⁵ თ. ბრეგაძე, *აღწერილობა*, გვ. 69, შენ. 6.

⁶ იქვე, გვ. 11, 62-70; 65, შენ. 3.

ზემო კუთხეები XVIII საუკუნეში გაუცხოველებიათ და აღუდგენიათ მხედრულით.⁷ იგი შეიცავს 16 ლიტურგიკულ ჰომილიას (ეფთვიმეს და ტბელის თარგმანები), ეფთვიმეს მიერ თარგმნილ 4 თეოლოგიურ ჰომილიას (Or. 20, 29, 30, 31). კრებულს ბოლოში ერთვის გრიგოლის თხზულებათაგან ამოკრებილი და ეფთვიმეს მიერ თარგმნილი და შედგენილი სენტენციების ასმუხლადი სახელწოდებით „სწავლანი სულიერნი.“ ხელნაწერი ნაკლულია. დავით ტბელის მიერ თარგმნილი არალიტურგიკული საკითხავები მასში, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე არ ივარაუდებოდა.

P-3, 1040 ნ., ეტრატი, ნუსხური (გადანერილია კალიპოსის მონასტერში, შავ მთაზე, შენორულია ჯვრის მონასტრისათვის იერუსალიმში (ანდერძი: 427r-428r). ეს არის ნაკლული კრებული,⁸ მაგრამ მაინც ჩანს, რომ ნაკლულად წარმოდგენილ (16-ზე ნაკლებ) ლიტურგიკულ ჰომილიებთან ერთად მასში მოთავსებულია ეფთვიმეს მიერ თარგმნილი 4 თეოლოგიური სიტყვა (Or. 20, 29, 30, 31), ეფთვიმეს მიერვე თარგმნილი Or. 3 და Or. 37 და დავით ტბელის რამდენიმე თარგმანი (მათ შორის, Or. 24), გარდა Or. 2-სა და Or. 28-სი. ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი არალიტურგიკული ჰომილიები ხელნაწერში ასეთი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: Or. 20, 29, 30, ...3, ...37 (მრავალწერტილით აღნიშნულია ლიტურგიკული ჰომილიების თანმიმდევრობა, რასაც აქ აღარ ვუთითებთ).

სხვა ხელნაწერებში, სადაც ჩნდება 4 თეოლოგიურ ჰომილიასთან ერთად „სწავლანი სულიერნი“, ყველგან მოთავსებულია Or. 37 და Or. 3-ის ეფთვიმესეული თარგმანები, Or. 2-ის დავით ტბელისეული თარგმანი და გრიგოლის ჰომილიების სხვა დავითისეული თარგმანები (თუ სადმე აკლია რომელიმე, ეს ხელნაწერთა ან მათი წყაროს ნაკლულევანების ბრალი უნდა იყოს). მაგ., ხელნაწერი S-383 (ეტრატი, ნუსხური), რომელიც XI ს. პირველ მესამედში არის გადანერილი⁹ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში, ნაკლული კრებულია.¹⁰ აქ 15 ლიტურგიკულ სიტყვასთან (აკლია ერთი ლიტურგიკული – Or. 19) ჩნდება ეფთვიმეს ყველა სხვა თარგმანი: Or. 20, 29, 30, 31, 3, 37, „სწავლანი სულიერნი“ და დავით ტბელის თითქმის ყველა თარგმანი, მათ შორის Or. 2, Or. 24, Or. 28. ამათგან ჩვენთვის საინტერესო არალიტურგიკული ჰომილიების თანმიმდევრობა ასეთ სახეს იღებს: Or. 20(ეფთვიმე), 28 (ტბელი), 29 (ეფთვიმე), 30 (ეფთვიმე), 31 (ეფთვიმე), 2 (ტბელი), 3 (ეფთვიმე), 37 (ეფთვიმე), „სწავლანი სულიერნი“ (ეფთვიმე), „სწავლა“ (ტბელი).

ალბათ, იგივე სურათი იქნებოდა ხელნაწერში S-413, XI ს. (ეტრატი, ნუსხური). ის მისდევს S-383-ს შესაბამის ლიტურგიკულ და არალიტურგიკულ ნაწილ-

⁷ თ. ბრეგაძე, *აღწერილობა*, გვ. 68, შენ. 2.

⁸ იქვე, გვ. 70-78.

⁹ S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica, I, p. XI.

¹⁰ თ. ბრეგაძე, *აღწერილობა*, გვ. 83-90.

ში და ნაკლულია.¹¹ ამიტომ აქ, ნაკლულად წარმოდგენილი ლიტურგიკული ჰომილიების გარდა, არალიტურგიკული ჰომილიებიდან მხოლოდ Or. 20 (ეფთვიმე) და Or. 29 (ეფთვიმე) არის მოთავსებული.

შემდგომი ეტაპია ეფთვიმეს ყველაზე უფრო გავრცობილი ორი ენციკლოპედიურ-ქრესტომათიული კრებული, სადაც ჩანს გრიგოლის თხზულებათა იმ დროისათვის არსებული თითქმის ყველა ქართული თარგმანის თავმოყრისა და მცირე კორპუსის შექმნის ცდა. ეს არის A-87, XI ს. (ნაკლული კრებული, ეტრატი, ნუსხური).¹² აქ ნაკლულად წარმოდგენილ ლიტურგიკულ ჰომილიებთან ერთად მოთავსებულია ეფთვიმეს თითქმის ყველა სხვა თარგმანი Or. 2-ის გარდა (Or. 37, 20, 29, 30, 31, 3, „სწავლანი სულიერნი“); აგრეთვე ეფთვიმესეული „დიმიტრის შესხმა“; დავით ტბელის თითქმის ყველა თარგმანი გრიგოლის ჰომილიებისა (მათ შორის Or. 2, 24, 28). კრებულს ბოლოში ერთვის გრიგოლ ოშკელის ორი თარგმანი (Or. 7, 27). კრებულში არალიტურგიკული ჰომილიები ასეთი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: Or. 37 (ეფთვიმე), 20 (ეფთვიმე), 28 (ტბელი), 29 (ეფთვიმე), 30 (ეფთვიმე), 31 (ეფთვიმე), 2 (ტბელი), 3 (ეფთვიმე), „სწავლანი სულიერნი“ (ეფთვიმე) და ა. შ. საყურადღებოა, რომ კრებულის დამკვეთია ბიზანტიის დედოფალი მარიამ-მართაყოფილი, აფხაზთა / ქართველთა მეფის და სევასტოსის ბაგრატ IV-ის ასული და ბიზანტიის იმპერატორების – მიხაილ VII დუკას, შემდგომ კი ნიკეფორე III ბოტანიატეს მეუღლე. კრებული დაწერილია მარიამის ბიზანტიაში დედოფლობის დროს.¹³ ამიტომ ე. მეტრეველი მას ათარილებს XI საუკუნის II ნახევრით (არაუგვიანეს 1081 წლისა, როცა მარიამმა დაკარგა დედოფლობა ნიკეფორე ბოტანიატეს ტახტიდან გადაყენების შემდეგ),¹⁴ მ. მაჭავარიანი კი აკონკრეტებს კრებულის გადწერის თარიღს 1071 წლის (მარიამის გადედოფლების) შემდგომი პერიოდით.¹⁵ ასე რომ, კრებულის შექმნის თარიღი უნდა ვივარაუდოთ 1071-1081 წლებს შორის.

¹¹ თ. ბრეგაძე, *აღწერილობა*, გვ. 11, 104-106.

¹² იქვე, გვ. 95-104.

¹³ იხ. კოლოფონები და მინაწერები: cod. A 87, 1r, 228r, 358r; თ. ბრეგაძე, *აღწერილობა*, გვ. 103, შენ. 1, 3, 4.

¹⁴ S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica, I, p. XI.

¹⁵ მ. მაჭავარიანი, *დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები და ამ თარგმანების შემცველი ხელნაწერები*, მრავალთავი, 20, 2004, გვ. 106-114; შდრ. ი. ნოდია, *მარიამ დედოფალი XI საუკუნის II ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში*, თსუ შრომები, 183 (არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა), 1978, გვ. 143-152. И. Нодия, Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии, *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები*, მიძღვნილი აკად. ს. ყაუხჩიშვილის 80 წლისთავისადმი, თბილისი, 1978, გვ. 146-155; N. Zekos, *The Tomb of the Empress Maria Botaneiate on Mt. Papikion, Caucasia*, 1, Tb.State Univ., 1998, p. 199-212.

S-1696, XI საუკუნის 60-80-იანი წლები (გადანერილია არაუადრეს 1060 წლი-სა, ეტრატი, ნუსხური). გადამწერია პეტრე ხუცესი (ანდერძი: 30r), იგივე XI ს. შუა წლების ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე პატრიკი, გიორგი ათონელის მოწაფე, რომელმაც ცხოვრების ბოლო წლები ივირონში გაატარა.¹⁶ ხელნაწერი ნაკლულია, შევსებულია XVIII საუკუნის ნუსხურით ქალაქდზე.¹⁷ მიუხედავად ამისა, მაინც ჩანს, რომ აქაც არის ცდა ეფთვიმეს და დავით ტბელის, აგრეთვე გრიგოლ ოშკელის მიერ თარგმნილი გრიგოლის ყველა საკითხავის მოთავსები-სა. გარდა ნაკლულად წარმოდგენილი ლიტურგიკული ჰომილიებისა, კრებულში მოთავსებულია ეფთვიმეს თარგმნილი Or. 20, 29, 30, 31, „სწავლანი სულიერ-ნი“, 2, 3; დავით ტბელის მიერ თარგმნილი Or. 2 და ზოგიერთი სხვა არალი-ტურგიკული საკითხავი. ხელნაწერს ბოლოში ერთვის გრიგოლ ოშკელის ერთი თარგმანიც – Or. 7. საფიქრებელია, რომ სხვა არალიტურგიკული საკითხავები ხელნაწერს აკლია მისი ნაკლულევანების გამო (დეფექტურია, აკლია გვერდები). ეს არის ერთადერთი ხელნაწერი, რომელმაც შემოინახა Or. 2-ის ეფთვიმესეუ-ლი თარგმანი განსხვავებული რედაქციით,¹⁸ ეფთვიმეს რედაქციის „დიმიტრის შესხმა“,¹⁹ ასევე დავით ტბელის ზოგი იშვიათი თარგმანი, რომელთა ბერძნული დედნები უცნობია.²⁰ ჩვენთვის საინტერესო არალიტურგიკული ჰომილიების თანმიმდევრობა ხელნაწერში შემდეგნაირია: „დიმიტრის შესხმა“ (ეფთვიმე), ... Or. 20 (ეფთვიმე), 29 (ეფთვიმე), 30 (ეფთვიმე), 31 (ეფთვიმე), „სწავლანი სულიერნი“ (ეფთვიმე), 2 (ეფთვიმე), 3 (ეფთვიმე), 2 (ტბელი), „სწავლაჲ“ (ტბელი). მ. მაჭავარიანის დაკვირვებით, ხელნაწერი პეტრე ხუცესის ბიბლიოფილური მოღვაწეობის საინტერესო მაგალითია. კრებული ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი საღვთისმსახურო მიზნებისათვის კი არ არის შედგენილი, არამედ გამიზნულია სწავლული ბერის კერძო ინტერესებისათვის. კრებული იმით გან-სხვავდება A-87-საგან, რომ მისი შემდგენელი გრიგოლის ყველა ცნობილ თარგ-მანებთან ერთად, იშვიათ თარგმანებსაც აგროვებს.²¹

¹⁶ ე. მეტრეველი, *იოანე პატრიკისა და პეტრე პატრიკის იდენტიფიკაციისათვის, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996, გვ. 221-223.

¹⁷ თ. ბრეგაძე, *აღწერილობა*, გვ. 91-95.

¹⁸ ქ. ბეზარაშვილი, მ. მაჭავარიანი, *გრიგოლ ღვთისმეტყველის II და III ჰომილიების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების თავისებურებანი და ეფრემ მცირის ერთი ანდერძ-მინაწერი*, ფილოლოგიური ძიებანი, II, თბილისი, 1995, გვ. 234-237.

¹⁹ მ. მაჭავარიანი, *წმ. დიმიტრი თესალონიკელის შესხმა*, გვ. 170-171. მ. მაჭავარიანი, *გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები*, გვ. 9, 16-26. მ. მაჭავარიანი, *დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლის თხზულებების შემცველი ხელნაწერები*, გვ. 109.

²⁰ მ. მაჭავარიანი, *გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები*, გვ. 10-11, 29-37.

²¹ მ. მაჭავარიანი, *დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლის თხზულებების შემცველი ხელნაწერები*, გვ. 109-110.

უფრო გვიანდელ ე. წ. შერეულ კრებულებში, სადაც ეფთვიმესა და დავითის თარგმანებთან ერთად გვხვდება ეფრემ მცირის თარგმანები, და რომლებიც ადრეული კრებულებიდან მომდინარეობენ, მოთავსებულია ეფთვიმეს მიერ თარგმნილი თეოლოგიური ჰომილიები (Or. 20, 29, 30, 31), „სწავლანი სულიერნი“ და „დიმიტრის შესხმა“. ესენია: A-16, 1729, 1739 წწ. (ქალაღდი, ნუსხური), მომდინარეობს ხელნაწერებიდან A-87 და A-1;²² და A-1338, 1822 წ. (ქალაღდი, მხედრული), რომელიც წარმოადგენს A-16-ის პირს.²³

გრიგოლის თხზულებათა შემცველი სხვა ცნობილი ეფთვიმესეული კრებულებია:

A 80, XIII ს., (ქალაღდი, ნუსხური). ეს ნაკლული კრებული მიჩნეულია A-87-დან გადანერილად.²⁴ მასში არალიტურგიკული თხზულებებიდან მხოლოდ „სწავლანი სულიერნი“ წარმოდგენილი. ზანდუკისა და საკთხავთა სათვალავის (ნუმერაციის) მიხედვით მიჩნეულია, რომ ამ კრებულში 18 თხზულება უნდა ყოფილიყო²⁵. მაშასადამე, ლიტურგიკული ჰომილიები მასში სრულად იქნებოდა წარმოდგენილი.

A 518, 1708 წ. (ქალაღდი, ნუსხური). გადანერილია A 80-დან.²⁶ ისიც შეიცავს ეფთვიმეს „სწავლანს“.

2. გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-20, 37-ე ჰომილიების და „სწავლანი სულიერნი“ შემცველ ხელნაწერთა შედგენილობა

გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტების (Or. 20, 37, „სწავლანი“) ეფთვიმე ათონელისეული თარგმანები მოთავსებულია ზემოთ განხილულ გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულთაგან შემდეგში:

Or. 20: A-92, 203r-215r; A-1, 350r-360v; P-3, 145v-152v; S-383, 94r-101r; S-413, 164v-179r; S-1696, 102r-109r; A-87, 133v-139v; A-16, 217v-224r; A-1338, 187v-192v;
Or.37: P-3, 276r-287v; S-383, 298v-309v; A-87, 123r-133v;

„სწავლანი“: A-1, 439r-454v; S-383, 309v-322v; S-1691, 149v-162v (161r-162v აღდგენილია ქალაღდზე XVIII საუკუნის ნუსხურით); A-87, 265v-287v; A-80, 271v-290r; S-518, 230v-244r; A-16, 269r-280v; A-1338, 230r-240v.

გარდა გრიგოლის ეფთვიმესეული კრებულებისა, „სწავლანი სულიერნი“ მოთავსებულია სხვადასხვა ტიპის გვიანდელ კრებულებში: A-142, XI ს., ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული (ეტრატი, ნუსხური), f.99r-101v. წყდება

²² თ. ბრეგაძე, *აღწერილობა*, გვ. 114-124.

²³ იქვე, გვ. 125-132.

²⁴ იქვე, გვ. 12, 106-110.

²⁵ იქვე, გვ. 109, შენ. 6.

²⁶ იქვე, გვ. 12, 113, შენ. 4; 110-114.

22-ე მუხლზე; A-66, 1710 ნ., XVIII ს., საღვთისმეტყველო კრებული (ქალაღდი, ნუსხური), 157r-174v; H-1023, XVIII ს., ასკეტიკური კრებული (ქალაღდი, ნუსხური), 107r-113r; K-431, 1789 ნ. კრებული (ქალაღდი, მხედრული და ნუსხური), 1r-13v; H-211, 1796 ნ. კრებული (ქალაღდი, მხედრული), 203r-218v; H-1737, XVIII ს., გრიგოლ ღვთისმეტყველის ლექსების კრებული (ქალაღდი, ნუსხური), 93r-114r; S-4616, XVIII-XIX სს., ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული (ქალაღდი, მხედრული), 36r-45r; K-155, 1802 ნ., მეტაფრასული კრებული (ქალაღდი, ნუსხური), 36r-79v; A-1512, 1822 ნ., კრებული (ქალაღდი, ნუსხური), 41r-51r; C./Arch. 381, 1836 ნ. კრებული (ქალაღდი, მხედრული), 1r-5v; S-3647, 1847 ნ., კრებული (ქალაღდი, მხედრული), 1r-36r.

ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ე. ნ. „სამასეული“ – გაბრიელ მცირის მიერ XVIII საუკუნეში შედგენილი კრებული, სადაც გრიგოლ ღვთისმეტყველის ასმუხლიანი „სწავლანი სულიერნი“ მოთავსებულია ბასილი კესარიელისა და მაქსიმე აღმსარებლის შესაბამის ასმუხლიან სენტენციურ თხზულებებთან.²⁷ ასეთი კრებულებია: A-224, 1797 ნ. (ქალაღდი, მხედრული), 1r-30v; H-1248, 1797 ნ. (ქალაღდი, მხედრული), 1r-32r; S-127, 1794 ნ. (ქალაღდი, მხედრული), f. 243-291; K-321, 1798 ნ. (ქალაღდი, მხედრული), 1r-33v; C./Arch. 247, XVIII ს. (ქალაღდი, მხედრული), 1r-29r; S-77, XIX ს. (ქალაღდი, მხედრული), f. 1-61.²⁸

3. ხელნაწერთა ურთიერთმიმართება მე-20, 37-ე ჰომილიებისა და „სწავლანი სულიერნი“ ტექსტების მიხედვით

ეფთვიმე ათონელისეული კრებულების ერთმანეთთან დამოკიდებულება მეტად რთულ სურათს ქმნის. ცალკეა განსახლველი მათი ურთიერთმიმართება შედგენილობის (თხზულებების რაოდენობისა და თანმიმდევრობის) მიხედვით და ცალკე – ტექსტების ისტორიის (ვარიანტულ კითხვა-სხვობათა) მიხედვით. ეს ურთიერთმიმართება შედგენილობის მიხედვით ძირითადად წარმოდგენილია ე. მეტრეველის მიერ.²⁹ უფრო რთული ვითარებაა ტექსტების წარმომავლობის ისტორიის თვალსაზრისით ხელნაწერთა ურთიერთმიმართების დასადგენად. აქ წარმოვადგენთ მხოლოდ დასახელებული სამი ტექსტის მიხედვით წარმოჩენილ სურათს, რასაც შეუძლია დახმარება გაუწიოს ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი გრიგოლის ყველა ტექსტის ისტორიის კვლევას.

²⁷ შდრ. კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბ.ილისი, 1980, გვ. 403. თ. ბრეგაძე, *აღწერილობა*, გვ. 3.

²⁸ „სწავლანის“ შემცველ არაგრიგოლისეულ ხელნაწერთა აღწერილობისათვის იხ. თ. ბრეგაძე, *აღწერილობა*, გვ. 198-199, 231-232, 253-254, 242, 245, 254-256, 270, 273, 280, 283, 285-286; 269, 246, 243, 247, 268, 290.

²⁹ S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica, I, p.V-XII.

წინასწარვე უნდა ითქვას, რომ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების კვლევისას არ შევხებთ ხელნაწერებს A-16 და A-1338, რადგან A-16 მიჩნეულია A-87-დან და A1-დან, ხოლო A1338 კი – A16-დან უშუალოდ მომდინარედ. ასევე A-80 ითვლება A-87-დან მომდინარედ, ხოლო A-518 კი – A-80-დან გადაწერილად. არ ვიყენებთ არც „სწავლანი სულიერნის“ შემცველ გვიანდელ კრებულებს, რომლებშიც, წაკითხვების მიხედვით, „სწავლანის“ ტექსტი, ძირითადად, გრიგოლის ეფთვიმესეული კრებულებიდან მომდინარეობს. მაგ., H-1737 S-1696-დან ჩანს გადაწერილი, რადგან წყდება ზუსტად იმავე ადგილას, სადაც წყდება ტექსტი მის დედანში, XVIII საუკუნეში განახლებულ ადგილამდე. ასევე მისდევს ძველ ნუსხებს A-224 და სხვ. ამასთან, ეს ხელნაწერები გვიანდელ გრამატიკულ ფორმებს შეიცავს და ამდენად ნაკლებად საინტერესოა.

ხელნაწერთა ურთიერთმიმართების კვლევისას და შედეგების წარმოდგენისას ხელნაწერებისათვის შერჩეულია შემდეგი ლიტერები: A: A-1, B: P-3, C: S-383, D: S-413, E: A-87, F: A-92, G: S-1696, H: A-80.

Or. 20-სათვის ვარიანტული წაკითხვების მიხედვით იკვეთება ასეთი სურათი: უადრესი ხელნაწერები F და A უმეტესად პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს, მაგრამ A-ს უშუალო ტექსტობრივი დამოკიდებულება F-ზე არ ჩანს. ისინი ერთი ადრეული პროტოტიპიდან უნდა მომდინარეობდეს. B ნუსხა მსგავსებას ამჟღავნებს, ერთი მხრივ, წინამორბედ ნუსხებთან – AF (სხვადასხვა კომბინაციაში: AF, ABCDFG, ABDFG, ABDEFG, ABCDE და მისთ.) და მეორე მხრივ, შემდგომდროინდელ ნუსხებთან – CD. ნუსხები CD უმეტესად ერთნაირ წაკითხვებს გვიჩვენებს, განსაკუთრებით ხშირია ამ ნუსხათა წაკითხვების პარალელური ფორმები B-ს წაკითხვებთან – BCD. ასევე პარალელურ ფორმებს გვიჩვენებენ EG ნუსხები. ეს ნუსხებიც, თავის მხრივ, B-სთან ურთიერთობას ამჟღავნებს სხვადასხვა კომბინაციაში, განსაკუთრებით, BCD-სთან: BCDEG, BCDEFG, CDEG, BCDE, BCDG, BDFG, BEFG და მისთ.

გარდა ამისა, ვარიანტული წაკითხვების მიხედვით, ცალკეული ნუსხები გვხვდება ნებისმიერ კომბინაციაში სხვადასხვა ნუსხასთან: AE, AEF, ACE, ACG, AFG, AEG, ACEF, ACEG, ACEFG, ACDFG, ACDEFG, ADEF, ADFG; BE, BG, BCG; CG, CEG, CDE, CDEG, CEF, CDEFG; DF, DEF, DG, DEG, DEFG; EF, EFG და მისთ. ამდენად, გარდა იმისა, რომ ჩანს B-სთან უშუალო ურთიერთობა CD-სა და EG-სა, ისევე როგორც ამ ორი უკანასკნელი ჯგუფის ერთმანეთთან ურთიერთმიმართებაც (CD და EG), ჩანს აგრეთვე მათი ცალ-ცალკე ურთიერთობა წინამორბედ უშუალო თუ შუალაობით კრებულებთან (AF-თან). ასე რომ, ცხრილში მათი ურთიერთმიმართებისას გასათვალისწინებელია არა მარტო B-ს საშუალებით CD-ს და EG-ს წარმომავლობა, არამედ, თითოეული მათგანის ცალ-ცალკე მიმართება A-სთან, F-თან თუ მათ პროტოტიპთან.


Or. 37-ის ვარიანტული წაკითხვები ასეთ სურათს გვიჩვენებს: ძირითადი კითხვა-სხვაობების მიხედვით BC ნუსხები ერთადაა. მხოლოდ ზოგიერთი ფონეტიკური და ორთოგრაფიული ცვლილებებისას ერთად ჯგუფდება BE და CE

————— გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველი კრებულები

ნუსხები. მაგ., უკუე] უკუზ BE. რაოდენი] რავდენი BE; ისწავოს] ისწაოს CE. თხოვისა] თხოისა E და მისთ. ამდენად, BCE ნუსხების ურთიერთმიმართება Or. 37-ის მიხედვით არ ეწინააღმდეგება Or. 20-ის მონაცემების მიხედვით წარმოდგენილ იმავე ნუსხების ურთიერთმიმართებას.

„სწავლანი სულიერნის“ ვარიანტული წაკითხვები გვიჩვენებს, რომ EG ნუსხების პარალელურობა აქაც სახეზეა სხვადასხვა კომბინაციაში: AEG, AEGH, ACEG, ACEGH, CEG, CEGH. ასევე ჩანს C, E, G, H ნუსხების A-თან მიმართება: AC, AG, ACG, ACH, AEH, ACEH, AEG, ACEG და სხვ. ცალკე გვხვდება C-ს კავშირი EGH-თან: CG, CGEH, CGH. H ნუსხის E-სგან წარმომავლობას ადასტურებს მეტად ხშირი EH, ასევე EGH, AEH, ACEH და მისთ. კომბინაციები. ასე რომ, „სწავლანის“ ვარიანტული წაკითხვებიც არ ეწინააღმდეგება ზემოთქმულს.

ამგვარად, ნუსხათა ურთიერთმიმართების სქემა გრიგოლ ღვთისმეტყველის სამივე თხზულების (Or. 20, Or. 37, „სწავლანი“) ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის მიხედვით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:



Ketevan Bezarashvili

**THE COLLECTIONS OF EUTHYMIUS THE ATHONITE CONTAINING
THE WRITINGS OF GREGORY THE THEOLOGIAN (OR. 20, OR. 37,
SPIRITUAL TEACHINGS)**

SUMMARY

The textual interrelation of the manuscript collections of Gregory the Theologian's writings, translated by Euthymius the Athonite is analyzed in the paper. The schedule of these interrelations depends only on three texts (Or. 20, Or. 37, *Spiritual Teachings*). The work may be important for the further thorough study of the problem based on all texts of Gregory the Theologian, translated by Euthymius the Athonite.

ნანა ჩიკვატია

ელინური სიბრძნე და ერეტიკოსთა სწავლება ეფთვიმე მთანმიდლის „წინამძღურის“

ეფთვიმე მთანმიდლის მთარგმნელობით-შემოქმედებით მოღვაწეობაში თავს იჩენს ერთი საკითხი: როგორია მისი დამოკიდებულება ელინურ-წარმართული სიბრძნისა და ერეტიკოსების კულტურულ-რელიგიური პოზიციების მიმართ, როგორ არის გადმოტანილი ქართულ თარგმანში ელინური და ერეტიკული იდეები, თემები, პერსონაჟები და ა. შ.

ბოლოდროინდელ სამეცნიერო შრომებში საკმაოდ აქტიურად გაშუქდა ეს საკითხები და გაკეთდა დაახლოებით ასეთი შინაარსის დასკვნა: ელინური სიბრძნის მიმართ ეფთვიმე მთანმიდლის დამოკიდებულებაში ვლინდება ძველ ქართულ მწერლობაში ელინოფილურ მიმდინარეობაზე გადასვლის წინა პერიოდის ტენდენციები, ათონის ლიტერატურული ტრადიციებიდან შავი მთის ლიტერატურული სკოლის პრინციპებზე გადასვლის გარდამავალი ხანის ნიშნებით.¹

აღნიშნულ საკითხს ჩვენც მივუძღვენით ერთი წერილი შემდეგი სათაურით: *ეფთვიმე მთანმიდლის დამოკიდებულება გარეშეთა სიბრძნის მიმართ (მის მიერ შედგენილი და თარგმნილი „წინამძღურის“ მიხედვით).*

შევეცდებით ერთი კონკრეტული მასალის საფუძველზე ვაჩვენოთ ეფთვიმე მთანმიდლის მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებასთან რაციონალურ-ფილოსოფიური ელემენტების მიმართების ხასიათი. ეს მასალა არის „წინამძღურის“ ბოლო 23-24-ე თავები, ანუ პოლემიკური ნაწილი, რომელშიც ასახულია სხვადასხვა ერესის კრიტიკა. თუ წინა თავებში „წინამძღურის“ ტექსტი მიჰყვებოდა იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, 23-24-ე თავები შედგენილია ანასტასი სინელის „წინამძღურის“ მე-4 – მე-10 თავების მიხედვით.

¹ ქ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით*, თბილისი, 2004. თ. ოთხმეზური, *კვლავ ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა შესახებ*, მრავალთავი, XIX, თბილისი, 2001.

წვლებანი „წინამძღურის“ მიხედვით ორი სახისაა: ქრისტიანობის გარეთ, კერპთმსახურებაში, არსებული და ქრისტიანობის შიგნით არსებული. ეფთვიმეს სიტყვებით, მწვალებლებმა „ბრძოლანი იგი, რომელი იყვნეს კერპთმსახურებასა შინა, შემოიხუნეს ღმრთისმსახურებასაცა შინა“², რაც ასე უნდა გავიგოთ: მწვალებლებმა ერეტიკული შეხედულებები, რომლებიც გავრცელებული იყო კერპთმსახურებაში, საეკლესიო ღვთისმსახურებაში შემოიტანეს – წარმართულმა იდეებმა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში იჩინა თავი.

პირველ მწვალებლებსა (სიმონ მოგვი სამარიტელი, კირინთოსი, ნიკოლაოსი, მარკიონი, მანი, მონტანი) და ქრისტიანული ეკლესიის წიაღში აღმოცენებულ ერესთა შორის ყველაზე საგანგებო ყურადღება დათმობილი აქვს სევეროს ალექსანდრიელის, სევერიანთა ერესიარქის, კრიტიკას. ორთოდოქსი მართლმადიდებლებიდან მასთან ყველაზე აქტიურად დაპირისპირებულია კირილე ალექსანდრიელი (V ს.), ცნობილი საეკლესიო მოღვაწე. შეიძლება ითქვას, რომ „წინამძღურის“ ბოლო თავები მათი თვალსაზრისების წარმოჩენას ეძღვნება.

საინტერესოა, როგორ არის ასახული ამ ორ მოღვაწეს შორის არსებული დაპირისპირება „წინამძღურის“ ბერძნულ ორიგინალსა და ეფთვიმეს ქართულ თარგმანში?

ორიგინალში მათ შესახებ მსჯელობა უაღრესად დაკონკრეტებულია. მიმოხილულია მრავალი მწვალებლისა თუ მართლმადიდებელი მამის შეხედულებანი, მოხმობილია უამრავი ციტატა წმ. წერილიდან თუ საეკლესიო მამების შრომებიდან, ძალზე ხშირად დასტურდება გამეორებები, სხვადასხვა წყაროს მოშველიებით დაუსრულებლად მეორდება მსჯელობა ერთსა და იმავე საკითხზე.

ქართულ თარგმანში საგანგებოდ, მეთოდოლოგიურად არის ამოკრეფილი სევეროსისა და კირილეს შესახებ პასაჟები, ყურადღება კონცენტრირებულია მათზე. დანარჩენი საეკლესიო მოღვაწეების გამონათქვამები და თვით ბიბლიური ალუზიები მინიმუმამდეა დაყვანილი. ეფთვიმესთან ბერძნული ორიგინალის ტექსტის შეკუმშულად თარგმნასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ მთელი რიგი ადგილების, დიდი მოცულობის ტექსტის საერთოდ ამოგდებასთან. საღვთისმეტყველო აზრის ისტორიის თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა კირილე ალექსანდრიელისა და სევეროს ალექსანდრიელის პოზიციათა დახასიათება. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ის არის საინტერესო, თუ როგორ აფასებს ავტორი ერეტიკოსთა, კერძოდ, სევეროს ალექსანდრიელის მონოფიზიტური სწავლების შეცდომებს, მათი წარმოშობის მიზეზებს და რამდენად მიჰყვება ქართველი მთარგმნელი ავტორის მიერ წარმოდგენილი დისკუსიის თანმიმდევრობას.

ორიგინალის ტექსტშიც და თარგმანშიც უპირველესი და ძირითადია ქრისტეს ბუნებისა და გუამის განსაზღვრებასთან დაკავშირებული ორი პოზიციის წარმოჩენა. ესენია: წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სწავლანი და

² A-853 (XVII ს.), 85v.

მახარებელთა ქადაგებანი, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, საწარმართონი სიტყვანი. ამ ორი პოზიციის დაპირისპირება ხშირად მეორდება ორიგინალშიც და ქართულ თარგმანშიც. ქრისტოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებები: ბუნება, არსება, პირი, გუამი გაანალიზებულია ბიბლიისა და საეკლესიო მამათა ღვთისმეტყველებისა და მწვალებელთა სწავლების პოზიციებიდან.

ბერძენი ავტორის არააერთგზისი განცხადებების თანახმად, მწვალებელთა შეხედულებებს საფუძვლად უდევს მოძღვრება: *წარმართთაჲსა არისტოტელესსა და ომიროსისა*³ (ἀριστοτελικούς και ὁμηρικούς),⁴ *საწარმართონი წიგნნი არისტოტელისთა*⁵ (τῶν ἀριστοτελικῶν κατεγορίων),⁶ *სწავლათაებრ არისტოტელისთა*⁷ (τὰ ἑλληικὰ καὶ ἀριστοτελικὰ διδάγματα)⁸.

არსებისა და პირის ცნებების არისტოტელესეული გააზრება, ანუ ის, რომ არსება და პირი ერთი და იგივეა, გამოიყენა ყველა ერეტიკოსმა (არიოზმა, საბელიოზმა, ნესტორმა, აპოლინარიმ, ევტიქიმ, ევსებოსმა და მათმა მიმდევრებმა). ოღონდ თითოეულმა მათგანმა თავისებური გაგება ჩადო ამ ცნებებში და ამით დასაბამი მისცა სხვადასხვა ერესს ტრიადოლოგიასა და ქრისტოლოგიაში.

ორი პოზიციის პოლარული დაპირისპირება შემდეგნაირად არის გამოხატული „წინამძღუარში“: ერთ მხარესაა, ტექსტის სიტყვებით, „*საწარმართონი სწავლანი, საწარმართონი ფილოსოფოსობანი, საწარმართონი სიტყუანი, საწარმართონი სიციბილნი*“, ხოლო მეორე მხარეს – „*სამეუფოჲ ვ ზაჲ*“.

ამ ზოგად ფონზე გამოკვეთილია ერესიარქ სევეროს ალექსანდრიელის სწავლების არსი. სევეროსის მოძღვრების ცთომილება ისევ იმ მიზეზით არის ახსნილი, რომ იგი იყო „*სწავლული სიბრძნითა მის სოფლისაჲთა*“⁹, რაშიც ელინური განათლება და ფილოსოფია იგულისხმება. სევეროსმა თავის მონოფიზიტურ სწავლებაზე შექმნა წიგნი, რომელსაც „*ჭეშმარიტებისმოყუარე*“ (Φιλανήσις) უწოდა. ეს წიგნი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეგვიპტისა და სირიის მონოფიზიტურ წრეებში და ხშირად იყო საეკლესიო მამების, მათ შორის ანასტასი სინელის, მხრივ კრიტიკის ობიექტი. სევეროსის დიდ განათლებასა და საღვთისმეტყველო თემებზე დისკუსიის ნიჭზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი, თავისი იდეის პოპულარიზაციის მიზნით, გადააკეთებდა სხვათა შრომებს, მსგავსად აკვილასი, რომელმაც, როგორც ტექსტშია ნათქვამი, „*გარდააქცია*

³ A-853, 94 r.

⁴ *Anastasioi Sinaitae Viae dux cuius editionem curavit K.-H. Uthemann, Corpus Christianorum, Series Graeca 8, Turnhout Brepolis, Leuven University 1981, p 102.*

⁵ A-853, 92v.

⁶ *Anastasioi Sinaitae Viae...* p. 100.

⁷ A-853, 94 v.

⁸ *Anastasioi Sinaitae Viae...* p. 101.

⁹ A-853, 99 v.

სამოცდაათთა მათ ძუელისა შჯულისა თარგმანებაჲ¹⁰ ანუ სევეროსმა სეპტუაგინტას რედაქტირება მოახდინა – ეკლესიის მამების წიგნებში არსებული გამონათქვამები ქრისტეს ორი ბუნების შესახებ გადააკეთა. თუმცა ზოგი მათგანის დამახინჯება მან ვერ მოახერხა, ზოგისა იმიტომ, რომ მათზე ხელი ვერ მიუწვდებოდა, ზოგისა კი იმიტომ, რომ უცხო ენაზე იყო დაწერილი. ასეთები მან ნატყუარად გამოაცხადა. დიდი და წმიდა მამების წიგნების ხელყოფა რომ ვერ გაბედა, სევეროსმა მათ გამონათქვამებს ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ შემდეგი მზაკვრული ახსნა მოუძებნა: წმიდა მამებმა ორი ბუნება თქვესო არიოზის საპირწონედ, რომელიც ქრისტეს ერთ ბუნებას ამტკიცებდა, ხოლო ნესტორის შემდეგ, რომელიც ქრისტეში ორ ბუნებას და ორ გუამს ქადაგებდა, წმიდა მამების მტკიცებამ აზრი დაკარგა, იგი არასარწმუნო და შეურაცხი გახდაო.

ავტორი ფართო საილუსტრაციო მასალის მოხმობით ცდილობს, გააბათილოს სევეროსის მიერ წამოყენებული ბრალდება, თითქოს საეკლესიო მამები სხვადასხვა დროის მოთხოვნებით ცვლიდნენ თავიანთ მრწამსს.

სევეროსის მთავარი ოპონენტი „წინამძღუარში“ არის, როგორც აღვნიშნეთ, კირილე ალექსანდრიელი. „წინამძღურის“ 23–24-ე თავებში იმდენად ფართოდ არის წარმოდგენილი ფრაგმენტები, ციტატები კირილე ალექსანდრიელის შრომებიდან, რომ ისინი საკმაოდ მდიდარ წყაროს წარმოადგენენ ამ საეკლესიო მოღვაწის საღვთისმეტყველო აზრის შესასწავლად.

მრავალ საკითხთაგან ყურადღებას შევაჩერებთ კირილეს ერთ ცნობილ ფორმულაზე, რომელიც თავის დროზე მონოფიზიტებმა გამოიყენეს ქრისტეს ორბუნებოვნების დამცველთა საწინააღმდეგოდ. ამ ფორმულის გამო დიდი ვნებათაღელვა იყო ატეხილი დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის. ამ საკითხზე ვრცელი მსჯელობაა „გარდამოცემაში“¹¹.

ფორმულა შემდეგნაირად იკითხება: „ერთი ბუნება სიტყვა ღვთისა განხორციელებული“ – *μία φάσις τῆς Θεοῦ Λογίου σεσαρκωμένης*. ავტორი გონება მახვილურად განმარტავს კირილეს გამონათქვამს ორბუნებოვნების სასარგებლოდ. როცა ვამბობთ: „ერთი ბუნება ღმრთისა სიტყვისა“ – ეს უეჭველად ერთ ბუნებას მიანიშნებს, კერძოდ, ღვთაებრივ ბუნებას, მაგრამ როდესაც მივამატებთ სიტყვას *განხორციელებული*, ეს უკვე ადამიანურ ბუნებას მოასწავებს. რომ არ გვეთქვა „განხორციელებული“, მართლაც, მხოლოდ ერთი ბუნება გვექნებოდა, მაგრამ ამ სიტყვის მიმატებით კირილე ალექსანდრიელმა ორი ბუნების არსებობას გაუსვა ხაზი. კირილე ალექსანდრიელის ფორმულა, რომელსაც თავის

¹⁰ A-853, 92r.

¹¹ წმიდა იოანე დამასკელი, *მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა*, რ. მიმინოშვილის, მ. რაფავას, ე. ჭელიძის გამოცემა, თბილისი, 2000, გვ. 163, 173-174.

სასარგებლოდ იყენებდნენ მონოფიზიტები, ქრისტეს ორბუნებოვნების მტკიცების არგუმენტად იქნა აღიარებული.

მართლმადიდებლურ-ორთოდოქსულ მოძღვრებასა და ერესებს შორის არსებული დაპირისპირების ისტორიის წარმოჩენის კვალდაკვალ, „წინამძღუარში“ დასტურდება როგორც მართლმადიდებელთა, ისე მწვალებელთა მხრივ, ელინურ, წარმართულ ფასეულობებთან დამოკიდებულების ხასიათი. ეს ეხება ისეთი ცნებების გააზრებას, რომლებიც ელინური კულტურისა და განათლების სფეროს განეკუთვნება. ჩვენი ინტერესი კონკრეტულად იფარგლება იმით, თუ როგორ იგებს მათ შინაარსს ქართველი მთარგმნელი ეფთვიმე მთანმიდელი და როგორ გადმოაქვს ისინი ქართულ თარგმანში.

სრულიად აშკარად იკვეთება ასეთი სურათი: რაციონალურ-ფილოსოფიური სფეროდან აღებულ ტერმინებს ეფთვიმე თარგმნის სინონიმური ან შინაარსობლივად ახლო მდგომი ტერმინებით. ამ ტერმინებს ეფთვიმე თარგმნის ან არატერმინული, ყოფითი შინაარსის სიტყვებით, ან საერთოდ არ თარგმნის მათ.

თარგმანში ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსემაა „წარმართი“ და მისგან ნაწარმოები „საწარმართო“, რომელიც ბერძნული Ἐλλην და ἑλληνικός სიტყვების ეკვივალენტებია.

ამ ტერმინს აქვს არა ეთნიკური (ელინი, ბერძენი) მნიშვნელობა, არამედ კულტურულ-კონფესიონალური, ქრისტიანობის ანტინომიური გაგება. წარმართი – Ἐλλην შესატყვისობა ჩვეულებრივი მოვლენაა ძველ ქართულ მწერლობაში. ეფთვიმე მთანმიდელი სისტემატიურად იმეორებს ამ ტრადიციულ შესატყვისობას. როგორც ცნობილია, შემდგომ ელინოფილებთან სხვა შესატყვისობა იჩენს თავს. „წარმართს“ ცვლის „ელინი“.¹²

ყურადღებას იპყრობს ფილოსოფოსი, რიტორი, გრამატიკოსი, სოფისტი ტერმინების თარგმნის შემთხვევები. ცნობილია, რომ ფილოსოფია, რიტორიკა და გრამატიკა შუასაუკუნეობრივ საგანმანათლებლო სისტემაში წარმოადგენდა 7 თავისუფალი ხელოვნების ნაწილებს, ტრივიუმს. ამდენად, თითოეული მათგანი იყო ენციკლური განათლების (ἐγκύκλιος παιδεία) ანუ ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების კონკრეტული დარგი. აღნიშნულ ტერმინთა მნიშვნელობა ხშირად ფარავს ერთმანეთს, რაც დასტურდება „წინამძღურის“ ბერძნული ორიგინალის მიხედვით.

სევეროს ერესიარქი „წინამძღვარში“ მოხსენიებულია ზოგან როგორც φιλοσοφία, ზოგან – ῥήτωρ, ზოგან – πηλοσοφία, ზოგან კი – σοφισტიკა. აღნიშნული ტერმინებით ერთი პიროვნების მოხსენიება იმაზე მიუთითებს, რომ ისინი

¹² ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გვ. 450.

ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელი არიან, კერძოდ, მათ აქვთ *ზოგადი განათლებების მქონე ადამიანის, მნივნიობის, განსწავლულის შინაარსი*.¹³

ჩვენთვის ამჟამად ის არის საყურადღებო, რომ ეფთვიმე მთანმიდელი არც ერთხელ არ თარგმნის ამ ტერმინებს მათი პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ სვეეროს ერესიარქს ის არასდროს არ მოიხსენიებს ფილოსოფოსად, რიტორად, სოფისტად. ის სხვა გზას ირჩევს:

1. საერთოდ არ თარგმნის ამ ტერმინებს (მაგ., ὁ φιλόσοφος Σευερός = სე-ბეროსი).¹⁴

2. ეს ტერმინები სხვა მნიშვნელობის, უფრო ხშირად უარყოფითი მნიშვნელობის შესატყვისობებით გადმოაქვს ქართულ თარგმანში. მაგ. σιφιστής¹⁵ = *უმჯეულო*¹⁶, ὁ ῥήτωρ¹⁷ = *უმადლო*¹⁸, ὁ ῥήτωρ¹⁹ = *სწავლული იგი სიბრძნითა სოფლისაჲთა, რომელი-იგი განმეაცოფნა ღმერთმან*²⁰.

3. ტერმინები გადმოაქვს კნინობით-დამახინჯებული ფორმით: φιλοσοφός = *ფილასოფი*, ἑλληστικὸς σοφίας²¹ = *სანარმართონი იგი ფილასოფოსობანი*²². ამ უკანასკნელ შემთხვევაში „ფილასოფოსობანი“ არის ეკვივალენტი ბერძნული σοφία-სი და არა φιλοσοφία-სი.

აღნიშნული ტერმინების უარყოფითი მნიშვნელობებით თარგმნა იმაზე მიუთითებს, რომ ეფთვიმე მათ სვეეროს ერესიარქთან მიმართებით აშკარად ტენდენციურად, უარყოფით კონტექსტში გაიაზრებს.

გვაქვს საინააღმდეგო სურათიც: ეფთვიმე სიტყვა *ფილოსოფოს* ხმარობს ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე, მისი პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც „*სიბრძნისმოყვარე*“. ოღონდ ეს ხდება ისეთ კონტექსტში, როცა წარმართებსა და მწვალებლებზე კი არ არის საუბარი, არამედ ორთოდოქსულ აღსარებაზე, კერძოდ, მართლმადიდებელი საეკლესიო მოღვაწე ყოველგვარი კნინობითი ელფერის გარეშე მოხსენებულია, როგორც ფილოსოფოსი. ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს, ქალკედონის კრების დამცველ Ίσίδωρος ὁ Καισαρείας ὁ Γραμματικὸς²³-ს ეფთვიმეს თარგმანში ეწოდება „*იოანე ფილოსოფოსი კესარიელი*“.²⁴ ბერძნული *გრამატიკოსი* თარგმნილია „*ფილოსოფოს*“ სიტყვით.

¹³ ქ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*.

¹⁴ A-853,103r.

¹⁵ *Anastasioi Sinaitae*, p. 112.

¹⁶ A-853 106.

¹⁷ *Anastasioi Sinaitae*, p.105.

¹⁸ A-853 98 r.

¹⁹ *Anastasioi Sinaitae*, p. 106.

²⁰ A-853, 99v.

²¹ *Anastasioi Sinaitae*, p. 101.

²² A-853, 94r.

²³ *Anastasioi Sinaitae*, p. 94.

²⁴ A-853, 90v

როგორც ვხედავთ, „*ფილოსოფოსი*“ და „*გრამატიკოსი*“ ეფთვიმეს მიერაც გააზრებულია, როგორც სინონიმური მნიშვნელობის მქონე ტერმინები, რომელთაც აქვთ ზოგადად განსწავლულობის, მნიგნობრობის შინაარსი. ამასთანავე აღნიშნულ კონტექსტში სიტყვა „*ფილოსოფოსი*“ კინობით-ირონიული ელფერისგან თავისუფალია.

აღნიშნული ტერმინების ეფთვიმესეული ინტერპრეტაციის გარდა, წარმართულ-რაციონალურის მიმართ ეფთვიმეს დამოკიდებულება კიდევ ერთ დეტალში იჩენს თავს. საქმე ისაა, რომ ეფთვიმე თავს არიდებს *გარეშეთა* სიბრძნის სფეროდან აღებული საკითხების კონკრეტიზაციას და ან საერთოდ არ თარგმნის მათ, ან ზოგადი ნეიტრალური შინაარსის მქონე სიტყვებით ცვლის.

ორიგინალში წერია: ἐκ τοῦ Ἀριστοτέλους καὶ τῶν ἄλλων ἰηλεῦκῶν διαδόχων²⁵. Διαδόχος ქართულ მწერლობაში უთარგმნელად არის გადმოსული, გავიხსენოთ *პროკლე დიადოხოსი* პეტრინთან. ეფთვიმე საერთოდ არ თარგმნის διαδόχος სიტყვას და ფრაზა განზოგადებული შინაარსით გადმოაქვს: „*სანარმართოთა მათ ნიგნთავან არისტოტელისტა*“.²⁶ დედანში წერია ἐκ τῶν ἀριστοτελικῶν κατηγορίων²⁷ – აქ იგულისხმება არისტოტელეს ცნობილი თხზულება „*კატეგორიები*“. კონკრეტული ნაწარმოების დასახელების ნაცვლად თარგმანში იკითხება: *სანარმართოთა სწავლათავან*.²⁸

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სწავლების ორიგინალში დასახელებული ელინურ-რაციონალური ორი კომპონენტიდან, ორი სიტყვიდან ეფთვიმე ერთს თარგმნის, მეორეს კი უთარგმნელად ტოვებს. ორიგინალშია: κατα τὰ ἑλληνικά καὶ ἀριστοτελικά διδαγματα²⁹ თარგმანშია: „*სწავლათავებ არისტოტელისტა*“. გამოტოვებულია ἑλληνικά. ორიგინალშია: Ἡ μὲν καθολικὴ ἐκκλησία τοῦ Θεοῦ οὐκ ἀριστοτελικῶς καὶ ἑλληνικῶς τὸν Χριστὸν δογματίζει, ἀλλ’ ὡς εὐαγγελικῶς καὶ ἀποστολικῶς οὐκ ἐν πειθεῖς πυθαγορικῆς σοφίας λογισ³⁰, რაც შემდეგს ნიშნავს: „*ღმრთის კათოლიკე ეკლესია ქრისტეს შესახებ სჯულისმდებლობს არა არისტოტელურად და წარმართულად, არამედ სახარებისაებრ და მოციქულთა, არა პითაგორელთა სიბრძნის სიტყვების რწმენით, არამედ ქრისტეს ჯვრის შემოზღუდვით*“. ეფთვიმე ამ ფრაზას საერთოდ არ თარგმნის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეფთვიმე წარმართულ-გარეშეთა სიბრძნის საკითხების მიმართ გამორჩეულად ტენდენციურია.

ჩვენთ ხელთ არსებულ მასალაში კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი დადასტურდა, რომელშიც გამოიხატა ეფთვიმეს დამოკიდებულება არა ელინურ-

²⁵ *Anastasioi Sinaitae*, p. 100.

²⁶ A-853, 92v.

²⁷ *Anastasioi Sinaitae*, p. 100.

²⁸ A-853, 93r.

²⁹ *Anastasioi Sinaitae*, p. 101.

³⁰ *Ibid.*, p. 132.

წარმართული, არამედ სხვა რელიგიის მიმართ. ორიგინალში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სევეროს ერესიარქი ნამდვილად არის იუდეველთა, ელინთა და არაბთა მონაფე: Καλῶς ἐμαθετεῦσε τοῖς Ἰουδαίωσιν καὶ Ἑλλήωσιν καὶ Ἀράβωσιν διδασκαλίας ὁ Σευήρωσ³¹. ეფთვიმეს თარგმანში ვკითხულობთ: „*ჭემპარიტად წარმართთა და ჰურიათა მონაფე ხარ*“.³² როგორც ვხედავთ, ეფთვიმემ წარმართებისა და ჰურიათა გვერდით არ დაასახელა არაბნი ანუ მაჰმადიანები. გვიჭირს იმის ახსნა, თუ რა მოტივით გამოტოვა ეფთვიმემ არაბნი. მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეგვიძლია დავუშვათ შემდეგი: ანასტასი სინელის დროს (VII ს.) არაბთა პოლიტიკური ექსპანსია უკვე ფაქტია. პოლიტიკურ ზეგავლენასთან ერთად ისინი იდეოლოგიურადაც ცდილობდნენ ქრისტიანულ სამყაროზე შეტევას. ამ საქმეში მათთვის საუკეთესო დასაყრდენი იყო მართლმადიდებლური ეკლესიის ოპოზიცია, სხვადასხვა ერესების წარმომადგენლებზე გავლენის მოხდენა და ორთოდოქსული რწმენის დაცვის საქმეში ბზარის შეტანა. ჩვენი აზრით, ამ მომენტს ითვალისწინებს „წინამძღურის“ ავტორი, როცა მწვალებლებზე იუდეველთა, ელინთა და არაბთა ზეგავლენაზე ლაპარაკობს.

ეფთვიმე მთანმიდელისთვის კი, მითუმეტეს ათონის მონასტერში მოღვაწეობის გარემოში, არაბების გარემოცვა და იდეოლოგიური წნეხი, ალბათ, არც ისე მტიკივნიელი და აქტიური იყო. ალბათ, ამ მიზეზის გამო ეფთვიმემ არც კი ახსენა არაბნი.

არაბერძნულ კულტურულ ღირებულებებთან ეფთვიმეს დამოკიდებულების ხასიათი კიდევ ერთ ადგილას ვლინდება. იქ, სადაც ავტორი, ანასტასი სინელი, სევეროს ერესიარქის მიერ წმიდა მამების წიგნების გადაკეთება-დამახინჯების შესახებ საუბრობს, ნათქვამია, რომ მან ნატყუარად გამოაცხადა უცხო ენაზე დაწერილი წიგნები. ორიგინალში წერია: ἢ δὲ τὸ ἑτερογλῶσσιον εἶναι³³. ἑτερογλῶσσιον ეფთვიმეს მიერ თარგმნილია „*ჰრომაულითა ენითა*“: „*რომელ ჰრომაულითა ენითა თქუმულ იყვნეს*“. „*ჰრომაული ენა*“ ეფთვიმეს მიერ გააზრებულია, როგორც ლათინური ენა. ჩვეულებრივ *ჰრომი* ნათარგმნი ძეგლების მიხედვით გააზრებული იყო როგორც ბერძნული. Ῥωμαῖος ძველ ქართულ ტექსტებში თარგმნილია სიტყვით *ბერძული*, რაც ნიშნავს აღმოსავლეთ რომის იმპერიის ანუ ბიზანტიის სალაპარაკო ენას.

ჩვენს ტექსტში კი *ჰრომაული*, რომელიც ἑτερογλῶσσιον-ის ეკვივალენტია, ნამდვილად არ ნიშნავს ბერძნულს. მოსალოდნელია, რომ *ჰრომაულითა* სწორედ ლათინურის მნიშვნელობით ჰქონდეს მოტანილი ეფთვიმეს. ამავ დროს საფიქრებელია ისიც, რომ ავტორი, ანასტასი სინელი, არაბულ ენას გულისხ-

³¹ Anastasii Sinaitae, p. 113.

³² A-853, 106r.

³³ Anastasii Sinaitae, p. 96.

მობდეს, რის დაშვების შესაძლებლობასაც იძლევა ზემოთ ნახსენები პასაჟი იუდეველებთან და ელინებთან ერთად არაბთა სწავლების გავლენის შესახებ.

ასეთი სურათი ვლინდება „წინამძღუარში“ ერეტიკოსთა სწავლებაზე ელინურ-წარმართული აზროვნების მიმართების თვალსაზრისით. ჩვენ მიერ განხილული კონკრეტული მასალის საფუძველზე („წინამძღურის“ 23-24-ე თავები) კიდევ ერთხელ იკვეთება ქართველი მოღვაწის, ეფთვიმე მთაწმიდლის, აშკარად ტენდენციური დამოკიდებულება ელინური რელიგიურ-კულტურული სინამდვილის მიმართ.

Nana Chikvatia

HELLENIC WISDOM AND HERETIC TEACHING IN THE “GUIDE” OF EUTHYMIUS THE HAGIORITE

SUMMARY

On the basis of one specific piece of evidence, the author of the paper discusses the character of Euthymius’ attitude to Hellenic wisdom. The final part of the “Guide”, a collection compiled by Euthymius, specifically its chapters 23-24 served as the object of analysis. These chapters have as their source the “Guide” of Anastasius of Sinai (7th century).

The Georgian translation made by Euthymius shows the history of the conflicts that existed between the Orthodox teaching and the heresies arising within the Christian faith. A characterization is also given of the attitude both of Orthodoxy and the heresies to various philosophical teachings of the Ancient world.

The following picture emerges in the text on the basis of an analysis of the most important christological concepts from the viewpoint of both Orthodox and heretic teachings: (1) Euthymius translates terms denoting rational-philosophical notions with synonymous or semantically closely related terms; (2) Euthymius renders terms not with terms but with words of everyday use; (3) Euthymius in general does not translate philosophical terms.

The last chapters of the “Guide”, considered by the present author, shed light on Euthymius’ translation method – his biased attitude to Hellenic religious-cultural reality.

ანრიკო გაზიკაშვილი

ეფთვიმე მთანმიდელის ერთი თარგმანის ირგვლივ შიქმნილი გაუგებრობის გამო

ეფთვიმე მთანმიდელის ნათარგმნ თხზულებათა ნუსხა ორი წყაროდან არის ცნობილი. პირველია იოანე ათონელის ანდერძი, რომელიც ერთვის ეფთვიმეს მიერ 1002 წელს დასრულებულ „მათეს სახარების თარგმანებას“¹, ხოლო მეორე ეკუთვნის გიორგი მთანმიდელს, რომელიც მას წარმოდგენილი აქვს თავის ორიგინალურ თხზულებაში „ცხორება იოანესი და ეფთვმესი“.² იოანე ათონელის ნუსხა, ბუნებრივია, ჩამოთვლის ეფთვიმეს იმ თარგმანებს, რომელიც მან თარგმნა თავისი მამის – იოანე ათონელის სიცოცხლეში (იოანე გარდაიცვალა 1005 წელს). გიორგი მთანმიდელის ნუსხა, სარგებლობს რა იოანეს მიერ შედგენილი სიით, დამატებით წარმოადგენს 1002 წლის შემდეგ შესრულებულ თარგმანებსაც, რომლებიც ეფთვიმემ გარდაცვალებამდე, ე. ი. 1028 წლამდე გადმოიღო ბერძნულიდან. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მთანმიდელს იოანე ათონელის ნუსხასთან შედარებით, დამატებით, ორი ათეული ნათარგმნი თხზულების სახელწოდება შეუტანია თავის სიაში, ის მაინც აცხადებს, რომ: „ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმნა ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან“³, ე. ი. გიორგი აცხადებს, რომ ეფთვიმეს ნათარგმნ თხზულებათა სია არ არის სრული.

ორივე ნუსხაში ერთნაირი სიზუსტით არის აღნიშნული, რომ ეფთვიმემ თარგმნა „ცხორება დიდისა ათანასესი“. თითქოს ყველაფერი ნათელია. ეფთვიმემ თარგმნა ათანასე დიდის, ალექსანდრიელი მამამთავრის „ცხორება“, რადგან დიდის სახელწოდებით სხვა ათანასე არც არის ცნობილი. ასე მიიჩნია ა. შანიძემაც, რომელმაც ყოველგვარი კომენტარის გარეშე აღნიშნა ეს ფაქტი ივ. ჯავახიშვილის

¹ იოანე ოქროპირი, *თარგმანება მათეს სახარებისა*, გამოსცა ავტორთა კოლექტივმა მ. შანიძისა და ზ. სარჯველაძის რედაქტორობით, თბილისი, 1996, გვ. 5-9.

² *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II, გამოსცა ავტორთა კოლექტივმა ილ. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1967, გვ. 39-100.

³ იქვე, გვ. 64.

მიერ მომზადებულ ტექსტზე – „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“ – დართულ გამოკვლევაში.⁴ ასე არ ფიქრობდა კ. კეკელიძე. მან თავის ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში „ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია“ ათანასე ალექსანდრიელის კიმენური რედაქციის „ცხოვრების“ მთარგმნელად ეფთვიმე მთანმიდელი არ დაასახელა და იქვე აღნიშნა: „ათანასე ათონელი“ – არ შენახულა, უთარგმნია ექვთიმე ათონელს.⁵ ცხადია, მეცნიერი ფიქრობს, რომ ეფთვიმემ თარგმნა იმ დიდი ათანასეს „ცხოვრება“, რომელიც მისი თანამედროვე იყო. თავისი მოღვაწეობის პირველი წლები ათონის მთაზე ეფთვიმემ სწორედ ათანასეს მიერ დაარსებულ მონასტერში გაატარა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (1000 ან 1001 წელი) ამ მონასტრის მზრუნველადაც კი ითვლებოდა. კ. კეკელიძე ზემოთქმულით არ იფარგლება. თავისი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I წიგნის ყველა გამოცემაში ეფთვიმეს ნათარგმნ თხზულებათა ჩამონათვალში მიუთითებს: „ცხოვრება ათანასე ათონელისა“.⁶ თუ კი ორივე მოყვანილი ადგილი მხოლოდ მითითებებს შეიცავს ყოველგვარი კომენტარის გარეშე, თავის სტატიაში „ერთი ადგილის შესახებ ათონელების ბიოგრაფიაში“ მეცნიერი უფრო სიტყვამრავალია: „ცნობა იმის შესახებ, რომ ეფთვიმემ თარგმნა, სხვათა შორის, „ცხოვრება დიდისა ათანასესი“, გულისხმობს არა ათანასე ალექსანდრიელის „ცხოვრებას“, როგორც ა. შანიძე ფიქრობს, არამედ ათანასე ათონელისას, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შემონახულა“.⁷ ასევე: „ეფთვიმეს მიერ ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებათაგან ჯერჯერობით ხელნაწერებში არ ჩანს „ცხოვრება და წამება ფებრონიასი“ და ათანასე ათონელისა“.⁸ დიდი მეცნიერის ავტორიტეტი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქართულ ფილოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს დებულება დამკვიდრებულიყო და არავითარი ეჭვი არ გაჩენილიყო.

ერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მოვიძიეთ ათანასე ათონელის კვალი ქართულ წყაროებში და აღმოჩნდა, რომ თითქმის არაფერი არ გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გიორგი მთანმიდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ „დიდ სვინაქსარს“, სადაც ათანასე ათონელის შესახებ სულ რაღაც სამი სტრიქონია 5 ივლისისი დღეზე.⁹ არც ჰიმნოგრაფიაში – გიორგი მთანმიდელის „თვენში“ ჩანს არაფერი. ერთადერთი ათონის მთის ქართული მონასტრის აღაპებშია მითითებული: „ამასვე თუესა იანვარსა იც (18) წმიდისა ათანასის და კვრილეს დღესასწაულსა განუნესეთ მიქაელ ხუცეს

⁴ ა. შანიძე, *გიორგი მთანმიდელის ენა*, წიგნში ი. ჯავახიშვილი, *ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი*, თბილისი, 1946წ.

⁵ კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, V, თბილისი, 1957, გვ. 118.

⁶ კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბილისი, 1980, გვ. 207.

⁷ კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, III, თბილისი, 1968, გვ. 68, სქ. 1.

⁸ კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 208.

⁹ *საქართველოს ეკლესიის კალენდარი*, გამომც. „ნათლისმცემელი“, 2003, გვ. 147.

კანანახსა“.¹⁰ თუ კი ეს ათანასე ათონელია, მისი დღესასწაული აღინიშნებოდა ქართველთა მონასტერში 18 იანვარს (კვირილე – ნამდვილად ათანასეს ლავრის მონაზონია). აქვე უნდა ითქვას, რომ გიორგი მთანმიდელმა მის მიერ ნათარგმნ „დიდ სვინაქსარში“ მაქსიმე აღმსარებლის სვინაქსარული „ცხოვრების“ თარგმანს ბოლოში დაამატა ტექსტის მონაკვეთი, რომელიც მან ეფთვიმეს მიერ ბრძნულიდან გადმოთარგმნილი, უფრო სწორედ, გადმოკეთებული ტექსტიდან აიღო. იგი ამ შემთხვევაშიც ასე ხომ არ მოიქცეოდა და ბერძნულ სამსტრიქონიან ტექსტს ხომ არ განავრცობდა ქართული თარგმანის მიხედვით? სწორედ ასეთმა მწირობამასალამ დაბადა ეჭვი, რომ „ცხოვრება ათანასე ათონელისა“ ქართულად არ უნდა ყოფილიყო ნათარგმნი და ორივე სიაში მითითებული „ცხოვრება დიდისა ათანასესი“ ნამდვილად ათანასე ალექსანდრიელს გულისხმობს. ამ დებულების დამტკიცება არც თუ ძნელი აღმოჩნდა.

იოანე ათონელმა თავისი შვილის, ეფთვიმეს ნათარგმნ თხზულებათა სია ჩართო ეფთვიმეს მიერ 1002 წელს თარგმნილ იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანებაზე“ დართულ თავის ანდერძში. ე. ი. 1002 წელს ეფთვიმემ დაასრულა თავისი დიდტანიანი შრომა, რომელზეც მუშაობა, მიუხედავად ეფთვიმეს საოცარი პროდუქტულობისა, რამდენიმე, 2-3 წელი მაინც გაგრძელდებოდა.¹¹ ვთქვათ, ის ამ სამუშაოს შესრულებას შეუდგა 999-1000 წლებში, ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ათანასე ათონელი ცოცხალი იყო. სანამ ეფთვიმე ამ შრომას მოჰკიდებდა ხელს, იოანე ათონელის სიის მიხედვით, ეფთვიმეს უკვე თარგმნილი ჰქონდა თერთმეტი თხზულება, რომელთაგან ყველაზე ადრინდელია „ცხოვრება დიდისა ათანასესი“. აქედან გამომდინარე, შეიძლება მიახლოებით ითქვას, რომ ეფთვიმემ დასახელებული „ცხოვრება“ თარგმნა ყველაზე გვიან 985-992 წლებში. ცხადია, ამ დროს ათანასე ათონელი ცოცხალი და ჯანმრთელია. აქედან ნათელია, რომ ათანასე ათონელის „ცხოვრება“ ეფთვიმეს არ შეეძლო ეთარგმნა დასახელებულ წლებში და რომ მან თარგმნა ათანასე ალექსანდრიელის „ცხოვრება“, როგორც ეს ა. შანიძემ იგულისხმა, თუმცა ეს აზრი „ხმამაღლა“ არ გაცხადებულა. ათანასე ალექსანდრიელის კიმენური „ცხოვრება“, რომელიც XI საუკუნის ერთ-ერთ იერუსალიმურ ხელნაწერს (Jer. 2) შემოუნახავს, სწორედ ეფთვიმე მთანმიდელის დასახელებული თარგმანი უნდა იყოს. ეს ფაქტი ჰაგიოლოგიურ და ჰაგიოგრაფიულ მეცნიერებაში არ არის აღნიშნული. ათანასე ალექსანდრიელის კიმენური „ცხოვრების“ ქართული თარგმანის გამოცემა, რომელშიც შესწავლილი იქნება თარგმანის ტექსტოლოგიური და სტილისტური საკითხები, კიდევ უფრო დამაჯერებლად დაადასტურებს ეფთვიმეს მთარგმნელობას.

¹⁰ ე. მეტრეველი, *ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი*, თბილისი, 1998, გვ. 142.

¹¹ იოანე ოქროპირი, *თარგმანება მათეს სახარებისა*, I-III, გამოსცა ავტორთა კოლექტივმა მ. შანიძისა და ზ. სარჯველაძის რედაქტორობით, თბილისი, 1996-1998.

Enriko Gabidzashvili

**ON THE MISUNDERSTANDING ARISING OVER ONE TRANSLATION
MADE BY EUTHYMIUS THE HAGIORITE**

SUMMARY

The paper refutes the view prevalent in the scholarly literature according to which, Euthymius the Hagiorite translated “The Life of Athanasius the Athonite” from Greek, which is today believed to be lost. It is demonstrated that the cited work was never translated into Georgian, as attested by the list of the translations of Euthymius the Hagiorite compiled by his father, Ioane the Athonite, and appended by him in a colophon to Euthymius’ translation of John Chrysostom’s “Commentary on Matthew’s Gospel” (a. 1002). It is clear from the same colophon that, in circa 985-992, Euthymius translated “The Life of Athanasius the Great of Alexandria”, which is not noted specifically in modern philological researches.

მანია მაჭავარიანი

ტაო-კლარჯეთისა და შავი მთის მნიგნობრული სკოლების ისტორიიდან: ორი დავითი ძველ ქართულ მწერლობაში

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ დასმულა ერთი და იმავე სახელის მქონე მოღვაწეთა იდენტიფიკაციის საკითხი. ისინი არიან: პალესტინელი ოთხი გადამწერი, სახელად იოვანე,¹ შავ მთაზე მოღვაწე ოთხი იოვანე,² ორი ეფთვიმე – ეფთვიმე ათონელი და ეფთვიმე იერუსალიმელი,³ ორი მიქაელი – მიქაელ მოდრეკილი და მიქაელ ვარაზ-ვაჩეს ძე, ოშკის/ათონის ბიბლიის გადამწერი. ცხადია, სხვადასხვაა ამ ორი მნიგნობრის მოღვაწეობის ადგილები. ერთს, მიქაელ მოდრეკილს, შატბერდში უნდა ემოღვაწა, ხოლო მეორე მიქაელს, ვარაზ-ვაჩეს ძეს – ოშკში.⁴

მიქაელ მოდრეკილის სახელს უკავშირდება ანდერძებში ორი დავითი. ჰიმნოგრაფიული კრებულის, *დიდი სანელინდო იადგარის* (S-425, 978-988 წწ.) ანდერძებში მიქაელ მოდრეკილთან ერთად მოიხსენიება მამა დავითი, კიდევ ერთი უმცროსი დავითი და მასთან ერთად იოანე. მეცნიერთა აზრით, ერთი დავითი მიქაელის ბიძა უნდა იყოს, ხოლო მეორე – მისი დისშვილი. ვნახოთ ეს ანდერძები:

ქრისტე, მგლობელო ორთავე სუფევათაო, მეოხებითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა უმეტეს ადიდე შენ მიერ ღირსად გკრგვნოსანი უძლეველი მეფეთა მეფე დავით კურაპალატი ... მე, გლახაკმან მიქაელ მოდრეკილმან, ძმისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა დავითისმან, ... შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძო-

¹ ც. ჭანკიევი, *პალესტინელ გადამწერ იოვანეთა შესახებ*, მრავალთავი, III, თბილისი, 1973, გვ. 45-51.

² დ. თვალთვაძე, *შავ მთაზე მოღვაწე იოანეთა ვინაობისათვის*, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 31, 2004, გვ. 124-134.

³ კ. კეკელიძე, *ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში*, ეტიუდები, IV, თბილისი, 1957, გვ. 90-104.

⁴ ნ. სულავა, *ორი მიქაელი ძველ ქართულ მწერლობაში*, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2003, გვ. 33-51.

ვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი, ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა... (24r-v);

უფალო, მოიწსენე სული უღირსთა მონათა შენთაჲ დავითისი და გლახაკისა მიქაელ მოდრეკილისაჲ (56r);

უფალო, წყალობით მოიწსენე სული დავითისი (73v, 223r);

ქრისტე ღმერთო, მოიწსენე სული დავითისი და მიქაელისი (86r);

მე, გლახაკმან და ფრიად უდებებით ცხოვრებულმან, ლელვათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისათადაღონებულმან მიქაელ მოდრეკილმან ... შევეკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი, ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა ... უფალო, წყალობით მოიხსენე სული მამისა დავითისი, იოვანესი, დავითისი და წყალობა ჰყავ საწყალობელისა მიქაელისთჳს (262v).⁵

როგორც აღნიშნავენ, ანდერძებში ნახსენები მეფეთ-მეფე დავითი კურაპალატად მოიხსენიება 979 წლიდან, ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების შემდეგ, ანუ იმ დროიდან, რა დროისთვისაც მიქაელი მუშაობდა იადგარზე. მიქაელ მოდრეკილი არის ღმერთმემოსილი მამის – დავითის ძმისწული. როგორც ჩანს, ეს დავითი ცნობილი პიროვნება უნდა ყოფილიყო, რადგან მიქაელი თავს მისი საშუალებით წარმოადგენს და არა მამის სახელის მიხედვით. ჩანს აგრეთვე, რომ მამა დავითი და მიქაელ მოდრეკილი ერთ ლავრაში მოღვაწე სასულიერო პირები არიან. მღელვარე და ცოდვებით დამძიმებული მიქაელი, შესაძლოა, ხანდაზმული იყო, ანდერძის ამ სიტყვების მიხედვით.⁶

იადგარის ბოლო ანდერძში მოხსენიებული მეორე დავითი და იოანე გვხვდება აგრეთვე შატბერდის კრებულის (S-1141, X ს.-ის 70-იანი წლები) ანდერძ-მინაწერებში მიქაელ მოდრეკილთან კავშირში. დავითი და იოანე ძმებად იხსენიებიან, ხოლო მიქაელ მოდრეკილი – მათ ბიძად. შატბერდის კრებულის გადამწერი იოვანე ბერაჲ წერს: „განვასრულე წმიდაჲ ესე წიგნი ... მოღუანებითა და თანადგომითა დედის ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა, და სხუაჲ არაჲ არავის ჰრთავს, თჳნიერ სიგლახაკისა ჩემისა, და შევწირე შატბერდს საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, რომელსაცა შინა აღვიზარდე“ (285v).⁷

ნ. სულავას აზრით, მოღუანებითა და თანადგომითა ნიშნავს, რომ ბიძა და მისი

⁵ ქართულ ხელნაერთა აღწერილობა (S), I, ე. მეტრეველის რედ., თბილისი, 1960, გვ. 544-545, 548, 550, 564, 552, 566-567. თ. ჟორდანია აზრით, მოიხსენე სული ხანდახან ცოცხალ პირსაც გულისხმობს, იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892 (თბილისი, 2004), გვ. 112-113.

⁶ ნ. სულავა, ორი მიქაელი, გვ. 34-35.

⁷ თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 102, 109. შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილის გამოც., თბილისი, 1979, გვ. 21.

დისწულნი ერთად მოღვანეობდნენ ერთსა და იმავე მონასტერში, შატბერდში. იოანეს მიქაელის დისწულად მოხსენიება საამაყოდ მიაჩნია.⁸

იოვანე ბერას და მისი ძმის, დავითის შატბერდში მოღვანეობას ცხადყოფს კიდევ ერთი ხელნაწერის ანდერძი. 973 წ. შატბერდში გადანერილი ოთხთავის ანდერძ-მინაწერი, რომელიც პარხლისათვის ყოფილა განკუთვნილი, გვეუბნება: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაჲ, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს: ბავრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა; მე, იოვანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა“ (A-1453, 238r).⁹

ოშკის/ათონის „სამოთხის“ (Ath. 9, 977 წ., იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებების შემცველი ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული) ანდერძიც დავითს მიქაელ მოდრეკილის დისწულად მოიხსენიებს: „დაინერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშკს ... ესე ანდერძი მე, უღირსმან დავით, დისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა მიქაელ მოდრეკილისამან, დავწერე“ (377v).¹⁰ აქაც დავითი, ძმის მსგავსად, ამაყოფს მიქაელ მოდრეკილის დისწულობით და ღმერთშემოსილს უწოდებს მას.¹¹ ამ ანდერძის მიხედვით ჩანს, რომ დავითი ოშკში საგანგებოდ მიუწვევიათ, სადაც მას 977 წ. ათონის მონასტრისათვის სტეფანე დეკანოზის მიერ გადანერილი ხელნაწერის – „სამოთხის“ ანდერძი დაუწერია სულკურთხეული ჩორდვანელის ძის, იოვანე-თორნიკეს კარნახით ან მითითებით (ხელნაწერის მომგებელია იოვანე-თორნიკე, რომელიც ბარდა სკლიაროსზე 979 წ. გამარჯვების შემდეგ ანდერძში სვინგელოზის პატივით მოიხსენიება პატრიკის ნაცვლად. ხელნაწერის შექმნის ინიციატორი და ხელმძღვანელი, ანუ შემკვეთი, იოანე ვარაზ-ვაჩეა. ხელნაწერი გადანერილია დავითის მაგისტროსობისას, რომელიც ბარდას დამარცხების შემდეგ კურაპალატად იხსენიება. ხელნაწერს ახლავს მომგებლის და გადამწერის ანდერძები. ამ მონაცემების მიხედვით, მომგებლის ანდერძი დაწერილია ხელნაწერის გადანერიდან სულ ცოტა წლინახევრის შემდეგ, 979 წელს. ხელნაწერი სპეციალურად მომზადებულია ივირონის ლავრისათვის).¹²

⁸ ნ. სულავა, *ორი მიქაელი*, გვ. 36. *მოღუანებითა და თანადგომითა*, შატბერდის კრებულის გამომცემელთა აზრით, ნიშნავს დავითისა და მიქაელ მოდრეკილის მონაწილეობას კრებულის შედგენასა და რედაქტირებაში (*შატბერდის კრებული*, გვ. 25).

⁹ *ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით*, ა. შანიძის გამოც., თბილისი, 1945, გვ. 034-035; ნ. სულავა, *ორი მიქაელი*, გვ. 36-37.

¹⁰ თ. ჟორდანი, *ქრონიკები*, I, გვ. 108. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, ათონური კოლექცია, I, ე. მეტრეველის რედ., თბილისი, 1986, გვ. 46-47.

¹¹ პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, თბილისი, 1954, გვ. 764-768.

¹² *ათონური კოლექციის აღწერილობა*, I, გვ. 44. ე. მეტრეველი, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996, გვ. 11, 15, 27.

ოშკის „სამოთხის“ ანდერძებში მოიხსენიება ორი მიქაელი: ერთი არის ანდერძის გადამწერის – დავითის ბიძა, ანუ მიქაელ მოდრეკილი, რომელსაც შატბერდის მოღვაწედ თვლიან თ. ჟორდანიას, პ. ინგოროყვა, ნ. სულავა, ხოლო მეორე – იოვანე-თორნიკეს ძმის, იოანე ვარაზ-ვაჩეს ძე, უბრალოდ მიქაელად მოხსენიებული ჩორდვანელთა ჩამომავლობის ხსენების რიგში.¹³ ოშკის მოღვაწე ეს მიქაელი, როგორც ვარაუდობენ (ე. მეტრეველი), შემდგომ, 981 წლიდან, ათონზე ჩანს და მისი მესამე წინამძღვარი – გიორგი დიდი მაშენებელი, გიორგი ვარაზ-ვაჩე გამხდარა.¹⁴


დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს საძიებელ საკითხს ოშკის „სამოთხის“ ანდერძში მოხსენიებული დავით უმცროსის, მიქაელ მოდრეკილის დისწულის შესახებ. დავითის მიერ გადწერილი „სამოთხის“ ანდერძის შინაარსის გათვალისწინება

¹³ თ. ჟორდანიას, *ქრონიკები*, I, გვ. 112; პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 765. ნ. სულავა, *ორი მიქაელი*, გვ. 38-39.

¹⁴ ე. მეტრეველი, *ნარკვევები*, გვ. 87-106. ეს მიქაელი, როგორც მწერალი (მოდრეკილად მოხსენიების გარეშე) ხშირად გვხვდება ოშკის/ათონის ბიბლიის მინაწერებშიც (Ath. 1, 978 ნ., 422v-423r), როგორც ერთ-ერთი გადამწერი. მოხსენიებულია დანარჩენ ორ გადამწერთან – ოშკის ლავრის დეკანოზ სტეფანესა და გიორგი გელასის ძესთან ერთად. ერთ-ერთ მინაწერში იგი მოიხსენიება როგორც მიქაელ, ძე ვარაზ-ვაჩესი (213v). ხელნაწერის მომგებელი ისევ იოვანე-თორნიკეა, რომლის ნათესავთა სულის სალოცავად და ახალი ქართული მონასტრისათვის – ივირონისათვის შეიქმნა ეს წიგნი (*წიგნი ძუელისა აღთქუმისანი*, I, ბ. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის გამოც., თბილისი, 1989, გვ. 561, 564, 565, 567, 570, 571). ოშკის ბიბლიის გადამწერ ამ მიქაელს, ვარაზ-ვაჩეს ძეს, კ. კეკელიძე მიქაელ მოდრეკილთან აიგივებდა და ეფთვიმე ათონელის ძმად თვლიდა, იადგარის ანდერძში მოხსენიებული *ეფთვიმე ცოდვილის* მიხედვით (S-425, 269r. იხ. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* (S), I, გვ. 567); შესაბამისად, იოვანე ვარაზ-ვაჩეს კ. კეკელიძე იოანე მთაწმიდელთან, ეფთვიმეს მამასთან აიგივებდა (კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბილისი, 1980, გვ. 95, 176, 180, 184). ოშკის მინაწერებიდან გამომდინარე, მიქაელ მოდრეკილს კ. კეკელიძე ოშკის მოღვაწედ მიიჩნევდა, იხ. კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 175; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, I, 2, თბილისი, 1962, გვ. 453. მიქაელ მოდრეკილს შატბერდის მოღვაწედ მიიჩნევდა თ. ჟორდანიას, რადგან იმავე მიქაელის გადწერილად თვლიდა შატბერდის კრებულს, იხ. თ. ჟორდანიას, *ქრონიკები*, I, გვ. 115; იმავე აზრისა იყვნენ ნ. მარი, გ. ლეონიძე, პ. ინგოროყვა, ე. მეტრეველი, იხ. ე. მეტრეველი, *ნარკვევები*, გვ. 11. ორი მიქაელი, ოშკის სამოთხისა და ოშკის ბიბლიის ანდერძების მიხედვით, საბოლოოდ განასხვავა ნ. სულავამ. მიქაელ მოდრეკილი მან შატბერდის მოღვაწედ მიიჩნია განხილული ხელნაწერების მიხედვით, ხოლო მიქაელ ვარაზ-ვაჩეს ძე – ოშკის, შემდგომ კი უკვე ათონის მოღვაწედ. მიქაელ მოდრეკილის *იადგარში* მოხსენიებული ეფთვიმეც არ არის ეფთვიმე ათონელი. ნ. სულავას მიხედვით, იგი არის შატბერდში გადწერილი პარხლის ოთხთავის ანდერძში მოხსენიებული შატბერდის ლავრის წინამძღვარი ეფთვიმე. შესაბამისად, იოანე და ეფთვიმე, განხილული ანდერძების მიხედვით, არიან ჩორდვანელის ძმის, აბუჰარბის მემკვიდრეები და არა ჩორდვანელის შვილების – იოვანე ვარაზ-ვაჩესი და მისი ძმის იოვანე-თორნიკესი. ამ საკითხებისა და ჩორდვანელთა სახლის გენეალოგიისათვის იხ. ე. მეტრეველი, *ნარკვევები*, გვ. 16-34; 35-57. ნ. სულავა, *ორი მიქაელი*, გვ. 37, 41-44 etc.

წარმოაჩენს ავტორის დიდ თეოლოგიურ განსწავლულობას, ასევე მიწვეული გადამწერის, როგორც მაღალი რანგის მწიგნობრის, ღრმა განათლებას და ფართო გონებრივ თვალსაწიერს.¹⁵

საინტერესოა ის, რომ ბიძა, მიქაელ მოდრეკილი და დისწულნი, დავითი და იოანე, ერთად მოღვაწეობდნენ ერთ ლავრაში (სავარაუდოა, როგორც ზემოთ ვნახეთ, შატბერდში) და ერთმანეთს მოიხსენიებდნენ მათ მიერვე დამზადებულ ხელნაწერებში (იადგარში, შატბერდის კრებულში და ოშკის „სამოთხეში“). ორი დავითიც (დიდი პაპა, ანუ პაპის ძმა, და შვილთაშვილი) ამ ლავრის მკვიდრნი ჩანან, ერთმანეთის ნათესავეები: ერთი, როგორც ვთქვით, მიქაელ მოდრეკილის ბიძაა, ხოლო მეორე – მისი დისშვილი. ნ. სულავა ასე წარმოაჩენს მიქაელ მოდრეკილთან დაკავშირებულ გენეალოგიას ხსნებული ხელნაწერების ანდერძების მონაცემების მიხედვით¹⁶ (ამას დავეუმატებთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს ორი დავითიდან ერთ-ერთის გაიგივების შესახებ დავით ტბელთან თ. ჟორდანიას, კ. კეკელიძისა და ჩვენი გამოკვლევების შესაბამისად. თ. ჟორდანიასა და კ. კეკელიძის მიხედვით, ეს არის ბიძა დავითი,¹⁷ ხოლო ჩვენი გამოანგარიშების მიხედვით, დავით ტბელის მოღვაწეობა უმცროს დავითს, ანუ დისწულს შეესაბამება, თუ კი, რა თქმა უნდა, შატბერდელი დავითი ოდესმე ტბელიც შეიძლება იყოფილიყო¹⁸):



ჩვენთვის ამჯერად საყურადღებოა ის, რომ ერთ-ერთი დავითი მეცნიერებაში გაიგივებული იყო ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილ მოღვაწე დავით ტბელთან თუ დავით მტბევართან. ეს იმიტომ, რომ მიქაელ მოდრეკი-

¹⁵ ე. მეტრეველი, ნარკვევები, გვ. 11, 19, 27. ნ. სულავა, ორი მიქაელი, გვ. 36.

¹⁶ ნ. სულავა, ორი მიქაელი, გვ. 37.

¹⁷ თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 109, 112-114. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 175-176, 179, 180, შენ. 2.

¹⁸ მ. მაჭავარიანი, დავით ტბელი – X-XI საუკუნეების მოღვაწე, ლიტერატურული ძიებანი, XXVI, თბილისი, 2005, გვ. 97.

ლის იადგარში მოხსენიებულ უფროს დავითს თ. ჟორდანია მიიჩნევდა დავით მტბევარად,¹⁹ რადგან იმავე იადგარში იხსენიებოდა სტეფანე სანანოისძეც (ცალ-ცალკე, სხვადასხვა ადგილას);²⁰ ხოლო ორივე ერთად იხსენიება ზოგიერთ

¹⁹ როგორც ვთქვით, თ. ჟორდანიას აზრით, მიქაელ მოდრეკილის კრებულში მოხსენიებული უფროსი დავითი არის დავით მტბევარი, ზიძა მწერლის მიქაელისი, რომელიც იოანე მტბევარამდე ყოფილა მტბევარი – ტბეთის ეპისკოპოსი; ხოლო მეორე დავითი არის დისწული მიქაელისი და ძმა იოანე ბერაას, შატბერდის კრებულის მწერლებისა (თ. ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 109-114; 112-113).

²⁰ დავით მტბევარად, როგორც ვთქვით, თ. ჟორდანია მიიჩნევდა მიქაელ მოდრეკილის ხსენებულ ზიძას, ხოლო სტეფანე სანანოისძედ კი – მიქაელ მოდრეკილის იადგარში აბოს საგალობლის მინანურში მოხსენიებულ სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელს და სხვა საგალობლებთან მოხსენიებულ სტეფანეს: *ქრისტე, სტეფანე ჭყონდიდელისა ნეტარისანი სანანოისძისანი; ქრისტე, დიდებულ ყავ სული მათი* და სხვ. (S-425, 34v, 90r, 104r, 126r, 219v, 220r, 243r. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 546, 552, 553, 556, 564, 565). თ. ჟორდანია თვლიდა, რომ ეს ის სტეფანე სანანოისძე და დავით ტბელია, რომლებიც ერთად არიან ნახსენები რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში; ეს მნიგნობრები ასევე ერთად არიან ნახსენები XI საუკუნის მეტაფრასულ კრებულში S-384, სადაც სტეფანე სანანოისძეს მიეწერება თეოკტისტე ლეზვიელის მეტაფრასული „*ცხოვრების*“ ბერძნულიდან ქართულად თარგმნა, ხოლო დავით ტბელის ძეს კი – „*გრიგოლ აკრაკანტელის ცხოვრების*“ თარგმნა (S-384, ff. 597, 612; 771), იხ. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* (S), I, გვ. 466, 468; კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 179; კ. კეკელიძე, *ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია*, ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ. 154, 177; K. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам, ეტიუდები, V, გვ. 225. იმავე სტეფანე ჭყონდიდელს თ. ჟორდანია თვლიდა X საუკუნის მოღვაწედ იმ მიზებით, რომ ეფთვიმე ათონელის მიერ გიორგი ბერი-სადმი მიწერილ წერილში ნათქვამია შემდეგი: *სიცოცხლესავე მამისა ჩუენისა მოენერა ქართლით სტეფანე ეპისკოპოზსა ჭყონდიდელსა* ევსევი პამფილიელის წიგნის კანონიკურობის საკითხის გასარკვევად, იხ. მ. საბინინი, *საქართველოს სამოთხე*, პეტერბურგი, 1882, გვ. 432-433; თ. ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 85, 113-114; 119; 222. შესაბამისად, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა და ლ. ჯღამაია სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელს მიიჩნევენ X საუკუნის II ნახევრის, კონკრეტულად უკანასკნელი მეოთხედის მოღვაწედ, იოანე ათონელის თანამედროვედ, იხ. კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 179-180; პ. ინგოროყვა, *თხზულებათა კრებული*, III, თბილისი, 1965, გვ. 455; ლ. ჯღამაია, *X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები*, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1974, გვ. 54-66. *იადგარის* ერთ-ერთი მინანურის მიხედვით (S-425, 220r), სტეფანე მიქაელ მოდრეკილის მოძღვარია, იხ. ლ. ხაჩიძე, *მიქაელ მოდრეკილის ერთ-ერთი სვედრებელი ფორმულა*, გულანი, თბილისი, 1989. ეს მონაცემები ნ. სულავამ შეუჯერა ახალ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც დავით ტბელს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანი განუხორციელებია XI საუკუნის მეორე მეოთხედში და, შესაბამისად, ის XI საუკუნის I ნახევრის მოღვაწეა, იხ. მ. მაჭავარიანი, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები*, საღისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1999; ყველა ამ მონაცემზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორი მწერალი – სტეფანე სანანოისძე და დავით ტბელი X-XI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდნენ, იხ. ნ. სულავა, *სტეფანე სანანოისძე-ჭყონდიდელი*, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, 2000, გვ. 131-133.

წყაროში.²¹ თ. ჟორდანიას მიხედვით, კ. კეკელიძეც უფროს დავითს მიიჩნევდა სტეფანე სანანოსძესთან ერთად მოხსენიებულ მწერალ დავით ტბელად და მას თვლიდა იოანე ათონელის (მისი გაგებით, იოანე ვარაზ-ვაჩეს, ეფთვიმეს მამის) თანამედროვედ.²²

შესაბამისად, თ. ჟორდანიას მიერ დასახელებული ზოგიერთი წყაროს მონაცემის მიხედვით,²³ კ. კეკელიძეც ერთმანეთთან აკავშირებდა სტეფანე სანანოსძესა და დავით ტბელს, რადგან ეს მოღვაწენი ერთად მოიხსენიებიან რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში, სვიმეონ ლოლოთეტიც ეფრემ მცირისეულ მოსახსენებელში, XI საუკუნის კრებულის, S-384 ანდერძებში, ასევე გვიანდელ წყაროებში (XVI-XVIII სს., ბაგრატ ბატონიშვილი, იაკობ შემოქმედელი, ზაქარია გაბაშვილი). ეს უკანასკნელი წყაროები ამ მოღვაწეებს იერუსალიმთან აკავშირებს. როგორც ვთქვით, თ. ჟორდანიას და კ. კეკელიძის მიხედვით, დავით ტბელი/მტბევეარი გაიგივებულია შატბერდის მოღვაწე უფროს დავითთან, ანუ მიქაელ მოდრეკილის ბიძასთან.

ამ დავითს – შატბერდელ თუ ტბელ უფროს დავითს – უთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი (გრიგოლ ღვთისმეტყველის ხელნაწერთა მინაწერების მიხედვით, ეს არის დავით ტბელისძე, ხოლო ეფრემ მცირის ანდერძების მიხედვით, რომლებიც ერთვის ასევე გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს, ეს არის დავით ტბელი; მაშასადამე, ტბელისძე და ტბელი, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ანდერძების მიხედვით, ერთი და იგივეა). მასვე უთარგმნია კიმენური და მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული საკითხავები (მინაწერების მიხედვით, აქაც ზოგან დავით ტბელისძეა დასახელებული, ხოლო სვიმეონ ლოლოთეტიც ეფრემ მცირისეული მოსახსენებლის მიხედვით – დავით ტბელი).²⁴

ჩვენ დავათარილეთ დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი XI საუკუნის 20-40-იანი წლებით. ამდენად, თუ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მთარგმნელი დავითი ერთ-ერთი შატბერდელი დავითია, ის უნდა იყოს დავით უმცროსი, ანუ მიქაელ მოდრეკილის დისწული.

რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა ჰაგიოგრაფიული საკითხავების მთარგმნელი დავით ტბელისძე და დავით ტბელი ერთი და იგივე პიროვნება და ამავდროს, არის თუ არა ეს დავითი გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიათა მთარგმნელი დავითი, შეიძლება ვთქვათ შემდეგი:

²¹ მ. მაჭავარიანი, *დავით ტბელი – X-XI საუკუნეების მოღვაწე*, გვ. 95-96.

²² კ. კეკელიძის მიხედვით, თუ მიქელ მოდრეკილი, ძმისწული ღმერთმემოსილისა მამისა დავით ტბელისა, ძმა იყო ეფთვიმესი, დავითი ყოფილა ძმა თორნიკესი და იოანე-ვარაზვაჩესი (კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 180, შენ. 2).

²³ იხ. იქვე, შენ. 20.

²⁴ მ. მაჭავარიანი, *დავით ტბელი –X-XI საუკუნეების მოღვაწე*, გვ. 98.

ეფრემ მცირე ერთმანეთთან აიგივებს დავით ტბელისძესა და დავით ტბელს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანების ანდერძებში და მოიხსენიებს მას, როგორც თავის წინამორბედ მთარგმნელს ეფთვიმე ათონელთან ერთად. შესაბამისად, სვიმეონ ლოლოთეცისადმი მიძღვნილ მოსახსენებელში ეფრემი ახსენებს ასევე დავით ტბელს, როგორც თავის წინამორბედ მთარგმნელს მეტაფრასული საკითხავების გადმოღების საქმეში სტეფანე სანანოძესა და ეფთვიმე და გიორგი ათონელებთან ერთად. ასე რომ, ქრონოლოგიურადაც გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მთარგმნელი დავით ტბელისძე/ტბელი და მეტაფრასული საკითხავების მთარგმნელი დავით ტბელი ერთი და იგივე პიროვნება ჩანს. საგულისხმოა, რომ ყ. გარიტის დაკვირვებით, „მართას ცხოვრების“ მთარგმნელი დავითი, ხელნაწერთა კოდიკოლოგიური მონაცემების მიხედვით, აშკარად შავი მთის მოღვაწეა.²⁵ ამას დამატებით ჰაგიოგრაფიული საკითხავების ენობრივ-სტილისტური კვლევა დაადასტურებს ან უარყოფს (წინასწარი მონაცემებით, ამ საკითხავების თარგმანები სხვადასხვა მთარგმნელობითი მეთოდითაა შესრულებული). გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები კი ამ თვალსაზრისით უკვე შესწავლილია. ამ თხზულებათა თარგმნის ენობრივ-სტილისტური თავისებურებები წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ათონისა და შავი მთის, ანუ ელინოფილურ, სკოლებს შორის.²⁶

მაგრამ პასუხგაუცემელია საკითხი: მართლა არის თუ არა ეს დავით ტბელი რომელიმე შატბერდელი დავითი – მიქაელ მოდრეკილის ბიძა ან დისწული. ეს ვარაუდის დონეზე რჩება და დარჩება მანამ, სანამ ახალი ლიტერატურულ-ისტორიული არგუმენტები არ გამოვლინდება. ამჯერად შეიძლება ვთქვათ მხოლოდ ის, რომ როგორც ცნობილია, შავი მთის მწიგნობრული სკოლა ივსებოდა სამხრეთ საქართველოს მოღვაწეებით XI საუკუნის 30-იანი წლებიდან.²⁷ დავით ტბელის შავ მთაზე მოღვაწეობას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთი ადრეული ნუსხა, 1040 წ. შექმნილი ხელნაწერი P-3, სადაც გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები პირველად ჩნდება სრული სახით ეფთვიმე ათონელის თარგმანების გვერდით, გადანერილია შავ მთაზე, კალიპოს მონასტერში და გამიზნულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრი-

²⁵ G. Garitte, *Version géorgienne de la Vie de Saint Marthe* (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, 285, Scriptorum Iberici, 17), Louvain, 1968, p. XI-XII, XVII.

²⁶ ყოველივე ზემოთ თქმულისათვის დაწვრილებით იხ. მ. მაჭავარიანი, *დავით ტბელი – X-XI საუკუნეების მოღვაწე*, გვ. 102.

²⁷ ე. მეტრეველი, *შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში*, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX-B, 1959, გვ. 85-104; V. Djbadze, *Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orontes* (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, 372; Subsidia, 48), Louvain, 1976; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II, თბილისი, 1980, გვ. 152.

სათვის.²⁸ გავიხსენოთ, რომ სტეფანე სანანოისძესა და დავით ტბელს იერუსალიმს უკავშირებენ გვიანდელი წყაროები.²⁹

ამგვარად, ვარაუდის დონეზე შეგვიძლია აგრეთვე გთქვათ, რომ დავით შატბერდელს თუ ტბელს (თუ შატბერდელი დავითი ოდესმე გახდებოდა ტბელი) შეეძლო გამხდარიყო შავი მთის მოღვაწე და იქ შეესრულებინა თავისი ლიტერატურული საქმიანობა. უნდა ითქვას ისიც, რომ ზემოთ წარმოდგენილი მასალები არ გვაძლევს საკითხის უფრო მეტად დაკონკრეტების საშუალებას.

ერთი რამ კი შეიძლება დაზუსტებით ითქვას: უნდა გამოირიცხოს დავით შატბერდელის (განსაკუთრებით უფროსი დავითის) დავით ტბელთან გაიგივების ვარაუდი. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მწერლობაში ნამდვილად არსებობდა ორი შატბერდელი დავითი, ერთი დავით ტბელი ან ტბელისძე, და შესაძლოა, კიდევ ერთი დავითი, რომელსაც ჰაგიოგრაფიული საკითხავებიდან რამდენიმე უნდა ეთარგმნა.

Maia Machavariani

ON THE HISTORY OF TAO-KLARJETI AND BLACK MOUNTAIN LITERARY SCHOOLS: TWO DAVIDS IN OLD GEORGIAN LITERATURE

SUMMARY

In Georgian scholarly literature the educated scribe from Shatberdi monastery David the elder was considered to be the famous translator known in Georgian literature as David Tbeli. The analysis of the colophons of Georgian manuscripts show that several Georgian writers named David flourished in the 10th-11th centuries. Two of them (the uncle and his nephew) were from Shatberdi monastery. Regarding the chronological data, one of them (namely the younger David) could become David Tbeli, i.e. he could move to the monastery of Tbeti. According to the colophons, David Tbeli and David Tbelisdze seem to be one and the same person. Another David, the translator of some hagiographic sermons, could be a different person. The writers of South Georgia used to move to the Black Mountain. David Tbeli's name (also his transliteration method) is related to the Black Mountain, too.

All this needs to be studied thoroughly. The linguistic and stylistical analysis of the translations of hagiographic sermons will throw light on many doubtful problems. The same work is already done in the case of David Tbeli's translations of the writings of Gregory the Theologian. The following conclusion of the paper seems to be true: two Davids (uncle and his nephew) really flourished in Shatberdi monastery, but the elder of them, according to chronological data, could not be David Tbeli.

²⁸ P-3, XI ს., 427r-428r, იხ. თ. ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელი თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბილისი, 1988, გვ. 76-77.

²⁹ მ. მაჭავარიანი, *დავით ტბელი – X-XI საუკუნეების მოღვაწე*, გვ. 95.

დავით შენგელია

ისევ „დოგმატიკონის“ ნუსხეზის, „ბამოკრეხანი ნამეხათანის“ ავტორისა და არსენ იყალთოელის შესახებ

მდიდარ და მრავალფეროვან ძველ ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია არსენ იყალთოელის „დოგმატიკონს“, ვინაიდან ესაა ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი ჯერჯერობით ერთადერთი, კონკრეტულად დოგმატური თემატიკის, უაღრესად დიდი მოცულობის (გამოვლენილია 77 ნაწარმოები!) კრებული. ამ კრებულის მნიშვნელობა, ცხადია, მხოლოდ მისი თემატიკით არ განისაზღვრება. ის ერთნაირად აინტერესებთ როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევარებს.

აღნიშნულმა კრებულმა ორ ათეულზე მეტი ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე (გამოვლენილია 23 სრული კრებული¹), რაც ქართველთა შორის მის უაღრეს პოპულარობასა და ფართო გამოყენებაზე მეტყველებს. „დოგმატიკონის“ შემცველ ხელნაწერთაგან ავტოგრაფული მნიშვნელობა ენიჭება ხელნაწერ S-1463-ს. „დოგმატიკონისა“ და საერთოდ, არსენ იყალთოელის ერთ-ერთ პირველ მკვლევარს, ი. ლოლაშვილს მიაჩნდა, რომ ეს ნუსხა უშუალოდ არსენ იყალთოელის სიცოცხლეში, მისსავე თანამოღვაწეთა მიერ უნდა ყოფილიყო გადაწერილი². მკვლევარი ეყრდნობოდა S-1463-ზე დართული მარგინალიების მისეულ ინტერპრეტაციას. წინასწარი კვლევებით და ჩვენ მიერ ჩატარებული ძიების შედეგად, რომელიც ჯერჯერობით შედარებით მცირე მასალით იფარგლება, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მარგინალიები არ იძლევიან S-1463-ის თარიღის, გადაწერის

¹ ნ. ჩიკვატია, „დოგმატიკონის“ ხელნაწერი კრებულები (S-1463-თან მათი მიმართების ცხრილი), მრავალთავი XX, თბილისი, 2003, გვ. 82-83.

² იქვე, გვ. 81; ნ. ჩიკვატია, არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის“ შედგენილობა ხელნაწერი კრებულების მიხედვით, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, I, 2004, გვ. 24.

³ ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბილისი, 1978, გვ. 140-142.

ადგილისა თუ კრებულზე არსენ იყალთოელის უშუალო ზედამხედველობის შესახებ არავითარ ცნობას.⁴

კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა „დოგმატიკონის“ შემცველი კრებულების ის თავისებურებები, რომლებიც გამოავლინა ნ. ჩიკვატამ, მათი შედგენილობის ურთიერთშედარებისას.⁵ კერძოდ: 1) „დოგმატიკონში“ შემავალ თხზულებათა თანმიმდევრობა არც ერთ ხელნაწერში არ არის ერთნაირი (მაგ. K-23 იწყება თხზულებით, რომელიც S-1463-ში მეხუთეა; A-205-ში მეთორმეტე ადგილას შეტანილი თხზულება S-1463-ში მეოთხეა). 2) ზოგ ხელნაწერს აკლია S-1463-ში შემავალი ესა თუ ის თხზულება (მაგ. K-23-სა და K-24-ს). 3) ზოგში კი გვხვდება სხვა, S-1463-ში არარსებული თხზულება (მაგ. იმავე, XII საუკუნის A-205-ში). 4) ზოგან S-1463-ის რომელიმე თხზულების მხოლოდ რაღაც ნაწყვეტია ცალკე თხზულებად გატანილი.⁶ მსგავსმა სტრუქტურულმა სიჭრელემ გვაფიქრებინა, რომ S-1463 „დოგმატიკონის“ შემცველ ნუსხათა პირველწყარო არ არის, როგორც აქამდე მიაჩნდათ.

„დოგმატიკონის“ კრებულების შესახებ საინტერესო მასალა მოგვცა ერთ-ერთი თხზულების, „გამოკრებანი ნამებათანის“ შემცველი ნუსხების შესწავლამ. ეს ტრაქტატი დაცულია S-1463-ში (XII-XIII სს.) და რამდენიმე გვიანდელ, ხელნაწერში.⁷ ტექსტის დადგენისას ჩვენც ძირითად ნუსხად გამოვიყენეთ S-1463, მაგრამ აღნიშნულ კრებულთან ერთად რამდენიმე გვიანდელი ნუსხაც გამოვიყენეთ (A-267, S-401, Q-51). „გამოკრებანი ნამებათანის“ ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ექსცერპტები გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებიდან, რომელთა ბერძნული შესატყვისები უკვე იდენტიფიცირებულია.⁸

განვიხილოთ „გამოკრებანი ნამებათანში“ დაცული გრიგოლ ღმრთისმეტყველის ჰომილიათა ექსცერპტებიდან რამდენიმე მონაკვეთი, როგორც S-1463-ის, ისე სხვა, გვიანდელ ნუსხათა ჩვენებების მიხედვით.

⁴ დ. შენგელია, *იოანე დამასკელის მხოლოდ ქართული თარგმანით ცნობილი თხზულება „გამოკრებანი ნამებათანი“*, მრავალთავი XXI, თბილისი, 2005, გვ. 96-97. ახლა ვფიქრობთ, რომ შესაძლოა აღნიშნული მარგინალიების ჩვენეული ინტერპრეტაციაც არ იყოს აბსოლუტურად მისაღები და დამაჯერებელი, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ხელნაწერის (S-1463) დათარიღებისათვის ამას მაინც არა აქვს მნიშვნელობა: მინაწერები, რომლებშიც არსენ იყალთოელია მოხსენიებული, არა მხოლოდ უძველეს, არამედ გვიანდელ ნუსხებსაც გადაჰყვებათ, რაც გადანერის თარიღს, ცხადია, სულაც არ მიუთითებს.

⁵ ნ. ჩიკვატია, *არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის“ შედგენილობა*, გვ. 29.

⁶ დ. შენგელია, *იოანე დამასკელის...* გვ. 95.

⁷ ნ. ჩიკვატია, *„დოგმატიკონის“ ხელნაწერი კრებულები...* გვ. 84; K-24 (XIV), K-15 (XVII), Q-51 (1777), S-401 (XVIII), A-267 (1778)

⁸ დ. შენგელია, *იოანე დამასკელის...*

Qeıw ton Patera meızw eıpeın,
eıx ou|kai; to; iııoi~ eıhai, toi~ iııoi~ eııti; kai; t o; eıln a i.

Or. 40 PG 36 C 420

S-1463, 139v – მნებავს მამისა უფროესად თქუმაჲ, რომლისაგან არს სწორებაჲ სწორთაჲ მათ Ⴀ

A-267, 45v – მნებავს მამისა უფროესად თქუმაჲ, რომლისაგან არს სწორებაჲ სწორთაჲ მათ და ყოფაჲ.

ბერძნულ დედანში გვაქვს სიტყვები kai; to; eıhai, რომელიც გამოტოვებულია S-1463-ში (აქაც და ქვემოთაც ლაკუნებს აღვნიშნეთ Ⴀ ნიშნით), ხოლო XVIII საუკუნის ნუსხაში A-267 დადასტურებულია – „და ყოფაჲ“. როგორც ვხედავთ, უძველეს, ავტოგრაფული მნიშვნელობის ნუსხად მიჩნეულ S-1463-ში ხარვეზია, ხოლო აღნიშნული ლაკუნა ამოვსებულია გვიანდელ, XVIII საუკუნის ნუსხაში, ცხადია, რაღაც სხვა გზით. A-267-ის დედანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში S-1463 არ არის.

მსგავსი რამ ამავე ნუსხაში სხვაგანაც გვხვდება.

En gar eıh trısin hıQeoth~, kai; ta; trıa eıh, ta; eıh oi|~ hıQeoth~,
hı| tov ge akribesteron eııpeın, a| hı Qeoth~. Ta~ de; uıperbola~ kai;
eııleııyeı~ eııleııyamen... Or. 39 PG 36, 345 D 2 – 4

S-1463, 139r: რამეთუ ერთ არს სამთა შორის ღმრთეებაჲ და სამნივე ერთ, რომელთა შორის ღმრთეებაჲ Ⴀ რამეთუ მეტობანი და ნაკლულევანებანი მოვაკლნეთ...

A-267, 44v: რამეთუ ერთ არს სამთა შორის ღმრთეებაჲ და სამნივე ერთ, რომელთა შორის ღმრთეებაჲ, გინა უმკაცრესობით ითქუნ,⁹ რაჲ-იგი არს ღმრთეებაჲ, რამეთუ მეტობანი და ნაკლულევანებანი მოვაკლნეთ...

დედნისეული მთელი ფრაზა hı| tov ge akribesteron eıpeın, a| hı Qeoth~, რომელიც გამოტოვებულია S-1463-ში, გვაქვს გვიანდელ ხელნაწერ A-267-ში: გინა უმკაცრესობით ითქუნ, რაჲ-იგი არს ღმრთეებაჲ.

მსგავსი მაგალითი სხვაგანაც დასტურდება არა მხოლოდ A-267-ში, არამედ ასევე გვიანდელ ხელნაწერში Q 51:

Mesothta de; oıtan eııw, thı akıheıan legw, pro~ hıhı blepeın
kalw~ eıcomen monhn: kai; thı fauıhn sunairesın
paratoumenoi, kai; thı akıpwteran diairesın... Or. 20 PG 36, 1072 B 1- 4

S-1463, 139v ხოლო საშუალი რაჲამს ვთქუა, ჭეშმარიტებასა ვიტყვ, რომლისა მიმართ ოდენ ხედვაჲ გუაქუს კეთილად Ⴀ ბოროტად შერევენაჲ, რაჲთა არა ერთგუა-მოვნებად შემრწყუმელი სიტყუაჲ...

A-267, 45v; Q-51, 89r ხოლო საშუალი რაჲამს ვთქუა, ჭეშმარიტებასა ვიტყვ, რომლისა მიმართ ოდენ ხედვაჲ გუაქუს კეთილად ბოროტისა შერევენისაგან

⁹ ნუსხაშია: ითქვნ.

ჯმნილთა და უადგილოესა განწვალეებისა, რათა არა ერთგუამოვნებად შემრწყუმელი სიტყუა...

(გვიანდელ ნუსხათა ორთოგრაფიულ სხვაობებსა თუ შეცდომებს არ ვაჩვენებთ)

თავიდანვე, სხვა ნუსხებთან და ბერძნულ დედანთან შედარების გარეშეც ჩანს, რომ S-1463-ის გადამწერს შეცდომა მოსვლია გადანერისას, რადგან აშკარაა, აზრი არ არის გადამბული („რომლისა მიმართ ოდენ ხედვაჲ გუაქუს კეთილად ბოროტად შერევენაჲ“). ბერძნულ დედანთან შედარებისას გაირკვა, რომ S-1463-ს აკლია მთელი ფრაზა (thn fauthn sunairesin paratoumenoi, kai; thn aḡpwteran diairesin), რომელიც დასტურდება ორ გვიანდელ, XVIII საუკუნის ნუსხაში A-267-სა და Q-51-50-ში: „ბოროტისა შერევისისაგან ჯმნილთა და უადგილოესა განწვალეებისა“.

როგორც ვხედავთ, „დოგმატიკონში“ (მის ერთ-ერთ თხზულებაში „გამოკრებიანი ნამებათანის“) გვხვდება ადგილები, რომლებიც აკლია უძველეს S-1463-ს და დასტურდება გვიანდელ, XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებში. უძველესად მიჩნეული ნუსხის (S-1463) ტექსტური ხარვეზები გვიანდელ ნუსხებში სწორი, დედანთან მიმართებით ზუსტი, სრული სახით არის მოცემული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად ეს გვიანდელი ნუსხებიც სრულ ერთგვაროვნებას არ გვიჩვენებენ: პირველი ორი ლაკუნა სრული სახით მხოლოდ A-267-შია დადასტურებული, ხოლო მესამე – გარდა A-267-ისა, Q-51-შიც. უნდა ვიფიქროთ, რომ შემჩნეული ლაკუნები ამ ნუსხებში ერთმანეთისგან არ არის აღდგენილი. თუკი დავუშვებდით, რომ შემჩნეული ხარვეზები ბერძნულიდან არის ნასწორები, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ XVIII საუკუნეში ორივე გადამწერმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეადარა ბერძნულს აღნიშნული თხზულება და შეძლებისდაგვარად შეასწორა შემჩნეული შეცდომები. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში ასეთი ფართო ფილოლოგიური სამეცნიერო კვლევების ჩატარება, თანაც არა ერთი, არამედ რამდენიმე გადამწერის მიერ, შეუძლებლად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, უნდა გამოვრიცხოთ იმის შესაძლებლობა, რომ გადამწერებს ბერძნულ დედანთან ედარებინათ S-1463 და გადანერისას ესწორებინათ ის ბერძნულის მიხედვით. მით უმეტეს, რომ „დოგმატიკონში“ 77-მდე თხზულება შედის და ასეთივე ლაკუნები არა მხოლოდ „გამოკრებიანი ნამებათანში“, არამედ სხვა თხზულებებშიც არის მოსალოდნელი. შესაბამისად უნდა ვთქვათ, რომ მინიმუმ აღნიშნული ორი, გვიანდელი ნუსხა (A-267 და Q-51-50) არ არის გადანერილი S-1463-იდან, არამედ სხვა, სრული ხელნაწერიდან თუ ხელნაწერებიდან, რომელიც თუ რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებშიც არსებობდა. ანუ S-1463 „დოგმატიკონის“ ნუსხებისათვის (ყოველ შემთხვევაში ორი ნუსხისთვის მაინც) პირველწყარო ნამდვილად არ არის. ის მხოლოდ ერთ-ერთი ნუსხაა და თანაც ტექსტობრივ ხარვეზებსაც შეიცავს.

რა მნიშვნელობა აქვს იმის აღნიშვნას, რომ S-1463 ხარვეზიანი ხელნაწერი და რომ „დოგმატიკონის“ ზოგი ხელნაწერი სხვა, უფრო სანდო ნუსხიდანაა გადანერილი, თანაც გვიან, XVII-XVIII საუკუნეებში?

ჩვეულებრივ, თუ ვარიანტების ან სხვა კოდიკოლოგიურ-ტიქსტოლოგიური ნაკითხვების მიხედვით რაიმე საყურადღებო მონაცემებთან არა გვაქვს საქმე, ტექსტის დადგენისას გვიანდელ ნუსხებს არ ვითვალისწინებთ ხოლმე. „დოგმატიკონის“ თხზულებების ტექსტის დადგენისას, როგორც ჩანს, ყველა ნუსხა უნდა იქნას გათვალისწინებული, რათა მოხერხდეს სრული, უნაკლებო ტექსტის დადგენა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ფაქტს „დოგმატიკონის“ უძველეს, ავტოგრაფულ ნუსხად მიჩნეული ხელნაწერისათვისაც აქვს პრინციპული მნიშვნელობა. „დოგმატიკონის“ შედგენილობის განხილვისას კ. კეკელიძემ სავსებით ზუსტად გამოთქვა მოსაზრება, რომ კრებული გადამწერებს თანდათან უნდა შეეცნოთ სხვადასხვა მთარგმნელთა ნაშრომებით.¹⁰ შესაბამისად, დროთა განმავლობაში „დოგმატიკონის“ სხვადასხვა ნუსხაში უნდა მოხვედრილიყო არა მხოლოდ არსენ იყალთოელის, არამედ სხვათა თარგმანებიც. მკვლევარის ეს მოსაზრება ზედმინევენით დაადასტურა ნ. ჩიკვატიას მიერ შედგენილმა „დოგმატიკონის“ ნუსხათა შედგენილობის ცხრილმა (რომელიც ფასდაუდებელი გზამკვლევაა „დოგმატიკონზე“ მუშაობისას), რომლიდანაც აშკარად ჩანს, რომ სხვადასხვა ნუსხაში არა მხოლოდ ის ნაწარმოებებია შესული, რომლებიც უძველესად მიჩნეულ S-1463-ში გვხვდება, არამედ მრავლად არის განსხვავებული თხზულებებიც. ამავე ცხრილმა აჩვენა, რომ „დოგმატიკონის“ ხელნაწერები არა მხოლოდ S-1463-ისგან, არამედ ერთმანეთისაგანაც უაღრესად სხვაობენ შედგენილობის თვალსაზრისით. შეუძლებელია 23 კრებულში დაცული სხვადასხვა თარგმანი ყველა არსენ იყალთოელს ეკუთვნოდეს, მით უმეტეს, რომ მათი საერთო რაოდენობა უაღრესად ბევრია. აშკარაა, რომ სხვადასხვა გადამწერსა თუ მთარგმნელს, დამატებით ნამდვილად შეჰქონდა კრებულში არაარსენისეული თარგმანებიც, თანაც უხვად. რადგანაც სამეცნიერო ლიტერატურაში S-1463 უძველეს, ავტოგრაფული მნიშვნელობის ხელნაწერად იყო მიჩნეული, ის, ასე ვთქვათ „კონკურსგარე“ იყო და აპრიორი ითვლებოდა, რომ სხვა, გვიანდელ ნუსხებში მოხდა არაარსენისეული თარგმანების ჩართვა, ხოლო ამ ხელნაწერში დაცული თარგმანები ყველა არსენ იყალთოელს ეკუთვნის.¹¹ რადგანაც S-1463 სხვა ნუსხების პირველწყარო ნამდვილად არ არის, და ის მხოლოდ პალეოგრაფიული მონაცემებით არის დათარიღებული, ხოლო პალეოგრაფიული დათარიღება არა კონკრეტულ თარიღს, არამედ გარკვეულ, არც თუ ისე მცირე დროით მონაკვეთს მიუთითებს მხოლოდ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

¹⁰ კ. კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბილისი, 1966, გვ. 271.

¹¹ ი. ლოლაშვილი, *არსენ იყალთოელი* გვ. 140-142.

ჩვენ არ ვიცით ზუსტად როდის გადაინერა S-1463, მიგვაჩნია, რომ როგორც ყველა სხვა კრებულში, ისე ამ ხელნაწერშიც შეიძლება მოხვედრილიყო არა არსენ იყალთოელისეული თარგმანები. რასაკვირველია, ეს საკითხი საბოლოოდ მხოლოდ სათანადო კვლევების შემდეგ გაირკვევა.

„გამოკრებანი წამებათანის“ ქართულ თარგმანში იოანე დამასკელს განეკუთვნება. მის ბერძნულ დედანად მიჩნეული იყო იოანე დამასკელის „ჰიერა პარალელა“,¹² მაგრამ მკვლევარებმა (ე. ჭელიძე, ნ. ჩიკვატია) გაარკვიეს, რომ „გამოკრებანი წამებათანის“ სულ სხვა ტექსტია და მას დამასკელის „ჰიერა პარალელასთან“ არაფერი არა აქვს საერთო,¹³ გარდა თემატიკისა (ორივე, „გამოკრებანიცა“ და „ჰიერა პარალელაც“ დოგმატური თხზულებაა) და კომპილაციური შედგენილობისა (ორივე ექსცერპტებით არის შედგენილი). კიდევ უფრო საინტერესო ის აღმოჩნდა, რომ იოანე დამასკელის ჩვენთვის ხელმისაწვდომ შრომებში „გამოკრებანი წამებათანის“ დედანი ჯერჯერობით არ იძებნება.¹⁴ ხომ არ არის ეს ტრაქტატი ქართველი ავტორის მიერ შედგენილი, რაც მან შემდეგ, ამა თუ იმ მოსაზრებით, იოანე დამასკელს მიაწერა? თუ „გამოკრებანი წამებათანის“ უნდა ჰქონოდა ბერძნული დედანი, რომელიც ან დაიკარგა ან ჯერჯერობით არ არის იდენტიფიცირებული?

იმ მარტივი ლოგიკით, რომ ელინოფილური საქმიანობა დედნისადმი განსაკუთრებულად ერთგულ დამოკიდებულებას გულისხმობდა, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ „გამოკრებანი წამებათანის“ ბერძნულიდან უნდა ყოფილიყო ნათარგმნი და ის, ალბათ, მართლაც დამასკელისა უნდა ყოფილიყო¹⁵. „გამოკრებანი წამებათანის“ ტექსტს ერთგან ერთვის ამ თვალსაზრისით საყურადღებო მთარგმნელისეული მინაწერი: „შეისწავე, ვითარმედ მას საკითხავსა იტყვს ნოსელისასა, მამისა გიორგის თარგმნილსა, რომელ არტანუჯისა კრებამან განკუეთა და ბერმან ეფთვიმე გრძელმან. # მე, დარღუევისა მისისა ჴელყოფაჲ, არა უწყი, თუ რომლითა სულითა იკადრა, რომელსა აქა წმიდაჲ იოვანე დამასკელი განცხადებულად გრიგოლი ნოსელისად აღიარებს მას ყოფად, და ყოვლისა საყვრისა უმაღლეს შეასმენს უგუნურებასა განკუეთისა მისისა მკადრებელთასა“ S-1463, 161v. აღნიშნული შეისწავე ერთვის „გამოკრებანი წამებათანის“ მოცემულ ერთ-ერთ ექსცერპტს გრიგოლ ნოსელის თხზულებიდან „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“. ექსცერპტს მითითებული აქვს ავტორიც და თხზულე-

¹² ი. ლოლაშვილი, *არსენ იყალთოელი*, გვ. 112; კ. კეკელიძე, *ძველი ქართული... I*, გვ. 281.

¹³ ე. ჭელიძე, *გრიგოლ ნოსელის თხზულების „პასუხი ექუსთა დღეთათჳს“ გამომდინარე ძველ ქართულ მწერლობაში*, მაცნე, თბილისი, 1984 IV, გვ. 53; ნ. ჩიკვატია, *იოანე დამასკელის ერთი თხზულების უცნობი ქართული თარგმანი*, მრავალთავი, XIX, თბილისი, 2001.

¹⁴ PG 94, PG 95, PG 96; B Kotter, *Die Schriften des Johannes von Damaskos*, Berlin, 1969.

¹⁵ დ. შენგელია, *იოანე დამასკელის... გვ. 98-99.*

ბაც: „ნოსელი, სიტყვსგებასა შინა ექუსთა დღეთასა“. ამდენად, „გამოკრებანის“ ავტორი (და არა მთარგმნელი!) იძლევა ნაწყვეტს გრიგოლ ნოსელის აღნიშნული თხზულებიდან („პასუხი ექუსთა მას დღეთათჳს“) და ამით ადასტურებს, რომ აღნიშნული თხზულება მას, ავტორს, გრიგოლ ნოსელისად მიაჩნია. რატომ მიიჩნია საჭიროდ „გამოკრებანი წამებათანის“ ქართველმა მთარგმნელმა იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ მართლაც გრიგოლ ნოსელის ეკუთვნის? რატომ დასჭირდა მას იოანე დამასკელის ავტორიტეტის მოშველიება „პასუხის“ ნოსელისეულობის დასადასტურებლად? აღნიშნული შეისწავეს განხილვისას კ. კეკელიძემ სავსებით მართებულად დაასკვნა, რომ ექვთიმე გრძელს, უმეცრებით თუ რაღაც მოსაზრებით, ყალბად მიუჩნევია აღნიშნული თხზულება.¹⁶ შეისწავედან, მართლაც, ვიგებთ, რომ გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნოსელის „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ ფსევდონოსელისეულად მიუჩნევიათ, ეჭვი შეუტანიათ აღნიშნული თხზულების ნოსელისადმი კუთვნილებაში, და არტანუჯის კრებაზე ეფთვიმე გრძელის ინიციატივითა და ძალისხმევით ეს თხზულება დაუგმიათ.¹⁷ რამ განაპირობა ასეთი გადანწყვეტილება? მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეპისტოლის [ნოსელის „პასუხის“] განკვეთის მიზეზი უნდა ყოფილიყო მკვეთრად გამოხატული დაპირისპირება ბასილი დიდის მიერ „ექუსთა დღეთაში“ გამოთქმულ აზრებთან. რადგანაც ბასილი ორთოდოქსიის დიდი ავტორიტეტი იყო, მისდამი წინააღმდეგობა ზოგი ქართველი ორთოდოქსის მიერ ერეტიკულად შეირაცხა.¹⁸ კრებაზე მიღებული ამ მცდარი მოსაზრების გაბათილების საშუალება მიეცა „გამოკრებანის“ მთარგმნელს, რომელმაც მიაგნო „პასუხის“ ავთენტურობის ერთ მტკიცებას. კერძოდ, მან ნახა „პასუხიდან“ ნაწყვეტი სხვა ბერძენი ავტორის, იოანე დამასკელის თხზულებაში, სადაც თხზულების ავტორად იოანე დამასკელის, დიდი საეკლესიო ავტორიტეტის მიერ სწორედ ნოსელია დასახელებული. აქედან აღმოჩნდა, რომ არტანუჯის კრების გადანწყვეტილება „პასუხის“ არანოსელისეულობის შესახებ მცდარია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არტანუჯის კრებაზე „პასუხი“ ფსევდონოსელისად რომ არ ყოფილიყო მიჩნეული, „გამოკრებანის“ მთარგმნელი აღარ ჩათვლიდა ამ თხზულების ნოსელისეულობის მტკიცებას საჭიროდ.¹⁹

¹⁶ კ. კეკელიძე, *ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში*, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1957, გვ. 97.

¹⁷ ე. ჭელიძე, *გრიგოლ ნოსელის თხზულების...* გვ. 54; ამავე საკითხზე: წმიდა გრიგოლ ნოსელი, *პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს*, ე. ჭელიძის გამოცემა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1989, გვ.245; თ. ჟორდანი, *ქრონიკები*, I, თბილისი, 1892, გვ. 126.

¹⁸ ე. ჭელიძე, *გრიგოლ ნოსელის თხზულების...* გვ. 54.

¹⁹ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ღრტილას კრება (*საქართველოს სამოთხე*“, მ. საბინინის გამოცემა, პეტერბურგი, 1882, გვ. 615-621), თუმცა საქართველოს ისტორიის ეს საკითხი ჯერ კიდევ პრობლემურია. კერძოდ, გადაუჭრელია ამ კრების დათარიღება: ერთი ვერსიით აღნიშნული კრება ბაგრატ მესამის სახელს

მაგრამ ჩვენთვის ამჯერად უფრო მეტად საინტერესოა „გამოკრებიანი ნამებათანის“ ავტორის საკითხი, რომელსაც აღნიშნული შეისწავე ცალსახად წყვეტს. რადგანაც შეისწავე ეხება ქართულ სინამდვილეს (არტანუჯის კრებას, ამ კრებაზე ნოსელის ერთ-ერთი თხზულების განკვეთას, ნახსენებია ქართველი მოღვაწე ეფთჳმე გრძელი), ცალსახად უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული „შეისწავე“ ნამდვილად ეკუთვნის არა გადამწერებს, არამედ „გამოკრებიანი ნამებათანის“ ქართველ მთარგმნელს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეისწავე არა მხოლოდ S-1463-ში, არამედ სამივე, ჩვენ მიერ გამოყენებულ, გვიანდელ ხელნაწერში დასტურდება (S-401, 136v; Q-51, 152v; A-267, 94v), რაც იმას მიუთითებს, რომ შეისწავე არა რომელიმე გადამწერს, არამედ „გამოკრებიანის“ მთარგმნელს ეკუთვნის). შესაბამისად, „გამოკრებიანი ნამებათანის“ ქართველი მთარგმნელი აღნიშნული ტრაქტატის ავტორად ერთმნიშვნელოვნად აცხადებს იოანე დამასკელს. ჩვენც ერთმნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ, რომ „გამოკრებიანი ნამებათანი“ იოანე დამასკელს ეკუთვნის და ის რომელიმე ქართველი მწიგნობრის შედგენილი არ არის.

ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქართულ თარგმანებში ავტორად სხვა პირია დასახელებული, ხოლო ბერძნული ხელნაწერები სხვა ავტორს უთითებენ.²⁰ „გამოკრებიანის“ მთარგმნელი როგორც სათაურში,²¹ ასევე აღნიშნულ მინაწერში ავტორად ცალსახად ასახელებს იოანე

უკავშირდება და X საუკუნის მიწურულით თარიღდება (ზ. ალექსიძე, *ღრტილის კრება*, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 10, თბილისი, 1986, გვ. 599), ხოლო მეორე ვერსიით ის ბაგრატ IV-ს მოუწვევია 1046 წელს (კ. კეკელიძე, *ორი ექვთიმე ...* გვ. 90-104; კ. კეკელიძე, *ძველი ქართული...* გვ. 495). გარდა ამისა, განსაკუთრებით ბუნდოვანია ამ კრების ჩატარების ადგილი: მკვლევარები კ. კეკელიძე და თ. ჟორდანიას აიგივებენ ამ ორ სხვადასხვა ტოპონიმს, არტანუჯსა და ღრტილას (თ. ჟორდანიას, *ქრონიკები*, I, თბილისი, 1892, გვ. 125-126; კ. კეკელიძე, *ძველი ქართული...* გვ. 495; კ. კეკელიძე, *ორი ექვთიმე ...* გვ. 90, 95, 98-99, 104), სადაც, მათი აზრით, ჩატარდა აღნიშნული კრება, რაც, ცხადია, გარკვევას მოითხოვს. უტყუარია მხოლოდ ის, რომ ამ კრებაზე მონაწილეობდა ეფთჳმე გრძელი, რომელმაც დოგმატურ საკითხებზე პოლემიკაში დაამარცხა მარმასენის სომხური მონასტრის წინამძღვარი სოსთენი. რადგანაც არტანუჯის კრებაზეც და ღრტილას კრებაზეც ერთი და იგივე პიროვნება, ეფთჳმე გრძელი ფიგურირებს, სავარაუდოდ, ერთსა და იმავე ფაქტზე უნდა იყოს ლაპარაკი, მაგრამ ზემოთჩამოთვლილ მიზეზთა გამო ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს. ამჯერად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მხოლოდ ხელახლა იმის აღნიშვნა, რომ კრებაზე ერთ-ერთი საკითხი, როგორც აღნიშნული „შეისწავედან“ ვიგებთ, გრიგოლ ნოსელის „პასუხის“ უარყოფა ყოფილა.

²⁰ მ. რაფავა, *სვიმეონ ღმრთისმეტყველის ერთი თხზულების უცნობი ქართული თარგმანი (სინანულისათვის)*, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბილისი, 1997, გვ. 45-50; ე. ჭელიძე, *ძველი ქართული საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგია*, I, თბილისი, გვ. 388, 1996.

²¹ „წმიდათავანისა მამისა ჩუენისა, იოანე მანსურ-წოდებულისა, სიტყუანი წმიდათა

დამასკელს. მთარგმნელი რომ დარწმუნებული არ იყოს აღნიშნული თხზულების ავთენტურობაში, ამ მიზეზით ვერ გააკეთებდა, რადგან სხვანაირად მინაწერი დაკარგავდა მნიშვნელობას. ამიტომ „გამოკრებანის“ ავტორის საკითხს აღნიშნულ შემთხვევებს ვერ გავუთანაბრებთ. დამტკიცებით უნდა ვთქვათ, რომ „გამოკრებანი წამებათანი“ წამდვილად იოანე დამასკელის თხზულებაა.

აღნიშნული თხზულება, როგორც ვთქვით, მოთავსებულია „დოგმატიკონის“ ძირითად ნუსხაში S-1463-ში და რამდენიმე გვიანდელ ხელნაწერში. სწორედ ამიტომ ის იმთავითვე არსენ იყალთოელისეულად იყო მიჩნეული. ჩვენ გამოვთქვით გარკვეული შეხედულება არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებებზე, რასაც ერთგვარად წინასწარი მოსაზრება შეიძლება ვუნოდოთ, რომლის არსი მოკლედ ასეთია: არსენ იყალთოელი, როგორც ჩანს, ცდილობდა ერთდროულად ორი განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენებას. ერთი მხრივ, ის ცდილობდა საკუთარი თარგმანები ფორმალური ეკვივალენტურობის თვალსაზრისით მაქსიმალურად დაეახლოვებინა ბერძნულ დედანთან, ხოლო, მეორე მხრივ, არსენი ამავე დროს ქართული ენის ბუნებრიობის დაცვაზეც ზრუნავდა. შედეგად, არსენ იყალთოელის თარგმანებში, ერთი მხრივ, აშკარად იგრძნობა ბერძნული ენის მკვეთრი გავლენა, მაგრამ ამავე დროს მისი თარგმანები გამართული ქართული ენით არის შესრულებული.²² სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსენის თარგმანებში გვხვდება ფორმალური ბერძნიზმები (ლექსიკური, სინტაქსური), მაგრამ აღნიშნული ბერძნიზმები არ ატარებენ აბსოლუტურ ხასიათს. ბერძნიზმები არსენის თარგმანებში, მთლიან ტექსტში, ქართული ენის ბუნებრიობის ჩარჩოებს ნაკლებად ცილდებიან. უნდა ვიფიქროთ, რომ არსენი იქ იცავდა დედანთან ფორმალურ შესატყვისობას, სადაც ეს ქართულისთვის შესაძლებლად მიაჩნდა, ხოლო სადაც ბერძნული ფორმების ხელაღებით გადმოტანა ქართულ კონტექსტს ენობრივად დაზარალებდა, არსენი ცვლიდა ფორმალურ შესატყვისობას ქართულისათვის სასარგებლოდ, ოღონდ, ათონელებისაგან განსხვავებით, ისე, რომ თარგმანი მაინც დედნისგან ძალზე დაშორებული არ გამოსულიყო. შედეგად არსენმა შექმნა ისეთი თარგმანები, რომლებიც ხელოვნურ-მნიშვნობრივი ენით არის შესრულებული, მკვეთრია

მამათანი, ესე იგი არს – გამოკრებანი წამებათანი“ S-1463, 138v.

²² პირველად არსენ იყალთოელის მთარგმნელობის ამდაგვარი შეფასება მოგვცა ს. ყაუხჩიშვილი. მკვლევარი წერს: „ჩვენი მთარგმნელი ბრძედ არ მისდევს დედნის არც წინადადებათნყობას და არც ცალკეული სიტყვების შეუზღუდველ მნიშვნელობას. მას ახასიათებს დედნის ტექსტის თავისუფალი მომარჯვება და მისი ამონურვა ქართული ენის ყოველი საშუალებით. მიუხედავად ამისა, ბერძნული დედანი საკმარის გავლენას ახდენს მასზე. ამას მოწმობს მეტად დიდი პერიოდები, რომლებიც ალაგ-ალაგ გვხვდება, აუარებელი რთული სიტყვები, ქართული ენისათვის უჩვეულო კომპოზიტები. მიცემითი ბრუნვის ხმარება ნაცვლად ქართულისათვის საჭირო ნათესაობითისა...“ ს. ყაუხჩიშვილი, გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, II, თბ. 1926, გვ. 21.

ბერძნულის გავლენა, მაგრამ ამავედროს მისი თხზულებები (გვულისხმობთ არსენ იყალთოელის უეჭველ, დოგმატურ თხზულებებს: დამასკელის „გარდამოცემას“, ანასტასი სინელის „წინამძღუარს“, ნიკიტა სტითატის ტრაქტატებს, თეოდორე აბუკურას ტრაქტატებს) გამართული, ყველასათვის გასაგები ქართულით არის შესრულებული. ჩვენი აზრით, საკუთარი, უკიდურესად ინდივიდუალური მთარგმნელობითი სტილით არსენ იყალთოელი მკვეთრად განსხვავდება უკლებლივ ყველა ქართველი ელინოფილი მთარგმნელისაგან, რომელთათვის, რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც, თარგმნისას ბერძნული ენის ფორმათა გავლენა გადამწყვეტია, რითაც ქართული ენა „იჩრდილება“ და თარგმანი არათუ ხელოვნური, არამედ ბერძნული ტექსტის გათვალისწინების გარეშე ხშირად ბუნდოვანი და არც თუ ისე იშვიათად გაუგებარიც კი ხდება.

როგორც ცნობილია, არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი საქმიანობის შესწავლა ჯერჯერობით სანყის საფეხურზეც კი ძლივსაა. ამდენად ჩვენი დაკვირვება მისი მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურების შესახებ მხოლოდ წინასწარი მოსაზრების სახეს ატარებს. ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება არსენის ერთ-ერთ თარგმანზე დაკვირვება, რომელიც მ. რაფავას ეკუთვნის, და რომელიც, ჩვენი აზრით, ზემოთ გამოთქმულ შეხედულებას უმაგრებს მხარს. საუბარი გვაქვს თეოდორე აბუკურას ანტისომხურ, დოგმატურ ტრაქტატზე, რომელიც მას შეუდგენია თომა იერუსალიმელი პატრიარქის თხოვნით. შემდგომ ეს თხზულება არაბულიდან უთარგმნია ბერძნულად მიქაელ ხუცესს. თარგმანი თომა იერუსალიმელს გაუგზავნია სომხებისათვის მათ მართლმადიდებლობაზე გადმოსაყვანად.²³ ეს ტრაქტატი ქართულად უთარგმნია არსენ იყალთოელს. თარგმანის ენობრივი მხარის შესახებ მ. რაფავა წერს: „არსენი დიდი სიზუსტით თარგმნის ბერძნულ ორიგინალს. „ეპისტოლის“ მისეული თარგმანი შინაარსითაც და ფორმითაც მარტივი და გასაგებია.“²⁴ ჯერ არაბულად დაწერილი და შემდეგ არაბულიდან ბერძნულად გადმოთარგმნილი ტექსტი, სავარაუდოდ, განსაკუთრებულ სტილიზებულობას მოკლებული უნდა ყოფილიყო და ამდენად, თავად ბერძნული თარგმანი ენობრივად მარტივი გამოვიდოდა, მაგრამ ქართული თარგმანის ენობრივი სიმარტივე და სიმწყობრე მაინც არსენ იყალთოელის მთარგმნელობით თავისებურებაში უნდა ვეძებოთ და არა ბერძნული დედნის ენობრივ სიმარტივეში. რატომ? ცნობილია, მაგალითად, რომ ენობრივი თვალსაზრისით პავლე მოციქულის ეპისტოლეები უაღრესად სადა და რიტორიკულ-სტილიზებულობას მოკლებული წერილებია. სწორედ ამიტომ პავლე მოციქულის ნაწერთა სტილი ბიზანტიელ თეორეტიკოსთა მიერ

²³ მ. რაფავა, *თომა იერუსალიმელის ეპისტოლე სომეხი მონოფიზიტების მიმართ არსენ იყალთოელის „დოგმატიკონიდან“*, მრავალთავი XXI, თბილისი, 2005, გვ. 102-109.

²⁴ იქვე, გვ. 105.

„მეთევზურებრად“ განისაზღვრა, რაც სწორედ მის სისადავესა და უბრალოებას, მნიგნობრულ-ხელოვნურობას მოკლებულობას მიუთითებდა.²⁵ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ეპისტოლეები ბერძნულ ენაზე შექმნილ ერთ-ერთ ენობრივად ყველაზე მარტივ ნაწარმოებს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, „პავლენის“ გიორგი მთანმიდლისეულ რედაქციაში გვხვდება არაერთი ფორმალურად კალკირებული ადგილი, რაც ქართულ თარგმანს ნაკლებ გამართულს, არცთუ ისე იშვიათად კი სრულებით გაუგებარს ხდის.²⁶ უნდა დავასკვნათ, რომ ენობრივად ყველაზე მარტივი ბერძნული თხზულების კალკირება უკვე იძლევა გაუმართავ ქართულს, იმიტომ, რომ ნებისმიერ, ენობრივად ყველაზე სადა ბერძნულ ტექსტშიც კი აუცილებლად დევს თავად ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ე ნ ი ს სინტაქსური და მორფოლოგიური, ძ ი რ ე უ ლ ი ფორმები, რაც ბუნებრივია ბერძნულისათვის და რაც იმავე ფუნქციით, იმავე ოდენობით ნაკლებ ბუნებრივი ან სრულიად მიუღებელია ქართულისათვის. აი, ამიტომ გახდა გიორგისეული „პავლენი“ ბუნდოვანი კალკირებით გადმოტანისას (გვულისხმობთ მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთებს). რადგანაც ასეა, არსენ იყალთოელის აღნიშნული თარგმანის, თომა იერუსალიმელის ეპისტოლის ენობრივი სიმწყობრეც არა დედნის ენის სიმარტივეს, რაც თავისთავად მოსალოდნელია, არამედ მთარგმნელის მთარგმნელობით მეთოდს უნდა განვუკუთვნოთ. ეს კი, ვფიქრობთ, სწორედ არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ ჩვენი მოსაზრებების მართებულობისაზე მიუთითებს.

სწორედ იმის გამო, რომ არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი სტილი, ჩვენი აზრით, უაღრესად ინდივიდუალურია და ის მკვეთრად გამოირჩევა და განსხვავდება საერთოელინოფილურისაგან, გაგვიჩნდა ეჭვი, რომ შ ე ს ა ძ ლ ო ა „დოგმატიკონში“ დაცული „გამოკრებანი წამებათანის“ თარგმანი არ ეკუთვნოდეს არსენ იყალთოელს.²⁷ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „გამოკრებანი წამებათანის“ არაარსენისეულობის საკითხი მხოლოდ ეჭვია და მეტი არაფერი, რაც მხოლოდ შემდგომმა კვლევებმა შეიძლება დაადასტურონ ან უარყონ.

„გამოკრებანის“ ავტორის საკითხის გადაწყვეტას ორმხრივი პრობლემა უშლის ხელს: ერთი მხრივ, ამ თვალსაზრისით არც არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი საქმიანობა და არც „გამოკრებანი წამებათანი“ სათანადოდ გამოკვლეული არ არის, და მეორე მხრივ, არც არსენ იყალთოელის თარგმანების და

²⁵ ქ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით*, თბილისი, 2004, გვ. 266-267, სქ. 16, 17).

²⁶ კ. დანელია, *ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები*, თბილისი, 1983, გვ.209-295.

²⁷ დ. შენგელია, *ეკუთვნის თუ არა „გამოკრებანი წამებათანი“-ს თარგმანი არსენ იყალთოელს*, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 61-83.

არც „გამოკრებანის“ ლექსიკა არ არის შესწავლილი (თუ არ ჩავთვლით არსენის ტერმინოლოგიურ ლექსიკას²⁸). ამიტომ ჯერჯერობით ჩვენი ვარაუდი მხოლოდ ვარაუდად რჩება.

ავტორის საკითხის საბოლოოდ განყვეტის თუ არა, ამ საკითხის რამდენადმე გამოკვლევის ერთ-ერთი საშუალებად მიგვაჩნია „გამოკრებანში“ დადასტურებული ნაწყვეტების შედარება არსენ იყალთოელის უეჭველ, პარალელურ თარგმანებთან. რას ვგულისხმობთ?

„დოგმატიკონში“ შემავალი ერთ-ერთი თხზულებაა ნიკიტა სტითატის ტრაქტატები. ეს თარგმანი უეჭველად ეკუთვნის არსენ იყალთოელს, რაც დასტურდება არა მხოლოდ აშიაზე არსებული მინაწერით, რომელშიც არსენია მოხსენებული,²⁹ არამედ იმითაც, რომ ეს თარგმანიც უაღრეს ერთგვაროვნებას ამჟღავნებს არსენისეულ თარგმანებთან ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით (ანასტასი სინელის „წინამძღუართან“, დამასკელის „გარდამოცემასთან“...). არსენ იყალთოელის მიერ ნათარგმნ ნიკიტა სტითატის ტრაქტატების ერთ-ერთ ძირითად წყაროს, როგორც მ. რაფავამ გამოარკვია, წარმოადგენს გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები³⁰ – სტითატის თხზულებებში მოტანილია რამდენიმე ციტატა ნაზიანზელის ჰომილიებიდან. ამ ნაწყვეტებიდან სამი ასევე გვხვდება „გამოკრებანშიც“. ამრიგად, ჩვენ გვაქვს სამი ექსცერპტი ნაზიანზელის ჰომილიებიდან, რომლებიც არსენ იყალთოელსაც აქვს ნათარგმნი (დაცულია მის მიერ ნათარგმნ ნიკიტა სტითატის ტრაქტატში) და გვხვდება „გამოკრებანშიც“. საერთოდ ცნობილია, რომ სხვადასხვა ელინოფილი მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანები ერთმანეთთან საგრძნობ მსგავსებას აჩვენებს, რაც იმითაცაა გამოწვეული, რომ ელინოფილური სკოლის მიმდევრებს მეტ-ნაკლებად მსგავსი მთარგმნელობითი პრინციპები ჰქონდათ, და იმითაც, რომ ელინოფილურ თარგმანებს ბერძნული ენის სტრუქტურა უდევს საფუძვლად, რაც სხვადასხვა მთარგმნელის შესრულებულ თარგმანებსაც კი ერთიან, მსგავს იერსახეს ანიჭებს. სწორედ ამიტომ, ავტორის ვინაობის დასადგენად ელინოფილურ თარგმანებში არა მსგავსებას, არამედ განსხვავებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუკი, რასაკვირველია, განსხვავება პრინციპული მნიშვნელობისაა (რასაკვირველია, ამას ემატება ლექსიკის მეშვეობით ავტორის დადგენის შესაძლებლობაც, რომლითაც ამჯერად ვერ ვისარგებლებთ).

როგორც ვთქვით, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ერთი და იმავე ბერძნული მონაკვეთის უეჭველად არსენისეული და „გამოკრებანში“ დადასტურებული

²⁸ ე. ჭელიძე, *ძველი ქართული საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგია*, I, თბილისი, 1996.

²⁹ S-1463, 264 v.

³⁰ მ. რაფავა, *გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები*, გვ. 81-108; ექსცერპტები არსენ იყალთოელის მიერ ნათარგმნი ნიკიტა სტითატის ტრაქტატებიდან მოგვაქვს აღნიშნული სტატიიდან.

ვარიანტი შევუდართო ერთმანეთს. ასეთი სულ სამი ესცერპტია. აქედან ერთი, ჩვენი აზრით, არაფერ საყურადღებოს არ იძლევა³¹, ხოლო ორი დანარჩენი საინტერესო აღმოჩნდა. უნდა ვთქვათ, რომ არსენ იყალთოელის ვარიანტსა და „გამოკრებანის“ შორის დიდი მსგავსება შეინიშნება, რაც მოსალოდნელიც იყო, მაგრამ გვაქვს სხვაობები, რომლებიც, ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობისა არის. ამჯერად არ განვიხილავთ მთლიანად აღნიშნულ ექსცერპტსა და მის ქართულ თარგმანებს დანვრილებით, არამედ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო შესატყვისობებს მივაქცევთ ყურადღებას, თანაც მათ გავაანალიზებთ არა მხოლოდ არსენ იყალთოელისა და „გამოკრებანის“, არამედ ეფთვიმე მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის ვარიანტების გათვალისწინებითაც.

Or. XXXVIII

Epei; kai; paradedoxqai legetai, a]l]a; kai; e]auton paradedwkenai gegrapta i; kai; e]j g h g evr q a i para; tou' Patro;-; kai; a]j n e i l h' f q a i, a]l]a; kai; e]auton a]j n e s t a k evn a i, kai; a]j n e l h l u q evn a i pa]l in. OR. 38 PG 36 C 328

E

რამეთუ ითქუმისცა, ვითარმედ: „მიეცა იგი“, არამედ წერილ არს, ვითარმედ: „მისცა თავი თვისი“. და კუალად თქუმულ არს, ვითარმედ: „ა ლ დ გ ა მამისა მიერ და ა მ ა ლ ლ დ ა“, არამედ კუალად თქუმულ არს, ვითარმედ: „ა ლ ა დ გ ი ნა თავი თვისი და ა მ ა ლ ლ დ ა“.

M

ვინაჲთვან მიცემამაცა ითქუმის, არამედ ესეცა წერილ არს, ვითარმედ: „მისცა თავი თვისი“. და – ა ლ დ გ ი ნ ე ბ ა ე მამისა მიერ და ა მ ა ლ ლ ე ბ ა ე, არამედ კუალად ესეცა, ვითარმედ: „ა ლ ა დ გ ი ნ ა თავი თვისი და ა ლ ი ყ ვ ა ნ ა“.

³¹ სიმარტივისათვის, ძირითადად მოვიტანთ არსენ იყალთოელის თარგმანს ნიკიტა სტითატის ტრაქტატებიდან, ხოლო კავებში ვაჩვენებთ იმ სხვაობებს, რომლებიც გვხვდება პარალელურ ადგილებში „გამოკრებანიდან“ და საჭიროების შემთხვევაში, ბერძნულ დედანსაც მოვიხმობთ: „ესრეთ უკუე არიან წმიდანი წმიდათანი, რომელნი სერაფიმთადაცა [სარაფიმთადაცა „გამოკრებანი“] დაიფარვიან და იდიდებიან სამითა სინმიდითა [სამითა წმიდაობითა „გამოკრებანი“ – trisin ag]iasmoi-] ერთად [+ შემოკრებულნი „გამოკრებანი“ – suniouis] ღმრთეებად და უფლებად [-უფლებად და ღმრთეებად „გამოკრებანი“ – kuriothta kai; qeothta] შემოკრებითა [სიტყვა „შემოკრებითა“ ბერძნულშიც და „გამოკრებანიშიც“ ბოლოშია, ხოლო არსენის თარგმანში თავში. ალბათ, სტითატის ტრაქტატებში ეწერა იმ თანმიმდევრობით, როგორც არსენს აქვს]. ნიკიტა სტითატის ტრაქტატებიდან აღნიშნული ექსცერპტი მოთავსებულია „დოგმატიკონში“ S-1463, 260v, ბერძნული ტექსტი – Or. XXXVIII PG 36, 320 B13-C1, „გამოკრებანი“ – S-1463, 138v.

A

და აღდგამამისა მიერ და ამ აღდგამა, არამედ თავისა თვისა აღმადგინებელობაჲცა და აღმამაღლებელობაჲ. S-1463, 256 v³²
„გამოკრებანი“

და აღდგინებამამისა მიერ და ამ აღდგამა, არამედ თავისა თვისა აღდგინებამა და აღმამაღლებელობაჲ. S-1463, 148v
ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი შესატყვისობები:
eḡhgerqai... kai; aḡeil hf qai
აღდგა... და ამაღლდა E აღდგინება... და ამაღლება M
აღდგა... და ამაღლდა A აღდგინება... და ამაღლება „გამოკრებანი“

aḡestakenai kai; aḡel hl uḡenai

აღადგინა და ამაღლდა E აღმადგინებელობაჲცა და აღმამაღლებელობაჲ A

აღადგინა და აღიყვანა M აღდგინება და ამაღლება „გამოკრებანი“

აღნიშნული შესატყვისობები ძალზე მცირეა, არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი მეთოდის დასახასიათებლად. ამიტომ, ჩვენ აქ ყურადღებას არ გავამახვილებთ საკუთრივ არსენის მთარგმნელობით მეთოდზე და ამ საკითხს სამომავლო კვლევებს მივანდობთ. ჩვენთვის ამჯერად მხოლოდ ისაა საინტერესო, რომ ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლის, ინფინიტივის გადმოცემისას არსენ იყალთოელი ვარიანტი ორივეგან სხვაობს „გამოკრებანის“ ვარიანტისაგან.³³

განვიხილოთ მეორე ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი III ექსცერპტიდან:

tou`eḡ oul kai; di joul, kai; eḡ w| mh; fuḡsei~ t e m n oḡn t w n ... ḡ|ai|t aḡei~ t w n oḡomat w n), aḡ|l a; c a r a k t h r i z oḡn t w n mia~ kai; aḡḡugcut ou fuḡḡew~ iḡi o t h t a~
or. 39 PG 36 c 348 A7- B3

E ესე სიტყუანი, თუ „მისგან“ და „მის მიერ“ და „მისსა მიმართ“ არა ბუნებათა განჰყოფენ... არამედ გამოჰსახვენ ერთისა მის და შეურევენელისა ბუნებისა თუთებათა

M „რომლისაგან“ და „რომლისა მიერ“ და „რომლისა შინა“ არა ბუნებათა

განსჭრიან... არამედ გამოხატვენ ერთისა და შეურევენელისა ბუნებისა თუთებათა

³² ფეფთვიმე მთანმიდლის, ეფრემ მიცრისა და არსენ იყალთოელის ციტატები აქაც და ქვემოთაც მოვიტანეთ ზემოთ აღნიშნული სტატიიდან (მ. რაფავა, გრიგოლ ნაზიანზელის... გვ. 93-94).

³³ ნიკიტა სტითატის ტრაქტატებიდან აღნიშნული ექსცერპტი მოთავსებულია „დოგმატიკონში“ S-1463, 260v, ბერძნული ტექსტი – Or. XXXVIII PG 36, 320 B13- C 1, „გამოკრებანიდან“ – S-1463, 138v.

A „რომლისაგან[ი]“ და „რომლისამიერი“ და „რომლისაშინაჲ“ არა ბუნებათა განჰკუთვნენ... არამედ დაჰსახვენ ერთისა და შეურევენელისა ბუნებისა თვებთა³⁴

„გამოკრებანი“: „რომლისაგანისა“ და „რომლისამიერისა“ და „რომლისაშორისისა“ არა ბუნებისა განმკუთვნეთ... არამედ დამსახვენ ველთა თათა თათა თვებთათა ერთსა და შეურევენელსა ბუნებისათა S-1463, 139r ჩვენთვის საინტერესო შესატყვისობაა:

temnontwn... carakt hrizontwn

განჰყოფენ... გამოჰსახვენ E განმკუთვითათათა... დამსახველათათა („გამოკრებანი“)

განსჭრიან ... გამოხატვენ M

განჰკუთვენ ... დაჰსახვენ A

აქაც ამჯერად მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლის, პარტიციპიუმის გადმოტანისას არსენ იყალთოელისა და „გამოკრებანის“ ვარიანტების ისევ სხვაობენ ერთმანეთისაგან, რაც მოსალოდნელია, სწორედ სხვადასხვა მთარგმნელის არსებობით იყოს განპირობებული.

მიგვაჩნია, რომ ჩატარებული მცირე, შედარებითი ანალიზი მხოლოდ და მხოლოდ ნახალისების მიზეზი შეიძლება იყოს არსენის მთარგმნელობის შესასწავლად და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს საკითხის ამონაუროვად. „გამოკრებანის“ ავტორობის საკითხის საბოლოო გადანყვეტა სამომავლო საქმედ რჩება.

David Shengelia

**AGAIN ABOUT THE MANUSCRIPTS OF THE *DOGMATICON*,
THE AUTHOR OF THE „COLLECTION OF HOLY TESTIMONIES“
AND ARSEN IQALTOELI**

³⁴ სამივე მთარგმნელის ვარიანტი მოცემული ზემოაღნიშნულ სტატიაში: მ. რაფავა, *გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები...* გვ. 104.

SUMMARY

Arsen Iqaltoeli's *Dogmaticon* has come down to us in 23 manuscripts. Manuscript S-1463 was considered to be a collection of autographic significance. In describing the structure of the manuscript of the *Dogmaticon* it became evident that none of the manuscripts follows S-1463. The assumption was made that the cited manuscript was not the primary source of the manuscripts containing the *Dogmaticon*. A comparison of S-1463 and eighteenth-century manuscripts has confirmed this view. Besides, it was suggested that – similarly to all the manuscripts of the *Dogmaticon* – translations not belonging to Arsen Iqaltoeli may have found their way into the *Dogmaticon*, which calls for further research.

The *Dogmaticon* contains a treatise „Collection of Holy Testimonies“, ascribed in Georgian tradition to John Damascene. The Greek original of this writing has so far not been traced in Damascene's works. One marginal note (S-1463, 161v) has proved that the treatise in question belongs to John Damascene beyond doubt. The same note reports on the Artanuji Synod held in Georgia in the eleventh century. At this Synod, Gregory of Nyssa's „Apologia in Hexaameron“ was considered to belong to Pseudo-Nyssa and the treatise was denounced. The translator of this treatise of the *Dogmaticon* points to the untenability of this decision of the Artanuji Synod.

Several passages of two treatises entering the *Dogmaticon* have been compared from the viewpoint of the method of translation, bringing a difference to light, which may be indicative of different translators.

მანია რაფაჰა

ერთი იამბიკოს შესახებ პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნისა“ და იოანე პეტრინის „განმარტებუბის“ ე. ნ. ბოლოსიტყვაობაში

პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნისა“ და იოანე პეტრინის „განმარტებუბზე“ დართულ ე. ნ. ბოლოსიტყვაობაში დასტურდება ერთი იამბიკო, რომლის შინაარსი დღესდღეობით დაუზუსტებელია. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ არ არის დადგენილი იამბიკოს ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა. იამბიკო სხვადასხვანაირად იკითხება ხელნაწერებში, სხვაობამ თავი იჩინა გამოცემებშიც. სხვადასხვანაირი წაკითხვის გამო, ბუნებრივია, რომ იამბიკოს გააზრებაც განსხვავებულია. იამბიკო დასტურდება პროკლეს „კავშირნის“ და პეტრინის „განმარტებათა“ ე. ნ. ბოლოსიტყვაობის შემცველ ყველა ხელნაწერში, მათ შორის უძველეს H-1337 ნუსხაშიც. მართალია, ხელნაწერი H-1337 მე-13 საუკუნისაა, მაგრამ როგორც ცნობილია, ბოლოსიტყვაობის ტექსტი გვიანდელი ხელით არის აღდგენილი. ყველა ხელნაწერში იამბიკო გაბმულ ტექსტად წერია. „კავშირნისა“ და „განმარტებუბის“ შემცველი ხელნაწერების წაკითხვას იმეორებს ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა.¹ იამბიკო შემდეგნაირად იკითხება:

*ასერგასისთა ამათ სულისა მუსთა
ენათმაქცევი აქანტერმათა დავსწყუედ
სიტყვს მიმოჲ და იცანნ მეიროემან,
მან ერმაულად იმწუერვალენ აპოლლო.*

განსხვავებულად იკითხება იამბიკო სხვა ხელნაწერებში, კერძოდ, არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის“ შემცველ ნუსხებში. „დოგმატიკონის“ ხელნაწერების კვლევისას ამ იამბიკოს არსებობა დაფიქსირდა ორ ხელნაწერში. ესენია: S-1463 (XII –XIII სს.) და ქუთ. 23 (XIII ს.).² S-1463-ში 228r-ზე იამბიკო

¹ იოანე პეტრინი, *შრომები*, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1937, გვ. 223.

² ნ. ჩიკვატია, *არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის“ შედგენილობა ხელნაწერი კრებულების მიხედვით*, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 1, 2004, გვ. 31-32.

მინერილია ტექსტის ხელით, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ იგი ტექსტის დაწერის შემდეგ არის მინერილი უფრო მსხვილი ასოებით და შედარებით მუქი მელნით. ქუთ. 23-ში იამბიკო არის 146r-ზე. „დოგმატიკონის“ ნუსხებში იამბიკო დასტურდება ერთ-ერთი თხზულების, „სიტყვსგებაჲ ჰურიათა მიმართ“, ტექსტის აშიაზე მარგინალის სახით. რაიმე შინაარსობრივი კავშირი იამბიკოსა და ტექსტის იმ ადგილს შორის, სადაც ის დასტურდება, არ არსებობს. აშკარაა, რომ „დოგმატიკონის“ ნუსხათა აშეებზე იგი შემთხვევით არის მინერილი პროკლეს „კავშირისა“ და პეტრინის „განმარტებების“ ე. წ. ბოლოსიტყვაობის ზეგავლენით. როგორც ჩანს, „დოგმატიკონის“ გადამწერი კარგად იცნობდა ბოლოსიტყვაობის ტექსტს. ეს ფაქტი ცხადად მიუთითებს, რომ ამ თხზულებათა ტექსტები და მათი შემცველი ნუსხები ერთ სამნიგნობრო ცენტრს, გელათის ლიტერატურულ სკოლას, უკავშირდება და იქ მოღვაწე მნიგნობართა შორის ამ ტექსტების მიმოქცევაზე მეტყველებს. S-1463-ისა და ქუთ. 23-ის ხელნაწერები გადანერილი უნდა იყოს პეტრინის „განმარტებების“ და ე. წ. ბოლოსიტყვაობის შექმნის დროს ან ცოტა მომდევნო ხანაში.

„დოგმატიკონის“ ნუსხებში იამბიკო ასე იკითხება:

*ასერგასისთა ამათ სულისა მუსთა
ენათმაქცევი აქანტერმათა დავსწყუედ.
სიტყვსმიმოდაჲ იცანნ მეიროემან,
მან ერმაულად იმწუერვალენ აპოლო.*

იამბიკოს ეს ნაკითხვა უდევს საფუძვლად დ. მელიქიშვილის მიერ იოანე პეტრინის „განმარტებების“ ახალ ქართულზე გამოცემულ ტექსტს:

*სულის ამ ასორმოცდაათი ჰანგის
ენათმაქცევი აქანტერმებს დავსწყუედ.
სიტყვის მიმოქცევა შეიცან, გმირთა მეხოტბევ,
და ერმაულად იმწვერვალე აპოლონი.³*

აქვე გთავაზობთ იამბიკოს რუსულ თარგმანს, რომელიც მოცემულია იოანე პეტრინის „განმარტებათა“ რუსული თარგმანის ტექსტში⁴:

*Все сто пятьдесят душевных песен
В речь претворив сполна, сорвал аканты я,
Познайте их и вы, певцы героев,
И, как Гермес, взнеситесь к Аполлону.*

³ იოანე პეტრინი, *განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“*, დ. მელიქიშვილის გამოც., თბილისი, 1999, გვ. 216.

⁴ Петрици, *Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадокха*, перевод с древнегрузинского языка И. Д. Панцхава, Москва, 1984, с. 225.

ახლა ვნახოთ, რა განსხვავებაა ხელნაწერებში არსებულ ორნაირ წაკითხვასა და მათ თარგმანებს შორის? განსხვავებათა ჩვენების კვალდაკვალ ვეცდები ჩემი უფროსი მოსაზრებები წამოვაცენო.

ბოლო წლების სამეცნიერო გამოკვლევების მიხედვით, საბოლოოდ დადგინდა, რომ ე. წ. ბოლოსიტყვაობა, რომელშიც დასტურდება იამბიკო, არ ეკუთვნის პროკლეს „კავშირსა“ და პეტრინის „განმარტებებს“. ის სხვადასხვა თხზულებათა ფრაგმენტებისაგან შედგება. ეს ფაქტი ჯერ კიდევ ს. ყაუხჩიშვილიმა შენიშნა: „განმარტებათა“ ბოლო ნაწილი⁵, ალბათ, რომელიღაც ძველი ხელნაწერის რვეულების არევის გამო მოწყვეტილად ჩანს წინა ნაწილს“.⁶ დ. მელიქიშვილის აზრით, ბოლოსიტყვაობის დასაწყისი, ანუ ის ტექსტი, სადაც იამბიკო დასტურდება, წარმოადგენს იოანე პეტრინის მიერ ფსალმუნთა გარკვეული მუხლების გამოკრებილ თარგმანებებს.⁷ ე. ჭელიძის მიხედვით, ბოლოსიტყვაობა არის წინასიტყვაობა ფსალმუნთა და მისი კომენტარების პეტრინისეული თარგმანისა.⁸ არსებობს აგრეთვე თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ბოლოსიტყვაობა არის წინასიტყვა იოანე პეტრინის მიერ განმარტებული ბიბლიური წიგნებისა.⁹

მკვლევართა მიერ გაზიარებულ იქნა აზრი, რომ იამბიკო უკავშირდება ფსალმუნთა განმარტებებს. იგი სტრუქტურულად უნდა მოსდევდეს ფსალმუნთა ექსცერპტების წმ. სამებასთან დაკავშირებულ პეტრინისეულ კომენტარებს.¹⁰ ბოლოსიტყვაობის I ნაწილში მოყვანილია ფსალმუნთა ცალკეული მუხლები. მათი განმარტებანი ძირითადად სიმბოლური ხასიათისაა. როგორც შენიშნულია, ალევორიული ხასიათისაა ფსალმუნთა მუხლების წინასწარმეტყველების განმარტება. იოანე პეტრინი ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტრადიციებს მისდევს, იგი იძლევა საკუთარ თარგმანს ან პარაფრაზს ცალკეული მუხლისა, რისთვისაც ფართოდ იყენებს როგორც ელინთა ფილოსოფოსებს, ისე პატრისტიკული ხანის ეგზეგეტიკურ ლიტერატურას.¹¹

ის ფაქტი, რომ იამბიკო გარკვეულ კავშირშია ფსალმუნთა განმარტებების ტექსტთან, იძლევა საფუძველს, რომ იამბიკოს ცალკეული სიტყვების მნიშვნელობათა დაზუსტება და მთლიანი შინაარსის გაგება ფსალმუნთან კავშირში და მასთან ასოცირებით მოვახდინოთ. მივყვეთ იამბიკოს ტაეპებს.

⁵ იოანე პეტრინი, *შრომები*, II, გვ. 223-227.

⁶ იოანე პეტრინი, *შრომები*, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1940, გვ. XXXV.

⁷ იოანე პეტრინი, *განმარტება*, გვ. XIX-III.

⁸ ე. ჭელიძე, *იოანე პეტრინის ცხოვრება და მოღვაწეობა*, რელიგია, 1-3, 1995, გვ. 78-89.

⁹ თ. ცქიტიშვილი, *იოანე პეტრინის ერთი ორიგინალური ნაშრომის რაობისა და მნიშვნელობისათვის*, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 4, 1995, გვ. 121-139.

¹⁰ იოანე პეტრინი, *განმარტება*, გვ. 236.

¹¹ დ. მელიქიშვილი, *იოანე პეტრინის „განმარტებათა“ ბოლოსიტყვაობის შედგენილობისა და ზოგი ახალი წყაროსათვის*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 27, 1988, გვ. 173-183.

იამბიკოს I ტაეპი მარტივია და ნათელი. სიტყვები *ასერგასისთა სულისა მუსთა* პირდაპირ მიუთითებს ფსალმუნის 150 მუხლს. ფსალმუნთა ლიტურგიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, ფსალმუნური გალობები იამბიკოს ავტორის მიერ სახელდებულია *მუსად*, რაც ბერძნული *h1 moussa*-ს ეკვივალენტია. *150 სულის მუსი* ნიშნავს *150 სულის ჰანგს*, ანუ *150 ფსალმუნურ გალობას*.

ხელნაწერთა ვარიანტული წაკითხვების გამო განსხვავებულია სიტყვათა სინტაქსური კავშირი მე-2 და მე-3 ტაეპებში.

ერთი ვარიანტია: *ენათმაქცევი აქანტერმათა დავსწყუედ სიტყვს მიმოე და იცან მერიოემან*.

მეორე ვარიანტია: *ენათმაქცევი აქანტერმათა დავსწყუედ. სიტყვს მიმოდაე იცან მერიოემან*.

ამ ვარიანტთაგან აზრობრივად სწორი, გამართული წაკითხვის შერჩევის მიზნით მოგვიწევს აქ მოცემული სიტყვების მნიშვნელობების და მათ შორის არსებული სინტაქსური კავშირების გარკვევა.

გრამატიკული ნორმების მიხედვით, პირველი ვარიანტის წაკითხვა მართებული არ არის. ამ ვარიანტში შეიძლება გვეფიქრა, რომ *ენათმაქცევი* არის *სიტყვს მიმოე*-ს მსაზღვრელი: *აქანტერმათა ენათმაქცევი სიტყვს მიმოე*. მაგრამ ასეთ გააზრებას ის აბრკოლებს, რომ შემასმენელსა და პირდაპირ დამატებას შორის გრამატიკული შეუთავსებლობაა: *დავსწყუედ* ანმყო დროის ზმნაა და იგი ვერ შეითავსებს დამატებას *სიტყვს მიმოე*-ს სახელობით ბრუნვაში. *სიტყვს მიმოე* არ არის კავშირში წინადადების წინამავალ წევრებთან, მათ შორის სასვენი ნიშანი უნდა დაისვას. *სიტყვს მიმოე* შემდგომი წინადადების წევრია ისე, როგორც ეს წარმოდგენილია მე-2 ვარიანტში.

გრამატიკული ნორმების მიხედვით, სწორია მე-2 ვარიანტის წაკითხვა: *ენათმაქცევი აქანტერმათა დავსწყუედ. სიტყვს მიმოდაე იცან მერიოემან*.

რაც შეეხება მე-2 და მე-3 ტაეპების სიტყვათა მნიშვნელობებს, ისინი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. ეს სიტყვებია: *ენათმაქცევი, აქანტერმები, სიტყვს მიმოე // სიტყვს მიმოდაე*.

ენათმაქცევი ქცევა-დან ნაწარმოები აქტიური გვარის მიმღეობაა. *ქცევა*-ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები მრავლად დასტურდება ძველ ქართულ ენაში.¹² მათგან *ქცევა* ჩვენ გვაინტერესებს *სიტყვასთან, ხმასთან, ენასთან* მიმართებაში. ესენია: *სიტყუათმოქცევი // მოქცევი სიტყვსაჲ, ქცეულებაჲ სიტყუათაჲ, ჳმისა საქცეველი, მრავალმოქცეობაჲ სიტყუათაჲ; ქცევაჲ ენისაჲ; პუნქტუაციასთან დაკავშირებული სიტყვები, როგორცაა: დიდმოქცევი, წურილმოქცევი, იგურდიგმოქცევი*. ყველა ჩამოთვლილი ტერმინი გრამატიკისა და რიტორიკის სფეროს განეკუთვნება. *ქცევის* ძირითადი მნიშვნელობაა: ტრიალი, შემობრუნება, ცვლილება. ის უმრავლეს შემთხვევაში შეესაბამება ბერძნულ *stroph-*-ს, რომლის

¹² ილ. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თბილისი, 1973, გვ. 459.

მნიშვნელობები: 1) ტრიალი, ცვლილება, ცვალებადობა, შეცვლა, 2) გადატანა, სიტყვათა ინვერსია, 3) ტრიალი, ბრუნვა ფრაზისა, ენისა, 4) დაპყრობა, ფლობა.¹³

ყველა ჩამოთვლილ ტერმინში დომინირებს ტრიალის, შეცვლის მნიშვნელობა. მოვიხმობ მაგალითებს:

ამათ ... ენანი ადვილადმომქცევ ჰქონან (ეფრემ მცირე), შდრ. მზად ჰქონან (გრიგოლ ოშკელი) – გრიგოლ ნაზიანზელი, Or. 27, PG 36 col. 12 B 2). „ენანი ადვილადმომქცევ“ ნიშნავს: ენა ჰქონდათ ადვილად ბრუნებადი ანუ მარჯვე, მოქნილი.

მოქცევი სიტყვსაჲ // მოქცევობაჲ სიტყუათაჲ-ს ტერმინების მნიშვნელობას განმარტავს ეფრემ მცირე „ფილოთეონ ისტორიის“ მისეულ თარგმანზე დართულ ანდერძ-მინანერში.¹⁴ ეს ანდერძ-მინანერი სამწერლო მეცნიერული განათლებისა და ელინოფილური ორიენტაციის თვალსაზრისით იმდენად საყურადღებო თეორიულ-ლიტერატურული ხასიათისაა, რომ მას ოდნავი შემოკლებით მოვიყვან:

ხოლო აქუს წიგნსა ამას ფრიადი სიღრმე სიტყუათაჲ, უმრავლესი ბერძულად და არამცირედი ქართულადცა, რომლისა შეცვალებაჲ და გამარტივებაჲ არა ძნელ იყო, გარნა შემინდეთ უღირსსა მონასა თქუენსა ეფრემსა მცირესა, რამეთუ ესრეთ უმჯობეს ვჰგონე, რაჲთა ხატი და მოქცევი სიტყუათაჲ იგივე აქუნდეს ბერძულისაჲ ... ხოლო მოქცევობაჲ სიტყუათაჲ ამის წიგნისათაჲ ესევეთარი რაჲმე არს: რამეთუ რაჲამს სიბრძნისმოყუარე ანუ ღმრთისმგალობელთა მწყობრი თქუას, მონაზონთა სახელად, რამეთუ ჭეშმარიტად ფილოსოფოსობად, ესე იგი არს, სიბრძნისმოყუარებაჲ ჭეშმარიტსა მონაზონებასა სახელ-ედების ... და კულად, რაჲამს მონასტერსა იტყოდის, ოდესმე არვედ უჭმობს, ოდესმე – სიბრძნისმწურთელად, ოდესმე – სტადიონად. ესე და ესევეთარი ქცეულებაჲ გინა თხზულებაჲ სიტყვსაჲ არა უჭმარ არს სწავლისმოყუარეთა და კეთილად გამომეძიებელთათჳს, რაჲთა წინ-განჰმზადებდეს უღრმესთარე წიგნთათჳს.

ეფრემ მცირე სამგზის მიმართავს ჩვენთვის საინტერესო სიტყვას: (1) ხატი და მოქცევი სიტყუათაჲ, (2) მოქცევობაჲ სიტყუათაჲ, (3) ქცეულებაჲ გინა თხზულებაჲ სიტყვსაჲ. ეფრემ მცირეს, როგორც ჭეშმარიტ ელინოფილს, თარგმანის საუკეთესო პრინციპად მიაჩნია, როცა თარგმანს აქვს ბერძნულის ხატი და მოქცევი სიტყვსაჲ. ხატისა და მოქცევის სიტყუასთან ერთ სინტაგმურ წყვილში ყოფნა იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ამ ცნების სხვადასხვა ასპექტს წარმოაჩე-

¹³ A Patristic Greek Lexicon, ed. by G. W. H. Lampe, Oxford, 1968, p. 1264.

¹⁴ ეს ანდერძი მკვლევართათვის კარგად არის ცნობილი: ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984, გვ. 204. დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირე – ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის კომენტატორი (სადის-ერტაციო ნაშრომი), 1997. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბილისი, 2004, გვ. 286, 291.

ნენ. *სიტყვის ხატი* სიტყვის გარეგნულ მხარეს, ფორმას ნიშნავს, ხოლო *სიტყვის მოქცევი* – სიტყვის შინაარსობრივ-სემანტიკურ ცვლილებას, სიტყვის ალეგორიულ მნიშვნელობას. ეს რომ ასეა, ცხადდება იქვე ეფრემის მიერ მოხმობილი მაგალითებიდან. *მოქცევობაჲ სიტყუათაჲ*, ეფრემის სიტყვებით, ნიშნავს შემდეგს: ბერძნულში *სიბრძნისმოყვარეს* როცა ამბობენ, ის ალეგორიულად *მონაზვნებს* ნიშნავს, ასევე *მონასტრის* ნაცვლად ხან *არვეს* ხმარობენ, ხან –*სტადიონს*, ხან –*სიბრძნისსანურთელს*. როგორც ჩანს, ეფრემ მცირე *მოქცევობაჲ სიტყვსაჲ*-ში გულისხმობს ერთი სემანტიკის ქვეშ სხვადასხვა სიტყვის მონაცვლეობას, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის ნაცვლად მის ალეგორიულ მნიშვნელობას.. სიტყვების ასეთ ჩანაცვლებას ეფრემი უწოდებს *ქცეულებაჲ გინა თხზულებაჲ სიტყვსაჲ*-ს. მსგავსი სინონიმური სიტყვათჩანაცვლება სიმბოლურ-ალეგორიული გამოთქმის არსებითი ნიშანია და ენობრივ მოდულაციას ქმნის.¹⁵

ეფრემ მცირე თავის თარგმანებში ინარჩუნებს ბერძნულის ხატსა და მოქცევობას. იგი სავსებით იზიარებს თარგმნის იმ მეთოდს, რომელიც ეფუძნება სინონიმურ სიტყვათჩანაცვლებას. ალეგორიულ-სიმბოლური განმარტებების შემთხვევაში სიტყვათა ასეთი მონაცვლეობა აზრის გასაგებად დიდ სირთულეებს ქმნის. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ *ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს* ბერძნული სიტყვების პოლისემიურობის გამო. მაგრამ ეფრემ მცირე არ ამარტივებს *მრავალმოქცევობასა სიტყუათასა*, რათა *ხატი და მოქცევი იგივე აქუნდეს ბერძულისაჲ*, ანუ სიტყვათა შეცვლა, სიტყვათა თხზულება ბერძნულის ანალოგიური იყოს.

ძველ მწერლობაში დასტურდება ერთი რიტორიკული შინაარსის ტერმინი *სწორმოქცეობა*. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების ბასილი მინიმუსისეულ კომენტარებში ეფრემ მცირის განმარტებების მიხედვით, იკითხება შემდეგი: „*შენ იხილე, ვითარ მიუთხრობელითა შეუენიერებითა შემკობილ არს შენადგამი ესე პირველი სწორსიტყვაობითა და სწორბოლოობითა და სწორმოქცეობითა განშუენებული*“.¹⁶ *სწორმოქცეობა* არის ბერძნული *parisoiō twn periodwn*-ის ეტიმოლოგიური კალკი. *Periodoiō* სხვა ძეგლებშიც თარგმნილია, როგორც *მოქცევი*.¹⁷

ძველი მწერლობის ძეგლებში ასევე დადასტურებულია რიტორიკული ტერმინი *მრჩობლმოქცეობა* (*diplasiasmō twn te kwōwn*)¹⁸. ბერძნული *plasiw* ნიშნავს წარმოქმნას, გამოგონებას, ფორმირებას. *მრჩობლმოქცეობა* ნიშნავს

¹⁵ S. Brock, *Towards the History of Syriac Translation Technique*, Studies in Syriac Christianity, Great Britain, 1992, X, 1-14.

¹⁶ Or. 38, com. 1, Jer 15, 10v -11r, იხ. ქ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 294, 566.

¹⁷ იოანე პეტრიწი, *შრომები*, I, გვ. 119-120.

¹⁸ ქ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ 567.

წყვილად ფორმირებას, წყვილად თხზვას. ლაპარაკია გარკვეულ რიტმულ მონაკვეთებზე, კოლონებზე.

პუნქტუაციის აღმნიშვნელ ტერმინებში დადასტურებულია დიდმოქცევი და წურილმოქცევი: „ესე არს დიდმოქცევი, კითხვისსახედ მათქუმეველი სიტყვსაჲ, ხოლო წურილმოქცევი, მცირედ განსაკუთელი ოდენ სიტყვსაჲ“.¹⁹ ასევე ვხვდებით ტერმინს იგურდივმოქცევი, რომელიც მცირე პაუზას აღნიშნავს და წინადადებაში აზრის გამოყოფას, გამოკვეთას ემსახურება.²⁰

ქცევა-დან ნაწარმოებია ჳმის საქცეველი, რომელიც გულისხმობს მეტყველების შეცვლას კითხვის წესის დარეგულირების მიზნით, მოდულაციას. ამ მნიშვნელობით განმარტავს ამ სიტყვას ეფრემ მცირე „დიალექტიკის“ მისეულ თარგმანზე დართულ ორიგინალურ წინასიტყვაობაში:

არა დასაბოლოებლად ზის ექუსწერტილი, არამედ ჳმისა საქცეველად ოდენ ... რაჟამს მონამე მსაჯულისა მიმართ მეტყუელებდეს და მყის ღმრთისა მიმართ ცვალოს მეტყუელებაჲ, ესევეთარსა მას ადგილსა ექუსი წერტილი უზის, არა რაჲთა დააბოლოოს, არამედ რაჲთა ჳმაჲ იქციოს მკითხველმან.²¹

ჳმის საქცეველი ლიტურგიკული შინაარსის აღმნიშვნელი ტერმინია და გულისხმობს ანტიფონურ გალობას. საქცევი და მიმოქცევა სულხან-საბა ორბელიანის მიერ განმარტებულია, როგორც ლიტურგიკული ტერმინები:

საქცევი მუსიკათა კილოთა გასაყოფელი, გინა სხვად და სხვარიგად აქციოს რაიმე, რომელ არს სხვებრ ჩვენება, სხვებრ სმენა. კილოდ ითქმის გალობათა და ხმოვანებათ მიმოქცევათა მუხლი.²²

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოქცევი სიტყვსაჲ დიდ სიღრმეს და სირთულეს შეიცავს და როგორც ეფრემ მცირე აღნიშნავს, იგი არა უჳმარ არს სწავლის-მოყუარეთა და კეთილად გამომეძიებელთათჳს. მოქცევი სიტყვსაჲ-ის დაახლოებით ანალოგიურ განმარტებას იძლევა ბასილი დიდი თავის ერთ-ერთ სწავლაში, რომელიც სოლომონის იგავთა მნიშვნელობისა და დანიშნულების განმარტებას ეძღვნება: „მოქცევი სიტყვსაჲ არის ხელოვნებით თქუმული მრავალთხზნილება ... და მრავალსახედ შეიცვალების“. იგი უპირისპირდება ჳემმარიტ სიტყვას, რომელიც „მარტივ არს და ცხად და მარადის ერთსა ზედა ჳგიეს“. აქ შემდეგი აზრია: როცა სიტყვა მხოლოდ ერთი მნიშვნელობის მატარებელია, იგი მარტივია და ჳემმარიტი. მაგრამ როცა ერთი მნიშვნელობით სინონიმური მრავალსიტყვაობა ჩაენაცვლება ერთმანეთს, მაშინ ჳემმარიტი მნიშვნელობის დადგენა ჳირს. მოქცევი სიტყვსაჲ, ბასილი დიდის მიხედვით, არ იძლევა სიტყვის ძირითად მნიშვნელობას: „რაჟამს საქმენი იგი სხვთა სახითა იყვნენ და სიტყუანი

¹⁹ Cod. A-109, 74r, ib. თ. ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში (სადისერტაციო ნაშრომი), 2005, გვ. 160.

²⁰ ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გვ. 403, 604.

²¹ იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ. რაფავას გამოც., თბილისი, 1977, გვ. 69.

²² სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1993, გვ. 62.

იგი სხუასა იტყოდინ, იგი არს მოქცევი და უფროესად გარდაქცევაჲ ქეშმარიტებისაჲ“ (ამჟამად არ გავაგრძელებ საუბარს ბასილი დიდის იმ დებულებაზე, თუ რა ფუნქცია აკისრია იგავებს ქეშმარიტი სიტყვის მნიშვნელობის დადგენის საქმეში).²³

მოქცევი // მოქცეობაჲ სიტყვისაჲ ანუ სიტყვების ცვალება, სიტყვების თხზვა ბუნდოვანებასა და სიღრმეს რომ იწვევს, რომელსაც ხშირად განმარტება სჭირდება, დამონმებული აქვს ზ. სარჯველაძეს: *სიღრმით და მოქცეობით ჰყოფს სიტყუათა თვსთა*.²⁴

მოხმობილი მასალა ნათლად აჩვენებს, რომ *მოქცევი სიტყვსაჲ* ნიშნავს სიტყვების შეცვლას, თხზვას. *ქცეულებაჲ სიტყვსაჲ* არის იგივე *თხზულებაჲ სიტყვსაჲ*. ეს ტერმინები ანტიკური რიტორიკიდან ნასესხები ცნებების აღმნიშვნელია.

მივუბრუნდეთ ისევ იოანე პეტრიწის იამბიკოს.

იამბიკოში დადასტურებული კომპოზიტი *ენათმაქცევი ქცევა* სიტყვის ძირითადი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება ორნაირად გავიაზროთ: პირველი, იგი ნიშნავს ერთი ენის სხვა ენაზე შემცვლელს, ანუ დღევანდელი გაგებით, მთარგმნელს, რის საფუძველზე იამბიკო ბერძნულიდან თარგმნილად უნდა ვაღიაროთ. ან მეორე, *ენათმაქცევი* გავიაზროთ, როგორც *ენის შემცვლელი, მკაზმველი*, მთხზველი, რიტორიკული სტილით, ენის მომრთველი. ჩემი ვარაუდით, ეს მეორე მნიშვნელობა უფრო ახლოს არის ქეშმარიტებასთან. ამის დაშვების საშუალებას მაძლევს *ენისა* და *ქცევის* ისევ ერთ სინტაგმურ ნწყვილში ხმარება, რაც პეტრიწის ბოლოსიტყვაობის იმავე ნაწილში დასტურდება, სადაც გვაქვს იამბიკო. იმ ადგილას, სადაც პეტრიწი ლაპარაკობს მარტივი, არარიტორიკული ენისა და მოკაზმული, „მესხუე მდაბრიონთაგან“ ენის შესახებ, იგი შენიშნავს: „ვითარ დასდებს ეკლესიასტე კერძოდ სიბრძნისად *ქცევასა ენისასა* და აღწსნასა და დარღუევასა სიტყუათასა“.²⁵ *ენის ქცევა* სიბრძნის ნაწილად არის აღიარებული, ასევე სიბრძნეს განეკუთვნება *სიტყვების განმარტება და დაშლა*. ცხადია, აქ ლაპარაკია გრამატიკა-რიტორიკის ფილოსოფიასთან მიმართების შესახებ. გრამატიკა და რიტორიკა, ენის ქცევა, ენის სხვადასხვა ნორმების მიხედვით ცვლილება, რიტორიკული სტილით მოკაზმვა ფილოსოფიის ნაწილად არის აღიარებული. პეტრიწის გაგებით *ქცევაჲ ენისაჲ, ენათმაქცევი* ერთი ენიდან მეორეზე თარგმნას რომ ნიშნავდეს, გაუგებარი იქნებოდა მისი სიბრძნის, ფილოსოფიის ნაწილად გამოცხადება.

შემდეგი სიტყვა, რომლის მნიშვნელობის დადგენა პეტრიწის თხზულების მკვლევართათვის მიუღწეველი აღმოჩნდა, არის სიტყვა *აქანტერმა*. ეს სიტყვა

²³ ბასილი კესარიელის *სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი*, ც. ქურციკიძის გამოც., 1983, გვ. 128-129.

²⁴ ზ. სარჯველაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თბილისი, 1995, გვ. 144. იხ. *მოქცეობაჲ / მოქცეობაჲ*.

²⁵ იოანე პეტრიწი, *შრომები*, I, გვ. 217.

ყოველგვარი ახსნის გარეშე დამონმებული აქვს სულხან-საბასაც: *აქანტერმა იხ. კავშირის ბოლოს*.²⁶ ამ სიტყვის მნიშვნელობის დადგენა უტყუარი არგუმენტების უქონლობის გამო ჩემი მხრიდანაც მხოლოდ ვარაუდებით შემოიფარგლა. როგორია ეს ვარაუდები?

თავდაპირველად *აქანტერმას* მნიშვნელობის დაზუსტება ხელნაწერთა ტექსტის არასწორ წაკითხვას დავუკავშირე. ეს სიტყვა ყველა ხელნაწერში ერთ სიტყვად წერია, ასევეა გამოცემებშიც. შესაძლებლად მივიჩნე, რომ აქ გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომა ყოფილიყო: მან ერთად დაწერა ორი დამოუკიდებელი სიტყვა: *აქან* და *ტერმა*. *აქან* არის ადგილის ზმნისზედის *აქან*-ს დიალექტური ფორმა. ეს ფორმა XII – XV საუკუნეების ხელნაწერებში სხვა ტექსტშიც დასტურდება.

არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილ ნიკიტა სტითატის მე-2 ანტისომხურ სიტყვაში ერთგან იკითხება: „*მუნ ყრმაჲ იშვა, აქა სრულმან მამაკაცმან ნათელილო*“ (S-1463, 258v). თხზულების შემცველ ერთ-ერთ ნუსხაში (A 65, 1210 წ.) არის ვარიანტი: „*აქან სრულმან მამაკაცმან ნათელილო*“. *აქან* არის ბერძნული *αἴκη*-ს შესატყვისი.

აქან ფორმა ზ. სარჯველაძის მიერ დადასტურებულია Ath. 16 და Ath. 199 (XII-XIII სს.) ხელნაწერებში.²⁷ ამ ფორმას ვხვდებით „*იოანე ზედაზნელის ცხოვრების*“ შემცველ იერუსალიმურ ხელნაწერშიც – Jer. 36 (XIII-XIV სს.).²⁸

აქან-ზე დართული *ტერმა* ბერძნული ნასესხობაა (*terma*). მას ბერძნულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. ბოლო, დასასრული, 2. საზღვარი, 3. ნიშანი, 4. შემთხვევა, მოვლენა, 5. უმაღლესი შესაძლებლობა.²⁹ *Terma*-ს სხვა მნიშვნელობებია: 1. საბოლოო მიზანი ან შემობრუნების წერტილი, 2. სამიზნე, 3. მიზნის მიღწევა, 4. საბოლოო პუნქტი. ადგილის მნიშვნელობით: ბოლო, დასასრული; დროის მნიშვნელობით: ბოლო, დასასრული, ზღვარი, მწვერვალი.³⁰

ჩამოთვლილი მნიშვნელობებიდან იამბიკოს კონტექსტში ნახმარ *ტერმას* მიესადაგება ნიშნის, მიზნის მნიშვნელობა. *აქან*-ის ზმნიზედად გააზრების შემთხვევაში ამ კონტექსტის აზრი იქნება: მე, ასერგასისი სულის მუზის ენათ მომრთველი, აქ ვწყვეტ ტერმებს, ანუ ფსალმუნთა ნიშნებს, განსაზღვრებებს.

მეორე მოსაზრება, რომელსაც ასევე ვარაუდის სახით გამოვთქვამ, ასეთია:

აქანტერმა ბერძნულიდან ნასესხები სიტყვაა და დაკავშირებულია ბერძნულ *αἴκη* სიტყვასთან, რომლის მნიშვნელობაა ეკალი, ეკლოვნება. ამ მნიშ-

²⁶ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, გვ. 74.

²⁷ ზ. სარჯველაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გვ. 5.

²⁸ *ავიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი*, წ. გოგუაძის, ლ. ახოზაძის, მ. კვაჭაძის, ნ. ნატრაძის გამოც., I, თბილისი, 2005, გვ. 31.

²⁹ *A Greek-English Lexicon*, eds. H. G. Liddell D. D. and R. Scott D. D., Oxford, 1961, p. 1777.

³⁰ *Handwörterbuch der Griechischen Sprache*, B. von F. Passow, Leipzig, 1877, S. 1864.

ვენელობით არის ის გააზრებული იამბიკოს რუსულ თარგმანში (აკანტყ), თუმცა განმარტებებში, რომელიც ახლავს რუსულ თარგმანს, სიტყვის მნიშვნელობა ძალზე დავინროებულია, რისი აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ ჩანს. განმარტებაში წერია: Акант (греч.) – декоративное растение медвежья лапа, считавшееся очень редким.³¹

ჩემი აზრით, *აქანტერმა* უკავშირდება ზოგადად ეკალს, ეკლოვნებას და არა მაინცადამაინც მის ერთ სახეობას, *медвежья лапа*-ს. რა მძღვეს ამის საფუძველს? ჯერ ერთი, *აქანტერმა*-ს ფუძე უფრო ახლოა ბერძნულ *akantēros*-თან (ეკლოვანი, ეკლებიანი), ვიდრე *akanta*-თან. მეორე, გასათვალისწინებელია სიტყვის სემანტიკურ-სიმბოლური მნიშვნელობა. ეკალი ვარდის ბუჩქზე – ეს სიმბოლიკა ურთიერთსანინაალმდეგოს აღნიშნავს: თეზასა და ანტითეზას, არსებობასა და არარსებობას, ექსტაზსა და სიმშვიდეს, სიამოვნებასა და ტკივილს. ეკალი ასევე დაკავშირებულია ჯვრის სიმბოლიკასთან, ეკლიანი გვირგვინი დემონური ხასიათის სიმბოლოს საფუძველია.³² ბიბლიასა და შემდგომ ქრისტიანულ ეგზეგეტიკურ მწერლობაში ეკალს სიკეთის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. პატრისტიკულ ლიტერატურაში დადასტურებულია *akantēros*-ს ხმარება შემდეგი მნიშვნელობებით: 1. საერო, არასასულიერო საქმეები (გრიგოლ ნოსელი, „ქალწულებისათვის“, PG 46, col. 340 A; კლიმენტ ალექსანდრიელი, „საკითხავი, თუ რომელი მდიდარი ცხონდეს“, PG 9, col. 616 A); 2. ერესი (II ტიმოთე 2, 9); 3. ცოდვა (გრიგოლ ნოსელი, „შობისათვის“ PG 46, col. 1136 C).³³ საეროს – *გარეშეთა*-ს მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას ეფრემ მცირე თავის ორიგინალურ წინასიტყვაობაში, რომელიც დართული აქვს „წყაროე ცოდნისაჲს“ მისეულ თარგმანს. ეფრემი ლაპარაკობს ჭეშმარიტი მართლმორწმუნეების, ეკლესიის შვილების მიერ *გარეშე* ფილოსოფოსების სწავლების გამოყენების აუცილებლობაზე, „რათა მათითავე ისრითა განჰგუმერდენ მათ“. იგი შენიშნავს, რომ წმიდა იოანე დამასკელს *გარეშეთა* „ეკლოვნებითა მოუზღუდავს ვენაჲსა ამის თვისა ნაყოფთა შეუნიერებაჲ“. ³⁴ ეკლოვნებას ეფრემი იყენებს საერო ფილოსოფოსების მოძღვრების მნიშვნელობით. ეს სიტყვა უცილობლად უარყოფით კონტექსტშია ნახმარი, მაგრამ *ეკლოვნებით* საჭიროა მართლმადიდებლური მოძღვრების გარშემოვლება და დაცვა.

შესაძლებლად მიმაჩნია, რომ იამბიკოშიც *აქანტერმათა*-ს მნიშვნელობა ეკლოვნებას დაუუკავშიროთ. აზრი ასეთი იქნება: მე, ასერგასისი სულის მუზის ენათმომკაზმველი, დავწყვეტ, ანუ მოვსპობ იმ ეკლებს, რომლებიც ფსალმუნთა განმარტებებს გარს არტყია. საფიქრებელია, რომ აქ იგულისხმებოდეს ის

³¹ Петрици, *Рассмотрение платоновской философии и Прокла Диалога*, Примечания, 253, М. 1984, стр. 273.

³² *A Dictionary of Symbols*, ed. J. E. Cirlot, London, 1973, p. 3.

³³ *A Patristic Greek Lexicon*, p. 58.

³⁴ იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, მ. რაფავას გამოც., თბილისი, 1976, გვ. 67.

ეკლოვნება, რაც ფსალმუნთა სიმბოლურ-ალეგორიული სახეებისა და ცნებების განმარტებებს უკავშირდებოდა.

ამის შემდეგ, მე-3 ტაეპში, გრძელდება: „*სიტყვს მიმოდაჲ იცანნ მეიროემან*“. *სიტყვს მიმოდაჲ* იგვევია, რაც პეტრინთან ხშირად დადასტურებული *სიტყვს მიმოჲ*, რომლის მნიშვნელობაა სიტყვის მიმოცვლა, სიტყვიერება, საუბარი.

შემდეგი სიტყვა, რომელიც იამბიკოში გვანტერესებს, არის *მეიროე*. ეს ბერძნულიდან ნასესხები სიტყვაა და უკავშირდება ἠΐω-ს, გმირს. მე-ე-თი ნაწარმოები *მეიროე* ნიშნავს *გმირების* მომღერალს, გმირების მეხოტბეს. ფსალმუნურ ტექსტთან დაკავშირებულ იოანე პეტრინის იამბიკოში ფსალმუნურ გალობათა ასოციაციით *მეიროე*-ს მნიშვნელობაში მისი პოეტურ-შემოქმედებითი ფუნქცია იგულისხმება: *მეიროე* არის გმირებზე ოდის, ხოტბის შემთხვევლი. ცნობილია, რომ გმირებზე ლექსი, ხოტბა საგმირო ანუ ჰეგზამეტრული (ἠΐωβῶ) საზომით იწერებოდა.³⁵ *მეიროე* ნიშნავს ასეთი ლექსის, იროიკონის შემთხვევლს.

შემდეგი სიტყვა – *ერმაული* – მომდინარეობს ჰერმეს ტრისმეგისტონის სახელიდან. ჰერმესის სახელს უკავშირდება მუსიკისა და რიცხვების გამოგონება. მასვე უკავშირებენ სიბრძნის გაცხადების ხელოვნებას. *ერმი* მოხერხების, სიმარჯვის სახეა.

საბოლოოდ, იოანე პეტრინის იამბიკოს ჩვენეული გააზრება ასეთია:

*ასერგასისი სულის მუზის
ენათომოკაზმველი ეკლოვნებას დავენყევტ.
სიტყვის მიმოქცევა შეიცნოს იროიკოს მთხვევლმა,
მან, ერმის მსგავსად, მწვერვალად გაიხადოს აპოლონი.*

იამბიკოს ასეთი გააზრება მიმაჩნია მართებულად. ელინური სამყაროდან მოხმობილი სახელები: *მუსი*, *მეიროე*, *ერმი*, *აპოლო* – ყველა მუსიკისა და პოეზიის სფეროს უკავშირდება, რითაც იამბიკოს ავტორი სრულიად თვალნათლივ მიანიშნებს ფსალმუნთა პოეტურ-ესთეტიური გამომხატველობითი ძალის მათთან კავშირზე. იამბიკოს ამ გაგებით გააზრების შემთხვევაში ხერხდება ასორმოდაათ ფსალმუნთან დაკავშირებული ტექსტის კონკრეტიზაცია. იამბიკო ერთოდა ფსალმუნთა განმარტებებს, რომლებშიც ღრმად საწმუნოებრივი შინაარსი წარმოდგენილი იყო ელინურ-რიტორიკული ალეგორიულ-სიმბოლური ფორმებით. ფსალმუნების განმარტებათა სიმბოლურ-ალეგორიულ ხასიათზე ლაპარაკობს დ. მელიქიშვილიც.³⁶ ეს სიმბოლურ-ალეგორიული ფორმები არის ის ეკლოვნება, რომლითაც შემოზღუდულია ფსალმუნური მუხლები.

იამბიკოს არსებობა პეტრინის ბოლოსიტყვაობაში ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ბოლოსიტყვაობის ტექსტი ერთგვაროვანი არ არის და განსხვავებული წყაროებით არის შედგენილი. ერთ-ერთი მათ შორის არის ფსალმუნთა თარგმანების ჯერჯერობით უცნობი ტექსტი, რომელიც უთარგმნია იოანე

³⁵ *A Greek-English Lexicon*, p. 778.

³⁶ დ. მელიქიშვილი, *იოანე პეტრინის „განმარტებების“ ბოლოსიტყვაობის შედგენილობისა და ზოგი ახალი წყაროსათვის*, გვ. 173.

პეტრინს, შესაძლოა ფსალმუნის ტექსტთან ერთად. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ამ იამბიკოზე დაყრდნობით უეჭველი ხდება, რომ ბოლოსიტყვაობა არ ეკუთვნის პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ პეტრინისეულ „განმარტებებს“.

იამბიკოსთან დაკავშირებით კიდევ ერთი კითხვა იჩენს თავს: ის ორიგინალური, იოანე პეტრინის ტექსტია, თუ ბერძნულიდან არის ნათარგმნი ფსალმუნთა განმარტებების ტექსტთან ერთად? ვარაუდის დონეზე ერთიც დასაშვებია და მეორეც. ერთი მხრივ, ბერძნობებით გაჯერებული იამბიკოს ბერძნულიდან თარგმნა ბუნებრივად გამოიყურება, მაგრამ, მეორე მხრივ, იოანე პეტრინის ულტრაელინოფილური ენა და სტილი იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი იამბიკოს ავტორად მივიჩნიოთ. დამატებითი მტკიცებულებების გარეშე ეს კითხვა ღიად რჩება.

Maia Rapava

ON ONE IAMBUS IN PROCLUS' "ELEMENTS OF THEOLOGY" AND IN THE SO-CALLED EPILOGUE TO IOANE PETRITSI'S COMMENTARIES

SUMMARY

The epilogue to the “Elements of Theology” of Proclus Diadochus and Ioane Petritsi’s “Commentaries” contains an iambus, the understanding of which has hitherto remained difficult. This is due to the fact that a word borrowed from the Greek language is absent in Greek in the form in which it occurs in the iambus. Reference, is to the word *akanterma*. The author of the present paper makes two assumptions: (1) *akanterma* may be taken to be an erroneous combination of two words: *akan* and *terma*. *Akan* must be a Georgian adverbial participle, meaning “here”, while *terma* in Greek has the meaning of “end”, “limit”, etc.; (2) *akanterma* is connected with the Greek word *acantha* (acanthus, prickly herb), having a symbolic meaning of philosophers, heresies – all that is unorthodox.

The Greek words found in the iambus: “muses”, “akanterma”, “meiroe”, “ermaneli”, “apollo” – all are connected with the Classical rhetoric vocabulary, meaning musicality, poeticalness. This functional slant of the iambus leaves no doubt in its connection with the Psalms, in particular, with commentaries on the Psalms. An analysis of the iambus provides every reason for a definitive affirmation of the view put forward in the specialist literature, according to which the iambus wound up the commentaries on the Psalms, being the first part of Ioane Petritsi’s Epilogue.

ლელა ალაქსიძე

ნება ნეოპლატონიზმში: პროკლე და პეტრინი

ნება ის თემაა, რომლის ინტერპრეტაცია პიროვნებისა და პიროვნულის გაგების წარმოჩენასაც გულისხმობს. ცნობილია, რომ ანტიკურ ფილოსოფიასა და საერთოდ აზროვნებაში პიროვნული და ინდივიდუალური ნაკლებად ღირებული იყო, ვიდრე უნივერსალური და საზოგადო.¹ ნება და პიროვნული თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა პატრისტიკაში (კლიმენტი ალექსანდრიელი, ირინეოსი, ორიგენე, კაპადოკიელები), რადგან ეკლესიის მამები ადამიანის ღვთის ხატად გაგებას ემყარებოდნენ და ამ ხატობის პრინციპს, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებაში ხედავდნენ. გრიგოლ ნაზიანზელის თქმით, ღმერთმა პატივი სცა ადამიანს თავისუფალი ნების მინიჭებით;² ცუდს აირჩევს ის თუ კარგს, ღმერთთან მსგავსებას თუ არამსგავსებას, ადამიანი თავის ბუნებას თავისუფლად ფლობს, რადგან ის ღმრთის ხატად არის შექმნილი.³ დიონისე არეოპაგელის სქოლიასტმა ეს აზრი ლაკონურად ასე გამოთქვა: „*მოსპე თვთმფლობელობაჲ ჩუენი და არცაღა ხატ ღმრთისა ვიყვნეთ*“.⁴ მონოთელიტიზმსთან კამათში ქრისტეს ადამიანური ნების დაცვამ ხელი შეუწყო ადამიანის ნებისა და თავისუფლების საკითხებზე უფრო ღრმად დაფიქრებას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მაქსიმე აღმსარებლის შემოქმედებაში, რომლის თეოლოგიის, და კერძოდ ქრისტოლოგიის დიდი, არსებითი და ორგანული ნაწილი არის ანთროპოლოგია.

გასაკვირია და თან არც არის გასაკვირი, რომ იოანე პეტრინი თავის კომენტარში პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებზე“ ნებისა და თავისუფლების საკითხს საკმაოდ მოკლედ, მშრალად და სასხვათაშორისოდ ეხება. გასაკვირია

¹ ეპიკურეიზმი თავისებური გამონაკლისი იყო, რომელიც საერთო კანონზომიერებასთან დაპირისპირებით მას კიდევ უფრო განამტკიცებდა.

² Jè "ἸJ, >@LF\ǎ J4: ZF"H: Greg. Naz. Or. XLV – PG 36, col. 632 C.

³ V. Lossky, *Théologie mystique de l'Église d'Orient*, Paris 1944, p. 119-120.

⁴ Cod. A-110, გვ. 107, ეფრემ მცირეს თარგმანი. ხატობა-მსგავსებას ეხება ჩემი სტატია: *ღვთის ხატი და მსგავსება (პლატონი – ფილონი – ეკლესიის მამები – იოანე პეტრინი)*, რელიგია 7-8-9, 1995, გვ. 14-27.

იმდენად, რამდენადაც ის მეთორმეტე საუკუნის ქრისტიანი ფილოსოფოსია, რომელმაც არა მარტო ანტიკური ფილოსოფია იცოდა, არამედ პატრისტიკული ტრადიციაც. ალბათ შეუძლებელია მას ისიც არა სცოდნოდა, რომ ბიზანტიურ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ წრეებში პროკლეს წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის ერთ-ერთი არსებითი არგუმენტი მის შრომებში, კერძოდ „თეოლოგიის საფუძვლებში“, ნების საკითხის არასაკმარისი დამუშავება და, ფაქტიურად, ნების არსებობაზე დაყვანა იყო.⁵ ამის მიუხედავად, ნების საკითხს პეტრინი, უფრო მეტად, როგორც წმინდა „ანტიკური“ ნეოპლატონიკოსი, კერძოდ, პროკლეს მიმდევარი უდგება, და არა როგორც ქრისტიანი მოაზროვნე. გასაკვირი კი ეს იმიტომ არ არის, რომ მან ასევე განმარტა ზოგიერთი სხვა საკითხიც, თანაც ისეთი, რომლებიც ანტიკურ და ქრისტიანულ ფილოსოფიებს შორის არსებით განსხვავებას გამოხატავს.

სანამ პეტრინს შევეხებოდეთ, ვნახოთ, როგორ აისახა ნების თემა პროკლესთან. წინასწარ ვიტყვი, რომ ორივე ფილოსოფოსთან საკითხი დგას, ერთი მხრივ, ერთთან მიმართებაში, მეორე მხრივ კი, პეტრინის ენით რომ ვთქვათ, „მიზოზონთან“, ანუ შედეგთან მიმართებაში.

პროკლე

პროკლესთვის ნების თავისუფლება არსების შესაბამის მოქმედებაში გამოიხატება. ნებას პროკლე განსაზღვრავს როგორც ერთთან მიმართებაში, ასევე ქვემდგომ არსებებთან დაკავშირებით (მათ შორის შემოქმედი გონებაც იგულისხმება) და, აგრეთვე, ადამიანებთან მიმართებაში. ყველა შემთხვევაში ნების საფუძველს ამა თუ იმ სუბიექტის არსება წარმოადგენს.

ქვევიდან დავიწყით: ადამიანით.

სული, განგება, ბედისწერა

ადამიანი პროკლესთვის უპირველეს ყოვლისა სულია.⁶ ადამიანს აქვს სხეულიც და გონებაც. სული სხეულს იყენებს და გონებას ფლობს. ამით ჰგავს

⁵ Nicol. Meth. in Procl. El. Theol. prop. 76. (Nicholas of Methone, *Refutation of Proclus' Elements of Theology*. A critical edition with an introduction on Nicholas' life and works by Athanasios D. Angelou. Athens, Leiden 1984). უფრო დანვრილებით იხ. ჩემ სტატიაში *Dionysius Areopagita in den mittelalterlichen Kommentaren zur „Elementatio theologica“ des Proklos*, in: Selbst – Singularität – Subjektivität: Vom Neuplatonismus zum Deutschen Idealismus. Amsterdam/Philadelphia, 2002, S. 121.

⁶ Procl. Decem dub. VI, 36 (*Procli Diadochi Tria Opuscula* (De Providentia, Libertate, Malo). Latine Guilelmo de Moerbeka vertente et Graece ex Isaaki Sebastocratoris aliorumque scriptis collecta. Ed. Helmut Boese, Berlin, 1960; Proclus, *Trois études sur la providence*. Texte établi et traduit par D. Isaac; I (Dix problèmes concernant la providence), Paris 1977; II (Providence, fatalité, liberté), Paris 1979; III (De l'existence du mal), Paris 1982. Procl. in Alc. 18, 4-5 (Proclus Diadochus, *Commentary on the first Alcibiades of Plato*. Critical Text and Indices by

ადამიანი კოსმოსს და ამიტომ არის ის მიკროკოსმოსი.⁷ სული ნივთიერ სამყაროში ჩამოვიდა, ისევე როგორც საგანთა სიმრავლე ერთიდან წარმოიშვა. „ლოგოსური“ სული, რომელიც სულის უმაღლესი სახეა, პროკლეს თანახმად, ამ ჩამოსვლის მიუხედავად, უცვლელი დარჩა, თუმცა ის გარკვეულწილად ნივთიერთან ურთიერთობს. პირველი და უმაღლესი საფეხური სულის ნივთიერთან ურთიერთობისა არის „ეტი“, ის „ოქიმა“, რომელსაც პეტრინი კომენტარების ბოლო თავებში შეეხო. სხეული და ყველაფერი სხეულოვანი პროკლესთვის ბედისწერას ემორჩილება. პროკლე განასხვავებს განგებას (providentia) და ბედისწერას, ფატალურობას (fatum). ის სამი სახის განსხვავებას ასახელებს და მათ ურთიერთკავშირს ცხადყოფს: (1) ორივე მიზეზია ყველაფრისა, რაც სამყაროში ხდება, მაგრამ განგება ბედისწერას წინ უსწრებს. ყველაფერი, რასაც ბედისწერა განსაზღვრავს, უპირველეს ყოვლისა, განგებაზეა დამოკიდებული, მაგრამ პირიქით არა ხდება: ყველაფერი უფრო მაღალი და ღვთაებრივი განგებით წარმართება და ბედისწერას არ ემორჩილება. (2) მეორე განსხვავება განგებასა და ბედისწერას შორის სულში ჩანს: სხეულისგან განცალკევებული სული განგებაზეა დამოკიდებული იმ არსების წყალობით, რომელიც მას აქვს. ხოლო სული, რომელიც სხეულში იმყოფება, ბედისწერას ემორჩილება. (3) ერთია ცოდნა (scientia) და სინამდვილე იმ სულებისა, რომლებიც ქმნადობაში შემოდიან, და სხვაგვარია მათი ცოდნა და სინამდვილე, ვინც აქაურობას გაურბის.⁸ პროკლეს აზრით, ბედისწერას ბევრი რამ უსხლტება, განგებას კი არაფერი; განგება მართავს ბედისწერას, რომელიც თვითონ წარმოიშვა.⁹ განგება ის ძალაა, რომელიც უსხეულო არსებებს, კერძოდ, სულებს უბიძგებს, ისარგებლონ თავისი თავისუფლებითა და თვითმდგომობით, რათა ერთმანეთს შორის შესაბამისობა დაამყარონ. ბედისწერაც განგებითი ძალაა, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, გრძნობადის დონეზე. პროკლე ბედისწერას ბუნებას (ფართო გაგებით) უიგივებს (ამ იგივეობის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. მომდევნო ქვეთავში). ბედისწერა პროკლესთვის „ღვთაებრიობით გამსჭვალული ბუნებაა“.¹⁰

მაშასადამე, სხეულებს არჩევანის შესაძლებლობა არა აქვთ.¹¹ სხეულის მოძრაობა ყოველთვის გარკვეული (და არა ნებისმიერი) ტრაექტორიით ხდება.

L. G. Westerink. Amsterdam 1954; Proclus Diadochus, *Commentary on the first Alcibiades of Plato*. Critical Text and Indices by L. G. Westerink. Amsterdam 1954. ამ თემაზე ჟ. პეპენს აქვს ნაშრომი: J. Pépin, *Que l'homme n'est rien d'autre que son âme*. Observations sur la tradition du Premier Alcibiade, dans Rev. Gr. 82, 1969, p. 56-70.

⁷ Procl. in: Tim. III, 307; 355 (*Procli Diadochi in Platonis Timaeum commentaria*, ed. E. Diehl. I, II, III. Lipsiae 1903, 1904, 1906). Rosán, *The Philosophy of Proclus*, New York, 1949, p. 194.

⁸ Procl. de prov. II, 3, 7-23.

⁹ Procl. de prov. II, 4, 4-7. ბედისწერისა და განგების განსხვავებისთვის იხ. იქვე, III, 7.

¹⁰ Procl. in Tim. III 272, 27. შდრ. Procl. de prov., p. 89.

¹¹ Procl. de prov. III, 13. შდრ. Plotin. Enn. IV 7, 5, 4.

პროკლეს თანახმად, პლატონთან გონება აუცილებლობის სფეროს არ ექვემდებარება, ის მასზე მაღლა დგას. მეორე მხრივ, განგება გონებაზე მაღლაა და მას წარმართავს. შესაბამისად, ყველაფერი, რაც გონისმიერად არსებობს, მხოლოდ განგებას ექვემდებარება, მაშინ როდესაც სხეულებრივად არსებული აუცილებლობას ემორჩილება.¹² მამასადამე, არის ორი სამყარო: ერთი განგებას ეკუთვნის, რომელიც გონისეულ და გრძნობად არსებებზე მეფობს, მეორე კი ბედისწერას ეკუთვნის, რომელიც მხოლოდ გრძნობადებს მართავს. განგება ისე განსხვავდება ბედისწერისგან, როგორც ღმერთი განსხვავდება იმისგან, რაც ზიარებით ღვთაებრივია, ან როგორც მზის სინათლე განსხვავდება მეორეული სინათლისგან, რომელიც ჰაერშია, ან სიცოცხლე პირველ რიგში სულშია და შემდეგ სხეულში. ამგვარად, განგება თავისთავად ღმერთია, ბედისწერა კი ერთგვარად ღვთაებრივია და ის განგების ხატია.¹³

ბედისწერა, აუცილებლობა, თავისუფალი არჩევანი

თავისუფალი არჩევანისა და ბედისწერის მიმართებაზე პროკლე „სახელმწიფოს“ კომენტარშიც წერს.¹⁴ ის აქაც ამბობს, რომ სხეულის გარეშე მყოფი სულები სხეულოვან აუცილებლობას არ ექვემდებარებიან. აუცილებლობა, პროკლეს აზრით, განპირობებულია სხეულოვან კოსმოსში არსებული საყოველთაო სიმპათიით, ხოლო ჩვენი ცხოვრების თავისებურებებზე კოსმიურ სფეროთა მოქცევები მოქმედებს.¹⁵ ბედისწერის არსება ბუნებაში არსებულ საგანთა მიზეზში მდგომარეობს. ის შინაგანად განსაზღვრავს სხეულთა შესაბამის განვითარებას. ამდენად, ის დროში და სივრცეში არსებულებზე, ე. ი. სხეულებზე მოქმედებს. ბედისწერამ ისიც განსაზღვრა, რომ წარმავალი საგნები მარადიულ არსებებთან არიან დაკავშირებული. ჩვენში არსებული ბუნება აკავშირებს ჩვენი სხეულის ცალკეულ ნაწილებს ერთმანეთთან და მათ ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს. შეიძლება ითქვას, რომ ბუნება გარკვეულწილად ჩვენი სხეულის ბედისწერაა.¹⁶ მეორე მხრივ, პროკლეს თანახმად, არსებობს თავისუფალი არჩევანი: ჩვენ ძალა შეგვწევს რაღაც ვარჩიოთ და ვიმოქმედოთ ჩვენი არჩევანის მიხედვით. ჩვენ რომ თავისუფალი არჩევანის ძალა არა გვექონოდა, სხვა უნდა მიგვეჩინა ჩვენი

¹² Procl. de prov. III, 13.

¹³ Procl. de prov. III, 14.

¹⁴ Procl. in remp. 257, 26 – 264, 30. (Proclus Diadochus, *In Platonis Rem Publicam Commentarii*, Ed. W. Kroll, I, Amsterdam, 1965; II, Amsterdam, 1965; Proclus, *Commentaire sur la République*. Traduction et notes par A. J. Festugière, I-II-III, Paris, 1970).

¹⁵ Procl. in remp. 258, 5 – 259, 22.

¹⁶ Procl. de prov. III, 11–12. პროკლეს დამონმებული აქვს მსგავსი ციტატა ქალდეური ორაკულებიდან: „*ნუ უყურებ ბუნებას: მისი სახელი საბედისწეროა*“ (*Oracles Chaldaïques*, ed. E. des Places, Paris, 1979, fr. 102. Procl. de prov. §21 (note p. 89. აქვე გამომცემელი უთითებს ანალოგიურ ტექსტებს „პლატონური თეოლოგიიდან“ და „სახელმწიფოს“ კომენტარიდან).

ქმედებების მიზეზად. ამ შემთხვევაში ჩვენ აღარ ვიქნებოდით პასუხისმგებელნი არც კარგი და არც ცუდი საქციელისთვის, და არც ბოროტისა და კეთილი საქციელის გარჩევა იქნებოდა შესაძლებელი.¹⁷ ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს არჩევანის თავისუფლება, მეორეს მხრივ, არსებობს უნივერსალური აუცილებლობა. როგორია მათ შორის მიმართება? პროკლე ამ კითხვას ასე სვამს: რა არის პირველადი, კოსმიურ სფეროთა ბრუნვა, რომელიც გავლენას ახდენს სულთა არჩევანზე, თუ პირიქით, პირველობა ჩვენს არჩევანს ეკუთვნის და მას მოსდევს სფეროთა ბრუნვა, რომელიც იწვევს ჩვენი არჩევანის შესაბამის ქმედებას?¹⁸ ვრცელი მსჯელობის შემდეგ პროკლე ასკვნის, რომ სფეროთა მოქმედება წინ უსწრებს ჩვენს არჩევანს და ის სთავაზობს ჩვენს სულებს გარკვეული სახის არსებობას,¹⁹ გარკვეული ტიპის სულებს გარკვეულ არსებობას (და არა ერთი ტიპის არსებობას ყველა სულს, ან ყველა ტიპის არსებობას თითოეულს).²⁰ ხვედრი, რომელსაც მსოფლიო წესრიგი არგუნებს სულებს, ორგვარია: არჩევანამდე და არჩევანის შემდეგ, თავად არჩევანი კი მათ შორისაა. სამართლიანობის კანონის მოქმედების შედეგად სული მიიღებს საზღაურს წარსული და მომავალი არჩევანისთვის.²¹

როგორია არჩევანსა და აუცილებლობას შორის მიმართება? პროკლეს აზრით, სულმა უნდა მისდიოს ცხოვრების იმ ტიპს, რომელიც აირჩია. ეს მიმართებითი აუცილებლობაა: ჩვენ რასაც ავირჩევთ, აუცილებლობაც იმას მოსდევს. ამდენად, ეს არ არის აბსოლუტური აუცილებლობა, რადგან სულს შეეძლო სხვაგვარი ცხოვრებითაც ეცხოვრა, მაგრამ მხოლოდ არჩევანამდე, არჩევანის შემდეგ კი ეს შეუძლებელია. ჩვენი არჩევანი არასტაბილურია, ამიტომ აუცილებლობა მიმართებითია. უზუნაეს არსებებს კი სტაბილურობა ახასიათებს, ისინი ერთი და იმავე გეგმით ცხოვრობენ. ყოველგვარი აუცილებლობა პირველადი, ერთგვარად პერსონიფიცირებული აუცილებლობიდან, *ანანკედან* მოდის.²²

პროკლე განიხილავს *ანანკეს* ბუნებას. ის არ მდგომარეობს, მისი აზრით, მატერიაში²³ და არც „პოლიტიკოსის“ (272e5) ფატალურობის ან „ტიმაიოსის“ (47e5) აუცილებლობის იდენტურია.²⁴ პროკლეს აზრით, ქალღმერთი *ანანკე* სამყაროს შინაგანი წესრიგის და ცოცხალ არსებათა ნყოფის შინაგანი პრინციპია. თავისი

¹⁷ Procl. in remp. 259.

¹⁸ Procl. in remp. 261, 3-11.

¹⁹ Procl. in remp. 262, 5-11.

²⁰ Procl. in remp. 262, 10-264, 30.

²¹ Procl. in remp. 264.

²² Procl. in remp. 275, 1 – 19.

²³ Procl. in remp. 204, 23 – 205, 27.

²⁴ Procl. in remp. 205, 27 – 207, 13.

ქალიშვილების, მოივების მეშვეობით. ის წარმართავს ყველა სახის მოძრაობას და ყველა ბრუნვას, რომელიც გონისმიერმა ძალამ კოსმოსს დაუნესა²⁵.

თავისუფალი არჩევანი, ბოროტება, ბედისწერა, განგება

პროკლეს თანახმად (ამას ის ხშირად იმეორებს), ყოველგვარი სიკეთისა და ბოროტების მიზეზი სულთა არჩევანია. ბოროტება არ არის ღმერთებში:²⁶ მათი ნება უშურველია, მათი შემეცნება სრულყოფილია. ისინი ახორციელებენ წინაგანგებას სამყაროს მიმართ, ისე, რომ თვითონ არაფერი აკლდებათ.²⁷ არც ანგელოზები,²⁸ არც დემონები²⁹ და არც გმირები³⁰ არ არიან ბოროტი. ბოროტების მიზეზი არც ერთი უნივერსალური მიზეზი არ არის, მათ შორის არც მატერია: ისიც ღმერთებისგან მოდის და სამყაროს მთლიანობაში აუცილებელ როლს ასრულებს. ბოროტების მიზეზი უფრო ნაწილებითია, გარეშეა, ბუნების სანაწილადმდეგაა, *პარაჰიპოსტასურია*,³¹ თვით-მყოფი ანუ თავის თავში მყოფი არ არის.³² თუ სხეული მონაწილეობს ბოროტებაში, ამ ბოროტებას ინვევს არა-პროპორციული, წინააღმდეგობრივი ელემენტების თავმოყრა. ამ დროს ცალკეული კომპონენტი უპირატესობის მოპოვებას ცდილობს. იგივე ითქმის, პროკლეს აზრით, სულის შესახებ: თუ სული რაღაც ბოროტებას ეზიარა, მაშინ მასშიც

²⁵ Procl. in remp. 208, 17 – 25.

²⁶ Procl. de mal. subs. §§11-13.

²⁷ Procl. Plat. theol. I, 15, 74. 9–21 (Proclus, *Théologie platonicienne*. Texte établi et traduit par H. D. Saffrey et L. G. Westerink, I, Paris 1968; II, 1974; III, 1978; IV, 1981; V, 1987; VI, 1997 Saffrey-Westerink). გამომცემელთა აზრით, პროკლეს მხედველობაში ჰყავს ეპიკურელები. იგი მათ ირიბად აკრიტიკებს იმის გამო, რომ მათ საღმრთო განგებისა არა სწამდათ (Procl. Plat. theol. I, p. 148-149). აქვე მითითებულია ანალოგიური ტექსტი პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებიდან“, §122. Proclus Diadochus, *The Elements of Theology*, ed. E. Dodds, Oxford, 1963). გავისხენოთ პეტრინის მიერ ეპიკურელთა კრიტიკა ე. წ. „ბოლოსიტყვაში“. მას ჰქონდა როგორც ქრისტიანული, ასევე ნეოპლატონური საფუძველი: „*ვინაჲ და ატიკელიცა ესთენ ემეთქუების და მძღაფრთა ადამატიწებრთა აღმოსაჩენელთა ქუხილსა მიუვლენს უგანგებოთა და უმსახურებელთა ღმრთისადმი ეპიკურელთა და წმიდასა და ზესთა ბრძენსა ყოველთა ღმრთისა განგებასა*“ (იოანე პეტრინი, შრომები, ტ. II, შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1937, გვ. 211, 10-14. შემდგომი დამონებებისა: პეტრინი, II).

²⁸ Procl. de mal. subs. §14-15.

²⁹ Procl. De mal. subs. §16-17: პროკლეს აზრით, დემონები მუდამ თავისი ბუნების მიხედვით იქცევიან და მუდამ ერთნაირად, ეს კი არ შეიძლება ბოროტი იყოს (იქვე). შდრ. პეტრინის კომენტარის 129-ე თავში გამონათქვემს „ემმაკთა“ (ანუ დემონთა) შესახებ: „*კეთილ და კეთილთა წყაროსგან*“ (პეტრინი, II, 165, 27).

³⁰ Procl. de mal. subs. §18-19.

³¹ ამ სიტყვის განმარტებისთვის მასალათა ერთობლიობა იხ. შესავალში: Procl. de mal. subs. p. 14-15

³² Procl. in Tim. I 375, 14-18. იხ. შესავალი Procl. de mal. subs. p. 14.

არის განსხვავებულ ცხოვრებათა ფორმები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან და ცალ-ცალკე უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ.³³ საბოლოო ჯამში, ცალკეულისთვის ცუდი შეიძლება გლობალური მასშტაბით კეთილი იყოს. რაც შეეხება ბედისწერას (*ჰეიმარმენე*), ის, პროკლეს აზრით, კოსმოსის ბუნებას წარმოადგენს³⁴ და რაციონალური სული მასზე მალლა დგას.³⁵

ამგვარად, განგება და ბედისწერა ერთგვარი ონტოლოგიურად დამოუკიდებელი არსებანი არიან, დაახლოებით ისევე, როგორც მარადიულობა და დრო. ისევე, როგორც მარადიულობა და დრო, განგება და ბედისწერაც კოორდინაციაში არიან ერთმანეთთან, ანუ მეორე ექვემდებარება პირველს. განგება ის პრინციპია, რომელიც პირველსაწყისისკენ დაბრუნებას (*ეპისტროფე*) უზრუნველყოფს, ბედისწერა კი, როგორც ითქვა, სამყაროს ბუნებაა.³⁶ კოსმოსში არსებულ საყოველთაო ურთიერთობების ჯაჭვში ნების თავისუფლება აუცილებლობის ცოდნაში გამოიხატება. ყველა ტრიადის საწყისი არჩევანში თავისუფალია. ამდენად, დეტერმინიზმი აბსოლუტური არ არის და სულს თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვს მინიჭებული.³⁷

თავისუფლება, სიკეთე, სული, ბედისწერა

სულის ქვესწრაფვა ნიშნავს გარეშესკენ, სხეულოვანისკენ დამდაბლებას; სულს ჰგონია, რომ სიამოვნება იგივეა, რაც სიკეთე, მაგრამ სინამდვილეში ის სხვა რამ არის.³⁸ მაგრამ ადამიანის არსება, პროკლეს თანახმად, სულია და იგი პირველ რიგში *ლოგოსურ* (რაციონალურ) და გონისეულ სულში მდგომარეობს, ამიტომ სხეულებრივისგან განშორება მისთვის ბუნებრივია და ეს ბედისწერის ძალისგან გათავისუფლებას ნიშნავს.³⁹ სწორედ ეს არის ბუნების თანახმად ცხოვრება: თავისუფლება და არა-სისუსტე.⁴⁰ თვითგანსაზღვრის, თავის თავის განმგებლობის უნარი იმ სულს აქვს, რომელიც ბუნების თანახმად ცხოვრობს. ბუნების თანახმად რაც არის, სუსტი არ არის. თავისუფლება იმაში გამოიხატება, რომ ის მაქსიმალურად სასიკეთოდ წარმართავს არსებულ გარემოებებს, აფერხებს ზოგიერთ რამეს, რომ განვითარდეს, ან ახერხებს, უკვე მომხდარის განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოასწოროს. ერთი მხრივ, ის საშუალებას უტოვებს ბედისწერას, განაგოს მასზე ქვემდგომი არსებები, მეორე მხრივ, ის

³³ Procl. in remp. 37, 23 – 39, 1.

³⁴ Procl. in remp. 355, 11 – 356, 2.

³⁵ Procl. de prov. IV, 20.

³⁶ Procl. in remp. II 357. იხ. შენიშვნა წიგნში Procl. de prov. p. 88.

³⁷ Procl. in remp. II 335. შენიშვნა Procl. de prov. p. 88.

³⁸ Procl. in Tim. III, 344. სიკეთისა და სიამოვნების გამიჯნვა პლატონის დიალოგების ერთ-ერთი მთავარი თემაა. პეტრინთან ეს გაკვრით აირეკლა ქვენა ვნებებისადმი მორჩილება-არდამორჩილების საკითხში.

³⁹ Procl. de prov. IV, 21, 5-21.

⁴⁰ Procl. de prov. IV, 26, 1-12.

არა წყვეტს კავშირს მასზე მაღლა მდგომ არსებებთან.⁴¹ ჭეშმარიტი თავისუფლება სიკეთის თანახმად ცხოვრებაში მდგომარეობს.⁴² სიკეთეში თუ სულს წილი აქვს, მას თავისუფლებაშიც აქვს წილი, და პირიქით: თუ სული ბოროტების მონაწილეა, ის უძლურია და სხვას ექვემდებარება, მათ შორის არა მარტო ბედისწერას. ბედისწერას ხომ ისიც ემორჩილება, ვინც სიკეთეს ქმნის, ოღონდ მან იცის, რომ სამყაროს მმართველ კანონებს უნდა მისდიოს. აქ პროკლე იმონებს პლატონის „ნადიმის“ 184c ნათქვამს ნებაყოფლობითი მსახურების შესახებ და ამბობს: თუ ჩვენ მოვემსახურებით მათ, ვინც ყველაფრის განმგებელია, ამით ჩვენ მათ დავემსგავსებით და თავადაც სამყაროს განმგებელი გავხდებით.⁴³ ასეთ შემთხვევაში ჩვენი სულის თავისუფლება ერთგვარად არეკლავს საღმრთო აუცილებლობას.⁴⁴ ჩვენი ძალაუფლება გარეშე მოვლენებზე ვერ ვრცელდება, მაგრამ თუ ჩვენი სული ამაღლებულია, ის გარეგან გაჭირვებებშიც შეინარჩუნებს თავის ღირსებას.⁴⁵

რამდენად შეგვწევს ჩვენ ამის ძალა? (იგივე კითხვა პლოტინმა დასვა ნებასთან მიმართებაში).⁴⁶ პროკლეს აზრით, ჩვენ გვაქვს არჩევანი, რომლითაც ორივე მხარეს შეიძლება გადავიხაროთ: შეიძლება ავმალდე და შეიძლება დავეკეთილდე. არჩევანის შესაძლებლობა იგივეა, რაც ჩვენი თავისუფლება.⁴⁷ მაშასადამე, ჩვენი თავისუფლება თავისთავად მოცემულია არჩევანის თავისუფლებაში, რომელიც ჩვენ გვაქვს, მაგრამ ჭეშმარიტად თავისუფლები მაშინ ვხდებით, როცა ზეაღმავალ გზას ავირჩევთ.⁴⁸ პროკლეს თანახმად, თავისუფლება სიკეთეში მდგომარეობს, მაშინ როცა ბოროტება ვნებათა მონობას ნიშნავს.⁴⁹ ნების თავისუფლება მაშინ ხორციელდება, როცა არა სხეულოვანის შესაბამისად ვცხოვრობთ, არამედ თავად სიკეთის მიხედვით, რომელიც არის ჭეშმარიტი თავისუფლება და

⁴¹ Procl. de prov. IV, 26.

⁴² Procl. de prov. IV, 23.

⁴³ Procl. de prov. IV, 24.

⁴⁴ იხ. შესავალი წიგნისა Procl. dec. dubit. (Isaac), p.12.

⁴⁵ Procl. de prov. IV, 25, 15-20.

⁴⁶ Plotin. Enn. VI, 8, 5.

⁴⁷ Procl. de prov. IV, 23-24-25; VI, 35, 1-5. Rosan, p. 203.

⁴⁸ Rosan, p. 203. ეს განსხვავება იმას შორის, რაც ჩვენ ბუნებით გვაქვს (არჩევანის თავისუფლება) და რაც თავად უნდა განვახორციელოთ (ნების თავისუფლება) შესაბამეა ღმრთის ხატობა-მსგავსების როგორც ანტიკურ (პლატონი), ისე პატრისტიკულ გაგებას, სადაც გაირჩეოდა ბუნებით (თუ ღმრთისგან) ჩვენთვის მოცემული თავისუფლება თავისუფლების იმ განხორციელებისგან (ან უფრო სწორედ, ამ განხორციელებისკენ სწრაფვისგან), რომელიც ადამიანს თავისი ძალებით უნდა მოეხდინა. ერთი მხრივ, ბუნებით მოცემული არჩევანი და, მეორე მხრივ, ნებით მისი განხორციელებისკენ მიმართული სწრაფვა გამოიხატებოდა ორ ცნებას შორის – *პროაირესის* და *ბულე* – არსებულ შინაარსობლივ მიმართებაში.

⁴⁹ Procl. in remp. 275, 19 – 277, 7.

დაუმონებლობა. სული, რომელიც სიკეთეს ფლობს, თავისუფალია,⁵⁰ ის ბედის-წერის მორჩილი აღარ არის. თავისუფლების განხორციელება სიკეთის თანახმად ცხოვრებას ნიშნავს. ეს სიკეთე კი ჩვენი მიზეზია. ამდენად, თავისუფლება არის სიკეთესთან – ჩვენს მიზეზთან დაბრუნება⁵¹. როზანმა ლამაზად შენიშნა, რომ პროკლესთან მიზეზებთან დაბრუნება არა მარტო ჩვენი გათავისუფლების გზა არის, არამედ ქვეცნობიერი მისწრაფებაც არის ჩვენი არსებობის ერთადერთი მიზეზისკენ, რადგან, პროკლეს თანახმად, „მთელი ჩვენი ცხოვრება ამ ხედვისკენ მიმართული ბრძოლაა“.⁵²

ნება და სიყვარული

ნების საკითხს პროკლესთან სიყვარულის თემაც უკავშირდება. მიზეზებთან სულის დაბრუნების ძალა არის სიყვარული. ეს ის უკუდამაბრუნებელი სიყვარულია (SĐTH |B4FJD, BJ46`H), რომელსაც პეტრინი მოკლედ „უკუტრფობას“ ეძახის და რომელიც ზემოდან მომდინარე „წინაგანგებითი სიყვარულის“ ზეგავლენით მიზეზთან დაბრუნებას ახორციელებს.⁵³ ცხადია, რომ ადამიანის სულისთვის თავის მიზეზებთან დაბრუნება უპირველეს ყოვლისა თავის თავში ჩაღრმავებაა. ეს კი ყოველივე გარეგანისა და, რა თქმა უნდა, სიმრავლის ჩამოცილებას ნიშნავს. თანდათანობით სული ადის თვითჭვრეტამდე და საკუთარი თავის სიყვარულამდე. გონების თანახმად ცხოვრება, სულის გონებასთან ზეასვლა სწორედ ის „ფილოსოფიური ცხოვრებაა“, რომელიც ანტიკურობისა და ქრისტიანული ფილოსოფიის იდეალი იყო.⁵⁴ ასე მიაღწევს სული ღმერთამდე და, რამდენადაც შესაძლებელია, თავად ხდება ღმერთი.⁵⁵

⁵⁰ Procl. de prov. IV, 23, 19-26; 24, 4-6; 25, 26-34.

⁵¹ Procl. de prov. IV, 18, 4-11.

⁵² Procl. in Parm. 1015, 38-40 (*Procli commentarium in Platonis Parmeniden*, in: *Procli philosophi platonici opera inedita*, pars tertia, ed. Victor Cousin, Hildesheim, 1961); ამ ადგილის შესახებ იხ. აგრეთვე Rosan, p. 204.

⁵³ Rosan, p. 206. „აღკვიბიადეს“ კომენტარში, პლატონის „ფედროსის“ 253 A–სთან დაკავშირებით პროკლე ლაპარაკობს შეყვარებულის „უკუმტყვევლობაზე“, რომელსაც ეს ძალა სიყვარულის მსგავსად გააჩნია: სიყვარულით მოცული მოყვარე კეთილებს უკუმიატყვევს სიკეთისკენ, ისევე, როგორც ამას თავად სიყვარული აკეთებს (Procl. in Alc. 27, 1-3 Westerink).

⁵⁴ პიერ ადოს თანახმად, *ბიოს ფილოსოფიკოს*-ის იდეალი იყო ანტიკური ფილოსოფიის ის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც ქრისტიანულმა ღვთისმეტყველებამ შეითვისა, იხ. P. Hadot, *Que'est-ce que la philosophie antique?* Paris, 1995, p. 355-378.

⁵⁵ Procl. de prov. IV, 17-19. პროკლე აღწერს რაციონალური სულის ზეაღსვლის საფეხურებს, რომლის საშუალებას მას გონება აძლევს: (IV, 17) ვნებებისგან გათავისუფლება, (IV, 18) საკუთარი არსების ჭვრეტა, გონისმიერი სულებისკენ სწრაფვა, ღმერთების მონადების ჭვრეტა, რომლებიც გონებაზე მაღლა არიან, და ერთიანობის შექმნა.

დემიურგი, არსება, შემოქმედება, ნება

დემიურგიული გონების ნება, პროკლეს თანახმად, მის არსებაში მდგომარეობს. გონების არსება არის შემეცნება და შემეცნება არის შექმნა. ეს აზრი მან მრავალჯერ გამოთქვა „ტიმაიოსის„ კომენტარში დემიურგის ნებასა და მოქმედებასთან დაკავშირებით. ლაკონურად და ზუსტად ამას პროკლეს შემდეგი ფორმულები გამოხატავს: „დემიურგიული შემეცნება შემოქმედებაა“;⁵⁶ „მამის აზროვნების პრინციპები დემიურგიული აზრებია, ხოლო აზრები ქმნილებებია“;⁵⁷ „დემიურგის მთელი აზროვნება შემოქმედებაა“;⁵⁸ „თვითქმედება მასთან არის ნება, და შემოქმედება არის აზროვნება“.⁵⁹ დემიურგის ნება, პროკლეს თანახმად, მისი არსებით არის განპირობებული: დემიურგი იმიტომ ისწრაფვის სიკეთისკენ, რომ ის თავისი არსებით კეთილია, ისევე როგორც სინათლე ანათებს და ცეცხლი ათბობს; „ასევე მას, რომელიც მუდამ კეთილი არის, მუდამ სიკეთე ნებავს“.⁶⁰ სწორედ ნების სიკეთეზე დაყვანა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ნიკოლოზ მეთონელის მიერ პროკლეს კრიტიკისა. მეთონელის თქმით, პროკლე „უგულებელყოფს საღმრთო ნებას და დაბადებულთა გაჩენას მხოლოდ შემოქმედის არსებობით განსაზღვრავს. ამით იგი თითქოს უნებლიე შემოქმედებას მიანერს ღმერთს“.⁶¹ საინტერესოა ისიც, რომ პროკლე, ქრისტიანი თეოლოგებისაგან განსხვავებით, „თელემატა“-ს არ უწოდებდა კოსმიურ პარადიგმებს.

საღმრთო განგება და ჩვენი თავისუფლება

მაინც როგორ არის ადამიანის ნება თავისუფალი საღმრთო განგების არსებობის პირობებში?⁶² განგება, რომელიც ერთის (და მისგან მოყოლებული, მთელი საღმრთო სფეროს, უპირველეს ყოვლისა კი გონების) ყველაფერში თანდასწრებას გულისხმობს, არის ყოველივეს ისეთი წინასწარცოდნა და მისი ისეთი განგებულება, რომელიც წარმოსაქმნელის არა სრულყოფილ ონტოლოგიურ სტატუსს იცნობს, არამედ მის შესაძლო საფუძველს, ხოლო ამ საფუძველის

⁵⁶ Procl. in Tim. III, 244, 12.

⁵⁷ Procl. in Tim. III, 222, 3-5.

⁵⁸ Procl. in Tim. I, 421, 27-422, 1.

⁵⁹ Procl. in Tim. II, 70, 29-31.

⁶⁰ Procl. in Tim. I, 367, 20-24. დემიურგის ნების მისი არსებიდან მომდინარეობის შესახებ იხ. W. Beierwaltes, *Proklos. Grundzüge seiner Metaphysik*, Fr. am Main, 1965, p. 143-147.

⁶¹ Nic. Meth. Refutatio, p. 78, 20-79, 1. იხ. ჩემი სტატია: *Dionysius Areopagita in den mittelalterlichen Kommentaren zur "Elementatio theologica" des Proklos*, in *Selbst-Singularität-Subjektivität*, Amsterdam/Philadelphia, p. 120-121.

⁶² ამ საკითხს ძალიან ფართო ასპექტით ეძღვნება ვერნერ ბაიერვალტესის შესანიშნავი სტატია *Pronoia und Freiheit in der Philosophie des Proklos*, *Freiburger Zeitschrift für Philosophie und Theologie*, 23, Freiburg-Schweiz, 1976, s. 88-111). სტატიას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს პლოტინის ასევე შესანიშნავი სიტყვები: „წინაგანგება ისეთი არ უნდა იყოს, რომ ჩვენ არარაობა ვიყოთ“. (Plot. Enn. III, 2, 9, 1).

დროსა და სივრცეში გამოვლენის რეალური ფორმებისთვის ასპარეზს თავისუფალს ტოვებს. სწორედ ეს ასპარეზი გვაძლევს ჩვენ, ადამიანებს, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას. წინაგანგებას რომ მატერიალურ სამყაროში საფუძველთა გამოვლენის მთელი კონკრეტულობაც განვსაზღვრა,⁶³ მაშინ ჩვენი არჩევანიც არა თავისუფალი, არამედ წინასწარგანპირობებული იქნებოდა, და, სრული ფატალურობის გამო, პასუხისმგებლობაც მოგვეხსნებოდა.⁶⁴ მაგრამ ადამიანი თავისუფალია, რამდენადაც ის გონების თანახმად ცხოვრობს და გონების გზით გონებაშივე ბრუნდება, ანუ რამდენადაც აზროვნება თავისივე თავს აცნობიერებს.⁶⁵

ნებისა და ჩვენი შესაძლებლობის მიმართების საკითხი პროკლესთან, დასკვნის სახით, ასე გამოიხატება: თავისუფლება შეზღუდულია იმის ფარგლებში, რაც ჩვენს შესაძლებლობაშია. ჩვენ უძლური ვართ ბუნების აუცილებლობის, *ჰეიმარმენეს* წინაშე. ამიტომ ჭეშმარიტ თავისუფლებას პროკლე (პლოტინის მსგავსად) ჩვენს შინაგან არჩევანსა და მისწრაფებაში ხედავს; „ჩვენ მხოლოდ ამის უფალნი ვართ“.⁶⁶

მაშ, სიკეთის შესაბამისად (ანუ გონისეულად) ცხოვრება „უბატონოა“, თავისუფალია. ღმერთების ჭეშმარიტი მსახურება ნებაყოფლობითი უნდა იყოს. პროკლეს თანახმად, ეს ნებაყოფლობითი მსახურება არის უდიდესი თავისუფლება.⁶⁷ ამ საკითხში პროკლეს პოზიცია გვაგონებს (თუმცა მათი იდენტური არ არის), ერთი მხრივ, სტოიკოსებს, მეორე მხრივ კი ეკლესიის მამებს: კლიმენტი ალექსანდრიელის, აგუსტინესა და მაქსიმე აღმსარებლის თანახმად, როგორც ვთქვით, გამოხსნის საიდუმლოს ყველაზე უფრო ისინი არიან ზიარებულნი, ვინც სიკეთეს სიკეთის გამო, ნებაყოფლობით და არა მორჩილებისა თუ

⁶³ წინაგანგება დროში არსებულის დროის გარეშე წინასწარგანჭვრეტას გულისხმობს.

⁶⁴ W. Beierwaltes, *Pronoia*, p. 108-111.

⁶⁵ W. Beierwaltes, *Pronoia*, p. 108.

⁶⁶ Procl. de prov. IV, 35, 1-5: „სად შეიძლება მივიჩნიოთ [თავისუფლების] არსებობა, თუ არა ჩვენს შინაგან არჩევანსა და იმპულსებში? მხოლოდ მათი უფალნი ვართ; ხოლო გარეშე მოვლენებს სხვა, უფრო მძლავრი [მეუფენი] გააჩნია“. IV, 36, 1-11: [ზოგადი კოსმიური კანონზომიერების არსებობა] „არ უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ჩვენი პიროვნული იმპულსი არაფერია; არ უნდა უარყვოთ, რომ სულს არჩევანის ძალა გააჩნია, რადგან სწორედ არჩევანში ჰპოვებს იგი არსებას და შესაძლებლობას, ზურგი აქციოს გარკვეულ საგანს და მიმართოს სხვა რამეს, მიუხედავად იმისა, რომ მოვლენებში ის ყველაფრის განმგებელი არ არის. მართლაც, ყველაფერი იმისკენ უნდა ისწრაფოდეს, რისთვისაც შეიქმნა; ჩვენ რომ ძალა შეგვწევს, განვსაზღვროთ ჩვენი თავი, ეს უნარი მხოლოდ მოქმედებისთვის კი არ არსებობს, არამედ იმისთვისაც, რომ არჩევანის შესაძლებლობა მოგვეცეს“. იხ. აგრეთვე W. Beierwaltes, *Pronoia*, p. 105.

⁶⁷ Procl. de prov. IV, 24, 13-19 (პროკლე იმონუმებს პლატონს, Sympos. 184c). W. Beierwaltes, *Pronoia*, p. 107.

შიშის შედეგად აკეთებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის თავისუფლება პროკლესთვის საღმრთო განგების (გან)ჭვრეტაში მდგომარეობს. მხოლოდ ეს გვათავისუფლებს ამქვეყნიური აუცილებლობისა და ბედისწერის ბორკილებისგან.

იოანე პეტრინი

პეტრინი, პროკლეს კომენტატორი, მისი ფილოსოფიის ერთგული მიმდევარი იყო. ანტიკურ ნეოპლატონიზმსა და შუა საუკუნეების ქრისტიანულ მსოფლმხედველობას შორის არსებული განსხვავების გამომხატველ საკვანძო საკითხებს ის, ვფირობ, ძირითადად როგორც ნეოპლატონიკოსი წყვეტდა.⁶⁸ ეს შეიმჩნევა გლობალური თემების განხილვისას და ცალკეულ ნიუანსებშიც. ძირითადი თემებიდან შემდეგს აღვნიშნავ:

1. პეტრინის კომენტარში აშკარაა ერთი პრიმატი ყველა სხვა ჰიპოსტასთან შედარებით. სამების ერთარსება კომენტარში არა ჩანს.⁶⁹

2. კომენტარის შინაარსის შინაგანი ლოგიკა გამორიცხავს ღმერთის განკაცების დაშვებას. შესაბამისად, შინაარსობლივად უადგილო იქნებოდა ქრისტეს ორი ბუნების (და აქედან გამომდინარე, მისი ორი ან თუნდაც ერთი ნების) შესახებ ლაპარაკი და პეტრინიც, რომელიც თავისი მსჯელობის შინაგან ლოგიკას მისდევს, ამ საკითხს არ შეხება.

3. მატერია უზენაესი ერთიდან „გამოდინების“ უქვემოესი საფეხურია. ის უსახოა, უფორმოა, არადიფერენცირებულია და ამიტომ არ არის სიმრავლე. როგორც არა-სიმრავლე, მატერია ჰგავს ერთს. ამაში მდგომარეობს, პეტრინის თანახმად, მსგავსება ერთსა და მის უკანასკნელ გამოვლინებას, მატერიას შორის. საკითხი პროკლეს მონიზმის თვალსაზრისით არის გადაწყვეტილი. ღმერთი პეტრინთან მატერიის შემოქმედად წარმოდგენილი არ არის და არც არარაღან შექმნაზე არის ერთმნიშვნელოვნად ლაპარაკი.

4. პეტრინი ფაქტობრივად არაფერს ამბობს შემოქმედის ნების შესახებ. შესაქმე მასთან უფრო ონტოლოგიურ აუცილებლობად არის წარმოდგენილი, ვიდრე ღმრთის თავისუფალი ნების მოქმედების შედეგად.

5. ადამის ცოდვაც პეტრინთან უფრო ონტოლოგიურ აუცილებლობად არის გაგებული (აღამა შესცოდა, იმიტომ რომ მისი გონება სხეულთან იყო

⁶⁸ სტატიის ეს ნაწილი არის გადამუშავებული ვერსია ჩემი პუბლიკაციისა: *ძველი ქართული ლიტერატურისა და თეოლოგიის საკითხები – ნება იოანე პეტრინის ვაგებით* (რელიგია, 4-5-6, 2005, გვ. 38-45).

⁶⁹ ხაზს ვუსვამ, რომ აქ მხედველობაში თავად კომენტარი მაქვს და არა ე. წ. „ბოლოსიტყვა“, რომელიც ცალკე მსჯელობის საგანია, რადგან იგი შინაარსით, სულისკვეთებითა და სტილით კომენტარს ერთდროულად ჰგავს და მისგან კიდევ სხვაობს. ქვემოთ საუბარი „ბოლოსიტყვაზე“ გვექნება.

დაკავშირებული), ვიდრე ცთუნებითა და თავისუფალი ნებით განპირობებული საქციელი.

6. სამყარო, პეტრინის თანახმად, მარადიულია. ასე ფიქრობდა პროკლე და ამას ეწინააღმდეგებოდა იოანე ფილოპონოსი.

პეტრინის ანტიკურ-ნეოპლატონურ (პროკლურ) პოზიციას ადასტურებს სხვა საკითხების დასმისა და განხილვის თავისებურებაც, როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმალური.⁷⁰ ერთი ასეთი საკითხი, როგორც ვთქვით, ნებაა. ნების თემა პეტრინთან, ერთი მხრივ, საღვთო ნების, მეორე მხრივ კი ადამიანის ნების საკითხებს მოიცავს, მათ „შორის“ კი გონითი სფეროს „მიზეზთან“ ნების საკითხი დგას.

ჩვენ იმ შემთხვევებს განვიხილავთ, როდესაც პეტრინი ნებას პირდიპირ ახსენებს. როგორც უკვე ვთქვით, ნების საკითხი დგას როგორც ერთთან, ისე „მიზეზთან“ მიმართებაში.

„მიზეზთან“ ნება

თავი 31: *ხოლო ყოველი მეტრფე და მენადე თვისა საწადოესა მიმართ უკუნეცეულ არს, რამეთუ სდევს წადილი მენადისა საწადსა, და მეტრფისა სატრფოსა, და მიქცეულა მისდა მიმართ, და სწყურის მისდამი, ვითარ ესე ცასა და მნათთა განვიცდით. რამეთუ წადილიცა მათი დაუვსებელ, და საწადოცა მათი თანგანუვლელ უსაზღვრობითა, და სანთელიცა ყუავილთა მათ საწადოესაცა უმრუმ, და ტრფიალებაცა უმრუმ წადილისა. რამეთუ სხუა არარა არს ტრფიალება თვნიერ დაწმირება ნებასა წადილისასა. ხოლო ყოველი ნება და ყოველი წადილი მაშინლა წადილ და ნება, ოდეს ეგოს უმხილებელად მიდმოალ-რჩევათავან სულისათა.⁷¹ თუ არა, სადა მოკლება და გავსება, რომელსაცა ნებასა და წადილსა სდევს, იგი არცა ნებად ითქუმის, არცა წადილად, არამედ ნებად მაკნინებელად და თვსთა დართვითა ქცევათა შორის მხრწნელად თვთ თვისავე დრამატურგიასა,⁷² რამეთუ ყოველი წადილი კერპოვნებითი თვთ თვსთა სიპავეთავანვე განიხრწნების.⁷³*

ამ ფრაგმენტის შინაარსი მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ: ყოველი შედეგი თავისი არსებით თავისი მიზეზისკენ ისწრაფვის, ის უყვარს და მისკენ

⁷⁰ ნეოპლატონურისა და ქრისტიანულის მიმართებას პეტრინთან შევეხე სტატიაში: *Zum Verhältnis zwischen Neuplatonischem und Christlichem im Prokloskommentar des Ioane Petrizi*, in *Metaphysik und Religion: Zur Signatur des spätantiken Denkens*. (Akten des Internationalen Kongresses vom 13.-17. März 2001 in Würzburg), München – Leipzig, s. 429-542.

⁷¹ *სულის მიდმოალრჩევათავის* შდრ. Procl. de prov. IV, 23.

⁷² ეს სიტყვა პროკლეს ნაშრომებშიც გვხვდება.

⁷³ პეტრინი, II, 82, 3-17. სასვენი ნიშნები ჩვენს ციტატაში ს. ყაუხჩიშვილის გამოცემასთან შედარებით მცირეოდენად შეცვლილია.

ბრუნდება. სურვილის წყურვილი უშრეტია, რამდენადაც სურვილის ობიექტი მოსურნისათვის მთლიანად მისაწვდომი არ არის. სიყვარული არის სურვილში გამოსატყული ნების ინტენსივობა. ნამდვილი ნება და ნამდვილი სურვილი სულსმიერ არჩევანს არ უნდა ექვემდებარებოდეს იმ გაგებით, რომ მდაბლისკენ სწრაფვას არ უნდა მიჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნება მაკნინებელი და მხრწნელი იქნება, რომელიც თავისივე ქმედებას (იგულისხმება შედეგის მიზეზისკენ ამაღლებისთვის ხელშეწყობა) ხელს შეუშლის.

ფრაგმენტიდან ნათელია პეტრინის შეხედულების მსგავსება პროკლესთან: (1) სიყვარული პეტრინთან, ისევე როგორც პროკლესთან, წარმოადგენს ნების საფუძველს, ნება კი სიყვარულის გამოსატყულება; (2) ქვემსწრაფი ნება დამაკნინებელია, იგი ხელს უშლის ნების არსების განხორციელებას, რომელიც მიზეზთან დაბრუნებაში მდგომარეობს; (3) ნება არსების გამოსატყულებაა, ფაქტობრივად, მისი მოქმედება და ამდენად, ონტოლოგიური აუცილებლობაა, თუმცა (4) სულის არჩევანია, საით წარიმართება ნება: ამაღლება ის, თუ დამდაბლდება.

მაშასადამე, მიზეზოანის ნება, პეტრინის თანახმად, ამ მიზეზოანისთვის ონტოლოგიურად განპირობებული აუცილებლობის განხორციელებაში მდგომარეობს, რაც თავისი მიზეზისკენ სწრაფვას ნიშნავს. ეთიკას პოზიტიური გაგებით ონტოლოგია განაპირობებს, თუმცა სულს არჩევანის ძალა აქვს და მას სიკეთისგან განდგომაც შეუძლია, მაგრამ ამ ონტოლოგიური აუცილებლობიდან გადახრა *სიჰავეა*.

პეტრინის თანახმად, გრძნობადთა სამყაროში ყველაფერს იძულება (იგივე აუცილებლობა და ბედისწერა) განსაზღვრავს, მაშინ როცა ღმერთი იძულებასა და აუცილებლობაზე მალა დგას (თუ როგორია პეტრინის მიხედვით ღმერთის თუ ერთის ეს თავისუფლება, ამას ქვემოთ ვნახავთ). ემპედოკლეს დამონმების შემდეგ პეტრინი ამბობს: *„...რამეთუ გონებითი ყოველი აღმკული დაიპყრაო და ხუდა სიყუარულსა, რომელ არს ერთობაჲ. ხოლო მზუელევი ესე არსისაჲ, ვიტყვ გრძნობადსა, ძლევაჲმან დაიპყრო. ესე იგი არს, რამეთუ სადაცა ძლევაჲ, მუნცა წინამწყოჲ და ბრძოლაჲ“*.⁷⁴

გრძნობადთა სამყაროში, აუცილებლობისა და იძულებისადმი მორჩილებს საპირისპიროდ, ერთი ბუნებასთან კავშირზე მალა დგას და აუცილებლობას არ ემორჩილება, *რათა არ მოიხადოს თვს ზედა საქირო*.⁷⁵ ღმერთი, არსთა წარმომქმნელი, რომელზეც „ტიმაიოსშია“ ლაპარაკი, *„ზესთა ძეს ყოველსა იძულებასა ბუნებისასა და ანანკსა“*.⁷⁶ იგივეს ამბობს პეტრინი უზენაესი პირველის

⁷⁴ პეტრინი, II, 79, 21-25. (თავი 29).

⁷⁵ პეტრინი, II, 39, 22 (თავი 11).

⁷⁶ პეტრინი, II, 68, 23-24 (თავი 25). ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბუნებისა და აუცილებლობის კავშირის შესახებ პროკლეს ნერდა, მაგალითად: *„აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ბუნება არის ურთიერთდაკავშირებულ საგანთა მიზეზი და მასში უნდა ვეძიოთ ის, რასაც ბედისწერა ეწოდება“* (Procl. de prov.

შესახებ:⁷⁷ ყოველი ძალი და მოქმედება ბუნებისადა არს თანშეკრულ, ხოლო იგი ზესთა პირველი განჯსნილ ყოვლისა ბუნებისაგან.⁷⁸

ერთის ასეთი „თავისუფლება“, რომელიც, პეტრინის თანახმად, აუცილებლობაზე (იგულისხმება ბუნების აუცილებლობა, ანუ საბედისწერო იძულება) მაღლა დგომას ნიშნავს, სინამდვილეში იგივე აუცილებლობაა, რომელიც ერთის (იგივე ითქმის გონისეულ „სუბიექტებზე“) არსებას თანხვედება, ე. ი. ონტოლოგიურად არის განპირობებული. რაც შეეხება ჩვენს თავისუფლებას ბედისწერით განპირობებულ იძულებაში, ამ საკითხზე პეტრინის აზრი სხვათა და სხვათა შორის ზემოთ მოყვანილმა ფრაგმენტმაც გამოხატა: სულს შესწევს ძალა ქვე-თუ ზე-სწრაფვისა. მაშასადამე, გარკვეულწილად არჩევანში ჩვენც თავისუფლები ვართ, თუმცა გონისმიერი „სუბიექტებისგან“ განსხვავებით, ჩვენი მოქმედება (შესაბამისად, ნების გამოხატულება) და არსება სრულიად თანხვედრილი ვერ იქნება (არსებისა და მოქმედების მიმართების განსხვავებაზე გონისმიერ და მოკვდავ „სუბიექტებში“ პეტრინი ხშირად მსჯელობს), ამიტომ ნების გამოხატულებაც ყოველთვის არსების შესაბამისი არ არის. მიუხედავად ნებისა და არჩევანის არასაკმირასად დეტალური დეფინიციებისა პეტრინთან, ერთი რამ ცხადია: ნება მასთან შესაბამება ბუნებით განპირობებულ, აუცილებელ სწრაფვას სიკეთისკენ, რომელიც ყველა მყოფს ახასიათებს (მისი განხორციელებისკენ სწრაფვა, როგორც ერთისკენ სწრაფვა, ჩვენს ნამდვილ თავისუფლებას ნიშნავს). არჩევანი კი ჩვენი გადაწყვეტილების განხორციელებაა, რომელიც შეიძლება მცდარიც იყოს; ხოლო ერთისგან და სიკეთისგან განდგომა პეტრინისთვის ვერასდროს ვერ იქნება ჭეშმარიტი თავისუფლება. ამგვარად, სიკეთისკენ სწრაფვა (ანუ ნება) ყველა მყოფს ახასიათებს, მაშინაც კი, როცა არჩევანი ცუდს ამ-

III, 11 (21-22); „ბედისწერა არის საღმრთო ძალით გამსჭვალული ბუნება“ (Procl. in Tim. III, 272, 27). იხ. აგრეთვე Procl. de prov. 21 (4-5), სადაც დამონშებულია იმავე შინაარსის ქალდეური ორაკული. მეორე მხრივ, ბუნებას პროკლესთან (ისევე, როგორც პეტრინთან) არსების მნიშვნელობა აქვს: ბუნების თანახმად ცხოვრება არის სიკეთე და თავისუფლება (Procl. de prov. 4, 26). „ბუნების“ ეს ორი მნიშვნელობა ერთმანეთს უპირისპირდება (პირველი უფრო ნეგატიურია და იძულების საფუძველია, მეორე უფრო პოზიტიურია, რამდენადაც არსება ონტოლოგიურად ბოროტი არ არის) და, იმავე დროს, ურთიერთშესაბამისია, რამდენადაც გონისმიერად გაცნობიერებული აუცილებლობა პროკლესთვის თავისუფლების საფუძველია.

⁷⁷ ძნელი სათქმელია, არის თუ არა პეტრინის თანახმად ეს უზენაესი ერთი (თუ პირველი) იგივე, რაც არის 25-ე თავში ხსენებული ღმერთი (≠პლატონის დემიურგი). თავის კომენტარში პეტრინი ხან აიგივებს მათ ერთმანეთთან (ასე მაგალითად, იმავე 25-ე თავში მხედი ღმერთი თითქოს უზენაესია), ხან კი ერთის უზენაესობას უსვამს ხაზს. მაგალითად, პირველი თავის ბოლოს პეტრინი აღნიშნავს, რომ უოცნო იგი ერთი ზესთა ძეს ყოველსა ძალსა და ყოველსა მოქმედებასა, ვითარცა და თუთ მას დამბადებლობასა (პეტრინი, II, 18, 25-27), რისი თქმაც მხედ და შემოქმედ ღმერთზე შეუძლებელი იქნებოდა.

⁷⁸ პეტრინი, II, 18, 27 - 19, 1 (თავი 1).

ჯობინებს. ამ აზრს პეტრინის შემდეგი ტექსტი გამოხატავს: „*რამეთუ ყოველი მეტრფე სდევს თვსსა სატრფოსა, რათა იკეთილოს და გაკეთდეს მისგან, დაღათუ იყოს კერპი და აჩრდილი არსისაჲ, არამედ საქმით ცთომილი ბუნებით კეთილობასა სდევს ანუ თვთ მას და თვსსა კეთილობასა, ანუ ხატსა კეთილობისასა, ანუ კერპსა და აჩრდილსა კეთილობისასა*“.⁷⁹ ფაქტობრივად, პეტრინთან გვაქვს იგივე განსხვავება ნებასა და არჩევანს შორის, რაც პლოტინსა და პროკლესთან შეიმჩნევა, თუმცა პეტრინი ამ საკითხში ტერმინოლოგიური დეფინიციებით (ისევე როგორც თავად ნების საკითხით მთლიანობაში) მაინცდამაინც დაინტერესებული არა ჩანს.

ნება ე. ნ. „ბოლოსიტყვაში“

ის მონაკვეთი, სადაც ნებაზეა ლაპარაკი, „კავშირის“ კომენტარში იმავე თემის განხილვას შეესაბამება: აქაც ნება ონტოლოგიური აუცილებლობით განპირობებულად წარმოგვიდგება, როგორც ერთის ნება (რომელიც ისედაც აუცილებლობით-თავისუფალია), ასევე ქვემდგომთა ნება, რომელიც ერთიდან მომდინარე განგებას ექვემდებარება და ერთისგან გამომავალი ნებით წარმართება. ამასთანავე, ფრაგმენტიდან ცხადია, რომ პეტრინისთვის ერთის ნება და ერთისგან მომდინარე განგება სინონიმებია: „*ვინაჲ ვითარცა ვთქუთ ფილოსოფოსისაგან თანდატანებად მეტყუელისა ესთად, ვითარმედო დაისხნეს მზადისაგან ღმრთისა პირველ პირველი გონებაჲ და მერმე სული ყოველთა სულთა ნაწილებითთაჲ, ვინაჲ სუეცა და მარმენიოჲ ზენაჲთ შთამომავალისა განგებისა მიერ გარე შემოიცვიანო, და ნებისაებრ ერთით და თვთ მუნ მხოლოთ გამომავალისა ძალისა მიერ დრკებინცა და მიიეგრებვიან ნებასა მეძრისა მათისასა ვიდრე უკუნაჲსკნელობამდის ნივთისად*“.⁸⁰

ამ მონაკვეთის თანახმად, ბედისწერა (სუე) ან *ჰეიმარმენე* ექვემდებარება ზემოდან მომდინარე განგებას (*პრონოია*), ისევე, როგორც ეს პროკლესთან იყო, თუმცა პეტრინის მსჯელობაში არ ჩანს ერთი ნიუანსი, რომლის გამო ის, შეიძლება ითქვას, პროკლეზე უფრო დიდ მონისტად და, ალბათ, თავისდა უნდებურად, ფატალისტადაც წარმოგვიდგება. საქმე ის არის, რომ ბედისწერის *შემოცვა* საღმრთო განგებით ანუ ნებით და ყველა „სუბიექტის“ მიერ (მატერიამდე!) განგების (ანუ შემოქმედის ნების) შესაბამისი სახის მიღება (*მიიეგრებვია*), რასაც პეტრინი აცხადებს, ფაქტობრივად გამორიცხავს მოქმედების თავისუფლებას. ამ თავისუფლებას კი გრძნობად სამყაროში სრულიად შეგნებულად პროკლეც უშვებდა, როცა ამბობდა, რომ საღმრთო განგება გულისხმობს შესაქმნელის საფუძვლების ცოდნას დროის გარეშე და არა მათ მატერიალურ კონკრეტულობაში, რაც სპონტანურობისთვის ასპარეზს ტოვებდა. თუმცა, რა

⁷⁹ პეტრინი II, 33, 20-25.

⁸⁰ პეტრინი, II, 211, 32-212, 10. („ბოლოსიტყვა“).

თქმა უნდა, არც პეტრინი გამორიცხავდა განგებით „გათვალისწინებულის-გან“ განსხვავებულის არსებობას გრძნობად სამყაროში (განსხვავებით ზემოთ ციტირებული „ბოლოსიტყვის“ ტექსტისაგან), რასაც თუნდაც ჩვენს მიერ მოყვანილი ფრაგმენტი მისი კომენტარის მე-8 თავიდან ადასტურებს. მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩებოდა პეტრინისთვის: როგორ შევუთანხმოთ საღვთო განგება რეალურად არსებულ შემთხვევითობას და „შეცდომას“ სამყაროში?⁸¹

საღმრთო განგებისა და მატერიალურ სამყაროში არსებული ბედისწერის ოპოზიცია (რასაც, ცხადია, პიროვნული ნების საკითხიც უკავშირდება), პეტრინმა საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების მაგალითზე გამოხატა: არაკეთილ-ისმურველთა მხრიდან ხელის შეშლამ, დახმარების გაუნწელობამ შეაფერხა მისი განზრახვა: ქართულად *ეარისტოტელურა*, ისე, რომ *ღმრთისმეტყუელებამ ნივთისაგან მიუხებელი* წარმოეყენებინა.⁸² მისი ნება ეს იყო და ეს იყო, მისი აზრით, ღმრთის განგება, მაგრამ არახელსაყრელმა ვითარებამ ამ განგების განხორციელებაში ხელი შეუშალა: *„ვინამე მე რაჲვე თანსიყუარული და შენ-ვენამ მიუენებოდა მათგან, თანა-ვხედე დგომასა ღმრთისა განგებათასა“*.⁸³ ასე, მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მაგალითზე თუ იგრძნობდა პეტრინის მსგავსი ფილოსოფოსი (მას სწამდა ერთისა და *პრონოიას* ყოვლისმომცველი ძალისა!), საღმრთო განგების (ის ხომ არა მარტო საღმრთო ნებას გამოხატავდა, არამედ მისი, პეტრინის ნებასაც!) სრულყოფილად აღსრულების შეუძლებლობის ტკივილს.

პეტრინისთვის ერთის ყოვლისმომცველი და ყველაფრის გამჭოლი განგებითი ძალა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ადამიანთა არჩევანიც, ფაქტობრივად, ამ განგების ფარგლებში ექცეოდა. ამიტომ ნების საკითხი პიროვნულ ასპექტში პეტრინს არც დაუყენებია ადამიანთა მიმართ. რაც შეეხება შემოქმედი გონების ნების დახასიათების თავისებურებას, პეტრინთან გვაქვს პიროვნული დახასიათების ელემენტი, რომელიც „ხედვა“ ცნებით გამოიხატება: ერთი „ხედავს“, გონება „ხედვას“, რაც წინაგანგებას, წინასწარცოდნას, წინასწარმონყობას და ზრუნვას ნიშნავს. თავისთავად უზენაესის „ზრუნვა“ ქვემდგომის მიმართ, ის ფაქტი, რომ ზედა ქვედას „უყურებს“ (და არა მხოლოდ დემიურგი „ჭვრეტს“ მის ზემდგომ იდეებს, როგორც ეს პლატონთან იყო, ან დემიურგი-გონება „ჭვრეტს“

⁸¹ ამ საკითხის ერთ-ერთი გამოხატულებაა სახელდების პრობლემაც, რომელსაც პეტრინი „ბოლოსიტყვის“ იმავე ადგილას, განგებასთან მიმართებაში განიხილავს. ჩემი აზრით, პეტრინი, პროკლეს მსგავსად, იმ შეხედულებისკენ იხრებოდა, რომ საღმრთო განგება გარკვეულწილად წარმავალ – ადამიანთა მიერ შერქმეულ საგანთა სახელდებაშიც მონაწილეობდა. დანვრილებით ამის შესახებ ვწერდი სტატიაში *Die Namenstheorie im sogenannten "Nachwort" des Ioane Petrizi*, in: *Kaukasische Sprachprobleme*, Oldenburg, 2002, S. 19-34.

⁸² პეტრინი, II, 222, 20-22.

⁸³ პეტრინი, II, 222, 17-19.

გონის ობიექტს თავის თავში, როგორც ეს პლოტინთან და პროკლესთან იყო), უკვე არის, ალბათ, პიროვნულობის ნიშანი. თუმცა იმავე პროკლესთანაც დემიურგი გარკვეულწილად „მიმართულია“ ქვევითკენ. საინტერესოა, რომ დემიურგისთვის – გონებისთვის დამახასიათებელი „ხედვა“ და წინაგანგება პეტრინს უზენაეს ერთზეც გადააქვს (რაშიც ვლინდება, ერთი მხრივ, მისი როგორც ქრისტიანი მოაზროვნის პოზიცია, მეორე მხრივ კი, სახეზეა პროკლეს ფილოსოფიისადმი ერთგულება) და ამით ეს უზენაესი ტრანსცენდენტური პრინციპიც ერთგვარ პიროვნულ იერს იძენს. თუმცა ნების პიროვნულობაზე ლაპარაკი საღმრთო სფეროში ძალიან საეჭვო საქმეა: ფაქტობრივად შეუძლებელია იმის დაბეჯითებით თქმა, რომ პეტრინთან, ისევე როგორც პროკლესთან, ერთისა თუ გონების შემთხვევაში ნება (რა გინდ „პიროვნული“ ტერმინები არ უნდა იქნას გამოყენებული მის დასახასიათებლად) არა ობიექტური აუცილებლობით, ე. ი. არა საკუთარი არსებით არის განპირობებული. საერთოდ, პეტრინი ცოტას მსჯელობდა ნების შესახებ, შეიძლება იმიტომ, რომ ეს თემა ასე თუ ისე წინააღმდეგობაში შეიძლება მოსულიყო ერთის ყოვლისმომცველი ძალის თეზისთან, რომელიც მისთვის, ისევე როგორც პროკლესთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

ნების შესახებ მსჯელობისთვის თავის არიდებაზე არაპირდაპირი ფაქტებიც მიაჩნებოდა, მაგალითად: (ა) როგორც უკვე აღვნიშნეთ, პეტრინი არ განსაზღვრავს იდეებს როგორც ღვთის ნებას („ნებანი“: 2, 8Z: "J"), რაც ხშირი იყო ქრისტიან ავტორებთან, მაგალითად, დიონისე არეოპაგელთან და მის კომენტატორებთან და ასე იყო ნიკოლოზ მეთონელთანაც, რომელიც პროკლეს სწორედ იმას საყვედურობდა, რომ მასთან საღმრთო ნება უგულებელყოფილია და ქმნილებათა გაჩენა მხოლოდ ღმრთის არსებობით აიხსნება.⁸⁴ (ბ) უცნაურია, მაგრამ ბიბლიიდან ციტატაში : (V80H \$@L8-H –((, 8@H (ესაია 9, 5) პეტრინი \$@L8Z-ს თარგმნის „საიდუმლოდ“⁸⁵ და არა „განზრახვად“ ან განზრახვასთან, ნებასთან ან რჩევასთან შინაარსობლივად დაკავშირებული რაიმე სიტყვით, რომელიც საღმრთო ინტენციის გამომხატველი იქნებოდა. (გ) კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მატერიას პეტრინი არ ახასიათებს, როგორც ღმრთის თავისუფალი შემოქმედებითი აქტის ნაყოფს, მისი ნებელობის შედეგს. მისთვის დაუშვებელიც არის, რომ რაღაცამ სრულიად არამსგავსი წარმოშვას. მატერია უშორიელესია მსგავსათა შემდგომ და ამიტომ არის ის უმსგავსო.⁸⁶ ასეთი მიდგომა თავისთავად გამორიცხავს შესაქმნის როგორც თავისუფალი ნების მოქმედების შედეგს, რომელსაც აბსოლუტურად ყველაფერი ძალუძს, მათ შორის სრულიად განსხვავებულის შექმნაც. თუმცა პეტრინი არ გულისხმობს, რომ სამყაროში რაღაც სრულიად „სხვა“ არსებობს. (დ) დემონებზე პეტრინი როგორც

⁸⁴ Nic. Meth. 78, 20-79, 1; L. Alexidze, *Zum Verhältnis zwischen*, S. 444.

⁸⁵ პეტრინი, II, 78, 29. ასევე ჩემი სტატია *Zum Verhältnis zwischen*, S. 445.

⁸⁶ პეტრინი II, 74, 35 – 75, 12 (28-ე თავი).

პროკლეს მიმდევარი მსჯელობს: დემონებს თავისი ადგილი უჭირავთ ონტოლოგიურ იერარქიაში. პეტრინი არსად არ ამბობს, რომ დემონები თავისუფალი ნებით გაემიჯნენ ღმერთს. (ე) როგორც უკვე ვთქვით, ადამზე ლაპარაკისას, სამოთხიდან მისი გასვლის შესახებ მსჯელობისას ადამის „უგუნურება“ (ანუ გონებისგან განდგომა) უფრო „ტექნიკური ტერმინია“ პეტრინისთვის და არა ადამის თავისუფალი არჩევანის, თუნდაც მისი თვითნებობის შედეგი; თითქოს ეს „უგუნურება“ რაღაც უპიროვნო აუცილებლობით, ანუ თავისთავად ადამის ბუნებით ყოფილიყო განპირობებული.⁸⁷ (ვ) რაღა თქმა უნდა, პეტრინი საერთოდ არ ეხება ნებას არც ერთი ასპექტით ქრისტესთან მიმართებაში: ის არ ახსენებს არც მამა-ღმერთის მიერ ძის ადამიანებთან მოვლინებას, არც ქრისტეს საღმრთო ან ადამიანურ ნებას. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ნების თემაც მონაშობს იმას, რომ პეტრინი თავის კომენტარში თავს არიდებდა ისეთი საკითხების ხსენებასაც კი, რომელთა განხილვა პროკლეს ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანული თეოლოგიის საკვანძო პრინციპების დაპირისპირებას გამოიწვევდა. ის ძალიან თანმიმდევრული ნეოპლატონიკოსი იყო.

Lela Alexidze

THE WILL IN NEO-PLATONISM: PROCLUS AND IOANE PETRITSI

SUMMARY

Ioane Petritsi, Georgian philosopher of the 12th century, was a faithful successor of Proclus Diadochus (5th century). The following facts demonstrate the Neo-Platonist position of Petritsi as well as his not strictly Christian mode of thinking: 1. In Petritsi's Commentary on the "Elements of Theology" of Proclus, the priority of the One over other divine hypostases is evident. 2. Petritsi avoided speaking about the will of the Creator; he understood creation more as a result of ontological necessity than as the act of free choice and free will. 3. Petritsi says nothing about the Incarnation of God, nor does he mention the will of Christ. 4. Petritsi considers matter as the lowest degree of the manifestation of the One but he does not represent God as Creator of matter and he does not speak definitely about creation out of nothing. 5. Adam's sin is considered a result of ontological necessity (since the human soul is connected with the body, it is

⁸⁷ უფრო სხვაგვარი დამოკიდებულებისათვის ამ საკითხისადმი იხ. G. Tewsadze, *Die Kategorie der Subjektivität in Joane Petritzis Kommentar zu Proklos*, in: Selbst – Singularität – Subjektivität: Vom Neuplatonismus zum Deutschen Idealismus. Amsterdam/Philadelphia, 2002, S. 139-140.

not absolutely free and “intelligent”) rather than as the consequence of his free choice and decision. 6. According to Petritsi, the world is everlasting.

The character of the will, described by Petritsi is similar to the exposition of this theme in the works of Proclus. According to Petritsi, the will is a manifestation of substance; love is the basis of the will and the will is a manifestation of the love which is directed towards the cause of the subject which loves. The soul has a choice: it can aspire to reach a higher level in the ontological hierarchy or it can degrade. In the latter case it is not a real will but a low desire, which is perishable for its own substance. Like Proclus and Ps. Dionysios, Petritsi was sure that the will of all beings is an aspiration for goodness, even if they actually go astray, seeking not for goodness itself but only for its image or shadow. Like Proclus, Petritsi was sure that nature is governed by necessity but intelligent beings and the One are independent from necessity and the bands of the nature.

In the so-called “Postface”, Petritsi exposed the relationship between providence and fate: like Proclus, he thought that providence rules over everything, and that fate, which governs nature, is subordinated to providence. The activity of providence extends to all kinds of beings, but in the lower degrees its presence is not very clear for us. Petritsi seemed to believe that even subtle human thoughts cannot be hidden from the divine providential knowledge and to a certain extent it determines even the names given by mortals to things and people. Petritsi believes in the omnipresence of divine providence, though he is aware of the mistakes which sometimes happen in our world and do not let divine providence completely fulfil its plan. Petritsi does not discuss the personal aspects of the will.

თინა ცერაქა, ლალა სოფარია

დანიელ სამბაშურის ეპისტოლე – ქართული პანონიკური მწერლობის დღემდე უცნობი კაგლი

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის ფილიალში დაცულია ერთი ქართული ხელნაწერი – C 24, რომელმაც უკვე XIX საუკუნეში მიიქცია მეცნიერთა ყურადღება, თუმცა კი დღემდე არ გამხდარა საფუძვლიანი შესწავლის საგანი.¹

ეს არის არცთუ დიდი ზომის (12,5×10 სმ), ეტრატზე ნაწერი პალიმფსესტური ნუსხა, რომელშიც გამოყენებულია ორი ადრეული ხელნაწერის ფურცლები. ხელნაწერი ძლიერაა დაზიანებული, ეტრატი ჩამუქებულია და ზოგ შემთხვევაში ტექსტი არ იკითხება; ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლულია, აკლია ფურცლები შიგნითაც. პალიმფსესტის ქვედა ფენა წარმოადგენს ქართული ასომთავრულითა და ნუსხურით ნაწერ ტექსტს, რომელიც ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარს.

ამჟამად ჩვენ ხელნაწერის ზედა ფენა გვანტერესებს. შინაარსის მიხედვით, ამ პალიმფსესტის ზედა ფენა წარმოადგენს საკმაოდ ჭრელი შედგენილობის კრებულს, სადაც გაერთიანებულია აპოკრიფული, ასკეტიკური, აგიოგრაფიული და ასტროლოგიური თხზულებები, კალენდარული მასალა (მაგ. „გამოცხადებაჲ ნმიდისა ღმრთისმშობელისა სატანჯველთა, თუ ვითარ იხილნა

¹ ხელნაწერი C 24 და მასში წარმოდგენილი თხზულებები მოკლედ აქვს მიმოხილული მ. ბროსეს. იხ: M. Brosset, *Notice sur un manuscrit géorgien palimpseste appartenant à M. Sreznevski*, Bull. Historico-Philologique, t. XVI, St. Pétersbourg, 1859) (=Melanges Asiatiques, t. III); M. Brosset, *De la chronologie technique géorgienne, ecclesiastique et civile*. Bull. de l'Académie, t. XXII (1875) (= Melanges Asiatiques, t. VIII); იხ. ასევე Brosset, *Note sur manuscrit grec des quatre evangiles, rapporté du Suaneth-Libre et appartenant au compositeur Panin*, Bull. de l'Académie, t. VX (1870) (=Melanges Asiatiques, t. VI); ამავე ხელნაწერს მოიხსენიებს რ. ორბელი თავის სტატიაში: P. Орбели, *Собрание грузинских рукописей Института Востоковедения Академии Наук СССР*. Ученые записки Института Востоковедения, вып. IX, 1954, გვ. 63. სხვა სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც აღნიშნულ ხელნაწერს შეეხება, ჩვენთვის ცნობილი არ არის.

სატანჯველნი სულთა ცოდვილთანი წინამოდ ~ღრებითა ანგელოზთა მთავარისა მიქაელი[სითა“, „[სიბრძნის] მეტყუელებაჲ ბასილისი და გრიგოლისი“, წმინდა მამათა „კითხვა-მიგებანი“, „ცნობაჲ ხილვისათჳს მთოვარისა“, „ცნობაჲ ჟამთა და წელიწადთა[ჲ]“, ქრონოლოგიური ტაბულა და სხვა); აგრეთვე ქართული სასულიერო მწერლობის ორიგინალური ნიმუში (გალექსილი „მარინეს წამება“).

ხელნაწერის ზედა ფენა, ნაწერი ნუსხურით, გადაწერილია ორი გადამწერის მიერ. ცნობილია ერთი მათგანის ვინაობაც – ესაა იოანე ცოფაშვილი, რომლის სავედრებელ მინაწერს ვხვდებით ხელნაწერის 63r-ზე („ღება წა მარინეს. წო მარინე, მადლსა შენსა, მეცა ღირს-მყავ სასუფეველსა. იწეს ცოფაშვილსა და მშობელთა მისთა შწნს ღწ. აწ“).² პალეოგრაფიული ნიშნებით ხელნაწერის ზედა ფენა XVII-XVIII საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.³ ის, რომ ხელნაწერის შექმნის ქვედა ზღვარი XVII საუკუნეს ვერ გადასცდება, კიდევ ერთი ფაქტით დასტურდება – როგორც აღინიშნა, კრებული შეიცავს „მარინეს წამების“ გალექსილ ვერსიას, რომლის ავტორიცაა იოსებ თბილელი – თბილისის მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე (1620 – 1688 წწ.).⁴

კრებული მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ ამჯერად ჩვენ ყურადღებას მხოლოდ მასში შეტანილ ერთ მცირე ზომის, სამეცნიერო საზოგადოებისათვის დღემდე სრულიად უცნობ ტექსტზე შევაჩერებთ – ესაა დანიელ ხამბაშურის ეპისტოლე, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის 71v-75v-ზე.⁵

ეპისტოლის სათაურიდან ირკვევა, რომ იგი დანიელ ხამბაშურს გაუგზავნია სვანეთის, უფრო ზუსტად, „სვანეთის დიდი ხევის“ მაცხოვრებლებისათვის.

² მ. ბროსეს შეცდომით მიაჩნია მეორე გადამწერად დანიელ ხამბაშური, რომელიც ხელნაწერში შესული ერთ-ერთი თხზულების ავტორს წარმოადგენს (ამ საკითხზე საუბარი გვექნება შემდგომში). (იხ. M. Brosset, *Notice sur un manuscrit géorgien palimpsest*, გვ. 675). იგივე შეცდომას იმეორებს რ. ორბელიც, საფიქრებელია მ. ბროსეზე დაყრდნობით (იხ. P. Орбели, *Собрание грузинских рукописей Института Востоковедения*, გვ. 63).

³ მ. ბროსე აღნიშნულ ხელნაწერს X-XII საუკუნეებით ათარიღებს, რ. ორბელი კი XIV-XV საუკუნეებით (იხ. M. Brosset, *Notice sur un manuscrit géorgien palimpsest*, გვ. 672, 674; P. Орбели, *Собрание грузинских рукописей Института Востоковедения*, გვ. 63).

⁴ კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, II, თბ., 1981, გვ. 529. ეს თხზულება დაცულია აგრეთვე ქართულ ხელნაწერებში S 1203; S 1512 (თბილისის ხელნაწერთა ისტიტუტი).

⁵ ამ საინტერესო თხზულებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია მ. ბროსემაც. მისი სიტყვებით, იგი ასახავდა იმ ეპოქას (X-XII საუკუნეები), როდესაც ყველაზე მოშორებულ სვანეთის ხეობაშიც კი ყვაოდა ქრისტიანობა (იხ. M. Brosset, *Notice sur un manuscrit géorgien palimpsest*, 672). ცოტა უფრო ქვემოთ მკვლევარი შენიშნავს, რომ ამ მნიშვნელოვან ნაწარმოებს გვერდი აუარა (ჟარ გამოაქვეყნა მისი ტექსტი) იმის გამო, რომ იგი არ განეკუთვნებოდა მისი ინტერესების სფეროს; ამას გარდა, ეტრატის დაზიანების გამო ბროსემ შეუძლებლად მიიჩნია ტექსტის გადმოწერა სრული სახით (იქვე, გვ. 673).

ამასთან, როგორც სათაურიდანვე ჩანს, თხზულების დაწერის მიზეზი ყოფილა სვანეთის მცხოვრებთა მიერ დანიელ ხამბაშურისადმი გაგზავნილი შეკითხვა ოთხშაბათსა და პარასკევს დანესებული მარხვების შესახებ (იხ. ქვემოთ ეპისტოლის ტექსტი).

აღნიშნული ტექსტი საინტერესო წყაროს წარმოადგენს როგორც ტერმინ „ხამბაშურის“ მნიშვნელობის დასაზუსტებლად, ასევე ქართული საეკლესიო პრაქტიკის ისტორიის საკლევად.

ქართული წერილობითი წყაროებიდან ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილია ორი პირი, რომელთაც ზედწოდება „ხანბაშური“ (=ხამბაშური) მიემართება. ეს წყაროები მიკვლეული და შესწავლილი აქვს ელენე მეტრეველს.⁶ ესენი არიან:

ა) არსენ მარდუზის ძე თბილელი ხანბაშური, რომლის ხსენებას ვხვდებით ათონის № 28/148 აღაპში.⁷ ელ. მეტრეველი აღიშნულ აღაპს 1170-1184 წლებით ათარიღებს⁸. აღაპი განწესებული უნდა იყოს არსენ ხანბაშურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ელ. მეტრეველი მიუთითებს, რომ აღაპის განგება მდიდრული და საპატიოა, რაც მოწმობს, რომ არსენ მარდუზის ძე თბილელი ხანბაშური პატივცემული და დაფასებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. იქვე ელ. მეტრეველი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აღნიშნული პირი – არსენ მარდუზის ძე – შესაძლოა თბილელი მთავარეპისკოპოსი იყო; კერძოდ, არსენი – საკუთარი სახელია, მარდუზის ძე – გვარსახელი, თბილელი – თბილელი მთავარეპისკოპოსის ზედწოდების აღმნიშვნელი (თუმცა, როგორც ე. მეტრეველიც აღნიშნავს, ამ გვარსახლის თბილელი მთავარეპისკოპოსი არსებულ წყაროებში ჯერჯერობით არ დასტურდება)⁹. ტერმინი „ხანბაშური“ კი, მისი აზრით, ალბათ, რაიმე თანამდებობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.¹⁰

⁶ ე. მეტრეველი, *ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებისათვის*, წიგნში: *ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი*, თბილისი, 1998, გვ. 431-438.

⁷ ე. მეტრეველი, *ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებისათვის*, გვ. 431- 432. შესაბამისი აღაპების ტექსტები იხ. იმავე წიგნში (*ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი*), გვ. 40, 176-177.

⁸ იქვე, გვ. 208-209, 431.

⁹ ელ. მეტრეველი იქვე მიუთითებს, რომ „თბილელი“ შეიძლება სადაურობის მიმანიშნებელიც იყოს; თუმცა იგი უფრო იმ ვარაუდისაკენ იხრება, რომ ამ შემთხვევაში „თბილელი“ თბილისის მთავარეპისკოპოსის ზედწოდებას აღნიშნავს. ე. მეტრეველი, *ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებისათვის*, გვ. 431.

¹⁰ იქვე, გვ. 431. თუმცა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არაა ამ აღაპის სხვანაირი წაკითხვა. კერძოდ: *არსენ მარდუზის ძე, თბილელი ხანბაშური* (ამ შემთხვევაში, *თბილელი*, როგორც სადაურობის აღმნიშვნელი სახელი, *ხანბაშურის* მსაზღვრელია და არა მთავარეპისკოპოსის ზედწოდების აღმნიშვნელი). შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით არ დასტურდება ამ გვარსახლის თბილელი მთავარეპისკოპოსი ხელმისაწვდომ წყაროებში. თუ ამ აზრს ბოლომდე მივიყვანთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობდა ასევე მაგ. ქუთათელი ხანბაშური, თელაველი ხანბაშური, იყალთოს ხანბაშური და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, აქვე უნდა გავჩერდეთ, რადგანაც,

ბ) ზედწოდება „ხანბაშურის“ მქონე მეორე პირი, რომელიც ქართულ წყაროებში დასტურდება, XI საუკუნის მოღვაწე, დანიელ ხანბაშურია.¹¹ მას, როგორც თავის გამზრდელს, მოიხსენიებს ნიკოლოზ მწირი, ქუთაისში დაცული ოთხთავის (ქუთ. 74, XI ს.; რესტავრირებული XVI-XVII სს-ში)¹² გადამწერი და მომხატველი: „მე, უნდომან და ყოველთა ქრისტიანეთა უნარჩევესმან, ფრიად ცოდვილმან ცუდსახედელმან მწირმან ნიკოლოზ, ძმისა დანიელ ხანბაშურისა გაზრდილმან, მოვიგე ჩემითა ნამუშავევითა ხატი მაცხოვრისა...და მევე დავწერე ჟამსა სიბერისა ჩემისასა ოთხთავი კამართა და ხატითა და ზანდუკითა... შევწირე და მოვაქსენე ყოველად (წმიდისა) ღმრთისმშობლისა მონასტერსა ჭელიძს...“.¹³

ქუთ. 74-ში დანიელ ხანბაშურის ხსენებას მეორეჯერაც ვხვდებით ამავე ხელნაწერის ყდის მირქმის ხატის წარწერაში: „უფალო ღმერთო, მოიქსენე წყალობით ნიკოლოზ სოხასტრელი, დანიელ ხანბაშურის გაზრდილი“.¹⁴ გ. ბოჭორიძის მითითებით, ნიკოლოზ სოხასტრელი იგივე ნიკოლოზ მწირია.¹⁵ თ. ჟორდანიას აზრით, ეს ნიკოლოზი ასევე მოხსენიებულია გელათის სახარების თარგმანების მინაწერში (1047-1053), როგორც ხელნაწერის მეორედ შემმოსველი.¹⁶ ამდენად,

მასალის სიმცირის გამო, ეს მოსაზრება ვარაუდს ვერ გასცდება. ელ. მეტრეველის ვარაუდით, გვარი ღამბაშიძე ამ წოდების/თანამდებობის აღმნიშვნელი სახელიდან ჩამოყალიბდა მოგვიანებით. იქვე, გვ. 438. ჩვენი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ხამბაშური თავიდანვე გვარსახელს წარმოადგენდა, რადგან არსენ მარდუხის ძე თბილელ ხამბაშურ-ში გვარსახელის აღმნიშვნელი მარდუხის ძეა სწორედ. უფრო სარწმუნოა ე. მეტრეველის მოსაზრება, რომ ხამბაშური გარკვეულ წოდებას, თანამდებობას აღნიშნავდა.

¹¹ იხ. ე. მეტრეველი, *ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებისათვის*, გვ. 432.

¹² ხელნაწერ ქუთ. 74-ის აღწერილობაში (იხ. *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა*, ტ. 1, თბ., 1953, გვ. 212-213) ხელნაწერი XV-XVII საუკუნეებით არის დათარიღებული. ხელნაწერი საგანგებოდ აქვს შესწავლილი გ. ბოჭორიძეს. მისი აზრით, ხელნაწერი XVI-XVII საუკუნეებში უნდა იყოს განახლებული, თუმცა, ხელნაწერის ნუსხურით ნაწერი ანდერძი და ყდა XI საუკუნისად უნდა მივიჩნიოთ (იხ. გ. ბოჭორიძე, *რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები*, თბილისი, 1994, გვ. 84 - 87); ამავე დათარიღებას იზიარებს ელ. მეტრეველი (ე. მეტრეველი, *ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებისათვის*, გვ. 432-433). ცნობილია, რომ ხელნაწერი ქუთ. 74 თავის დროზე ინახებოდა რაჭაში, სოფ. ხონჭიორის ეკლესიაში (იქვე, 80, 83; ასევე: *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 212).

¹³ ქუთ. 74, 206r.

¹⁴ ე. მეტრეველი, *ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებისათვის*, გვ. 432. ნიკოლოზ მწირის ანდერძი ორჯერ არის გამოქვეყნებული (*ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 212-213; გ. ბოჭორიძე, *რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები*, გვ. 86).

¹⁵ გ. ბოჭორიძე, *რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები*, გვ. 87

¹⁶ თ. ჟორდანიას, *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, I, ტფილისი, 1892, გვ. 192. გ. ბოჭორიძის აზრითაც, ამავე პირს მოიხსენიებს გელათის სახარების თარგმანებაზე დართული მინაწერი, რომელშიც ვხვდებით მითითებას

ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ დანიელ ხანბაშური ყოფილა XI საუკუნეში მოღვაწე ქართველი მწიგნობრის, ნიკოლოზ მწირის, იგივე ნიკოლოზ სოხასტრელის, გამზრდელი.

ხანბაშურის ზედწოდების მატარებელი ორივე ზემოხსენებული პიროვნება, დანიელი და არსენი, ერთად არის დასახელებული მოქვის გულანში (A-743) შემავალ ერთ-ერთ საკითხავზე („*ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლეს შეკრებულთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, რომელი-ესე წარიკითხვის სოფიანმდას პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა*“) დართულ მოსახსენებლებში.¹⁷ კერძოდ, ძეგლისწერის ბოლოს დართულ მართლმადიდებელ მეფთა და პატრიარქთა მოსახსენებელს – „[თეო]ფილაქტესი, პოლიევქტოსი, ანტონისი და ნიკოლოზისი, მართლმადიდებელთა პატრიარქთა“ – უშუალოდ მოსდევს შემდეგ პირთა მოსახსენებელი: „*დავით გარეჯელისა, იოანე, შიო მღვიმელისა, ევაგრესი, არსენისი და არსენისივე ხამბაშურისი და არსენი კალიპოსელისა, საუკნომცა არს ჴსენებაჲ მათი, დანიელ ხამბაშურისა, ახლისა მის აღმსარებელისა, კვრიკესი, ეფრემისი და ყოველთა მამათა ჩუენთა, რომელთა ილუანეს მართლმადიდებლობისათჳს და სჯულთა საღმრთოთათჳს, საუკუნომცა არს ხსენებაჲ და კურთხევაჲ მათი, გრიგოლ მოქუჴლი მთავარეპისკოპოსისა, მწყემისა მის კეთილისა, საუკუნომცა არს ხსენებაჲ ყოველთა ღმერთშემოსილთა მამათა და მართლმადიდებლობისა ქადაგათა*“.¹⁸

ზემოხსენებულის გარდა, დღემდე არ იყო ცნობილი სხვა წყაროები, სადაც ნახსენები იქნებოდა ხანბაშურის ზედწოდების მქონე პიროვნება. ამდენად, პეტრებურგში დაცული ხელნაწერი C-24 ახალ მასალას გვანვდის ტერმინ *ხამბაშურის (ხანბაშურის)* მნიშვნელობის საკვლევად.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი XVII-XVIII საუკუნეებისაა. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს არანაირი მინიშნება თავად ეპისტოლის დასათარიღებლად. ამდენად, ძნელი სათქმელია, რომელი საუკუნის მოღვაწეა ეპისტოლის ავტორი, დანიელ ხამბაშური. დიდია ალბათობა, რომ ეს იგივე დანიელ ხამბაშურია, რომელიც ქუთაისის ოთხთავსა და მოქვის გულანში მოიხსენიება, XI ს-ის მოღვაწე. თუმცა, არა გვაქვს საკმარისი საფუძველი საბოლოოდ გამოვრიცხოთ ის შესაძლებლობაც, რომ უბრალოდ სახელების დამთხვევასთან გვაქვს საქმე.

გეოგრაფიული არეალი ტერმინ „ხამბაშურის“ ხმარებისა ნაკლებ შემოსაზღვრულია – არსებული წყაროების მიხედვით ის დასტურდება როგორც

აღნიშნული ხელნაწერის მეორედ შემოსველზე, ნიკოლოზ სოხასტრელზე (გ. ბოჭორიძე, *რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები*, გვ. 84).

¹⁷ იქვე, გვ. 435.

¹⁸ ე. მეტრეველი, *ტერმინ „ხანბაშურის“ გავებისათვის*, გვ. 435. როგორც ე. მეტრეველი აღნიშნავს, მოსახსენებლის ეს ტექსტი, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა „მცირე სჯულისკანონის“ ეფთვიმესეულ თარგმანში, რადგან ამ მოსახსენებელში იხსენიებიან XI ს-ის ბოლო მეოთხედისა და უფრო გვიანდელი მოღვაწეებიც.

აღმოსავლეთ (თბილელი ხამბაშური), ასევე დასავლეთ საქართველოს (რაჭა, სვანეთი) მასალებში და ასევე ათონის ალაპებშიც.

ის ფაქტი, რომ აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ ორი ხამბაშური და ორივე XI-XII საუკუნეების მოღვაწე, გვაგარაუდებინებს, რომ ეს წოდება არც თუ ისე გავრცელებული და ფართოდ ხმარებული უნდა ყოფილიყო. ხომ არ იყო ეს წოდება მხოლოდ XI-XII საუკუნეების კუთვნილება? თუ ეს ასეა, მაშინ C24-ში დაცული ეპისტოლის მიკუთვნება ამ ეპოქისადმი, და შესაბამისად, მისი ავტორისა და ქუთაისის სახარების ანდერძში ნახსენები დანიელ ხამბაშურის იგივეობა ბევრად უფრო სავარაუდო იქნება (ამ საკითხზე ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი).

ბოლომდე ნათელი არ არის თავად ტერმინ „ხამბაშურის“ შინაარსიც. ჩვენთვის ცნობილი წყაროები საკმაოდ მწირ ინფორმაციას გვაწვდის ამ ტერმინის მნიშვნელობის განსამარტად.

არსებულ წყაროებზე დაყრდობით ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ – ყველა ჩვენთვის ცნობილი ხამბაშური, როგორც ჩანს, სასულიერო წოდების მქონე, მეტად პატივცემულ და სარწმუნოების საკითხებში განსწავლულ პიროვნებას წარმოადგენდა. არსენ მარდუხის ძე ხამბაშური, სავარაუდოდ თბილელი ეპისკოპოსი, ათონის ალაპებში მოიხსენიება, როგორც დიდად პატივცემული პიროვნება; დანიელ ხამბაშური კი მნივნობარ ნიკოლოზ სოხასტრელის აღმზრდელია და მოქვის გულანის „მოსახსენებლის“ ტექსტში მას „ახალი აღმსარებლის“ ზედწოდება ახლავს: „*დანიელ ხამბაშურისა, ახლისა მის აღმსარებლისა, კვირკვისი, ეფრემისი და ყოველთა მამათა ჩუენთა, რომელთა იღუანეს მართლმადიდებლობისათჳს და სჯულთა საღმრთოთათჳს.*“ სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ კონკრეტულად რა დამსახურება მიუძღვის დანიელ ხამბაშურს მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვის საქმეში და რის საფუძველზე მიენიჭა მას „ახალი აღმსარებლის“ წოდება, მაგრამ, თავისთავად ნათელია, რომ ამგვარი ზედწოდების მისანიჭებლად სერიოზული მიზეზი უნდა არსებულებოდა.¹⁹

აღნიშნულ მოსახსენებელში არსენ და დანიელ ხამბაშურთა სახელების შეტანა უკვე თავისთავად უნდა ჩაითვალოს ამ პირთა მიერ მოპოვებული უდიდესი ავტორიტეტის ნათელ მტკიცებულებად. თავისთავად საინტერესოა ის ადგილიც, რომელიც მათ უკავიათ ჩამონათვალში – ხამბაშურთა სახელები მოსდევს ასურელი მამებისა (დავით გარეჯელი, იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, ევაგრე) და მათი „ცხოვრებების“ კიმენური რედაქციების შემდგენლის, არსენი II კათალიკოსის სახელებს და მოიხსენიება ქართული სასულიერო კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა – არსენ კალიპოსელსა, ეფრემსა და კვირიკესთან ერთად.

¹⁹ ტერმინ „აღმსარებლისათვის“ იხ.: *Dictionnaire d'archeologie chretienne et de liturgie*, vol. III, pars 2; Article „Confessor“, col. 2508-2514.

C-24-ში დაცული ეპისტოლის ავტორი, დანიელ ხამბაშურიც, სარწმუნოების საკითხებში მეტად განსწავლული და დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს თავად ეპისტოლის შინაარსიც და ის ფაქტიც, რომ სწორედ მას მიმართა სვანეთის მოსახლეობამ საეკლესიო პრაქტიკის საკითხებთან დაკავშირებით განმარტებების მისაღებად.

ყოველივე ზემოთქმული, ალბათ, საკმარის საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ხამბაშური“ სასულიერო პირთათვის მინიჭებული გარკვეული წოდების ან თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინია, რომელიც სარწმუნოების საკითხებში განსაკუთრებულ ავტორიტეტს და განსწავლულობას მოიაზრებს (მსგავს მოსაზრებას გამოთქვამდა ელ. მეტრეველიც²⁰).

ელ. მეტრეველის განმარტებით, ტერმინი „ხანბაშური“ სირიულ ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს. მკვლევარი სიტყვა „ხანბაშურში“ გამოყოფს აღმოსავლური წარმომავლობის ფუძეს – „ხანბაშ“ და ქართულ სუფიქს „ურ“-ს. კ. წერეთლის განმარტებით, ქართული „ხანბაშ“ ფუძე სირიული სიტყვიდან „habbāšā“ (ვარ. hanbāšā) (=მცველი) უნდა მომდინარეობდეს.²¹

სირიული ძირის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ელ. მეტრეველი ფიქრობს, რომ „ხანბაშური“ თანამდებობრივად (პროფესიით) მონასტრის საგანძურთსაცავის მცველი შეიძლება ყოფილიყო.²² იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებსაც ახლად აღმოჩენილი ეპისტოლე გვანვდის, ხომ არ შეიძლება აგრეთვე ვივარაუდოთ, რომ ტერმინი „ხანბაშური“ მოიაზრებდა რაიმე თანამდებობას, რომელიც რწმენის სინმინდის დაცვასთან იყო დაკავშირებული, და შესაბამისად, გარკვეული აღმზრდელობითი ან საგანმანათლებლო ფუნქციის მატარებელ სასულიერო პირს? ამ ვარაუდს მხარს უჭერს როგორც სირიული ფუძის მნიშვნელობა „მცველი“, ასევე ჩვენთვის ცნობილ ხანბაშურთა დიდი ავტორიტეტი და განსწავლულობა რწმენის საკითხებში (ამავე ვარაუდის განმამტკიცებლად შეი-

²⁰ ტერმინი „ხამბაშური“ იდეოლოგიურად მართლმადიდებლობის დამცველსა და მქადაგებელზე უნდა მიგვანიშნებდეს, ელ. მეტრეველი, *ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებითსათვის*, გვ. 437.

²¹ იქვე, გვ. 437-438.

²² იქვე, გვ. 433-434. ხსენებული ვარაუდი სირიული სიტყვის მნიშვნელობასთან ერთად ეფუძნება იმ ფაქტს, რომ „ხანბაშური“ „დამონმებულია XI ს-ის მატერიალური კულტურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლებში. ამავე დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დანიელ ხამბაშური, თვით მნიგნობარი, მნიგნობართა აღმზრდელიც ყოფილა. ეს გვაფიქრებინებს, რომ „ხანბაშური“ თავისი პროფესიით მონასტრებისა თუ ეკლესიების სამწერლობო კერებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული“. *როგორც ჩანს, ყოველ დიდ მონასტერსა და ეკლესიაში ორი ტიპის საცავი ყოფილა – ხელნაწერთა ბიბლიოთეკა და ...საგანძურთ საცავი, რომელთაც საგანგებო მცველი ჰყავდათ მიჩენილი. ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი საცავის მცველი უნდა ყოფილიყო ხანბაშური“.*

ძლება მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ მოქვის გულანში დანიელ ხამბაშური ახალ აღმსარებლად მოიხსენიება).²³

ვფიქრობთ, დანიელ ხამბაშურის ეპისტოლე, რომლის ტექსტსაც ქვემოთ მოვიყვანთ, დამატებით საბუთს გვანვდის „ხამბაშურის“ წოდების მატარებელ პიროვნებათა უდიდესი ავტორიტეტის დასადასტურებლად. ეპისტოლის ტექსტის ზედაპირული გაცნობაც კი გვიჩვენებს, რომ ამ ეპისტოლის ავტორი, დანიელ ხამბაშური, ცნობილი უნდა ყოფილიყო საეკლესიო საკითხებში ღრმა განსწავლულობით და უდიდეს ავტორიტეტად იყო მიჩნეული თანამოძმეთა შორის. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ სწორედ მას მიმართეს სვანეთის მცხოვრებლებმა მათთვის ბუნდოვანი კანონიკური საკითხის განსამარტად.

დანიელი, როგორც ჩანს, კარგად იცნობს მსოფლიო საეკლესიო პრაქტიკას – ეპისტოლეში ვხვდებით მითითებას საბერძნეთის საეკლესიო პრაქტიკაზე: *„უღირსი დანიელ ხამბაშური მოგინერ კითხვისა თქუენისა პასუხსა; არა ჩემსა მოგონებულსა, არამედ ღმრთისაგან ბრძანებულსა და მისთა წერილთაგან განნესებულსა, საბერძნეთისაგან შეწყნარებულსა.“*

ვერ გამოვრიცხავთ ვერც იმ შესაძლებლობას, რომ დანიელი მოღვაწეობდა საზღვარგარეთის რომელიმე სამონასტრო ცენტრში და, ამდენად, ზედმიწევნით იცნობდა ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დანერგილ პრაქტიკასა და იქ დანესებულ ნორმებს.

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს კითხვა-მიგება, რომელიც გაიმართა ექვთიმე ათონელსა და გიორგი ჭყონდიდელს შორის.²⁴ ამ ძეგლიდან ირკვევა, რომ გიორგი ჭყონდიდელს (მეორე რედაქციით თევდორე საბანშიდელს) მიუწერია წერილი ათონზე ექვთიმესათვის და უთხოვია განმარტება იმის შესახებ, თუ რომელ წიგნებს მიიჩნევდა აპოკრიფულად საბერძნეთის ეკლესია. ექვთიმე თავის პასუხში დეტალურად აცნობს თავის ადრესატს საბერძნეთის ეკლესიაში

²³ ვფიქრობთ, გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული ტერმინი შემუშავებული ყოფილიყო სირიაში (ანტიოქიასა და შავ მთაზე) მოღვაწე ქართველთა წრეში. ამას გვაფიქრებინებს როგორც ტერმინის სირიული წარმომავლობა, ასევე მოქვის გულანის „მოსახსენებელი“, სადაც ორივე ხამბაშური მოიხსენიება საქართველოში მოღვაწე ასურელი მამებისა და, ასევე, სირიაში მოღვაწე ქართველი მამების გვერდით. მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ ამ პერიოდში (XI-XII სს.) სირიაში არსებობდა ქართული სულიერი კულტურის ძალზე აქტიური კერა.

²⁴ ეს კითხვა-მიგება ჩვენამდე შემონახულია ორი რედაქციით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რედაქციები სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ ექვთიმეს ადრესატს. ერთი რედაქციის ტექსტის თანახმად, ექვთიმეს ადრესატი ყოფილა თევდორე საბანშიდელი ხუცესი, მეორე რედაქციის თანახმად კი – დიდი ბერი გიორგი (ჭყონდიდელი). ორივე რედაქცია გამოქვეყნებულია. (*საქართველოს სამოთხე*, გამოც. მ. საბინინის მიერ, გვ. 432-436; თ. ჟორდანიას, *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, II, თბილისი, 1897, გვ. 82-83).

დამკვიდრებულ ტრადიციას და ჩამოთვლის იმ აპოკრიფულ წიგნებს, რომელთაც არ შეინწყნარებდა საბერძნეთის სამღვდლოება.

ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსგავსი პრაქტიკა – ამ თუ იმ ბუნდოვან და, შესაძლოა, ქართველი მრევლისათვის საკამათო საკითხზე შეკითხვა გაეგზავნათ ავტორიტეტული საეკლესიო პირებისათვის, მიემართათ თხოვნით, გაეცნოთ მათთვის საბერძნეთის ეკლესიაში დამკვიდრებული პრაქტიკა და განემარტათ ესა თუ ის საკითხი – უცხო არ იყო ქართული სინამდვილისათვის, როგორც მრევლის წევრებისათვის, ასევე სამღვდლო პირებისათვის. რა თქმა უნდა, ასეთი შეკითხვებით მიმართავდნენ ხოლმე მხოლოდ უაღრესად ავტორიტეტულ, ფართოდ განსწავლულ სასულიერო წოდების პირებს. პირველ შემთხვევაში ეს დანიელ ხამბაშურია, მეორე შემთხვევაში კი – ექვთიმე ათონელი. თუმცა ერთი განსხვავებაც არის: ექვთიმეს შემთხვევაში ადრესატი ერთი კონკრეტული პირია, დანიელ ხამბაშური კი თავისი ეპისტოლით მიმართავს სვანეთის დიდი ჴევის ყველა მცხოვრებს: მღვდლებს, მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს („ხუცესთა, ბერთა და ჭაბუკთა“).

ეს ტექსტი, რომელიც ქართული ორიგინალური კანონიკური მწერლობის აქამდე უცნობ ძეგლს წარმოადგენს, საინტერესო მასალას გვანვდის მარხებთან დაკავშირებული ქართული საეკლესიო პრაქტიკის ისტორიის საკვლევადაც.

ტექსტში განმარტებულია, რომ ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს არის ისეთივე მარხვა, როგორც დიდმარხვის დღეებში. ოთხშაბათს მარხვა უნდა დავიცვათ, რადგან ესაა უფლის გაცემის დღე, ხოლო პარასკევს – რადგან ამ დღეს უფალი ჯვარს ეცვა.

ეპისტოლეში ნათქვამია, რომ თუ ოთხშაბათს ან პარასკევს დაემთხვა რომელიმე დღესასწაული, მაშინ იმ დღეს მარხვა განიხსნება ან შემსუბუქდება (ზოგიერთ დღესასწაულებზე, ტექსტის თანახმად, მონაზონთათვის მარხვის შემსუბუქებაა, ხოლო ერისკაცთათვის – ხსნილია). შემდეგ ჩამოთვლილია, თუ რომელი დღესასწაულები განხსნიან მცირე მარხვებს (ანუ ოთხშაბათის და პარასკევის მარხვებს). ესენია: ხარება, შობა, და შემდგომი 12 დღე (ანუ შობიდან ნათლისღებამდე), წინადაცვეთა, ნათლისღება, მირქმა, ფერიცვალება, ღვთისმშობლის მიცვალება, იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, ღვთისმშობლის შობა, ტაძრად მიყვანება, ღვთისმშობლის მუცლადღება, ნათლისმცემლის შობა და მუცლადღება, წმინდა გიორგის დღესასწაული 23 აპრილს და 10 ნოემბერს, წმინდა თეოდორესი, დიმიტრისი და კკრიკეს, ზაქარიაჲსი და იოვანესი და სხუათა დიდთა წმინდანთა დღესასწაულები. ჯვართამაღლებას კი მარხვაა, თუნდაც კვირას დაემთხვეს. თუ ადამიანი ავადაა და ვერ მარხულობს, მისთვის ხსნილია და როდესაც გამოჯანმრთელდება, იმდენივე დღე უნდა იმარხულოს სხვა დღეებში, რამდენი ოთხშაბათი და პარასკევიც გააცდინა. თუ ვინმე გარდაიცვლება, მისმა ახლობელმა მოძღვარს უნდა ჰკითხოს, და რასაც მოძღვარი განუწესებს, ის კანონი გადაუხადოს.

ასეთია, მოკლედ, ეპისტოლის შინაარსი.

საინტერესოა, თუ რითი იყო გამოწვეული მცირე მარხვების შესახებ ამგვარი შეკითხვის დასმის აუცილებლობა. საფიქრებელია, რომ ამის მიზეზი შეიძლება იყოს ყოფილიყო ბერძნულ საეკლესიო პრაქტიკაში მომხდარი რაიმე ცვლილებები, რის გამოც საჭირო გახდა სამარხვო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხის ხელახლა განმარტება და დაზუსტება ქართველი (ამ შემთხვევაში სვანეთის) საეკლესიო პირებისა და მრევლისათვის.

როგორც ცნობილია, ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვები (ანუ მცირე მარხვები) უძველესი დროიდან დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. უკვე „დიდაქეში“ (სავარაუდოდ I ს.) გვხვდება ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვების ხსენება²⁵. II – III საუკუნეებში მცირე მარხვები დამკვიდრებული პრაქტიკაა ზოგიერთი ქვეყანის ქრისტიანთა შორის, ხოლო IV საუკუნის ბოლოსათვის, როგორც ჩანს, უნივერსალურ პრაქტიკად იქცევა.²⁶ ამ მარხვებს ახსენებენ კლიმენტ ალექსანდრიელი (150-215 წწ.), ტერტილიანე (160-225 წწ.), ჰერმას მწყემსი (II ს-ის I ნახევარი), ორიგენე (185-254), ეგერია (IV ს-ის ბოლო).²⁷

ოთხშაბათსა და პარასკევს მარხვის დაწესებას პეტრე I ალექსანდრიელი ამგვარად განმარტავს IV საუკუნის დასაწყისში: ოთხშაბათი არის იუდეველთა შეთქმის და უფლის განცემის დღე, ხოლო პარასკევი – ჯვარცმის დღე²⁸.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ამ მარხვების წარმოშობის თაობაზე. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ოთხშაბათის და პარასკევის მარხვებით ქრისტიანებმა, როგორც მათთვის მნიშვნელოვანი დღეების აღმნიშვნელი მარხვებით, ჩაანაცვლეს ებრაელთა ორშაბათისა და ხუთშაბათის მარხვები (ხუთშაბათი ითვლებოდა დღედ, როდესაც მოსე ავიდა სინას მთაზე, სადაც მას ღმერთი გამოეცხადა, ხოლო ორშაბათი – დღედ, როდესაც მოსე მთიდან ჩამოვიდა)²⁹

საგულისხმოა, რომ ადრეულ საუკუნეებში ოთხშაბათ-პარასკევის მარხვები მთელ დღეს არ გრძელდებოდა. IV საუკუნეში ეპიფანე კვიპრელი წერს, რომ ამ დღეებში მარხვა, ჩვეულებრივ, მთავრდებოდა მეცხრე უამს (ანუ სამ საა-

²⁵ *Dictionnaire d'archeologie chretienne et de liturgie*, t. VII, pars 2; Paris, 1927, Article: Jeunes, par F. Carrol. col. 2484.

²⁶ *Encyclopedia of Religion and Ethics*, ed. by James Hastings, vol. V, Edinburgh, 1912; article: Fasting (Christian), by A. J. Maclean, გვ. 765-767.

²⁷ *Dictionnaire d'archeologie chretienne et de liturgie*, t. VII, pars 2, დასახელებული სტატია, col. 2488; იხ. ასევე L. Duchesne, *Origines du culte Chretien (etude sur la liturgie latine avant Charlemagne)*, Paris 1898. გვ. 218-219; *Encyclopedia of Religion and Ethics*, vol. V, დასახელებული სტატია, გვ. 767.

²⁸ *Encyclopedia of Religion and Ethics*, vol. V, დასახელებული სტატია, გვ. 767.

²⁹ *Dictionnaire d'archeologie chretienne et de liturgie*, t. VII, pars 2, დასახელებული სტატია, col. 2489; ასევე: L. Duchesne, *Origines du culte Chretien*, გვ. 218-219.

თზე), უფლის მიცვალების საათზე³⁰. ამიტომაც ეწოდება მათ „მცირე მარხვები“. მოგვიანებით ეს პრაქტიკა შეიცვალა და მარხვა მთელ დღეზე გავრცელდა.

ადრეული დროიდანვე დადგენილი იყო, რომ ოთხშაბათ-პარასკევის მარხვები განისხნებოდა, თუ მათ დამთხვევოდა რომელიმე დიდი დღესასწაული – მაგ. აღდგომიდან სულთმოფენამდე დღეებში³¹ (პირველად მარხვის ამგვარ აკრძალვას დღესასწაულებზე ვპოულობთ ფსევდო-იუსტინეს მიერ ციტირებულ ირენეუსის ფრაგმენტში (II ს.), შემდეგ ტერტულიანესთან და სხვებთანაც).³²

ცნობილია, რომ XI საუკუნეში, კომნენოსების პერიოდში, ბერძნულ ეკლესიაში თავს იჩინეს კამათი მარხვის თაობაზე.³³ ეს გამონეგული იყო საეკლესიო დღესასწაულთა მომრავლებით. გაჩნდა კითხვა: დღესასწაულთა რიცხვის მატების ფონზე რომელ დღესასწაულს შეუძლია მარხვის განხსნა ან შემსუბუქება? ცხადია, ყველას არა, უნდა მომხდარიყო ამ დღესასწაულთა გამორჩევა. მე-11 ს-ში პატრიარქის დადგენილებით ბერძნულ ეკლესიაში მიიღეს მარხვის შემსუბუქების წესი.³⁴ მიტროპოლიტი მაკარი ბულგაკოვი წერს, რომ მე-11 საუკუნეში საბერძნეთში (ანუ ბიზანტიაში), კონსტანტინეპოლელი პატრიარქები ნიკოლას გრამატიკოსი და ლუკა ხრისოვერგი ბევრს წერდნენ ამ პაექრობათა შესახებ³⁵.

ეს საკითხი, როგორც ჩანს, XII საუკუნეშიც საკმაოდ აქტუალური იყო ბერძნულ ეკლესიაში, მაგ. XII ს-ის მეორე ნახევრის ცნობილი კანონისტი ბალზამონი ამბობს: სხვადასხვა დროს ამის შესახებ კრებებზე ცილობას ჰქონია ადგილი³⁶. 1301 წელს კონსტანტინეპოლის კრებაზე ეპისკოპოსმა თეოგნოსტემ (Феогност Сарский) დასვა შეკითხვა ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვების შესახებ, რაზეც კრება პასუხობს: უნდა დავიცათ ის, რაც დადგენილია საეკლესიო კრებების მიერ.³⁷

შესაძლოა, სწორედ აღნიშნულმა პოლემიკამ მარხვებთან დაკავშირებით და ზემოხსენებულმა ცვლილებებმა სამარხვო პრაქტიკაში ასახვა ჰპოვა ქართულ რეალობაშიც (როგორც ცნობილია, ბიზანტიაში მიმდინარე კულტურუ-

³⁰ *Encyclopedia of Religion and Ethics*, დასახელებული სტატია, გვ. 767; L. Duchesne, *Origines du culte Chretien*, გვ. 218-219.

³¹ *Dictionnaire d'archeologie chretienne et de liturgie*, t. VII, pars 2, დასახელებული სტატია, col. 2485.

³² *Encyclopedia of Religion and Ethics*, vol. V, დასახელებული სტატია, გვ. 768; იხ. ასევე *The Oxford dictionary of Byzantium*, vol. 2, New York, Oxford, Oxford University Press, 1991, გვ. 779;

³³ Митрополит Макарий Булгаков, *История русской церкви*, книга II, Москва, 1995, Издательство Спасо-Преображенского Монастыря, гв. 334.

³⁴ იქვე, გვ. 334.

³⁵ Митрополит Макарий Булгаков, *История русской церкви*, книга III, Монгольский период, правила поста, Москва, 1995, гв. 167.

³⁶ *Правила св. Апостолов, св. Соборов и св. Отцов с толкованиями*, вып. I, Москва, 1876.

³⁷ Митрополит Макарий Булгаков, *История русской церкви*, книга III, с. 162-163; 167.

ლი თუ საეკლესიო-იდეოლოგიური პროცესები საკმაოდ სწრაფად აისახებოდა ხოლმე ქართულ რეალობაში). გაუგებრობა შეიძლებოდა გამოეწვია ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში იერუსალიმური ტიპიკონის შეცვლასაც კონსტანტინეპოლის ტიპიკონით – იერუსალიმური ტიპიკონი საკმაოდ მკაცრი იყო მარხვის საკითხებში, კონსტანტინეპოლისა კი – უფრო რბილი. ყოველივე ამან გამოიწვია მარხვების საკითხის დაზუსტების აუცილებლობა.

როგორც ცნობილია, XI-XII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონში მდებარე სვანეთი არ იყო მონყევეტილი დანარჩენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს და საქართველოს ერთიანი საეკლესიო სივრცის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.³⁸ ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ სამარხვო პრაქტიკის ცვლილებებისა და მიმდინარე პოლემიკის ფონზე სვანეთის სასულიერო პირებს დასჭირდათ მარხვების საკითხის დაზუსტება, რასაც მოჰყვა ეპისტოლის მიწერა დანიელ ხამბაშურისადმი – რწმენის საკითხებში განსწავლული და ავტორიტეტული პირისადმი. ამ ვარაუდმა გარკვეულწილად შუქი შეიძლება მოჰფინოს ეპისტოლის დათარიღების საკითხსაც – კერძოდ, ამ დაშვების ფონზე, უფრო სავარაუდოა განსახილველი ეპისტოლის დათარიღება XI-XII საუკუნეებით.

აღსანიშნავია, რომ ქართულად შემორჩენილია XII საუკუნეში შექმნილი კიდევ ერთი ძეგლი, რომელიც ასევე მცირე მარხვების საკითხს შეეხება. კერძოდ, არსენ იყალთოელის მიერ ნათარგმნი 14 ტიტლოვანი „სჯულისკანონის“ შემცველ ზოგიერთ ხელნაწერში ჩართულია, როგორც მისი დამატება, დეფექტურად, უსათაუროდ შენახული სტატია, რომელიც ამგვარად იწყება: „კანონი მეექუსე კართაგენსა შინა შეკრებილთა ორას ათშემდეგთა მამათაჲ, რათა საცხებელი ხუცესთა მიერ არა იქმნებოდეს.“³⁹

თხზულება ნათარგმნია ბერძნულიდან, მაგრამ მისი ბერძნული დედანი არ შემოინახა⁴⁰. ტექსტის ანალიზის საფუძველზე კ. კეკელიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ თხზულება შექმნილია XII საუკუნის I ნახევარში, ხოლო ქართული თარგმანი შესრულებული უნდა იყოს გელათის სალიტერატურო სკოლაში, XII საუკუნის ბოლოსათვის (XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე)⁴¹.

³⁸ ვფიქრობთ, განსახილველი ტექსტი ამ პერიოდში სვანეთის კულტურული ინტეგრაციის კიდევ ერთ დამატებით საბუთს გვანვდის.

³⁹ ტექსტი სამ ნუსხაშია შემორჩენილი: A-76 (XVI ს.); ქუთ. 17 (XIII ს.); H-1670 (XIII-XIV ს.), იხ. კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IX, თბილისი, 1963. გვ. 5-7. ტექსტი გამოკვლევითურთ გამოცემული აქვს კ. კეკელიძეს, იხ. *ეტიუდები*, IX, სტატია: *ერთი უცნობი კანონიკური კრებული ძველ ქართულ მწერლობაში*.

⁴⁰ კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, IX, გვ. 13.

⁴¹ იქვე, გვ. 17-18, 22.

ამ თხზულების II ნაწილი – „ოთხშაბათ-პარასკევისა მარხვათათჳს“, წარმოადგენს მოციქულთა 69-ე კანონის ანალიზის საფუძველზე ოთხშაბათ-პარასკევის მარხვებთან დაკავშირებული საკითხების განმარტებას. ავტორი აცხადებს, რომ დიდმარხვის გარდა უცვალებლად, განურყვნელად და შეურევნელად უნდა ვიმარხვიდეთ ოთხშაბათ-პარასკევს, რომელიც ისეთივე მნიშვნელობის მარხვაა, როგორც დიდი, 40-დღიანი მარხვა, და ის განიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს სასიკვდილო ავადმყოფობა ემუქრება, ანდა ამ დღეებს ემთხვევა რომელიმე დიდი საეკლესიო დღესასწაული⁴².

ზემოთქმულიდან კიდევ ერთხელ ცხადი ხდება, რომ მცირე მარხვების საკითხი საკმაოდ აქტუალური ყოფილა XII ს-ის საბერძნეთში და აგრეთვე საქართველოშიც, რამაც განაპირობა XII ს-ის I ნახევარში ამ თხზულების შექმნა, ხოლო იმავე საუკუნის ბოლოსათვის მისი ქართულად თარგმნა. ეს გარემოება აგრეთვე მხარს უჭერს განსახილველი ეპისტოლის XI-XII საუკუნეებით დათარიღებას.

ამრიგად, ერთი მხრივ ის ფაქტი, რომ დღემდე ცნობილი ორივე ხაზბაშური XI-XII საუკუნეების მოღვაწეებია, და მეორე მხრივ XI-XII სს-ებში საბერძნეთში წამოწყებული კამათი მარხვების შესახებ, რომელმაც საქართველოშიც ჰპოვა გამოძახილი, საფუძველს გვაძლევს უფრო დაბეჯითებით გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ჩვენ მიერ განსახილველი ეპიტოლეც ამ პერიოდს მიეკუთვნება. შესაბამისად, ეპისტოლის ავტორის გაიგივებაც მცხეთის სახარებასა და მოქვის გულანში დასახელებულ დანიელ ხაზბაშურთან ბევრად უფრო სავარაუდოდ გვეჩვენება – ამ შემთხვევაში, ეპისტოლის შექმნის ქრონოლოგიური ჩარჩოები კიდევ უფრო ვინროვდება და ტექსტი XI საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

ეპისტოლის დათარიღების საკითხს გარკვეულწილად შეიძლება შუქი მოჰყინოს მასში აღწერილი საეკლესიო (სამარხვო) პრაქტიკის საგანგებო შესწავლამაც იმ კუთხით, თუ რა პერიოდის და რომელ საეკლესიო ტრადიციას ასახავს ტექსტში განმარტებული წესები მცირე მარხვების განხსნისა თუ შემსუბუქებისა (ანუ ტექსტში ჩამოთვლილი დღესასწაულები, რომლებიც განხსნიან ან ამსუბუქებენ მცირე მარხვებს).

ერთი შეხედვითაც ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ეპისტოლის ტექსტში არაფერია ნათქვამი ბრწყინვალე შვიდეულის ან აღდგომიდან სულთმოფენამდე (მეერგასობის) პერიოდის განმავლობაში მცირე მარხვების განხსნაზე, რაც ადრინდელი საუკუნეებიდან დამკვიდრებულ საეკლესიო პრაქტიკას წარმოადგენდა.⁴³ აღდგომის შემდგომი 50 დღის განმავლობაში მცირე მარხვების განხსნაზე მიუთითებს სჯულისკანონში შეტანილი ზემოთგანხილული გელათუ-

⁴² კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, IX, გვ. 12; 88.

⁴³ *Dictionnaire d'archeologie chretienne et de liturgie*, ტ. VII, pars 2, დასახელებული სტატია, col. 2485.

რი თარგმანიც: „ნუ გარდახდები მარხვასა უფლისასა, ესე იგი არს ოთხშაბათსა და პარსკევსა, არა თუ სენითა რაათმე დამძიმებულობდე, თვნიერ მხოლოესა ერგასისა და წმიდათა ღმრთის გამოცხადებათაჲსა, ორმოცსა და შვდეულსა დიდსა წმიდისა პასექისასა კიდევან რჩეულობით სცევდი“⁴⁴. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ტექსტის კვლევა აგრეთვე საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანს, თუმცა ეს წინამდებარე სტატიის ფარგლებს სცდება.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ეპისტოლეში დამონშემულ გამოთქმაზე „სვანეთის დიდი ხევი“: „ეპისტოლე მიუწერა დიდისა ჴევსა სუანეთისაჲ ქ(უე) ყ(ა)ნისა სიმაღლესა, ვითარცა ცათა შინა მკვდრთა საყუარელთა ძმათა ჩემთა“. დღეისათვის ცნობილ ისტორიულ წყაროებში და სვანურ საბუთებში არსად არ დასტურდება ეს ფორმა.⁴⁵ არსებულ წყაროებში დასტურდება სვანეთის *ცალე-კული ხევები* (მაგ. კალის, უშგულის, სეტის, ლაბსყალდის, ლაჰილის, ლახუშტის, იენაშის ჴევი, და ა. შ.); *ერთობილი სვანეთის ჴევი*,⁴⁶ (სვანური ისტორიული დოკუმენტების თანახმად *ერთობილი სვანეთის ჴევი* უნდა გულისხმობდეს სვანეთის მთელ ხეობას ან მის მნიშვნელოვან ნაწილს - „უშგულსა და ლალავერს შუა“, იხ. *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. I, საბუთები № 6-7-8); *სრულიად სვანეთის ჴევი/სრულად ჴევი* (რაც ერთობილი ხევის სინონიმურია, ხშირად ეს ორი ტერმინი ერთსა და იმავე საბუთში დასტურდება იგივე მნიშვნელობით),⁴⁷ *სვანეთის ჴევი* – ჴეო ბედნიერო სუანეთისაო⁴⁸, *დიდი სუანეთი*⁴⁹. მაგრამ არსად არ გვხვდება „სვანეთის დიდი ჴევი“.

ზემოხსენებული წყაროების განხილვიდან ცხადია, რომ „ჴევი“ იხმარება რაიმე ტოპონიმთან ერთად, როგორც ცალკეული ხევების აღსანიშნად (სეტის

⁴⁴ კ. კეკელიძე, IX, გვ 88.

⁴⁵ იხ. *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, (X-XVIII სს.): ტ. I, *ისტორიული საბუთები და სულთა მატიაწეები*; ტ. II, *ეპიგრაფიკული ძეგლები*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბილისი, 1986; 1988. იხ. აგრეთვე: ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*, პარიზი, 1937; პ. ინგოროყვა, *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, ნაკვ. მეორე, ტექსტები, თბილისი, 1941. დასახელებულ ნაშრომებში წარმოდგენილია სვანეთთან დაკავშირებული და ამჟამად ცნობილი ყველა წერილობითი ძეგლის (ისტორიული საბუთის) მონაცემი.

⁴⁶ *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. I, საბუთები № 5-12, გვ. 105-116; პ. ინგოროყვა, *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, გვ. 5, № 1; გვ. 6, № 2; გვ. 37, № 29.

⁴⁷ *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. I, გვ 107-108, საბუთი № 7; პ. ინგოროყვა, *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, გვ. 5, № 1 (...დავწერეთ და დავდევით დანერილი ესე სრულიად სვანეთისა ჴევისა ვუშქულა და ლალავერსა შვა სამაგრობელი ჩვენ, ერთობლიმან ჴევმან, ვარგმან და გლეხმან, უფროსმან და უმცროსმან, უზედაესმან და უქვედაესმან...), გვ. 6, № 2.

⁴⁸ პ. ინგოროყვა, *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, 18ა:1; *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. I, საბუთი № 10.

⁴⁹ ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში*, გვ. 25, № 2.

ხევი, ლატალის ხევი), ან სვანეთის რომელიმე ნაწილის აღსანიშნად – ბელას-ზემო ჴევი⁵⁰, ისე მსაზღვრელთან ერთად მთელი სვანეთის აღსანიშნად (ერთობილი ჴევი, სულიად სვანეთის ჴევი).

როგორც ჩანს, ეპისტოლეში ნახმარი ფორმა – სვანეთის დიდი ჴევი – მთელ სვანეთს, ან მის უდიდეს ნაწილს უნდა გულისხმობდეს (როგორც *ერთობილი ჴევი* ან *სრულიად სვანეთის ჴევი*). როგორც აღვნიშნეთ, ეს ფორმა მხოლოდ განსახილველ ეპისტოლეში დასტურდება, რაც, ვფიქრობთ, თავისთავად საინტერესოა.

ამრიგად, პეტერბურგის ხელნაწერში დაცული ეპისტოლის სახით საქმე გვაქვს ქართული ორიგინალური კანონიკური მწერლობის მრავალმხრივ საინტერესო ძეგლთან, რომელიც საგულისხმო ინფორმაციას გვანვძის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და უთუოდ საჭიროებს უფრო ჩაღრმავებულ შესწავლას. წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ამ ძეგლის მნიშვნელობა და დაგვეახა შემდგომი კვლევის მიმართულებები.

დასასრულს მოგვყავს დანიელ ხამბაშურის ეპისტოლის ტექსტი (ტექსტის გამოცემა ასახავს ხელნაწერის ენობრივ და ორთოგრაფიულ თავისებურებებს):

თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა დანიელ ხამბაშურისა

ეპისტოლე მიუწერა დიდისა ჴევსა სუანეთისაჲ ქუეყანისა სიმაღლესა, ვითარცა ცათა შინა მკუდრთა⁵¹ საყუარელთა ძმათა ჩემთა: ხუცესთა, ბერთა და ჭაბუკთა, უღირსი დანიელ ხამბაშური მოგიწერ კითხვისა თქუენისა პასუხსა; არა ჩემსა მოგონებულსა, არამედ ღმრთისაგან ბრძანებულსა და მისთა წერილთაგან განწესებულსა, საბერძნეთისაგან შეწყნარებულსა.

კითხვაჲ: თუ რომელი დღესასწაული განწესის ოთხშაბათისა და პარასკევისა...?⁵²

ყოველთა ოთხშაბათ-პარასკევთა, ვითარცა დიდთა მარხვათა, ეგრეთვე ჯერ-არს მარხვაჲ, უკუეთუ არა დახუდეს საუფლოჲ დღესასწაული თუეთა შინა.

ესენი არიან, რომელნი განწესნიან ოთხშაბათ-პარასკევთა: ხარებაჲ როდესცა მიხუდეს დიდსა ოთხშაბათსა, ანუ დიდსა პარასკევსა, წსნილი არს, ჟამი

⁵⁰ იხ. პ. ინგოროყვა, *სვანეთის სასიტორიო ძეგლები*, გვ. 37, № 29: დანერილი „საგამობი“ ბელას-ზემო სვანეთის ჴევისა.

⁵¹ ამ ადგილას ხელნაწერში არის კალმის შეცდომა, წერია: მკუდართა.

⁵² წინადადების ბოლო სიტყვა არ იკითხება.

ინირვის⁵³, მუჭლთადრეკა არა იქმნების მას დღესა შინა⁵⁴, თეგზი იჭმების და ღვწოა ისუმის. ქრისტეს შობაა ოდესცა მიხუდეს, წსნილი არს და მეორე სხუაა დღე თორმეტი; წინა-დაცუეთაა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და ნათლის-ღებაა უფლისა ჩუენისა, ესე წსნილი არიან - მონაზონთათჳს თეგზი და ღვწოა და ერისკაცთათჳს წორცითა; მირქმაა⁵⁵ უფლისა ჩუენისა წსნილ; ფერისცვალებაა წსნილ არს; მიცვალებაა დედისა ღმრთისა წსნილ; თავის-კუეთაა იოვანესი წსნილ არს - მონაზონთათჳს თეგზი და ღვწოა და ერისკაცთათჳს წუე....საა. ღმრთისმშობლის შობაა წსნილი არს. ჯუარის ამაღლებაა, უკუეთუ კვრასაცა მიხუდეს, მარხვაა არს ყოველთა კაცთათჳს. ტაძრად მიყვანებაა წსნილი არს წორცისაგან კდე; ეგრეთვე მუცლადღებაა წმიდისა ღმრთისმშობლისა და ნათლისმცემელისა შობაა და მუცლადღებაა წსნილი არს წორცისაგან კდე.

წმიდის გიორგის დღესასწაული წსნილი არს აპრილსა კე და ნოენბერსა ათსა, თუ მისსა ეკლესიასა შინა იყვნენ, მონაზონთათჳსცა და ერისკაცთათჳსცა თვნიერ წორცისაგან კიდე. ეგრეთვე წმიდათა თეოდორესი, დიმიტრისი და კკრიკესი და ზაქარიასი და იოვანესი და სხუათა დიდთა წმიდათა დღესასწაულთა. ვინ მათთა ეკლესიათა შინა იყვნენ⁵⁶, ილოცონ და დღესასწაულობდენ, მათ ყოველთათჳს წსნილი არს.

უკუეთუ ვინმე ძნელად სწეული იყოს და ურწყულსა ვერ ქამდეს და წორცსა (ჭ)ამდ (sic), მისთჳსცა წსნილი არს და რაა გამრთელდეს, სხუაა დღე იმარხოს, რომელ ოთხშაბათ-პარასკევი არა იყოს, ეგზომივე დღე...⁵⁷ და თუ მოკუდეს, მოძღუარსა ჰკითხოს, და რააცა მოძღუარმან განუწესოს, კანონი გარდაუჴადოს.

⁵³ ბიზანტიაში სამარხვო დღეები „ალიტურგიკული“ დღეები იყო. ამ დღეებში ჟამი არ იწირვოდა ან ჩანაცვლდებოდა პირველმწიროვლის წირვით. იხ. *The Oxford dictionary of Byzantium*, vol. 2, New York, Oxford, Oxford University Press, 1991, გვ. 779. შესაბამისად, როდესაც მარხვა განიხსნებოდა რაიმე დღესასწაულით, ჟამისწირვა აღსრულდებოდა.

⁵⁴ სადღესასწაულო დღეებში (მაგ. აღდგომიდან სულთმოფენამდე), ასევე კვირას, მარხვა და მუხლთა დრეკა არ დაიშვებოდა, როგორც დღესასწაულისათვის შეუფერებელი. ეს აკრძალვა პირველად დასტურდება ფსევდო-იუსტინიანეს მიერ ციტირებულ ირენეოსის (მე-2 ს.) ფრაგმენტებში, შემდეგ ტერტულიანესთან (II-III სს.). იხ. *Encyclopedia of Religion and Ethics*, vol. V, დასახელებული სტატია, გვ. 768. მსგავსი აკრძალვა გვხვდება არსენის „სჯულისკანონის“ ხელნაწერებში შეტანილ თხზულებაში მცირე მარხვების შესახებ: „წუენ გაცთუნებს შენ ყოვლითურთ მმარხველობად კკრიაკესა შინა, წუცა მუწლის-დრეკად, არამედ წუცა ერგასისთა შინა, რამეთუ არა არს წეს ეკლესიისა...“ იხ. კ. კეკელიძის გამოცემული ტექსტი, *ეტიუდები*, IX, გვ. 88-89.

⁵⁵ ხელნაწერშია: მიქმაა.

⁵⁶ აქ იგულისხმება ამ წმინდანთა სახელობის ეკლესიები, ისევე როგორც ცოტა ზემოთ - წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიები. საერთოდ, სასაყდრო დღესასწაულები თავისი მნიშვნელობით თითქმის აღდგომას უტოლდებოდა. ამიტომ, სასაყდრო დღესასწაულებიც ამსუბუქებს მარხვას.

⁵⁷ მომდევნო ერთი სტრიქონი გადაშლილია და არ იკითხება.

ოთხშაბათსა ამათ ვიმარხავთ, რომელ მას დღესა შინა იქნა განზრახვაჲ და შეპყრობაჲ უფლისა. პარასკევსა ამისთვის ვიმარხავთ, რამეთუ მას დღესა შინა ჯუარს-აცუჴს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე.

ოთხშაბათ-პარასკევთა არა მმარხველთათჳს ეშმაკნი არიან მათნი მტან-ჯველნი და კანონთა ქუჴმე არიან, უზიარებელად იქმნებიან. განუჴსნელად მმარხველთათჳს ანგელოზნი არიან განჩინებულნი ყოველთა ჭირთა მათთაგან მცუელად“ (71v-75v).

Tina Tseradze, Lela Khoperia

**THE EPISTLE OF DANIEL KHAMBASHURI – HITHERTO UNKNOWN
EXAMPLE OF GEORGIAN CANONICAL WRITING**

SUMMARY

The paper deals with the so far unknown example of Georgian literature – epistle of Daniel Khambashuri. The text is preserved in the Georgian manuscript C-24, pertaining to the collection of the Institute of Oriental Studies of St. Petersburg. The paleographical analysis of the manuscript indicates that it should have been copied in the 17th-18th cc. As to the epistle in question, it does not contain any direct evidence for its dating. However, the text seems to have been created much earlier. The epistle is addressed by certain Daniel Khambashouri to the population of the “whole Svaneti”, as an answer to their question, and concerns the issue of observing weekly fasts of Wednesday and Friday.

Based on the analysis of various related data and considering the historical context an attempt is made in the paper to date the text and to define more precisely the identity of its author – Daniel Khambashuri.

The meaning of the term (title) *Khambashuri*, which is not quite clear due to the lack of evidence, is also examined in the light of the new data, provided by the epistle in question.

The canonical practice, described in the epistle (namely, the practice of releasing the weekly fasts of Wednesday and Friday, when these days coincide with certain ecclesiastical feasts) is also discussed.

The text of the epistle is attached to the paper.

ლია სამყურაშვილი

შუააზიური კოლექციის არაბული სამედიცინო ხელნაწერები

აღმოსავლური ფონდის არაბული ხელნაწერების სამივე (კაჯარის – K, ადგილობრივი – L და შუააზიური – AC) კოლექციაში სამედიცინო ხელნაწერების გარკვეული რაოდენობაა დაცული. ისინი საკმაოდ ცნობილ ავტორთა თხზულებებს შეიცავენ.

ამჯერად მხოლოდ შუააზიური (AC) კოლექციის ხელნაწერებს განვიხილავთ, ვინაიდან კაჯარის და ადგილობრივი კოლექციების ხელნაწერების კატალოგები გამოცემულია¹ და ხელმისაწვდომი სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირებისთვის. შუააზიური კოლექციის ხელნაწერების აღწერილობა კი მხოლოდ ახლა მთავრდება. ეს კოლექცია 700-მდე ნუსხას შეიცავს, რომლებშიც სხვადასხვა დარგის (სალეთისმეტყველო, სამართლის, სქოლასტიკური, საბუნებისმეტყველო და სხვ.) თხზულებებია წარმოდგენილი. მათ შორის არის სამედიცინოც, რომელთა რაოდენობა, მართალია, მცირეა – სულ 10 თხზულება, რომლებიც 7 ხელნაწერშია დაცული (Ar AC: 513/I-III, 655, 568, 275/I-II, 708, 542, 280), მაგრამ თვისობრივად ეს თხზულებები მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა მედიცინის ისტორიის შესწავლისათვის. მათი ქრონოლოგიური საზღვრებია XIII-XVIII საუკუნეები.

ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ ამ სამედიცინო ხელნაწერების მოკლე აღწერილობა; მათში დაცული თხზულებების რაობა, მათი შექმნის თარიღები და ავტორთა ვინაობა. დავადგინოთ ამ თხზულებების ადგილი მედიცინის ისტო-

¹ არაბულ, თურქულ, სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი, (K) კოლექცია, შეადგინეს: ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1969; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი, (L) კოლექციის I ნაკვეთი, შედგინეს: რ. გვარამიამ, ლ. მამულიამ, ნ. ყანჩაველმა, თბილისი, 1978. *Каталог арабских рукописей Института Рукописей им. К. С. Кекелидзе Академии наук Грузии*, (Коллекция L, выпуск II), Составители: Р. В. Гварамия, Н. Г. Канчавели, Л. И. Мамулия, Л. В. Самкурашвили, Тбилиси, 2002.

რიის ზოგად ჭრილში; და ბოლოს, განვსაზღვროთ, როდის და როგორ აისახა ისინი ქართულ ისტორიულ სამედიცინო მწერლობაში.

1. Ar AC-513 სამედიცინო კრებულია. შეიცავს 350 ფურცელს. ჩასმულია ტვიფრულ მუყაოს ყდაში, რომელზედაც პრიალა შავი ტყავია გადაკრული. კიდეები და ყუა ნითელი ტყავის აქვს. ხელნაწერი ძველადვეა რესტავრირებული. მასში გაერთიანებულია სხვადასხვა დროს გადანერილი ხელნაწერები: ერთია აღმოსავლურ, თხელ მოყავისფრო ქაღალდზე (1-292 ფფ.) შესრულებული ნუსხა, რომელიც ხელის და ქაღალდის მიხედვით XIV-XV საუკუნეებს ეკუთვნის, მეორეა თეთრ ევროპულ ქაღალდზე (1-132 და 299-310 ფფ.) შესრულებული ნუსხა, რომლის გადანერის თარიღია XVIII საუკუნე. ტექსტი დაწერილია შავი მეღვინით, ცალკეული სიტყვები და ხაზგასმები – ნითლით. იგი ოთხ თხზულებას შეიცავს: I. (1v-132r), II. (133r-292r), III. (293r-298r), IV. (299r-329v). 312-318, 332-350 ფფ. დაუწერელი.

კრებულის მეორე თხზულების დასაწყისში აღნიშნულია, რომ ეს არის „ქითაბ ალ-ტიბ ალ-მანსური“, ჯიზ' I – „მანსურის მედიცინის წიგნი“, I ნაწილი, თხზულება ათ სტატიას (ალ-მაკალა) შეიცავს, ავტორია არ-რაზი.

არაბული მწერლობის მკვლევარი, ფ. სეზგინი² ბირუნის ცნობაზე დაყრდნობით წერს, რომ აბუ ბაქრ მუჰამმად ბ. ზაქარია არ-რაზი მოღვაწეობდა 865-923 წლებში. იგი მიეკუთვნებოდა ისლამის მრავალმხრივ განათლებულ მეცნიერთა რიცხვს; დაიბადა რეიში. 30 წლის ასაკში ბაღდადს გაემგზავრა სამედიცინო განათლების მისაღებად. უკან დაბრუნებულმა თავისი სამედიცინო თხზულება „ქითაბ ატ-ტიბ ალ-მანსური“ მიუძღვნა მაშინდელ მმართველს, მანსურ ბ. ისაკ ბ. აჰმად ბ. საიდს. არ-რაზის მისი თანამედროვენი დიდად აფასებდნენ, მას მეორე გალენს უწოდებდნენ.

არ-რაზის თხზულებათა დიდი ნაწილი შედგება მრავალენოვანი ავტორების არაბულად თარგმნილი ციტატებისა და ნაწილობრივ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შედგენილი ჩანაწერებისგან. „ალ-ჰავი“ (Continens – „ყოვლისმომცველი“) ყველაფერს ეხება, რაც ასე მნიშვნელოვანია ექიმებისთვის ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და ავადმყოფის მოსარჩენად წამლებისა და საკვების საშუალებით. ის იძლევა დაავადებათა დახასიათებას და ყველაფერს წერს მათთვის (ექიმებისთვის), რომლებიც ამ ხელოვნებას შეისწავლიან. მისი წიგნი აგებულია ლოგიკური თანამიმდევრობის გარეშე. ყოველი დაავადების გამომწვევი მიზეზების, კლინიკური ნიშნების და მკურნალობის აღწერისას იგი გვამცნობს, თუ რა თქვეს ამასთან დაკავშირებით ძველმა და ახალმა ექიმებმა, დაწყებული ჰიპოკრატესა და გალენიდან დამთავრებული ჰუნანიამდე. ასე რომ, ყველა წინამავალი ავტორი მის წიგნშია შეტანილი.

² F. Sezgin, *Geschichte des Arabischen Schrifttums*, B. III, Leiden-Brill, 1970, p. 274-279.

რუსი არაბისტის, ა. ხალიდოვის³ ინფორმაციის მიხედვით, არ-რაზი პირველი მუსლიმი ექიმი იყო (მანამდე ექიმები, ძირითადად, ქრისტიანები იყვნენ), რომელიც დამოუკიდებელ კვლევით მუშაობას ეწეოდა და კლინიკაც ჰქონდა რეისა და ბაღდადში. მისი სამედიცინო ენციკლოპედია „ალ-ჰავი“ აერთიანებდა მრავალ ათეულ მონოგრაფიასა და ტრაქტატს, ანტიკურ, ბიზანტიურ, ინდოელ და სირიელ ავტორთა შრომებს. შრომა შესრულებული იყო ჯუნდიშაპურისა და ბაღდადელი ექიმების გამოცდილების საფუძველზე, მათ შესაბამის დონეზე.

არ-რაზი დასავლურ წყაროებში ცნობილი იყო რაზესის (Razes) სახელით. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ევროპაშიც, სადაც მისი სამედიცინო შრომები „ალ-ჰავი“ და „მანსურის მედიცინის ნიგნი“ ლათინური თარგმანებით გახდა ცნობილი.

ასეთი აღიარებული ავტორისა და მისი შრომების გამოყენების ფაქტები დასტურდება ქართულ სამედიცინო ძეგლებშიც. X-XI საუკუნეების თხზულებაში „უსწორო კარაბადინი“,⁴ მუჰამად ბ. ზაქარია არ-რაზი მოიხსენიება გაქართულებული სახელით – მაჰმად ზაქარიაშვილი. მაგ., „მაჰმად ზაქარიაშვილსა გარდმოუნერია ბაგრატისაგან“ (92, 12), „მაჰმად ზაქარიაშვილი ასრე იტყუის“ (92, 28), „მაჰმად ზაქარიაშვილი ამას იტყუის“ (294, 1) და სხვ.

XII საუკუნის თხზულების, „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართულ ვერსიაში⁵ მოიხსენიებულია არ-რაზი და მისი ორივე შრომა: *ზაქარიაშვილი „ჰავის“ ნიგნ-შიგა იტყუის* (205 v), აქვე, 13v-ზე, ფარმაკოლოგიური ნაწილის დასაწყისში, აღნიშნულია: *სხუა ნიშანი მანსურისაგან გამოღებული, სნეულობისა ცნობისა*, რომელშიც „მანსურის მედიცინის ნიგნი“ იგულისხმება. ამ ცნობის მომდევნო ტექსტის მოზრდილი მონაკვეთი, რომელიც ექიმისაგან სნეულის მოკითხვას შეეხება, უფრო ადრეა გამოყენებული „უსწორო კარაბადინის“ დასაწყისში,⁶ თუმცა იქ არ არის მითითებული, თუ რომელი შრომიდანაა გადმოწერილი.

XIII საუკუნის დასაწყისის ძეგლში „ნიგნი სააქიმოე“⁷ ხშირად, თითქმის ყოველ სნეულებასთან დაკავშირებით მოიხსენიება არ-რაზი, როგორც „მუჰამად ზაქარიაშვი.“

ამრიგად, X-XIII საუკუნეებში ქართველი მნიგნობრები უკვე იცნობდნენ არ-რაზის თხზულებებს და იყენებდნენ მათ თავიანთ სამედიცინო შრომებში.

³ А. Халидов, *Арабские рукописи и арабская рукописная традиция*, М., 1985, გვ. 58.

⁴ *უსწორო კარაბადინი*, დ. კუხიანიძის გამოც. (ლ. კოტეტიშვილისეული გამოცემის განმეორებული შესწორებული გამოც.), თბილისი, 1997.

⁵ ტექსტი გამოკვლევით და ლექსიკონით მომზადებულია ხელნაბეჭდი სახით, იხ. ლ. სამყურაშვილის სადისერტაციო ნაშრომა: *X-XIII საუკუნეების დასაწყისის ქართული სამედიცინო ძეგლები* (ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური კვლევა), დანართი, თბილისი, 2004.

⁶ *უსწორო კარაბადინი*, გვ. 70-71.

⁷ *ნიგნი სააქიმოე*, ხოჯაყოფილის თარგმანი, ლ. კოტეტიშვილის გამოც., თბილისი, 1936.

მომდევნო მნიშვნელოვანი ხელნაწერი არის AC-655, შეიცავს 103 ფურცელს, დაწერილია აღმოსავლურ მოყავისფრო პრიალა ქალაღდზე, ხელნაწერის თავსა და ბოლოს, 1-5 და 100-103 ფურცლები განსხვავებული ხარისხის ქალაღდია. ხელნაწერს აქვს ყავისფერტყავადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა და ზემოდან გადაკრული ყავისფერი ტყავის ყუა. ხელნაწერი ძველაღვეა რესტავრირებული. ტექსტი დაწერილია შავი მეღნით, სათაურები – წითლით. ნაწერია წვრილი ნასხით, დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე. გადაწერის თარიღია XIII-XIV საუკუნეები. ხელნაწერი იმღენად არის დაზიანებული, რომ ხელახლა საჭიროებს რესტავრაციას.

თხზულება იწყება 6r-დან, სათაურია: „ალ-კანუნ ფი აღ-ტიბზ, აღ-ქითაბ I“ – „მედიცინის კანონი“, I წიგნი. თხზულების ავტორია იბნ სინა.

აბუ აღი აღ-ჰუსაინ ბ. აბღალაჰ ბ. აღ-ჰასან აღი იბნ სინა⁸ მოღვენობდა 980-1037 წლებში, დაიბაღა ბუხარას მახლობლად მღებარე დასახლება აფშანაში (უზბეკ.). იბნ სინა ასე განმარტავღა თავის სახელს: „სინა მარგალიტის მხვრეტელს ნიშნავს „ღარის“ (ძველ ტაჯიკურ) ენაზე. ამ „ფარსი-ღარის“ ენაზე წერღა იგი მხატვრულ ნაწარმოებებს. იბნ სინამ დაწყებითი განათლება ბუხარაში მიიღო, საღაც მისი იჯახი გაღაღიღა საცხოვრებლად. რადღან იგი ბავშვობიღანვე გამოირჩეღდა განსაკუთრებული ნიჭიერებით, მშობლებმა კერძო მასწავლებლები მიუჩინეს. მათგან შეისწავღა მათემატიკა, ფიზიკა, სამართალი, ლოგიკა, ფილოსოფია, ასტრონომია, გეოგრაფია და სხვა საღნები. იმ ღროისათვის ბუხარა კულტურული და ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ამ მხრივ იგი არ ჩამოუვარღებოღა სახალიფოს ღეღაქალაქს, ბაღღადს. ასეთ გარემოში ჩამოყალიბღა იბნ სინა ღიდ მეცნიერად.

1012-1024 წლებში იბნ სინამ დაწერა სამედიცინო ენციკლოპეღია „მედიცინის კანონი“ – „კანუნ ფი ატ-ტიბზ,“ რომელიც ხუთი წიგნისაღან შეღგება. როგორც ი. ზავადოვსკი გაღმოგვცემს,⁹ იგი შეიცავს უამრავ ქვეთავებსა და პარაგრაფებს, რომლებშიც ავტორმა განავრცო და დააკონკრეტა გაღენის კლასიფიკაცია. მაგალითად, იბნ სინა განასხვავებღა ტკივილის თხუთმეტ სახეობას. „კანონი“ შეიცავს მთელი რიგი დაავადებების ორიგინალურ აღწერას, რომლებიც ავტორის პირადი დაკვირვების შეღგეღა. თანამეღროვე სპეციალისტების აზრით, მასში დაავადებათა კლინიკური სურათი გაღმოცემულია საოცარი სრულყოფილებით.

იბნ სინას (Avicenna) „მედიცინის კანონი“ 1114-1187 წლებში თარგმნეს ლათინურ ენაზე. ის ევროპაში მომღვენო 6 საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოღა

⁸ ბიოგრაფიული ცნობების შესახებ იხ. Абу Али ибн Сина (Авиценна), *Канон врачевой науки*, Кн. I, Ташкент, 1981, с. XV-XVI.

⁹ Ю. Н. Завадовский, *Абу Али ибн Сина (Жизнь и творчество)*, Душанбе, 1980, გვ. 129-130.

ძირითად სახელმძღვანელოდ მედიცინაში. ეს შრომა მსოფლიო კულტურის და მეცნიერების საგანძურშია შეტანილი.

ქართულ სამედიცინო ძეგლებში, ისევე როგორც არ-რაზი, იბნ სინაც ხშირად მოიხსენიება. „უსწორო კარაბადინში“ თხზულების პირველი განყოფილების ბოლოს ასეთი ფრაზაა: „ეს „ყანუნის“ ბულისაგან გარდაურე ერთად“. შესაძლოა, ამ ფრაზაში იბნ სინას „სამედიცინო კანონი“ იგულისხმებოდეს, რომლის დასახელება გადამწერების მიერ ასე შეიცვალა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ამ ფრაზას მოსდევს კრებულის მეორე განყოფილება: „სახელითა ღმრთისათა, აქა დაიწყების კარაბადინი, თავით თმითგან ვიდრე ფერხით ფრჩხილამდის.“ ამავე თხზულებაში მეორე ადგილას იბნ სინა ასეა მოხსენიებული: „ხოჯალ სინან იტყუის“ (გვ. 415). „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართულ ვერსიაშიც ახსენებენ იბნ სინას. „ნიგნი სააქიმოჲ“ თითქმის ყოველ სწეულებასთან იმონებებს იბნ სინას ასეთი ფორმით: „სინაჲსჲ იტყუის“.

იბნ სინას „კანონის“ პოპულარულობას გვიჩვენებს მასზე შექმნილი სხვადასხვა ავტორთა შრომები. შუაზიურ კოლექციაში დაცულია იბნ ნაფის ალ-კურაიშის (+1288 წ.) შრომის „მუჯაზ ალ-კანუნ“ // „მუთნუ ალ-მუჯაზ“ – „კანონის შემოკლების“ შემცველი სამი ნუსხა: 1). Ar AC-568, შეიცავს 196 ფურცელს, აქვს გაქეჩილი ტყავის მაგარი ყდა ტვიფრული მცენარეული ორნამენტებით, ყუა ამავე ტყავის, დანერილია შუაზიური ნასხით, მელანი შავი, ხაზგასმები და სათაური – წითლით. გადანერის თარიღია 1209/1794-1795 წლები. გადამწერი – „მუჰამად ნიაზ იბნ შაჰი“, გადამწერის ადგილი – „ბულდათ ნიფ, აბდალაჰ ხან ალ-მარჰუმის მადრასა“ (61v, 133r). ხელნაწერის მფლობელია „ამირ მუჰამად ათ-თირავი“ (1v, მინაწერი). ხელნაწერის 1-16 ფურცლებზე გადამწერს დანყებული აქვს ზემოხსენებული თხზულების კომენტარი თურქულ ენაზე – „შარჰ ‘ალა მუჯაზ ლიბნ ან-ნაფის“, რომლის ავტორად დასახელებულია „მავლანა ბულღართურქი.“

Ar AC-513/I, (1v-132r), დანერილია მონასთალიკო ნასხით, გადამწერის თარიღია 1214 ზულ-კი'და – 1800 წლის მარტი, გადამწერი – მირ ჰუსაინ მირ 'ალი (132r).

ArAC-275/II, (184r-251v), დანერილია კალიგრაფიული ნასხით, თავ-ბოლო ნაკლული, გადამწერის თარიღია დაახლოებით XVII საუკუნე.

იბნ სინას „კანონის“ შესახებ არის შექმნილი მეორე შრომაც „კანუნჩა“ – „მცირე კანონი“, რომელიც შეადგინა „მაჰმუდ ბ. მუჰამად ბ. ამრ ალ-ჩალმინი“ (+1344 წ.). ამ თხზულებაშიც კომენტატორთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ხელნაწერში Ar AC-708 მოთავსებულია აღნიშნული თხზულების კომენტარი, რომელიც ეკუთვნის „მუჰამად ალ-აქბარს // შაჰ არზანის“. ეს კომენტარი ცნობილია რამდენიმე სახელით: „შარჰუ კანუნჩა ფი ატ-ტიბბ“, „ტიბბ ალ-აქბარ“ // „მუფარიჰუ ალ-კულუბ“ – „კანუნჩას კომენტარი მედიცინაში“, „ალ-აქბარის მედიცინა“ // „გულების გამხარებელი“. ხელნაწერი Ar AC-708 შეიცავს 180 ფურცელს, ნაწერი ღია ფერის აღმოსავლურ ქალაღზე, აქვს ყავისფერი ტყავის ტვიფრული

ყდა და ამავე ტყავის ყუა. ნანერია შუააზიური დახრილი ნასხით, მელანი შავი, ხაზგასმები და სათაური – წითლით. გადანერის თარიღია 938 წლის რაბი' ავ-ვალი / 1531 წლის მარტი. გადაუნერიათ „მაჰმუდ იუსუფ ბ. აბდ ალ-ლატიფს ბ. სულაიმანს“ და „იბნ ჰაქიმ შამს ად-დინ 'არაბ აშ-შამის.“ გადანერის ადგილია „სამარყანდი“ (178r, v). დაუნერელია 1v, 2v-4v, 179v-180r.

კოლექციაში დაცულია რამდენიმე ხელნაწერი, რომელთა შემცველი თხზულებების თარიღი ვერ დავადგინეთ, ვინაიდან ჩვენთვის ხელმისაწვდომ კატალოგებში ისინი არ დაიძებნა. ესენია:

1. Ar AC-542, 84 ფ. დაწერილია აღმოსავლურ სქელ გაყვითლებულ ქალაღდზე, აქვს ყავისფერი ტყავის ჭდეული ყდა და ამავე ტყავის ყუა, მელანი შავი, ცალკეული სიტყვები წითლით. საშუალო ზომის ნასხი; გადანერის თარიღია 757 წლის შა'ბანი / 1356 წ. აგვისტო; გადამწერია „ჰუსაინ ბ. შამს ად-დინ ალ-ლამი“ (83v). ხელნაწერს ზედა ფრთაზე დაკრული აქვს ქალაღლი ვაკუფური წარწერით, მფლობელია „ხოჯა მუჰამმად ფარისა.“ მინაწერის მიხედვით თხზულების სახელწოდებაა „ტიბბ ბინამ“ – „უსახელო მედიცინა“ (თურქული სიტყვაა, შეიძლება ნიშნავდეს ანონიმურს).

2. Ar AC-275/I, (2r-183v), ტექსტი ნანერია აღმოსავლურ თეთრ სქელ ქალაღდზე, საშუალო ზომის, ზოგჯერ წერილი ნასხით, დაავადებათა აღწერილობა ჩანერილია შავი მელნით, რომელიც წითელი მელნით შესრულებულ ჩარჩოშია ჩასმული. ამავე მელნით წერია ცალკეული სიტყვები. თხზულება ბოლონაკლულია. 2-6 ფფ. მოთავსებულია დაავადებათა საძიებელი. საძიებელსა და თხზულებას შორის, 7-9 ფურცლებზე, ჩართულია სპარსულენოვანი სამედიცინო ხასიათის უცხო ნაწყვეტი, რომელიც, სავარაუდოა, მეორე აკინძვის დროს შეცდომით მოხვდა იქ. ავტორად დასახელებულია „აბუ ალ-ჰასან;“ თხზულებას ეწოდება „ქითაბ ტიბბ 'არაბი“ – „არაბული მედიცინის წიგნი,“ რომელიც მინწერილია საცავ ფურცელზე.

უცნობია, ასევე, Ar AC-513/I, მოთავსებული 2r-183v ფურცლებზე; იგი თავბოლო ნაკლული სამედიცინო თხზულებაა.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ხელნაწერთა ამ მომცრო ჯგუფს შემოუნახავს საკმაოდ ადრეული საუკუნეების თხზულებათა ნუსხები, რომლებიც შეიცავენ ცნობილ ავტორთა შრომებს. ეს შრომები გასცდა არაბული მედიცინის ფარგლებს და მსოფლიო მედიცინის ისტორიაში დაიკავა ადგილი. ისინი ასახულია X-XIII საუკუნეების ქართულ სამედიცინო ძეგლებშიც.

ასევე მნიშვნელოვანია თხზულებათა კოლოფონებში დაცული გადამწერებისა და ხელნაწერთა მფლობელების სახელები, გადანერის ადგილები, რაც შუა აზიის ხალხების კულტურის შესწავლისათვის მნიშვნელოვან ცნობებს წარმოადგენს.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია მთლიანობაში ზრდის შუააზიური კოლექციის მნიშვნელობას და საჭიროს ხდის მის შემოტანას სამეცნიერო მიმოქცევაში.

Lia Samkurashvili

**ARABIC MEDICAL MANUSCRIPTS FROM THE MIDDLE ASIAN
COLLECTION**

SUMMARY

A small group of medical manuscripts (7 manuscripts, 10 treatises) is preserved in the Middle Asian collection (ArAc) of the Kekelidze Institute of MSS, the contents of which is of definite significance for the study of the history of medicine. Among them the following may be singled out: 1. The treatise of Al-Razi (865-923) – “The Medical Book of al-Mansuri”, part I (ArAc- 513, 133r-292r, 14th-15th cent.); 2. The treatise of Ibn-Sina (980-1037) – “Canon of Medicinal Science”, book I (Ar Ac-655, 103, 13th-14th cent.). Both treatises have entered the treasury of world culture and science. They are mentioned also in Georgian medical sources of the 10th-13th cent.

The colophons of some manuscripts (ArAc-568, 275, 708) have preserved the names of the copyists and the place of copying, providing evidence for the study of the culture of Middle Asian peoples.

ქეთევან ტატიშვილი

ანტონ კათალიკოსის ორიგინალურ საგალობელთა მიმართება ბიბლიურ ნიშნებთან

დავით აღმაშენებლისა და ბრიგოლ ხანძთელის
საგალობელთა მიხედვით

ქრისტიანული ღვთისმსახურების წიაღში ჩამოყალიბებულ სასულიერო მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, ჰიმნოგრაფიას, რომლის წარმოშობაც ბიბლიური აზროვნების შემეცნებისაკენ სწრაფვამ განაპირობა, ბიბლიური მოტივები და სახისმეტყველება ასაზრდოებს. ვინაიდან ჰიმნოგრაფია არის თეოლოგიური დოქტრინების სარკე¹, სასულიერო პოეზიის სახისმეტყველება მკაცრად შემოსაზღვრულია.² საეკლესიო კრებებზე კანონიზირებული ქრისტიანული სიმბოლოების თვითნებურად შეცვლა მკრეხელობად ითვლებოდა, ამიტომ ჰიმნოგრაფს ინდივიდუალიზმის გამოვლენის ერთადერთი გზა რჩებოდა – ერთი და იმავე სიუჟეტისა თუ სიმბოლოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინტერპრეტაციით გამოყენება, რაც საეკლესიო პოეზიის ნიმუშებს თავისთავადობას ანიჭებდა.³ მოცემულ სტატიაში განვიხილავთ დავით აღმაშენებლისა და გრიგოლ ხანძთელის ანტონ I კათალიკოსისეული საგალობლების მიმართებას ბიბლიის ნიშნების ტექსტებთან. შესაძლოა, გარდასული საუკუნეების დიდი ჰიმნოგრაფების ქმნილებები უფრო ღრმა სიმბოლურობითაა გამსჭვალული და მეტი პოეტურობით გამოირჩევა, მაგრამ, ერთი მხრივ, XVIII საუკუნის სასულიერო პოეზიის და, მეორე მხრივ, ანტონის შემოქმედების სრულყოფილად შესწავლისთვის აუცილებელია მისი საგალობლების სხვადასხვა კუთხით, მათ შორის ბიბლიურ ნიშნებთან მიმართების თვალსაზრისით შესწავლა. წინასწარ უნდა

¹ E. Wellesz, *A History of Byzantine Music and Hymnography*, Oxford, 1980, p. 157.

² შდრ. В. В. Бычков, *Византийская эстетика*, Москва, 1977; 6. სულავა, *ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა*, თბილისი, 2006.

³ 6. სულავა, *XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია*, თბილისი, 2003, გვ. 5.

აღვნიშნოთ, რომ *საგალობლებში* არცერთხელ არ გვხვდება ბიბლიის ტექსტის პირდაპირი ციტირება. ანტონი, სავარაუდოდ, ზეპირად იშველიებს ბიბლიური ტექსტის პარაფრაზს თუ ბიბლიურ ალუზიას.

ანტონი წმინდა ნერიუს, ძირითადად ძველ აღთქმას, საკმაოდ ხშირად მიმართავს *დავით აღმაშენებლის საგალობლის* შედგენისას.

განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:⁴

ვალაამისგან

წინა თქმულმან განგანათლა ვარსკულავმან

იაკობისგანმან, დავით,

ხოლო მომღებმან ნათლისა მის

ჩუენ, ბნელსა მსხდომარენი,

განგუანათლენ სხუა ხატითა მოციქულებითა (839v).

თემატიურად ეს სტროფი აშკარად მსგავსია *რიცხვთა წიგნის* ერთი ეპიზოდისა:

უჩუენო მას და არა ან; უნატრო და არა მიეახლოს; აღმოჰყდეს, ვითარცა ვარსკულავი იაკობისაგან და აღდგეს კაცი ისრაელისაგან და დასცნეს მთავარნი მოაბისნი და წარმოსტყუენნეს ყოველნი ძენი სეთისნი (რიცხ. 24, 17).⁵

რიცხვთა წიგნის ამ მუხლში საუბარია ვალაამისაგან ისრაელის დალოცვაზე მაშინ, როცა მას უნდა დაენწყევლა ებრაელები მოაბელთა თხოვნით, მაგრამ ღვთის ნებით დალოცა ისინი და შემდეგ უწინასწარმეტყველა მოაბელთ, თუ რა ელოდათ მომავალში ისრაელის ძეთაგან. ძველი აღთქმისეული *ვარსკულავი იაკობისაგან*⁶ ახალ აღთქმაში იესო ქრისტედ, მესიად, განცხადდა. მაშასადამე, *საგალობლის* ტროპარის შინაარსი ასეთია: ვალაამის ნაწინასწარმეტყველებმა *ვარსკულავმა იაკობისაგანმა* ე. ი. განცხადებულმა იესო ქრისტემ განანათლა დავითი, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ჩვენ, ბნელში მსხდომნი, განგვანათლა მოციქულთა მსგავსად.

⁴ ტექსტს ვიმონშებთ ანტონ I კათალიკოსის *სადღესასწაულოს* ავტორიზებული ნუსხიდან (S-1464).

⁵ ვსარგებლობთ ბიბლიური წიგნების შემდეგი გამოცემებით: *წიგნი ძუელისა აღთქუმისანი*, ნაკვეთი 2 (ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ), ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ი. აბულაძემ, ბ. გიგინეიშვილმა, ნ. გოგუაძემ და ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1990. *წიგნი ძუელისა აღთქუმისანი*, ნაკვეთი 3 (ისო ნავესი, მსაჯულთაჲ, რუთისი), ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ც. ქურციკიძემ და უ. ცინდელიანმა, თბილისი, 1991. *მცხეთური ხელნაწერი* (მეფეთა I, II, III, IV, ნემტთა I, II, ეზრა I, II, III) გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1982. *მცხეთური ხელნაწერი* (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისი, ქება ქებათა სოლომონისი, წინასწარმეტყველთა წიგნები: ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1985.

⁶ *Библейская энциклопедия*, Труд и издание Архимандрита Никифора, Москва, 1891, Репринтное издание 1990, [www. sbible.boom.ru/qb.html](http://www.sbible.boom.ru/qb.html)

ტროპარის ტექსტში დაწყვილებულია ძველი და ახალი აღთქმისეული სახეები (ახალი აღთქმის მოვლენა ახსნილია ძველი აღთქმის სიმბოლოთი). ჰიმნოგრაფი, რომლის მიზანიც ღვთაებრივი სიტყვის გადმოცემაა, ინდივიდუალიზმს მაქსიმალურად ზღუდავდა. სწორედ ამას ემყარებოდა ჰიმნოგრაფთა მხატვრული მეტყველების პარალელურ სახეთა მიხედვით აგების პრინციპი.⁷ როდესაც საგალობელში ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ძველი და ახალი აღთქმისეული სახეებია დაწყვილებული, აღმქმელს აღსაქმელი საგნის შესახებ მიენოდება სრული ინფორმაცია და მისი მიღება, გაგება, გააზრება მას აღარ უჭირს. ის უკვე თავად საგალობლის არსს სწვდება, აღიქვამს ისე, როგორც ამას მოითხოვს კანონიკის ფარგლებში მოქცეული ჰიმნოგრაფიული ჟანრის სპეციფიკა, როდესაც ჰიმნოგრაფი ახალი აღთქმის მოვლენას ხსნის ძველი აღთქმის ეპიზოდით ან სიმბოლოთი, ამ უკანასკნელს წინასწარმეტყველების აზრით ტვირთავს.⁸

*ვითარითმე სიტყუათა ყუაჲლითა გვრგვონოსან-ვჰყოფდეთ დავითს,
რომელმან მოიგო ძლიერებაჲ არათუ კონოლსა შინა თმათასა,
არამედ ღმრთის სახესა შინა სულსა ყოვლად განწმედილსა
და ვერსადამე სძლო მისსა ყოვლადწმიდისა სულისა ძლითსა
ძლიერებასა გულისსიტყუამან ქუემზიდუელმან,
მომსრუელსა მას უფროს უმრაველსთა გეთელთა და
ასკალონელთასა,
მარადის მწნესა (836v).*

საგალობლის ამ ნაწილში საერთოდ არ არის ნახსენები სამსონი, მაგრამ ცხადია, რომ თმის ნაწნავით გაძლიერებული არის სამსონი, ისრაელის მსაჯული და ფილისტიმელებთან მებრძოლი გმირი, რომლის ძალაც იყო მის თმებში. სამსონი ებრძოდა ისრაელის მტრებს, ფილისტიმელებს, ასევე ებრძოდა საქართველოსა და ქრისტეს რჯულის მტრებს დავით მეფე, მაგრამ ამ უკანასკნელის ძლიერება იყო სული წმიდისაგან და არა კონოლსა შინა თმათასა სამსონივით. ანტონი ახსენებს ასკალონელებს, რომლებიც სამსონმა დაამარცხა მაშინ, როცა ფილისტიმელმა ცოლმა გამოსტყუა მაყრებისთვის ნათქვამი გამოცანის პასუხი და სამსონმა ფილისტიმელებთან ოცდაათი ხელი ტანსაცმელი და საცვალი წააგო (და წარიმართა მის ზედა სულმან უფლისამან და შთავიდა ასკალონდ და დაესხა მუნ ოცდაათსა კაცსა და მოილო და მისცა მათ სამოსელი იგი, რომელთა უთხრეს მას იგავი იგი მისი და განრისხნა გულისწყრომით სამსონ და წარვიდა სახიდ მამისა თჳსისა, მსაჯ. 14, 19).

⁷ ამ საკითხის შესახებ იხ. ნ. ნაკუდაშვილი, *ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა*, თბილისი, 1996; Ю. Лотман, *Анализ поэтического текста*, Ленинград, 1972.

⁸ ნ. სულავა, *XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია*, გვ. 9.

ანტონმა *მსაჯულთა წიგნში* მოთხრობილი სამსონის ამბიდან ციტატა კი არ მოიყვანა, არამედ სამსონზე მინიშნებით გამოხატა დავით აღმაშენებლის უძლეველობა.

*დიდმან პირუელ სამოელ
მეტყუელმან მეფისა საულისამან
აგაგისთვის, მეფისა ამაღეკისა, ყრმებითურთ აღსპოლუა
მშობელთა თანა და საცხოვართა,
რომლისა არაქმნითა განიპო
მეფობა მისი, ვინა დავით
უცხოთა ნათესავთანი
არა შეინყალნა ჩჩვლნი სამღთოთა მეშურნეობითა (841r).*

ტექსტის გასაგებად უნდა გავიხსენოთ მეფეთა I წიგნში მოთხრობილი ისრაელის მეფის საულისა და სამუელ წინასწარმეტყველის ამბავი: სამუელმა საულ მეფეს ამცნო უფლის ნება – მას უნდა ეძლია ამაღეკი და გაენადგურებინა მტრის საბადებელი. მართლაც, საულმა შეკრიბა ხალხი, მიადგა ამაღეკს, შემუსრა. ცოცხლად შეიპყრო ამაღეკის მეფე აგაგი, ხალხი კი გაანადგურა. საულმა და ლაშქარმა აგაგი და საუკეთესო ცხვარ-ძროხა, საკვები და ბალ-ვენახი დაინდეს. ამრიგად, საულმა უფლის ბრძანება არ შეასრულა. ამცნო უფალმა სამუელს, რომ ნანობდა საულის გამეფებას. უსაყვედურა სამუელმა საულს ღმერთის სიტყვისაგან გადახვევა, განა ისე ეამება უფალს აღსაყვანი მსხვერპლი, როგორც მისი სიტყვების მოსმენაო. საულმა პატიება ითხოვა, მაგრამ არ მიიღო.

და მოვიდა სამოველ საულის თანა და თაყვანი სცეს უფალსა. და ჰრქუა სამოველ: მომგვარეთ მე აგაგ, მეფე იგი ამაღეკისა! და მოჰგუარეს მას აგაგ და ძრწოლა შეეძვა მას და თქუა: უკუეთუ ესრე მწარე არს სიკუდილი? მიუგო მას სამოველ და ჰრქუა: ვითარ-იგი უშვილო ქმნა დედანი იგი მახვლმან შენმან, ეგრე უშვილო იქმნეს დედათა შორის შენთა დედაჲ შენი და სცა და მოკლა აგაგ წინაშე უფლისა გალგალას (I მეფ. 15, 31-32-33).

საგალობლის ტექსტში პარალელურად მოყვანილია ანტინომიური სახეები – სამუელი და საული, რაც აძლიერებს შთაბეჭდილებას. სამუელი ღვთის ნებას აღასრულებს, საული კი – არა. დავითიც უზენაესის ნების შემსრულებელია და არ ინყალებს ურჯულოთა ჩვილებს. მხოლოდ სათანადო ემოციის გამოსანევეად არის ძველი აღთქმის სიუჟეტი *საგალობელში* მოყვანილი, მხოლოდ იმიტომ, რომ გვიჩვენოს დავით აღმაშენებლის *სამღთო მეშურნეობა*, ანტონ კათალიკოსი იხსენებს საულ მეფის ამბავს. პარალელურ სახეთა გამოყენება ჰიმნოგრაფიაში იმას მიანიშნებს, რომ ღვთაებრივი ჩანაფიქრი და მოქმედება უწყვეტია, უჟამო ჟამია.⁹

⁹ ნ. სულავა, *XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია*, გვ. 9.

ზოგჯერ დავით მეფის სახის სრულყოფილად წარმოსაჩენად მხოლოდ შედარება ძველი ალექსის პერსონაჟებთან, მათთან, ვისაც მარადიული ღირებულებები უკავშირდება:

*ნიჭითა სულისათა
მრავლითა განმსდიდრდი, დავით,
სიმწნისათა ვითარ ისო,
სიბრძნისათა სხუა სოლომონ,
ხოლო სიტყვითა ღმრთისმეტყუელ,
რომლითა საყუარელ სიტყვსა
მდოღმატებელი ყოვლად ჭეშმარიტი (839v).*

*ღმრთივშუენიერმან მან ტომმან სანინასწარმეტყულომან, მეფეო,
წარგიმართა შენ მსგავსებად პირველთა მათ მშობელთა შენთა,
რამეთუ სიმშვიდე დავითისი
და სიმართლით სლუა წინაშე ღმრთისა ეზეკიასი,
ხოლო გონება ყოვლად განწმედილი იოსიასი მოიგე, ყოვლად-
ბრძენო (837v).*

ანტონს სახეთა პარალელიზმი დასჭირდა იმისთვის, რომ ეჩვენებინა, თუ როგორია დავით მეოთხე – იგია მხნე, ვითარცა ისო ნავეს ძე, ბრძენი, როგორც სოლომონი, დავით მეფესალმუნესავით მშვიდი, ეზეკიელივით მართალი ღვთის წინაშე და იოსიასავით გონებით წმინდა.

*ქალაქსა არიილსა¹⁰ ებრძოდე სიბრძნით, დავით,
სადა-იგი მკვდრობდეს იებოსელნი უნივთონი (839v).*

შდრ.: ვაჲ, ქალაქსა არიილსა, რომელსა დავით ებრძოლა, შეკრიბენით ხუარბალნი წელიწდისანი წელიწადსა ზედა, რამეთუ შჭამოთ მოაბსა თანა, რამეთუ ვაჭირვო არიილსა. და იყოს ძალი მისი და სიმდიდრე ჩემდა. და იყოს, ვითარცა ზმანებული ძილსა შინა, სიმდიდრე ყოველთა წარმართთა, რავდენტა ილაშქრეს იერუსალიმსა ზედა და ყოველთა გალაშქრებულთა ისრაილსა ზედა, და ყოველნი შეკრებულნი მის ზედა და მაჭირვებელნი მისნი (ესაია 29,1,2,7).

ჰიმნოგრაფს არ აინტერესებს რაიმე ამბის თხრობა საგალობელში. მისთვის სინამდვილე მხოლოდ ალუზიებით თუ წარმოისახება, ყოველივეს განზოგადების იერი აქვს დროსა და სივრცის დაკონკრეტების გარეშე. ჰიმნოგრაფის მიზანი არ არის ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ასახვა, ამა თუ იმ წმინდანის ბიოგრაფიის ზუსტი გადმოცემა. იგი მოვალეა, თავისი შემოქმედებით

¹⁰ არიილი ღმრთის ლომს ნიშნავს. ესაიას წინასწარმეტყველებაში იერუსალიმის ალეგორიული სახელწოდებაა. რადგან იერუსალიმი იუდეის მთავარი ქალაქი იყო, ხოლო იუდეის ემბლემა ლომია, ამიტომაც ასე ეწოდა ამ ქალაქს. იხ. *Библийская энциклопедия*, Труд и издание Архимандрита Никифора.

ლოცვითი განწყობა შექმნას, ღვთაებრივი მადლით აღავსოს მკითხველი, სწორედ ამიტომ ანტონ კათალიკოსმა დავით მეოთხის მიერ გადახდილ მრავალრიცხოვან ბრძოლათაგან ერთ-ერთი კი არ გაიხსენა, არამედ დავით წინასწარმეტყველის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ეპიზოდი ახსენა და ამით *საგალობლის* ამ პასაჟს მეტი აზრობრივი დატვირთვა და მხატვრულობა შესძინა.

გრიგოლ ხანძთელის საგალობლის ტექსტი ბიბლიურ ნიგნებთან მიმართების თვალსაზრისით ღარიბია. ამავე დროს მეტად მწირია ფაქტობრივი მასალით. საქმე ისაა, რომ ამ წმინდანის შესახებ ანტონის ეპოქაში ქართულ სინამდვილეში თითქმის არაფერი იყო ცნობილი. მისი „ცხოვრება“ საქართველოში დაცულ ხელნაწერებში შემონახული არ იყო. ამას ადასტურებს ცნობა, რომელიც დაცულია პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ერთ ხელნაწერში On 41 E-106 (E-184), ფ-VI (ეს არის ანტონ კათალიკოსისთვის განკუთვნილი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ქართველ წმინდანთა კალენდარს).¹¹ გრიგოლ ხანძთელის შესახებ აქ ვკითხულობთ: *[ოქტომბერსა] ე, წმიდისა მამისა ჩვენისა გრიგოლი ხანძთელისა ქართველთაგანისა. არა ვიცით რა. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შემცველი ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც დღემდეა მოღწეული, 1845 წელს ჯვრის მონასტერში იპოვა ნ. ჩუბინაშვილმა¹². ალ. ცაგარელს, რომელიც შემდეგ მუშაობდა იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაზე, ცხოვრების ტექსტი იქ არ შეუნიშნავს. მხოლოდ 1902 წელს ნახა ნიკო მარმა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტი იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში და გამოსცა¹³. მოსალოდნელი იყო, რომ *საგალობლის* შედგენისას ანტონ კათალიკოსი ბიბლიური ანალოგიებითა და სახე-სიმბოლოებით გაამდიდრებდა ფაქტებით მეტად მწირ ტექსტს, მაგრამ ასე არ მოხდა. იგი ზოგად მსჯელობას არ ამყარებს ბიბლიური სახეებით.*

მამა გრიგოლს ანტონ პირველი ახალ აბრაამს უწოდებს (აბრაამს ღმერთმა აღუთქვა, რომ მას ებრაელი ხალხის მამამთავრად გახდიდა და მისი სახელი აბრაამად შეცვალა. *აბრაჰამი ებრაულად „მრავალთა მამას“ ნიშნავს*).¹⁴

აბრაამ ახლად, ღირსო,

გინოდა შენ კეთილთა საქმეთა

მოგებაჲმან, რამეთუ

გრწმენა უფლისა მიმართ ყოვლითა სულითა შენითა (124v).

აბრაამ ახალ გინოდა

¹¹ მ. ქავთარია, *ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII*, გვ. 116.

¹² А. Цагарели, *Сведения о памятниках грузинской письменности*, т. I, СПб., 1889 გვ. 49.

¹³ Георгий Мерчул, *Житие св. Григория Хандзтийского*, Груз. текст. Введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавш(ет)ию и Клардж(ет)ию, ГРА-ГФ, VII, СПб, 1911.

¹⁴ *Библейская энциклопедия*, Труд и издание Архимандрита Никифора.

*საქემემან ჭუმბარიტმან, მამაო,
რამეთუ სახლისაგან
და მამულისა გამოხუედ სიხარულით
და მწირობდ ცხოვრებასა შინა უცხოებოთსა
მარად მზრახუელი ღმრთისა
და მომღებელი მის მიერ მადლსა აღთქმისასა (125r).*

საგალობლის ერთ პასაჟში გრიგოლ ხანძთელი პავლე მოციქულთანაა შედარებული, რადგან პავლე მოციქულის მსგავსად ისიც ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა და მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა.

*იზე აღმავლე, ღირსო,
ალი სამღთოსა სურვლისა
აღმტაცებელი შენი
ცად მესამედ,
გრიგორი, რომლითა გამოჰსჩნდი პავლედ მეორედ (125r).*

საინტერესოა, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წმინდანი აბრაამ-თანაცაა შედარებული და პავლე მოციქულთანაც.¹⁵ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონი „ცხოვრების“ ტექსტს არ იცნობდა. შესაბამისად ვერც იქიდან დაიმონმებდა ბიბლიურ სახეებს. აქ საქმე მყარ სტერეოტიპთან უნდა გვექონდეს, რადგან ბიბლიურ სახე-სიმბოლოებთან სასულიერო მწერლობის ყველა დარგის მოღვაწენი თანაბრად მიდიოდნენ.

ამრიგად, დავით აღმაშენებლისა და გრიგოლ ხანძთელის საგალობლებში გვხვდება ბიბლიური სიუჟეტები და სახე-სიმბოლოები. რადგან სასულიერო პოეზია კანონიკურია, ამიტომ ანტონ კათალიკოსი ბიბლიური სახე-სიმბოლოების გამოყენების ტრადიციულ გზას მიჰყვება¹⁶. ჰიმნები მდიდარია პარაფრაზებითა და ალუზიებით, მაგრამ არც ერთხელ არ არის პირდაპირი ციტიცია. როგორც ჩანს, ანტონი ზეპირად იმონმებს წმინდა წერილს, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგალობლის ტექსტი ფაქტებით მდიდარია და ეს აძლევს მას საშუალებას, ეძებოს ბიბლიური ანალოგიები.

Ketevan Tatishvili

¹⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-Xსს), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, 1963, გვ. 252, 314.

¹⁶ ანტონ პირველი სხვა საგალობლებშიც იყენებს ბიბლიურ სახე-სიმბოლოებს. იხ. ქ. ტატიშვილი, *ნეოფიტე ურბნელის განგების მიმართება ბიბლიურ წიგნებთან*, მრავალთავი, XXI, 2005, გვ. 226-229.

THE RELATION OF THE ORIGINAL HYMNS BY THE CATHOLICOS ANTON I AND THE BOOKS OF THE BIBLE

SUMMARY

Biblical subjects and image-symbols occur in the “Hymn of David the Builder” and “Hymn of Grigol Khandzteli”, compiled by the Catholicos Anton I. As ecclesiastical poetry is canonical, the hymnograph follows the traditional path of using biblical image-symbols. The hymns are rich in paraphrases and allusions; however, direct quotation is not to be found anywhere. Anton I appears to refer to the Bible verbally and only when the text of the hymn is rich in facts, which enables him to look for biblical analogies. “David the Builder’s Hymn” rests on the books of the Old Testament. The text of “Grigol Khandzteli’s Hymn” is meagre with regard to the biblical texts, as well as in factual material. The author does not buttress his general discourse with biblical images.

ციალა კასაბრიშვილი

იოანე ბატონიშვილის „მცირე უწყების“ ავტორობის საკითხი

იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში“ („კალმასობაში“) მოთავსებული თხზულების, „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ რაობა და მნიშვნელობა კარგად არის ცნობილი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართათვის. ამ თხზულების ირგვლივ შექმნილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც სრულყოფილად არის განხილული და შეფასებული ივ. ლოლაშვილის მიერ 1982 წელს გამოცემულ წიგნში „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“. ამავე წიგნში მესამედ არის გამოქვეყნებული ამ თხზულების ტექსტი.

თხზულების ხელნაწერებზე მუშაობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თითქმის ყოველმხრივ შესწავლილი თხზულების ირგვლივ კიდევ არ არის ამონაწერი სათქმელი. კიდევ გასარკვევია თხზულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

თხზულება ჩვენამდე შემოინახა ორმა ხელნაწერმა. ერთია იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლის“ ავტოგრაფული ნუსხა H-2134, მეორე – დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კუთვნილებად ყოფილი ხელნაწერი S-3677.¹

ამ ორ ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი „მცირე უწყებისა“ გამოცემებში ერთმანეთთან შედარებული არ არის. ამის მიზეზი შემდეგია: როდესაც ექ. თაყაიშვილმა 1909 წელს პირველად გამოაქვეყნა ტექსტი S-3677 ხელნაწერის მიხედვით,² მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს თხზულება იყო „ხუმარსწავლის“ ნაწილი. შემდეგდროინდელ გამომცემელთათვის კი, რომელთაც უკვე ხელთ ჰქონდათ „ხუმარსწავლის“ ავტოგრაფული ნუსხა, S-3677 ხელნაწერში მოთავსებულმა ტექსტმა დაკარგა მნიშვნელობა, რადგან ის „ხუმარსწავლიდან“ გადანერვილ გვიანდელ პირად იქნა მიჩნეული.

¹ ექ. თაყაიშვილი, *მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის*, ძველი საქართველო, I, განყოფილება III, 1909, გვ. 1.

² ექ. თაყაიშვილი, *მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის*, გვ. 1-55.

ტექსტის შედარებამ დაგვარწმუნა, რომ S 3677 ხელნაწერში დაცული „მცირე უწყება“ არ არის პირი იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლის“ შესაბამისი ნაწილისა. იგი უნდა მომდინარეობდეს სხვა ნუსხიდან და ამიტომ, თუნდაც გვიან იყოს გადწერილი, მაინც იმსახურებს დიდ ინტერესს.

როდის და საიდან უნდა იყოს გადწერილი S-3677 ხელნაწერის „მცირე უწყება“ – ამისი დადგენა არის ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.

მკვლევარ ივანე ლოლაშვილს S-3677-ის „მცირე უწყება“ მიაჩნია 1845 წელს გადწერილად.³ ამ შემთხვევაში იგი ემყარება ხელნაწერთა აღწერილობაში მოცემულ თარიღს ამ ხელნაწერისას.⁴ აღწერილობაში კი შეცდომაა დაშვებული – მთელი ხელნაწერი დათარიღებულია მასში გადწერილი პირველი თხზულების თარიღის მიხედვით. კერძოდ, 1845 წლის თარიღი უზის სვიმონ ტაბიძის მიერ გადწერილ ომან ხერხეულიძის თხზულებას „მეფობა ირაკლი მეორისა, თეიმურაზის ძისა“ (2r-30r). სინამდვილეში ხელნაწერი წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ქალაქებზე სხვადასხვა პირის სხვადასხვა დროს გადწერილ თუ დაწერილ თხზულებათა ერთად აკინძულ კრებულს. ამიტომ პირველი თხზულების თარიღის გავრცელება მთელ ხელნაწერზე არ შეიძლება.

„მცირე უწყება“ ამ ხელნაწერში მოთავსებულია 40r-74r გვერდებზე. ქალაქს აქვს დამლა ნიკოლოზ I იმპერატორის სახელით. ნიკოლოზ I გამეფდა 1825 წლის დეკემბერში. მამასადამე, თხზულება 1826 წელზე ადრე ვერ იქნებოდა გადწერილი.

თხზულება გადწერილია პეტერბურგში მოღვაწე სამი პირის მიერ – იგი მოთავსებულია კრებულში, რომელიც, როგორც ვთქვით, დავით ჩუბინაშვილისაა და ძირითადად შეიცავს დავით ჩუბინაშვილისა და თეიმურაზ ბაგრატიონის როგორც ორიგინალურ, ისე მათი ხელით გადწერილ სხვა ავტორთა თხზულებებს. ამ კრებულში „მცირე უწყების“ ერთ-ერთი გადამწერი თვით დავით ჩუბინაშვილია. მას გადაუწერია მხოლოდ ნახევარი გვერდი – 72v.

ჩვენთვის ცნობილია, დავით ჩუბინაშვილთან ერთად ვინ მოღვაწეობდნენ პეტერბურგში თეიმურაზ ბაგრატიონის კარზე. ეს პირები არიან პლატონ იოსელიანი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, იოანე ბაზლიძე, სიმონ ტაბიძე და სხვ.⁵ ცხადია, ორი სხვა გადამწერის ვინაობა უპირველესად ამ პირებში იყო საძიებელი.

ავტოგრაფების მიხედვით გაჩნდა ეჭვი, რომ თხზულების მეორე გადამწერი უნდა იყოს სოლომონ დოდაშვილი. დამტკიცებულად ამის თქმა მაინც გვიჭირს, რადგან ხელი მიმსგავსებულია, მაგრამ ზუსტად იგივეაო, ვერ ვიტყვით. მის

³ მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1982, გვ. 71.

⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S კოლექცია, ტ. V, თბილისი, 1967, გვ. 157.

⁵ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, თბილისი, 1979, გვ. 72, 75, 94, 95, 103.

მიერ გადაწერილია თხზულების უდიდესი ნაწილი (41v-58r, 62r-71r, 72r-74r); მესამე გადამწერის (40r-41v, 58v-61v) ვინაობას ჯერჯერობით საერთოდ ვერ მივაკვლიეთ.

თხზულების გადწერაში სოლომონ დოდაშვილის მონაწილეობამ დაადგინა ნუსხის თარიღი. როგორც ცნობილია, ს. დოდაშვილი 1827 წლის 28 მაისს დაინიშნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული სიტყვიერებისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. 24 ივნისს პეტერბურგიდან ჩამოვიდა თბილისს.⁶ ამრიგად, S-3677-ის „მცირე უწყების“ გადწერის ზედა ზღვარია 1827 წლის ივნისი.

როდის არის ჩანერილი ეს თხზულება „ხუმარსწავლაში“? ამის შესახებ ივ. ლოლაშვილი ორგვარ თარიღს იძლევა, როდესაც პირველად უთითებს იოანე ბატონიშვილის ხელნაწერის ნომერს (H-2134, 471v-497r). ის აღნიშნავს რომ ეს თხზულება ამ ხელნაწერში გადწერილია იოანეს მიერ 1820 წლის მახლობლად.⁷ ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა ქალაქის ჭვირნიშანს. შემდეგ, როცა მსჯელობს იმის შესახებ, როდის უნდა შეექმნა იოანეს ეს თხზულება, ის ასკვნის: „იოანე თავის თხზულებას წერდა 1821-1823 წლებში პეტერბურგში.“⁸

მაშასადამე, ივ. ლოლაშვილს 1821-1823 წლებში შექმნილი თხზულება გადწერილად მიაჩნია ამ წლების ახლო ხანებში. მკვლევარი თხზულების შექმნისა და მისი „ხუმარსწავლაში“ ჩანერის თარიღს ერთმანეთს არ აცილებს.

ჩვენ უცილობლად არ მიგვაჩნია, რომ „ხუმარსწავლაში“ „მცირე უწყება“ ჩანერილი იყოს მისი შექმნისთანავე (1821-1823 წლებში) შემდეგი მიზეზების გამო.

„ხუმარსწავლა“ უზარმაზარი ნაწარმოებია და გადწერილია რამდენიმე ხელნაწერ ტომში, რომელთა ფურცელთა საერთო რაოდენობა 1200-მდე იქნებოდა (მოღწეულია 1167 ფ., ნაწილი დაკარგულია). „მცირე უწყება“ არის ამ თხზულების ერთ-ერთი ბოლო ნაწილი. მას შემდეგ ბოლომდე რჩება სულ 300 ფურცელი. „ხუმარსწავლის“ გადწერა (ვგულისხმობთ, რომ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი ავტორის მიერ გადათეთრებულია) დასრულდა 1828 წლის 30 ივნისს H-2153 ხელნაწერში. თხზულების დასასრულთან გვაქვს იოანე ბატონიშვილის ანდერძი: „დასრულდა წიგნი ესე ხუმარჰსწავლა წელსა 1828-სა, თვესა ივნისსა 30-სა, სანკტპეტრებულსა შინა“.

თუ ვირწმუნებთ, რომ „მცირე უწყება“ იოანე ბატონიშვილმა „ხუმარსწავლაში“ ჩაწერა 1821-1823 წლებში, მაშინ გამოდის, რომ „ხუმარსწავლის“ 900

⁶ სოლომონ დოდაშვილი, *ბიბლიოგრაფია*, თბილისი, 1967, გვ. 9, სოლომონ დოდაშვილი, *თხზულებანი*, თბილისი, 1961, გვ. 13.

⁷ ექ. თაყაიშვილი, *მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის*, გვ. 71, სქ. 164.

⁸ იქვე, გვ. 72.

ფურცელი მას გადაუწერია 1823 წლამდე, ხოლო ბოლო 300 ფურცელი 5 წლის მანძილზე 1823 წლიდან 1828 წლამდე უწერია.

საერთოდ, როდის გადაიწერა მთლიანად „ხუმარსწავლა“? სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იოანე ამ ნაწარმოებს 15 წელიწადს წერდა – 1813-1828 წლებში.⁹ (თუმცა, იონა ხელაშვილის ცნობით, ავტორი 12 წელიწადს ალაპარაკებდა მას თავის მაგიერ). ამ ხნის მანძილზე ხდებოდა მისი გადანერგვა-გადათეთრება?

„ხუმარსწავლის“ ტომებში ქალაქის ჭვირნიშნათა ასეთი სურათია:

A 1. Q-720 (177 ფ.) – 1815, 1816 წლები.

B 2. Q-577 (9 ფ.) – 1816 წელი.

C 3. S-5374 (119 ფ.) – 1816, 1817 წლები.

D 4. S-5375 (64 ფ.) – გვიან გადანერილი პირი.

E 5. H-2170 (382 ფ.) – 1817, 1818, 1819, 1820 წლები.

F 6. H-2134 (380 ფ.) – 1816, 1819, 1820, 1821, 1822, 1823, 1824, ნაწილი უჭვირნიშნო.

G 7. H -2153 (39 ფ.) – 1826, ნაწილი უჭვირნიშნო.

ამრიგად, ჭვირნიშნების მიხედვით, გადანერგა დაწყებულია 1815 წელს, დამთავრებულია 1826 წელს.

ანდერძის მიხედვით კი გადანერგა დამთავრდა ორი წლით გვიან 1828 წელს. მაშასადამე, 1828 წელს გადანერილი ბოლო ხელნაწერის H-2153-ის ქალაქი ორი წლით ადრინდელი ჭვირნიშნანია.

ისმის კითხვა: პირველი ხელნაწერი, Q-720 იმავე წელს არის გადანერილი, რომლებსაც ჭვირნიშნები უჩვენებენ, ე. ი. 1815-1816 წლებში?

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მას შემდეგ, რაც იოანემ H-2170 ხელნაწერში უკვე გამოიყენა 1820 წლის ჭვირნიშნანი ქალაქი, H-2134-ში დაუბრუნდა კვლავ 1816 წლის ჭვირნიშნიანს, ე. ი. ისეთ ქალაქს, რომელიც პირველი ტომის წერისას გამოიყენა. მას ამ დროისათვის გადანერილი ჰქონდა უკვე თავისი შრომის მესამედი.

ჭვირნიშნების მიხედვით, იოანეს 1820 წლის შემდეგ გადაუწერია მხოლოდ 270-მდე ფურცელი – H-2153 ხელნაწერის ბოლო ნაწილი და H-2153. ამიტომ ვფიქრობთ, ჭვირნიშანი ამ შემთხვევაში ნაკლებ სანდოა იმის დასადგენად, თუ „ხუმარსწავლის“ რომელი ნაწილი როდის იქნა დაწერილი. უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე ადრევე მომარაგებულ ფურცლებს იყენებდა ტექსტის გადასაწერად. ალბათ, უფრო ახლოს ვიქნებით სინამდვილესთან, თუ წამოვალთ ბოლოდან – „ხუმარსწავლის“ ბოლო ფურცელი იოანემ დაწერა 1828 წლის 30 ივნისს. თუ იგი ტექსტს ათეთრებდა, 300 ფურცლის წინა ტექსტს დაწერდა ან იმავე 1828

⁹ ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1966, ტ. II, გვ. 710.

ნელს, ან ცოტა ადრე. მაშასადამე, „მცირე უწყების“ „ხუმარსწავლაში“ ჩანერის სავარაუდო თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1827-1828 წლები.

ასეთი ვარაუდისას „მცირე უწყების“ ჩვენთვის საინტერესო ორი ნუსხა – H-2134 და S-3677 ხელნაწერებისა – დაახლოებით ერთ პერიოდში უნდა იყოს შექმნილი. მათი გადანერის ვადა დიდად არ უნდა სხვაობდეს ერთმანეთისაგან.

* * *

S-3677 ნუსხას შეიძლება ვუწოდოთ სოლომონ დოდაშვილისეული ნუსხა, რადგან უდიდესი ნაწილი გადანერილია სოლომონ დოდაშვილის მიერ.

როგორც აღვნიშნეთ, S-3677 ხელნაწერის ნუსხა „მცირე უწყებისა“ „ხუმარსწავლიდან“ არ უნდა იყოს გადანერილი. ამის თქმის უფლება, რა თქმა უნდა, უნდა მოეცა ტექსტებს შორის არსებულ სხვაობას და ამ სხვაობის ხასიათს. გადამწერისაგან ხშირად არის მოსალოდნელი ტექსტის ნებისითი თუ უნებლიე ცვლილებები, მაგრამ არ არის მოსალოდნელი მისი მცდელობა, ტექსტი დაუბრუნოს ავტორისეულ პირვანდელ უარყოფილ ვარიანტს. ამას, სურვილის გარდა, სჭირდება მიხვედრილობა, განჭვრეტა იმისა, რა უნდა ყოფილიყო აქ ადრე.

S-3677 ხელნაწერის ნუსხა „მცირე უწყებისა“ ტოვებს სწორედ პირვანდელი ვარიანტის შთაბეჭდილებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მასში არსებული სხვაობები არ უნდა იყოს გადამწერისეული.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ტექსტი გადანერილია არა ერთი, არამედ სამი პირის მიერ. ეს პირები ერთმანეთს ენაცვლებიან ზოგჯერ სტრიქონის შუიდან, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი სწრაფად ინერდნენ ტექსტს, არ სურდათ დროის დაკარგვა. მცირე მოცულობის თხზულების გადანერისათვის სამი პირის გაერთიანებაში იგრძნობა დავალება – ვილაცამ სთხოვა თუ უბრძანა მათ სასწრაფოდ შეექმნათ პირი „მცირე უწყებისა“. ვინ უნდა იყოს ეს პირი, ე. ი. ხელნაწერის მომგებელი?

ტექსტს იწერენ თეიმურაზ ბაგრატიონის კარზე მოღვაწე პირები. ეს ტექსტი შემოგვინახა თეიმურაზ ბაგრატიონისა და დავით ჩუბინაშვილის ხელნაწერმა. ეს ფაქტი გვაძლევს უფლებას, რომ დავალების მიმცემ პირად ვივარაუდოთ თეიმურაზ ბაგრატიონი. ასეთი დავალების დროს, როდესაც ბატონიშვილის მითითებით ხდება ქვეშევრდომთაგან ერთმანეთის მონაცვლეობით ტექსტის სწრაფად გადანერა ამ გადამწერთაგან აღარ არის მოსალოდნელი ტექსტისადმი თავისუფალი დამოკიდებულება, მასში ცვლილებების შეტანა. ყველას რომ თავისი შეხედულებისამებრ, სურვილისამებრ ეცვალა ტექსტი, დამკვეთი ვეღარ მიიღებდა მისთვის სასურველ ხელნაწერს. ამიტომ, ზოგჯერ ის უმნიშვნელო ცვლილებებიც, რომლებიც სხვა შემთხვევაში გადამწერისთვის შეიძლებოდა მიგვეწერა, ამ ნუსხაში ბადებს ეჭვს – ხომ არ მომდინარეობს ეს ცვლილებები იმ დედნიდან, საიდანაც ხდებოდა ტექსტის გადანერა.

_____ იოანე ბატონიშვილის „მცირე უწყების“ ავტორობის საკითხი

მიუხედავად ამისა, უმნიშვნელო სხვაობებს ჩვენ მაინც არ ვიღებთ მხედველობაში იმის მტკიცების დროს, რომ S 3677-ის ნუსხა „მცირე უწყებისა“ არ მომდინარეობს „ხუმარსნავლიდან“. ამ ნიმუშებს მოვიტანთ მხოლოდ ტექსტის სრული სურათის წარმოდგენის მიზნით.

1. ტექსტში შეცვლილია სიტყვები:

იოანე ბატონიშვილი: და *ესრეთ კეთილისა მოძღვრებითა გარდავლო ცხოვრება თვისი.*

საბა ვარდანის სვინგელოსი: და *ესრეთ კეთილისა მოძღვრებითა განვლო ცხოვრება თვისი (S-3677).*

იოანე ბატონიშვილი: და *ესრეთ გარდავლო ნელნი თჳსნი.*

გრიგოლ დოდორქელი: და *ესრეთ განვლო ცხოვრება თჳსი (S-3677).*

იოანე ბატონიშვილი: და *ესე ილუანა მრავალთემთათჳს.*

კოსმა მნიგნობარი: და *ესე ილუანიდა მრავალთემთათჳს (S-3677).*

იოანე ბატონიშვილი: *ჟამსა ომისა ანუ განსვენებისასა.*

თეიმურაზ II: *ჟამსა ომობისა ანუ განსვენებისასა (S-3677).*

იოანე ბატონიშვილი: *სომხურსა ენასა ზედმინევენილი*

გლახა ნათისშვილი: *სომხურსა ენა ზედ მინევენილი (S-3677)*

2. იოანე ბატონიშვილთან არ გვაქვს ზოგიერთი სიტყვა, S-3677 ნუსხაში კი არის:

იოანე ბატონიშვილი: *ამან თარგმნა რუსთა ენისაგან სხვადასხვა წერილნი.*

S-3677 *ამან თარგმნა რუსთა ენისაგან მრავალნი სხვადასხვა წერილნი.*

იოანე ბატონიშვილი: *სხუანიცა მრავალნი მონაფენი.*

S-3677: *სხუანიცა მრავალნი მონაფენი მისნი.*

ამგვარი ცვლილებები, როგორც ვთქვით, გადამწერს შეიძლება მივანეროთ.

გადამწერისა არ უნდა იყოს შემდეგი სხვაობები:

S-3677 ნუსხაში არ მოიპოვება პარაგრაფი *თჳს ღირსთა მამათა ჯაფარიძე და ფალგენისშვილისა.*

ეს პარაგრაფი იოანე ბატონიშვილს კიდეზე აქვს მიწერილი. შეუძლებელია, გადამწერს ვერ შეენიშნა ეს დიდი ჩამატება, ფურცლის მთელი აშიის დამფარავი. ე. ი. იგი ტექსტს იწერდა ისეთი დედნიდან, რომელშიც არ იყო ასეთი პარაგრაფი. ამ მოღვაწეთა დახასიათების შეტანა შემდეგ უნდა იყოს მოფიქრებული და ჩანერილი „ხუმარსნავლაში“

ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ ჩამატება უფრო ბაცი მეტად არის შესრულებული. ისეთით, როგორსაც იოანე იყენებს ხელნაწერის შემდეგი ფურცლების წერისას.

S-3677 ნუსხაში არა გვაქვს, აგრეთვე, „მცირე უწყების“ ერთი თავის ერთი ნაწილის სათაური. გადამწერს არ უნდა გამორჩენოდა ეს სათაური. ალბათ, იგი არ იყო იმ ნუსხაში, საიდანაც ხდებოდა გადაწერა.

S-3677 ნუსხაში 27 პარაგრაფს არ მოეპოვება სათაური. ეს სათაურები ექ. თაყაიშვილმა თვითონ აღადგინა თავის გამოცემაში. ამისთვის გამოიყენა ტექსტის დასაწყისები.

ივ. ლოლაშვილის გამოცემის მიხედვით, „მცირე უწყება“ შეიცავს სულ 140 პარაგრაფს. აქედან ერთ პარაგრაფს – *თვს ღირსთა მამათა ჯაფარიძე და ფალ-ვენისშვილისა*, როგორც ვთქვით, არ იცნობს S-3677 ნუსხა.

მაშასადამე, ამ ნუსხაში გადანერილია 139 პარაგრაფი – 112 სათაურიანად, 27 უსათაუროდ.

რით უნდა აიხსნას 27 სათაურის გამოტოვება?

112 სათაურის გადანერა იმაზე მიგვითითებს, რომ გადამწერები ცდილობდნენ, სათაურებიანად გადაენერათ ტექსტი. ასეთ ვითარებაში ვერ ვიფიქრებთ, რომ მათ შეგნებულად გამოტოვეს სათაურები. ხოლო ამ სათაურებს თუ უნებლიედ გამორჩენილად მივიჩნევთ, მაშინ გადამწერებს უნდა მივანეროთ დიდი უყურადღებობა, ამავე დროს ტექსტისადმი ასეთ დამოკიდებულებაში ერთნაირად უნდა დავადანაშაულოთ სამივე გადამწერი. ე. ი. უნდა ვიფიქროთ:

პირველმა უცნობმა გადამწერმა, რომელმაც დაიწყო ტექსტის გადანერა, ყურადღება არ მიაქცია პირველსავე სათაურს – „დავით მეფისა აღმაშენებლისათვის“.

დავით ჩუბინაშვილმა გადანერა სულ ნახევარი გვერდი – სამი მოღვანის დახასიათება. აქედან ერთი მოღვანის დახასიათებასთან სათაურის გადანერა დაავინწყდა.

სოლომონ დოდაშვილმა უფრო მრავალჯერ შესცოდა ამ მხრივ. მან გამოტოვა 26 სათაური.

ერთი სიტყვით, სამივემ ერთნაირი არაგულისხმიერება გამოიჩინა ტექსტის წერისას. ასეთი რამ ამ პირებისთვის შეუფერებლად ჩანს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სათაურები არ იყო იმ დედანში, საიდანაც იწერდნენ.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ერთი დეტალი.

დავით ჩუბინაშვილის მიერ გადანერილი ნახევარი გვერდი გაუქმებულია, დაწუნებულია. იგივე ტექსტი ხელმეორედ, გაუმჯობესებული სახით, უკვე იმ სახით, როგორც ის „ხუმარსწავლაში“, გადანერილი აქვს სოლომონ დოდაშვილს და გადანერილი აქვს, რასაკვირველია, არა დაწუნებული გვერდიდან. დავით ჩუბინაშვილისაგან უსათაუროდ დატოვებული ტექსტი, კერძოდ, იოსებ კათალიკოზის ხერხეულიძის დახასიათება (§132), მასთანაც უსათაუროა.

ვიფიქრობთ, ეს ეჭვმიუტანლად გვიმტკიცებს, რომ იოსებ კათალიკოზის დახასიათებას იმ დედანში, საიდანაც ხდებოდა გადანერა (და სადაც უნდა მომხდარიყო მოკლე ვარიანტის ვრცელით შეცვლა), არ ჰქონდა სათაური. ასევე უნდა ვიფიქროთ სხვა სათაურებზეც. ამრიგად, „მცირე უწყების“ S-3677 ნუსხის გადამწერთა დედანი არ უნდა ყოფილიყო „ხუმარსწავლა“.

S-3677 ნუსხაში ცვლილებებია შეტანილი 5 სათაურში. როგორც აღვნიშნეთ, S-3677 ნუსხაში გადანერილია 112 სათაური. აქედან 107 უცვლელად, 5 –

ცვლილებებით. 107 სათაურის უცვლელად გადაწერა (ვრცელისა თუ მოკლესი) იმაზე მიგვითითებს, რომ გადამწერები არ მუშაობდნენ სათაურთა გარდაქმნაზე, არ სურდათ მათში ცვლილებების შეტანა. ამიტომ 5 სათაურში არსებული სხვაობა დედნისეულად უნდა მივიჩნიოთ. ამას გვიმტკიცებს თითოეულ სათაურში არსებული ცვლილების ხასიათიც:

იოანე ბატონიშვილი: *მამისა იოანე მანგლელისათვის.*

S-3677: *წმიდისა იოანე მანგლელისათვის.*

აქ ერთი სიტყვაა განსხვავებული – ნაცვლად *მამისა* წერია *წმიდა*. და თითქოს შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იგი გადამწერს შეეძლო შეეცვალა. მაგრამ ეს ცვლილება გადამწერს რომ არ უნდა ეკუთვნოდეს. ამას გვიმტკიცებს ის წესი, ის სისტემა, რომლის მიხედვითაც „მცირე უწყებაში“ ხშირად ხდება დასათაურება – სათაურებად გატანილია ხოლმე ტექსტის დასაწყისი სიტყვები. მაგალითად, ტექსტი იწყება ასე: „*ღირსი მამა გრიგორი, ახალ აბრამად წოდებული, იყო ქართველი*“. ამ პარაგრაფის სათაურია: „*ღირსი მამა გრიგორი, ახალ აბრამად წოდებულისათვის*“.

იოანე მანგლელის ტექსტი იწყება ასე: *წმინდა იოანე მანგლელი სამღვდელთა წერილთა შინა გამოცდილი და აღძარცვილი*. აღნიშნული წესიდან გამომდინარე, ამ პარაგრაფის სათაური უნდა ყოფილიყო: *წმინდა იოანე მანგლელისათვის*, S-3677 ნუსხას სწორედ ასეთი სათაური შემოუნახავს.

იოანე ბატონიშვილთან კი ნაცვლად სიტყვისა „წმინდა“ წერია „მამისა“. რომელია პირველადი? რა თქმა უნდა, „წმინდა იოანე მანგლელისათვის“ ამ სიტყვის შემცვლელი უნდა იყოს იოანე ბატონიშვილი და არა ს. დოდაშვილი.

იოანე მანგლელი ერთადერთი მოღვაწეა „მცირე უწყებაში“, მოხსენიებული სიტყვით *წმიდა*. სხვა მოღვაწეთა მიმართ იხმარება *მამა* ან *ღირსი მამა*. და შესაბამისად სათაურებში მრავალგან გვაქვს: *მამისა, მამისა ილარიონ კახისათვის, მამისა თორნიკე ათონელისათვის, ღირსისა მამისა ზაქარია მირდატის ძისათვის* და სხვ. შეიძლება ამ შთაბეჭდილებით, ამის გავლენით იოანე ბატონიშვილმა იოანე მანგლელისადმი მიძღვნილი პარაგრაფის სათაურად დაწერა: *მამისა იოანე მანგლელისათვის*, ე. ი. მან უნებლიედ, ან შეგნებულად არ გაიმეორა ზუსტად დედნისეული სათაური – *წმინდა იოანე მანგლელისათვის*.

S-3677 ნუსხის გადამწერებს ერთგულემა ევალეზოდამ ტექსტისადმი. ამიტომ შეგნებული ცვლილება, არსებითად არაფრის მომტანი, მათ არ უნდა შეეტანათ ტექსტში. სიტყვა *წმინდისა* კი ნაცვლად *მამისა* აქ შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ შეგნებული ცვლილების საფუძველზე შემდეგნაირად:

1. გადამწერმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ტექსტი იწყებოდა სხვა სიტყვით – *წმინდა* და სათაური ამის მიხედვით შეცვალა, ე. ი. არ დაუშვა მასში ტექსტისაგან განსხვავებული სიტყვა, რაც არ არის მოსალონელი.

2. გადამწერი, რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში სათაურიდან იწერდა სათაურს, ამჯერად სხვაგვარად მოიქცა – დედანში არსებული სათაური არ წაიკი-

თხა და თვითონ მოინდომა ტექსტის დასათაურება, რისთვისაც გამოიყენა მისი დასაწყისი. ესეც არ არის მოსალოდნელი.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ S-3677 ხელნაწერს შემონახული აქვს ამ სათაურის პირვანდელი ვარიანტი.

იოანე ბატონიშვილი: *თვს მამისა კოსმა მნიგნობართუხუცესისა კახთა მეფისა ხუცესმონაზონისა მრავალმთებისა.*

S-3677: *მამისა კოსმა მნიგნობრისათვის.*

S-3677 ხელნაწერში სათაური უფრო მოკლეა. ამ პარაგრაფის წინ თუ შემდეგ ერთგულად არის გადაწერილი ვრცელი სათაურები. მაგალითად, სწორედ ამ პარაგრაფის წინ ზუსტად არის გადაწერილი სათაური: *„მამისა გრიგორი ხუცესმონაზონისა, დოდორქელისა, ვახვახის ძისათვის, რომელი იყო ბაზიერთუხუცესისა ძე“.*

სწორი იქნება, რომ გადამწერს, რომელიც საერთოდ არ ამოკლებდა სათაურებს, მივანეროთ ერთი სათაურის შემოკლების სურვილი? გარდა ამისა, ამ სათაურში მარტო შემოკლებასთან არ გვაქვს საქმე. აქ შეცვლილია შინაარსიც – მნიგნობართუხუცესი სხვაა და მნიგნობარი სხვა. შემოკლებისას უნდა გვქონოდა „მამისა კოსმა მნიგნობართუხუცესისათვის“ და არა „მამისა კოსმა მნიგნობრისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სათაური ასეთი სახით („მამისა კოსმა მნიგნობრისათვის“) იყო იმ დედანში, საიდანაც ხდებოდა გადამწერა. იოანე ბატონიშვილმა იგი გააუმჯობესა და გაავრცო.

იოანე ბატონიშვილი: *დოსითეოს ფიცხელაურისათვის, კავთისხევის არქიმანდრიტისა.*

S-3677: *დოსითეოს ფიცხელაურისთვის კავთისხევის მონასტრისა.*

ორივე შემთხვევაში *კავთისხევის* შეცდომით წერია. უნდა იყოს *ქვაბთახევის*. მაგრამ ამას ჩვენთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჩვენ გვაინტერესებს, შეეძლო თუ არა გადამწერს ნაცვლად *არქიმანდრიტისა* გადაწერა სიტყვა *მონასტრისა* და ამით აზრი გაუგებარი გაეხადა. S-3677-ის სათაურიდან არ ჩანს, რას ნიშნავს *კავთისხევის მონასტრისა* – კავთისხევის მოღვაწეს? მაგრამ კავთისხევის ყველა მოღვაწეში არქიმანდრიტი ხომ არ იგულისხმება?

ტექსტი იწყება ამგვარად: *შემდგომად ათანასისა დაიდგინა დოსითეოს ფიცხელაური არქიმანდრიტად ქვაბთახევის მონასტრისა.* ამის შესაბამისად ხომ არ იყო ასეთი სათაური: *დოსითეოს ფიცხელაურისათვის, არქიმანდრიტისა კავთისხევის (sic) მონასტრისა* და S-3677 ნუსხის გადამწერს ამ სათაურიდან გამორჩა სიტყვა *არქიმანდრიტი*?

იოანე ბატონიშვილმა გადამწერისას შეამოკლა ეს სათაური: სიტყვა *მონასტრისა* ამოიღო, რადგან არქიმანდრიტი თავისთავად ნიშნავს მონასტრის წინამძღვარს.

ამრიგად, იოანე ბატონიშვილის სათაური შეგნებული ცვლილების შედეგად ჩანს მიღებული. ამ ცვლილებით მასში აზრი არ იცვლება.

S-3677 ნუსხის სათაურში უნებლიე შეცდომის შედეგად აზრი გაუგებარია.

ეს უნებლიე შეცდომა ვერ მოხდებოდა იოანე ბატონიშვილისეული სათაურის გადაწერისას. მაშასადამე, S-3677 ნუსხის ეს სათაური არ მომდინარეობს „ხუმარსწავლიდან“.

იოანე ბატონიშვილი: *ახლანდელი მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი ქართველთა და იმერთანი.*

S-3677: *ახალნი მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი ქართველთა და იმერთანი.*

რომელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად: *ახლანდელი* თუ *ახალნი*? იოანე ბატონიშვილს რამდენიმე თავი აქვს მიძღვნილი თავისი თანამედროვე მოღვაწეებისადმი. მათ შორის:

ახალთა ჩვენთა დროთა მეცნიერთა, მწერალთა, მგალობელთა და მოშაირეთათვის.

ახლანდელი მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი ქართველთა და იმერთანი

ახალნი მთარგმნელნი ქართველთანი

ამ სათაურებში უფრო მეტად ნახმარია სიტყვა *ახალი*, ის უპირისპირდება სიტყვა *ძველთას*. წინ გვაქვს თავი „ძველთა ქართველთა მოშაირეთათვის“. ამიტომ საფიქრებელია, რომ ის თავდაპირველად იყო *ახალნი მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი*.

ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ S-3677 ხელნაწერს შემოუნახავს ამ სათაურის თავდაპირველი ვარიანტი. ეს სათაური ამ ხელნაწერში არ უნდა იყოს შეცვლილი გადამწერის მიერ იმ საერთო შთაბეჭდილებით თუ გავლენით, რომ რამდენჯერმე შეხვდა სიტყვა *ახალი*, რადგან: პირველი სათაური – *ახალთა ჩვენთა დროთა მეცნიერთა...* მას საერთოდ არ აქვს გადაწერილი. ბოლო სათაურის დაწერამდე კი მას *მიტროპოლიტ-ეპისკოპოსთა* თავი უნდა გადაეწერა.

იოანე ბატონიშვილი: *გაბრიელ ჯვრის მამის დეკანოზისათვის.*

S-3677: *გაბრიელ ჯვრის დეკანოზის მამისათვის.*

ჯვრის მამის დეკანოზი და ჯვრის დეკანოზის მამა ერთსა და იმავეს არ ნიშნავს. ამ შემთხვევაშიც უნდა ვიფიქროთ, რომ S-677 ნუსხის ეს სათაური არ მომდინარეობს „ხუმარსწავლიდან“.

S-3677 ნუსხა „ხუმარსწავლისაგან“ განსხვავებულია ორთოგრაფიით. კერძოდ, სოლომონ დოდაშვილი უფრო აარქაულეებს ტექსტს. მასთან ნაცვლად, *მშვენიერი, მთხზველი*, და სხვ. წერია *მშუენიერი, მთხზუელი* და სხვ.

მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ სოლომონ დოდაშვილის თავისებური ორთოგრაფიით გადაეწერა საკუთარი სახელები. მასთან ნაცვლად *ლეონტი სოლოლაშვილი*-სა წერია *ლეონტი სოლაყაშვილი*. ნაცვლად *მიხეილ ტფილელისათვის* – *მიხეილ თბილისელისათვის* (ეს უკანასკნელი, პირიქით, ახალი ფორმით წერია).

გადამწერს, ს. დოდაშვილს, დედანში ზოგიერთი ადგილი ვერ გაურკვევია და ამიტომ სიტყვების მაგიერ მრავალი წერტილი ჩაუწერია, ან საერთოდ ცარიელი ადგილი დაუტოვებია:

იოანე ბატონიშვილი: და ამის მიზეზისათვის სახელ დევს პეტრინად, რომელ არს ქვის მფხეკელი.

S-3677: და ამის მიზეზისათვის სახელ დევს პეტრინად, რომელ არს ქვის...

იოანე ბატონიშვილი: სცხოვრებდა განშორებით დიდსა ლუნლსა და განშორებასა შინა. მეფეთაგან აქუნდა და ერთაგან დიდი პატივი.

S-3677: სცხოვრებდა განშორებით დიდსა ლუნლსა შინა და ... მეფეთაგან აქუნდა და ერთაგან დიდი პატივი

ეს სიტყვები იოანე ბატონიშვილის ჩვეულებრივი ხელით წერია. სოლომონ დოდაშვილს ადვილად უნდა ამოეკითხა ისინი „ხუმარსწავლიდან“. მაშასადამე, ეს სიტყვები სხვა დედანში წერია გაურკვეველად.

გვხვდება გადაადგილებული სიტყვები:

იოანე ბატონიშვილი: საღვთისმეტყველოსა სწავლასა შინა

S-3677: საღვთისმეტყველოსა შინა სწავლასა

იოანე ბატონიშვილი: პავლე იმპერატორმან განანესა სინოდისა ნევრად

S-3677: პავლე იმპერატორმან განანესა ნევრად სინოდისა

იოანე ბატონიშვილი: ზაქარია ლალიხანაშვილი, ხუცესი

S-3677: ზაქარია ხუცესი, ლალიხანაშვილი

იოანე ბატონიშვილი: რომლისა ანეგდოტნი მრავალნი მისგან ნათქუამნი უწყიან ქართველთა“.

S-3677: რომლისა ანეგდოტნი მისგან მრავალნი ნათქვამნი უწყიან ქართველთა.

იოანე ბატონიშვილი: ქართულსა ისტორიასა შინა.

S-3677: ქართულსა შინა ისტორიასა და სხვ.

სიტყვების გადაადგილებისას შეიძლება ვიფიქროთ, რომ გადამწერი, ვთქვათ, ზეპირად იმახსოვრებდა წინადადებას და ჩანერისას ზოგიერთ სიტყვას ადგილს უცვლიდა, მაგრამ ამას ვერ ვიფიქრებთ, როდესაც მთელი ფრაზაა გადაადგილებული:

იოანე ბატონიშვილი: ნიკოლაოზ კახი ბიჭიაშვილი. ესე იყო თანაშეზრდილი მეფისა ირაკლისა. იყო მეცნიერი და კარგი რიტორი, უცხო მოქადაგე...

S-3677: ნიკოლაოზ კახი ბიჭიაშვილი. ესე იყო მეცნიერი და კარგი რიტორი. იყო თანაშეზრდილი მეფისა ირაკლისა. უცხო მოქადაგე.

სტილისტურად, რასაკვირველია, იოანე ბატონიშვილის ტექსტი სჯობია. ჯერ აღნიშნულია ბიოგრაფიული დეტალი, ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია რას ნარმოადგენდა ეს პიროვნება – იყო მეცნიერი და კარგი რიტორი, უცხო მოქადაგე.

სოლომონ დოდაშვილთან დაწყებულია პროფესიაზე ლაპარაკი, შემდეგ ბიოგრაფიული დეტალი, შემდეგ ისევ პროფესია, ე. ი. შედგენილი შემასმენლების მიხედვით შერწყმული წინადადება გათიშულია სხვა წინადადებით.

მაშ, ასე გადანერა ტექსტი ს. დოდაშვილმა „ხუმარსწავლიდან“? დაუჯერებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ასე ეწერა მის დედანში. შეიძლება წინადადება

– იყო თანაშემზრდილი მეფისა ირაკლისა იქ ჩამატების ნიშნით იყო და ს. დოდაშვილი ვერ გაერკვა კარგად, სად უნდა ჩაესვა ის.

განსაკუთრებით საინტერესოა თხზულების დასასრული, სადაც S-3677 ნუსხაში არა მარტო ფრაზებია გადაადგილებული, არამედ მოიპოვება მთელი ზედმეტი წინადადებაც – დასკვნითი შინაარსის, როგორც თითქმის ყველა მოლვანის დახასიათებას ახლავს.

იოანე ბატონიშვილი: *ესენი უცხოოდ ზედმინევენილი სამეცნიეროთა და რუსულისა და ქართულისა ენისა ზედა მშვენიერ შემთხზუელნი, რომელთა მრავალი ნიგნი გარდმოიღეს ამა ყოველთა მთარგმნელთა, ზემოხსენებულთა თავად-აზნაურთა. და ესრეთ დაასრულა უბნობა ბერმან...*

S-3677: *ესენი უცხოოდ ზედმინევენილი სამეცნიეროთა და რუსულისა და ქართულისა ენასა ზედა მშვენიერ შემთხზუელნი, და ამა ყოველთა მთარგმნელთა, ზემოხსენებულთა თავად-აზნაურთა, მრავალი ნიგნები გარდმოიღეს სხვათა ენათაგან ბუნებით ენასა ზედა ჩუენსა და მრავალნი ამთავანნი არიან ან მიცვალებულნი. და ესრეთ დაასრულა უბნობა ბერმან...*

ეს დასკვნითი, დამამთავრებელი წინადადება, რომლის მსგავსი, როგორც ვთქვით, მრავალ მოლვანესთან გვხვდება, იოანე ბატონიშვილს აქ, ცხადია, გამორჩენილი აქვს. თქმა არ უნდა, ამ აზრს დოდაშვილი „ხუმარსწავლიდან“ ვერ გადანერდა. ამრიგად, ს. დოდაშვილის ნუსხა ამკარად გულისხმობს სხვა დედანს.

გვაქვს ერთი საყურადღებო დეტალი:

თავი – *ახალნი მთარგმნელნი ქართველთანი* იოანე ბატონიშვილს დაწყებული ჰქონია ამგვარად: *გრიგოლ მუხრანბატონის შვილი, გიორგი ავალიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე...*

მას ნაუშლია პირველ სტრიქონში *გრიგოლ მუხრანბატონის შვილი, გიორგი*. ამრიგად, *ავალიშვილი* დარჩა სახელის გარეშე. ვერ ვიტყვით, რომ ეს ვერ შეამჩნია იოანე ბატონიშვილმა. მაშ, რატომ აღარ ჩანერა მან, არ ჩაამატა სახელი *გიორგი*, თუ ის უნებურად ნაშალა, პირველ სიტყვებს მიაყოლა? დედანში იგი არ ერიდებოდა ჩამატებებს. აშეიბზე ხშირად გვხვდება გამოტოვებული თუ შემდეგ ჩასამატებელი ადგილები. აქვე, ნაშლილი ადგილის მაგიერ, მას ჩაუმატებია *მეფის ძე დავით, მირიან*.

იოანემ რომ შეგნებულად აღარ მოინდომა სახელი *გიორგის* ჩანერა, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გვარი *ავალიშვილის* დასაწყისი ასო „ა“ მას საგანგებოდ გაუდიდება, ხელმეორედ შემოუხაზავს. საერთოდ, მოლვანეთა ჩამოთვლისას იოანე სახელს იწყებს მთავრული ასოთი, გვარი კი პატარა ასოთი უწერია. რაკი სახელი *გიორგი* ნაშალა, მან გვარს – *ავალიშვილს* გაუდიდა წინ ასო. ეს ერთადერთი შემთხვევა გამოვიდა, რომ მოლვანე დასახელებული დარჩა მხოლოდ გვარით, რატომ არ მოინდომა ამ ნაკლის გამოსწორება იოანე ბატონიშვილმა, ეს ჩვენთვის აუხსნელი ჩრება.

ს. დოდაშვილის ნუსხაში ეს ადგილი ისე წერია, როგორც იოანე ბატონიშვილს აქვს გასწორებული – *ავალიშვილი* არის უსახელოდ და გრიგოლ მუხრან-ბატონის შვილის მაგიერ წერია: *მეფის ძე დავით, მირიან*.

ეს ადგილი გადაწერა მხოლოდ დოდაშვილმა „ხუმარსნავლიდან“? მაშინ საიდან აიღო მან ნახევარი გვერდის ქვემოთ ამ თავის დამამთავრებელი აბზაცი, რომელიც, როგორც მივუთითეთ, განსხვავდება „ხუმარსნავლიდან“ ფრაზების გადაადგილებით და ბოლო წინადადებით?

იქნებ ეს თავი ასევე იწყებოდა იმ დედანში, საიდანაც იოანე ბატონიშვილი იწერდა. მან ჯერ მოინდომა დასაწყისის გადასხვაფერება, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა?

ეს კითხვა აუხსნელი რჩება.

X. იოანე ბატონიშვილს იაკობ შემოქმედელისა და მოსე ხონელის შესახებ ზოგიერთი დამატებითი ცნობა სქოლიოში აქვს ჩატანილი. სოლომონ დოდაშვილის ნუსხაში ეს ცნობები ტექსტში ფრჩხილებში წერია.

როგორც ვთქვით, ნუსხის გადაწერის ერთ-ერთი მონაწილეა დავით ჩუბინაშვილი. მას გადაუწერია ნახევარი გვერდი – 71v, სამი მოლვანის დახასიათება: *ქარუმიძე ონოფრე, იოსებ მოხევე* – მთლიანად და *იოსებ კათალიკოსი* – ნაწილობრივ. მას წერა შეუწყვეტია, რადგან მისი გადაწერილი ტექსტი დაუწუნებიათ. ამ მოლვანეთა დახასიათება მეორე გვერდზე (72r) ხელახლა გადაუწერია სოლომონ დოდაშვილს.

რატომ დაიწუნეს დ. ჩუბინაშვილის გადაწერილი?

ვაჩვენებთ სხვაობას დ. ჩუბინაშვილისა და ს. დოდაშვილის მიერ გადაწერილ ტექსტებს შორის.

ქარუმიძე ონოფრეს დახასიათებაში:

დ. ჩუბინაშვილი – ... *რაოდენიმე ხნისა შემდგომად შთავიდა მღვიმესა შინა დავით გარესჯისასა და მუნ დაყუდებით სცხოვრობდა*.

ს. დოდაშვილი – ... *რაოდენისამე ხნისა შემდგომად შთავიდა მღვიმესა შინა დავით გარესჯისასა, სადაცა ასაფლავია წმინდა იგი, და მუნ დაყუდებით ჰსცხოვრობდა*.

მაშასადამე, ჩუბინაშვილის ტექსტს აკლია: *სადაცა ასაფლავია წმინდა იგი*. იოსებ მოხევის დახასიათებაში:

დ. ჩუბინაშვილი – *იოსებ. იოსებ მოხევე მღვდელი. იყო წმიდაჲ*

ს. დოდაშვილი – *იოსებ მოხევისათჳს. იოსებ მოხევე მღვდელი, ესე იყო ფრიად სინმინდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი. ესე ნებითა ღ □ თისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა და იხილა მუნ კარავი... და ა.შ.*

ამრიგად, დ. ჩუბინაშვილს აქვს იოსებ მოხევის ერთწინადადებიანი დახასიათება, საჭირო იყო უფრო ვრცელი.

იოსებ კათალიკოსის დახასიათებაში:

დ. ჩუბინაშვილი – ... ამან კეთილად დამწყსო ეკლესია თჳსი და ამის ადგილს დაჯდა ანტონი კათალიკოსი.

ს. დოდაშვილი: ...ამან კეთილად დამწყსო ეკლესია თჳსი, და მერე დაუტევა საყდარი თჳსი და ამის ადგილს დაჯდა ანტონი პირველი კათალიკოზი.

მაშასადამე, ჩუბინაშვილის ტექსტს აკლია და მერე დაუტევა საყდარი თჳსი, და ანტონის სახელთან – პირველი.

საიდან გადანერა ჩუბინაშვილმა თავისი ტექსტი? პირველ და მესამე შემთხვევაში მის მიერ ადგილების გამოტოვებას ვერ მივიჩნევთ მექანიკურ შეცდომად, რადგან ორივე შემთხვევაში სრული წინადადებებია გამოტოვებული და აზრი არ ირღვევა.

იოსებ მოხევის დახასიათებაში მან, ვთქვათ, მარტო დასაწყისი გადანერა. ეს დასაწყისიც რომ განსხვავებულია? იყო წმიდაჲ – არ არის ამ ფრაზის დასაწყისი – ესე იყო ფრიად სინმინდის მოყვარე.

ამრიგად, აქვე, ერთმანეთის გვერდით, გვაქვს ტექსტის ორი ვარიანტი დ. ჩუბინაშვილის გადანერილი დანუნებალია. ის ვარიანტი, რომელიც მის მაგიერ არის შექმნილი, იმგვარია, როგორც „ხუმარსნავლაში“.

რა უნდა ვიფიქროთ? დ. ჩუბინაშვილმა „ხუმარსნავლიდან“ ვერ გადანერა წესიერად ნახევარი გვერდი, ეს მაშინვე შეამჩნიეს და წერა შეაწყვეტინეს? მას გადასანერად თუ მისცეს ტექსტი, მაშინვე შეამონმეს, თავზე დაადგინენ, როგორ იწერსო?

დ. ჩუბინაშვილი არ ჩანს ასეთი მონაფის როლში, პირიქით, ნუსხა საბოლოოდ მას უპყრია ხელთ და იგია შემომონმებელი მისი ავკარგიანობისა.

დ. ჩუბინაშვილი სხვაგანაც ჩანს ტექსტში – თხზულების სათაური მისი დანერილია. შემდეგ გადანერას იწყებს უცნობი პირი. მე-4 გვერდის v-ს ერთ-ერთი ბოლო სტრიქონის შუიდან ტექსტს აგრძელებს ს. დოდაშვილი. უცნობი პირი თხზულების შუაში კიდევ წერს 7 გვერდს (58v-61v). შემდეგ მას კვლავ ენაცვლება ს. დოდაშვილი და ასრულებს თხზულებას ბოლომდე.

ნუსხას საბოლოოდ კითხულობს, ამონებს დავით ჩუბინაშვილი. ადარებს მას ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობას“ (რომელიც მიჩნეულია „მცირე უწყების“ ერთ-ერთ წყაროდ) და ყველა მოღვაწის დასაწყისთან მეღნით ან შავი ფანქრით სვამს „წყობილსიტყვაობის“ შესაბამისი, დასაწყისი სტროფის ნომერს. ისეთ მოღვაწესთან, რომლის დახასიათებაც ანტონის „წყობილსიტყვაობაში“ არ არის, აშიაზე შავი ფანქრით იგი წერს: „Нет“.

საყურადღებოა ერთი მინაწერი: *пропустили иларион твалელი* (46v) საქმე ის არის, რომ „წყობილსიტყვაობაში“ ჯერ ილარიონ თვალელია, შემდეგ გიორგი ათონელი. დოდაშვილისეულ ნუსხაში კი ჯერ გიორგი ათონელია, შემდეგ ილარიონ თვალელი.

მიჰყვებოდა რა „წყობილსიტყვაობის“ თანმიმდევრობას და დოდაშვილისეულ ნუსხაში შესაბამის ადგილზე *ილარიონ თვალელი* ვერ ნახა, ჩუბინაშვილმა

გააკეთა ზემოაღნიშნული მინაწერი. ამ მინაწერს იგი არ გააკეთებდა, „ხუმარსწავლა“ რომ სდებოდა წინ. აი, რატომ:

იოანე ბატონიშვილს *გიორგი ათონელზე* ადრე ჯერ *ილარიონ თვალელის* წერა დაუწყო, დაუწერია სათაური და პირველი წინადადება, მაგრამ შემდეგ წაუშლია და დაუწერია *გიორგი ათონელი, ილარიონ თვალელი* მერე მოუყოლებია.

ეს შეიძლება ამგვარად ავსხნათ:

როდესაც იოანე ბატონიშვილი „ხუმარსწავლაში“ წერდა „მცირე უწყებას“, მას წინ ედო „წყობილსიტყვაობა“ და „მცირე უწყების“ დედანი, რომელშიც ს. დოდაშვილის ნუსხისამებრ *ილარიონ თვალელი* მისდევდა *გიორგი ათონელს*. „წყობილსიტყვაობის“ მიხედვით მან ჩაწერა *ილარიონ თვალელის* სათაური, მაგრამ შემდეგ „მცირე უწყების“ დედნის მიხედვით გაასწორა, წაშალა დაწერილი.

ჩუბინაშვილს რომ სცნობოდა „ხუმარსწავლის“ ნუსხა, ან იმისთვის ედარებინა ტექსტი, იოანეს მიერ წაშლილ წინადადებაზე არ იტყოდა – გადამწერებმა რად გამოტოვესო. ცხადია, გადამწერები მან დაადანაშაულა „წყობილსიტყვაობასთან“ მიმართებით.

ჩუბინაშვილს ეკუთვნის კიდევ რამდენიმე მინაწერი: ნიკოლოზ კათალიკოსთან – *Современник Тамары* (43r), იოანე კათალიკოსთან – *Тамары* (43r), ბესარიონ გაბაშვილთან: *ბესარიონ იყო ძმა (?) ზაქარია ნამოდღვრალისა და როდესაც ზაქარია გაჰკრიჭა ანტონი კათალიკოზმან, მაშინ ეს ბესარიონ წარმოვიდა რუსეთს და მირიანთან ბევრჯელ იყო* (67v).

ყველაზე უფრო საინტერესოა ის, რომ დავით ჩუბინაშვილთან ერთად თუ მის შემდეგ, დოდაშვილისეული ნუსხა ხელთ უპყრია თეიმურაზ ბაგრატიონს. ამას გვიმტკიცებს ის ფაქტი, რომ რამდენიმე მოღვაწის გვერდით მისი ხელით არის მიწერილი სათაური. ჩვენ უეჭველად თეიმურაზის მიერ ჩაწერილად მიგვაჩნია სათაური *იოანე წილკნელ ეპისკოპოზი* (64r). მისგანვე უნდა იყოს ჩაწერილი აგრეთვე სათაურები: *მამისა იოანესი* (45v), *ზაქარია* (46v). *გრიგოლ* (46v), *მამისა არსენისძეს* (47r), *მამისა გიორგისძეს* (48r), *თეოფილე* (49r).

როგორც აღნიშნული გვაქვს, სოლომონ დოდაშვილს მრავალ ადგილას აქვს გამოტოვებული სათაურები. თეიმურაზ ბაგრატიონს სწორედ ზოგიერთ ასეთ ადგილზე ჩაუწერია ეს სათაურები, მაგრამ არა „ხუმარსწავლიდან“.

იოანე წილკნელ ეპისკოპოზი – ეს სათაური შექმნა მან ტექსტის დასაწყისის მიხედვით იმ წესით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ძირთადად გამოყენებულია „მცირე უწყებაში“.

იოანე ბატონიშვილს ეს სათაური ასე აქვს: *თჳს იოანე წილკნელისა, ქარუმიძესი*.

ნუსხა რომ თეიმურაზ ბაგრატიონისთვის უნდა იყოს შექმნილი, ამის თქმის უფლებას მხოლოდ მისი ხელით ჩაწერილი სათაურები არ უნდა იძლეოდეს. მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი:

თეიმურაზთან და საერთოდ, ბატონიშვილებთან მოღვაწე პირებისაგან თხზულების გადანერა ბატონიშვილის დავალებით სრულებით ბუნებრივია.

მაგრამ ნაკლებ წარმოსადგენია ამ პირებისაგან ერთმანეთის მომსახურება. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ „მცირე უწყების“ გადამწერი სამი პირიდან ნუსხა ერთ-ერთისთვის არ უნდა იყოს შექმნილი. „მცირე უწყება“ მცირე ზომის თხზულებაა (სამ ხელნაწერში იგი 35 ფურცელს შეიცავს) და თითოეულ მათგანს შეეძლო იგი გადაეწერა თავისთვის, სხვა პირის დაუხმარებლად.

ამ კოლექტიურ გაერთიანებაში, იმ ფაქტში, რომ თხზულებას ერთმანეთის მონაცვლეობით იწერს სამი პირი, იგრძნობა დავალება. ამ დავალების მიმცემი უნდა იყოს თეიმურაზ ბატონიშვილი.

* * *

ამრიგად, მივიღეთ შემდეგი სურათი: S-3677 ხელნაწერის ნუსხა „მცირე უწყებისა“ არ არის გადანერილი „ხუმარსწავლიდან“ და არც მასზე გვიანდელი ნუსხაა.

ეს ნუსხა შექმნილია თეიმურაზ ბაგრატიონის ოჯახში. ნუსხის შემქმნელები არიან თეიმურაზ ბაგრატიონთან მოღვაწე პირები: სოლომონ დოდაშვილი, დავით ჩუბინაშვილი (მესამე პირი დაუდგენელია). ნუსხას ათვალიერებს თეიმურაზ ბაგრატიონი. ის თავისი ხელით შიგ წერს რამდენიმე სათაურს. მაშასადამე, ნუსხა შექმნილია თეიმურაზისთვის.

ნუსხაში არის ტექსტზე მუშაობის კვალი – დავით ჩუბინაშვილის მიერ გადანერილი გვერდი დაწუნებულია, ტექსტი შეცვლილია უკეთესით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სათაური „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს“, რომლითაც ეს თხზულება ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში, არ არის იოანე ბატონიშვილისაგან მიცემული. ეს სათაური მოიპოვება მხოლოდ სოლომონ დოდაშვილისეულ ნუსხაში. იგი ჩანერილია თვით დ. ჩუბინაშვილის ხელით.

ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ „მცირე უწყება“ „ხუმარსწავლაში“ გადანერილი ჩანს იმგვარი დედნიდან, როგორც დოდაშვილისეულია. ამის თქმის საფუძველს იძლევა შემდეგი:

ჩვენამდე მოღწეული „ხუმარსწავლის“ ტომები, რა თქმა უნდა, არის ამ თხზულების გადათეთრებული ცალები. ყველაფერი, რაც ამ ტომებში წერია, იოანეს ჯერ შავად ექნებოდა დაწერილი. ამრიგად, იოანე ბატონიშვილსაც „მცირე უწყება“ გარკვეული ნუსხიდან აქვს გადანერილი.

ამ ნუსხაში სათაურები იმგვარივე უნდა ყოფილიყო, როგორც დოდაშვილის ნუსხაშია.

სოლომონ დოდაშვილის ნუსხაში მოღვაწეთა დასახელება, ძირითადად, ხდება ამგვარად:

ნიკოლოზ კათალიკოზისათჳს

იოანე ბოლნისელისათჳს

ექვთიმე ათონელისათჳს და სხვ. ე. ი. თანდებული თჳს ბოლოში აქვს დართული სახელებს.

იოანე ბატონიშვილს განუზრახავს თანდებული თვს „წყობილსიტყვაობისამებრ“ წინ მოექცია სახელებისათვის, მაგრამ ეს წესი თანმიმდევრულად ვერ დაუცავს. თანდებულის წინ გადატანა ზოგჯერ დავინყებია, ამიტომ არის, რომ მასთან სათაურებს ხან თავში აქვთ თანდებული, ხან ბოლოში.

გვხვდება თანდებულის ორმაგი ხმარების შემთხვევებიც – თავსა და ბოლოში. და გვაქვს ასეთი სათაურები:

თვს მამისა ილარიონ კახისათვს

თვს ლირსისა მამისა ზაქარია მირდატის ძისათვს

თვს გიორგი ათონელისათვს

თვს მამისა გიორგისათვს

თვს მამისა ქრისტოდულე ოსად ნოდებულისათვს

ანტონისათვს კათოლიკოზისა, მეფის იესეს ძისა, დავითიან ბავრათიონისათვს

თვს ლირსისა მამისა გერმანე დაყუდებულისათვს

ცხადია, „წყობილსიტყვაობის“ მიბაძვის სურვილით იოანე „თვს“ თანდებულს წინ წერს შეგნებულად და შემდეგ მექანიკურად იწერს დედნიდან სათაურს თავის ბოლო თანდებულისადა.

აქედან ჩანს, რომ *თვს* თანდებულის წინ დაწერა შემდეგ მოფიქრებული ცვლილებაა და დედანში, საიდანაც იოანე იწერდა ტექსტს, ასე არ უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დოდაშვილის ნუსხა, რომელიც არ არის გადაწერილი „ხუმარსნავლიდან“, უნდა მომდინარეობდეს იმ ნუსხიდან, საიდანაც იოანე იწერდა ტექსტს „მცირე უწყებისას“.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს ამბავი?

შეიძლება დავუშვათ, რომ, სანამ „ხუმარსნავლაში“ გადაწერდა, იოანემ „მცირე უწყების“ შავად გადაწერილი დედანი ათხოვა თეიმურაზს გადასაწერად და თეიმურაზის ქვეშევრდომებმა სასწრაფოდ, ერთმანეთის მონაცვლეობით შექმნეს პირი ამ თხზულებისა. ამავე დროს მათ გაუჩნდათ ინტერესი, იოანეს ნაშრომი შეედარებინათ „წყობილსიტყვაობისათვის“ და გაეგოთ, როგორ გამოიყენა იოანემ ის, რა გამოტოვა ან რა გადაადგილა, ე. ი. მოეხდინათ იოანეს ნაშრომის რევიზია.

იოანეს ნაშრომში იყო გაუქმებული გვერდი. ჩუბინაშვილი ვერ მიხვდა და მაინც გადაწერა?

ვფიქრობთ, ყველაფერი ეს ნაკლებ არის შესაძლებელი.

უფრო დასაშვებად მიგვაჩნია შემდეგი ვარაუდი:

იოანე ბატონიშვილმა თავის ძმას, თეიმურაზს, სთხოვა დაეწერა „მცირე უწყება“. თეიმურაზმა შექმნა „ხუმარსნავლის“ ეს ნაწილი, მოინდომა მისი პირის დატოვება და სანამ იოანეს გადასცემდა, თავის ქვეშევრდომებს სასწრაფოდ გადააწერინა.

შეიძლება გადამწერებმა თხზულების გადაწერა მაშინ კი არ დაიწყეს, როდესაც თეიმურაზმა დაასრულა იგი, არამედ იწერდნენ თანდათან. იწერდნენ თეიმურაზის შრომის პროცესში ნაწილ-ნაწილ გამზადებულ თავებს. მაშინ შეიძლება ავსხნათ დავით ჩუბინაშვილის მიერ გადაწერილი და დაწუნებული ნახევარი გვერდის ამბავი – თეიმურაზმა ჯერ მისცა გადასაწერად იმგვარი ვარიანტი, შემდეგ მისი შეცვლა მოინდომა და გადაწერილი გვერდი გააუქმებინა, ახლებური ვარიანტი გადაწერინა.

* * *

რამდენად არის შესაძლებელი იმის დაშვება, რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა დაწერა „ხუმარსწავლის“ ეს ნაწილი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ, როგორ შეიქმნა საერთოდ „ხუმარსწავლა“. დღეისათვის სადავო არ არის ის ფაქტი, რომ იოანე არ არის „ხუმარსწავლაში“ მოთავსებული ყველა სამეცნიერო შრომის ავტორი. „ხუმარსწავლის“ შექმნით იოანემ მიზნად დაისახა *იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის დასურათება და მკითხველისათვის ცოდნის დარგების ზოგადი გაცნობა*.¹⁰ „ხუმარსწავლის“ სახით მან შექმნა პირველი ქართული ენციკლოპედია, რომელსაც მკითხველისათვის უნდა მიეწოდებინა ცოდნა იმდროინდელი მეცნიერული მიღწევების შესახებ. იოანემ შექმნა მხატვრული ქარგა, რომელშიც მოხდენილად ჩაურთო გამზადებული მეცნიერული ნაწილები – მრავალი ქართული ორიგინალური თუ ნათარგმანი ძეგლი. მკვლევარ გივი მიქაძეს აღნიშნული აქვს: *თხზულების საკმარისად დიდი ნაწილი, მეტადრე მეცნიერულ-ფილოსოფიური, წარმოადგენს რუსული სახელმძღვანელოების უშუალო თარგმანს თუ კომპილაციას*.¹¹

ამრიგად, თვითონ წიგნის სისტემა, მისი ენციკლოპედიური ხასიათი აიძულებდა იოანეს გამოეყენებინა ქართული თუ უცხოური ლიტერატურისა თუ მეცნიერების მონაპოვარი, თავის წიგნში ჩაერთო სხვათა შრომები. „ხუმარსწავლის“ მრავალ ნაწილში მისაწოდებელ ცოდნას, „სწავლას“ სჭირდებოდა დამუშავება, თარგმნა თუ ახლად დაწერა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საქმეში მან მრავალი პირი დაიხმარა. იოანეს გარშემო ჰყავდა ქართველ მოღვაწეთა კოლექტივი, რომელიც შთაგონებული იყო მშობლიური ქვეყნისა და ხალხისათვის სარგებლობის მოტანის იდეით. იოანე შეუდგა დიდ ეროვნულ საქმეს – ქართული ენციკლოპედიის შედგენას და ამ საქმეში მან დარაზმა და მუშაობაში ჩააბა თავის გარშემო მყოფნი. ლ. ქუთათელაძის თქმით, *„იოანე ბაგრატიონი იყო პეტერბურგის ქართული კოლონიის სულისჩამდგმელი. ამ კოლონიის წევრთა მთარგმნელობითი მუშაობის წარმმართველი, მათ შორის*

¹⁰ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 724.

¹¹ იქვე, გვ. 719

ყოველგვარი ლიტერატურული საქმიანობის წამომწყები და ორგანიზატორი“.¹² შემონახულია მრავალი ანდერძი, რომლებშიც, „მისი დავალებით და მისდამი დიდი პატივისცემით გამსჭვალული“ მოღვაწენი მიმართავენ იოანე ბატონიშვილს, როგორც მათი საქმიანობის ხელმძღვანელსა და სულისჩამდგმელს.¹³

საინტერესოა ბაგრატ ბატონიშვილის ანდერძი, რომელიც ერთვის მის მიერ 1819 წელს გადანიჭილ თხზულებას „ფეირვერკისათვის“ (S-360). რა არის *ფეირვერკი*, ამაზე იოანე ბატონიშვილი მსჯელობს „ხუმარსწავლაში“ და, რა თქმა უნდა, აინტერესებს ამ საკითხის შესახებ წიგნი. ამ წიგნის გადანიჭა მას დაუვალეზია თავისი ძმისთვის. ბაგრატ ბატონიშვილის ანდერძში ვკითხულობთ: *„უგანათლებულესო ძმაო იოვანე! ბრძანებული თქუწნი მიერ სრულ ვჰყავ – ამა წიგნისა გადანიჭა და უძღვნი თქვენს უგანათლებულესობას სასხოვრად ჩემთვის, რათა მიიღოთ და მამყოფოთ თქუწნის უგანათლებულესობის მდაბალი მოსამსახურე თქუწნი ძმა ბაგრატი თვთ პეტერბურხსა შინა, წელსა 1819, თუწსა მარტსა 12“ (90r).*

უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე დაავალებდა იოანე თავის გარშემო მყოფთ და უპირველესად თავის ძმებსა და ძმისშვილებს იმ წიგნთა თარგმნას, რომლებიც სჭირდებოდა მას „ხუმარსწავლისათვის“. არ არის გამორიცხული, რომ მას სხვისთვის დაევალებინა „ხუმარსწავლის“ რომელიმე სამეცნიერო ნაწილის დანიჭა.

მთავარი გმირის, იოანე ხელაშვილის პირით იოანე ბატონიშვილი ცდილობს განათლება შეიტანოს ხალხში, გადასცეს იმ დროისათვის მეცნიერების ყველა დარგში მოპოვებული ცოდნა. იოანეს არა აქვს პრეტენზია, რომ ეს ცოდნა მისი მოპოვებულია. მეცნიერების სხვადასხვა დარგში მიღწეული სიახლე თავის დამსახურებად არ სურს რომ წარმოაჩინოს. პირიქით, იოანე ხელაშვილი თავისი ქადაგებებით ცდილობს საზოგადოებას აუწყოს, რაც უკვე მიღწეულია, მაგრამ გაუნათლებლობის გამო საზოგადოებამ ეს არ იცის. ამიტომ იოანეს ქადაგებას ხშირად მოსდევს ხოლმე შეცხადებები: *ეი, ჩემ თავს, ეს როგორ არ იცით!* და შემდეგ მითითებულია ლიტერატურა, მაგალითად, *ვრცლად იხილე „ხრონოლოგისა შინა, ან სქოლიოში მითითებულია წიგნის სათაური, ტომი და გვერდი. ზოგჯერ ეს მითითებები ზოგადი ხასიათისაა. მაგალითად, ბერი იოანე მსჯელობს შვიდი საიდუმლოს შესახებ. მღვდელი ეკითხება: „ბატონო, სადანა წერია ეგენი? პასუხი: უი ჩემს თავს, მომიტანე კურთხევანი და კონდაკი“.*

უფრო ხშირად კი მითითებები მეცნიერული წესითაა შესრულებული – წიგნის ან ავტორის დასახელება გვხვდება აშიებზე, სქოლიოში ან ტექსტშივე, ფრჩხილებში.

¹² ლ. ქუთათელაძე, *იოანე ბაგრატიონის ქართული ლექსიკონი*, თბილისი, 1975, გვ. 5
¹³ იქვე, გვ. 6-9.

იოანე არაფერს ამბობს თავისი დამხმარეების შესახებ. ასე რომ, ძალაუნებურად მიიჩქმალა იოანეს თანამშრომელთა ღვანლი.

ამრიგად, სავსებით დასაშვებად ჩანს ვარაუდი, რომ იოანე ბატონიშვილს თავის ძმისთვის – თეიმურაზ ბაგრატიონისთვის ეთხოვა დაენერა „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ და ეს თხზულება ისე გადაენერა „ხუმარსწავლაში“, რომ არ მოეხსენებინა მისი ნამდვილი ავტორი.

S-3677 ხელნაწერის ნუსხა „მცირე უწყებისა“ ერთგვარად გამცემია ამ საიდუმლოსი – ნუსხის გადანერა ს. დოდაშვილისა და დ. ჩუბინაშვილის მიერ გვავარაუდინებს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილმა, თავის მხრივ, დავალების შესასრულებლად გამოიყენა თავისი განსწავლული ქვეშევრდომები.

ნუსხის მიხედვით, ეს პირები მხოლოდ გადამწერებად ჩანან. როგორც მითითებული გვაქვს, სოლომონ დოდაშვილი ზოგჯერ კარგად ვერ კითხულობს დედნისეულ სიტყვებს და ტოვებს ცარიელ ადგილს ან მრავალ წერტილს სვამს. მიუხედავად ამისა, ის მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ იყო ერთგვარი რჩევა და აზრთა გაზიარება თეიმურაზსა და ამ პირთა შორის.

აკად. ექ. თაყაიშვილი, რომელსაც ხელთ ჰქონდა S-3677-ის „მცირე უწყების“ ნუსხა და გამოაქვეყნა მისი მიხედვით ტექსტი, შეეცადა მიეგნო ამ თხზულების ავტორისათვის. ვინ უნდა იყოს ეს პირი? დასვა მან კითხვა და შემდეგ მრავალი არგუმენტი მონახა იმისათვის, რომ დამტკიცებით ეთქვა: *„ყველა ზემოთ მოყვანილ საბუთების მიხედვით ამ ახლად დასტამბულს საინტერესო „მცირე უწყებას ქართველთა მწერალთათვის“ ჩვენ მივანერთ თეიმურაზ ბატონიშვილს“*.¹⁴

თუ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება ახლებურად გადანყდეს „მცირე უწყების“ ავტორობის საკითხი, მაშინ უნდა ითქვას, რომ დიდი მეცნიერის ალლომ უტყუარად დაუკავშირა ამ თხზულებას თეიმურაზ ბაგრატიონის სახელი.

P. S.

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულია თეიმურაზ ბაგრატიონის ხელნაწერი H-27. მასში თეიმურაზს ჩამონერილი აქვს:

წ □ თა მონამეთა და დიდთა სხუათა წ □ თა მძლეთა სახელნი: ...

ღირსთა და ღმერთშემოსილთ მამათა ქართველთა მნათობთა სახელნი: ...

ღირსთა და ღმერთშემოსილთ მამათა ქართველთა სახელნი: ...

... და აგრეთვე მამათა სიბრძნისმოყუარეთა და ფილოსოფოსთა სახელნი: ...

და სხვა მოღვაწეების სახელები.

თეიმურაზ ბატონიშვილს ყდაზე დაუნერია: *„რომელიმე საღმთოთა და სახმართა ტედრადნი შევაკვრევინე ერთად მეფის ძემ თეიმურაზ. წელსა 1819. ნოემბერს 14, სანკტპეტერბურგს“*.

¹⁴ ექ. თაყაიშვილი, *მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის*, გვ. 59

ამ ხელნაწერში ჩამონერილია „მცირე უწყების“ გეგმა.

ყოველივე ეს უეჭველად მონიშნავს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი აქტიურად მონაწილეობდა „მცირე უწყების“ ტექსტის შედგენაში.

Tsiala Kakhabrishvili

THE ISSUE OF THE AUTHORSHIP OF THE WORK “BRIEF EVIDENCE ON GEORGIAN WRITERS”

SUMMARY

The purpose of the present paper is to establish the authorship of the work “Brief Evidence on Georgian Writers”, which is part of Ioane Batonishvili’s (Bagrationi) *Kalmasoba*. An analysis allows to determine that the author of the work is not Ioane Batonishvili (Bagrationi) but his brother Teimuraz Batonishvili (Bagrationi).

ლია კიკნაძე

ვასილ ჭილაძის რუსულ-ქართული ლექსიკონი

ვასილ ჭილაძის რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში იოანე ბატონიშვილის სახელით იყო ცნობილი¹, ძველ ორენოვან ლექსიკონებს შორის გამორჩეულია მოცულობითა (40 000-მდე სიტყვა) და განმარტებების სიზუსტით. ეს განმარტებები ზოგჯერ სცილდება თარგმნითი ლექსიკონის ფარგლებს და თარგმნით-განმარტებითი ტიპისაა, რომლებშიც საგანი თუ მოვლენა მეტ-ნაკლები სისრულითაა დახასიათებული.

რუსულ-ქართული ლექსიკონი ჩვენამდე ორი ნუსხითაა მოღწეული: ერთი ორტომეული და დაცულია თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში², მეორე – ექვსტომეული, რომელიც სანკტ-პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება³.

თბილისური ნუსხის მოკლე კოდიკოლოგიური დახასიათება ასეთია:

ხელნაწერი დიდი ფორმატისაა; ქაღალდი – უხეში, მოლურჯო. რუსული სიტყვანი უცნობი კალიგრაფიული ხელითაა ჩანერილი, ქართული განმარტებები – იოანე ბატონიშვილისა და ვასილ ჭილაძის ხელით. სიტყვანი ანბანთრიგზეა განწყობილი. I ტომი შეიცავს 495 ფურცელს, II – 486-ს (II ტომში პაგინაცია გრძელდება). ორივე ტომი სულ 981 ფურცელია. ბოლო 959-981 ფურცლები უჭირავს უცხო სიტყვათა ლექსიკონს, რომელიც ცნობილი რუსი ენციკლოპედისტის, ნ. კურგანოვის „Письмовник“-იდან არის ამოღებული⁴.

¹ ამის შესახებ იხ. ჩვენი გამოკვლევები: *ახალი მასალები იოანე ბატონიშვილის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ*, მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1984; *ვასილ ჭილაძე – რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელი*, მრავალთავი, XVII, 1992; *Словарь Академии Российской и его грузинский перевод*, Археографический ежегодник, Москва, 2000.

² Н 2328 ^ა და ^ბ.

³ Отдел Рукописей, собрание Иоанна царевича, № 272 а, б, в, г, д, е.

⁴ თბილისურ ნუსხაში ეს ნაწილი უსათაუროა, სანკტ-პეტერბურგის ნუსხაში კი მას ასეთი სათაური აქვს: Прибавление некоторых иностранных и Славянских слов, употребляемых в русском языке с толкованием, выбранных из Курганова Письмовника.

ხელნაწერის 3r-115r გვერდების ქართული განმარტებები ჩანერილია იოანე ბატონიშვილის ხელით, რომელთა დიდი უმეტესობა გადახაზულია ან შესწორებული ვასილ ჭილაძის მიერ. 115r-ზე სამი ხელი შეიმჩნევა: იოანე ბატონიშვილის, თეიმურაზ ბატონიშვილისა და ვასილ ჭილაძის. ეს უკანასკნელი ასწორებს მათ განმარტებებს. 115v-დან ბოლომდე ქართული განმარტებები ვასილ ჭილაძის ხელითაა ნაწერი (981v-ის ჩათვლით). ასევე მისი ხელითაა ჩამატებული და ახსნილი სალექსიკონო ერთეულები რუსულ სიტყვანში (100-მდე ორივე ტომში). სიტყვანის ჩამატებებში აქა-იქ იოანეს ხელიც შეიმჩნევა, რომელიც განმარტავს მათ ხან სწორად, ხან არასწორად. იოანეს ხელი ჩანს აგრეთვე ქართულ შესატყვისებშიც (ამაზე ქვემოთ).

ხელნაწერის დასაწყისში, (2r-v) რუსული სიტყვანი მათი განმარტებებითურთ ვასილ ჭილაძის ხელითაა ნაწერი (სულ ცხრა ერთეული). ეს ფურცელი ჩამატებული ჩანს წინ, სათაურიანი ფურცლის შემდეგ.

ლექსიკონის თბილისური ნუსხის სათაური სრულიად არ შეეფერება ლექსიკონის რაობას (ნაწერია რუსული სიტყვანის ხელით): *Показание словам, содержащимся в шести частях по чину азыучному с означением столбцов, на которых какое слово находится*. ის გადმოტანილია რუსული დედნიდან და წარმოადგენს საძიებლის სათაურს, რომელიც რუსულ ტომეულებს ბოლოში ერთვის (I ტომს თავში აქვს წამძღვარებული) და ლექსიკონის სიტყვებს ანბანზე წარმოგვიდგენს გვერდისა და სვეტის მითითებით, რაც მკითხველს უადვილებს საჭირო სიტყვის მოძებნას და რისი საჭიროებაც რუსულ-ქართულ ლექსიკონს არ გააჩნდა. (რუსეთის აკადემიის ლექსიკონის I გამოცემა ეტიმოლოგიური ტიპის ლექსიკონია და სიტყვები ბუდობრივი პრინციპითაა განლაგებული და არა ანბანთრიგზე).

„რუსულ-ქართული ლექსიკონის“ დედანია რუსული ლექსიკოგრაფიის უნიკალური ნაშრომი, რუსეთის აკადემიის ლექსიკონის (რალ) ექვსტომეული, რომლის „განმარტებათა ტიპებსა და მოდელეზზეა“ დაფუძნებული შემდგომი პერიოდის რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონები. რალ-ის ერთ-ერთი მკვლევრის აზრით, ლექსიკონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის და ფასეულია დღესაც, როგორც კანონმდებელი მთელი რიგი ლექსიკოგრაფიული პრინციპებისა: „*რუსეთის აკადემიის ლექსიკონი*“ 1789-1794 წლებისა თუმცა პირველი რუსული განმარტებითი ლექსიკონია, მას მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს არა მარტო როგორც ლიტერატურული ენის მდგომარეობის ამსახველ წყაროს მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, არამედ როგორც კანონმდებელს მთელი რიგი ლექსიკოგრაფიული პრინციპებისა, რომლებიც გამოიყენეს ყველა შემდგომი განმარტებითი ლექსიკონის შემდგენლებმა⁵.

⁵ И. Ф. Рудакова, *Словарь Академии Российской 1789-1794 гг.*, Л., 1965 (Автореферат дисс. работы на соиск. уч. степ. кандидата филол. наук).

რალ 2 გამოცემითაა ცნობილი: 1798-1794 და 1806-1822 წლებისა⁶. პირველი გამოცემა ეტიმოლოგიური ტიპის ლექსიკონია, რომელშიც სიტყვანი ბუდობრივი პრინციპითაა განლაგებული⁷ და საკმაოდ რთულია გამოსაყენებლად. მეორე გამოცემაში უკუგდებულია ბუდობრივი პრინციპი და სიტყვანი ანბანზეა განყოფილი. მასში ზოგი რამ შეცვლილია როგორც ლექსიკური შედგენილობის, ისე განმარტებების დაზუსტება-დახვეწის თვალსაზრისით.

მაშასადამე ვასილ ჭილაძის რუსულ-ქართული ლექსიკონი მიღებულია რალის თარგმნის შედეგად. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მთარგმნელი *სარგებლობს ორივე გამოცემით, უფრო კი მისდევს და უპირატესობას ანიჭებს მეორეს*⁸, არ არის სწორი. ამ დასკვნის მიღებამდე ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ რალის პირველი და მეორე გამოცემების განმარტებები. აღმოჩნდა, რომ არც ისე მცირე რაოდენობა სიტყვებისა განსხვავებულია გამოცემებში როგორც შინაარსობრივად, ისე მოცულობით. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა შემთხვევაში „რუსულ-ქართული ლექსიკონის განმარტებები“ მისდევს პირველ გამოცემას. გამონაკლისს წარმოადგენს ვასილ ჭილაძის მიერ შექმნილი პეტერბურგის ხელნაწერის მესამე ტომი, რომელშიც მისივე ხელით არის შეტანილი მეორე გამოცემის სიტყვების მცირე რაოდენობა და ფრაზოლოგიური ერთეულები (მეორე გამოცემის III ტომიდან). მაშასადამე, რუსულ-ქართული ლექსიკონის რუსული სიტყვანი ამოკრებილია პირველი გამოცემის ექვსტომეულიდან და განყოფილია ანბანთრიგზე, *ვითარ-იგი სხუათაცა ყოველთა უცხო ქვეყნის ენათა ზედა მიღებულ არს საზოგადოდ*, – გვაუწყებს მთარგმნელი ვასილ ჭილაძე.⁹

რუსულ-ქართული ლექსიკონის თბილისური ნუსხა ვასილ ჭილაძემ შექმნა დაუჯერებლად მოკლე დროში – 1812-1814 წლებში დღედაღამ თავგანწირული მუშაობით, რის შედეგადაც დაავადმყოფდა და სანახევროდ დაბრმავდა კიდევ. ლექსიკონის გასრულებისთანავე, 1814 წლის მარტში იოანე ბატონიშვილმა დაიწყო ზრუნვა ლექსიკონის გამოცემაზე, მაგრამ მიუხედავად არაერთგზისი ცდისა (1814-1821 წლები) იგი არ დაბეჭდილა. საჭიროება რუსულ-ქართულ ლექსიკონზე კი დიდი იყო ქართულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაში, აგრეთვე რუსულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელებს შორის, რადგან მეცნიერების სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოებისა და ევროპული

⁶ ორივე გამოცემა 6-6 ტომია და შეიცავს I – 43 257, ხოლო II – 51 388 სიტყვას (В. П. Вомперский, *Словари XVIII века*, М., 1986, с. 84).

⁷ ვრცლად ამის შესახებ იხ. ლია კიკნაძე, *ვასილ მათეს ძე ჭილაძე – რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელი*, მრავალთავი, XVII, 1992.

⁸ ლ. ქუთათელაძე, *დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები*, თბილისი, 1967, გვ. 72.

⁹ ლექსიკონის „წინასიტყვაობა“, იხ. ლ. კიკნაძე, *ვასილ ჭილაძე – რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელი*, გვ. 113.

იდეების შემოტანა-გავრცელება საქართველოში ძირითადად რუსული ენის მეშვეობით ხორციელდებოდა.

დავუბრუნდეთ რუსულ-ქართული ლექსიკონის თბილისურ ნუსხას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოანე ბატონიშვილის განმარტებების (3r-115r გვერდების) უმეტესობა გადახაზულია და ახლითაა შეცვლილი.

რატომ გადახაზავს ვასილ ჭილაძე იოანე ბატონიშვილის განმარტებებს და რატომ ცვლის მათ ახლით?

ამის პასუხად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

Амнистия – Всеобщее прощение, какое жалует Государь подданным своим в учиненном ими каком преступлении, яко возмущении, бунте и др.

იოანე: *ველმნიფისგან არზით ჩივილი თვსთა ყმათა ზედა ამბოხებისათჳს.*

ჭილაძე: *ველმნიფისგან საზოგადო მიტევება ქუშშვევრდომთადმი ამბოხებისა და სხუა დანაშაულისა.*

Ахинея – Означающее вздор, чепуху, нелепость слов.

იოანე: *ვოხრავ, ვახვახებ, ოხვრა, კვნესა.*

ჭილაძე: *მიქარვა, ბლანდვა, როტვა.*

Багрение – Ловление рыбы багром.

იოანე: *მენამულობა.*

ჭილაძე: *კავით დაჭერა ანუ ნადირობა თევზთა.*

Вскинутый – Взброшенный.

იოანე: *შთამოხსნილი.*

ჭილაძე: *აგდებული.*

Барышня – Дочь боярская, дочь господская, всякая благородная девица.

იოანე: *მოგებული.*

ჭილაძე: *სეფა, დიდებული და კეთილშობილი ქალი უქორწინებელი.*

Блиставица – Стар. См. Молния.

იოანე: *ბრწყინვალება.*

ჭილაძე: *ძველებურად, ელვა.*

იოანე ბატონიშვილის ლექსიკონში ასეთი არასწორად თარგმნილი განმარტებები ბევრია. ვასილ ჭილაძე გადახაზავს და ახალ განმარტებას მიუწერს არა მარტო არასწორ თარგმანს, არამედ მიახლოებულსა და ბუნდოვანსაც. იგი აზრობრივად და სტილისტურად ხვეწს იოანეს განმარტებებს, რომელთა დატოვებაც შესაძლებელია, ასეთები კი ძალზე ცოტაა.

მთარგმნელი ჭილაძე ზოგჯერ თავის თარგმანსაც კრიტიკულად უდგება – ასწორებს და სტილისტურად ხვეწს, იშვიათ შემთხვევაში კი სრულიად ცვლის. მაგალითად:

Журавлёнок – არნივის ბარტყი, გადაშლის და წერს: წეროს ბარტყი; Клеёнка – ტილო ნებონაცხები – მუშამბა; Лилик – მიმინო – ბუკიოტი; Огарка – ნამწვავები – წიდა, ილეკროს ნადნობი; Шершаво – უსწორმასწოროდ – ბუსუსიანად და სხვ.

როგორც წესი, ორენოვან ლექსიკონებში რუსული სიტყვები თარგმნილია ცნებების დონეზე. ძირითადად ასეა ვასილ ჭილაძის ლექსიკონშიც, მაგრამ არც თუ იშვიათად მოკლე განმარტებებიც გვაქვს, ზოგიერთ შემთხვევაში კი – ვრცელი, რომელშიც საგანი თუ მოვლენა მეტ-ნაკლები სისრულითაა დახასიათებული. მაგალითად:

შესატყვისი: *Амбар* – ბელელი; *Булка* – ფუნთუშა; *Взхрапываю* – ვხურინავ.

მოკლე განმარტება: *Палтус* – კარიდა, ზღვის თევზია დიდი; *Блин* – ბლინი, თხელი ცომი ერბოთი ტაფაში მომწუარი კვერ-კვერად.

ვრცელი განმარტება: *Кормчая книга* – განსაგებელი ნიგნი, რომელსა შინა აღწერილ არიან სჯულნი ეკკლესიურნი და რაოდენნიმე სამოქალაქონიცა, შეკრებულნი ნიკონ პატრიარხისა მიერ და საწმევი სასულიეროთა სამართალთა შინა.

Приставание – მიყენებულება ნავისა წყლისა პირსა; – მიკვრილება, მიგლესილება. – თანა-შერთულება; – მიზის მოდებულება; – მიუცილებელი თხოვნა; – გულსმოდგინედ ჯდომა საქმისა რაჲსათკსმე; – გარდადებულება სნეულებისა; – დაღალულება¹⁰.

ზოგჯერ მთარგმნელი არ კმაყოფილდება რუსეთის აკადემიის ლექსიკონის განმარტებებით და მას ავსებს სხვა ლექსიკონის მონაცემებით. მაგალითად:

Сикарь – სიკარი, კაცისმკვლელი; დაფარულსა ადგილს განმზადებულნი ანუ მლოდინებელი კაცის მოკვლისა; მეწრმე, ნასახჩი, დამჭერი, შემპყრობელი, ავაზაკი. ეკკლ. ლექსიკონში, ნაწილი 3, ფურც. 59.

რალ-ის განმარტება ამ სიტყვისა ასეთია:

Сикарь – *Тайноубийца*; *Вооруженный кинжалом* (და მოტანილია საილუსტრაციო ტექსტი შესაქმიდან (XXI,40).

პ. ალექსეევის „საეკლესიო ლექსიკონში“ კი ასეთი განმარტება გვაქვს:

Сикарь – *толкуется убийца, Деян. 21,38; По сказанию Сервиеву Сикарь именуется тот, кто спрятавшись, ожидает человека, чтобы нечаянно убить, а по мнению Ливиеву – палач или спекулятор; У Цицерона называется по лат. fubsessor, то есть Ловитель, а у Ювенала – разбойник*¹¹.

როგორც ვხედავთ, ქართული განმარტება მისდევს არა რუსეთის აკადემიის, არამედ „საეკლესიო ლექსიკონის“ განმარტებას, რაზეც მიუთითებს კიდევ მთარგმნელი. როგორც ჩანს, ვ. ჭილაძე არ დააკმაყოფილა რალ-ის განმარტებამ და „საეკლესიო ლექსიკონის“ ძირითადი განმარტების გარდა (*убийца,...* *тот, кто спрятавшись, ожидает человека, чтобы нечаянно убить*) გამოიყენა სხვადასხვა

¹⁰ ტირებით გამოყოფილია სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობები.

¹¹ *Церковный словарь*, сочиненный П. Алексеевым, издание четвертое, С-Пб, 1817, т. 4, с. 85 (არსებობს ლექსიკონის უფრო ძველი გამოცემაც, რომლის მოპოვება ვერ შეეძელით).

ავტორთა ნაწერებიდან იქ მოხმობილი განმარტებებიც: *палач, ловитель, разбойник (მეგრე // ნახახჩი, დამჭერი // შემპყრობელი, ავაზაკი).*

საინტერესოა მეორე მაგალითიც:

Смерчье – ხე ულპოლველი, გამოსლ. თ. 6, მ. 31; – ხე საბარკი, გამოსლ., 19,4.

რალ-ში *Смерчье*-სთან მითითებულია იხ. *Можжевельник*, რომელიც ამ სიტყვას ძალზე ვრცლად განმარტავს (ფიზიკური ნიშნების ჩამოთვლით და გამოყენების თვალსაზრისით), და ხსენებაც არ არის საეკლესიო ლექსიკონისა. მისი მოხმობა ქართულ განმარტებაში ვასილ ჭილაძის ინიციატივით ვნახოთ, როგორია ამ სიტყვის განმარტება „საეკლესიო ლექსიკონში“:

Смерчье – Куст просто называемый можжевельник. Непонятно нам покажется, как Илия пророк мог уснуть под тенью толь низкого растения. Но по свидетельству естествословцев, смерчье в восточных странах возрастает великим и толстым деревом, а в Испании выше Сеговии, по дороге Маориту из Смерчия делаются брусья и стропила кровельные.

არც ეს განმარტება იძლევა საფუძველს ქართულ განმარტებაში *Смерчье*-ს ფარდად *ხე ულპოლველის*, *ხე საბარკის* მოსახმობად. სამაგიეროდ, აქედან მოდის დაეჭვება ამ ხის სიპატარავის შესახებ (ეს ხე თუ ღვიაა – *можжевельник*, მაშინ ილია წინასწარმეტყველი ასეთი დაბალი ხის ქვეშ ვერ დაიძინებდაო), რამაც მთარგმნელს ბიძგი მისცა სხვა შესატყვისები მოეძებნა და გაეთვალისწინებინა იქვე მოტანილი ინფორმაცია, რომ ბუნებისმეტყველთა მოწმობით, ეს მცენარე აღმოსავლეთ ქვეყნებში დიდ და მსხვილ, ესპანეთში კი სეგოვიაზე მაღალ ხედ იზრდება. ამის შემდეგ მან ქართული მასალა მოიძია – ჩაიხედა ბიბლიაში და იქიდან ამოიღო მისი შესატყვისები: *ხე ულპოლველი, ხე საბარკი.*

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა *Скнипы*-ს განმარტება.

Скнипы – მუმლი, გამოს., 8, 16. ვიეთნიმე კოლოდ განმარტებენ და სხუანი რწყილად, მწარედ მკებნელად.

რალ-ში ასეთი განმარტებაა:

Скнипы – Блохи язвительные.

საიდან მოდის რუსულ-ქართული ლექსიკონის პირველი ნაწილის განმარტება?

ვასილ ჭილაძის „საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში“ ამ სიტყვის განმარტებისას პირდაპირ არის დასახელებული წყაროები: *ლექსი ესე რუსულს აკადემიის სლოვარში რწყილად არის განმარტებული, ხოლო რუსულსავე ეკკლესიურ სლოვარში – კოლოდ.* ქართულს დაბადებაში გამოს. თ. 8. მუჯ. 16 მუმლი სწერია და ქართულს ლექსიკონში მუმლი კოლოდ არის განმარტებული.

პ. ალექსევის *საეკლესიო ლექსიკონში* ასეთი განმარტებაა: *Скнипы Вишн разного рода, то есть человеческие и скотские, например песин, воловыи, овечьи, конские, птичьи... О Скнипах упоминается Исход. 8, 16, в Псалт. и Премудр. Соломона . А по иных мнению, скнипы суть комары.*

მაშასადამე, ვასილ ჭილაძემ გამოიყენა ორსავე ლექსიკონის – რუსეთის აკადემიისა და საეკლესიოს განმარტებები (*რწყილი, კოლო*) – და იგი შეავსო და გაამაგრა ქართული მასალით, კერძოდ, ქართული ბიბლიისა და ქართული ლექსიკონის ე. ი. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ მონაცემებით (*მუმლი, მუმლი = კოლო*).

ამ ტიპის მაგალითები გვიჩვენებს, რომ მთარგმნელი ჭილაძე კრიტიკული თვალთ უყურებს რუსული ლექსიკონის განმარტებებს და მცირედი დაეჭვების შემთხვევაშიც კი სხვა ლექსიკონს და ქართულ მასალას იშველიებს. ასეთი გარჯა, რასაკვირველია უფრო მეტია, ვიდრე თარგმნა რუსული ლექსიკონისა და იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ რუსულ-ქართულ ლექსიკონში ნათლად ჩანს ვასილ ჭილაძის შემოქმედებითი მუშაობის საინტერესო პროცესი.

ასევე საინტერესოა ვასილ ჭილაძის კომენტარები, რომლებიც დამატებულია დედნისეულ განმარტებებზე. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ, დაინტერესებული მკვლევარი, რომელიც საგულდაგულოდ შეისწავლის ამ ლექსიკონს, ასეთ შემთხვევებს გაცილებით მეტს აღმოაჩენს.

Оброчник и Обротник 1. платящий подать, оброк. 2. В старинном употреб. Состоящий на жалованье, получающий жалованье.

ვ. ჭილაძე: *მოხარკე, ხარკის გამომღები; – მოჯამაგირე, ჯამაგირით დადგინებული. აშიაზე კი ასეთი კომენტარი გაუკეთებია: მოხარკე და მეხარკე განსხუავებულია: პირველი ჰნიშნავს გლეხსა, ხარკის გამომღებელსა, ხოლო მეორე მოხელესა, ხარკის [ამკრეფსა].¹²*

Сослов – Слово одно значущее с другими.

ვ. ჭილაძე: *თანამსიტყველი, ერთმნიშვნელი. აშიაზე კი მიუხერია: თანამსიტყველი სახელმოდგამის წინააღმდეგია, მაგალ. თვალი არის სახელმოდგამი (ომონიმი, ლ.კ.) ვინაიდან აქუს სხუა და სხუა საზღუარნი, ვითარ-იგი: სახედველისა, ურმის თვლისა, ბეჭდის თვლისა და სხვ. ხოლო თვალივე და სახედველი არიან თანამსიტყველნი (სინონიმი, ლ. კ.) გინა ერთმნიშვნელნი, ამაღ რომელ ორთავე ამათ აქუსთ ერთი და იგივე საზღუარი ანუ მნიშვნელობა.*

Телнонос – Птица в Св. Писании упоминается, известная под именем Колтика или Колтицы. «И сына и телноноса», Второз. 14,18.

ვ. ჭილაძე: *ცხვირეწო, ანუ ყანჩი, გინა ოყარი; ამ ფრინველს ცხვირი მოყვანილობით ეწოს უგავს, რუსულად შემსგავსებით უწოდებიათ ეს სახელი ამა ფრინველისათვის, ვინაიდან (ტესლონოს) ეწოს და ცხვირსა ნიშავს. ქართულს დაბადებაში¹³ შეცდომით ანუ გაურჩევლობით დაუბეჭდიათ რუსული სახელი ამ ფრინველისა (ტესლონოსი), მეორე სჯულ. თ. 14, მ. 18: და ტიფ და ტესლონოსი.*

¹² ბოლო სიტყვა არ იკითხება, რადგან ხელნაწერის ქვემო აშის ნაწილი ნაჭრილია.

¹³ იგულისხმება ბაქარის ბიბლია, სადაც, მართლაც, ტესლონოსია დაბეჭდილი.

რუსულ-ქართული ლექსიკონი ყურადღებას იქცევს სინონიმების სიუხვით. როგორც წესი, ვასილ ჭილაძეს რუსული სიტყვა ქართულში რამდენიმე შესატყვისით აქვს თარგმნილი. მაგალითები:

Видение – ხილვა, ქვრეტა, მზერა, ცქერა; *Волиба* – მოგვობა, მისნობა, მკითხაობა, გრძნეულება; *Гончар* – მეკეცე, ბრუტი; *Горлянка* – კვახი, გოგრა, ხაპი, აყირო; *Доля* – ნაწილი, კერძი, წილი; *Еле* – ძნად, ძლივ, ძნელად; *Кол* – მანა, მარგილი, პალო; *Котора* – შულლი, ჩხუბი, დავა; *Ланыта* – ღანვი, ჯვრისმალი, ლოყა; *Наконец* – უკანასკნელ, ბოლოს, დასასრულ; *Топтание* – ზელა, ზერქნა, გათელვა და მრავალი სხვა.

ვასილ ჭილაძე, როგორც კარგი მცოდნე და დამფასებელი მშობლიური ენისა, პრიორიტეტს ანიჭებდა მკვიდრ ქართულ სიტყვებს და თავის წინასიტყვაობაში აცხადებდა: *რათა ქართულისა მკვიდრნი ლექსნი უამთა ვითარების შემდგომად არა დავიწყებულ იყვნენ ... ამისთვის პირისპირ თითოეულისა რუსულისა ლექსისა პირველ დამიდვიეს მკვიდრი ქართული ლექსი და შემდგომად ჯმარებული ქართულსა ენასა ზედა ნაცვლად ქართულისა ლექსისა უცხო მჭრის მეზობელთა ლექსი. ბევრ შემთხვევაში ეს, მართლაც ასეა. მაგალითები:*

Баба птица – ვარხვი, ფილატონი; *Гостинник* – მესტუმრე, მემანდარი; *Кровоточивый* – სისხლმოდინალი, წიდოვანი, დაშტანი, ტაბასტა; *Кошун* – ხუმარი, ოხუჯი; *Лазутчик* – მსტოვარი, აეშავი, მომხმლავე ფარულად, დაშუში; *Перила* – შატქუნი, დოშაკი; *Тахный* – ყობული, შვილდის ბუდე გინა ქარქაში; *Тоболец* – ტავარჯუხი, სხალთა, ხურჯინი; *Цирюльник* – ვარსამი, თავისა და პირის მპარსავი, დალაქი და მრავალი სხვ.

მთარგმნელი ჭილაძე თითქოს საგანგებოდ ეძებს და თავის ლექსიკონში შეაქვს იშვიათი ხმარების სიტყვები, რათა ისინი შემოუნახოს მომავალ თაობებს. მათი ერთი ნაწილი სულხან-საბას სიტყვის კონაში დავადასტურეთ, ნაწილი – დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში. არის ისეთებიც, რომლებიც ძველ ლექსიკონებში არ დაიძებნა. მაგალითები:

Бериожная – მაკე ცხენი ანუ ჯრდალი¹⁴, გინა ფაშატი მაკე (საბა, ჩუბ.); *Веретище* – ვაშკარანი, ტომარა, პარკი (საბა, ჩუბ.); *Волшебница* – ულუკი; *Габна* – თეთრი მსხვილი შალი ანუ ღანდრა; *Гончар* – მეკეცე, ბრუტი, თიწის ჭურჭლის ხელოსანი (საბა); *Городня* – მესერი ძელთაგან ქმნილი გინა სირხალი; *Кожевник* – მესამოგვე, დაბალი, მეპრატაკე (ჩუბ.); *Колодка* – ფანდაკი (საბა, ჩუბ.); *Копь* – სამანი, სინორი, მიჯნა (ჩუბ.); *Коряк* ჩარა; ალა, წისქვილის ფქვილის სადენი (საბა, ჩუბ.); *Кошел* – პარკი, მახალაკი (საბა, ჩუბ.); *Кузов* – კალათა, ხოკერი (საბა, ჩუბ.); *Левша* – ჩალიკვა, (საბა, ჩუბ.); *Ложечница* – დარჯი, გადნობილი ილეკროს ჩასასხმელი ჭურჭელი; *Лун* – ფუტი, ყაბუხი, ცაცხვის შინაგანი ქერქი; *Оратель* – მწვანელი, მეგუთნე, მეერქენე (ჩუბ.); *Пашина* – ზარდაკი, თხელი

¹⁴ გაშლილად წარმოდგენილია იშვიათი ხმარების სიტყვები.

ადგილი გამოყუანის სამოგვეზედ; *Пемза* – ბავრუკი¹⁵; *Салат* – ტაბუცუნი (საბა, ჩუბ.); *Мычок* – ქიმუჯი, მუშტუკუნი; *Слоней* – ლორფინი, ფილაქანი; *Шушцы* – მარნუხი, ტკეცი გინა მამა – მაყაში (საბა, ჩუბ.).

მოყვანილი მაგალითებიდან ძველ ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ სიტყვები: *ულუკი*, *სირხალი*, *დარჯი*, *ყაბუხი*, *ლორფინი*, *ლანდრა*, *ზარდაკი*, *მუშტუკუნი*, *ქიმუჯი* (ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია *ქიმუნჯი*). რუსულ-ქართული ლექსიკონის შესწავლა ამ თვალსაზრისით უთუოდ ბევრ გაუჩინარებულ სიტყვას გამოავლენს, რაც ქართული ენის ისტორიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

როგორც უკვე ითქვა, იოანე ბატონიშვილის მიერ დაწყებული საქმე – რალის ქართულად თარგმნა, თბილისური ნუსხის (H-2328) 115v-დან განაგრძო ვასილ ჭილაძემ. მან ბატონიშვილის ნათარგმნი გვერდები გულდასმით შეამოწმა, არაადეკვატური და ბუნდოვანი თარგმანი შეასწორა, ბევრი განმარტება შეცვალა, ბევრიც განავრცო და რუსულ განმარტებებს დაუახლოვა. როგორც კი იოანე ბატონიშვილმა მოიცილა მთარგმნელის მძიმე ტვირთი და თარგმნა მიანდო ქართულ-რუსულ ენებში თავისზე უფრო განსწავლულ პირს, ვასილ ჭილაძის თარგმანს რედაქტორის თვალთ შეხედა. მას, როგორც რუსული ენის სუსტად მცოდნეს, არ ხელენიფებოდა თარგმანის შესწორება-რედაქტირება რუსულთან მიმართებით, ამიტომ იგი აქცენტს აკეთებს ქართული შესატყვისების, მისი აზრით, უფრო ზუსტი ფარდი სიტყვებით შეცვლაზე (გადაშლის ჭილაძის შესატყვისს). ეს უმეტესად საბუნებისმეტყველო, მეტადრე ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა სახელწოდებებს ეხება (50-მდე შემთხვევა). მაგალითად:

Гадина – ქუწნარმავალი (ჭ) – მძრომი, ქუწმძრომი (ი); *Жидовские вишни* – ურიის ბალი (ჭ) – ჭულუმბრუ (ი); *Кобец* – მომცრო ქორი (ჭ) – კირკიტა (ი); *Куша* – ნალკოტა (ჭ) – კვერთვეზი (ი); *шафран* – ზაფრანა (ჭ) – კროკო (ი) ...

უფრო ხშირია საბუნებისმეტყველო ტერმინებისა და არასაბუნებისმეტყველო სიტყვების შესატყვისებისთვის სინონიმების (იოანეს აზრით) დამატების შემთხვევები. მაგალითად:

Крыса – ვირთავა + ზაზუნა თავი; *Осетрина* – თართისა + ანდაკისა; *Папугай* – თუთიყუში + ზოვრაცი; *Свинья морская* – ზღვის ღორი + დელფინი; *Укруп* – კამა + შვითო; *Ягня* – ბატკანი + კრავი; *Взлысина* – მელოტი წინა კერძოთგან + კეთრი ანუ ლაქი; *Дробь* – საფანტი + მარცვალი; *Капишон* – კაპიშონი + ყაბალახი; *Кучер* – ცხენგამლაღველი + მწაფელი; *Неимение* – უქონლობა + მკდოვანება; *Осквернение* – შეგინება, ნაბილწვა + განბილწვა; *Охран* – ნახველი + ხლარტი; *Упорность* – ურჩობა, მოუდრეკელობა, მიბჯენილება + თავხედობა.

იოანე ბატონიშვილის დამატებები შეიძლება ასე შეფასდეს: ერთ შემთხვევაში ისინი შესაბამისი შესატყვისების სინონიმებად უნდა ჩაითვალოს (*თუთიყუში*

¹⁵ ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით არც ერთ ძველ ლექსიკონში არ არის.

|| ზოვრავი; ზღვის ღორი || დელფინი; ბატკანი || კრავი; ცხენგამლაღველი || მწაფელი; უქონლობა || მკდოვანება), სხვა შემთხვევებში ვერ ჩაითვლება სინონიმებად, უფრო მეტიც, დამატებები არასწორია და მიუღებელი (მელოტი – კეთრი; საფანტი – მარცვალი; შეგინება – განბილება; ურჩობა, მოუდრეკელობა – თავხედობა). რაც შეეხება კაპიშონის სინონიმად ყაბალახის დამატებას, ეს, რასაკვირველია, ზუსტი არ არის, მაგრამ საინტერესო ხერხია: იოანემ უცნობი თავსაბური ჩვენში არსებული რეალით – ყაბალახით ახსნა და ქართველისთვის, მიახლოებით მაინც, გასაგები გახადა.

მოყვანილ მაგალითებში ყურადღებას იქცევს იშვიათი ხმარების სიტყვები: ხლარტი, შვითო, რომლებიც სულხან-საბას ლექსიკონში ვერ აღმოვაჩინეთ. მაშასადამე, იოანე ბატონიშვილიც, ვასილ ჭილაძის მსგავსად, ლექსიკონში იშვიათი სიტყვების დაფიქსირებით მათ გადარჩენაზე ზრუნავდა, რაც კარგად გამოხატავს მის დამოკიდებულებას მშობლიური ენისადმი.

ამ უზარმაზარ ლექსიკონში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მთარგმნელ ჭილაძეს შესატყვისი ვერ მოუძებნია რუსული სიტყვისთვის და მისი რაობა აღწერით გადმოუცია. იოანე ბატონიშვილს უცდია ჭილაძის დახმარება, შესატყვისები მოუძებნია და ლექსიკონში ჩაუნერია. მაგალითად:

Капкан – მჭეტსაპყრობი რკინის მახე + ხაფანგი; Карандаш – კარანდაში, ტყვიის კალამი და წითელიცა იქნება ნაჭერ-ნაჭერი + ღინწი; Кий – ბილიარდის ჯოხი + ჩოგანა; Телескоп – შორსმჩვენებელი, ტელესკოპი, დურბინდის გუარია + ჭოგრი; Умасливаю – ერბოს ვსცხებ + ვქონავ; Хару – ცუდი სახე პირისა + დუხჭირი და სხვ.

ამ მაგალითებიდან ზოგი მართებული და მისაღებია (ხაფანგი, ჭოგრი, ვქონავ), ზოგიც მიუღებელი (ჩოგანა, დუხჭირი). რაც შეეხება სიტყვა ღინწს, მას ძველ ლექსიკონებში (საბასა და დ. ჩუბინაშვილის) სულ სხვა მნიშვნელობა აქვს (მცირე, წვრილი დანა).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „რუსულ-ქართულ ლექსიკონს“ ბოლოში ერთ-თვის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (დაახლოებით 1.200 სიტყვა), რომლის წყაროა ნ. კურგანოვის „Письмовник“-ი. უნდა აღინიშნოს, რომ აქ წარმოდგენილ უცხო სიტყვათა ნაწილი შეტანილი და განმარტებულია რალ-ში და აქედან გამომდინარე, „რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც“.

* * *

„რუსულ-ქართული ლექსიკონის“ დაბეჭდვაზე ზრუნვამ მოითხოვა ვასილ ჭილაძის ავტოგრაფული ანუ თბილისური ხელნაწერის ორტომეულის გადაწერა ახალი, თეთრი ნუსხის შექმნის მიზნით. ასე შეიქმნა პეტერბურგის ნუსხა ლექსიკონისა, რომელიც 6 ტომისგან შედგება. იოანე ბატონიშვილმა ჭილაძის ავტოგრაფული ხელნაწერის გადაწერა დაავალა თავისი ჯგუფის წევრებს და მონვეულ მნიგნობრებს. მათ შორის იყვნენ ცნობილი მწერალი, მთარგმნელი

და გადამწერ-კალიგრაფი გიორგი ავალიშვილი, თავად ვასილ ჭილაძე, სვიმონ ტაბიძე, გოდერძი ფირალიშვილი და სხვები.

იმ დროს შექმნილი სიტუაცია ასე შეიძლება დავახასიათოთ: თუ ვიმსჯელებთ იმ გამოხმაურებების მიხედვით რომლებიც მოჰყვა იოანე ბატონიშვილის აქტიურობას, იგი ჩქარობდა რუსულ-ქართული ლექსიკონის ახალი ნუსხის შექმნას, რადგან დღის წესრიგში იდგა ლექსიკონის დაბეჭდვის საკითხი. ვასილ ჭილაძეს, რომელიც მეორე, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონის შექმნით იყო დაკავებული (რალ-ის საბუნებისმეტყველო მასალის ვრცელ განმარტებებს შეუმოკლებლად თარგმნიდა და არც თუ იშვიათად ავრცობდა მათ საქართველოში არსებული რეალიებით)¹⁶, – ძალზე ცოტა დრო ჰქონდა (დღე-დღეზე ელოდა სამსახურის დანყებას), მაგრამ იგი მაინც ახერხებს თავისი ლექსიკონის ნუსხის მომზადებას გადასანერად – რუსულ სიტყვანში გამორჩენილი სალექსიკონო ერთეულების ჩამატებას, სიტყვათა ანბანთრიგისა და ყოველგვარი სახის შეცდომების გასწორებას. ამის შემდეგ იოანე ბატონიშვილი ანაწილებს ჩასწორებული თბილისური ნუსხის მასალას გადამწერთა შორის, რომლებშიც რუსულის არმცოდნე პირებიც ურევია. ამიტომ რუსულის მცოდნე გადამწერები ზოგჯერ, როდესაც თბილისური ნუსხა დაკავებული ჰქონდა რუსულის არმცოდნე პირს, იძულებულნი ხდებოდნენ დროის დაზოგვის მიზნით მიემართათ რუსული დედნისათვის და ხელახლა ეთარგმნათ ის, რაც თარგმნილი ჰქონდა ვასილ ჭილაძეს.

სწორედ ასე იქცევა ახალი ნუსხის I ტომის შემქნელი (შეიცავს 234 ფ. თბილისური ნუსხის 2r-135v გვერდებს, A, B, B ასოებს), რუსული ენის ჩინებული მცოდნე გიორგი ავალიშვილი: როცა თბილისური ხელნაწერი დაკავებულია, ის მიმართავს დედანს და თარგმნის რუსულ განმარტებებს. ამიტომ ამ ტომის ზოგიერთი მონაკვეთი სხვაობს თბილისური ნუსხისგან ლექსიკონითა და ენობრივადაც¹⁷. ამას ისიც ემატება, რომ გ. ავალიშვილს ზოგ შემთხვევაში გადმოაქვს რუსული სიტყვის ყველა მნიშვნელობა და განმარტება. ამ ტომში ჩანს ვასილ ჭილაძის ხელიც როგორც რუსულ სიტყვანში (222r-227v-ზე სიტყვანი მისი ხელითაა ჩანერილი, სხვა შემთხვევებში ასწორებს სიტყვანის შეცდომებს), ისე ქართულ განმარტებებში. 200v-დან¹⁸ იგი სისტემატურად ენაცვლება გ. ავალიშვილს: იწერს თბილისური ნუსხიდან, თარგმნის (ხელნაწერის არქონის

¹⁶ დანვრილებით ამის შესახებ იხ. ლია კიკნაძე, *იოანე ბატონიშვილის სახელით ცნობილი საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი*, ლიტერატურული ძიებანი, XXVI, 2005.

¹⁷ ზოგჯერ ეს ასეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც გიორგი ავალიშვილი იწერს თბილისური ხელნაწერიდან, რადგან მას ახასიათებს გადაწერის პროცესში ტექსტის ცვლა, იქნება ეს თავისი თარგმანი თუ სხვისი. ამის შესახებ დანვრილებით იხ. ლია კიკნაძე, *გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება*, თბილისი, 1993, გვ. 219-228.

¹⁸ 203r, 204r-v, 206r-v, 207v, 209r-v, 211v, 214r, 215v, 222r, 222v და ა.შ.

შემთხვევაში) და აერცობს ქართულ განმარტებებს დედნის შესაბამისად, ამიტომაც ეს განმარტებებიც სხვაობს თბილისური ხელნაწერის მისივე განმარტებებისგან. მოვიყვანთ მათი მჭიდრო თანამშრომლობის ერთ მაგალითს (სიტყვის განმარტება დაუწყია გიორგი ავალიშვილს და დაუმთავრებია ვასილ ჭილაძეს): *Бегунец – ისარი ანუ დაძლევიტ მწუჭნებელი კვადრატსა ზედა, რომელ არს სავარსკვლავეთმრიცხველო იარაღი; ყიბლამას ისრის გუარია* (გაშლილი სიტყვები).

ასეთი მონაცვლეობა ხელისა გვაფიქრებინებს, რომ გ. ავალიშვილი შინ აკითხავდა იოანე ბატონიშვილს (სადაც ცხოვრობდა ვასილ ჭილაძეც) და იქ ქმნიდა ახალ ნუსხას. მცირე შესვენებების დროს მას ენაცვლებოდა ვასილ ჭილაძე, თუ ეცალა, რომ ნუთიც არ დაკარგულიყო და სწრაფად გადაწერილიყო თბილისური ნუსხა.

I ტომს წინ უძღვის ერთგვარი შესავალი, რაც არ არის თბილისურ ნუსხაში, და განკუთვნილია ლექსიკონის ქართველი და რუსი მომხმარებლებისთვის. მასში მოცემულია ქართული და რუსული ანბანი (ასოთა ქართულ-რუსული სახელწოდებებით), ღია და დახურული მარცვლები, სპეციფიკური რუსული ბგერების წარმოთქმის წესები. აქვეა ქართულ-რუსული (134 სიტყვა) და რუსულ-ქართული (212 სიტყვა) მცირე ლექსიკონები. ნაწერია ს. ტაბიძის მსგავსი ხელით. შეინიშნება იოანე ბატონიშვილის ხელიც (სათაურებსა და რუსულ განმარტებებში). მრავლადაა შეცდომები როგორც ქართულ, ისე რუსულ განმარტებებში.

II ტომი მოცულობით მცირეა, სულ 93 ფურცელია და მოიცავს თბილისური ნუსხის 135v-208r გვერდებს (Г, Д, Е, Ж ასოებს). რუსული სიტყვანი უცნობი ხელითაა ჩაწერილი. თბილისურ ხელნაწერში ჭილაძის მიერ ჩამატებული სიტყვების ნაწილი არ არის გადატანილი, არ არის გათვალისწინებული მისი შენიშვნებიც სიტყვათა რიგის გასწორების შესახებ. ამიტომ ანბანთრიგი ზოგჯერ არეულია. თუ ხელის მიხედვით ვიმსჯელებთ, ქართული განმარტებების გადამწერი შეიძლება იყოს სვიმონ ტაბიძე, რომელიც 30 წელი თანამშრომლობდა ბატონიშვილებთან, როგორც გადამწერი. იგი უცვლელად ინერს თბილისურ ხელნაწერს, იგრძნობა, რომ არ ფლობს რუსულ ენას და არავითარი აზრი არ გააჩნია თარგმანის აკურგანობის შესახებ. ამიტომ უსწორო, დიალექტური ფორმები თუ კორექტურული სახის შეცდომები, რომლებიც აქა-იქ გაპარულია ამ ვეებერთელა ლექსიკონში, გაუსწორებლად არის გადატანილი ახალ ნუსხაში. გადამწერი თავის მხრივ ამრავლებს შეცდომებს, ცუდად ამოკითხვისა და უყურადღებობის გამო. ეტყობა, რომ ძალიან ჩქარობს, რაც შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარეობს.

III ტომი მოცულობით საკმაოდ დიდია (315 ფ.) და მოიცავს თბილისური ნუსხის 208v-340r-ს (З, И, К, Л ასოები). იგი უფრო ვრცელია, ვიდრე თბილისური ნუსხის შესაბამისი მონაკვეთი, რადგან ამ უკანასკნელის რუსულ სიტყვანს აქვია რამდენიმე ასეული სალექსიკონო ერთეული.

ეს ტომი თავიდან ბოლომდე ვასილ ჭილაძის ხელითაა ნაწერი და საინტერესო მასალას იძლევა განსჯისათვის. საქმე ისაა, რომ პეტერბურგის ნუსხის განმარტებების დიდი ნაწილი სხვაობს თბილისურის განმარტებებისგან. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხშირად ვასილ ჭილაძეს, ისევე როგორც დროდადრო გ. ავალიშვილს, შავი (თბილისური) ნუსხა ხელთ არ ჰქონდა და ხელახლა თარგმნიდა დედნის განმარტებებს. ამის მიზეზია ის სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ლექსიკონის შესაძლო დაბეჭდვასა და ვ. ჭილაძის სამსახურთან დაკავშირებით. ეს გარემოება აიძულებდა ვასილს სასწრაფოდ მოეთავებინა იმ ნაწილის გადათქმვა, რაც მან იტვირთა, თბილისური ხელნაწერი კი, საფიქრებელია, ხელთ ჰქონდა სხვა გადამწერს, რუსულის არმცოდნე პირს, ამიტომ ჭილაძე იძულებული იქნებოდა ისევ რუსული დედნისთვის მიემართა და ხელმეორედ ეთარგმნა ის, რაც უკვე თარგმნილი ჰქონდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას განსხვავებები (ორთოგრაფიული, ენობრივი, ლექსიკური, მოცულობითი), რომლებიც შეიმჩნევა თბილისურ და პეტერბურგულ ნუსხებს შორის. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

Завываю თბ. *შეუნოდ*; პეტ. *შევუნოდ*; *Закваса* საფუფარი; პეტ. საფუარი; *Костяничник* თბ. *მინის მჯახველის ძირი*; პეტ. *მინის ძახველის ბუჩქი ანუ ძირი*; *Лыко* თბ. *ხრილი*; პეტ. *ხრალი*; *Личник* ნიყაბი; პეტ. *მუზარადი*; *Лежка* თბ. *წოლა*, *შესვენება შრომისაგან*; პეტ. *დაბიურია*, *შესვენება მუშაკობისაგან*; *Лесник* თბ. *ხე-ტყით მოფარდულე*; პეტ. *ხე-ტყით ალებ-მიმცემი*; *Летовище* თბ. *ადგილი, სადაცა ამყრელ-დამყრელნი ერნი ზაფხულს განატარებენ*; პეტ. *საზაფხულო ადგილი ქოჩის ერისა*; *Пызоши* თბ. *ველური ჩაი*; პეტ. *მანყულა ანუ მინდრული ჩაი* და მრავალი სხვა.

ზოგჯერ ვასილ ჭილაძეს ხელში უჭირავს თბილისური ხელნაწერიც და დედანიც და ავრცობს განმარტებებს. აღსანიშნავია, რომ იგი ითვალისწინებს და ახალ ნუსხაში გადააქვს იოანე ბატონიშვილის ჩამატებები, თუ მისთვის მისაღებია.

ამ ტომში გიორგი ავალიშვილის ხელიც შეიმჩნევა. მათი თანამშრომლობის შესახებ უკვე აღვნიშნეთ I ტომის განხილვისას. ასეთივე ვითარება გვაქვს III ტომშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ტომის დასაწყისი ფურცლები (1-18 ფფ.), სადაც ეს ორი ხელი სისტემატურად ენაცვლება ერთმანეთს ზოგჯერ ერთი გვერდის ფარგლებშიც კი. მათი განმარტებები განსხვავებულია ერთმანეთისგან როგორც ორთოგრაფიულად, ისე ენობრივად. აქვე დავსძენთ: გიორგი ავალიშვილი არ შეიძლებოდა სიმპატიით არ განმსჭვალულიყო ვასილ ჭილაძის მიმართ, რომელიც არაჩვეულებრივი მუყაითობითა და ერთგულებით ასრულებდა იოანე ბატონიშვილის მძიმე, მაგრამ საპატიო დავალებას. ავალიშვილი ყოველნაირად ცდილობდა დახმარებოდა მას, რომ საქართველოში გამგზავრებამდე (1814 წლის დეკემბერში ჭილაძე დანიშნულია საქართველო-იმერეთის უწმიდესი სინოდის კანტორის პროკურორად) მოესწრო III ტომის გასრულება.

თბილისური ნუსხის განხილვისას ვწერდით, რომ ვასილ ჭილაძე ცდილობს რუსული სიტყვა რამდენიმე შესატყვისით ანუ სინონიმებით გადმოიღოს. ახალ ნუსხაში რუსული სიტყვის შესატყვისად მას კიდევ უფრო მეტი სინონიმი აქვს მოძიებული. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

*Котел ქუაბი, სიავი*¹⁹, *საგბოლველი ჭურჭელი; Корчемник ხამარი, ღვინის, არყისა და მისთანის მოვაჭრე გინა მოფარდულე; Кухан ყუმღარი, ნურნუმა, კუმკუმა, ალთათა (თბ. ალთაფა); Повитель მემახურე, მონადირე ფრინველთა, მწეცთა და თევზთა მჭერელი მახითა ანუ ბადითა. მოდარილე, მწედარი მიმალული (თბ. მონადირე, მზირი)* და სხვ.

რაც შეეხება იოანე ბატონიშვილის დამატებებს (ფარდი სიტყვების დამატება ან განმარტების გავრცობა), ამ ტომში მათი რიცხვი მცირეა.

IV ტომი ყველაზე დიდი მოცულობისაა პეტერბურგის ნუსხის ტომეულებში, 606 ფურცელია და მოიცავს თბილისური ხელნაწერის 340v-701v გვერდებს (M – II ასოებს). ნაწერია 2 ხელით: M და II ასოებით დაწყებული სიტყვები – ძირითადი ხელით, რომელიც მსგავსია გოდერძი ფირალიშვილის²⁰ ხელისა, ხოლო H-სა და O-ზე დაწყებული – უცნობი ხელით. ამ ტომში შეიმჩნევა ვასილ ჭილაძის ხელიც, რომელიც ასწორებს შეცდომებს რუსულ სიტყვაში, და გიორგი ავალიშვილისა, რომელიც მარტავს ძნელად განსამარტ სიტყვებს. ტომში მეორდება მე-10 რვეულის მასალა (357 სიტყვა). ხელნაწერს სხვა ნაკლიც აქვს: აკინძვისას არეულია რვეულთა თანმიმდევრობა: პირველს მოსდევს მესამე, მესამეს – მეორე.

ხელნაწერის II ხელი არა მარტო იწერს გარკვეულ მონაკვეთს თბილისური ნუსხისა, არამედ მარტავს რუსულ სიტყვაში უთარგმნელად ჩამატებულ სიტყვებსაც. იგი უფრო მუყაითი და დაკვირვებული მუშაკი ჩანს, ვიდრე პირველი: გადანერილ სიტყვებს წინ უსვამს რგოლს, რომ არ გამოჩნდეს სიტყვა, მაგრამ მონდომების მიუხედავად შეცდომები მაინც მოსდის, ისევე როგორც პირველი ხელის პატრონს (გარაუდით გოდერძი ფირალიშვილს). ეს უკანასკნელი, ალბათ, სიჩქარის გამო, არ აკვირდება, რომ ახალ ნუსხაში სიტყვათა რიგი გასწორებულია, და მექანიკურად იწერს თბილისური ხელნაწერის განმარტებებს, რის გამოც სიტყვები დაცილებულია თავისი განმარტებებისგან. შედეგად მივიღეთ არასწორი თარგმანი. მაგალითად, *Певница* ახალი ნუსხის სიტყვაში წინ არის გადასული, ე. ი. თავის ადგილას ზის, თბილისურში კი ამ ადგილას არის *пеиexo-деу*. გადამწერმა რუსულ სიტყვას არ შეხედა და ამ უკანასკნელის მნიშვნელობა

¹⁹ გაშლილად წარმოდგენილი სიტყვები არ არის თბილისურ ნუსხაში.

²⁰ იგი ახლო ურთიერთობაში იყო იოანე ბატონიშვილთან და არაერთი თხზულება თარგმნა და გადანერა მისი დავალებით. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ისიც ჩაბმული ყოფილიყო ახალი ნუსხის შექმნის საქმეში.

ქვეითად მავალი *Певница*-ს მიუწერა (ნაცვლად: ჩანგი, მოდრეკილი საკრავი). ასეთი შეცდომები საკმაოადა.

გადამწერებს პრეტენზია არ აქვთ თბილისური ნუსხის განმარტებების დახვეწაზე, არც ენობრივ ცდომილებებს უყურებენ კრიტიკული თვალთ, დიალექტური ფორმებიც გაუსწორებლად გადააქვთ ახალ ნუსხაში. თავის მხრივ, უშვებენ შეცდომებს, ზოგჯერ მექანიკურს, ზოგჯერ არასწორად ამოკითხვის გამო, რაც პეტერბურგის ნუსხას ხარისხს უკარავს.

მიუხედავად გიორგი ავალიშვილის²¹ ძალისხმევისა (განუმარტავი სიტყვების ახსნა, განმარტებების გავრცობა, მათზე შენიშვნების დართვა), ეს ტომიც შორსაა სრულყოფისაგან. იგი არის სუფთად გადანერილი ნუსხა, რომელშიც არ არის შესწორებული და გადახაზული სიტყვები, მაგრამ ბევრია ენობრივად არასწორი ფორმები თუ მექანიკური შეცდომები.

V ტომიც ორი ხელითაა ნაწერი, შეიცავს 239 ფურცელს (P – C ასოებს). გადამწერები უცნობია, მეორე ხელი იდენტურია IV ტომის მეორე ხელისა (ინერს C-ზე დაწყებულ სიტყვებს). ამ ხელითაა განმარტებული ჩამატებული სიტყვების უმეტესობაც. ჩამატებული სიტყვების განმარტებებში ჩანს გ. ავალიშვილის ხელიც. ამ უკანასკნელის განმარტებები, ჩვეულებრივ, ზუსტია და დახვეწილი, მაგრამ ზოგჯერ მასაც მოსდის შეცდომები. მიუხედავად სამი გადამწერის მცდელობისა, ამ ნუსხაშიც არის განუმარტავი სიტყვები, არც სიტყვათა განლაგებაა ყოველთვის სწორი. გადამწერები ჩქარობენ გადანერას, ამიტომ შეცდომებს უშვებენ: თბილისური ნუსხის სწორ განმარტებებს ამახინჯებენ, ვერ ამჩნევენ და არ ასწორებენ თბილისური ნუსხის დიალექტურ ფორმებსა თუ მექანიკურ შეცდომებს.

VI ტომი შეიცავს 145 ფურცელს (837v-981v), T-Я ასოებს და უცხო სიტყვათა ლექსიკონს (959r-981v). გადამწერნი იგივენი არიან, რომლებმაც გადანერეს წინა, V ტომი (პირველი ინერს T-Ф ასოებს, მეორე – X- Я-ს). მეორე ხელითაა ნაწერი დამატებაც – უცხო სიტყვათა ახსნა. ამ ტომშიც ჩანს გ. ავალიშვილის ხელი, რომელიც მარტავს განუმარტავი სიტყვების ერთ ნაწილს. ორივე გადამწერი, წინა ტომის მსგავსად, მექანიკურად ინერს თბილისური ნუსხის განმარტებებს. ისინი ვერ ამჩნევენ და არ ასწორებენ დიალექტურ ფორმებსა თუ კორექტურულ შეცდომებს. თავის მხრივ ამრავლებენ ცდომილებებს...

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსულ-ქართული ლექსიკონის პეტერბურგის ხელნაწერები თბილისურის გადამუშავებული ნუსხებია, რომლებიც შევსებულია რალ-ის მეორე გამოცემის მონაცემებით, განმარტებებიც ვრცლადაა წარმოდგენილი, ე. ი. დედნის გამეორების ცდაა ტომთა რაოდენ-

²¹ მას უნდა შეეცვალა (გაკონტროლების თვალსაზრისით) საქართველოში გამოგზავრებული ვასილ ჭილაძე.

ნობითაც და სისრულითაც²². როგორც თბილისური და პეტერბურგის ნუსხების ერთმანეთთან შედარებამ გვიჩვენა, ეს დასკვნები გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პეტერბურგის ნუსხის ტომები გადაწერილია სხვადასხვა პირის მიერ, მაშასადამე, მათი კვალიფიკაცია – ცოდნა ქართული და რუსული ენებისა, შრომისმოყვარეობა, საქმის ერთგულება და ხარისხიანი ნუსხის შექმნის სურვილი აბსოლუტურად განსხვავებულია. ამიტომ პეტერბურგის ნუსხის ავტორიანობა ცალკეული ტომების მიხედვით უნდა შეფასდეს.

პეტერბურგის „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ I და III ტომები, რომლებიც გიორგი ავალიშვილისა და ვასილ ჭილაძის მიერაა შექმნილი, მართლაც, გამოირჩევა ქართული განმარტებების სიზუსტითა და მოცულობით. მათში ნაკლებადაა ენობრივად უსწორო ფორმები და დიალექტიზმები. მიუხედავად ენის არქაულობისა და ერთგვარი ხელოვნურობისა (უმთავრესად გ. ავალიშვილის ნუსხაში), განმარტებები მეტწილად დახვეწილია, შინაარსი ნათელი და ლაკონურად ჩამოყალიბებული. მაშასადამე, ეს ტომები უფრო მაღალ საფეხურს გვიჩვენებენ, ვიდრე თბილისური ნუსხაა (აქვე დავსძენთ: „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ დაბეჭდვის შემთხვევაში აუცილებელია ორსავე ნუსხის – თბილისურის და პეტერბურგულის გათვალისწინება განმარტებების შეჯერებული ვარიანტების დასადგენად).

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით II, IV, V და VI ტომებზე. მათი გადამწერები ძალიან ჩქარობენ თბილისური ხელნაწერის გადაწერას, ვერ ამჩნევენ და მექანიკურად გადააქვთ ახალ ნუსხაში ენობრივად მცდარი, დიალექტური ფორმები თუ კალმის ცდომილებები (რაც აქა-იქ გაპარულა განმარტებებში). ისინი თავის მხრივ ამრავლებენ შეცდომებს: ამახინჯებენ დედნისეულ განმარტებებს სიტყვების გამოტოვებით, ერთი სიტყვის განმარტებას მეორეს უწერენ, განუმარტავად ტოვებენ რუსულ სიტყვანში ჩამატებულ სალექსიკონო ერთეულებს, არ ასწორებენ სიტყვათა რიგს და ა.შ. ასე რომ ამ ტომების წარმოდგენა გადამუშავებულ ნუსხებად და ამდენად უფრო მაღალ საფეხურად თბილისურთან შედარებით, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული²³, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

რაც შეეხება მოცულობას, პეტერბურგის ნუსხა რამდენიმე ასეული სიტყვით უფრო ვრცელია თბილისურთან შედარებით, უმეტესად, ვასილ ჭილაძის მიერ შექმნილი III ტომის ხარჯზე. მასში დამატებულია თბილისური ხელნაწერის სიტყვანში გამორჩენილი²⁴ სალექსიკონო ერთეულები (Зар-ზე და Заг-ზე დაწყებუ-

²² ლ. ქუთათელაძე, *დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები*, გვ. 72, 73, 83.

²³ იქვე, გვ. 76.

²⁴ ამაზე პასუხისმგებლობას მთარგმნელს ვერ დავაკისრებთ, რადგან თბილისურ ხელნაწერში სიტყვანი ჩანერილია სხვა პირის მიერ.

ლი სიტყვები, აგრეთვე *Соболь, Сова, Сода, Сокол, Сок, Соль, Солнце, Сом, Сон...* და მათგან ნაწარმოები ფორმები). მოცულობას ზრდის აგრეთვე ფრაზეოლოგიური ერთეულები, როლებიც I (მცირე რაოდენობით) და III ტომებში შეუტანია ვასილ ჭილაძეს.

შეიძლება დავასკვნათ: ვასილ ჭილაძის როლი რუსულ-ქართული ლექსიკონის ახალი პეტერბურგული ნუსხის შექმნის საქმეშიც მნიშვნელოვანია. იგი პასუხისმგებლობით ეკიდება ახალი ნუსხის შექმნას: გულდასმით კითხულობს თბილისური ხელნაწერის ორივე ტომს, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს შეცდომები ახალ, დასაბეჭდად გამიზნულ ცალებში; ასწორებს სიტყვათა რიგს (ციფრების დასმით, ხაზებითა თუ პირობითი ნიშნებით), სიტყვაში ამატებს გამორჩენილ ერთეულებს, ცვლის ზოგიერთ განმარტებას და დაჩქარების მიზნით თავად გადაწერს თბილისური ნუსხის გარკვეულ მონაკვეთს (3–II ასოებს). ხელნაწერის დაკავებულობის შემთხვევაში ხელმეორედ თარგმნის რალ-ის სიტყვებსა და განმარტებებს ამჯერად ვრცლად, ყველა მნიშვნელობის გადმოღებით, ამატებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს (მეორე გამოცემის I და III ტომებიდან). ამიტომ მის მიერ შექმნილ III ტომის გარკვეულ მონაკვეთებს თარგმნით-განმარტებითი ხასიათი აქვს (ისევე როგორც I ტომის გარკვეულ ნაწილებს). იგი მონაწილეობს I ტომის შექმნაშიც, რომელიც ცნობილი მნიგნობრის, გიორგი ავალიშვილის ძალისხმევითაა შექმნილი – ეხმარება თბილისური ნუსხის გადაწერაში, ავრცობს განმარტებებს, ამატებს და ხსნის ლექსიკურ ერთეულებს, ასწორებს თბილისური ნუსხის ცდომილებებს, ამატებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. გარდა ამისა აკონტროლებს სხვა ტომების რუსულ სიტყვანს (სხვა პირის მიერ ჩანერილს) და ასწორებს შეცდომებს. საქართველოში გამომგზავრების გამო იგი IV-VI ტომების ქართული განმარტებების შემომწმებას ვეღარ ახერხებს. მიუხედავად ამისა, მისი წვლილი პეტერბურგის ნუსხების შექმნის საქმეშიც ხელშესახებია.

რაც შეეხება იოანე ბატონიშვილის წვლილს თბილისურსა და პეტერბურგის ნუსხებში: რუსულის სუსტად ცოდნის გამო იგი ვერ აკონტროლებს რუსული განმარტებების თარგმნის აკარგიანობას, სამაგიეროდ ჭილაძის ზოგიერთ შესატყვისს ცვლის ან უძებნის სინონიმებს, ზოგჯერ მართებულს და საინტერესოს, ზოგჯერ – მიუღებელს. იოანეს მუშაობის კვალი შესამჩნევია თბილისურ ნუსხაში, პეტერბურგის ნუსხაში კი უმნიშვნელოა.

დაბოლოს: რუსულ-ქართული ლექსიკონი პირველი ნაშრომია ქართული ლექსიკოგრაფიის სფეროში, რომელიც უნიკალურია მოცულობითა და განმარტებების სიზუსტით. იგი სცილდება თარგმნითი ლექსიკონის ფარგლებს და ზოგ შემთხვევაში თარგმნით-განმარტებითი ხასიათის მაგალითებს წარმოგვიდგენს. თარგმნისას გამოყენებული სინონიმური შესატყვისები კი ძალზე საინტერესოა და გასათვალისწინებელი თანამედროვე სინონიმური ლექსიკონის შედგენის დროს. რუსულ-ქართული ლექსიკონის ეს ღირსებები იმედს გვაძლევს, რომ მას გამოუჩნდებიან სათანადოდ შემფასებელნიც, მკვლევარნიც და დაბეჭდვის მოსურნენიც.

Lia Kiknadze

VASILI CHILADZE'S RUSSIAN-GEORGIAN DICTIONARY

SUMMARY

Vasili Chiladze's Russian-Georgian Dictionary, ascribed to Prince Ioane for almost two centuries, has come down to us in two manuscripts. One – in two volumes – is preserved at the K. Kekelidze Institute of Manuscripts, H-2328 a, b), and the other, in six volumes, is in the National Library of St. Petersburg (Department of Manuscripts, collection of Prince Ioane, N 272, a, b, v, g, d, e). Both manuscripts of the Dictionary are discussed in the present paper in detail.

In analyzing the Tbilisi manuscript, compiled on the basis of translating the unique work – Dictionary of the Russian Academy (1st edition, 1789-1794), the author juxtaposes Prince Ioane's translation (3r-115r) with that of Vasili Chiladze (the latter crossing out the Prince's wrong translation and giving his own); thereby Chiladze demonstrates the untenability of Prince Ioane's inadequate translation of Russian words and definitions owing to his insufficient knowledge of the Russian language. On the basis of examples, the advantages of Chiladze's translation are shown in the paper.

Studying the Petersburg manuscript, the author comes to the conclusion that parts of it, copied from the Tbilisi manuscript by copyists of varying qualification, differ in the fullness and precision of translation. Parts I and III, written by Giorgi Avalishvili and Vasili Chiladze, are high-level manuscripts, while the rest (II, IV, V, VI) are manuscripts of low quality, containing diverse errors due to the copyists.

In the author's view, Vasili Chiladze's Russian-Georgian Dictionary is a major work – not only by the standards of the epoch when it was compiled (1812-1814) but today too, drawing attention by its size ($\approx 40\ 000$ words), precision of the equivalents of Russian words and, which is most important, the wealth of synonyms in the Georgian correspondences in which there are many rare words preserved only in this dictionary.

The author concludes the paper with the hope that researcher-lexicographers will take interest in publishing Chiladze's Russian-Georgian Dictionary.

ზაზა ალიქანიძე

ბრიტოლ რობაქიძე და ყურბან საიდი (ესად ბეი)

ახალი მასალა

ყურბან საიდის რომანი „ალი და ნინო“ XX საუკუნის მეორე ნახევრის ბესტ-სელერთა რიცხვს მიეკუთვნება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იგი თარგმნილია სულ ცოტა მსოფლიოს ხალხთა 21 ენაზე,¹ მათ შორის, ქართულადაც.² დიდი ხანია, რომანის ავტორის საკითხი იქცა XX საუკუნის ჟურნალისტიკის ერთ-ერთ ბურჟუაზიულ მოცულ პრობლემად. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ეს პრობლემა უკვე გადაჭრილია: ყურბან საიდი ფსევდონიმია ლევ ნუსიმიზაუმისა, რომლის ნაწარმოებთა უმრავლესობა (ნიგნები მუჰამედის, ნიკოლოზ მეორის, ლენინის, სტალინის, ოგეპეუს, რეზა შაჰისა და სხვ. შესახებ) დაწერილია ესად ბეის ფსევდონიმით (სხვათა შორის „ალი და ნინოს“ ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ, 1943 წლის გამოცემას ავტორად აწერია მ. [მუჰამედ] ესად ბეი³). არის სხვა ვარაუდებიც,⁴ მაგრამ, ჩემი აზრით, მათ საკმარისი დასაბუთება აკლიათ.

„ალი და ნინო“ მაღალი წარმოშობის აზერბაიჯანელი ახალგაზრდა ვაჟისა და ასეთივე მაღალი წარმოშობის ქართველი ქალიშვილის ტრაგიკულ ისტორიას გვიყვება. ეს ამბავი აღწერილია აზერბაიჯანის გასაბჭოების უშუალოდ წინმსწრებ და ბოლო აკორდის არანაკლებ ტრაგიკული ისტორიის ფონზე. ცხადია, ნიგნმა ქართველი მკითხველის ყურადღება მაშინვე მიიპყრო. ქართული თარგმანის

¹ Azerbaijan International, 12. 3 Autumn, 2004, p. 53-61. კიდევ უფრო მეტია გამოცემების რაოდენობა. რომანი 1970-2004 წლებში მხოლოდ ინგლისურ ენაზე სულ მცირე 32-ჯერ, ხოლო გერმანულად 24-ჯერ გამოიცა. იხ. Azerbaijan International, p. 61. ყურბან საიდის ფსევდონიმით გამოქვეყნებულია, აგრეთვე, „გოგონა ოქროს რქიდან“, Azerbaijan International, p. 61; იხ. აგრეთვე, თ. ინჯიას მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ინტერნეტ გვერდიდან: თამარ ინჯია, *ლიტერატურული ძარცვა*, თბილისი, 2005, გვ. 7.

² ყურბან საიდი, ალი და ნინო, თბილისი, 2002.

³ Moh. Essad Bey, Ali Khan, Rome, 1943: Azerbaijan International, p. 59, 61.

⁴ 2004 წლის გამოცემას აზერბაიჯანულ ენაზე ავტორად აწერია ი. ვ. [იუსივ ვაზირ] ჩამანზამინლი: Azerbaijan International, გვ. 556, 61. არის სერიოზული კამათი ლევ ნუსიმიზაუმის შესახებ, მაგრამ ესად ბეისა და ყურბან საიდის იგივეობის შესახებ არავინ ეჭვობს.

გამოქვეყნებას მალევე მოჰყვა თამარ ინჯიას წერილი,⁵ რომელშიც, ჩემი აზრით, უეჭველად იყო დასაბუთებული „ალი და ნინოს“ მრავალი პასაჟისა და რეალის პირდაპირი კავშირი გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგთან“. დაიბეჭდა ამ წერილზე გამომხატურებებიც. ერთ-ერთ მათგანს სათაურშივე ჰქონდა პასუხი გაცემული თ. ინჯიას მიერ ასევე სათაურში დასმულ კითხვაზე, ჰქონდა თუ არა „ალი და ნინოს“ ავტორს წაკითხული გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“.⁶

საინტერესოა, რომ ესაღ ბეისა და ყურბან საიდის იგივეობაზე ლაპარაკობს ამ ორი ფსევდონიმით დაწერილ ნაწარმოებებში გამოხატული ცხოველი ინტერესი საქართველოსა და ქართველი ქალების მიმართ. რომ აღარაფერი ვთქვათ სტალინის შესახებ დაწერილ უზარმაზარ წიგნზე, რომლის დიდი ნაწილი საქართველოს პერიოდს ეხება, და რამდენიმე სპეციალურ სტატიაზე ხევესურების შესახებ, რომელთაც შემდგომში სპეციალურად შევეხები. შეგვიძლია დავასახელოთ ესაღ ბეის სახელით პოლონეთში გამოქვეყნებული რომანი, რომლის მთავარი გმირია ქართველი ქალი თამარი. ისიც საინტერესოა, რომ ამ რომანში, ისევე როგორც „ალისა და ნინოში“, ასახულია უარყოფითი პერსონაჟის, სომეხი ნავთობის მაგნატისა და დადებითი პერსონაჟის, წარჩინებული წარმოშობის ემიგრანტი ქართველი ქალის ურთიერთობა.⁷

კვლავ მინდა დავუბრუნდე ქართულ პრესაში წამოჭრილ საკითხს გრიგოლ რობაქიძისა და ყურბან საიდის (ესაღ ბეის) ურთიერთობის შესახებ და ახალი მასალით შევეცადო, დოკუმენტურად დასაბუთებული პასუხი გავცე კითხვას, ჰქონდა თუ არა წაკითხული „ალისა და ნინოს“ ავტორს „გველის პერანგი“, ხოლო თუ ჰქონდა წაკითხული, ისარგებლებდა თუ არა მისგან ავტორზე მიუთითებლად.

1931 წელს გერმანიაში ჟურნალ Die Literarische Welt-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა ესაღ ბეის მიერ ხელმოწერილი ინტერვიუ – „საუბარი რობაქიძესთან“.⁸ ინტერვიუ დიდი არ არის, ამიტომ მას მთლიანად მოვიტან, ვინაიდან იგი საინტერესოა არა მარტო ამ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად, არამედ საერთოდაც, გრიგოლ რობაქიძის ქართველი ბიოგრაფებისთვის.⁹

საქართველოს და, შესაძლოა, მთელი დღევანდელი აღმოსავლეთის უდიდესი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც გერმანიაში უპირველეს ყოვლისა ცნობილია თავისი რომანით „გველის პერანგი“, ბერლინში ცხოვრობს. მე სია-

⁵ თამარ ინჯია, ჰქონდა თუ არა „ალი და ნინოს“ ავტორს წაკითხული გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, ჩვენი მწერლობა, 11, 2003. ამ საკითხთან დაკავშირებული პოლემიკა თ. ინჯიამ ერთად შეკრიბა და გამოაქვეყნა 2005 წელს: იხ. მისი ზემოთ მითითებული ლიტერატურული ძარცვა.

⁶ გ. პაპუაშვილი, ეს ლიტერატურული აფიორაც გაიხსნა, ახალი ეპოქა, 2003, 4-10 აპრილი; ლევან ბრეგვაძე, ჰქონია წაკითხული, ახალი ეპოქა 2003, 20-26 ივნისი.

⁷ Milos and Oil, Lodz, 1934.

⁸ E. B. Gespräch mit Robakidze, Die Literarische Welt, 7/1931, N31, s. 7.

⁹ ჩემი თხოვნით, „ინტერვიუ რობაქიძესთან“ გერმანულიდან თარგმნა თამარ ჭუმბურიძემ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

მოვლებით ვიყენებ შესაძლებლობას, გავიცნო აღმოსავლეთის გენიალური მწერალი. გრიგოლ რობაქიძე ვრცელ საუბარში მომიტხრობს თავისი სამშობლოს, საქართველოს ლიტერატურის, დღევანდელი კავკასიის საერთო სულიერი მემართულების შესახებ, რომელსაც იგი ყველაზე უკეთ იცნობს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სულიერი ხიდის შესახებ, რომლის გადებაც მხოლოდ მას შეუძლია.

მე რობაქიძეს ჯერ ვეკითხები ცნობილი ლიტერატურული წრის, „ცისფერი ყანწების“ შესახებ, რომელიც 1916 წელს შეიქმნა¹⁰ და რომელმაც ევროპული წერის ტექნიკა ისე გადაიღო, რომ მცირედაც არ დაუკარგავს აღმოსავლური თავისთავადობა.

– თქვენ ხომ „ცისფერი ყანწების“ მეთაური ხართ?

– საერთოდ მთვლიან ასეთად, – მპასუხობს რობაქიძე. – მაგრამ ეს უხეში გადაჭარბებაა. მე დიდად არც ვგავარ მეთაურს და „ცისფერ ყანწებსაც“ პირობითად თუ ვეკუთვნი.¹¹ იმ წრემ, რომელიც პირველყოვლისა ქართულ სიმბოლიზმს წარმოადგენს და ყველაზე მეტად ფრანგ სიმბოლისტებს შეიძლება შევადაროთ, უეჭველად დიდი როლი შეასრულა აღმოსავლური ლიტერატურის აღორძინებაში. პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე,¹² მისი სულიერი ხელმძღვანელები, დღევანდელი ქართული ლირიკის უდიდესი წარმომადგენლები არიან. ჩემს ლიტერატურულ ჩამოყალიბებაზე კი ფრანგულ და რუსულ სიმბოლიზმს გავლენა არ მოუხდენია. მე უფრო მეტად გილგამეშის ენობრივი სიღრმეებიდან, ბაბილონური-ირანული წიაღიდან მოვდივარ და ვცდილობ ისინი გავაცოცხლო ევროპული წერის ტექნიკის საშუალებით. მე მთელი ქართული ლიტერატურა მეცამეტედან მეცხრამეტე საუკუნემდე არასრულფასოვნად მიმაჩნია და ჩვენი სალიტერატურო ენის ახალ განვითარებას ჩვენი ენის გენიოსს, დიდი ეპოსის – „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელს, შოთა რუსთაველს ვუკავშირებ“.

– რევოლუციის შემდგომ პერიოდში როგორ განვითარდა ქართული ლიტერატურა?

– ჩვენი ლიტერატურა ბოლო ათწლეულებში მთლიანად ჩვენი ხალხის განვითარებას ასახავდა, მასთან ერთად გაიარა გზა არისტოკრატიული ექსკლუზიურობიდან გაცნობიერებულ პროლეტარულ ხალხურობამდე. გასული საუკუნის ბოლომდე ჩვენს ლიტერატურას მხოლოდ თავადები წარმოადგენდნენ, ხოლო მისი განვითარების ბოლო ეტაპი იყო რეალიზმი ზოლას გაგებით. ამას მოჰყვა

¹⁰ როგორც ჩანს, ავტორი გულისხმობს 1916 წელს „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოცემას ქუთაისში.

¹¹ ამ საკითხზე იხ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, *XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები*, III, თბილისი, 2000, გვ. 190-193; ლალი ავალიანი, *ცისფერყანწელები*, ლიტერატურული ძიებანი, XXV, 2004, გვ. 310-311.

¹² ინტერვიუში მოხსენიებულ ყველა ქართველ მწერალთაგან ჟურნალში ხაზგასმულია მხოლოდ ამ ორის გვარი. მე მგონია, ეს ხაზგასმა გრიგოლ რობაქიძისაა ამ პოეტების მიმართ მისი განსაკუთრებული სიმპათიის აღსანიშნავად. ამასთან დაკავშირებით იხ. ლალი ავალიანი, *ცისფერყანწელები*, გვ 312.

ლიტერატურა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს წვრილი ბურჟუაზიის თვითგამოხატვად. რევოლუციამ ლიტერატურაში შექმნა გლახურ-პროლეტარული მიმდინარეობა, რომელიც დღეისათვის საქართველოში ყველაზე პერსპექტიულია. იგი თავის ენაში უპირატესობას საქმიან სტილს, ლაპიდარულ ფორმას ანიჭებს და დახლოებით რუსეთისა და გერმანიის პროლეტარულ მწერლობას შეესაბამება. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, ამ ლიტერატურამ რამდენიმე ძლიერი ტალანტი წარმოშვა, რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლორთქიფანიძე, მაშაშვილი და კალაძე. ამ ლიტერატურულ მიმდინარეობაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საერთო ლიტერატურული აღმავრენა, რომელიც ბოლო ხანებში შეინიშნება საქართველოში. რევოლუციამ მთელი კავკასიის ხალხების ლიტერატურათა საოცარი აღმავლობა გამოიწვია. რევოლუციამდე ლიტერატურა ნაციონალთა ვიწრო წრის საქმე იყო. მთელი ლიტერატურა ერთი პატარა წიგნის კარადაში უპრობლემოდ მოთავსდებოდა. ახლა ახალ გამოცემებს გამოსვლიდან რამდენიმე კვირაში იტაცებენ. ხშირად ტირაჟი ათი ათასს აღწევს, რაც ერისათვის, რომელიც სამ მილიონს არ აღემატება, უბრალოდ წარმოუდგენელია. ქართულმა ლიტერატურამ კავკასიის გარეთაც მოიპოვა მოულოდნელი აღიარება. მაგალითად, ჩემს დრამას „ლამარა“, რომელიც ხევსურულ დიალექტზე მაქვს დანერგილი, მოსკოვის საერთაშორისო ოლიმპიადაზე¹³ ყველაზე დიდი წარმატება ხვდა წილად, თუმცა რუსეთის მხრიდან მას ვახტანგოვის თეატრი უპირისპირდებოდა თავისი „ტურანდოტი“.

– თქვენ ხევსურულ დიალექტზეც წერთ? – ვეკითხები მას გაოცებული, – ეს ხომ იმ გამოუცნობი ქართული ტომის ენაა, რომელიც თბილისის ახლოს მთებში ცხოვრობს, დღემდე შუა საუკუნეების რაინდთა აღჭურვილობას ატარებს და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებური კანონები აქვს.

– დიახ! – მპასუხობს რობაქიძე, – ჩემი ბოლო ნაშრომებიც ამ ხალხს ეძღვნება, ისევე როგორც მსგავს პირობებში მცხოვრებ სვანებს. ორივე ხალხი ძალიან უცნაურია და უძველეს რელიგიურ ერთობებს წარმოადგენს. სხვათა შორის, ხევსურები დიდი პოეტებიც არიან და მათი ლექსები ჭეშმარიტად ჰომერული სიდიადით სუნთქავენ. ხევსურები ლექსებს თავიანთი სამშობლოს უზარმაზარ კლდეებზე აწერენ.

– როგორია თქვენი დამოკიდებულება გერმანული ლიტერატურისადმი?

– მას შემდეგ, რაც ქუთაისში სკოლა დავამთავრე, ვსწავლობდი გერმანიაში, კერძოდ ლაიფციგში. მაშინ პირველად გავაცნობიერე გერმანული ლიტერატურის თავისთავადობა. მასში ხშირად ჩანს სამყაროს ჭეშმარიტად აღმოსავლური აღქმა. გოეთე, მაგალითად, ბევრად უფრო მეტად არის აღმოსავლელი, ვიდრე ეს საზოგადოდ მიჩნეულია. მისი ლექსები, მცირენიცი კი, აღმოსავლური მსოფლხედვით სუნთქავენ. ჩვენთვის, აღმოსავლელთათვის გერმანული ლიტერატურა ნამდვილი გასაღებია ჩვენი საკუთარი თავისთავადობის შესაცნობად. გოეთე და ნიცშე

¹³ იგულისხმება 1930 წლის მოსკოვის საკავშირო თეატრალური ფესტივალი.

ბევრად უფრო გრძნობენ აღმოსავლეთს, ვიდრე აღმოსავლელები. შეიძლება ესეც არის მიზეზი, რომ გერმანული ლიტერატურა საქართველოში ასე ღრმად ესმით. შეიძლება პარადოქსულად უღერდეს, მაგრამ გერმანულ ლიტერატურას საქართველოში უკეთ იცნობენ, ვიდრე გერმანიაში. მაგალითად, „სარკის ადამიანი“ ჩვენთან დაიდგა. გერმანულ ავტორთაგან ჩვენთან განსაკუთრებით პოპულარულები არიან ცვაიგი, ვასერმანი, ვერფელი და კელერმანი. კელერმანის „გვირაბი“ აზერბაიჯანულადაც ითარგმნა და დიდი წარმატება ხვდა წილად. გერმანელი დრამატურგებიც კარგად არიან ჩვენთან ცნობილი, რადგან ქართველობა ულაპარაკოდ თეატრის მოყვარული ხალხია. თოლერი, ჰაზენკლევერი და სხვა თანამედროვენი თბილისის რუსთაველის თეატრში წარმატებით იდგმებიან.

ჩვენი საუბარი დამთავრდა. რობაქიძე ფეხზე დგება და ვიდრე დამემშვიდობებოდეს, დასძენს: „მიუხედავად მრავალმხრივი ევროპული გავლენებისა, მე აღმოსავლელი დავარჩი, ჩემი ლიტერატურული ხატი“¹⁴ რჩება ირანულ-ბაბილონური, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ სათანადოდ არ გამოხატულა, მაგრამ ოდესმე ასეთი ხიდი გაიდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

როგორც დავინახეთ, ინტერვიუ ბევრი თვალსაზრისით არის საინტერესო, მაგრამ მე მხოლოდ იმ საკითხებზე შევჩერდები, რომლებიც ჩვენი დღევანდელი თემისთვის არის მნიშვნელოვანი.

გრ. რობაქიძე 1931 წლის მარტში ჩავიდა გერმანიაში, ხოლო ესად ბეის ინტერვიუ ამავე წლის ივლისში გამოქვეყნდა. ცხადია, ესად ბეის რობაქიძის შესახებ ცნობები მანამადეც ჰქონია და რაც მთავარია, ინტერვიუს ალებამდე უკვე ნაუკითხავს „გველის პერანგი“, რომელიც 1928 წელს გამოიცა გერმანიაში გერმანულ ენაზე სტიფან ცვაიგის წინასიტყვაობით.¹⁵ „გველის პერანგს“, ახალგაზრდა ავტორზე (1928 წელს იგი სულ 23 წლისა იქნებოდა), როგორც ჩანს, იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ რობაქიძე აღმოსავლეთის უდიდეს, გენიალურ მწერლად მიუჩნევია. ამიტომ იყო, რომ გამოჩნდა თუ არა გრიგოლ რობაქიძე ბერლინში, ესად ბეი მაშინვე ეახლა მას პირადად გასაცნობად. ამრიგად, ესად ბეის, იმავე ყურბან საიდს, ნაკითხული აქვს „გველის პერანგი“ და თავისუფლად შეუძლია მისი გამოყენება, თუ ამის უფლებას იგი თავის თავს მისცემს. ახლა ვნახოთ, მისცემდა, თუ არა იგი ასეთ უფლებას თავის თავს.

გრ. რობაქიძემ ინტერვიუში ახსენა ხევსურული დიალექტი და ესად ბეიმ მსწრაფლ გააკეთა მასზე რეაქცია, რადგან იცის, ვინ არიან ხევსურები. მას უკვე

¹⁴ „ხატი“ ესად ბეის ამ კონტექსტში შემთხვევით არ უნდა ჰქონდეს ნახმარი. იგი ზუსტად იყენებს გრიგოლ რობაქიძის ტერმინოლოგიას. „ენგადში“ ავტორი მსჯელობს: ჩაუუკვირდი სიტყვას „ხატი“. რა არის ეს, თუ არა შინაგანი ყალიბი ხელუხლებელი მთელისა? სალოცავს „ხატი“ ჰქვია, სადაც ერთი ხატიც კი არ მოიპოვება. მაშ, „ხატი“ სურათი კი არ ყოფილა, არამედ „შინა-სახე“, ბედი ქართლისა, 10, 1951, გვ. 14; მნათობი, 8, 1987, გვ. 67; გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბილისი, 1996, გვ. 116.

¹⁵ Das Schlangenhemd, Jena, 1928.

1928 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული აქვს წიგნი „კავკასიის 12 საიდუმლო“, რომლის ერთი თავი მთლიანად ხევსურებს ეძღვნება. 1930 წელს წიგნის ეს ნაწილი სათაურით „ხევსურები – უცნობი ხალხი“, ცალკე, უხვად ილუსტრირებულ სტატიადაც გამოქვეყნდა კვლავ გერმანულ ენაზე.¹⁶ ამ წერილების მიხედვით, ავტორმა ჯერ კიდევ არაფერი იცის ხევსურთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ: *არ არის ცნობილი, თუ ვინ არიან ხევსურები და რა წარმოშობისა არიან ისინი; რომელ რასას მიეკუთვნებიან ხევსურები, უცნობია.*

1931 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა უკვე ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ესად ბეის „კავკასიის 12 საიდუმლო“. ამ წიგნის მეცამეტე თავი ხევსურებს ეძღვნება და მისი სათაურია „ქრისტიანები, რომლებმაც არ იციან ქრისტეს სახელი“.¹⁷ ინგლისური ტექსტი გერმანულის ერთგვარად რედაქტირებული ვარიანტია. მასში მნიშვნელოვნად ახალი არაფერია, მაგრამ დამატებულია დეტალები.

1934 წელს კვლავ ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრანლში „აზია“ გამოქვეყნდა ესად ბეის ახალი სტატია ხევსურების შესახებ სათაურით „მითიური ხევსურები“.¹⁸ ამ სტატიაში უკვე სერიოზული დანამატებია გაკეთებული ხევსურთა შესახებ. მივყვით ამ დანამატებს მნიშვნელობის მიხედვით, თანმიმდევრულად.

ამონარიდი ესად ბეის სტატიიდან „მითიური ხევსურები“:

რაც შეეხება ხევსურთა სასიყვარულო ცხოვრებას, ის რომანტიკულ ტრადიციებს მისდევს. ხევსური თუ შეყვარებულია, ტოვებს თავის ციხეს, დახეტიალობს მთებში და თხზავს ლექსებს. ხევსურები ქართულ დიალექტზე ლაპარაკობენ. ქართველი მეცნიერები აცხადებენ, რომ ამ ველური ხალხის ლექსებს ეპიური ძალა და მაგიური სილამაზე აქვსო. ქალაქსა და კალამს შეუჩვეველი მიჯნური თავის ლექსებს ხმლითა კვეთს მთის კლდოვან მხარეზე და შემდეგ უკითხავს თავის სატრფოს. თუ ის არ უარყოფს ამას, წყვილი ქმნის რაღაც მეგობრობის მსგავსს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. ყოველ საღამოს იგი სტუმრობს თავის სატრფოს. მშობლები წინააღმდეგობას არ უწევენ ამას. ისინი ერთად ატარებენ მთელ ღამეს. მათ სწყურიათ ერთმანეთი და ნება ეძლევათ, ისარგებლონ ჭეშმარიტი სიყვარულის ყველა პრივილეგიით, ერთის გარდა: ქალი არ უნდა დანებდეს იმ მამაკაცს, რომელიც უყვარს. წმინდა სიყვარული არ უნდა შებღალოს ხორციელმა ინსტიქტებმა. შეყვარებულებს შორის ქორწილი აკრძალულია და ამ კანონიდან რაიმენაირმა გადახვევამ გამართლების მაგიერ შეიძლება მოითანოს პატივის აყრა და მოკვეთა (ოსტრაკიზმი – ე. ბ.).

ხევსური ქალს ირთავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ უყვარს იგი. ქალი უზრდის მამაკაცს შვილებს და მისთვის მუშაობს. კაცი ყოველ საღამოს სტუმრობს თავის საყვარელს, ხოლო მისი ცოლის საყვარელიც ყოველ ღამე სტუმრობს

¹⁶ Essad Bey, *Chewsuren – ein unbekanntes Volk*, Wissen und Fortschritt, IV, 1930, s. 297-301.

¹⁷ *Twelve Secrets of the Caucasus by Essad Bey*, 1931, New York, p. 116-126.

¹⁸ *The Fabulous Khevsurs by Essad Bay*, Asia, May, 1934, p. 285-289.

მის ცოლს. სიყვარული ზეციურია, ქორწინება კი მინიერი. ხევსური, როგორც მითხრეს, მშვენივრად ცხოვრობს ამ უცნაური სისტემით.

არაფერი ამის მსგავსი ესად ბეის წინა წერილებში, რომლებიც გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრამდე დაისტამბა, არა წერია. გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრამდე ესად ბეიმ არაფერი იცოდა ხევსურული სწორფრობის შესახებ, თუმცა 1934 წელს შტატებში გამოქვეყნებულ ტექსტში იგი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ნამყოფია ხევსურეთში და თანაც არაერთხელ. ამას წინა წერილებში ის არ აკეთებდა. აქ კი უკვე მოიპოვა, მისი აზრით, ამის უფლება, რადგან გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრის შემდეგ ხევსურთა ყოფის ბევრი ინტიმური დეტალის შესახებ გაუფართოვდა ცოდნა, ბევრი მისი მცდარი წარმოდგენა ხევსურთა შესახებ გასწორდა.

როგორც ზემოთ მოტანილი ციტატიდან ჩანს, ავტორი ორჯერ უთითებს რაღაც გაუპიროვნებელ წყაროს: (1) *ქართველი მეცნიერები აცხადებენ, რომ ამ ველური ხალხის ლექსებს ეპიური ძალა და მაგიური სილამაზე აქვსო;*

(2) *ხევსური, როგორც მითხრეს, მშვენივრად ცხოვრობს ამ უცნაური სისტემით.*

პირველ წყაროში („ქართველი მეცნიერები აცხადებენ“) აშკარად ჩანს ესად ბეის გრიგოლ რობაქიძესთან ინტერვიუს კვალი:

სხვათა შორის ხევსურები დიდი პოეტებიც არიან და მათი ლექსები ჭეშმარიტად ჰომერული სიდიადით სუნთქავენ. ხევსურები ლექსებს თავიანთი სამშობლოს უზარმაზარ კლდეებზე აწერენ.

მეორე წყარო („როგორც მითხრეს“) ძალიან ზოგადია. იგი შეეძლო ეთქვა რობაქიძეს თავის „ვრცელ საუბარში“ და შეეძლო ესად ბეისაც გამოეტანა ასეთი დასკვნა მასთან საუბრიდან.

ვნახოთ, რა შეცდომები გაასწორა ესად ბეიმ გრიგოლ რობაქიძესთან საუბრის შემდეგ და შედეგად.

თუ რობაქიძესთან შეხვედრამდე ესად ბეი წერდა, რომ ხევსურების წარმომავლობა უცნობია და ისინი უნდა იყვნენ ამ ხეობაში ჩასული ჯვაროსნების ნაშვირნი, აქ უკვე პირდაპირ ამბობს: *ხევსურები ქართულ დიალექტზე ლაპარაკობენ.*

ამავე წერილში, სხვაგან, იგი წერს: *ყველა ხევსური თავის თავს მიაკუთვნებს ქართველებს; მათ იციან, რომ სადღაც მთებს იქით მდებარეობს ამაყი და სამეფო ქალაქი თბილისი, სადაც მათი ძმები ქართველები ცხოვრობენ.*

გავიხსენოთ ახლა ინტერვიუდან ის ადგილი, რომელშიც ხევსურების შესახებ დასმულ კითხვაზე რობაქიძე თავის პასუხს იწყებს ასეთი სიტყვებით: *ჩემი ბოლო ნაშრომებიც ამ ხალხს ეძღვნება.* შეუძლებელია ეს სიტყვები მოესმინა ესად ბეის, ავტორს ხევსურების შესახებ რამდენიმე წერილისა, და არ გამოეკვლია, რა ნაშრომებს გულისხმობდა იგი და რა ეწერა ამ ნაშრომებში. საკმარისია, ესად ბეის ტექსტი ხევსურთა რომანული ცხოვრების შესახებ შევადართო გრიგოლ რობაქიძის ნოველას „ენგადი“, რომ დავინახოთ მათი ერთმანეთთან უმჭიდროესი კავშირი არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ ლექსიკურიც:

წმინდა სიყვარული არ უნდა შებღალღოს ხორციელმა ინსტიტუტებმა; სიყვარული ზეციურია, ქორწინება კი მიწიერი (ესად ბეის „მითიური ხევისურები“); შდრ. სქესი და სიყვარული სხვადასხვაა ხევისურისათვის; ღვთიურ არს სიყვარულს, ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას; „ერთია სწორფერი გიყვარდეს და სხვაა ცოლი გყავდეს (გრიგოლ რობაქიძის „ენგადი“).

არავის სხვას სწორფრობა ისე არა აქვს დანახული და აღწერილი, როგორც გრიგოლ რობაქიძეს¹⁹ და როგორც ეს მოკლედ არის აღწერილი ესად ბეის „მითიურ ხევისურებში“.

1931 წელს „ენგადი“ ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, მაგრამ უეჭველია, ავტორს იგი დაწერილი ჰქონდა, იმდენად ზუსტად ტექსტიდან ეუბნება გრიგოლ რობაქიძე ესად ბეის ხევისურის სიყვარულისა და კლდეზე ამოკვეთილი ლექსების შესახებ. „ენგადსვე“ უნდა გულისხმობდეს იგი, როდესაც ესად ბეის ეუბნება: ჩემი ბოლო ნაშრომებიც ამ ხალხს ეძღვნება. 1932 წელს ეს თხზულება უკვე გამოქვეყნდა გერმანიაში გერმანულ ენაზე კრებულში „კავკასიური ნოველები“.²⁰ ჩემთვის ცხადია, რომ ასეთ კრებულს ნაუკითხავად არ დატოვებდა გრიგოლ რობაქიძის თაყვანისმცემელი და „კავკასიის თორმეტი საიდუმლოს“ ავტორი. თავის წყაროს ესად ბეი არსად არ ასახელებს, რაც საფუძველს მძღვეს ვიფიქრო, რომ მას შეეძლო „გველის პერანგიც“ უხვად გამოეყენებინა „ალისა და ნინოში“, მით უფრო, რომ ეს რომანი მან ყურბან საიდის ფსევდონიმით გამოაქვეყნა და გრიგოლ რობაქიძეს მის მიმართ პრეტენზიები ვერ ექნებოდა. იქნებ ამიტომაც აირჩია ისეთი ფსევდონიმი, რომელიც მას მანამდე არ გამოუყენებია?

მაგრამ ესად ბეი ხევისურების შესახებ საუბრისას თვითონ გრიგოლ რობაქიძეს ერთგან მაინც ასახელებს:

რამდენიმე წლის წინ ჩემი პირადი მეგობარი რობაქიძე (ხაზი ჩემია – ზ. ა.), საქართველოს პოეზიის აკადემიის პრეზიდენტი, აღმოჩნდა ერთ ხევისურულ სოფელში. აქ იგი შეხვდა ერთ გოგონას, რომელიც ერთი ნახვით შეუყვარდა. მანაც უყოყმანოდ უპასუხა მის გრძნობას. რობაქიძემ, როგორც კეთილშობილმა კაცმა, ქორწინება შესთავაზა. როგორი იყო მისი შემფოთება და გაოცება, როდესაც ქალს დამცირებისგან ტირილი აუფარდა, მუშტებით მივარდა მას და წყევლით აავსო იმ მოტივით, რომ იგი ცდილობდა მისი ხალხის ცხოვრებაში შეეტანა

¹⁹ გრიგოლ რობაქიძე ერთადერთია ქართველ მწერალთა (და, თუნდაც, მკვლევართა) შორის, რომელიც რომელიც ჩანვდა სწორფერული ურთიერთობის ექსისტენციალურ სიღრმეს, იხ. ზურაბ კიკნაძე, *მინანერი „ენგადის“* თბილისურ გამოცემაზე, მნათობი, 8, 1987, გვ. 78.

²⁰ ქართულ ენაზე გრიგოლ რობაქიძის „ენგადი“ პირველად 1951-1952 წლებში გამოქვეყნდა „ბედი ქართლისას“ მე-10 და მე-11 ნომრებში. აქვე არის მითითებული, რომ ეს ნაწარმოები 1932 წელს სხვა სათაურით გამოქვეყნებულა გერმანულ ენაზე. იგულისხმება კრებული „კავკასიური ნოველები“: *Kaukasische Novellen*, Leipzig, 1932; ხელმეორედ ის გამოიცა 1979 წელს მიუნხენში. ცხადია, „მითიური ხევისურების“ წერის დროს ესად ბეის უკვე ნაკითხული ექნებოდა „ენგადი“ გერმანულ ენაზე. სამწუხაროდ, „ენგადის“ გერმანული ვარიანტი მე არ მინახავს.

გარე სამყაროს მდაბალი ჩვევები. ამოა იყო მისი პროტესტი! ოთხი თვის უწყალო ბრძოლა დასჭირდა მას, რათა დაერწმუნებინა სატრფო მისი წინადადების გულწრფელობაში და ბოლოს მაინც გარე სამყაროს დაუბრუნდა, მარტო.

ალბათ, ახლა უკვე ნათელი უნდა იყოს ყველასთვის, რომ კვლავ „ენგადის“ სიუჟეტთან გვაქვს საქმე. ისიც ცხადია, რომ ხევსურთა რომანული ცხოვრების სურათები ესად ბეის სწორედ „ენგადიდან“ აქვს აღებული. მაგრამ ნოველის ფინალი ერთგვარად განსხვავდება ესად ბეის მიერ აღწერილი სიტუაციისგან. ესად ბეის მონათხრობში ხევსური ქალის რეაქცია რობაქიძის წინადადებაზე, ცოლად გაჰყოლოდა, არსებითად განსხვავდება „ენგადში“ მზექალას რეაქციისგან გიორგი ვალუევის ასეთსავე წინადადებაზე. ის არც ისტერიაში ვარდება და არც მუშტებით და წყევლით მივარდება მას. მზექალასა და გიორგის დიალოგი მშვიდია და ღრმა:

– ხანდახან ძალა აღარ ჰყოფნით სწორფერთ, – მითხრა მან, – ხოლო ეს სირცხვილ არს, აუგია.

– რომ დაქორწინდნენ?

– არ იქნების დაქორწინებაჲ, აკრძალულ არს.

– მაშ, მე არ შემძლია შეგირთო?

– არა!

– ეს ხომ ნამებაა!

– ტკბილ ხომაა!

ეს არის და ეს. მაგრამ რობაქიძესთან პოეზიაა, ესად ბეისთან – ცხოვრება. „ენგადში“ აღწერილი თავგადასავალი, როგორც ჩანს, მართლაც გადახდა თავს გრიგოლ რობაქიძეს (ოთხ თვეს ხევსურეთში ყოფნაც ამას უნდა მიუთითებდეს. „ენგადში“ ასეთი ყოფიერი დრო მითითებული არ არის) და არ არის ლიტერატურული ფიქცია.²¹ ამიტომ მგონია, რომ რობაქიძემ ის უამბო ესად ბეის, რაც ნამდვილად მოხდა მის ცხოვრებაში. ისიც ცხადია, რომ ესად ბეის მონათხრობში ხევსურეთისთვის „გარე სამყაროზე“ ორჯერ მითითება სწორედ რობაქიძის სიტყვებია და არა ნარკვევის ავტორისა.

„მითიურ ხევსურებში“ ახალია, აგრეთვე, შესავალი. გერმანულ ვარიანტს საერთოდ არა ჰქონდა რაიმე დამაინტრიგებელი შესავალი. 1931 წლის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ ნარკვევში „ქრისტიანები, რომლებმაც არ იციან ქრისტეს სახელი“ უკვე გაჩნდა პატარა შესავალი იმის შესახებ, რომ დევნილი ბოლშევიკები რევოლუციამდელ პერიოდში თავს აფარებდნენ ხევსურეთს, „კავკასიის პოლიტიკურ შვეიცარიას“. აქ მათ ძებნას, მიუვალობის გამო, აზრი აღარა ჰქონდა და პოლიციაც ანებებდა თავს. შესაძლოა, აქ უკვე მოკლედ აისახა რობაქიძესთან

²¹ სწორად შენიშნავს ზ. კიკნაძე (ივერია, თბილისი-პარიზი, 1992, გვ. 60): ამ შთავგონებულ და, ამავე დროს დოკუმენტურ აღწერას ისეთი კონკრეტული ცოდნა უდევს საფუძვლად, რომ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს მწერალი ამ მონათხრობაში, რომელიც პირველი პირით არის გადმოცემული, თავის განსაცდელს, პიროვნულ გამოცდილებას აღწერდეს.

„ვრცელი საუბრის“ შედეგები. მოკლედ იმიტომ, რომ წიგნი, ცხადია, უკვე აწყობილი იქნებოდა და ესად ბეი ბევრის დამატებას ვერ მოახერხებდა.

1932 წელს ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე დაისტამბა ესად ბეის „სტალინი“,²² თარგმნილი 1931 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული წიგნიდან.²³ აქ უკვე გამოჩნდა ახალი ცნობა ხევსურების შესახებ: 1905 წელს, როდესაც კაზაკებმა თბილისის დემონსტრაციები დაარბიეს, სტალინმა თავი ხევსურეთს შეაფარა. ოცი წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყება ჩაახშო, ასევე მოიქცა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. სტალინმა მაღლობა იმით გადაუხადა თავის ძველ მასპინძლებს, რომ ამის გამო ხევსურები არ დასაჯა და ქაქუცამაც საზღვარგარეთ აქედან გააღწია.

1934 წელს ესად ბეის მიერ ინგლისურად დასტამბულ ტექსტში („მითიური ხევსურები“) გაცილებით უფრო მეტია ნათქვამი ხევსურეთში სტალინის და შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ თავის შეფარებაზე.²⁴ ავტორი წერს:

ზოგი ამბობს, რომ ხევსურები, სხვა კავკასიის ხალხთაგან განსხვავებით, იმიტომ ცხოვრობენ ხელშეუხებლად თავის მიწაზე, რომ სტალინი მათ სტუმართმოყვარეობას პატივსა სცემსო.

აი ეს ზოგი შესაძლოა იყოს სწორედ გრიგოლ რობაქიძე, ისევე როგორც ესად ბეი ამავე წერილში უკვე ნამდვილად მას გულისხმობს გამოთქმებში: *ქართველი მეცნიერები აცხადებენ; როგორც მითხრეს.*

კიდევ უფრო ვრცელია ამავე სტატიის დანართი, რომელიც ესად ბეის არც ერთ სხვა წერილს ხევსურების შესახებ მანამაღე არა ჰქონია. მინდა ეს დანართი მთლიანად მოვიტანო, რადგან ვფიქრობ, რომ ისიც რობაქიძესთან „ვრცელი საუბრის“, თუ საუბრების შემდეგ და შედეგად არის დაწერილი, თუმცა, ცხადია, ლიტერატურული გაფორმება ავტორისა იქნება:

ხევსურებს რეალური წარმოდგენა არა აქვთ კავკასიის პოლიტიკური წყობის შესახებ. ოფიციალურად ისინი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეკუთვნიან. ისინი არიან ერთ-ერთი კავკასიური ტომი იმ რეგიონისა, რომელსაც ეწოდება „ხევსურეთი“ და წარმოადგენს ამ რესპუბლიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი დიდ ყურადღებას არ აქცევენ ამ ფაქტს, თუმცა ყოველი ხევსური თავს ქართველად მიიჩნევს.

საუკუნეების განმავლობაში ხევსურები თავს პოლიტიკიდან შორს იჭერენ. მათ იციან, რომ სადაც, მთებს მიღმა, მდებარეობს ამაყი სატახტო ქალაქი ტფილისი, სადაც მათი ძმა ხალხი, ქართველები ცხოვრობენ. ძველი ლეგენდებიდან მათ ისიც იციან, რომ მეთორმეტე საუკუნეში მათი წინაპრები საქართველოს მეფის წინამძღოლობით იბრძოდნენ. მაშინ მეფე მამაც ხევსურებს მთელი არმიის

²² Stalin: The Career of a Fanatic, by Essad Bey, New York, 1932.

²³ „სტალინის“ გერმანული დედნის ნახვის საშუალება მე არა მქონია.

²⁴ ესად ბეი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხევსურეთში გაქცევის თარიღად შეცდომით 1919 წელს ასახელებს, თუმცა შედარებით ადრე გამოცემულ „სტალინში“ ეს თარიღი უფრო სწორად იყო განსაზღვრული.

ნინ აყენებდა. იგი კიდევ უფრო შორს მიდიოდა და აცხადებდა, რომ ხევსურებს, როდესაც ისინი საქართველოსთვის იბრძვიან, სამეფო სახლის წევრი, პრინცი ბაგრატიონი უნდა მეთაურობდესო.²⁵

რვა საუკუნე გავიდა ამის შემდეგ. საქართველო რუსეთმა დაიპყრო და ხევსურებს სულ არ ანაღვლებდათ ტფილისის, სატახტო ქალაქის ბედი. მაგრამ როდესაც რევოლუცია მოხდა, უეცრად იფეთქა მათმა პატრიოტიზმმა. 1918 წლის ერთ დღეს ხეობაში ხმა გავრცელდა, საქართველომ სომხეთს ომი გამოუცხადა. ხევსურები თავიანთ ხატებში შეიკრიბნენ, ილოცეს, ითათბირეს და ბოლოს დაადგინეს, რომ უნდა წავიდნენ და მხარში დაუდგნენ თავიანთ ძმებს. შეკაზმეს ცხენები, დაიხურეს მუზარადები და დაადგნენ ხეობიდან გამომავალ გზას. ზაფხული იდგა²⁶ და გასასვლელი, რომელიც ჩვეულებრივ მხოლოდ თოკის საშუალებით უნდა გადაილახოს,²⁷ ღია იყო. ტფილისის მცხოვრებთ კარგად ახსოვთ ის ერთი მშვენიერი დღე, როდესაც მათი მთავარი ქუჩა შუა საკუნეებისას დაემსგავსა. დღისით მზისით, უეცრად გამოჩნდა რამდენიმე ასეული ჯვაროსანი. მათი ფოლადის მუზარადები მზეზე ლაპლაპებდნენ, მათ მკერდზე ბრწყინავდნენ დიდი ყვითელი ჯვრები, ხევსურებს გაეშოშვლებინათ ლათინურწარწერებიანი მახვილები. ისინი მოდიოდნენ ქალაქში²⁸ ამაყად, არც მარჯვნივ იყურებოდნენ და არც მარცხნივ. საშინელი სენსაცია, რაც მათმა გამოჩენამ გამოიწვია, იოტისოდენადაც არ აწუხებდათ, მხოლოდ ის იკითხეს, სადა ცხოვრობს ყველა რაინდთა სარდალიო. მისწავლეს ერთ შენობაზე, სადაც გენერალურ შტაბს დაედო ბინა.

ხევსურები შეჩერდნენ შენობის წინ და მოიკითხეს სარდალი. გამოვიდა კადრის გენერალი, რომელიც სწორედ იმ დროს შენობაში იმყოფებოდა. [ხევსურებმა] ახედ-დახედეს მას, დაინახეს, რომ არც შუბი აქვს, არც აბჯარი და ჰკითხეს, „შენ ვინა ხარო?“ „გენერალი, პრინცი მდივანო“,²⁹ – იყო პასუხი. ხევსურებმა წარბი შეიკრეს: „შეუძლებელია, შენ ყველაზე მთავარი იყო.“ „მე ვარო“, – უპასუხა

²⁵ ხევსურეთი, მართლაც, ყოველთვის მხოლოდ სამეფო ხელისუფლებას ემორჩილებოდა, იხ. როლანდ თოფჩიშვილი. *ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები*, თბილისი, 2002, გვ. 46.

²⁶ სომხებთან ომის დროის განსაზღვრაში ესად ბეი შეცდომას უშვებს: სომეხთა მიერ წამოწყებული წინასწარი საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა 1918 წლის ოქტომბერში. ომი სომხეთის მხარემ 9 დეკემბერს დაიწყო, ხოლო საქართველოს მთავრობამ საყოველთაო მობილიზაცია 18 დეკემბერს გამოაცხადა.

²⁷ სხვათა შორის, ამ თოკის ისტორიამაც ესად ბეის ხევსურების შესახებ სტატიებში სერიოზული ცვლილებები განიცადა, სანამ რობაქიძესთან „ვრცელი საუბრის“ შემდეგ ფანტასტიკურიდან რამდენადმე რეალურ სახეს მიიღებდა.

²⁸ 1917-1918 წლების მიჯნაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და შალვა ქარუმიძემ თბილისში ჩამოიყვანეს ოთხასამდე ხევსური. სათანადო მომზადების შემდეგ ისინი დაანაწილეს რაზმებად და სათავეში ჩაუყენეს გამოცდილი ოფიცრები. ეს რაზმები თავდაპირველად იცავდნენ სამხედრო საწყობებს, ხოლო ომის დროს ბრძოლებშიც მონაწილეობდნენ, იხ. გიორგი მაზნიაშვილი, *მოგონებანი*, ბათუმი, 1990, გვ. 16, 19.

²⁹ თავადი გენერალი ზაქარია ასლანის-ძე მდივანი. სომხეთ-საქართველოს ომის დროს მსახურობდა ქართული ჯარის შტაბში.

გენერალმა დაბეჯითებით. „შეუძლებელია, ეგ მართალი იყოსო“, – დაიჟინეს მათ, – „თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ხევსურები ვართ. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქვეყანას ვჭირდებით და გვინდა დავებმართო მას ბრძოლებში. მაგრამ შენი გვარი მდივანია, ჩვენი მეთაური კი ბაგრატიონი უნდა იყოსო“.

გენერალს ხევსურთა ფეოდალურმა სიამაყემ უკან დაახევინა. სად იშოვოს ასე უეცრად ბაგრატიონი? ბოლოს და ბოლოს დიდი გაჭირვებით აღმოაჩინეს, რომ ქალაქში მართლაც იყო ბაგრატიონთა სახლის ნეერი,³⁰ რანგით მეორე ლეინტენანტი.³¹ პრინცი ბაგრატიონი დაუყოვნებლივ დაინიშნა ხევსურთა სარდლად.

მიუხედავად ამისა, ომმა ხევსურებში იმედგაცრუება გამოიწვია. ნამდვილი ბაგრატიონი გაუძღვა მათ წინა ხაზზე და უბრძანა, სანგრებში ჩანოლილიყვნენ. „რისთვისო?“ – იკითხეს მათ. „მტერმა რომ არ შეგნიშნოთო“, – იყო პასუხი.

მათი მოთმინების ფიალა უეცრად აივსო. „თავისუფალი ხევსურები არ იმალებიანო“, – განაცხადეს ამაყად და ომმა, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, მათთვის ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა.

როგორც კი ომი შეწყდა, ისინი თავის ხეობაში დაბრუნდნენ და იმ დღიდან დაიწყეს გალიზიანებით ლაპარაკი ომების გადაგვარების შესახებ.

1933 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ესაღ ბეის კიდევ ერთი წიგნი „რუსეთი გზაჯვარედინზე“,³² რომელიც 1938 წელს გამოიცა რომშიც, იტალიურ ენაზე, სათაურით „წითელი სამართალი: პოლიტიკური პროცესები საბჭოთა კავშირში“.³³ მე ხელთ არა მაქვს გერმანულ ტექსტი და იტალიურისაც მხოლოდ ფრაგმენტების ფოტო-ასლების გაცნობის საშუალება მქონდა, ამიტომ დედნისა და თარგმანის ურთიერთმიმართებაზე არაფრის თქმა არ შემეძლია. თარგმანის სიზუსტეს არა ვგულისხმობ მხოლოდ. ვგულისხმობ იმასაც, რომ ახალ გამოცემებში ან თარგმანებში ესაღ ბეის შესწორებები შეჰქონდა ხოლმე იმის მიხედვით, თუ რა ახალი მასალა მოიპოვა ან როგორ შეიცვალა მისი შეხედულებები ახალი კონტაქტების საფუძველზე.

„წითელ სამართალში“ არის ერთი თავი, რომელიც მთლიანად სტალინს ეძღვნება და სათაურად აქვს „ლეგენდარული ქართველი“. უკვე ამ თავის სათაური გაგვახსენებს გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულს“:

ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს – „ლეგენდარული ქართველი“. ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში, ოღონდ ქართული მეჩხრად.³⁴

³⁰ ლეინტენანტი სიმონ ლევანის-ძე ბაგრატიონ-მუხრანელი. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. 1923 წელს სამხედრო ცენტრის სხვა წევრებთან ერთად დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ. ცნობები მომანოდა ბ-მა ლევან ურუშაძემ.

³¹ ოფიცრის ყველაზე დაბალი რანგი აშშ ჯარებში. ჩემთვის უცნობია, იყო ასეთი რანგი ქართულ ჯარში, თუ ესაღ ბეიმ ინგლისურენოვანი მკითხველისათვის ნაცნობი ტერმინი გამოიყენა.

³² *Rusland am Scheidewege*, Berlin, 1933.

³³ *Giustizia rossa: processi politici nell' URSS*, Traduzione del Tedesco di Mario Pocceli, Firenze, 1938.

³⁴ გრიგოლ რობაქიძე, *ჩაკლული სული*, თბილისი, 1991, გვ. 94.

გამოთქმა *ეგენდარული ქართველი* ესად ბეის გამოყენებული აქვს სტალინის შესახებ დანერილი წიგნის ინგლისურ თარგმანში (მაშინ უკვე იცნობდა ის გრიგოლ რობაქიძეს), ოღონდ მხოლოდ სარჩევში. საქმე ის არის, რომ გრიგოლ რობაქიძე ამ მეტსახელს გამართლებას უძებნის და ასე ხსნის:

გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, წლები. ოპოზიციონერები მარჯვნიდან და მარცხნიდან თავს ესხმოდნენ სტალინს. სტალინი, მრავალმხრივ გამოცდილი, მუდამ იმარჯვებდა. დამარცხებულნი ქედს იხრიდნენ მის წინაშე, იჩოქებდნენ და ცოდვებს ინანიებდნენ. „ლეგენდარული ქართველის“ გამარჯვებები ყველას უკვირდა და ლენინის მიერ შერქმეულ ამ მეტსახელს ახლა ყველა ყურადღებით აკვირდებოდა. უკვირდათ და ვერ გაეგოთ: როგორ? საიდან ასეთი ძალა ამ ველურ, უხეშ კავკასიელში? მათ ვერ გაეგოთ, რომ სტალინის ბოლშევიკურ ფსიქიკაში დაუშრეტელი ინსტიტუტები კვებავდნენ რაციოს. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი გამარჯვებისთვის. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, სტალინი დღითი დღე იზრდებოდა და ვერავითარი ძალა ველარ აჯობებდა მას. ყოფილ რუსეთის იმპერიაში უმითო ეპოქას ერთბაშად არნახული ტოტემური ძალის მქონე კაცი მოეწვლინა.³⁵

ესად ბეის წიგნის ამ თავის პირველივე აბზაცი ასე იკითხება:

ორმოცდათხუთმეტი წლის³⁶ მამაკაცი, მსუბუქად შეღებილი თმებით, დაბალი შუბლი და პატარა, მუქი და უძრავი თვალები, რომელიც ხვლიკის თვალებს ემსგავსება. წვრილ ტუჩებზე ღიმილი – უცნაური, ბოროტი და ცინიკური, მაგრამ თითქოს მაინც დამაჯერებელი. პირის კუთხეები დაფარულია მუქი და ჩამოშვებული უღვაშებით, ხელები ფართო და უხეში, ყესტები იშვიათი და მოზომილი. ტანისამოსი უკიდურესად პროლეტარული: მაღალი ჩექმები, დახურული ხალათი მუშის ბერეტი. აი, იოსებ სტალინი, რუსეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინის აღწერა დაიწერა გერმანულად, ითარგმნა იტალიურად და ახლა კი იტალიურიდან სიტყვასიტყვით შესრულებულ თარგმანს ეცნობა მკითხველი, არ შეიძლება მან არ გაიფიქროს, რომ მის წინაშეა გრიგოლ რობაქიძის მიერ დანერილი ტექსტი: სტილი, ფრაზეოლოგია (დაბალი შუბლი, პატარა, მუქი და უძრავი თვალები, რომელიც ხვლიკის თვალებს ემსგავსება) მისთვის ნაცნობია.

„ლეგენდარული ქართველის“ მეორე ქვეთავი („ადამიანებისა და მანქანების მართვა“) ჩვენს ეჭვს ადასტურებს – ესად ბეის წაკითხული აქვს „ჩაკლული სული“:

უდიდესმა ქართველმა პოეტმა, გრიგოლ რობაქიძემ ერთ-ერთ თავის რომანში მის თანამედროვე სტალინს ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

³⁵ შდრ. *ჩაკლული სული*, გვ. 106.

³⁶ ასაკი, როგორც ჩანს, გამეორებულია გერმანული გამოცემიდან.

მას აქვს პრეისტორიული არსების თავი, ვინრო და ნაკლებ დახვეწილი შუბლით, რაც, ეჭვგარეშეა, უპირატესობას ანიჭებს საქმიან ადამიანს. სიყმანვილეში გადატანილი ყვავილის დაავადების კვალი – მისი იერის პრეისტორიული მხარე – კიდევ უფრო გამოავლინა ავადმყოფობის შედეგად დარჩენილმა იარებმა და ჭორფლმა, რომელმაც მის კანს ციცარის მსგავსი ფერი მისცა. მის უღვაშებში იმალება ზიზღნარევი ირონია, რომელსაც თითქოს სურს თქვას: „მე ვიცი, რისი დამალვაც გინდათ ჩემგან“. ამ ჩუმ განცხადებას აძლიერებს მარცხენა აზიდული ნარბი, იმ დროს, როდესაც პატარა, მოჭუტული თვალები შეუღწენავადი რჩებიან და სამალავიდან დაშტერებით გიმზერენ. მთელს მის არსებაში ჩქეფს ბოროტი სულის გაყინული სისხლი, რომელიც ატყუებს და ამარცხებს ყველას. მისი მზერა თრგუნავს ყოველგვარ ნებას და სურვილს.³⁷

ბევრი რამ არის აღრეული ამ კაცში, რომელიც ცხოვრებას მტრულად უყურებს და ყველგან მტერს ეძებს. მათ დასამარცხებლად საჭიროა ორი რამ: თავისი თავის ფლობა და ირონია. სტალინის მიერ თავისი თავის ფლობა იოგებისას უტოლდება. ხოლო, რაც შეეხება ირონიას, ამაში უბადლოა. ნელ-ნელა, გაუნძრევლად, ცივად ეუფლება იგი თავის მონინაალმდეგეს, რომელიც გამოდის ნყობილებიდან. ამ მხრივ სტალინმა არ იცის შეწყალება, შეურაცხყოფისა და დამცირების გამოყენებით იგი ახერხებს მტრის განადგურებას. შესაძლოა ეს არის მისი ბოროტება ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით? არა, პირიქით, მას სურს სიკეთე გაუკეთოს ადამიანებს და სწამს, რომ შეუძლია სიკეთის კეთება. თუმცა მის ხასიათში იმთავითვე არსებობდა უცხო და ბოროტი თესლი. იქნებ პირად სიამოვნებას ეძიებდა? არავითარ შემთხვევაში. მინიერი გართობა, ღვინო, ქალები, ფული, სიმთვრალე – არ არსებობს მისთვის, არა მისი ასკეტური ჩვევების გამო, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ ის ამისთვის არ არის დაბადებული.³⁸ მისი ინტერესების სფერო ფართო მასებია.³⁹ ქვეცნობიერად იგი ერთდროულად წინამძღოლიცაა და უბრალო მეომარიც. ესად ბეიმ ის ჩინგიზ ხანსა და თემურ ლენგს შეადარა, მაგრამ ეს შედარება არ არის მთლად ზუსტი. მონღოლ დამპყრობლებს ჰქონდათ ცეცხლი, შუბი და ვნება. სტალინს ეს ყველაფერი აკლია. ის არის ცივი ელვა. ის უკვე ადამიანი აღარ არის, მოჩვენებაა, საშიში და უსიამო მოჩვენება. მას არ მიესადაგება ნიცშეს სიტყვები, რომელიც გენიას განსაზღვრავდა „როგორც აღმოჩენას ბავშვობაში თამაშების დროს“. არც ბავშვობაში ჰქონია ბავშვობა სტალინს. ყოველთვის არსებობდა რაღაც, რაც ამძიმებდა მას და ხელს უშლიდა თამაშის სიყვარულში. ის მოქმედებს როგორც ბრმა და სასტიკი ბუნების ძალა. მისი ნამდვილი ძალაც სწორედ ამაშია. მას არა ჰქონია რაიმე მონოდება. მონოდების განცდა კი სიმთვრალითა და მონყალებით მონიჭებული მადლია. მაგრამ დიონისეს გადატანითი მნიშვნელობითაც კი არ უარსებია სტალინში. უფრო მეტიც,

³⁷ შდრ. ჩაკლული სული, გვ. 95.

³⁸ შდრ. იქვე, გვ. 99.

³⁹ შდრ. იქვე, გვ. 100.

სწორედ ეს თვისებები წარმოადგენს მისთვის ფარს ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. არც გამარჯვებით თრობას იცნობს ის.⁴⁰

ქმედებათაგან დაღლილი, მსოფლიო რევოლუციის ეს ფარული ძალა ზის კრემლში, პატრონი და არა ქალბატონი, რევოლუციური მოძრაობის ელექტროგამტარი, რომელსაც აწერია: „საშიშია სიცოცხლისათვის“. სტალინთან ერთი სატელეფონო საუბარიც კი საკმარისია ნებისმიერი ადამიანის დასათრგუნად. ამ ადამიანისგან ვრცელდება უმონყალო და უწინაღობო გამოსხივება, რომელიც ცივსა და ბრმა ბედისწერას უწინასწარმეტყველებს რუსეთს და შესაძლოა მთელ მსოფლიოსაც. როდესაც იგი, უძლეველი, რამდენჯერმე აღმოჩნდა თავისი გავლენის სფეროს გარეთ, როდესაც განყდა მისტერიული კონტაქტი, მაშინ მან საკუთარ თავთან გაუცხოვებულმა, თავი ყველა ძალისაგან დაცლილად იგრძნო და შიშმა შეიპყრო. ასეთ შემთხვევებში სტალინი, არც მეტი არც ნაკლები, უბრალო ქართველად, სოსო ჯულაშვილად გადაიქცეოდა ხოლმე. მაშინ, ალბათ, შორეული საქართველო ახსენდებოდა და მხოლოდ თავის ენაზე გინებას იხსენებდა: „მაგათი დედა ვატირე ...“⁴¹ ეს არის ის, რასაც რობაქიძე წერს სტალინის შესახებ.

„ჩაკლული სული“ და ესად ბეის წიგნი ერთსა და იმავე წელს (1933) გამოვიდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ესად ბეის მოესწრო მისი ბექდური სახით ნახვა და მისგან არამართო ვრცელი ციტატების, არამედ მთელი სულისკვეთების სესხებაც. ვინც ესად ბეის „სტალინს“ იცნობს, რომელიც მანამდე იყო გამოცემული, მაშინვე შეატყობს, რომ ავტორის დამოკიდებულება სტალინის მიმართ გრიგოლ რობაქიძის გავლენით მკვეთრად არის შეცვლილი. „ჩაკლული სულისა“ და „წითელი სამართლის“ შედარება გვიჩვენებს, რომ მოტანილი ციტატები ერთმანეთს სიტყვასიტყვით არ ემთხვევა და განსხვავებები მხოლოდ თარგმანის ბრალი არ არის. მაგალითად:

აი მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჯულაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესლა შემორჩენოდა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალუამიერის ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე“. („ჩაკლული სული“).

ასეთ შემთხვევებში სტალინი, არც მეტი არც ნაკლები, უბრალო ქართველად, სოსო ჯულაშვილად გადაიქცეოდა ხოლმე. მაშინ, ალბათ, შორეული საქართველო ახსენდებოდა და მხოლოდ თავის ენაზე გინებას იხსენებდა: „მაგათი დედა ვატირე ...“ („წითელი სამართალი“).

ესად ბეი თავს უფლებას აძლევს კურსივით მოტანილ ციტატაში თავისი დამატებაც გააკეთოს. მაგალითად:

ზოგიერთები მას ჩინგიზ-ხანსა და თემურს ადარებდნენ. შედარება მცდარი გახლდათ: მონგოლ დამპყრობლებს ჰქონდათ ცეცხლი, გაქანება და სიშმავე.

⁴⁰ შდრ. იქვე, გვ. 106-107.

⁴¹ შდრ. ჩაკლული სული, გვ. 108.

სტალინს არ ჰქონია ცეცხლი, ის ცივისსხლიანი იყო. ეს ერთგვარად აორმაგებდა კიდეც მის ძალას („ჩაკლული სული“).

ესად ბეიმ ის ჩინგიზ ხანსა და თემურ ლენგს შეადარა, მაგრამ ეს შედარება არ არის მთლად ზუსტი. მონღოლ დამპყრობლებს ჰქონდათ ცეცხლი, შუბი და ვნება. სტალინს ეს ყველაფერი აკლია. ის არის ცივი ელვა. ის უკვე ადამიანი აღარ არის, მოჩვენებაა, საშიში და უსიამო მოჩვენება („ნითელი სამართალი“).

ცხადია, ესად ბეის ზოგიერთების ადგილას შეეძლო თვითონ ჩაენერა მითითება თავის თავზე. თავის წიგნში („სტალინი“) ის მართლაც ადარებდა სტალინს ჩინგიზ ხანსა და თემურ ლენგს. ცხადია, მასვე შეეძლო შეერბილებინა ასეთი შედარების გამო გრიგოლ რობაქიძის შეფასება (*შედარება მცდარი გახლავთ – შედარება არ არის მთლად ზუსტი*), მაგრამ გრიგოლ რობაქიძის ციტატის ჩასწორება ასე ადვილი იყო მისთვის? იგი ხომ დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მისი მეგობრის მიერ დანერილ წიგნს საბჭოთა კავშირისა და სტალინის შესახებ იგი აუცილებლად ნაიკითხავდა? მე მგონია, რომ ესად ბეი „ჩაკლულ სულს“ ხელნაწერში იცნობდა (იგი არ მიუთითებს გამოცემაზე), რომელმაც, შესაძლოა, გამოქვეყნებამდე რედაქციული ცვლილებებიც განიცადა.

* * *

ჩემთვის სრულიად უეჭველია გრიგოლ რობაქიძისა და ესად ბეის (ყურბან საიდის) მჭიდრო, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, შემოქმედებითი კავშირი. ეს კავშირი ნებაყოფლობითი იყო: რობაქიძემ, როგორც ჩანს, თავიდან ბოლომდე (კითხვებიც და პასუხებიც) თვითონ დანერა ესად ბეის სახელით გამოქვეყნებული ინტერვიუ; რობაქიძემ გამოსაქვეყნებლად დაუთმო ესად ბეის უზარმაზარი ინფორმაცია ხევსურების შესახებ; რობაქიძემ მას თავისი ინტიმური ცხოვრების დეტალებიც კი გაანდო; რობაქიძემ ესად ბეის გააცნო „ჩაკლული სული“, ჩანს, ხელნაწერში. შეუძლებელია, მას არც „ალი და ნინოს“ შესახებ გაეგო რაიმე, არც „ხევსურების“ და არც „ნითელი სამართლის“ („რუსეთი გზაჯვარედინზე“) შესახებ; საკვირველია, რომ გრიგოლ რობაქიძე დუმს! ჩვენ კი ჯერ არ ვიცით ამ დუმის მიზეზი.

P. S. სტატია დიდი ხნის დანერილი და გადაცემული იყო გამომცემლობაში, როდესაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ნინო და კალისტრატე სალიების არქივის შესწავლისას არქივარიუსი ეთერ ქავთარაძე გრიგოლ რობაქიძის მიერ ნინო და კალიტრატე სალიებისადმი გაგზავნილ ერთერთ ნერილში გადააწყდა ესად-ბეის მოხსენიებას. მადლობით მინდა აღვნიშნო, რომ ე. ქავთარაძემ ეს ნერილი მაშინვე მე გადმომცა კომენტარისათვის. მე მართლაც ვაპირებ შემდგომში მივუბრუნდე რობაქიძისა და ესად ბეის კონტაქტების პრობლემას ამ ნერილის ფონზე, რადგან ახლი მასალა სხვაც დამიგროვდა. მაინც საჭიროდ ჩავთვალე შესაბამისი ნაწყვეტი აქვე მომეტანა, რომ მკითხველს, ჩემთან ერთად, უფრო ნათელი წარმოდგენა შექმნოდა მათ ურთიერთობაზე.

გრიგოლ რობაქის წერილი საკითხების მიხედვით დაყოფილია მუხლებად. ესად-ბეის თემას უკავია მეხუთე მუხლი მთლიანად.

31.V.1952 უენევა
ძვირფასო ნინო და კალე!

5. მისწერეთ ნიკო ნაკაშიძეს: გამოგიგზავნოთ ტექსტი (გერმანულად) *ქსადა-ბეის* (ასეა ტექსტში – ზ. ა.) ნაწერისა, საცა შევიწებული იყოს ქართ-ველობა. მოსთხოვეთ! მე მხოლოდ ქება წამიკითხავს (ენერა „მომისმენია“, რომელიც რობაქიძეს ენერგიულად გადაუშლია. ჩანს, არა სურდა მისი პირადი კონტაქტი ესად ბეისთან გამჟღავნებულიყო – ზ. ა.) ქართველთა მისს, ესად-ბეის, ნაწერებში. მართალია, აქა-იქ ვერ ლაგმავს ავტორი თავისს ფანტაზიას – ხოლო როგორ მივიჩნიოთ ეს „გინებად“? ერთი ადგილი აქვს, რომელიც ზო-გიერთი ქართველის სმენას „ეხამუშება“. ამბობს: წმ. ნინო ებრაელი იყოვო. მახსოვს: ერთხელ სადათიერაშვილი მოვიდა ჩემთან, წინადადებით: პროტესტი უნდა გამოვაცხადოთ და სხვა. ვისაც ეს „ეხამუშება“, იგი ქრისტეანე არაა: განა მოციქულნი ებრაელნი არ იყვნენ?! ვინ იყო ტომით წმ. ნინო, ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ იგი კაპადოკიითგან იყო. სხვათა შორის, ჩემს წინა წერ-ილში შეასაწორეთ სახელი იმ ყურნალისა, საცა ესად-ბეის ესკიზი იყო ჩემზე მოთავსებული. *Weltühne* კი არა *Echo der Zeit* (დედანში ასეა, უნდა იყოს *Echo der Zeit* – ზ. ა.), 1933, თებერვალი, მეორე რვეული (ესად ბეის გრიგოლ რობაქ-იძის შესახებ 1933 წლით დათარიღებული „ესკიზის“ მონახვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. არა ჩანს ასეთი „ესკიზი“ ესად ბეის დეტალურ ბიბლიოგრაფიაშიც. შესაძლოა, გრიგოლ რობაქიძეს ეშლება და გულისხმობს იმ ინტერვიუს, რომლის სრული თარგმანი ზემოთ არის მოტანილი – ზ. ა.).

Zaza Alexidze

GRIGOL ROBAKIDZE AND KURBAN SAID (ESSAD BEY)

NEW MATERIAL

SUMMARY

Georgian literary studies (Tamar Injia) have certainly proven that Kurban Said (Essad Bey) had used Grigol Robakidze's "Snake's Slough" excessively and in a word-by-word manner in his novel "Ali and Nino".

In his work the author presents the interview with Grigol Robakidze (1931) signed by Essad Bey and excerpts from his works, such as "The Khevsurs" (1933) and "Red Justice" (1938) where it is clearly reflected that Grigol Robakidze and Essad Bey (Kurban Said) had been closely related to each other. In the above-mentioned books Essad Bey had used Grigol Robakidze's other books ("Engadi", "The Extinguished Soul") and private conversations as well.

ციალა ქურციკიძე

პავლეს აპოკალიფსი

„პავლეს ცათა მოხილვა“

„პავლეს ცათა მოხილვა“, იგივე „პავლეს აპოკალიფსი“ (Apocalypsis Pauli) III საუკუნის ძეგლად ითვლება. დაწერილია ბერძნულ ენაზე. ბერძნული ტექსტი დაცულია IV საუკუნის ხელნაწერში.¹ არსებობს აგრეთვე ამ თხზულების ლათინური ვერია, რომელიც 500 წლით თარიღდება,² სირიული³ და სლავური⁴ თარგმანები. დასავლური მეცნიერება არ იცნობს ქართულ თარგმანს.

თხზულებაში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მოვლო მოციქულმა პავლემ სამი ცა, როგორ ჩაიყვანა იგი ანგელოზმა ჯოჯოხეთსა და სამოთხეში და აჩვენა ბოროტი და კეთილი სულები, მათი ყოფა. აღსანიშნავია, რომ ამ თხზულების სიუჟეტი გამოყენებული აქვს დანტეს თავის „ღვთაებრივ კომედიას“.

ქართული თარგმანი თავისი შინაარსით საკმაოდ სხვაობს ყველა დასახელებული წყაროსაგან. იგი მათთან შედარებით უფრო მოკლეცაა. საფიქრებელია, რომ ქართულ თარგმანს საფუძვლად ედო ამ თხზულების დღემდე უცნობი რედაქცია.

თხზულების ქართული თარგმანი, როგორც კ. კეკელიძე წერს, XI საუკუნემდე უნდა იყოს შესრულებული.⁵ ამის დასტურია მისი მოხსენიება ეფთვიმე ათონელის წერილში, რომელიც მან თევდორე ხუცესს გამოუგზავნა ათონიდან და რომელშიც იმ დროისათვის ქართულ ენაზე არსებული ეკლესიისათვის შეუწყნარებელი თხზულებებია ჩამოთვლილი.⁶ წერილში დასახელებული „პა-

¹ *Apocalypses Apocryphae Mosis, Esdrae, Pauli, Johannis, item Mariae Dormito*, ed. Constantinus Tishendorf, Lipsiae, 1866, გვ. 34-69.

² Montague Rhode James, *Apocrypha Anecdota*, I, Insipit visio Sancti Pavli Apostoli, p. 11-42.

³ H. Brandes, *Visio s. Pauli*, Halle, 1885.

⁴ Н.Тихонравов, *Памятники отреченной русской литературы*, II, с. 50-59.

⁵ კ.კეკელიძე, *ძველი ქართული მწერლობის ისტორია*, I, თბილისი, 1951, გვ. 421.

⁶ ედ. ქელიძე, *აპოკრიფულ წიგნთა ეფთვიმე ათონელისეული ინდექსი*, საღვთისმეტყველო კრებული, 1, 1991, გვ. 214-229. მ. დოლაქიძე, *ათონური 79 ხელნაწერის შედგენილობისათვის*, მრავალთავი, XII, 1986, გვ. 5-19.

ვლეს ცათა მოხილვაჲ“, რომელიც, ეფთვიმეს თქმით, *ნატყუვარი არს*, სწორედ „პავლეს აპოკალიფსი“ უნდა იყოს.

ქართულ ენაზე „პავლეს აპოკალიფსის“ ტექსტი რამდენიმე შედარებით გვიანდელ ხელნაწერშია შემონახული. ესენია: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი S-269 (XVII ს.), ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი 128 (XV-XVI სს.), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერები: A-153 (XVII ს.), H-433 (XIX ს.), H-881 (XIX ს.), A-1064 (XIX ს.).

ტექსტი ქვეყნდება ხუთი ხელნაწერის მიხედვით, რომლებსაც შემდეგი ლიტერებით აღვნიშნავთ:

S-269 - A

K-128 - B

A-153 - C

H-433 - D

H-881 - E

Tsiala Kurtsikidze

APOCALYPSIS PAULI

SUMMARY

The article represents the publication of the Georgian version of the third century apocryphal writing “Apocalypse Pauli“ which is based on 5 Georgian manuscripts:

S-269 (17th c.), K-128 (15th-16th cc.), A-153 (17th c.), H-433 (19th c.), H-881 (19th c.), A-1064 (19th c.).

**წმიდისა და ნეტარისა მოციქულთა თავისა [188რ პავლეისი,
რომელმან სახედ მზისა მოვლო და განანათლა ყოველი
ქუეყანაჲ, რომელი სულისა მიერ წმიდისა მიიტაცა სამოთხედ და
აღინია სამ ცამდე, და ესმნეს უსმენელნი, და უთქმელნი სიტყუანი
და იხილნა საყოფელნი მართალთა და
ცოდვილთანი და თუ ვითარ გამოვალს სული ჯორცთაგან**

**იტყვს ნეტარი პავლე, ნესტვ ბრწყინვალე ეკლესიისაჲ და ჳამაღალი ქა-
დაგი ყოვლისა სოფლისაჲ:**

1. ხოლო აღსლვასა მას ჩემსა სამ ცამდე ვჰკითხე ანგელოზსა მას, რომელი მიძლოდა მე. და რაჲცა ვჰკითხე, მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან: „პავლე, მიხედენ ქუეყანად კერძო“. და ვიხილე მეხი ცეცხლისაჲ, რომელი გარდართხმულ იყო ყოველსა ზედა სოფელსა. და ვჰკითხე ანგელოზსა მას, თუ: „რაჲ არს მეხი ცეცხლისაჲ, რომელი გარდართხმულ არს ყოველსა ზედა სოფელსა?“

მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „ლოცვაჲ კაცთა მართალთაჲ უსჯულოებასა შერეულ-ა“.

2. და კუალად მივხედენ ქუეყანად კერძო და ვიხილე ღრუბელი ცეცხლისაჲ, რომელი გარდართხმულ იყო ყოველსა ზედა სოფელსა. და ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფალო, რაჲ არს ესე?“

მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: [188v] „ამპარტავანებაჲ ეგე“.

მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „ესოდენ ბოროტ არს ამპარტავანებაჲ?“

მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „ძირი არს ყოვლისა ცოდვისა და უსჯულოებისა ამპარტავანებაჲ“.

Tit. მიიტაცა] აღტაცებულ იქმნა BCDE. უსმენელნი და უთქმელნი სიტყუანი უთქმელნი BCDE. ~ ცოდვილთა და მართალთანი BDE. ცოდვილთანი D. და თუ ვითარ გამოვალს სული ჯორცთაგან om. BCDE.

1. და om. BCDE. ეკლესიისა C. მას om. BCDE. ანგელოსსა C. მე om. BCDE. ანგელოზმან] ანგელოზმან C add. მან BCDE. მიხედე A. იყო] არს BCDE. და ვჰკითხე ანგელოზსა მას ... ზედა სოფელსა om. BCDE. მე ანგელოზმან მან om. BCDE. შერეულა] შერთულა D.

2. და om. BCDE. კუალად add. ვიხილე BCDE. ~ მივხედენ და ვიხილე D. ქუეყანად] ქუეყანით A. კერძო om. D. განრთხმულ BCDE. და om. BCDE. ვკითხე E. ანგელოსსა D. ესე om. BCDE. მე ანგელოზმან მან om. BCDE. ამპარტავანება(1) ... ანგელოზმან მან om. D. და ვარქუ om. BCDE. ესოდენ] ესე ოდენ BCDE. ბოროტ om. BCDE. მომიგო და om. BCDE. მე om. BCDE. მრქუა] ჰრქუა მას CE. მან om. E. ~ ამპარტავანება არს E. ~ ამპარტავანებაჲ ყოვლისა ცოდვისა და უსჯულოებისა BCDE.

3. და კუალად მივხედენ და ვიხილე კაცი ცოდვილი, რომელი მიახლებულ იყო სიკუდილსა.

მაშინ მიიწინეს მის ზედა ანგელოზნი მრისხანენი და კუალად ანგელოზნიცა სახიერნი. მაშინ ჰრქუეს ანგელოზთა მათ მრისხანეთა სახიერთა მათ: „უკუნ-იქეცით და წარვედით, რამეთუ არარაა არს თქუენი მაგის თანა“.

მაშინ სირცხვლეულ იქმნეს ანგელოზნი იგი სახიერნი, უკუნ-იქცეს და წარვიდეს.

4. და ჰრქუეს ანგელოზთა მათ მრისხანეთა სულსა მას ცოდვილსა: „ეჰა, ვაჲ შენდა, სულო ცოდვილო, რომელმან არა ჰყავ ნებაჲ ღმრთისაჲ ქუეყანასა ზედა. ან უკუე გამოვედ ჯორცთა შენთაგან და მოვედ ჩუენდა“.

5. მაშინ იწყო სულმან მან საწყალობელმან ჯორცთა ბრალობად. მუგო და ჰრქუა ჯორცთა: „ეჰა, ვაჲ თქუენდა, ჯორცნო ჩემნო, რამეთუ ვიყავ მე დასაბამსა სული წმიდაჲ და შუენიე[189r]რი და არა ვიცოდე ბუნებით ცოდვაჲ. ხოლო ან შეერთებთა შენითა ვიქმენ მე ცოდვათაგან შებღალულ. და აჰა ესერა, მე დღეს მივეცემი სირცხვლეული ჴელთა უწყალოდ მტანჯველთა ანგელოზთასა“.

6. მიუგეს ჯორცთა და ჰრქუეს: „ეჰა, ვაჲ შენდა, სულო ჩემო, რამეთუ ვიყავ მე დასაბამსა მიწაჲ წმიდაჲ და არა ვიცოდე ბუნებითი ცოდვაჲ, ხოლო ან შეერთებთა შენითა ვიქმენ მე ცოდვათაგან შებღალულ. და აჰა ესერა, მივეცემი მე დღეს სირცხვლეული საფლავსა საშინელსა, და ვხედავ თუალთა ჩემთა შუენიერთა საწყალობელად დაბნელებულთა და გუამსა ჩემსა დაჴშულსა.“

7. მიუგო სულმან მან და ჰრქუა: „ეჰა, ვაჲ თქუენდა, ჯორცნო ჩემნო, რამეთუ იქმოდით თქუენ ცოდვასა ჴელითა და ფერჴითა, ენითა და ყოვლითა ასოჲთა და განამრავლეთ ტვრთი ცოდვისა ჩემისაჲ.“

8. მიუგეს ჯორცთა და ჰრქუეს: „თქუენ ნებასა ითხოვდით და ჩუენ საქმით აღვასრულებდით.“

3. და კუალად მივხედენ და ვიხილე მომიგო და მრქუა ანგელოზმან პავლე add. ან D. იხილე BCDE. ანგელოსმან მან D. მიიწინეს მის ზედა] მოვიდეს BCE, მივიდეს D. ანგელოსნი D. ანგელოსნიცა D. ჰრქუეს] ჰრქუა C, რქუეს D, რქვა E. სახიერთა მათ om. E. არარაჲ] არა[ჲ] BCDE. მაგას D. უკუნ-იქცეს om. BCDE.

4. რქვეს DE. მათ om. A. ყავ D. ჩუენდა] ჩემდა BCDE.

5. მან om. BCDE. ბრალობად] ბრძობად A, ბრალეზად E. მიუგო და ჰრქუა ჯორცთა om. BCDE. წმიდა და შუენიერ BCDE. ვიცოდი BCDE. ცოდვა BCDE. ვიქმენ E. ~ მივეცემი მე დღეს BCDE. ~ მე მივეცემი D. უწყალოთა სატანჯველთა C. უწყალოთა D.

6. რქუეს D. მიწა წმიდა BCDE. ვიცოდი BCDE. ბუნებით BCDE. შებღალული E. და აჰა om. BCDE. საფლავსა საშინელსა] მიწასა D. და] რ D. დაჴრჩულსა BC, დახრჩულსა DE.

7. მან om. BCDE. რქუა DE. ეჰა om. BCDE. ჴელით A. ფერჴითა add. და BCDE. და(4) om. BCDE.

8. რქვეს DE. საქმითა E.

9. მიუგო სულმან და ჰრქუა: „უკუეთუმცა დრო-გვყო ჩუენ სიკუდილმან, რომელი-ესე [189v] მონვენულ არს და დგას კართა ზედა ჩუენთა, არამცა დავაყენენ ფერწნი ჩემნი ვედრებად უფლისა, ნუუკუემცა შევინანე ტვრთი ცოდვისა ჩემისა.“

10. მიუგეს ჯორცთა და ჰრქუეს: „უკუეთუმცა დრო-გვყო ჩუენ სიკუდილმან, რომელი მონვენულ არს და დგას კართა ზედა ჩუენთა, არამცა დავაყენენ მისლვად ეკლესიად ფერწნი და არცამცა ღუნად გლახაკთა ჯელნი ჩემნი, ნუუკუემცა შევინანე ტვრთი ცოდვისა ჩემისა.“

11. მაშინ უკუე, ჰ ჩემდა, უბადრუკისა, რამეთუ საზარელ არს თქუმად სიტყვსაცა ამის, რამეთუ სცეს ლახურიტა უწყალოთა მათ ანგელოზთა და გამოითრიეს ზიდვით სული იგი ცოდვილი და შეაქციეს სამგზის კუალად მუნვე. და ჰრქუეს უწყალოთა მათ ანგელოზთა: „უკუნ-იხედენ და შეის[190r]წავე სახე შენი, რამეთუ ჯერ-არს მერმისა მისგან საუკუნოჲსა მოქცევაჲ შენი ჯორცთავე შინა შენთა.“

12. მაშინ წარმოუდგა ანგელოზი მისი და ჰრქუა სულსა ცოდვილსა: „ეჰა, ვაჲ შენდა, სულო ცოდვილო, რომელმან არა ჰყავ ნებაჲ ღმრთისაჲ ქუეყანასა ზედა არცა ერთი. მე ვარ ანგელოზი, მცველი შენი, რომელი მომავლინა მე ღმერთმან დაცვად შენდა. და არა ვპოვე მე ერთიცა ჟამი, რაჲთამცა განმესუენა შენ თანა, არამედ მწუხარებითა აღმავსე და განმარისხე მე ცოდვითა და უმჯულოებითა შენითა. აჰა ესერა, ჯელითნერილინი ცოდვათა შენთანი, რომელნი გიქმნიან სიყრმით შენითგან ვიდრე აქამომდე.“

13. და ვითარ იწყეს წარყვანებად, მოეგება მას სული წმიდაჲ და ჰრქუა სულსა ცოდვილსა: „ეჰა, ვაჲ შენდა, სულო ცოდვილო, რომელმან არა ჰყავ ნებაჲ ღმრთისაჲ ქუეყანასა ზედა. აჰა ესერა, მოეგეგო შენ სასჯელი [190v] იგი დაუსრულებელი და მატლი იგი დაუძინებელი და განკითხვანი საშინელი.“

9. მიუგო... სიკუდილმან] და თქუა (რქუა E) სულმან: უკუეთუმცა ვიცოდი ჟამი ესე სიკუდილისა DE. დრო-გვყო] დრო გუცა BC. ჩუენ om. BC.-ესე om. D. მონვენულ A. კართა ზედა ჩუენთა] ჩუენ (ჩემ D) ზედა BCDE. დავაყენენ BCDE. ფერწნი] ყოველნი დღენი D. შევინანა D. ცოდვისა ჩემისა]ცოდვათა ჩემთა D.

10. მიუგეს ჯორცთა... ტვრთი ცოდვისა ჩემისაჲ om. BCDE. მონვენულ] მონველ A.

11. მაშინ უკუე om. BCDE. ჰ] ჰ მე A, ან ვაჲ D. უბადრუკსა BCDE. თქუმადცა BCDE. სიტყვსაცა ამის] ამას BCDE. ჰსცეს E. ზიდვით om. BCDE. ~ კუალად სამგზის BCDE. რქვეს D, თქუეს E. უკუ-ხედენ B, უკუწ-ხედენ CE. შეისწავენ CDE. საუკუნოსა BCDE, სკნოსა A.

12. რქუა D. ყავ D. ცვად C. მე(2) om. BCDE. რაჲთამცა om. BCDE. ესერა om. A.

13. წარყვანებაჲ BCDE. რქუა D. სულსა ცოდვილსა om. BCDE. ეჰა ვაჲ] ვაჲ-ვა E. ყავ D. იგი om. BCDE. და მატლი იგი დაუძინებელი om. BCDE.

14. და ვითარ შეჰყვანდა სული იგი სიმაღლესა ცისასა, მოგებნეს მას ჰაერისმცველნი იგი, ეშმაკნი ბოროტნი, და ტანჯეს იგი დიდითა და მიუთხო-ბელითა სატანჯველითა. და კუალად სიმაღლესა ცისასა-რე მოგებნეს მას სხუანი ჰაერისმცველნი, ეშმაკნი უბოროტესნი პირველთასა, და ტანჯეს მათცა უსაზარელესითა სატანჯველითა და განიკითხეს უფროს პირველთასა, რამეთუ არავინ იყო შემნე მისდა.

15. მაშინ გამოვიდა ჯმაჲ სამყაროთ ცისაჲთ, რომელი იტყოდა: „აღმოიყვანეთ სული ეგე ცოდვილი, რაჲთა თაყუანის-სცეს საყდართა მამისათა.“

მაშინ წარმოუდგა ანგელოზი მისი და ჰრქუა მეუფესა: „აჰა, უფალო, კაცი ცოდვილი, რომელმან არა ყო ნებაჲ შენი ქუეყანასა ზედა. ან უკუე მიაგე საქმე-თაებრ მისთ[191r] ბოროტთა.“

16. მაშინ უბრძანა მეუფემან: „უკუეთუმცა შეენანა კაცსა მაგას წელიწადი ერთი, გინა უმცირესცა, და-მცა-მევიწყნეს ცოდვანი მაგისნი ბოროტნი და ა-მცა-მეწოცნეს ბრალნი მისნი ურიცხუნი. ან წარიყვანეთ და მიეცით ჴელთა უწყალოდ მრისხანეთა ანგელოზთასა, და წარიყვანონ ეგე და უჩუენონ საყოფელი სულთა ცოდვილთა და შერთონ ეგე სულთა მათ ცოდვილთა დასსა.“

17. მაშინ ღაღად-ყვეს სულთა მათ წმიდათა ზეცისათა და თქუეს: „მართალ ხარ შენ, უფალო, და სამართალ არს მსჯავრი შენი.“

მაშინ მომიგო მე ანგელოზმან მან და მრქუა: „პავლე, იხილე-ა სული ცოდ-ვილი, თუ ვითარ გამოვალს ჴორცთაგან?“

„ჰე, ვიხილე, უფალო, და ვცან“.

18. მომიგო მე და მრქუა ანგელოზმან: „პავლე, მიხედენ კუალადცა ქუეყა-ნით კერძო.“

და მიხედენ და ვიხილე სული მართალი, რომელი მიახლებულ იყო სიკუ-დილად. და მოიწინეს მისსა სახიერნი ანგელოზნი და კუალად მრისხანენიცა.

14. და om. BCDE. შეყუანდათ D. სული om. A. მას om. BCDE. იგი om. BCDE. დიდითა და om. BCDE. და(4) om. BCDE. ცისასა BCDE. მას სხუანი om. BCDE. ეშმაკნი om. BCDE. მათცა] იგი BCDE. სატანჯველითა] ტანჯვითა BCDE. და om. BCDE. პირველთასა BCDE. შემნედ C.

15. ცისათ A. თაყუანის-სცეს add. წინაშე BCDE. წარმოდგა BCDE. რქვა E. მისთა om. BCDE.

16. უმცირესიცა BCDE. ცოდვანი] საქმენი BC. ბოროტნი] ურიცხუნი და ბოროტნი მრავალნი D. და ა-მცა-მეწოცნეს om. BCE. ჴელთა] მათ D. უწყალოდ om. BCDE. და] რაჲთა BD] om. CE. სულთა add. მათ BCDE. ცოდვილთა BCDE. შეაერთონ BCDE. სულთა მათ ცოდვილთა დასსა om. BCDE.

17. სამართალ] სიმართლით BCDE. მომიგო მე ანგელოზმან მან და მრქუა] მრქუა (ჰრქუა CD, რქვა E) ანგელოზმან მან BCDE. ~ იხილე პავლე D. იხილე BCE. ჰე om. BCDE. უფალო om. BCDE.

18. მე om. BCDE. ანგელოზმან om. BCDE. მიხედენ კუალადცა ... სიკუდილად] ან (ან om. CE) იხილე კაცი მართალი, რომელი მიახლებულ არს სიკუდილსა BCDE. და] ხოლო D. მოიწინეს BCDE. მისსა] მის ზედა BCE, მას ზედა D. ~ ანგელოზნი სახიერნი BCDE.

და ჰრქუეს სახიერთა მათ ანგელოზთა მრისხანეთა მათ: „უკუნ-იქეცით და წარვედით, რამეთუ არარაჲ არს სულსა მაგას მართალსა თანა.“

მაშინ სირცხვლელუ იქმნეს მრისხანენი იგი ანგელოზნი, უკუნ-იქცეს და წარვიდეს.

19. მაშინ ჰრქუეს სახიერთა მათ ანგელოზთა სულსა მას მართალსა: „გიხ-აროდენ შენ, სულო მართალო, და ვიხარებდეთ ჩუენცა შენ თანა. ან უკუე გამოვედ ჴორცთა შენთაგან და მოვედ ჩუენდა, რამეთუ მიგელის-ა სიმართლისა იგი გვრგვნი ბრწყინვალე.“

20. მაშინ გამოვიდა სული იგი მართალი სიხარულით და წარმოუდგა ანგელოზი მისი სულსა მას მართალსა და ჰრქუა: „გიხაროდენ, სულო მართალო, და ვიხარებთ ჩუენცა შენ თანა. მე ვარ ანგელოზი, მცველი შენი, რომელი მომავ-ლინა მე ღმერთმან [192r] დაცვად შენდა. და არაოდეს შემანუხე მე და არცა განმარისხე ერთსა შინა ჟამსა უნესოდ ქცევითა, არამედ ნებასა ღმრთისასა აღასრულებდი. კუალად ამისთვისცა გიხაროდენ და მხიარულ იყავ.“

21. და ვითარ იწყეს წარყვანებად, მოეგება მას სული წმიდაჲ და ჰრქუა: „გიხაროდენ, სულო მართალო, და ჩუენცა ვიხარებთ შენ თანა. აჰა ეგერა, მი-გელის შენ სასუფეველი ღმრთისაჲ, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა უწინარეს სოფლის დაბადებისა.“

22. და ვითარ შეჰყვანდა სული იგი სიმაღლესა ცისასა, მოეგებნეს მას ჰაერისმცველნი იგი, ეშმაკნი ბოროტნი, რაჲთამცა ტანჯეს იგი. ხოლო სულმან წმიდამან ჰრქუა მათ: „უკუნ-იქეცით, დაწყეულნო, და წარვედით, რამეთუ არა არს თქუენი მაგის თანა.“

23. მაშინ სირცხვლელუ იქმნეს ჰაერისმცველნი, ეშმაკნი ბოროტნი, უკუნ-იქცეს და წარვიდეს. და ვითარ შეჰყვანდა სამყაროსა ცისასა, მოეგებნეს მას სხუანიცა ჰაერისმცველნი, ეშმაკნი ბოროტნი, რაჲთამცა [192v] ტანჯეს იგი და განიკითხეს უფროჲს ზომისა. ხოლო ბრწყინვალემან ანგელოზმან დაფარა იგი, რამეთუ თანაშემწედ აქუნდა იგი.

18. რქუეს D, რქვეს E. ~ ანგელოზთა მათ სახიერთა BCDE. მრისხანეთა მათ om. A. მათ(2)] მიმართ D. უკუნ-იქეცით და om. BCDE. ~ მაგას სულსა A. მართალთა E. იქმნეს BCE. ~ ანგელოზნი იგი მრისხანენი BCDE. უკუნ-იქცეს om. BCDE

19. რქვას E. ~ ანგელოზთა მათსახიერთა BCDE. მართალთასა E. შენ om. BCDE. ვიხარებთ A, ვიხარებდეთ მე D. ჩუენ BCDE. ან უკუე ... გვრგვნი ბრწყინვალე om. BCDE.

20. მაშინ გამოვიდა ... ჩუენცა შენ თანა om. BCDE. მე] რმე BCDE, და om. BCDE. მე om. BCDE. და om. BCDE. ერთსა შინა] ერთსაცა BCDE. კუალად] ყოვლადვე A, ყოვლად C. ამისთვის BCDE.

21. ვითარ om. BCDE. წარყვანებაჲ add. მისი D. რქუა DE. ჩუენცა om. BCDE. ვიხარებთ] ვიხარებდეთ ჩუენ BCE. ვიხარებდეთ მე D. ეგერა] ესერა BCDE. თვსთა] მისთა A.

22. შეჰყუანდა A, შეჰყუანდათ D. სული om. A. იგი om. BCDE. ბოროტნი om. BCDE. ტან-ჯეს] დატანჯეს BCDE. ხოლო სულმან წმიდამან ... მაგის თანა om. BCDE.

23. მაშინ სირცხვლელუ იქმნეს ... ტანჯეს იგი om. BCDE. რამეთუ] და BCDE. აქუნდა იგი] ექმნა მას D.

24. მაშინ გამოვდა ჴმაჲ სამყაროჲსაგან ცისაჲსა, მეტყუელი ესრეთ: „აღ-მოიყვანეთ სული ეგე მართალი და იხილოს მეუფე თჳსი.“

და ვითარ აღიყვანეს სული იგი მართალი და თაყუანის-სცა მეუფესა, მა-შინ წარმოუდგა ანგელოზი მისი და ჰრქუა მეუფესა: „აჰა, უფალო, და მეუფეო, სული მართალი, რომელმან ქმნა ნებაჲ შენი ქუეყანასა ზედა. ან მიაგენ კეთილნი შენნი საქმეთაებრ მისთა კეთილთა.“

25. მაშინ უბრძანა მეუფემან: „წარიყვანეთ სული ეგე მართალი და მიეცით ჴელთა მიქაელ მთავარანგელოზისათა. და წარიყვანოს და განბანოს ტბასა მას ქეროვნისასა, სადა ყოველნი წმიდანი მართალნი განიბანეს და განძღეს საშუე-ბელთა მათ ჩემთა გამოუთქუმელთა, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ: განაძ-ღო სული ჴუებული და სული მშიერი აღავსო კეთილითა. და უჩუენოს მაგას საყოფელი იგი მართალთაჲ და შეა[193r]ერთოს ეგე წმიდათა მათ მართალთა სულთა თანა.“

26. მაშინ ღაღად-ყვეს და თქუეს სულთა ზეცისათა: „მართალ ხარ შენ, უფა-ლო, და სამართალ არს მსჯავრი შენი.“

მაშინ მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან: „პავლე, იხილე-ა სული მართალი, თუ ვითარ გამოიყვანების ჴორცთაგან?“

მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „ჰე, ვიხილე, უფალო, და ვცან.“

27. მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „პავლე, შემომიდეგ და გიჩუენო საყოფელი სულთა ცოდვილთაჲ.“

მიუდეგ და მიმაქცია მე ჩრდილოეთ კერძო. და მუნ განმავლო მე მდინარე ერთი, რომელსა სახელი ერქუა ანაკი. და მუნ ვიხილე მე ადგილი ერთი შესაუ-რვებელი, სადა არა იყო არცა ჭირი, არცა განსუენებაჲ. და მას შინა ვიხილენ მე ყრმანი ჩჩვლნი, რომელნი არა იყვნეს არცა ჭირსა შინა, არცა განსუენებასა.“

28. მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ-მე არიან ყრმანი ესე?“

მომიგო და მრქუა [193v] მე: „ესე უკუე არიან ნაშობნი წარმართთანი. ამისთვის არა არიან სრულიადსა ჭირსა შინა, რამეთუ უბრალონი არიან; და

24. გამოვდა] გამოვიდა A. ~ ჴმაჲ სამყაროჲსაგან ცისაჲსა] სამყაროთ ჴმაჲ BCDE. და om. BCDE. იგი om. BCDE. თაყუანისცა A. წარმოდგა ... BCE. წარსდგა D. და მეუფეო om. BCDE. ზედა add. და BCDE. სული] კაცი A.

25. მიეცითა C] add. ეგე D. მიქელ A, მიხაილ D. და om. BCDE. წარიყვანის add. ეგე D. ქეროვნისასა BCDE. მართალნი om. BCDE. იგი om. D. ეგე om. BCDE. მართალთა om. BCDE. თანა om. BCDE.

26. ღაღად-ყვეს add. ყოველთა BCDE. და თქუეს om. BCDE. სულთა add. მართალთა BCDE. ზეცისაჲთა A. სამართალ] სიმართლით BCDE. იხილე C. მიუგე და om. BCDE. მას om. BCDE. ჰე] ეჰა BCE] om. D. უფალო om. BCDE. ვსცან D.

27. მომიგო და om. BCDE. მე om. BCDE. მან om. BCDE. მიუდეგ] ხ~ შეუდეგ მას D. მომაქ-ცია BCDE. მე om. BCDE. მე om. BCDE. ერქუა] ჰქვან A. და მუნ ვიხილე მე ადგილი ერთი om. BCDE. სადა არა] სადარა A. და om. BCDE. მას შინა] მაშინ C. შინა add. და BDE.

28. ვინ-მე] ვინ BCDE. მომიგო და მრქუა om. CE. მე om. BCDE. ესე] ესენი D. უკუე om.

კუალად ამისთვის არა არიან სრულიადსა განსუენებასა შინა, რამეთუ ნაშობნი არიან წარმართანი და უნათლავნი.“

29. თანა-წარვჰვედით და ვიხილე მე სხუაჲ მღვმე ცეცხლისაჲ ბნელი, და მას შინა მყოფნი სიმრავლე ურიცხუთა მამათა და დედათაჲ. რომელნიმე დგეს ცეცხლსა მას შინა ვიდრე მუწლთამდე, რომელნიმე წელთამდე, ხოლო რომელნიმე პირთამდე. და იყო სასჯელი მათი ვაებით და უბადრუკებით.

30. მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან კაცნი ესე?“

მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „ცეცხლსა მას შინა მყოფნი ვიდრე მუწლთამდე ესენი არიან, რომელნი შევიდიან ეკლესიათა ღმრთისათა და არა ისმენდიან სიტყუათა ღმრთისათა და წარმდებებით და ამაოებით და სილაღით და ამპარტავანებით დგიან.“

31. და კუალად, ესენი არიან ცეცხლსა მას შინა მყოფნი ვიდრე [194r] წელამდის, რომელნი შევიდიან ეკლესიათა ღმრთისათა და არა ისმენდიან სიტყუათა საღმრთოესა გალობისათა და უღირსებით ეზიარნიან ჴორცსა და სისხლსა ქრისტესსა. და აგინებდიან იგინი სულსა წმიდასა და ეზიარნიან ნაწილსა იუდაჲსსა, რამეთუ იუდა სერობასა არა ელოდა, არცა მიუჰყრნა ყურნი სიტყუათა ქრისტესთა.

32. და კუალად, ესე არიან ცეცხლსა მას შინა ვიდრე პირამდის, რომელნი შევიდიან ეკლესიათა ღმრთისათა და არა ისმენდიან სიტყუათა ღმრთისათა. ხოლო რაჟამს ესმის ჴმაჲ სარჩლისაჲ, დაუტევიან ლოცვაჲ, გამოვიდიან და შეერთნიან სარჩელსა და იწყიან ცუდთა სიტყუათა და გინებათა. და აღმოდინ პირისა მათისაგან სიმყრალე.“

28. BCDE. სრულიადსა] ს`დ C. ამისთვის om. BCDE. და უნათლავნი om. C.

29. თანა-წარვჰვედით] თანა-წარვლე BCE. თანა-წარვვლეთ D. მე om. BCDE. ~ ბნელი ცეცხლისაჲ BCDE. და om. C. ურიცხუთა om. BCDE. ~ დედათა და მამათაჲ BCE. რომელნიმე] რნი CE. სდგეს D. ცეცხლსა მას შინა om. BCDE. ვიდრე] ვითარცა B. მუწლთადმდე A. წელთადმდე A, წელთამდი DE. ხოლო om. CE. პირთადმდე A. პირადმდე D.

30. მიუგე om. D. არიან] არს C. მომიგო და მრქუა ... სიტყუათა ღმრთისათაჲ] მრქუა მე: ესე (ესენი D) არიან ვიდრე (ვიდრე om. D) მუწლთამდე მყოფნი, რომელნი შევიდეს (შევიდოდენ D) ეკლესიად (ეკლესიად D) და არა ისმენენ (ისმენდენ D) სიტყუათა მაცხოვრისათა BCDE. მუწლთადმდე A. და om. BCDE. და ამაოებით om. BCDE. ამპარტევანებით A. დგიან] სდგენ წ`ე ლუთისა D.

31. ესენი არიან ... გალობისათა] ესე არიან ვიდრე წელადმდე (რომელნი წელთამდე დგანან, ესენი არიან D), რომელნი შევლენ ეკლესიად (ეკლესიად D) და არა ისმენენ (ისმენდენ D) სიტყუათა გალობისათა BCDE. ეზიარნეს B, ეზიარნენ CDE. აგინებენ BCDE. იგინი om. BCDE. ეზიარნეს BD, ეზიარნენ CE. ელოდა add. და BC. ყურნი add. მისნი BCDE.

32. ესე] ესენი E. ცეცხლსა მას შინა om. BCDE. და კუალად ... პირამდის] ხოლო რომელნი პირადმდე არიან ესენი არიან D. პირამდე E. შევიდიან] შევიდენ C, შევიდოდენ D, შევიდნენ E, და om. CE. ისმენდიან] ისმენენ BCE, ისმენდენ D. ესმის] ესმეს BDE, ესმა C. დაუტეონ BCD. შეაერთნენ C, შეერთნენ BDE. სარჩელთა D. იწყონ BCE, იწყებდენ D. და აღმოდინ პირისა მათისაგან სიმყრალე] აღმყრალად პირისაგან სიმყრალე სიტყუათაჲ BCE; აღმყრალებად პირთა მათთა D.

33. და თანა-ნარვჰვედით და ვიხილე სხუაჲ მღჳმე, ბნელი ცეცხლისაჲ. და მას შინა დგა კაცი ვინმე. და გარდამოვიდოდა მატლი თუალთაჲთ, ცხვრთაჲთ პირთა და ყურთაჲთ. [194v] და ჳმობდა იგი სანყალობელად, ვითარმედ: „მევენების მე სასტიკად უფრო[ჲ]ს ყოველთა სატანჯველთასა.“

34. მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არს კაცი ესე?“ მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „ესე არს სახე მდდელობისაჲ, რომელმან არა დაიმარხა მცნება[ჲ] ღმრთისაჲ და არცა ილუანა სწავლად ერისათჳს მცნებასა ღმრთისასა, რაჲთამცა დაედვა სული თჳსი სამწყსოთათჳს სიტყჳსაებრ უფლისა და არანმიდებით შესწირვიდა მსხუერპლსა ღმრთისასა.“

35. თანა-ნარვჰვედით კუალად და ვიხილე სხუაჲ მღჳმე, ბნელი ცეცხლისაჲ. და მუნ შინა დგა კაცი ვინმე სხუაჲ. და აქუნდა ჳელთა ანგელოზსა მას შამფური განჯურვებული შვდპირი და შჭრიდა პირსა, ენასა და ყოველთა ასოთა.

36. მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არს კაცი ესე?“ მომიგო და მრქუა [195r] მე ანგელოზმან მან: „ესე არს სახე დიაკონობისაჲ, რომელმან არა დაიმარხა მცნებაჲ ღმრთისაჲ და შეაგინა მან სახე მთავრობისა მისისაჲ, რომელი მისცა მას უფალმან.“

37. და თანა-ნარვჰვედით კუალადცა და ვიხილე სხუაჲ მღჳმე, ბნელი ცეცხლისა[ჲ], ფრიად სასტიკი და შესაურვებელი. და მოჰყვანდა ოთხთა ანგელოზთა კაცი ვინმე. და აქუნდა ჳელთა მათთა შამფური განჯურვებული შვდპირი და შჭრიდეს პირსა, ენასა და ყოველთა ასოთა და შთააგდებდეს მღჳმესა განსაჭრწნელსა.

38. მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არს კაცი ესე? ანუ რაჲ არს ცოდვაჲ მისი?“ მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „ესე სახე ებისკოპოსობისაჲ, რომელმან არა დაიმარხა მცნება[ჲ] ღმრთისაჲ და მსხუერპლსა ღმრთისასა არანმიდებით შესწირვიდა და სამწყსოჲ თჳსი უდებებით და არანმიდებით განჭრა და შეაგინა სახე იგი დიდისა მთავრობისა[ჲ], რომელი მისცა მას უფალმან.“

33. და თანა-ნარვჰვედით ... ყოველთა სატანჯველთასა om. BCDE. სატანჯუჭლთასა A.

34. მიუგე და ვარქუ ... მსხუერპლსა ღმრთისასა om. BCDE.

35. თანა ნარვჰვედით კუალად ... ყოველთა ასოთა om. BCDE.

36. მიუგე და ვარქუ ... მისცა მას უფალმან om. BCDE.

37. და თანა-ნარვჰვედით om. BCDE. კუალადცა და] კუალად BCDE. ფრიად სასტიკი და] სრულიად BCDE. და(4) om. BCDE. მოყვანდა E, მოყუანდათ D. ოთხთა add. მრისხანეთა D. აქუნდათ D. ჳელთა მათთა om. BCDE. შანფური A. შვდპირი om. A. სჭრიდეს BCDE] add. სანყალობელსა მას D. ენასა om. BCDE. ასოთა add. მისთა BCDE. და om. BCDE. შთაგდებდეს A. მღჳმესა add. მას BCDE.

38. მიუგე და om. BCDE. ანუ რაჲ არს ცოდვაჲ მისი om. A. მომიგო და მრქუა მე] მრქუა BCDE. სახე ებისკოპოსობისაჲ] ებისკოპოზი (ეპისკოპოსი D, ებისკოპოსი E) არს BCDE. და(3) om. BCDE. არანმიდებით] უღირსებით BCDE. და(4) om. BCDE. დიდისა მთავრობისაჲ om. BCDE. მას om. BCDE. უფალმან add. დიდი იგი მთავრობისაჲ BCDE.

39. თანა-წარვჰყედ და ვიხილე მე სხუა მღვმე, ბნელი [195v] ცეცხლისაჲ, ფრიად უფროსლა შესაურვებელი, და მუნ შინა დასჯილნი სიმრავლე მამა-დე-დათაჲ, და მატლნი სწოვდეს ჯორცთა მათთა და ვერ განძღებოდეს სისხლითა მათითა და მათდავე მიაქცევდეს.

40. მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან კაცნი ესე?“ მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „ესე არს სახე ჯელმნიფებისაჲ, რომელნი ვერ განძღებოდეს სისხლითა გლახაკთაჲთა. და აწ მატლნი ესე ეგრეთვე ვერ განძღებიან და მათდავე მიაქცევენ.“

41. და თანა-წარვჰყედ და ვიხილე კუალად სხუაჲ ჯურღმული ერთი თოვლისა და მყინვარისაჲ, და ისარნი ცეცხლისანი შთავიდოდეს ჯურღმულსა მას მყინვარისასა და მყინვარსა მას ვერ განადნობდეს, არამედ უფროს აურვებდა და განსწონდა გულთა მათთა. და ანგელოზთა მიჰყვანდეს კაცნი ვინმე და მიღმართ უჩუენებდეს: „აჰა, მკლველნი თქუენნი.“

42. თანა-წარვჰყედი [196r] თ და ვიხილე მე სხუა მღვმე ჯურღმული. და მუნით აღმოვიდოდა ჰმაჲ ჭირისა და ურვისაჲ, საზარელი ფრიად. მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან იქი?“ მომიგო და მრქუა მე: „ესე არიან შეცოდებულნი, სკნდიკინოზობასა შინა რომელთა უარ-ყვეს ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, ჯორციელად სოფლად მოსრული ჴსნისათჳს სოფლისა, რამეთუ შეაგინეს წმიდაჲ ბეჭედი ქრისტესი.“

43. და თანა-წარვჰყედით მასცა და ვიხილენ მე ცხედარნი ცეცხლისანი და მუნ ზედა სიმრავლე მამათა და დედათაჲ. და ალი ცეცხლისაჲ გარდამოვიდოდა მათ ზედა. და ვერ ეძლო მათ ზე აღბილვად. და ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან კაცნი ესე?“ მომიგო და მრქუა მე: „ესე არიან კრულნი, რომელთა კრულ ყვნეს თავნი თჳსნი ქუეყანასა ზედა, რამეთუ არღარა არს სასოებაჲ ჴსნისა მათისა[ჲ], არამედ უმეტესილა მოლოდებაჲ სატანჯველისა საუკუნოსაჲ.“

39. თანა-წარვხედ DE. მე სხუაჲ om. BCDE. ბნელი om. BCDE. ფრიად უფროს-ლა] ფრიადლა BCDE. და მუნ] მას BCDE. მამა-დედათაჲ] დედათა და მამათა BCDE. და om. BCDE. მატლნი add. ცეცხლისანი BCDE. წოვდეს A. განძღებოდეს D. და om. AE. მიიქცეოდეს BCDE.

40. მიუგე და om. BCDE. არიან კაცნი] არს კაცი A. მომიგო და om. BCDE. მე om. BCDE. მან om. BCDE. და om. AC. ეგრეთვე] მსგავსად BC. მიიქცევიან BCDE.

41. და om. BCDE. თანა-წარვხედ E. ერთი om. BCDE. მყინვარისასა om. BCDE. განადნობდა om. BCE, გაადნობდა D. უფროსლა BCDE. მოჰყვანდეს BCD, მოყვანდეს E. მიღმართ om. BCDE. მკლველნი თქუენნი om. BCDE.

42. თანა-წარვჰყედ BC, თანა-წარვხედ DE. მე om. BCDE. და მუნით] მუნ BCDE. ჭირისაჲ A. ურვისა BCDE. ფრიადი D. არიან] არს C. სკნდიკინოზობასა BCDE. მე om. BCDE. ქრისტე om. BCDE. ხორციელად E. რამეთუ] რომელთა D. წმინდა E.

43. და om. BCDE. თანა-წარვლე BCE, თანა-წარვლე D. მასცა om. BCDE. და მუნ] მას BCDE. და(5) om. BCDE. აჴილვად A, ახილვად C. და(7) om. BCDE. მომიგო და om. BCDE. მე om. BCDE. არიან] არს BCDE. თჳსნი] მათნი A. არღარაჲ A] არა BCDE. ჴსნისაჲ A. უმეტესადლა BDE, უმეტესლა C. მოლოდნაჲ A, მოელოდების E. სატანჯველსა საუკუნოსა E. სატანჯველისაჲ A. საუკუნოსა C] add. ელის მათ D.

44. თანა-ნარვჰჰედით და ვიხილენ მე ზღუდენი ცეცხლისანი და მათ ზედა სიმრავლე დე[196v]დათა და მამათაჲ. და ვეშაპნი ცეცხლისანი მოხუეულ იყვნეს ქედთა მათთა. და ჰნატრიდეს თანანარმავალთა გზისათა. ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან კაცნი ესე?“ მომიგო და მრქუა მე: „ესენი არიან, რომელთა სახე მონაზონებისა, გინა ენკრატისობისაჲ შეემოსა და არანმიდებით აღასრულნეს დღენი მათნი და იყვნეს მუშაკ მუცლისა და მსახურ სანუთროსა და შეაგინეს აღთქმაჲ თჳსი.“

45. თანა-ნარვჰჰედ და ვიხილენ მე კანანნი ცეცხლისანი და მუნ ზედა სიმრავლე მამათა და დედათაჲ, რომელნი დამოკიდებულ იყვნეს თმითა, წარბითა, ენითა და ყოვლითა ასოთა მათითა. და ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან კაცნი ესე?“ მომიგო და მრქუა მე: „ესე არიან, რომელთა მოინერნინან სახენი მათნი, მოცემულნი ღმრთისანი, და ყვნიან იგინი მსგავს კერპთა.“

46. ხოლო მე შემემლო ფრიად, ავტირდი და ვთქუ: „უფალო, უმჯობეს იყო, უკუეთუმცა ყოვლაღვე არა შო[197r]ბილ ვიყვენით დედათა ჩუენთა მუცლისაგან, ვინათგან ესოდენნი სატანჯველნი წინამდებარე არიან ჩუენდა.“

47. მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „პავლე, შემომიდეგ და გიჩუენო სატანჯველი სხუაჲ, რომელი უძერეს არს ყოველთა სატანჯველთასა.“ შეუდეგ და მიმაქცია ჩრდილოთ კერძო. და მუნ ვიხილე მე ლოდი დიდი მდებარე და ზედა მჯდომარე ანგელოზი.

48. და ჰრქუა ანგელოზმან მან ანგელოზსა მას მჯდომარესა: „გარდააგორვე ლოდი ეგე კარისა მისგან ჯურღმულისა, რათა იხილოს პავლე, რამეთუ ღმრთისა მიერ არს ცნობაჲ მისი ყოვლით კერძოვე.“ ხოლო წმიდამან მან გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან ჯურღმულისა, და მუნით აღმოჴდა სული ბოროტი სიმყრალისაჲ, რომელი გარდაერეოდა უფროს ყოველთა სატანჯველთა.

44. თანა-ნარვჰჰედ BC, თანა-ნარვზედ DE. მე om. BCDE. ~ მამათა და დედათა BCDE. ვეშაპნი C. ნატრიდეს DE, ვკითხე E. არიან] არს BCDE. ესე] ესენი A. მომიგო და om. BCDE. ესენი] ესე BCE. რომელთა] რომელ BC] მრავალ E. ენკრატისობისა BCDE. არანმიდებით E] add. ცხოვნდებოდეს BCE, სცხოვნდებოდეს D] add. და BCDE. მათნი] add. უნანელობასა შინა BD. იყვნეს + იგინი BCDE. აღთქმა A. სანუთოსა BCE, სანუთროსა D.

45. თანა-ნარვლე BCDE. კანანი BD] კაჩანი C, კაცნი E. და მუნ ზედა] ვიხილე (ვიხილენ D) მე (მე om. D) მას ზედა BCDE. მამათა და om. A. რომელნი om. BCDE. თმით C. და om. A. ენითა] მათითა BCDE. ასოთა BCDE. მათითა om. BCDE. ვკითხე E. მომიგო და om. BCDE. მე om. BCE. სახენი] ასონი BCDE. ყვნიან A. მგზავს A.

46. ავტირდი D, ავტირდი E. ესთქუ D, ვთქვი E. უფალო om. BCDE. უკ(უ)ეთუ BCDE. ყოვლაღ D. ვიყუწნით A. დედის მუცლითგან ჩვენითგან D. ესოდენი A, ესოდენნი BCDE. არიან] არს C.

47. მე om. BCDE. მან om. BCDE. და om. A. ~ სხუაჲ სატანჯველი BCDE, სატჯუწლთაჲსა A. მე om. BCDE. მდებარე om. BCDE. ~ ანგელოზი ზედამჯდომარე BCDE.

48. და om. BCDE. რქუა D, რქვა A. მან om. BCDE. ზედამჯდომარესა BCDE. ეგე] იგი BCDE. კარისა მისგან] კარისაგან BCDE. მისი om. BCDE. და მუნით] მუნ BCDE. აღმოხდა E.

49. მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ შთავლენ აქა, გამო-
მიცხადენ მე. და დაბეჭდულ იყვნეს შკდითა ბეჭდითა. და მოუქსენებელ იყვნეს
იგინი წინაშე მამისა [197v] ზეცათაჲსა.“

50. მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „იანე და იამბრე გრძნეულნი
არიან, სულისა წმიდისა მგმობარნი, იგინი მკვდრ არიან აქა.“ ხოლო უკუეთუმცა
მე ძალსა მის ანგელოზისასა არა დავეცევ, კნინ-ლადა მიმელო სული ჩემი სიმყ-
რალისა და ზარისა ჯურღმულისა მისგან.

51. მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „პავლე, იხილე-ა საყოფელი
სულთა ცოდვილთაჲ?“ ხოლო მე მიუგე და ვარქუ: „ჰე, ვიხილე და ვცან.“ მაშინ
კუალად მომიგო და მრქუა ანგელოზმან მან: „პავლე, შემომიდეგ და გიჩუენო
საყოფელიცა სულთა მართალთაჲ.“

52. ხოლო მე შეუდეგ და მიმაქცია მე მზისა აღმოსავალით კერძო. და მუნ
ვიხილე მე ქალაქი ერთი ღმრთისაჲ, რომელსა გარემორტყმულ იყო ათორმეტი
ზღუდე ოქროსაჲ. და კაცნი ვინმე დგეს კარსა მის ქალაქისასა და უნდა შესლ-
ვის, რათამცა შევიდეს ქალაქად. და თავნი მათნი მიწთომილ იყვნეს ზე და არა
მოედრიკნეს ქედნი მათნი, რათამცა შესრულ იყვნეს ქალაქად.

53. და ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან კაცნი ესე?“ მომიგო
და მრქუა მე: „ესენი არიან სახე მონესეობისა. სინმიდემან მათმან აქამომდის
მოი[198r]ყვანნა, ხოლო ამპარტავანებამან მათმან ქალაქად არლარა უტევნა
შესლვად.“

54. და თანა-წარვჰყვედ და ვიხილე მდინარე ერთი ღვნისაჲ, რომელ არს სახე
სიხარულისა და მხიარულებისა და მუნ ვიხილენ ბევრისბევრეულნი საყდარნი
და გვრკვნი, წმიდათათჳს განმზადებულნი. და ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფა-
ლო, ვინ არიან დიდებულნი ესე?“

49. მიუგე და om. BCDE. შეველენ BCDE. აქა] ამას შინა BCDE. გამომიცხადე BCDE. მე om.
BCDE. და om. BCDE. იყენე (sic) A. იგინი A. მოუხსენებელ E. იგინი om. BCDE.

50. მომიგო და om. BCDE. მან om. BCDE. ~ არიან გრძნეულნი BCDE. აქა იანე D. წმინ-
დისა E. მგმობარნი სულისა წმიდისანი D. იგინი მკვდრ არიან აქა] რომელნი უხდებოდეს
მოსეს ეგვპტეს შინა და აქა დამარხულ არიან უკუნისამდე. და ყოველნი მწვალებელნი და
მგმობარნი სულისა წმიდისანი ამას შინა იმყოფებიან D. მე BCDE. მის] მას om. BCDE.
ჯურღმულისა add. მისგან A.

51. მე ანგელოზმან მან om. BCDE. იხილე BCE. ~ იხილე პავლე D. საყოფელი სულთა
ცოდვილთანი D. მიუგე და – BCDE. ჰე] ჴე D. მომიგო და om. BCDE. ანგელოზმან მან A,
ანგელოსმან D] om. BCE. ~ შემომიდეგ პავლე D. და om. A. საყოფელი BCDE.

52. მე(2) om. BCDE. მე(3) om. BCDE. სდგეს D. მის] მას BCE. შესლვაჲ BCE. შესლუა D.
იყუნეს D. მიწდომილ D. მოიდრიკნეს BCDE. ქედნი] თავნი BCDE. იყუნეს D.

53. ვკითხე E. მას om. BCDE. კაცნი ესე] ესენი BD, ესენი, მომიგო და მრქუა om. CE. ეს-
ენი არიან] ესე არს BCDE. მონესეობისა] მოლუანებისა BCDE. სინმიდემან E. აქამომდე
BCDE. მოიყვანნა D. ხოლო] და D. მათმან om. BCDE. არლარა] არა E. უტევა D.

54. თანა-წარვლე BCE, თანა-წარვლე D. ღვნოსაჲ BCE, ღვინოსა D. სიხარულისა A.
მხიარულებისა ACD. ვკითხე E. ანგელოზსა მას om. BCE, ანგელოსსა D.

55. მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან: „ესე არიან წინააღმართმეტყუელები. უკუეთუ ვინმე იქცეოდის სოფელსა შინა შიშითა ქრისტესითა და გლახაკთა მონყალებითა და სტუმართმოყუარებითა და გარდაიცვალოს ამიერ სოფლით, მოვიდეს და დაჯდეს იგი საყდართა სამეფოთა და დაიდგას გვრგვნი თავსა მისსა, და იხარებდეს იგი უკუნითი უკუნისამდე.“

56. თანა-წარვჰვედ მასცა და ვიხილე მდინარე ერთი სძისაჲ, ესე არს სახე სიყუარულისაჲ. და მუნ ვიხილენ კუალად ბევრისბევრეულნი საყდარნი და გვრგვნი, წმიდათათჳს განმზადებულნი. და ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან დიდებულნი ესე?“

57. მომი[198v]გო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „ესე არიან მამათმთავარნი. უკუეთუ ვინმე იყოს სოფელსა შინა და ესუას ცოლი და ესხნეს შვილნი და იქცეოდის იგი შიშითა ღმრთისაჲთა, წყალობითა გლახაკთაჲთა და სტუმართმოყუარებითა, და გარდაიცვალოს იგი ამიერ სოფლით, მოვიდეს იგი და დაჯდეს საყდართა სამეფოთა და დაიდგას გვრგვნი თავსა მისსა და იხარებდეს იგი უკუნითი უკუნისამდე.“

58. თანა-წარვჰვედ მასცა და ვიხილე სხუაჲ მდინარე, რომელ არს თავლისაჲ. ესე არს სახე სიტკბოებისა და მშკდობისა. მუნ ვიხილენ მე ბევრისბევრეულნი საყდარნი და გვრგვნი წმიდათანი. ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან დიდებულნი ესე?“

59. მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „უკუეთუ ვინმე იყოს სოფელსა შინა სახე მღვდლობისა და იქცეოდეს იგი შიშითა ქრისტესითა, წყალობითა გლახაკთაჲთა, სტუმართმოყუარებითა, და მსხუერპლსა ღმრთისასა სინმიდით

55. მე ანგელოზმან om. BCDE. ესე] ესენი D. უკეთუ D. იქცეოდეს BCDE. და(2) om. BCDE. გლახაკთომონყალებითა BCD, გლახაკთმოყუარებითა E. სტუმართმონყალებითა CE] და უცხოთა შეწყნარებითა, რაჟამს D. და om. BCE. ამიერ სოფლით om. BCDE. და] იგი D. იგი – D. მოვიდეს om. BCDE. საყდართა add. ამათ BE. დაედგას D. ~ გვრგვნი თავსა მისსა BCDE.

56. თანა-წარვლე BCE, თანა-წარვვლე D. მასცა om. BCDE. ერთი om. A. სძისა D. სახე om. BC. სიყუარულისა BCDE. ვიხილე E. კუალად om. BCDE. და გვრგვნი om. BCDE. ~ განმზადებულნი წმიდათათჳს BCDE] და გვრგვნი (გვრგვნი CE) BCDE. და om. BCDE. ვკითხე DE.

57. მომიგო და om. BCDE. მე om. BCDE. ესე] ესენი D. მამათა მთავარნი E, მამადმთავარნი პირველნი D. უკეთუ D. ესხნენ BCE. შვილნი add. და იყუნენ სინმიდით და D. და om. BCE. იქცეოდეს BCDE. იგი - D. ღმრთისაჲთა] ქრისტესითა BCDE. გლახაკთა A. და om. A. სტუმართმოყუარებითა add. უცხოთა შეწყნარებითა რა D. და BCDE. გარდაიცვალებს C. მივიდეს BCDE. იგი om. BDE. დაჯდეს add. იგი C. ~ თავსა მისსა გვრგვნი BCE. მისსა om. D.

58. თანა-წარვჰვედ მასცა om. BCDE. რომელ არს om. BCDE. მე om. BCDE. წმიდათანი+და B.

59. მომიგო და om. BCDE. მრქუა] ჰრქუა C. მე om. BCDE. მან om. BCDE. უკეთუ (sic) A. სოფელსა შინა om. BCDE. და om. BCDE. უკუეთუ ... იქცეოდეს] ესენი არიან მემსხუერპლენი უკეთუ იქცეოდეს მღვდელნი სინმიდით და იყოს D. და წყალობითა D. სტუმრის მოყუარებითა და უცხოთა შეწყნარებითა D. ღ-ისა C, ღ-ისა E, სინმიდითა E] add. და შიშით D.

შესწირვიდეს, და გარდაიცვალოს იგი ამი[199r]ერ სოფლით, მოვიდეს და დაჯდეს იგი საყდართა სამეუფოთა და დაიდგას გვრგვნი თავსა მისსა და იხარებდეს იგი უკუნიითი უკუნისამდე.“

60. და თანა-წარვჰვედით მას და მიმაქცია მე სამხრით კერძო. და მუნ ვიხილენ მე ბევრისბევრეულნი საყდარნი და გვრგვნი, წმიდათათჳს განმზადებულნი, კუალად ვიხილე მუნ საყდარი ერთი, უმაღლესი ყოველთა საყდართასა. მუნ ჯდა კაცი ერთი, თმითა მწითური და თუალითა შუენიერი, და იტყოდა ალილუასა. ხოლო ალილუასა მისგან იძრვოდა ქალაქი იგი საფუძველითურთ.

61. და ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფალო, რაჲ არს ალილუაჲ? ანუ ვინ არს, რომელი იტყვს ალილუასა?“ მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „დავით წინასწარმეტყველი არს და იტყვს: უფალი მოვალს.“

62. თანა-წარვჰვედით და ვიხილენ სხუანი ბევრისბევრეულნი ანგელოზთა საყდარნი და გვრგვნი წმიდათანი. და ვჰკითხე ანგელოზსა მას: „უფალო, ვინ არიან დიდებულნი ესე?“

63. [199v] მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან: „ესე არიან ებისკოპოსთათჳს განმზადებულნი, რომელნი სოფელსა შინა შიშითა ქრისტესითა იქცეოდეს წყალობითა გლახაკათათა და სტუმართმოყუარებითა და მსხუერპლსა ღმრთისასა სიმართლით და სინმდით შესწირვიდეს და სამწყსოჲ ქრისტესი კეთილად და სინმდით დაემწყსოს. რაჟამს გარდაიცვალენ ამიერ სოფლით, მოვიდენ და დასხდენ საყდართა სამეუფოთა და დაიდგენ გვრგვნი დიდებისანი და იხარებდენ უკუნიითი უკუნისამდე.“

59. მომიგო და om. BCDE. მრქუა] ჰრქუა C. მე om. BCDE. მან om. BCDE. უკეთუ (sic) A. სოფელსა შინა om. BCDE. და om. BCDE. უკუეთუ ... იქცეოდეს] ესენი არიან მემსხუერპლენი უკეთუ იქცეოდეს მღვდელნი სინმდით და იყოს D. და წყალობითა D. სტუმრის მოყუარებითა და უცხოს შეწყნარებითა D. ღ_ესა C, ღ_ისა E, სინმნდითა E] add. და შიშით D. და om. BCDE. მივიდეს BCE] add. აქა D. იგი om. BCDE.

60. თანა-წარვლე BCDE. მას om. BCDE. მომაქცია BCDE] მე om. BCE. სამხრით] სამწრეთით A. ~ ვიხილენ მე მუნ BCDE. წმინდათათჳს E. და კუალად BCDE. ვიხილე] ვკითხე E. მუნ om. BCDE. საყდართა A. ~ ერთი კაცი BCDE. ~ მწითური თმითა BCDE. და om. A. ალილუასა B, ალ_ესა CE, ალილუისა D. ხოლო ალილუასა მისგან] მაშინ BCDE. ალილუისა A.

61. და om. BCDE. ვკითხე E. ალ_ე AC. ალილუია D. ანუ] ან D. არს add. კაცი იგი D. ალილუასა B, ალ_ესა CE, ალილუისა D. მე om. BCDE. მან add. ეგე D. წინასწარმეტყველ D. არს add. ესე BCE.

62. თანა-წარვჰვედით om. BCDE. -წარვვედით A. სხუა C. ~ საყდარნი ანგელოზთანი BCDE. წმინდათანი E. ვკითხე DE.

63. ანგელოზმან om. D. მან om. BCDE. ესე] ესენი D. ებისკოპოზთათჳს BCE, ებისკოპოსთათჳს D. განმზადებულნი om. A. სოფელსა შინა om. BCDE. და om. D. სტუმართმოყუარებითა add. უცხოსშეწყნარებითა D. და om. C. ღუთისასა D. სიმართლით და om. BCDE. და om. BCDE. ქრისტესი] თჳსი BCDE. დაიმწყსოს BCE. დამწყსოს A. რაჟამს om. D. გარდაიცვალოს BCDE] add. იგი ABCDE. მივიდეს BCE, მოვიდეს D. დასხდენ] დაჯდეს BCDE. დაიდგას BCDE. გვრგვნი BCDE. დიდებისანი] სამეუფოჲ BCDE. იხარებდეს BCDE] add. იგი ABCDE.

64. და თანა-ნარვჰჳედ და მომაქცია ქუეყანად კერძო. და მომეგება მე ბერი კაცი. ტიროდა და ტირილით მრქუა მე: „ნეტარ ხარ შენ, პავლე, და ნეტარ არს, რომელსა ჰრწმენეს შენი.“ მიუგე და ვარქუ: „ვინ ხარ შენ, უფალო?“

65. მომიგო და მრქუა მე: „მე ვარ ნოე, რომელი ვიყავ ჟამსა წყლითრღუნისასა. და მე შევექმენ კიდობანი სამსა წელსა, და რამეთუ არა ვიკუეცე თმამ თავისა ჩემისაჲ, არა მივხედენ ცოლსა ჩემსა, ვიდრემდის დასცხრა წყლითრღუნაჲ პირ[200r]სა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა.“

66. მიუგე და ვარქუ მას: „რაჲსათჳს უკუე სტირ შენ, ჳ მოხუცებულო?“ და მან მრქუა მე: „ამისთჳს ვტირ მე, რამეთუ სასუფეველისა სავანენი ფრიად არიან და კაცი მომავალნი მცირედ არიან მას შინა ბოროტთა საქმეთა მათთაგან.“

67. კუალად ნარვჰჳედ თანა და მომეგება სხუაჲ ბერი კაცი, და ტიროდა იგიცა მწარედ. და ტირილით მრქუა მე: „ნეტარ ხარ შენ, პავლე, და ნეტარ არს ნათესავი, რომელსა ჰრწმენეს შენი.“

მიუგე და ვარქუ მას: „ვინ ხარ შენ, უფალო?“

68. მომიგო და მრქუა მე: „მე ვარ ელია, რომელი ვიყავ ჟამსა უწკმროებისასა და მე შევეკრენ ღრუბელნი უკეთურებისათჳს აქაბისა და იეზაბელისა და ისრაელთა ერისა. და არა ვანჳმე წჳმამ ქუეყანასა ზედა სამ წელ და ექუს თუე.“

69. მიუგე და ვარქუ მას: „და რაჲსათჳს სტირ შენ, ჳ მოხუცებულო?“ მომიგო და მრქუა მე: „ამისთჳს ვტირ მე, რამეთუ სასუფეველი ფრიად და კაცი მრავლად ქუეყანასა ზედა, გარნა მომავალნი აქა მცირედ არიან [200v] უკეთურებისათჳს საქმეთა მათთაჲსა.“

70. მაშინ მომაქცია მე ანგელოზმან მან ქუეყანადვე და კუალადცა მრქუა მე: „პავლე, იხილენ-ა განგებულებანი ღმრთისანი, და თუ ვითარ გამოვალს სული ჳორცთაგან მართალთა და ცოდვილთაჲ და თუ ვითარნი სატანჯველნი

64. თანა-ნარვლე BCDE. მიმაქცია E. და(2) om. BCE. და(3) om. BCE. მე om. BCDE. ~ და ტიროდა BCDE. ტირილითა D. მე om. BCDE. ნეტარ არს add. ნათესავი BCDE. რწმენეს D. შენ om. BCDE.

65. ნოე BCE. ჟამსა] პირველ BCDE. წყლითრღუნისასა A. სამსა] ასსა D. რამეთუ om. BCDE. ვჰკუეცე BCE. ჩემისა A] add. და BCDE. დასცხრა BCDE.

66. და ვარქუ მას om. BCDE. უკუე om. BCDE. ჳ om. BCDE. მან] და D. და om. BCE. ამისთჳს ვტირ მე om. BCDE. სასუფეველისა BDE, სასუფეველსა C. არიან om. D.

67. ნარვჰჳედ თანა] ნარვლეთ BCE, ნარვვლეთ D. და om. A. იგიცა] იგი BCDE. ტირილით om. BCDE. მე om. BCDE. მას om. BCDE.

68. მომიგო და om. BCDE. მე(1) om. DE. ელია D. უწკმროებისასა A. მე(3) om. BCDE. აქა-ბისსა BCE, აქაბ მეფისა და ცოლისა მისისა D. ეზაბელისა E. წჳმა A] om. BCDE. ერისა add. ურჩებისათჳს D. თუჳ B.

69. მას om. BCDE. რასათჳს A. შენ om. BCDE. და მრქუა om. CE. მე om. BCDE. ვსტირ BCD. მათთასა ABC] მათთათჳს D.

70. მე om. BCDE. მან om. BCDE. ~ კუალად ქუეყანადვე BCDE. და om. CE. მე om. BCDE. იხილენ BCDE. განგებანი DE. ღმრთისანი D, ღმრთისანი E. თუ om. D. და(4) om. C. თუ(3) om. C.

განმზადებულ არიან ცოდვილთათვის და თუ ვითარნი დიდებანი და პატივნი და საშუებელნი მიელიან მართალთა და გვრგვნი ბრწყინვალენი, რომელი ეგვეითარი არცა თუალმან იხილა, არცა ყურსა ესმა, არცა გულსა კაცისასა მოუჭდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თესთა.

71. ხოლო ესე უწყოდით ჭეშმარიტი, რამეთუ ცოდვილთა სატანჯველსა არა აქუს [დასასრული] უკუნითი უკუნისამდე და არცა მართალთა დიდებასა და პატივსა შეეცვალების უკუნითი უკუნისამდე.

72. და ან შენ, პავლე, რჩეულ ღმრთისაო, ამისთვის მოგეცა შენ ღმრთისა მიერ ამათ ყოველთა ცნობაჲ და გამოცხადებაჲ, რაჲთა ჰქადაგო ბრწყინვალედ და მიუთხრნე ყოველთა კაცთა განგებულებანი ღმრთისანი და მოაქცივნე გზათაგან მათთა ბოროტთა და არა წარწყმდენ უშჯულოთა თანა უშჯულოდ ქცევითა, არამედ კეთილად და სათნოდ ღმრთისა ქცევითა მოხარულნი ადიდებდენ მამასა, ძესა და სულსა [201r] წმიდასა – სამებასა სრულსა და განუყოფელსა.“

73. ხოლო მე, პავლე, მონაჲ და მოციქული ქრისტეს იესუსი, გინამებ ყოველთა მორწმუნეთა, თვთ მის ჭეშმარიტისაგანთა, და მიგიტხრენ ესე ყოველნი ხილულნი ჩემ მიერ, ნუ აღირჩევთ წუთ ერთსა და ჩრდილის სახესა სანუთროსა, რომელსა სასჯელად და წარსაწყმედელად მიჰყვანან ყოველნი საუკუნოესა მის დიდებისა და ნეტარებისა განსუენებისა წილ.

74. ჰე, გვედრები, ძმანო, ყოველთა და გლოცავ, რაჲთა შევიწყალნეთ სულნი თქუენნი და ბრწყინვალე ვყვენეთ საქმეთა მიერ კეთილთა: წორცთა სინმიდითა, გლახაკთა წყალობითა, სტუმართა მოყუარებითა, მშკდობით და სიტკობებითა ქცევითა, ეკლესიისა და ლოცვისა სიყუარულითა, უმანკობითა და სინრფოებითა.

75. არა განცხრომითა, არა ფუდულებითა და ტრიობითა, არა მოსუმურობითა და ნაყროვანებითა, არა ტყუილითა და ფიცითა, არა თავვედობითა, არა ავაზაკობითა და ტაცებითა, არა ანგარებითა და ვეცხლისმოყუარებითა, რომელთათვის მოინვეის რისხვაჲ ღმრთისაჲ ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა.

70. და(7) om. BCDE. გვრგვნი E. ~ თუალმან არა BCDE. მოუხდა DE. ღმერთმან om. C.

71. უწყოდეთ A. ცოდვილსა A. დასასრული ... შეეცვალების om. A.

72. ლუთისა C, ღისაო E. და(3) om. CE. მოაქციონ A. გზათა მათგან BCDE. უსჯულოთა BCDE. უსჯულოდ BCDE. ლუთისა D. ადიდებენ BCE. მამასა add. და BDE. ~ წმიდასა სულსა BCDE. და om. BCDE. განუყოფელსა add. რომლისა არს სუფევა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ BCDE.

73. მონაჲ და მოციქული მონა-მოციქული BCDE. ქრისტე იესოსი D, ქსიესი E. ჭეშმარიტებისაგანთა D. მოგიტხრნე BCE. ~ ჩემ მიერ ხილულნი BCDE. და ჩრდილის] აჩრდილისა BCDE. საუკუნოსა A. განსუენებისა წილ] განსუჭ წე A.

74. ჰე] ეჰა BCD, ეჰა E. შეინყალნეთ BCDE. და ბრწყინვალე ვყვენეთ] ბრწყინვალედ BCDE. მიერ] მიმართ BCDE. სინმიდითა E. გლახაკთა წყალობითა] გლახაკთმონყალებითა BCDE. სტუმართმოყრბითა A. მშკდობითა BCDE. და om. BCDE. ქცევითა om. BCDE. ეკლესიათა E. ეკლესიათა BCD. და ლოცვისა] ლოცვითა B add. შინა მოსლვითა და D. და om. BCDE.

75. ტირობითა C. მოსმურობითა BCDE. ნაყროვანებითა D. ტყუილითა D. თავვედობითა A. ჰანგარებითა BC. რისხუაჲ C. მათ om. BCDE.

76. [201v] არამედ სათნოდ ღმრთისად იქცეოდით, კეთილად და შუენიერად, ვითარცა ჭეშმარიტნი მონანი და მონაფენი ქრისტესნი, ვითარცა მოსყიდულნი და გამოწსნილნი პატიოსნითა და ყოვლად წმიდითა სისხლითა მისითა, რაჟთა არა იქმნეთ თანამოდასე და მონაწილე შინაგანმცემელისა იუდა[ა]სა.

77. არამედ რაჟთა ყოველნი ესე თვთმხილველ და ჯელითმსახურ ვიქმნეთ ჩუენ, მონაფენი და მოციქულნი ქრისტეს ღმრთისანი. ჩუენ თანავე ღირს იქმნეთ მიმთხუევად საუკუნეთა მათ კეთილთა წმიდათა ანგელოზთა თანა მადლითა და წყალობითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდშობილისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ პატივი და დიდებაჲ და თაყუანისცემაჲ ან და მარადის, დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

76. ღმრთისად] ლუთისა D. იქცეოდეთ BCDE. შუენიერად add. ხვდოდით A. და om. CE. ქრისტესნი] ქუეყნისანი E. გამოსწილნი A. წმინდითა E. ექმნეთ BCE, ექმნათ D. შინაგანმცემელსა BC. იუდაჲსასა A, იუდასსა CDE.

77. ესე om. BCDE. და om. E. ჯელითმსახურ] ჯელდასხმულ BCDE. ვიქმნეთ A, იქმნეთ CE. საკნე A. ლუთისანი რათა D. მხოლოდშობილისა add. ძისა შენისათა და BCD. ძისა და E. იესო E. სულით წმიდითურთ om. BCDE. ~ დიდებაჲ სა პატივი BCDE. თაყუანისცემა C. კეთილთ

თამარ ოთხმეზური

ბრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციებში: „აღვსებასის საკითხავის“ ბასილი მინიმუსის განმარტება

ადრებიზანტიური სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედება ყოველთვის იწვევდა ბიზანტიელ მწიგნობართა განსაკუთრებულ ინტერესს და ხშირად ხდებოდა მათი განსჯისა თუ განმარტების საგანი. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ამ ავტორის ჰომილიებზე, პოეზიასა და წერილებზე იქმნებოდა სხვადასხვა ხასიათის (თეოლოგიური, მითოლოგიური, დოგმატური, რიტორიკული და სხვ.) კომენტარები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს X საუკუნის ბიზანტიელი მწიგნობრის, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსის, ბასილი მინიმუსის კომენტარებს. როგორც კომენტარების შესავლიდან, ბასილი მინიმუსის ეპისტოლიდან¹ ირკვევა, მას შეუკრებია გრიგოლის თხზულებებზე მანამდე არსებული კომენტარები, შეუმოკლებია, ნაწილობრივ გაუმარტივებია, საკუთარი განმარტებები დაურთავს და ამ სახით მიურთმევია იგი ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტიკისათვის. ბასილის კომენტარები გრიგოლის ორმოცდაორ სიტყვას ეხება. ამ უზარმაზარ კომპილაციურ ნაშრომში გრიგოლის თხზულებათა ადრინდელი კომენტატორების, მაგალითად, ფსევდონონეს მითოლოგიური სქოლიოების (VI ს.) თუ მაქსიმე აღმსარებლის (VII ს.) თეოლოგიური ხასიათის განმარტებების გვერდით ვხვდებით ფილოლოგიური და რიტორიკული ხასიათის კომენტარებს, რომლებშიც ელნისტური ეპოქის ფილოლოგთა, აგრეთვე ე. წ. „მეორე სოფისტიკის“ ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსთა ნაშრომების გავლენა იგრძნობა.

¹ ბასილი მინიმუსის ეპისტოლის ბერძნული ვერსიის პუბლიკაცია იხ. Th. S. SCHMIDT, *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii (Corpus Christianorum. Series Graeca, 46. Corpus Nazianzenum, 13)*, Turnhout - Leuven, 2001, p. 2-6. ეპისტოლის ქართული თარგმანის პუბლიკაცია იხ. თ. ოთხმეზური, *გრიგოლ ნაზიანზელის კომენტარების ისტორიიდან*, მრავალთავი XV, 1989, გვ. 18-31.

ბასილი მინიმუსის კომენტარები, კერძოდ, გრიგოლის თექვსმეტი სიტყვის განმარტება ქართულად ეფრემ მცირის მიერ არის ნათარგმნი.² ბასილის კომენტარების ტექსტი გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების ეფრემისეული თარგმანების ოთხ კრებულში დასტურდება. ესენია: *Jer. iber.* 43 - XII-XIII სს.; *Jer. iber.* 15 - XII ს.; *A-109* - XIII ს.; *Jer. iber.* 13 - XIV ს.³

წარმოვადგენთ ბასილი მინიმუსის ერთ-ერთი კომენტარის, გრიგოლ ნაზიანზელის პირველი საკითხავის *Oratio I - In sanctum Pascha et in tarditatem* განმარტების ქართული თარგმანის პუბლიკაციას ოთხი ხელნაწერის მიხედვით:

A, A'⁴: A-109 - f. 188 - 189: Oratio I (cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.);

B: Jer. 15: f. 195 - 197^v: Oratio I (cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.)

C: Jer. 43: f. 202^v - 204^v: Oratio I (cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.)

H: Jer. 13: f. 364 - 365^v: Arg. et schol. Bas. Minim. in Orationem I.⁵

ტექსტის გამოცემის პრინციპები


ბასილი მინიმუსის კომენტარის ტექსტის გამოცემის პრინციპების შემუშავებისას გავითვალისწინეთ, ერთი მხრივ, კომენტარული ტექსტის

² გვიანდელი წყაროების მონაცემთა მიხედვით, სავარაუდოა, რომ ეფრემს ნათარგმნი უნდა ჰქონოდა გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული საკითხავების ბასილი მინიმუსის კომენტარებიც, იხ. თ. ოთხმეზური, *ეფრემ მცირე და გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული საკითხავების ბასილი მინიმუსისეული კომენტარები*, მრავალთავი XXI, 2005, გვ. 115-118.

³ თ. ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბილისი, 1988, გვ. 133-167; T. Bregadzé, *Répertoire des manuscrits de la version géorgienne des Discours de Grégoire de Nazianze*, in *Versiones orientales, repertorium ibericum et studia ad editiones curandas*, ed. B. Coulie (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 20. *Corpus Nazianzenum*, 1), Brepols-Turnhout, 1988, p. 79-80.

⁴ ამ ხელნაწერის კომენტართა გადანუსხვასა თუ შევსება-გაცხოველებაზე სხვადასხვა დროს სამი გადამწერი მუშაობდა – კომენტარები, რომლებიც ხელნაწერის აშიებზეა მოთავსებული, სამი სხვადასხვა ეპოქის ხელით არის შესრულებული: 1. *A* – XIII ს. ნუსხური – იგივე ხელი, რომლითაც დაწერილია კრებულის ძირითადი ტექსტი; 2. *A'* – XIV-XV სს. ნუსხური; 3. *a* – XVIII ს. ნუსხური, რომლითაც შევსებული და ზოგ შემთხვევაში გაცხოველებულია კომენტართა ნაკლები ნაწილები, იხ. თ. ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 156. გრიგოლის პირველი საკითხავის კომენტარი *A* და *A'* გადამწერის ხელით არის გადანუსხული. ზოგჯერ ერთი და იგივე განმარტება ხელნაწერის გვერდზე ორჯერ, როგორც *A*, ისე *A'* ხელით არის წარმოდგენილი.

⁵ ეს ნუსხები შესაბამისი ლიტურგიით (*A, B, C, H*) აღნიშნულია გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავთა ეფრემისეული თარგმანების კრიტიკულ გამოცემაშიც: *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica I, Orationes, I, XLV, XLIV, XLI*, ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Othkhmezouri, M. Raphava, M. Chanidze (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 36. *Corpus Nazianzenum*, 5), Turnhout-Leuven, 1998.



გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებული ბასილი მინიმუსის კომენტარებით (A109, f. 188).

სპეციფიკა (იგი შინაარსობრივად მთლიანად დამოკიდებულია ძირითად ტექსტზე), მეორე მხრივ, კომენტართა შემცველი როგორც ბერძნული, ისე ქართული ხელნაწერების მონაცემები.

კომენტარის სტრუქტურა და მისი წარმოდგენის ფორმა ბერძნულ ხელნაწერებში ასეთია: ცალკეული სიტყვის კომენტარი რამდენიმე ათეული სხვადასხვა სიდიდის განმარტებისაგან შედგება. თითოეულ განმარტებას წინ უძღვის გრიგოლის საკითხავიდან ამოღებული განსამარტავი ფრაზა (ე. წ. *lemma*). რაიმე კანონზომიერება კომენტატორის მიერ განსამარტავი პასაჟების შერჩევაში არ შეინიშნება. ბერძნულ ხელნაწერებში ეს განმარტებები თავისი ლემებით ან ხელნაწერის აშიებზე არის ხოლმე მოთავსებული, ან ცალკე კრებულად, გრიგოლის საკითხავების გარეშე არის წარმოდგენილი.

ბერძნულისაგან განსახვავებით, ქართულ ხელნაწერებში, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ლემები არ დასტურდება.⁶ მათგან სამში – *Jer.* 43-ში, *Jer.* 15-სა და *A-109*-ში კომენტარები აშიებზეა დაწერილი. აშიაზე მოთავსებული თითოეული განმარტების დასაწყისში მცირე ზომის სხვადასხვა ფორმის (ვარდულის, სამკუთხედის, წრის და ა. შ.) სინგურით შესრულებული ნიშანია დასმულია. ამავე ნიშანს ჰომილიის ტექსტში იმ სიტყვისა თუ ფრაზის გვერდზე ან თავზე ვხვდებით, რომელიც კომენტარშია განმარტებული. *Jer.* 13-ში ბასილის კომენტარი გაბმული ტექსტის სახით ხელნაწერის ბოლოს არის მოთავსებული. კომენტარის შემადგენილი ნაწილები – განმარტებები – ამ ხელნაწერში დანომრილია. ცალკეული განმარტება მთავრული ასოთია აღნიშნული.

ბასილი მინიმუსის კომენტარის გამოცემისას განმარტებები დავნომრეთ; თითოეულ განმარტებას წინ დავურთეთ განსამარტავი ფრაზა გრიგოლის საკითხავიდან (როგორც ქართული – ეფრემისეული თარგმანიდან, ისე ბერძნულიდან). განსამარტავ ფრაზას, როგორც ქართულს, ისე ბერძნულს, ახლავს მითითება გრიგოლ ნაზიანზელის ტექსტში მისი ადგილმდებარეობის შესახებ.⁷

კომენტარის ტექსტს სამეცნიერო აპარატთან ერთად ერთვის შენიშვნები. მათი მიზანია, დამატებითი ინფორმაცია მიანოდოს მკითხველს იმ კონტექსტის შესახებ, რომელშიც განმარტების ტექსტი უნდა იყოს გააზრებული. შენიშვნები

⁶ გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვის ბასილი მინიმუსის კომენტარის ეფრემისეულ თარგმანში დასტურდება სულ ცხრა ლემა, იხ. თ. ოთხმეზური, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, (სადისერტაციო ნაშრომი), 2005.

⁷ მითითებები ვაკეთებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: ქართული ტექსტი – *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica I, Orationes, I, XLV, XLIV, XLI (Corpus Christianorum. Series Graeca, 36. Corpus Nazianzenum, 5)*; ბერძნული ტექსტი – *Patrologiae cursus completus omnium Patrum, Doctorum, Scriptorumque Ecclesiasticorum, Series Graeca, J. P. MIGNE ed., t. 35, Parisii, 1857.*

არ ითვალისწინებს ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების წარმოჩენას (ეს ცალკე საკითხია, რომლის გადაწყვეტა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შენიშვნების ფარგლებში ვერ მოხერხდება⁸), თუმცა შენიშვნებში ხშირად არის დამონშებული ბერძნული წყარო⁹ გრიგოლის ტექსტსა და ბასილის განმარტებებს შორის არსებული მიმართების, აგრეთვე თავად ბასილის განმარტებების ღრმად გააზრების ხელის შეწყობის მიზნით.

Thamar Otkhmezuri

**COMMENTARIES ON THE WORKS OF GREGORY OF NAZIANZUS IN
THE GEORGIAN TRANSLATION TRADITION:
BASILIUS MINIMUS' COMMENTARY ON ORATIO 1**

SUMMARY

The article represents the publication of the Georgian version of the Commentary on Gregory of Nazianzus' Oratio 1 composed by the tenth-century Byzantine scholar Basilius Minimus.

⁸ ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის სპეციფიკის შესახებ ბასილი მინიმუსის კომენტარების თარგმანებში იხ. თ. ოთხმეზური, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში* (სადისერტაციო ნაშრომი).

⁹ ბასილი მინიმუსის კომენტარების ბერძნული ტექსტი, გარდა ერთი ლიტურგიკული სიტყვის (*Or.* 38) კომენტარისა და ზოგიერთი კომენტარის რამდენიმე ფრაგმენტისა, გამოცემული არ არის, იხ. Th. S. Schmidt, *Basili Mini in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*; R. Cantarella, *Basilio Minimo II, Scolii inediti con introduzione e note*, BZ 26, 1926. გრიგოლის პირველი ჰომილიის კვლევისას ვისარგებლეთ ბერძნული ხელნაწერით *Paris. Coisl.* 240, s. XI, რომლის ქსეროასლი მოგვანოდა ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტის პროფესორმა ფ. მოსეიმ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

თქუმულისა საკითხავისასა უწყებაჲ მიზეზსა აღვსებისა და პონტოს დაყოვნებისათჳს

2

ჩანს, ვითარმედ ანინდელი ესე სიტყუაჲ პირველ დიდისა მის სიტყვს-
საგებელისა, რომელ არს „ვიძლიე“¹, თქუმულ არს მოძღურისა მიერ, რაჟამს
შემდგომად ხუცად წელთდასხმისა პონტოს ლტოლვილი კუალად-იქცა მიერ.² და
ესე აღვსებად შემოსრულმან შემოკლებით წარმოთქუა, ხოლო იგი ამისსა შემდ-
გომად საზოგადოდ თჳსაგან აღწერა არარაჲს მქონებელად მიზეზისა და პირისა
სადღესასწაულოჲსა. რაჲთამცა ჟამის მოკლებითა სიტყუაჲცა შეამოკლა, ვითარ-
ესე ან აღვსებისა დღესასწაულისათჳს მოკლედ თქუა. ვინაჲ ესეცა იცნობების,
ვითარმედ „ვიძლიე“ თჳსაგან აღწერა, ხოლო ესე ეკლესიასა შინა წარმოთქუა.³

Tit. H. Argum. A B C H: ⁴ამის ABC. ⁶ სიტყუაჲცა H. ⁷ ვინაჲცა ესე C.

¹ იგულისხმება გრიგოლ ნაზიანზელის მე-2 ჰომილია – *სიტყუა პასუხისგებითი პონტოდ მიმართ ლტოლვილისათჳს და კუალად უკმოქცევისათჳს მიერ ხუცად წელთდასხმისა ძლით* (PG 35, col. 408-531), რომელიც ქართულად სამჯერ ითარგმნა (ექვთიმე ათონელი, დავით ტბელი, ეფრემ მცირე). სამივე ტექსტი იწყება სიტყვით „ვიძლიე“. კომენტარში მითითებულია ჰომილიათა შექმნის თანმიმდევრობა, ამავე დროს განსაზღვრულია მათი ჟანრი: აპოლოგეტიკური სიტყვა – დიდი სიტყვსაგებელი (Or. 2), რომელიც გრიგოლმა დაწერა სადღესასწაულო სიტყვის „აღვსებისათჳს და დაყოვნებისა“ (Or. 1) შემდეგ.

² ათენში განათლების მიღების შემდეგ თავის მშობლიურ ქალაქში, ნაზიანზში დაბრუნებული გრიგოლი მამამ, უფროსმა გრიგოლმა, რომელიც იმ დროს ნაზიანზის ეკლესიის მღვდალმთავარი იყო, მღვდლად აკურთხა. გრიგოლმა, რომლის ოცნება ასკეტური, მჭვრეტელური ცხოვრება და ლიტურატურული საქმიანობა იყო, ეს ფაქტი ძალდატანებად აღიქვა, გარკვეული დროით დატოვა ნაზიანზი და თავის მეგობართან, ბასილი დიდთან, პონტოში გაიქცა. იქიდან დაბრუნებულმა აღდგომის დღესასწაულზე წარმოთქვა თავისი პირველი სადღესასწაულო სიტყვა, რომელშიც აღდგომაზე, როგორც უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულზე საუბართან ერთად, მინიშნებებით თავის პირად პრობლემებსაც შეეხო. საკითხებს მოძღურის პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შესახებ გრიგოლი უფრო ღრმად და ვრცლად განიხილავს თავის მეორე ჰომილიაში.

³ კომენტატორი ერთმანეთისაგან მიჯნავს საკითხავის შექმნის ორ ხერხს. ერთია საკითხავის ზეპირად შეთხზვა და ეკლესიაში წარმოთქმა, მეორე – საკითხავის მარტოობაში დაწერა. შდრ. მარგინალური შენიშვნა, რომელიც დასტურდება გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავთა ქართული თარგმანების შემცველ გვიანდელ კრებულში და რომელიც, სავარაუდოდ, ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს: *შეისწავე, ვითარმედ წერიტისა გამოთქუმასა აღმწერელობა სახელ-ედების, ხოლო ზეპირით წარმოთქუმასა – ომილია, ესე იგი არს პირისპირ ზრახვა* (A-292, a. 1800, 317r).

1. ალდგომისა დღე, და დასაბამი მარჯუე *Iber. (1, l. 1) – Anastasew- hnev*
 2 **ra, kai; h/ajch; dexiavGr. (PG 396 A 3):** ესე სიტყუაჲ თჳსაგან მოკუეთით ითქუ-
 მოდენ, რამეთუ ნაკლულ არს სიტყესაგან სრულმყოფელისა.⁴ და დაღათუმცა
 4 სრულ იყო ქუემოჲ, ზემო არს მეორე პირველ.⁵ ამისსა შემდგომად იტყვს „დასა-
 ბამი მარჯუე“, რომელი-ესე კეთილობისა ნაცვალი არს, რამეთუ დასაბამ კე-
 6 თილსიტყუად დაწყებისა თჳსისა უნოდს დღესა ალდგომისასა. რამეთუ თვთ
 საქმით იწყო თვნიერ შესავალისა სადმე, არამედ არავე უწყლოვნოდ, რომელი
 8 სხუაგანცა გვთქუამს,⁶ ვითარმედ არცა ესე უწყლოვნო არს და ვითარ დამთხუე-

1. *A B* ცეჴრუნესე სიტყუნით, იტყესუბისნავეჲ გრინდოინჲ ხონანელჲს საქმთისა ერთეღბა
 თჳსსა თინინადი მახასიათებელია. გრიგოლის სტილის ამ თავისებურების შესახებ ხშირად
 საუბრობს ბასილი მინიმუსიც. ამ შემთხვევაში ის შენიშნავს – კომა (მოკლე
 ფრაზა, იგულისხმება ჰომილიის დასაწყისი ალდგომისა დღე) ნაკლულია. ეფრემი
 განავრცობს ბასილის აზრს. მისი შენიშვნით, ფრაზას აკლია სრულმყოფელი
 სიტყუა – იგულისხმება ზმნა, რომელიც, მართლაც, აკლია ჰომილიის პირველ
 ფრაზას. ნიშანდობლივია, რომ ამ საკითხავის ექვთიმე ათონელის თარგმანში
 მთარგმნელის მიერ ჩამატებულია ზმნა: ალდგომისა დღე არს.

⁵ ჩვენი აზრით, ტექსტის ეს ადგილი ბუნდოვანია. ბერძნულში შესაბამის ადგილას
 საუბარია პუნქტუაციის ნიშანზე (w- eij kai; teiteion h/ th/ ahw deutera). ahw
 deutera stigmhv არის ერთ-ერთი ნიშანი პუნქტუაციის საკმაოდ რთული, 8-ნიშ-
 ნიანი სისტემიდან, რომელიც ბასილი მინიმუსს შემოაქვს გრიგოლის ჰომილიებში
 და რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ახ. წ. II საუკუნის გრამატიკოსის, ნიკა-
 ნორის პუნქტუაციის სისტემას. D. L. Blank, *Remarks on Nicanor, the Stoics and
 the Ancient Theory of Punctuation*, Glotta, 61, 1983, p. 48-67; Th. S. Schmidt, *Basili
 Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*. ahw deutera stigmhv
 ყოვს ნინადადებებს, რომლებიც kai+თი არის შეკავშირებული და შესვენების
 ხანგრძლივობით (1 crono-) სასვენ ნიშანთა თანამედროვე სისტემიდან ყველაზე
 მეტად მძიმეს შეესაბამება. ამ ჰომილიის კრიტიკული გამოცემის მიხედვით თუ
 ვიმჯღელებთ, რომელიც განსაკუთრებული სიზუსტით ითვალისწინებს ხელნაწერთა
 ყველა დეტალს, ეს ნიშანი დასახელებულ ადგილას (kai+ის წინ) მართლაც უნდა
 იყოს დასმული ბერძნულ ხელნაწერებში – Anastasewō hmera: kai; h/ ajch; dexiav
 Grégoire de Nazianze, *Discours 1-3*, ed. J. Bernardi (Sources Chretiennes, 247), Paris, 1978,
 p. 72. ბასილის კომენტარების ეფრემისეულ თარგმანში ahw deutera-ს შესატყვისი
 ტერმინი ან ამ ტერმინის შესაბამისი აღწერითი თარგმანი სხვაგანაც არ დასტურ-
 დება.

⁶ ბასილი მინიმუსი იმონმებს თავისსავე კომენტარს, რომელსაც ის ურთავს
 გრიგოლის „შობის საკითხავის“ (*Or: 38*) დასაწყისს *ქრისტე იშვების, ადიდებდით*
 – ისეთივე ლაკონურს, როგორც პირველი ჰომილიის საკითხავის დასაწყისია.
 ბასილის შენიშვნით, შესავლის გარეშე „შობის საკითხავის“ დაწყება გრიგოლის
 „უწყლოვნობის“ ან შემთხვევითობის ბრალი არ არის: *კეთილადსწავლულებისა და*
სიძლიერისა ძლით მოღებულ არს აწინდელი არაქმნაჲ წინაშესავალისაჲ. ვინათგან
აღსარებულია აქუნდა მიზეზი საქმისაჲ, ვითარცა დიდებულებისა პირთაჲსა
მქონებელი, რომელი-ესე ცხად არს, რომლისათჳს შემოკრებულ იყვენეს, ვითარცა
დიდისა საქმისა. ვინაჲცა ნამეტნავ იყო წინაშესავალთა ჳუმევაჲ, რამეთუ არა არს
ოდესმე, რომელ მოსწრაფეყოფისათჳს სხუათაჲსა მოვიპოვებთ წინაშესავალთა და
ყოვლად არასამეცნიეროდ, არამედ რეცა საწყლოვნოდ თანაშეღარებითა ჟამთაჲთა.

„აღვსების საკითხავის“ ბასილი მინიმუსის განმარტება

ვით ქმნულ. რამეთუ წინაშესავალად დაგიცვა შენ „აღდგომისა დღე“, ვითარცა 10

წინადაწესებისა გულისწმისყოფასა მქონებელი, ხოლო შესასრულებელ მისსა ყო
„და დასაბამი მარჯუე“. ხოლო შემდგომითა წინა-გიყოფს შენ სათხოველსა თქსსა. 2

2. ვჰრქუათ „ძმა“ მოძულეთაცა ჩუენთა⁷ *Iber. (1, l. 3) – eipomen, ajlelfoiy
kai; toi~ misousin hha~ Gr. (PG 396 A 5)*: ესრეთ იტყვს, ვითარმედ თჳსებითი 6
ესე სახელი ძმობისა არა ხოლო მოყუარეთა, არამედ მოძულეთაცა ჩუენთა
ვჰრქუათ, რამეთუ ძმა ვართ ბუნებითად, ვითარცა ერთისა ბუნებისანი, და
სარწმუნოებითა, რამეთუ მისვე ღმრთისა მიმართ გურწმენა ყოველთა. ვინაცა 2
ძმებრივად ერთცნობობად კეთილსა ზედა თანამდებ ვართ ყოველნი, ამისთჳს
აღდგომისა დღისა პატივად ყოველივე შეუნდოთ ურთიერთას. 4

3. ვსცეთ ურთიერთას მიტევება, მე, მიმძლავრებულმან კეთილმძ-
ლავრებითა, რამეთუ ამას აწ შევესძინებ, და თქუენ, კეთილმძლავრებულთა, 6
უკუეთუ რასმე მაბრალობთ დაყოვნებისათჳს *Iber. (1, l. 5-9) – dwinen suggu-
wahn ajlhxi~, eǵw de; oJ turannhqeiz; thh kalhh turannida, touto gar
nuh prostiqhni, kai; uhei~ oiJ kalw~ turannhsante~, eij tivmoi newfoisqe
Gr. (PG 396 A 6-10)*: აქა იპოების მოქცევი სიტყვსაჲ. ხოლო შენ რაათა ადვილად
გწინაშეწოდეს⁸, ზნისწამს სთქუე, ვითარმედ 240, 134y. ურთიერთად მოტევებს⁸ თჳსის
წინაშესავალად⁴. რამეთუ ხოლო⁴
შენდობსასა თანა-მოჰკიდებ გონებითა, ვითარმედ ესე არს შესანდობელი – „უკუე-
თუ რასმე მაბრალობთ დაყოვნებისათჳს“, რამეთუ სხუაჲ იგი შუაშემოდებულ
არს.⁸

⁷ *Isa. 66, 5*; ეს გამოთქმა დასტურდება გრიგოლ ნაზიანზელის 22-ე ჰომილიაშიც (XXII, 16).

⁸ ბასილი მინიმუსის შენიშვნით, მოქცევი (perido~) განყვეტილია ჩანართით (შუაშემოდებულთ). წინადადებიდან აზრის გამოსატანად მკითხველმა მისი დასაწყისი და ბოლო ნაწილი ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს. ეს არის რიტორიკული ხერხი – პარენტესისი, რომლის შესახებ ბასილი მინიმუსის „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ კომენტარების ქართულ თარგმანში აღნიშნულია: *ესე რიტორებრი ჯელოვენებაჲ არს, რაათა თავსა იწყოს და შუაშემოდებითა სხუათა სიტყუათათა განკუეთოს სიტყუაჲ. ამ ხერხთან დაკავშირებით გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებში იხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა. გრიგოლ დვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით*, თბილისი, 2004, აგრეთვე M. Guignet, *St. Grégoire de Nazianze et la rhétorique*, Paris, 1911.

4. კეთილმსახურებით ორივე, იგი – თვისა უძღურებისათვის და ესე – მწოდებელისა ძალისათვის *Iber.* (1, l. 15-16) – **euḣebw~ ajnfotera, to; men dia; thḣ oiḣkeian ajḣeneian, to; de; dia; thḣ tou kalouito~ dumanin** *Gr.* (PG 396 B2-3): რაჲ „იგი“? არამედ მირიდება თვისა უძღურებისათვის ყყავ; და „ესე“ – რომელ არს მზად მოსრბაჲ წინადაუდგომელისა მისთვის მწოდებელისა ძლიერებისა.⁹

5. საიდუმლომან მცხო მე, საიდუმლოსა მცირედ განვეშორე, რაოდენ თავის განცდამდე. საიდუმლოსაცა თანა შემოვალ *Iber.* (2, l. 1-3) – **Musth-rion eḣrisev me, musthriw nikron uḣecwḣsa, oḣon eḣnauton episkeyas-qai, musthriw kai; suneisercomai** *Gr.* (PG 396 B 6-8): გინათუ „საიდუმლოდ“ საღმრთოსა მას საცხებელსა იტყვს სულისა წმიდისასა ველთდასხმისა მიერ, რომლისათვისცა თქუა მცირედ განშორებაჲ საიდუმლოსა სიტყვსაგან ვიდრე განხილვადმდე თავისა თვისა და ცნობად ძალსა მცხებელისასა. ხოლო ან საიდუმლოსა თანა შემომავალი ცხად-ჰყოფს დროებისა თანა წარუვალად ცვალებასა. გინათუ სხუათა ვიეთმე უმარტივესთა სიტყვსაებრ, ვითარმედ საიდუმლოსა შინა ნუუკუედა ქრისტეს შობისასა ცხებული საცხებელითა მღვდლობისაჲთა საიდუმლოსა თანა განცხადებისასა განემორა პონტოდ წარსლვითა. ხოლო ან საიდუმლოსა თანა აღვსებისასა შემოვალს, ვითარცა თვთვე იტყვს ამას.¹⁰

4. *A' B H (C om.)*: ⁴ თვისა *om.* *B H.* 5. *A A' B C H*: ⁴⁻⁹ გინათუ საიდუმლოდ ... სიტყვსაებრ] შეისწავე *A C.* ⁴ საიდუმლოდ-რე *H.* ¹⁰ ქრისტე *B.* ¹¹ პონტოჲთ *A C.* ¹² ამას] ამათ *A.*

⁹ გრიგოლი საუბრობს მიზეზებზე – რატომ აარიდა თავი მღვდლის მოვალეობას (პონტოში გაქცევა) და რატომ იტვირთა შემდგომში მოძღვრის მძიმე მისია (ნაზიანზში დაბრუნება). ეს მსჯელობა გრიგოლს მისთვის ჩვეული ლაკონურობით ანტიეთეტურ ფრაზაში (კოლონში) აქვს ჩამოყალიბებული – *to; men ... to; de.* ბერძნულ ტექსტში მოკლედ არის განმარტებული ამ მსჯელობის მხოლოდ ერთი ნაწილი: *to; men dia; thḣ oiḣkeian ajḣeneian com.: to; uḣocwḣsai, tode; to; prosdrameih, Paris. Coisl. 240, 134v.* ქართულ თარგმანში გაშლილი, პარაფრაზირებულია გრიგოლის კოლონი. განმარტების სიცხადისათვის გამოყენებულია კითხვები. ფაქტობრივად, ეს არის გრიგოლის ტექსტის ეფრემისეული კომენტარი.

¹⁰ მოცემულია გრიგოლის ერთი პასაჟის ორგვარი განმარტება: ერთი მხრივ, განმარტებულია მღვდლად კურთხევის მისტიკური მხარე, მეორე მხრივ, მოცემულია იმავე პასაჟის განმარტება სხვა სიტყვებით, მარტივად (*kata; eḣeron aplousteron logon, Paris. Coisl. 240, 135r*), გრიგოლის ცხოვრების დეტალებთან კავშირში – იგი მღვდლად აკურთხეს ქრისტეს შობის დღესასწაულზე, ნათლისღების დღესასწაულზე იგი გაიქცა პონტოში და აღდგომის დღესასწაულზე დაბრუნდა ნაზიანზში. ქართული თარგმანის მიხედვით იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს ბასილს აქ მოყვანილი აქვს სხვა კომენტატორთა განმარტება (*გინათუ სხუათა ვიეთმე უმარტივესთა სიტყვსაებრ*). კომენტარების კომპილაციურ ხასიათზე ბასილი თავადაც მიუთითებს თავის ეპისტოლეში კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ (*მთნდავე მამათა მიერ სასწრაფოთა უშემოკლებულესად და უგანცხადებულესად ერთად შემოკრებაჲ, ამათ თანა ჩუენმიერისაცა რაჲსმე შეძინებაჲ განმარტებად*), მაგრამ ამ კომენტარის ბერძნული წყაროში ამ კუთხით არაფერია ნათქვამი.

6. და ახალი რაჲ კაცი შემოსოს, მიმცეს ახალსა დაბადებულსა საღმრ-
თოდ შობადთასა მოქმედად კეთილად და მოძღურად *Iber.* (2, l. 6-8) – **kai; ton** 2
kainon ejdusa~ aqurwpon dw th/ kainh/ ktisei,toi~ kata; Qeon gemwneni-,
plasthn ajgaqon kai; didaskalon *Gr.* (PG 35, 397 A 1-3): „ახლად კაცად“ მღვ- 4
ღობასა უწოდეს, რამეთუ ნათლისღებისამიერი ადრევე შეემოსა.¹¹ ხოლო „ახლად 6
დაბადებულად“ მის აღვსებისა ახალნათელღებულთა უწოდეს. ხოლო „მოქმედად“ 6
და „მოძღურად“ თავსა თვსსა იტყვს.

7. გუშინ ტარიგი დაიკლვოდა და იცხებოდეს წყითლნი და იგლოვნა 2
ეგვპტემან პირმშონი *Iber.* (3, l. 1-2) – **cqer~ oJ ajmo~ ejfzeto, kai; ejriv** 2
onto aiJ fliai; kai; ejrhhsen Aigupto~ ta; prwtotoka *Gr.* (PG 35, 397 A 4
6-7): „ტარიგ“ არს ქრისტე ღმერთი ჩუენი, ამღებელი ცოდვათა სოფლისათაჲ, 4
რომლისათჳს მოციქულიცა იტყვს: „პასექი ჩუენი ჩუენთჳს დაიკლა ქრისტე“.¹² 6
ხოლო „წყითლნი“ თუთ ამასვე მოძღუარსა ამისვე დღესასწაულისა სიტყუასა 6
შინა სახისმეტყუელებით უთარგმნიან საქმედ და სიტყუად,¹³ გინა ხედვად, რო- 8
მელნი პატიოსნითა სისხლითა მისითა აღბეჭდულთა მომსრველისა სატანაჲსაგან 8
ლტოლვილ ვიყვენით, რომლისათჳსცა უნათლავნი და აღბეჭდველნი სულნი 8
ჰგოდებედ თვისსა შვილთა მოსრვისათჳს.

8. წმიდად განვილტვენით ეგვპტით და ფარაოჲსაგან, მწარისა მეფისა ... 2
განვთავისუფლდით ... დღესასწაულობად არა ცომითა ძუელისა სიბოროტი- 4
სა და განბოროტებისაჲთა *Iber.* (3, l. 5-11) – **kaqarw~ efugomen Aigupton,** 4
kai; Faraw; ton pikron despothn ... hjeuqerwqhmen ... kai; ebrtazein, ouk 6
ejj zuzh/ palaia/ kakia~ kai; ponhria~ *Gr.* (PG 35, 397 A 10-15): შემდგომად 6
ებრაელთა მღტოლვარეთა ზღვს განვლისა ესე დღესასწაული იდღესასწაულეს, 8
რომელსა ცხად-ჰყოფს სახელი „ფასეკისაჲ“, რომელი „წიაღვლად“ გამოითარგ- 8
მანების.¹⁴ ამიერვე ჩუენცა, სისხლითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲთა წმიდად

6. *A B C H:* ⁷იტყვს] უწოდეს *A C*. 7. *A' B H (C om.):* ⁴ ტარიგი *A'*. სიტყუასაცა *A' B*. ⁷შინა *om. A' B*.
¹⁰ჰგდებედ] გონებედ *AB*. 8. *A' B H (C om.)*

¹¹ როგორც გრიგოლის ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებებიდან არის ცნობი-
ლი, იგი მოინათლა 30 წლის ასაკში, როდესაც ათენში განათლების მიღების შემ-
დეგ დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში, ნაზიანზში.

¹² I Cor., 5, 7.

¹³ იგულისხმება გრიგოლის 45-ე ჰომილია, რომელიც ასევე ეძღვნება აღდგომის
დღესასწაულს („პასექისათჳს სიტყუაჲ მეორე“), შდრ: ტარიგი დაიკლვის და აღი-
ბეჭდვიან პატიოსნითა სისხლითა საქმედ და სიტყუად, რომელ არიან ანაგებნი და
მოქმედებანი – წყითლნი ჩუენთა ბჭეთანი (Or. 45, 15 l. 13-16).

¹⁴ ბერძნულშია: *meta; gar to; dielqein feugousi Ebraiwi~ thn qatlasan auqh hJ*
ebrth; ejeleito, dhloi' de; kai; tounoma thn diabasin. ქართულ თარგმანში ფრაზა
– რომელსა ცხად-ჰყოფს სახელი „ფასეკისაჲ“, რომელი „წიაღვლად“ გამოითარგმა-

10 განთავისუფლებულნი საცნაურისა ფარაოჲსგან, ამასვე დღესასწაულსა ვდღე-
 12 სასწაულობთ. ხოლო „ძუელი ცომი“ აქა უღმრთოებისა და ურწმუნოებისა სახედ
 შემოიღებვის.

9. გუშინ თანა-ჯუარს-ვეცუმოდე ქრისტეს ... გუშინ თანა-დავეფლვოდე,
 2 დღეს თანა-აღვდგები *Iber. (4, l. 1-3) – Cq̄; sunestauroumen Cristw̄ ... cq̄;
 suneqaptomen, shueron sunegeiromai Gr. (PG 35, 397 B 3-5)*: ქრისტეს თანა
 4 ჯუარცუმასა, დაფლვასა და აღდგომასა არა ხილულად ჴორცითა, არამედ უხი-
 ლავად გონებითა იტყვს.

10. ვანაყოფნეთ თავნი თვსნი, უპატიოსნესი და უთვსესი მონაგები ღმრ-
 2 თისა, უკუნ-ვსცეთ ხატსა ხატებაჲ, ვიცნათ პატივი ჩუენი, პატივ-ვსცეთ
 სახისდასაბამსა *Iber. (4, l. 12-15) – Karpoforhswnen h̄m̄~ aūt̄ou-, to; ti-
 4 niwtaton Qew̄ kth̄na kai; oīkeiotaton, apodwnen th/ eikoni to; kat jeikov
 na, gnwr̄iswnen h̄m̄w̄n to; ājiw̄na, tinhswnen to; aj̄c̄etupon Gr. (PG 35, 397
 6 B 11-14)*: შთაბერვისა და ხატებისათჳს გვწოდს ჩუენ „უპატიოსნეს და უთვსეს
 მონაგებ ღმრთისა“ და ამას ცხად-ჰყოფს შემდგომითა: „უკუნ-ვსცეთ ხატსა ხატე-
 8 ბაჲ“ – ესე იგი არს, რაჴმას განცხადებით გამოიხატნენ ჩუენ ზედა საღმრთონი
 სახენი და მსგავსებანი, რომელნი გარდასლვისა ცოდვამან შერევნით შეამრღვნა.
 10 ხოლო „სახისდასაბამისა“ პატივ იქმნების გამონუღილვითი მიმსგავსებაჲ მისი.

9. *A B C H*: ⁴ დაფლვასა *om. A B C*; და აღდგომასა *bis A*. 10. *A' B H (C om.)*: ¹⁰ გამონუღილვით
A' B.

ნების – ბერძნულის გავრცობილ, ექსპოზიციურ თარგმანს წარმოადგენს. ეფრემის მიერ ამ კონტექსტისთვის შერჩეული სიტყვის ებრაული ფორმა – „ფასეკი“ და მისი განმარტება აშკარად უკავშირდება გრიგოლი 45-ე სიტყვის შემდეგ პასაჟს: *პასექსა ამას, დიდსა და სამსახურებელსა, ფასეკ ეწოდების ებრაელთაგან წმისაებრ მათისა, ხოლო წმია ესე ცხად-ჰყოფს ნიაღვრვასა, თხრობითად უკუე, ეგვპტით ქანანად ლტოლვასა ... რამეთუ „საცხორებელისა ვნებისა“ სახელად ვიეთმე ჰგონეს ესე, ვინაჲცა გარდმოაელენებდეს რაჲ წმასა მას შეცვალებითა ფარისაჲთა პარად და კანისაჲთა – ქანად, პასექ უწოდეს დღესა (ეფრემის თარგმანი, 10, l. 11-15, 22-25); პასექსა მას, დიდსა და პატიოსანსა, ფასეკი ეწოდების ებრაელთა ენითა, ხოლო გამოითარგმანების „გამოსლვად“ და მოასწავებს ცხადად ეგვპტით გამოსლვასა ... რამეთუ ვიეთმე სახელად „ცხოველსმყოფელისა ვნებისა“ ჰგონიეს ესე და ამისთჳს გამოსთარგმანებდეს რაჲ ბერძნულისა ენისა მომართ, შეცვალებს ფარი იგი პარად და კანი – ქანად და პასექი უწოდეს, რომელი გამოითარგმანების „ვენებად“ (ექვთიმეს თარგმანი, 10, 12-15, 21-25). „პასეკი“ ებრაული ფორმით დასტურდება „სამოციქულოს“ კომენტარებშიც: *ამას ჰყოფს დღესასწაულსა მას უცომოებისასა, რომელსა ჰურიანი „ფასეკ“ უწოდიან (სამოციქულოს განმარტება, I, ე. კოჭლამა-ზაშვილის გამოც., თბილისი, 2000, გვ. 158). იხ. აგრეთვე ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, I (საეკლესიო ბიბლიოთეკა) ე. ჭელიძის გამოც., 2005, გვ. 220-223.**

11. ვიქმნეთ, ვითარცა ქრისტე, რამეთუ ქრისტეცა – ვითარცა ჩუენ, ვიქმნეთ მისთვის ღმერთ, ვინაჲთგან იგიცა ჩუენთვის – კაც *Iber.* (5, l. 1- 3) 2
– **Genwæqa w̄ Cristoꝥ, epei; kai; Cristoꝥ w̄ h̄nei~, genwæqa qeoi; di j**
aūton, epeidh; kakeino~ di j h̄na~ aþqrwpo~ Gr. (PG 35, 397 C 4-6): „ქრის- 4
ტე მოკუდა ჩუენთვის“ – იტყვს პეტრე¹⁵ და ჩუენ დაგვტევა სახე. ან უკუე ვი- 6
ქმნეთ წმიდა და უვნებელ, რამეთუ ქრისტე, დაიმდაბლა რაჲ თავი თვისი და 6
გარდამოჴდა ჩუენდა, დაადგრა, ვითარ-იგი იყო წმიდა და უვნებელ, რამეთუ 8
ცოდვამ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვამ პირსა მისსა. ვიქმნეთ უკუე ღმერთ 8
მისთვის უხრწნელ ქმნითა მისთვის. ვინაჲთგან იგიცა იქმნა ჩუენთვის კაც, ვნებულ
და მოკუდავ, უკუდავი იგი და უვნებელი.

12. ვერც ერთი რაჲ მისცეს ესევეითარი, ვითარ თავი თვისი *Iber.* (5, l. 13-14) 2
– **dwsei de; oūlen toiouton oipn ēauton Gr. (PG 35, 400 A 7):** „ვერარას ესე- 2
ვითარსა მისცემს კაცი ღმერთსა, – იტყვს მოძღუარი, – ვითარ თავსა თვისსა“. 4
ხოლო ვითარ მისცემს? გარნა ესრეთ, რაჲთა გულისჴმა-ყოს საიდუმლოესა ამის 4
ძალი და ყოველივე იქმნას მისთვის, რაოდენ-იგი იქმნა ჩუენთვის, ესე იგი არს, რა- 6
მეთუ „დაგლახაკნა“ და შემდგომი.¹⁶ ამის ადგილისა სიტყუათა მიერ ქრისტესთვის 6
თქუმულთა თვისსაცა მამასა მოასწავებს მოძღუარი, რამეთუ ამიერითგან მისთვის 8
სცვალებს, რაჲამს იწყოს.¹⁷

13. მრჩობლსა მარტივისა წილ მიგცემს თქუენ თავსა თვისსა და ჰყოფს 2
სიბერისა კუერთხსა კუერთხ სულისა *Iber.* (6, l. 5-7) – **kai; diploun ajq j**
ap̄loi' didwsin ūn̄in ēauton, kai; poieitai th̄n bakthriann tou' ghrw~ bakthriv
an tou' pneumato~ Gr. (PG 35, 400 B 4-6): ესე იგი არს: მამამ ჩემი ნაყოფად 4
შესწირავსო თქუენთვის მღდელობასა ჩემსა, რომელსა ვერვინ თქუენგანი ება- 6
ძვოს, ვითარ ყოველივე თვისი შეუწირავს ღმრთისა და თქუენდა. რამეთუ თავი- 6
სა თვისისა მარტივისა მწყემსობასა თქუენსა მრჩობლ ჰყოფს თანამწყემსობითა 8
ჩემითა. და მე, კუერთხსა, ჴორციელად სამსახუროსა და მისაყრდნობელსა 8

11. *A' BH (Com.)*. 12. *A' BH (Com.)*:⁷⁻⁸ ამიერითგანსა *H*. 13. *A' BH (Com.)*:⁵ თქუენთვის] თქუენდა
H.

¹⁵ პეტრე-ს ნაცვლად უნდა იყოს პავლე – *Rom.* 5, 8

¹⁶ იგულისხმება შემდეგი პასაჟი გრიგოლის ამ საკითხავიდან: დაგლახაკნა, რაჲთა ჩუენ მისითა სიგლახაკითა განვმდიდრდეთ, მონის ხატი მიიღო, რაჲთა ჩუენ აზნაურებაჲ მოვიღოთ, გარდამოჴდა, რაჲთა ავმაღლდეთ, განიცადა, რაჲთა ვსძლოთ (5, l. 4-7). ამგვარ მინიმუმებს – „შემდგომი“ (იგივეა, რაც დღევანდელი ა. შ.) – *ta: eþh~* სხვაგანაც ხშირად ვხვდებით ბასილის კომენტარებში

¹⁷ კომენტარის მიხედვით, საკითხავის ამ ადგილიდან თხრობის ობიექტი იცვლება. მანამდე გრიგოლი საუბრობდა ქრისტეზე, ამიერიდან თხრობა ეხება უფროს გრიგოლს, გრიგოლ ნაზიანზელის მამას.

10 თვისა სიბერისა, კუერთხ მყოფს მისაყრდნობელ სულისა, რომელ არს სული-
სამიერი პყრობაჲ სამწყსოთაჲ.¹⁸

2 14. და შესძინებს უსულოსა ტაძარსა თანა სულიერსა, შუენიერსა ამა და
3 ზეცისასა – ესოდენსა უკუე და რაბამსა *Iber. (6, l. 7-9) – kai; prostiqhsi tw*
4 *ajyew naw ton ehyucon, tw perilallei; tw de; kai; oujaniw ton oþoionouñ*
5 *kai; hlikon Gr. (PG. 35, 400 B 6-8):* არა სამძიმარ¹⁹ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ
6 არა თვთ იტყვს სიდიდესა და სიკეთესა თვისსა, არამედ მსმენელთა ბჭობისა მი-
7 მართ მიაგდებს, ვითარმედ: თქუენ საჯეთ ესოდენობაჲ სიდიდისაჲ და რაბამობაჲ
8 შუენიერებისაჲ.

2 15. ეჰა, დიდსულობასა, გინა უჭემმარიტეს თქუმად, შვილისმოყუარება-
3 სა *Iber. (6, l. 14-15) – wj th~ megaloyucia~, h| tovge ajhqesteron eipein,*
4 *th~ filoteknia~ Gr. (PG 35, 400 B 12-13):* ამას გამოჩინებაჲ აქუს მამისა
5 მისისა სარწმუნოებისაჲ ღმრთისა მიმართ და შესანირავისა სიდიდისაჲ. ხოლო
6 ამისი ზედადართვაჲ, ვითარმედ „უჭემმარიტეს თქუმად შვილისმოყუარებასა“,
7 განმართვაჲ არს დიდსულობისაჲ, ვითარმედ ფრიად უფროჲს სარგებელ ეყო
8 მამაჲ მას, რომელი შეწირა ღმრთისა, ვიდრეღა მოიმადლებდამცა ღმერთსა,
9 რომლისადა-იგი შეწირა შვილი თვისი.

2 16. მვეცთა, სიჭაბუკესა, ტაძარსა, მღდელთმთავარსა, მკვდრობისმცე-
3 მელსა და მკვდრსა ... ამას სადმე თქუენ დიდი ესე აბრაჰამ მამათმთავარი
4 *Iber. (6, l. 15 – 7, l. 2) – thñ polian, thñ neothta, ton naon, ton ajcierea,*
5 *ton klhrodothn, ton klhronouon ... Tauta nen ouh uñiñ oJsenno; jBraam*
6 *oufo~, oJpatriarch~ Gr. (PG 35, 400 B 13 – C 9):* ესე გონებითა ამასვე შეადგ,
7 ვინაჲ გამოჰკუეთა შუა შემოსლვამან „ეჰასამან“, რაჲთა ესრეთ გულისწმა-
8 ჰყო, ვითარმედ ყოველსავე შეგძინებს თავისა თვისისასა: მვეცთა, რომელ არს
9 თავი თვისი, სიჭაბუკესა, რომელ არს ძე მისი, ტაძარსა, რომელ არს ეკლესიაჲ,
10 რომელი თვთ ბრძენმა გრიგოლი, მამამან ღმრთისმეტყუელისა გრიგოლისმან,
11 აღაშენა ანზიანზოს.²⁰ ვინაჲცა „მკვდრობისმცემელად“ და „მღდელთმთავრად“
12 და „მვეცოვნად“ აქა მამასა უწოდს. ხოლო „სიჭაბუკედ“ და „მკვდრად“ თავსა
13 თვისსა იტყვს და სიტყუათა თვისთა, რომელთა გულთა ზედა სიღრმედ სულისა

14. *A' B H (C om.). 15. A B H (C om.). 16. A B C H:* ⁵⁻⁶ ესე გონებისა (B) ... რაჲთა *om. A C.*
⁶⁻⁷ გულისწმა-ყავ *A C.* ⁷ თვისისა *A C.* ¹⁰ ანძიანძოს *A C.*

¹⁸ მხატვრული სახის (მეტაფორის) – კუერთხის – განმარტება.

¹⁹ არა სამძიმარ – აჟეპაცჟიჲ – არა სამძიმო.

²⁰ ნაზიანზში გრიგოლის მამის მიერ აშენებული ტაძრის აღწერა მოცემულია გრიგოლის მე-18 ჰომილიაში (Or. XVIII, 39).

მიერ წერისა სახედ შემოიხუნა ფიცარნი მოსეანნი.²¹ ხოლო აბრაჰამად ბერსა იტყვს, მამასა თვსსა.

14

17. სრულებაჲ მღდელობისაჲ *Iber. (7, l. 4) – hJ th~ iJrwsuh~ teleiwsigr. (PG 35, 400 C 11)*: „სრულებაჲ მღდელობისა“ უწოდს მამასა თვსსა ანუ ვითარცა სრულმყოფელსა თვსსა მღდელობითა, ანუ ვითარცა არარაფთ ნაკლულევანსა სამადლოდ ყოველთა სათნოებათაგან სრულებათა.

2

4

18. ნეფსითსა მსხუერპლსა *Iber. (7, l. 4-5) – oJ thp ekousion qusian Gr. (PG 35, 400 C 11-12)*: თავსა თვსსა უწოდს „მსხუერპლ“, რამეთუ აღთქუმულ იქმნა მშობელთაგან, ვითარცა პირმშოჲ შეწირვად ღმრთისა.

2

19. მკვდრნი ადგილთა მწუანვილოვანთა და ზრდილნი წყალთა ზედა განსუენებისათა²² *Iber. (7, l. 8-10) – eij topon cloh~ kataskhnouneni kai; epi; uflato~ ajjapausew~ Gr. (PG 35, 400 C 14 – D 1)*: სამწყსოთა მიმართ არს ესე, რამეთუ მათი არს, რაჲთა იმწყებოდინ წყალთა და ველთა ზედა, რომელნი სახისმეტყუელებით შემოიღებვიან სიტყუათა ზედა საღმრთოთა და შჯუულთა მართლმადიდებლობისათა და სწავლათა. რამეთუ ვითარ-იგი პირუტყუნი მათგან, ეგრეთვე პირმეტყუელნი ამათგან იზარდებიან და განისუენებენ.

2

4

6

20. უცხოსა არ შედგომილნი *Iber. (7, l. 12-13) – ajlotriw/ de; mh; ajkolouqunte~ Gr. (PG 35, 400 D 4-5)*: „უცხო“ არიან სხუებრ მზრახვალნი და მწვალებელნი, რომელნი არა კარით ქრისტჳს სახარებისაჲთ წესისაებრ შემოვლენ, არამედ ავაზაკებრ და მძლავრ ზღუდით გარდამოვლებიან.

2

4

21. რომლისაგან მეყავნ ჩუენ ყოველთა – მწყემსთაჲ და სამწყსოსა *Iber. (7, l. 24-25) – wJ eijh panta~, kai; poimena~ kai; poimion Gr. (PG 35, 401 A 10)*: საზოგადოდ ილოცავს მწყემსთათვს და სამწყსოთა, რაჲთა მარადის შედგომილ იყვნენ ჳმასა პირველისა მის მწყემსისა, ქრისტესსა, და შჯუულთა მისთა მართლმადიდებლობისათა.

2

4

¹³ წერის *A C. 17. A' B H (C om.)*. **18.** *A B C H*: ² მსხუერპლად *A C*. ³ შესაწირვად *C*. **19.** *A' B H (C om.)*. **20.** *A' B H (C om.)*. **21.** *A' B H (C om.)*.

²¹ II *Cor.* 3, 2-3.

²² Cf. *Psal.* 22, 2.

ელენე ცაგარაიშვილი

სტეფანოს ორბელიანის ცნობები საქართველოს შესახებ

XIII-XIV საუკუნეების სომეხი ისტორიკოსის, პოლიტიკური და კულტურული მოღვაწის სტეფანოს ორბელიანის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს როგორც სომხეთის, ასევე მისი მოსაზღვრე ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორიის შესასწავლად. „სომეხ ისტორიკოსთა შორის სტეფანოს ორბელიანი – წერდა ივ. ჯავახიშვილი – არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ის სხვა დანარჩენ ისტორიკოსთაგან, როგორც საისტორიო მასალების შერჩევით, ისევე მოთხრობის შინაარსით თვალსაჩინოდ განსხვავდება. არც ერთს მათგანს იმის მეთადეი ცოტებიც არა აქვს, რაც სტეფანოს ორბელიანმა სომხეთის შინაური ყოფა-ცხოვრებისა და წეს-წყობილების შესასწავლად შეაგროვა თავის თხზულებაში. საქართველოს ისტორიაში ცნობილ ორბელთა საგვარეულოს იმ შტოს ერთი ჩამომავალთაგანი, რომელიც გიორგი III-ისაგან ექსორიაქმნის შემდგომ სომხეთში შეიხიზნა და გასომხდა, სტეფანოს ორბელიანი, XIII ს. დამლევს სივნიეთის ეპისკოპოსად ყოფნის დროს თავისი სამწყსოსა და თემის ისტორიის აღწერას შეუდგა.“¹

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსების გრიგოლ აკანეცის, ვარდან აღმოსავლელისა და კირაკოზ განძაკეცის თხზულებებთან ერთად სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორია“ ძირითადი პირველწყაროა მონღოლთა ბატონობის პერიოდის ამიერკავკასიის ხალხთა და, მათ შორის, ქართველთა ისტორიის შესასწავლად. როგორც ცნობილია, სტეფანოს ორბელიანი თითქმის ერთადერთია ძველ სომეხ ისტორიკოსთა შორის, რომელმაც სოციალური მოძრაობის ფაქტები შენიშნა სომხურ ფეოდალურ სამეფო-სამთავროებში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორბელთა ძლიერი ფეოდალური სახლის შესახებ, რომელთანაც დაკავშირებულია XII-XIII საუკუნეების საქართველოს სო-

¹ ივ. ჯავახიშვილი, *გლებთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში*, ტფილისი უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922, გვ. 249.

ციალურ-პოლიტიკური ისტორიის მრავალი საყურადღებო ფაქტი თუ მოვლენა, თითქმის არაფერი გვეცოდინებოდა, რომ არ შექმნილიყო სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორია“.

სტეფანოს ორბელიანმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ძველი სომხეთის ერთ-ერთი უძლიერესი მხარის – სივნიეთის ანუ სისაკანის პოლიტიკურ-ეკონომიკურსა თუ საეკლესიო-კულტურულ ცხოვრებაში. იგი სივნიეთის მიტროპოლიტი იყო და, როგორც თავისი დროისათვის უაღრესად განათლებული და საკმაოდ განსწავლული მოღვაწე, კარგად ერკვეოდა არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაშიც.

სტეფანოს ორბელიანი იყო ორბელთა ფეოდალური გვარის წარმომადგენელი, ძე ტარსაიჭ ორბელიანისა და არუზ ხათუნისა. იგი იშვილა მისმა უშვილო ბიძამ (მამის ძმამ) სუმბატმა, რომელმაც ტარსაიჭთან ერთად სათანადოდ იზრუნა მის სწავლა-განათლებასა და მომავალ საქმიანობაზე. სტეფანოს ორბელიანის ბიოგრაფიის აღდგენა ხერხდება როგორც მისი „სისაკანის სახლის ისტორიიდან“, ასევე ტათევეში სტეფანოსის მიერ გრიგოლ განმანათლებლის სახელზე აშენებული ეკლესიის წარწერებიდან.

ავტობიოგრაფიული ცნობები განსაკუთრებით ჭარბობს სტეფანოს ორბელიანის თხზულების იმ ნაწილში, რომელშიც ისტორიკოსის თანადროული ხანა აღწერილი. „სისაკანის სახლის ისტორიის“ 71-ე თავი მთლიანად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა.

როგორც ხელთარსებული მასალებიდან ირკვევა, ტარსაიჭ და სუმბატ ორბელიანებმა თავიდანვე გადაწყვიტეს სტეფანოსი სასულიერო მოღვაწეობისათვის მოემზადებინათ. სტეფანოს ორბელიანის სწავლა-განათლების საქმეში დიდი როლი ითამაშეს ტათევის მონასტრის ვარდაპეტებმა. იგი მალე დაეუფლა მათ მოძღვრებას და მიიღო დიაკვნის წოდება (ჯერ იყო მედავითენე). ტარსაიჭი ამით არ დაკმაყოფილებულა. მას სურდა სტეფანოსს უფრო მაღალი სასულიერო წოდებისათვის მიეღწია და 1280 წელს, სრულიად ახალგაზრდა კიდეც აკურთხეს მღვდლად. შემდეგ სტეფანოსმა სწავლა განაგრძო ვაიოცძორის გავარში დაარსებულ გლადორის უნივერსიტეტში, ნერსეს მშეცისთან, რომელმაც იგი ვარდაპეტად აკურთხა.

როგორც ცნობილი, გლადორის უნივერსიტეტმა მეცნიერთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა თაობები არზარდა, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული პიროვნება სტეფანოს ორბელიანი იყო. ტარსაიჭ ორბელიანმა თავისი ვაჟი 1286 წ. (ზოგი მეცნიერის აზრით, 1285 ან 1287 წელს) გააგზავნა კილიკიაში სომეხთა კათალიკოსთან მიტროპოლიტად ხელდასახმელად. „სისაკანის სახლის ისტორიის“, ეპიგრაფიკული მასალებისა და ხელნაწერთა მინაწერების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მან ორი თვე დაჰყო კილიკიაში, 1286 წლის 12 თებერვლიდან 14 აპრილამდე. მისსავე თხზულებიდან ნათელია, რომ ტარსაიჭის სურვილი იყო მისი ვაჟი მთელი სივნიეთისა და მისი მოსაზღვრე მხარეთა სასულიერო გამგებლად, მიტროპოლიტად დაენიშნათ, მეთაურად

ყველა სომეხი ეპისკოპოსისა, როგორც აღნიშნავს თვით სტეფანოსი.² 1286 წლის დასაწყისში სტეფანოს ორბელიანი სამღვდლო დასის თანხლებით გაემგზავრა რომელში კათალიკოს იაკობ I კლავცისთან (1268-1286), მაგრამ იგი გარდაცვლილი დახვდა და სტეფანოსი ეახლა მეფე ლევონ III-ს (1270-1289), ადანაში, როგორც მეფის სტუმარი. იგი ახლოს გაეცნო კილიკიის სომეხთა სამეფოს საშინაო და საგარეო ვითარებას და საკმაოდ მდიდარი მასალა შეაგროვა თავისი ნაშრომისათვის „სისაკანის სახლის ისტორია“.

კილიკიაში ყოფნისას სტეფანოსმა თავისი ნიჭით და ცოდნით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე, რომელმაც მას საკათალიკოსო ტახტი შესთავაზა, მაგრამ მან ამ წინადადებაზე უარი განაცხადა მიზეზის დაუსახელებლად. კათალიკოსად აირჩიეს კონსტანტინე II (1286-1289), მეორე დღეს სტეფანოსი სივნიეთის ეკლესიის ეპისკოპოსად დანიშნეს, მალევე კი აირჩიეს მიტროპოლიტად და სომეხთა პატრიარქის პროტოფრონტესი უწოდეს.³ სტეფანოსი გაზაფხულზე თავის ქვეყანაში დაბრუნდა. ამ დროიდან იწყება მისი მოღვაწეობის მეორე პერიოდი (1286-1305). თავისი ნაყოფიერი პოლიტიკური, დიპლომატიური, საზოგადოებრივი და საეკლესიო მოღვაწეობით, დიდი ენერჯის დახარჯვით, ტარსაიჭ ათაბაგთან ერთად, სტეფანოს ორბელიანმა მოახერხა ოპოზიციურად განწყობილი სივნიელ ეპისკოპოსთა დანყნარება.

სტეფანოს ორბელიანს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკული წარწერების შეგროვებისა და დაცვის საქმეში. მისი დაკვეთით ბევრი სომხური ხელნაწერი გადაინერა. ზოგიერთმა მათგანმა ჩვენ დრომდეც მოაღწია. ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერთაგანია 1300 წლით დათარიღებული სახარება, რომელიც გადაინერა ოვანესმა და გადაეცა ტათევის მონასტერს. ამავე ოვანესმა 1302 წელს სტეფანოს ორბელიანის თხოვნით გადაინერა მეორე სახარება, რომელიც მოხატა მხატვარმა მომიკმა, ასევე სტეფანოს ორბელიანის თხოვნით, ახთამარში თომა არწრუნის „არწრუნთა სახლის ისტორია“, რომელიც დღემდე შემორჩენილ ნუსხათა შორის უძველესია. 1303 წელს სტაფანოსის დაკვეთით ესაია ჩიეციმ შეადგინა „ეზეკიელის წინასწარმეტყველებათა კრებული.“⁴ სტეფანოსის დავალებითა და მისი თანხებით მოჰქონდათ ხელნაწერები სხვადასხვა რეგიონებიდან.

როგორც ცნობილია, გარდა „სისაკანის სახლის ისტორიისა“, სტეფანოს ორბელიანის კალამს ეკუთვნის: „გოდება წმინდა ეკლესიაზე“, „ბუნების შესახებ“, „ჟამთააღმწერლობა“, „ქალკედონის კრების მოწვევის მიზეზები“, „პროტესტის სიტყვა დიოფიზიტთა წინააღმდეგ“. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ

² Պարմիթիս Նահանգի, Միսական արարես Արեպանոսի Օրբելեան արքեպիսկոպոսի Միսնեսց. Թիֆլիս. 1910 թ. 2-րդ գլ.: სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, თიფლისი, 1910, გვ. 479-480 (სომხ. ენაზე), გვ. 479-480.

³ იქვე, გვ. 479, 493.

⁴ С. Тер-Аветисян, *Каталог армянских рукописей Новой Джульфы*, т. I, Вена, 1910.

სტეფანოსის ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „სისაკანის სახლის ისტორია“.

ავტორის მიზანი იყო დაენერა სისაკანის ანუ სივნიეთის ისტორია, რომლის ბოლო გამგებლები ორბელიანები, მისი გვარის წარმომადგენლები იყვნენ. თხზულების ქრონოლოგიური საზღვრები უძველესი პერიოდიდან 1304 წლით შემოისაზღვრება. „სისაკანის სახლის ისტორია“ თავისებურადაა აგებული, რითაც საკმაოდ განსხვავდება სტეფანოსის წინამორბედ ისტორიკოსთა ნაწარმოებებისაგან. შესავალ ნაწილში ავტორის მიერ აღნიშნულია წიგნის დაწერის მიზანი და მნიშვნელობა. შემდეგ ისტორიკოსი იხილავს სისაკანის ტომის წარმომავლობის საკითხს და სივნიეთის ისტორიის გადმოცემამდე მის გეოგრაფიულ აღწერასაც არ ტოვებს უყურადღებოდ. „სისაკანის სახლის ისტორია“ ძირითადად 71 თავშია გადმოცემული. 72-ე თავში სივნიეთის ეპისკოპოსთა და სომეხ კათალიკოსთა სიაა დაცული უძველესი პერიოდიდან მის დრომდე. 73-ე თავს ეწოდება „სტეფანოსის მათიანეს ანდერძ-მოსახსენებლი“, საიდანაც ვგებულობთ, რომ თხზულება შექმნილია ნორავანქის მონასტერში 1299 წელს არღუნის ძის ყაზან ყაენის (1295-1304), ქართველთა მეფის დავით დემეტრეს ძისა (1293-1311) და სომეხთა მეფის ჰეთუმ ლევონის ძის (1289-1307) გამგებლობის დროს. ბოლო, ე. ი. 74-ე თავში მოთავსებულია სივნიეთის თორმეტი სანახის სია თავიანთი მრავალრიცხოვანი სოფლებისა და საეკლესიო გადასახადების აღნიშვნით. „სისაკანის სახლის ისტორიაში“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამონასტრო მშენებლობის, ვარდაპეტების მოღვაწეობისა და სამონასტრო სკოლების საქმიანობის აღწერას. თხზულებაში უფრო მეტად გამოკვეთილია ტათევისა და ნორავანქის მონასტრების, მათი სამფლობელოებისა და გამგებლობის ისტორია.

სისაკანის საგვარეულო სტეფანოს ორბელიანისათვის ახლობელი იყო, რადგანაც ორბელიანები უშუალო მემკვიდრენი იყვნენ ამ ცნობილი სანახარარო გვარისა და თან მფლობელნი მათი ქვეყნისა. სივნიეთში 1231 წლის შემდეგ სისაკანის გვარმა შეწყვიტა არსებობა და მისი ადგილი ორბელიანებმა დაიკავეს. სწორედ ამიტომ სტეფანოს ორბელიანმა საჭიროდ მიიჩნია თავისი უშუალო წინაპრების – ორბელიანების ისტორიის აღწერამდე სისაკანის გვარის წარმოშობისა და მისი ისტორიული თავგადასავლის გადმოცემა. თხზულების ერთი ყველაზე დიდი თავი (66-ე) ეთმობა საკუთრივ ორბელთა ისტორიის აღწერას, რომელიც იქ თავმოყრილი საყურადღებო ცნობების მნიშვნელობის გამო ცალკე თხზულების სახით დამოუკიდებლადაც კი არსებულა როგორც სომეხურად, ასევე ქართულად. „სისაკანის სახლის ისტორიის“ 66-ე თავში სტეფანოს ორბელიანი როგორც წერილობით წყაროებზე, ისე ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით, დაწვრილებით მოგვითხრობს ორბელთა ისტორიას ქართლსა და სივნიეთში XIII საუკუნის დასასრულამდე.

სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში ადრინდელი პერიოდის ისტორია – დასაბამიდან IX საუკუნემდე (33-ე თავამდე) ემყარება წინამორბედ ისტორიკოსთა

ნაშრომებს (მოვსეს ხორენაცი, აგათანგელოსი, ღაზარ ფარპეცი, ლევონდი, უხტანესი, იოანე დრასხანაკერტეცი, მხითარ ანეცი, ქართლის ცხოვრება), თქმულებებს, ხოლო 33-ე თავიდან უკვე საარქივო მასალებს იყენებს ავტორი. სტეფანოს ორბელიანმა არა მარტო გამოიყენა ეს საარქივო და ეპისტოლარული მასალები, არამედ ბევრ შემთხვევაში თავის თხზულებაში უცვლელი სახით შეიტანა და ამით შემოუნახა ისინი მომავალ თაობებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა „სისაკანის სახლის ისტორიის“ ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია სტეფანოს ორბელიანის თანადროული ხანის ამბები. ზოგ შემთხვევაში იგი თვით გვევლინება აღწერილი ფაქტების თვითმხილველად და მონაწილედ. იზიარებდა რა მოვსეს ხორენაციის დებულებას: *ჭეშმარიტი ისტორია არ არსებობს ქრონოლოგიის გარეშე*, სტეფანოს ორბელიანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ფაქტების ქრონოლოგიას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი თხზულების 66-ე თავში სტეფანოსი დანვრილებით მოგვითხრობს ორბელთა ისტორიას ქართლსა და სივნიეთში XIII საუკუნის დასასრულამდე. თავისი გვარის ეტიმოლოგიას ისტორიკოსი უკავშირებს ორბეთის ციხე-სიმაგრეს, რომელიც ააშენა ქართლოსმა. სტეფანოს ორბელიანის მიხედვით, თარგამოსის რვა ვაჟთაგან უხუცესი იყო ჰაოსი, მეორე – ქართლოსი, მესამე – ბარდოსი, მეოთხე – მოვაკანი, მეხუთე – ლეკოსი, მეექვსე – ჰეროსი, მეშვიდე – კავკასოსი, მერვე – ეგროსი.

თარგამოსმა თავისი სამკვიდრებელი გაუყო ვაჟებს: სომხეთის ქვეყანა ყველა საზღვრით მისცა ჰაიკს, ჩრდილოეთის ქვეყანა კი ქართლოსსა და სხვა ძმებს. ხოლო ქართლოსი წავიდა არმაზის მთაზე, იქ დამკვიდრდა და ააშენა სახლი და ერთი აულებელი ციხე შესაფერის ადგილას და უწოდა მას ორბეთი. და ამ ქვეყანას ხუნანიდან სპერის ზღვამდე ეწოდა სახელად ქართლი.⁵

ორბელთა უძველესი თავგადასავლის გადმოცემისას სტეფანოს ორბელიანმა მოიშველია ლეგენდა ჩინეთიდან ქართლში ორბელთა წინაპრების ჩამოსახლების შესახებ; მისი გადმოცემით:

ამ დროს წარმოიშვა შვოთი და დიდი არეულობა ჩინეთის სამეფოში ... როდესაც გარდაიცვალა ჯამბაკურ მეფე, მეფის შვილებმა დაიწყეს ერთმანეთთან ბრძოლა. ერთი მხარე გაძლიერდა, მეორე კი გაიქცა. ეს იყო კაცი მარჯვე და ლამაზი, ძლიერი და ტანადი, იგი თავისი სახლეულით, სამეფო გუნდით, საგანძურით, ჰაერში მოთამაშე ცხენებით გამოემართა და გამოვლო მრავალი ქვეყანა ისეთი საზარელი სახით, რომ წინ ვერავინ ვერ აღუდგა. მან გამოიარა დარიალი. ისინი უზესთაესის განგებით მოვიდნენ ქართლის ქვეყანაში მცხეთის მამასახლისთან და იხილეს ისინი შენუხებულნი და სპარსთაგან დიდი საფრთხ-

⁵ სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, გვ. 368-369.

ით შელონებულნი. მაშინ გამოელაპარაკნენ მამასახლისს და უფროს კაცებს და უთხრეს: „ჩვენ ჩინელთ მეფისაგანნი ვართ, მოვწყდით ჩვენ ძმებს, მოვედით აქ და მოვენდვეთ თქვენ მაგარ ქვეყანას. თქვენმა ღმერთებმა თქვენი ურვის გამო დასახმარებლად მოგვიყვანეს. აქ ჩვენი სურვილი ასეთია: ან დავდგეთ სპარსთა გამგებლობაში, ან ნავიდეთ ბერძენთა თვითმპყრობელთან. ხოლო თქვენ თუ სათნოდ მიიჩნევთ, გაგვიმზადეთ განსასვენებლად ადგილი, დავმკვიდრდებით აქ, გიხსნით მაჭირვებელთა ხელთაგან და თუ კი არა, ნავალთ ჩვენი გზით, სადაც ღმერთი ინებებს“. როდესაც ქვეყნის უხუცესმა მამასახლისებმა იხილეს ასეთი მხნე და ძლიერი კაცი და მოისმინეს მათი სათნო სიტყვები, დიდად განიხარეს, მოაწყვეს ღრეობა, მალალი დიდებითა და დიდი პატივით მიიღეს ისინი და ძლიერ შეიყვარეს. აულებელი ციხე-სიმაგრე ორბეთი, რომელიც ქართლოსის ხელთაგან იყო აშენებული, მისცეს სახლად სამკვიდრებლად და მაგარ ადგილიდან, უწყალობეს სამემკვიდროდ მრავალი სანახი, დიდი დაბები და ციხე-სიმაგრეები. მაშინ დათანხმდნენ ისინი და დამკვიდრდნენ ორბეთში და ციხის სახელის გამო შემდგომში მათ ორბელიანები ეწოდათ, ე. ი. ორბეთელნი, რადგანაც ჩვეულება არის გვართა და მთავართა სახელის შერქმევა ადგილის მიხედვით, როგორც მთიულთა – მთიულნი, მრაჭელთა – მრაჭელნი, ჰერეთისა – ჰერეთაენი, ჯავახეთისა – ჯავახნი, კახეთისა – კახელნი, ლიხთა – ლიხელნი და სხვა მრავალნი, დღემდე სწორედ ამ მიზეზით ამ გვარს ორბელები ეწოდა, რომელთაც თავდაპირველად ჩენეულნი ე. ი. ჩინელები ერქვათ. და ვიდრე ეს ასე იყო, მათ თვითონ შემოიკრიბეს ქართველთა სახლი, შეკრიბეს ჯარი, თავს დაესხნენ ყველა შემავინრობელს, ამოწყვიტეს, განდევნეს და წინ აღუდგნენ სპარსელებს, დამყარდა ამ ქვეყანაში მშვიდობა, ისინი კი განაწესეს მთელი ქართლის სპარაპეტებად და ძალთმთავრებად.⁶

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სტეფანოსის ცნობათაგან ორბელების შესახებ უმრავლესობა მის თანადროულ ხანას შეეხება, ამიტომ უფრო სარწმუნოცაა. არათანადროული პერიოდის ამბების გადმოცემისას კი ისტორიკოსს როგორც ქართული, ასევე სომხური წყაროები გამოუყენებია.

სტეფანოს ორბელიანს მითითებული აქვს, რომ ქართველთა პირველი მეფის ფარნაოზის გამეფებისას ორბელიანებმა უფრო მეტი პატივი მიიღეს მისგან და ქართველთა ქვეყანაში არავინ იყო მათი მსგავსი მეფის გარდა.

სომეხ მკვლევართა უმრავლესობა (მ. ჩამჩიანი, გ. ზამინიანი, გ. ალიშანი, ს. აკოფიანი, გ. მიქაელიანი, ნ. აბელიანი, ლ. ბაბაიანი) საერთოდ არაფერს ამბობს სტეფანოს ორბელიანის ცნობაზე ორბელთა გვარის ეტიმოლოგიის ორბეთის ციხესთან დაკავშირების შესახებ, რომელიც ქართლოსმა ააშენა. ზოგიერთი სომეხი მკვლევარი მართალია ასახელებს ამ ცნობას, მაგრამ დამახინჯებული

⁶ სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, გვ. 369-372.

სახით. მაგალითად ს. ალექსანიანი აღნიშნავს: „*Происхождение имени своего рода Степанос Орбелян связывает с крепостью Орбет, которую построили в Грузии потомки Торгома.*“ იგი ქართლოსის სახელს, რომელიც ქართველთა ეთნარქად არის წყაროებში დასახელებული, საერთოდ არ ახსენებს.

სომხურ საისტორიო მწერლობაში (ფავსტოს ბუზანდი, მოვსეს ხორენაცი, სებოსი, სტეფანოს ორბელიანი) დაცული ცნობებით, მამიკონიანთა და ორბელინთა საგვარეულოები ჩინელთა ტომის შთამომავლად არიან წარმოდგენილი. ქართული წყაროები კი არაფერს გვანვდიან მათი წარმომავლობის შესახებ. ზემოთ დასახელებული ოთხივე წყაროს ლეგენდით ძირითადად აღიარებულია მამიკონიანთა და ორბელთა ჩინური წარმომავლობა. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ცალკეულ დეტალებშია. მაგალითად ფავსტოს ბუზანდი და სტეფანოს ორბელიანი ამტკიცებენ თავიანთი გმირების მეფურ წარმომავლობას. სებოსი და მოვსეს ხორენაცი მათ დიდგვაროვან პირებად კი ასახელებენ, მაგრამ არაფერს ამბობენ მეფურ შთამომავლობაზე. ფავსტოს ბუზანდის მიხედვით მამიკონიანები სომხეთში უძველესი დროიდან ჩანან. სტეფანოს ორბელიანის თანახმად, ორბელები მეფე ფარნავაზამდე (III ს. ჩვ. წ.-აღ-მდე) მოვიდნენ. მოვსეს ხორენაცი და სებოსი მამიკონიანთა დაბრუნებას ჩვ. წ. აღ-ის III საუკუნით ათარიღებენ. ფავსტოსისა და სტეფანოსის მიხედვით, ჩინეთის დატოვების მიზეზი იყო ბრძოლა სამეფო კარზე, სებოსის მიხედვით კი – აჯანყება მეფის წინააღმდეგ.

ქართულ და სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრება და ვარაუდია გამოთქმული როგორც მამიკონიანთა, ასევე ორბელიანთა წარმომავლობის შესახებ. თითოეული მკვლევარი აღნიშნულ ლეგენდებზე დაყრდნობით მსჯელობს. თავდაპირველად ამ საკითხის გარკვევა სცადა ნ. ადონცმა თავის წიგნში „*Армения в эпоху Юстиниана*“. მისი მოსაზრებით „მამაკი“ მამიკონიანთა გვარის საკუთარ სახელს წარმოადგენდა. ადრე იგი წოდება იყო, შემდეგ კი გვარად იქცა: მამაკ ან მამიკ – აქედან მამიკონიან. სომხური ლეგენდის მიხედვით, მამიკონიანები „ჭენ“-ებისაგან წარმოიშვნენ. სახელწოდებაში „ჭენ“ იგი გულისხმობს არა ჩინელებს, არამედ მეზობელ „ნანებს“, რომლებიც არცთუ ისე შორს ცხოვრობდნენ მამიკონიანთა საგვარეულოს მამულში ტაოში. ნანებს სომხები „ჭან“, „ჭანიებს“ ეძახდნენ. ნ. ადონცის აზრით მამიკონიანთა საგვარეული თვისებები – ფიცხი ტემპერამენტი და მამაცობა ანათესავებს მათ უფრო ნანებთან, ვიდრე წყნარ ჩინელებთან. ნ. ადონცისათვის ცნობილია აგრეთვე ორბელთა ჩინური წარმოშობის ლეგენდაც. იგი ამ დამთხვევას შემთხვევითად არ თვლის და ორბელთა საგვარეულო მამიკონიანთა შტოდ მიაჩნია.⁷

ნ. ადონცის მოსაზრება ამ საგვარეულოთა ქანურობის შესახებ სხვა მეცნიერებმაც გაიზიარეს. ლ. მელიქსეთ-ბეგის მტკიცებით, „*ჭენ-ბაკური ჩინ-ბა-*

⁷ Н. Адонц, *Армения в эпоху Юстиниана*. Ереван, 1971, с. 402-404.

კურს ანუ ჩინელთა ბაკურს კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ჭაიან-ბაკურს ანუ ჭანელთა ბაკურს, რაც ორბელთა ჭანურ-ლაზური წარმოშობის მაჩვენებელი უნდა იყოს.⁸

მ. აბელიანი თავის ნაშრომში „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ შემდეგს მიუთითებს ორბელიანთა და მამიკონიანთა საგვარეულოთა შესახებ: „*Степанос Орбелян пишет историю дома Сисакан, то есть Сюника, говорит о князьях и епископах этой области Армении. Последними ее правителями были Орбеляны, сам же Степанос был епископом тех мест, поэтому он рассказывает не только свою биографию, но и посвящает одну большую главу роду Орбелянов, помимо того, что и в других местах упоминает о них и о себе. Предание о возникновении этого рода совершенно аналогично истории возникновения Мамиконянов. Их предок, царский отпрыск, бежав, согласно Степаносу, из Китая вместе с семьей от соплеменников, обосновался в Грузии, где удостоился больших почестей. Они поселяются в крепости Орбет и поэтому зовутся Орбеулк, то есть Орбетцы. Потомки этого царевича становятся спасателями Грузии и владельцами многих поместий.*“⁹

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ს. კაკაბაძე წერს: „*XIII საუკუნის ორბელები წინათ ჭენელებად იწოდებოდნენ. ეს ტერმინი დაკავშირებული უნდა იყოს სამეგრელოში ახლაც არსებულ სახელწოდებასთან ნენი-წყარი, იგივე ჭენი-წყარი (მდინარე ჭალენჯიხა) მხარე და ციხე თორის ანალოგიით, სადაც პროვინციის სახელის ნამონაგონრად XIII საუკუნეში დარჩენილი იყო მდინარის, მთის და სოფლის სახელი (თორის წყალი, თორის მთა, თორი). შეიძლება ვივულისებოთ, რომ დასახელებული სახელები (ნენის ანუ ჭენის წყალი) წარმოადგენენ სათანადო პროვინციის სახელის ნამონაგონარს. მაშინ მივიღებთ, რომ ჭანელნი (ჭენეულნი) იყვნენ პროვინციის ჭენის (იგივე ნენის) და ნენ-ჯიხის (ჭენ-ჯიხის) ანუ ნენის (ჭენის) ციხის (მეგრულად ჯიხა-ციხე) მფლობელები.*“¹⁰ ორბელთა ჭანურ-ლაზურ წარმოშობას უახლოეს ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში ეთანხმებიან შ. მესხია და გრ. გრიგორიანი.

შ. მესხია მიუთითებს: „*ორბელთა წარმომავლობის გასარკვევად ყურადღებას იქცევს ლიპარიტის „აფხაზობა“ (დასავლელობა) და აგრეთვე სტეფანოსის ცნობა ორბელთა წინაპრების ჭენში ცხოვრების შესახებ. თუ ამ „ჭენს“ (სტეფანოსის მიხედვით ნიშნავს ჩინს, ჩინეთს) შუასაუკუნეებში ჩვეულებრივ მიღებულ ლეგენდარულ გარსს შემოვაცლით, შეიძლება მასში „ჭანი“ გვევულისებოთ*

⁸ ლ. მელიქსეთ-ბეგი, სისაკანის ისტორიის ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, VI, 1952, გვ. 43.

⁹ М. Абегиан, *История древнеармянской литературы*, Ереван, 1975, с. 457-458.

¹⁰ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის წინასიტყვაობით, 1927, გვ. X-XI, შენიშვნა 4.

და იგი ორბელთა ჭანურ-ლაზური წარმოშობის მონობად მიგვეჩნია, როგორც ეს თავის დროზე სავსებით მართებულად შენიშნა ლ. მელიქსეთ-ბეგმა.¹¹

მამიკონიანთა შესახებ მოვსეს ხორენაცის გადმოცემის გათვალისწინებით ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ს. ჯანაშია მათ წარმოშობით ჭანებად მიიჩნევდა: „ამ ფეოდალურ საგვარეულოს წინაპარი სომხეთში მამგუნი ჭენია, – დასძენდა იგი, – „ჭენ გვარის“ ანუ „ჭენ-თესლისა“. თუმცა უეჭველია, რომ ამ გადმოცემის უშუალო მომთხრობელთ „ჭენ“ აქ ესმით, როგორც „ჩინ“-ი და ეს ფუძე ძველ სომხურ მწერლობაში მართლაც ჩინეთსა და ჩინელებზე მიუთითებს. მაგრამ საფუძვლიანი უნდა იყოს ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს მნივნილოვანი კონსტრუქციაა, სადაც ხალხური თქმულებების რეალური „ჭანი“ შეცვლილია „ჭენ“//„ჩინ“-ით, რისთვისაც, დავუმატებთ ჩვენ, იქნებ ხელი შეეწყოს „ჭან“-ის ადგილობრივ ცოცხალ ვარიანტს „ჭენ“-საც. მამიკონიანები რომ მართლაც წარმოშობით ჭანები იყვნენ, ეს სავსებით სარწმუნოა. ამას გვარის სახელის ფუძის მამიკის (←მამა+კინობითი სუფიქსი) გარდა დაბოლოება **ონ**, ჭანურ-მეგრული აფიქსი ადასტურებს.“¹²

ა. აბდალაძის აზრით, მამიკონიანთა და ორბელთა წარმომავლობის თაობაზე მსგავსი გადმოცემების არსებობა იმით არ უნდა იყოს გამონეწეული, რომ ორბელები მაინცდამაინც მამიკონიანთა ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ, არამედ, შესაძლოა აიხსნებოდეს ორივე საგვარეულოს ჭანური წარმოშობით.¹³

ქ. ქუთათელაძე ნაშრომში „ქვემო ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ისტორია (IX საუკუნის ბოლო – XIII საუკუნის დასაწყისი)“ აღნიშნავს: „*ორბელთა საგვარეულო სამშვილდეში დამკვიდრებულ ბაღვაშთა განშტოებას წარმოადგენს, რომლის გვარ-სახელი სამშვილდის ძველი სახელწოდების „ორბის“ ციხიდან მომდინარეობს.*“¹⁴

როგორც ვხედავთ, მეცნიერთა ერთი ჯგუფი აღიარებს ორბელთა და მამიკონიანთა საგვარეულოების ჭანურ-ლაზურ წარმოშობას. სომეხი მკვლევარი მ. თუმანიანი ეჭვმიუტანლად მიიჩნევს სომეხ ისტორიკოსთა ცნობებს მამიკონიანთა საგვარეულოს ჩინური წარმომავლობის შესახებ. ზემოხსენებულ მკვლევართაგან განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ქ. პატკანოვს, რომლის თანახმად „ჭენ“-ები არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ჩინელები. მათი წინაპრები იყვნენ თურქ-ფინური წარმომავლობის ტომები, რომლებიც სომხეთში

¹¹ შ. მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 1979, გვ. 23.

¹² ს. ჯანაშია, *შრომები*, III, თბილისი, 1959, გვ. 33.

¹³ მოვსეს ხორენაცი, *სომხეთის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბილისი, 1984, გვ. 278.

¹⁴ ქ. ქუთათელაძე, *ქვემო ქართლის სოციალ-პოლიტიკური ისტორია*, ავტორეფერატი, თბილისი, 1999, გვ. 13.

სახლობდნენ. მამიკონიანთა და ორბელიანთა საგვარეულოთა თურქული წარმოშობის თეორიას იზიარებენ აგრეთვე დ. ვერემევი და პ. შკოლდი.

ორბელთა საგვარეულო მამიკონიანთა შტო რომ ყოფილიყო, სტეფანოს ორბელიანი აუცილებლად სადმე თვითონვე მიუთითებდა. ჩვენი აზრით, პირველწყაროთა გათვალისწინებით უფრო რეალურია ორბელთა და მამიკონიანთა საგვარეულოთა დამოუკიდებელი წარმომავლობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ადრეული ხანის, ასევე თანამედროვე სომეხ მეცნიერთა მსჯელობა ორბელთა ფეოდალური სახლის წარმოშობის შესახებ უმთავრესად სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორიის“ მონაცემებისადმი ტენდენციურად მიდგომაზეა დამყარებული. ორბელთა საგვარეულოს ქართული წარმოშობის მიჩქმალვის სურვილით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ სომეხი მკვლევრები არსად, არასდროს არ ახსენებენ სტეფანოს ორბელიანის მიერ ქართული ენის ცოდნის ფაქტს: როდესაც ისტორიკოსს მოაქვს ქართველ დიდებულთა წერილი ივანე ორბელიანთან და ივანეს საპასუხო წერილი დიდებულებისადმი, დასძენს, რომ „თუმცა წერილები ქართულ ენაზე დანერეს, მაგრამ ჩვენ სომხურად შევცვალეთ და განვანყვეთ“.¹⁵

ზემოთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ისიც საყურადღებოა, რომ სტეფანოს ორბელიანი ქართველ დიდებულებს ქართული ფორმით „დიდებულს“ იხსენიებს და არა სომხური ფორმით „მენამენქ“, როგორც სხვა შემთხვევაში ისტორიკოსი იხსენიებს სომეხ დიდებულებს. აუცილებლად მიგვაჩნია გავიხსენოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი მეფე დავით დემეტრეს ძის მიმართვიდან დიდებულებისადმი, რომელშიც სიტყვა „ტახტი“ სომხური სიტყვით „ათორ“ კი არ წერია, არამედ ქართულით – „ტახტი“. დავითი წერს: „ძმაო ჩემო, გიორგი, როგორც მამაჩემმა მიბოძა მე საკუთრებად ეს სამეფო ტახტი, ასევე ვუბოძებ მას ჩემს ძეს დემნას.“¹⁶

სტეფანოს ორბელიანი ქართველ მთავართ თუ სხვა მოღვაწეთა სახელებს ქართული ფორმით გადმოსცემს, სომხურს კი – სომხურით. ასე მაგალითად, ივანე ორბელი და არა ჰოვჰანეს ორბელი; ივანე ათაბაგი და არა ჰოვჰანეს ათაბაგი; ივანე აბუღეთის ძე და არა ჰოვჰანეს, ძე აბუღეთისა; ივანე, სმბატ ორბელიანის ძე და არა ჰოვჰანეს, სმბატ ორბელიანის ძე. ივანე, ლიპარიტ ორბელიანის ძე და არა ჰოვჰანეს, ლიპარიტ ორბელიანის ძე და სხვა მრავალი. ხოლო რაც შეეხება სომეხ ან სივნიეთში მოღვაწე გასომხებულ ორბელიანთ „ივანეებს“, სტეფანოს ორბელიანი სომხური ფორმით „ჰოვჰანეს“ იხსენიებს: ჰოვჰანეს – შაპანოლლის ეპისკოპოსი, ჰოვჰანეს – სტეფანოსის ბიძაშვილი, ჰოვჰანეს – ტათევის ეპისკოპოსი, ჰოვჰანეს – სივნიეთის ეპისკოპოსი, ჰოვჰანეს – კოტაიქის ეპისკოპოსი, ჰოვჰანეს – სომეხთა კათალიკოსი და სხვ.

¹⁵ სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, გვ. 388 (სომხურ ენაზე).

¹⁶ იქვე, გვ. 380.

ნიშანდობლივია, რომ სტეფანოს ორბელიანი თავის თხზულებაში ქართული სიტყვებით (სომხური დანერილობით) გადმოსცემს წარმომავლობისა თუ თანამდებობის აღმნიშვნელ მთელ რიგ ტერმინებსა თუ სიტყვებს; მაგალითად, ივანე ტბელს „ივან დპელად“ იხსენიებს. მემნა ჯაყელს საზოგადო სახელად მიიჩნევს, ამიტომ მას პატარა ასოთი წერს; ქართული ფორმითაა წარმოდგენილი აგრეთვე შემდეგი სიტყვები: „ჭყონდიდელი“, „ვარძიის წინამძღვარი“, „პლნძაჰანქის წინამძღვარი“, „მამამთავარი“, „მწიგნობარი“ და სხვ.¹⁷

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორია“-ში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სისაკანიანთა და ორბელიანთა გვარების ისტორიას. როგორც მ. აბელიანი აღნიშნავდა: *„Этого требовала часть великого княжества Орбелянов, нужно было дать знать миру и оставить память не только об Орбелянах, но и о том, владельцами какого большого княжества они были, а сам Степанос на каком великом престоле восседал. Следовательно, его „История“ порождена любовью к своему роду, что в древние времена было общей чертой для власть имущих.“*¹⁸

სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორიის“ მასალების შესწავლიდან ნათელია, რომ ისტორიკოსი ფლობდა ქართულ ენას, კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას, ერკვეოდა მთელ რიგ საკითხებში და იყენებდა „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს თავის თხზულებაში. „სისაკანის სახლის ისტორიაში“ მრავალი საყურადღებო მასალაა შემონახული საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო ვითარების შესახებ.

XII საუკუნე ფეოდალური საქართველოს ისტორიაში საკმაოდ საინტერესო პერიოდია შინაკლასობრივი ბრძოლებით, დაპირისპირებებითა და წინააღმდეგობებით სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვან ფეოდალთა, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის (დავით აღმაშენებლის დროს ბაღვაშთა და აბულეთის ძეთა წინააღმდეგობა და ბრძოლა საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან, უთანხმოება დემეტრე პირველსა და დავით მეხუთეს შორის, ორბელთაშეთქმულება, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დაჯგუფება, ფეოდალური და მაღალი ფენების მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედება).¹⁹

როგორც ცნობილი, საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდნენ დიდაზნაურნი და ეკლესიის რეაქციული ფრთა. აღნიშნული ვითარება ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის დროს (975-1014 წწ.) გამომჟღავნდა, რომლის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა რატი ბაღვაში ქართლის დიდაზნაურთა მხარდაჭერით. მას დიდი ტერიტორია ჰქონდა მიტაცებული. რატი ბაღვაშს არც

¹⁷ სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, გვ. 355, 380, 381, 383, 387, 396, 418, 427, 476.

¹⁸ М. Абеян, *История Древнеармянской литературы*. Ереван, 1975, с. 459.

¹⁹ რ. მეტრეველი, *შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.)*, თბილისი, 1973.

ძამელები, კორინთელები, ტბელები, ფხვენელები და სხვა აზნაურები ჩამორჩე-
ბოდნენ.²⁰ საგვარეულოს არსებობის მთელ მანძილზე (XI-XIII სს.) ბაღვაშები
(ლიპარიტ IV, ლიპარიტ V, რატი I, ივანე ლიპარიტის ძე) თითქმის მუდმივად
ენინაღმდეგებოდნენ საქართველოს მეფეებს. დავით აღმაშენებელმა ბაღვაშთა
შტოს უკანასკნელი წარმომადგენლის რატის გარდაცვალების შემდეგ გააუქმა
ბაღვაშთა კლდეკარის საერისთავო. ხოლო ბაღვაშთა რაჭის შტოს უკანასკნელი
წარმომადგენელი, კახაბერ კახაბერის ძე დავით VI (1245-1293 წწ.) მკაცრად
დასაჯა მონღოლებთან კავშირის გამო.

რაც შეეხება აბულეთისძეთა კახეთის დიდგვაროვან ფეოდალთა საგვა-
რეულოს, იგი ფლობდა მამულებს არაგვისა და თეძამის ხეობაში და, როგორც
ეს მითითებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებ-
და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში XII-XIII საუკუნეებში. აბულეთისძეთა
შორის გამოირჩეოდნენ სახელგანთქმული სამხედრო და საეკლესიო მოღვაწენი,
ცნობილი ერისთავთ-ერისთავები, რომლებიც გარკვეულ პერიოდში ერთგულად
ემსახურებოდნენ სამეფო ხელისუფლებას, აქტიურ მონაწილეობასაც იღებდნენ
ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ხშირად თავი-
ანთი მოქმედებით, ისევე როგორც სხვა ქართულ საგვარეულოთა წარმომად-
გენლები, უპირისპირდებოდნენ საქართველოს მეფეებს, აშკარად მტრობდნენ
მათ. XIII საუკუნის შემდეგ აბულეთისძეთა საგვარეულომ დაკარგა ძალაუფლება
და გავლენა. მათ მამულს აბაზასძეთა საგვარეულო დაეუფლა. აბულეთისძეთა
კახეთის საგვარეულოს XII საუკუნის I ნახევარში საფუძველი ჩაუყარა კახეთის
დიდგვაროვანმა ფეოდალმა აბულეთმა, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის
სარდალმა, რომელმაც 1110 წელს ივანე ორბელთან და გიორგი ჭყონდიდელის
დისწულ თევდორესთან ერთად თურქთაგან გაანთავისუფლა სამშვილდე.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემით, 1123 წელს დავით აღ-
მაშენებელმა სომხეთის წინააღმდეგ გაილაშქრა და აიღო „*ციხენი სომხეთისანი:
გაგნი, ტერუნაკანი, ქავჯაზინნი, ნორბედი, მანასკომნი და ტალინჯაქარი.*“²¹
აღნიშნულ ცნობას სომეხი ისტორიკოსები: ვარდან აღმოსავლელი და სტეფა-
ნოს ორბელიანიც ადასტურებენ. ვარდანის მითითებით „*დავითმა გააფართოვა
საქართველოს საზღვრები, შემოიერთა უხტიქი და მისი მოსაზღვრე რაიონები
– გაგი, ტერუნაკანი, ტავუში, კაიანი, კაინონი, ლორე, ტაშირი, მაჰკანაბერდი,
დაიმორჩილა მთელი სომხეთის სამეფოები.*“²² სტეფანოს ორბელიანი კი აღნიშ-
ნავს ტავუშის, გაგის, ტერუნაკანისა და ლორეს შემოერთებას.²³

²⁰ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, *საქართველოს ისტორია*, თბილისი, 1958, გვ. 139.

²¹ *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლ-
ევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მზექალა შანიძემ, თბილისი, 1992, გვ. 196.

²² ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, გვ. 139-140.

²³ სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, გვ. 379 (სომხურ ენაზე).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით 1124 წლის 20 აგვისტოს დავით აღმაშენებელთან „მოვიდეს მენიგნენი ანელთა თავადთან და მოაქსენეს მოცემაჲ ქალაქისა და ციხეთა[ჲ] ბოჟანას ნყაროთა ზედა მდგომსა. და მყის ნიგნები წუევისაჲ მომოდისრბოლა და მესამესა დღესა სამეოცი ათასი მწედარი წინაშე უდგა. წარემართა და მესამესა დღესა აღილო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი.“²⁴

ანისის ამირა აბულსუარი მანუჩარისძე „რვათა ძეთა მისთა თანა და მწევალთა და სძალთა თანხლებით დატყვევებულნი მეფემ დასავლეთ საქართველოში გაგზავნა“.²⁵ ვარდან აღმოსავლელის ცნობით „მეფემ აბულეთი და მისი ძე ივანე დატოვა ანისში, დაბრუნდა თავის ქვეყანაში, თან ჩამოიყვანა აბულსუარი თავისი შვილებით, რომლებიც აღარ დაბრუნებულან, იქვე გარდაიცვალნენ ... ხორასანში მყოფმა აბულსუარის ვაჟმა (ფადლონმა) გაიგო რა მამის და ძმების ამბავი და დავითის სიკვდილი, მოვიდა და ვედრებით სთხოვა აბულეთს და ქალაქის უხუცესებს მამისეული ქალაქი ანისი. რადგანაც ქალაქი დიდ საშიშროებაში იყო თურქთაგან, აბულეთმა დაუთმო მას [ანისი], ზრუნავდა რა ქრისტიანებზე და უფრო მეტად თავის შვილ ივანეზე, რომ არ დაღუპულიყო ხშირი ბრძოლების დროს, თვითონ კი დაბრუნდა სახლში.“²⁶

ივანე აბულეთის ძემ დემეტრე I-ის მეფობის პერიოდში თურქთაგან გაანთავისუფლა დმანისი. აღნიშნული ფაქტი მითითებული აქვს სტეფანოს ორბელიანს. საბოლოოდ ივანე აბულეთის ძე შეენირა სამეფო ხელისუფლებასთან დაპირისპირებასა და პოლიტიკურ უთანხმოებას. აბულეთისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო ივანე აბულეთისძის ვაჟი, XII საუკუნის II ნახევრის კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი თირქამ აბულეთისძე, რომელმაც 60-იან წლებში ამირახორ ლიპარიტ ორბელიანთან და ბექა სურამელთან ერთად დაამარცხა თურქების ჯარი და დაეუფლა ქალაქ ანისს.

აბულეთისძეთა საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელთაგანი დაპირისპირებული იყო სამეფო ხელისუფლებას. მათ შორის უნდა გავიხსენოთ XII საუკუნის I მეოთხედის მღვდელმთავარი, მოდისტოს აბულეთისძე, რომელიც დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგი იყო და თავის ძმასთან, ძაგან აბულეთისძესთან ერთად გამოხდა ქვეყნის ცენტრალისტურ პოლიტიკას. ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეთა სამეფო კარის წინააღმდეგ გამოსვლის შესასწავლად საყურადღებოა დავით აღმაშენებლის ანდერძი, გაცემული შიომღვიმის მონასტრისადმი 1123 წელს.²⁷

²⁴ ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 196-197.

²⁵ იქვე, გვ. 197.

²⁶ ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, გვ. 139, 140.

²⁷ Ф. Жордания, *Завещание Давида Возобнавителя, данное Шимогвимской Лавре в 1123 г.*, Тифлис, 1895, მისივე, *ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896*, გვ. 14-18.

ზემოთ აღნიშნული ანდერძის მიხედვით შიომღვიმის მონასტრისათვის დავით აღმაშენებელს დიდძალი ქონება შეუწირავს, ამასთანავე განუსაზღვრავს მონასტერში ცხოვრების და სამსახურის წესი და რიგი. ანდერძიდან ირკვევა, რომ დავით აღმაშენებლისაგან განდევნილი და შიომღვიმეს თავშეფარებული ძაგან აბულეთისძე მემღვიმეებს შეუპყრიათ და გადაუციათ მეფისათვის. მათ მიერ განეული სამსახურისათვის დავით აღმაშენებელმა ბერ არსენის მონასტრის შუა ადგილას ააგებინა ეკლესია. როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია მითითებული, ძაგანისა და მოდისტოსის მიერ დავით აღმაშენებელის სანინაალმდეგო მოქმედების ფაქტს (აღსართან კახთა მეფისათვის მუხრანისა და ზედაზნის ციხეების გადაცემას) ადგილი უნდა ჰქონოდა დავით აღმაშენებლის მიერ ზედაზნის ალების (1103 წლის) შემდეგ. საბოლოოდ დავით აღმაშენებელმა მუხრანი და ზედაზნის ციხე შიომღვიმის მონასტერს უწყალობა.

საქართველოს სამეფო კარზე ხელისუფლებისათვის მებრძოლთა შორის ურთიერთდაპირისპირება განსაკუთრებით გაძლიერდა დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ. როგორც ქართული, ასევე სომხური წერილობითი წყაროების თანახმად, დემეტრე I-ს (1125-1155) არაერთხელ დაუპირისპირდა მისი შვილი დავით V, რომელიც გრძნობდა მამის კეთილგანწყობას უფრო მეტად უმცროსი ვაჟის, გიორგი III-სადმი (1156-1184). დავითი სამეფო ტახტის დაპატრონებისათვის იბრძოდა. მან რამდენჯერმე შეთქმულებაც კი მოაწყო დემეტრე I-ის წინააღმდეგ, რომლებშიც აბულეთისძეთა საგვარეულოს ზოგი წარმომადგენელიც კი იღებდა აქტიურ მონაწილეობას. სომეხი ისტორიკოსი ვარდან აღმოსავლელი თავის „მსოფლიო ისტორია“-ში ერთ-ერთი ასეთი შეთქმულების შესახებ გადმოგვცემს: *„დაახლოებით იმ დროს (1130 წელს – ე.ც.) ივანე აბულეთისძემ მოისურვა დემეტრესა და მისი (დავითის) ძის გიორგის მოკვლა. მამამისი აბულეთი მის წინაშე თეთრ წვერს იგლეჯდა და უკრძალავდა ამას. ისინი დმანისის ციხეში გამოკეტეს ძმათა შორის სიცრუის გამო, რაც გაიგო დემეტრემ. ივანემ უთხრა: რატომ დამიჭირე მამა?“ მან გაგულისებულმა უთხრა: „არა მეფევ, მე ხელში ჩაგიგდე შენ შენი ძმა, რომელსაც სურდა მეფობა.“ [მეფემ] შეიპყრო ის, თვალები დასთხარა და გაუშვა.“²⁸* იმავე ვარდანის გადმოცემით, 1132 წელს დემეტრე მეფის ბრძანებით ივანე აბულეთისძე მოკლეს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ვარდან აღმოსავლელის ზემოთ აღნიშნული ცნობა ბოლომდე სარწმუნოდ არ არის მიჩნეული. თუნდაც ის, რომ დავით დემეტრეს ძეს არცერთი წყარო უსინათლოდ არ მოიხსენიებს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დემეტრე I-ის წინააღმდეგ მემამბოხედ, რომელსაც აბულეთისძენი უჭერდნენ მხარს, უფლისწული დავითი იგულისხმება. იმავე ვარდანის მითითებით, ივანეს შვილი თირქაში შაჰ-არმენტან წავიდა, რომლისგანაც მიიღო არშარუნის ქვეყანა და დაიწყო საქართველოს აოხრება. საბოლოოდ დემეტრე მეფემ

²⁸ ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, გვ. 142.

შეიპყრო თირქაშ აბულეთისძე. ხოლო სამეფო ტახტის მიტაცების შემდეგ დავით დემეტრეს ძემ ციხიდან გაათავისუფლა თირქაში და ამირსპასალარად დანიშნა. აღნიშნული ფაქტი სწორედ იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ივანე და თირქაშ აბულეთისძენი დავითის მოკავშირენი იყვნენ დემეტრე I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში და მადლიერმა დავითმა სამაგიერო ივანეს შვილს თირქაშს მიუზღო.²⁹

ნ. ბერძენიშვილი X-XII საუკუნეების აბულეთისძეთა სამფლობელოდ ასახელებს მუხრან-ზედაზენს და მიუთითებს: „*მეფის ხელისუფლების ცენტრალისტური ტენდენციების წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდა დიდაზნაურული საქართველო: ბაღვაშ-აბულეთისძენი ქართლიდან, შინაგამცემელი ტაოელნი, „მეტრთავე თანა გარემოდგომილი“ ჰერ-კახნი, „ურჩნი“ და „ოროგულნი“ აფხაზნი და ყველა „მაბრალობელნი“ იბრძოდნენ ხმლით*“.³⁰

XII საუკუნის არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-აზრაყ ალ ფარიკის თხზულებს „მაიაფარიკინის და ამიდის ისტორიის“ ცნობებზე დაყრდნობით არაბისტი გოჩა ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „აბულეთისძეთა ფეოდალური სახლი XI საუკუნის დამდეგს არა მარტო უბრალოდ არსებობდა, არამედ ის უკვე საკმაოდ ძლიერი და გავლენიანიც იყო“.³¹

საქართველოში სახელ „აბულეთის“ ჯერ კიდევ ადრე გავრცელებას ადასტურებს X საუკუნით დათარიღებული შიდა ქართლის სოფ. ზედალისის (ყოფილი ზნაურის რაიონი) ეკლესიის სამშენებლო წარწერა.³² აქ სახელი „აბულეთი“ პირველად არის მოხსენიებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით აბულეთისძეთა საგვარეულოს დამფუძნებლად აღიარებულია აბულეთი, რომელიც 1110 წელს დავით აღმაშენებლის მიერ სამშვილდის ალეზაში აქტიურად მონაწილეობდა, იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაშიც არის მოხსენიებული. აღნიშნულ ბრძოლაში აბულეთის აქტიური მონაწილეობა იმაზე მიუთითებს, რომ მას უფრო ადრეც უნდა ჰქონოდა დანყებული მოღვაწეობა სამეფო კარზე. როგორც გოჩა ჯაფარიძე აღნიშნავს, „თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელი „აბულეთი“ ხშირად მეორდება აბულეთისძეთა საგვარეულოში, ალ-ფარიკის მიერ მოხსენიებული მალიქი უეჭველად შეიძლება მივიჩნიოთ ამ საგვარეულოს ერთ-ერთ ადრეულ წარმომადგენლად.

²⁹ ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი II, თბილისი, 1948, გვ. 224-227; რ. მეტრეველი, *შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში*, გვ. 116-118.

³⁰ ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 29.

³¹ გ. ჯაფარიძე, *აბულეთისძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის*, საისტორიო შტუდიები, V, თბილისის ილ. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2004, გვ. 30-37.

³² ნ. შოშიაშვილი, *ლაპიდარული წარწერები*, V-X სს., თბილისი, 1980, გვ. 190-191; ა. გოგოლაძე, *დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი*, თბილისი, 2001, გვ. 149-150.

სავარაუდოა, რომ 1110 წლისთვის აბულეთისძეთა სახლს არანაკლებ ერთი საუკუნის ისტორია მაინც ჰქონდა.“ ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აბულეთისძეთა საგვარეულოს მოღვაწეობას XIII საუკუნის II ნახევარშიც, არის ძაგან აბულეთის ძის დაწერილი მღვიმისადმი, რომელიც 1259 წლით თარიღდება: 1405 წ. დოკუმენტის ცნობით აბულეთისძეთა მამულს აბაზასძეთა საგვარეულო დაეპატრონა.

XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში შინაპოლიტიკური დაპირისპირებებისა და წინააღმდეგობათა ამსახველი მასალები შემონახულია როგორც სომხურ, ასევე ქართულ წყაროებში.

სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორია“-ში გიორგი III-ის წინააღმდეგ 1177 წელს გიორგის ძმისწულის, დემნა უფლისწულისა და ორბელთა შეთქმულების შედეგი ასეა გადმოცემული:

გიორგი მეფემ შეჰფიცა და აღთქმა დასდო [ივანე ორბელის] წინაშე, რის გამოც გაბედა მან მასთან მისვლა. ხოლო მეფემ დიდად განიხარა, დიდი სიყვარულით შეიწყნარა და განადიდა დიდი პატივით, სანამ ხელთ არ იგდო მისი ყველა ძე და ტომნათესავნი. შემდეგ კი გიორგიმ დაარღვია თავისი აღთქმა და შესაძრწუნებელი ფიცი. მან შეიპყრო ივანე და თვალები დასთხარა, [ასევე] შეიპყრო დემნა, ივანეს სიძე, მასაც დასთხარა თვალები და დაასაჭურისა, რათა არა ჰყოლოდა მემკვიდრე. ივანეს უმცროსი ძმა, ქავთარი, მისი ძე სუმბატი, ძმისწული ინა მოაკლვევინა. ყოველი ტომ-ნათესავი მათი, ყოველი ყრმა და ქალი მთლიანად ამოხოცა და წარწყმიდა ზოგიერთნი მოშობით, ზოგნი წყალში ჩაგდებით, სხვები კი კლდეზე გადაგდებით. ასე აღმოფხვრა მათი სახელი ქართველთა სახლიდან და ბრძანა ორბელიანთ ტომის სახსენებლის აღხოცვა ისტორიიდან. შემდეგ კი დაავალა აღწერათ ეს აჯანყება არა ისე, როგორც იყო მისი ნამდვილი მიზეზი, არამედ დიდი ცილისწამებით. შემდგომ განაწესა შეჩვენებაც, რათა აღარ მოეხსენებინათ მათი სახელი და მათგან არავინ დაეტოვებინათ ქართველთა ქვეყანაში. ეს ბოროტი ანდერძი მან შეინახა თავის საგანძურში. ეს მოხდა 626 (1177) წელს.³³

ვარდან აღმოსავლელის და სტეფანოს ორბელიანის ცნობები ორბელთა ამბოხების შესახებ ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ სტეფანოსის მიერ ფაქტები და მოვლენები სხვა წყაროთაგან განსხვავებით უფრო მწვავე ფორმებითაა გადმოცემული. ვარდანის „მსოფლიო ისტორია“ სტეფანოს ორბელიანის თხზულებასთან ერთად მნიშვნელოვნად ავსებს ქართულ წყაროებს ზემოთ აღნიშნული საკითხის შესწავლისას. ვარდან აღმოსავლელი აღნიშნავს:

იმ დროს გამოავლინა ივანემ თავისი ბოროტება. მან გადმოიბირა მეფის ძმისშვილი დემნა და ბევრი აზნაური, გადანყვიტა მოეკლა მეფე, ვიდრე

³³ სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, გვ. 388-389 (სომხურ ენაზე).

იგი უდარდელად იმყოფებოდა სახატეში. [მეფემ] შეიტყო რა [მოსალოდნელი საფრთხე] ერთი კაცისაგან, გაიქცა თბილისში, რადგან მცირერიცხოვანი ხალხით იყო. იქ ღმერთის ჩავონებით მასთან ბევრი შეგროვდა, რომლებმაც უარყვეს [თავიანთი] ბოროტი ზრახვები. როცა გაძლიერდა მეფის მხარე, მოისურვა წასვლა აჯანყებულებზე. ისინი სახატედან გაიქცნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებში, შემდეგ შევიდნენ ლორეში ლიპარიტის გარდა, რომელიც თავის ორ ვაჟთან ერთად სპარსეთში წავიდა. მეფემ ხელში ჩაიგდო ორბელიანების მთელი ავლადილება. მეფესთან გამოცხადდნენ და ფეხებში ჩაუვარდნენ მისი ძმისშვილი და მასთან ერთად ყველა სხვანი, თვითონ ივანეც კი, რომელიც დააბრმავებინა. მისი უმცროსი ვაჟი ქავთარი და ლიპარიტის ძე ინა მოაკვლევინა. მოისპო ყველაფერი ბოროტი.³⁴

სტეფანოს ორბელიანისა და ვარდან აღმოსავლელის თხზულებებიდან ზემოთ მოტანილ მასალებში გიორგი III-ის წინააღმდეგ მონყობილ შეთქმულებაში დასჯილებად დასახელებულნი არიან მხოლოდ ორბელები, და არაფერია თქმული სხვა შეთქმულებზეც რომლებიც ასევე დაისაჯნენ. სინამდვილეში ორბელთა შეთქმულების დიაპაზონი საკმაოდ ფართო იყო, მასში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მრავალი კუთხის მცხოვრებნი. თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ საკმაოდ დანვრილებითაა გადმოცემული ორბელთა შეთქმულების მთელი ისტორია.³⁵

ლაშა გიორგის დროინდელი მემატრიანე, თამარის ისტორიკოსისაგან განსხვავებით, თავის თხზულებაში ორბელთა აჯანყების შესახებ მოკლედ გადმოსცემს: „ამის დავითის შვილი და გიორგის ძმისწული დემეტრე დარჩა, და ოდეს ორბელნი უკუადგეს გიორგი მეფესა, იგი თანა უკუიტანეს და ლორეს შედგეს. მუნით გამოასხნა ორბელნი მეფემან და იპყრნა და დაჯოცნა და დემეტრე კლდეკართა დასუეს, უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს.“³⁶

ზემოთ ჩამოთვლილი როგორც ქართული (თამარ მეფის ისტორიკოსი, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატრიანე), ისე სომხური (სტეფანოს ორბელიანი, ვარდან აღმოსავლელი) წყაროების ავტორები ცხოვრება-მოღვაწეობის ქრონოლოგიური საზღვრებით (XIII-XIV სს.) არანაკლებ ერთი საუკუნით არიან დაშორებული ორბელთა ამბოხების დროიდან. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული წყაროები ხშირად ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის აღწერისას საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავ-

³⁴ ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, გვ. 149.

³⁵ *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, გვ. 18-20.

³⁶ *ლაშა გიორგის დროინდელი მემატრიანე*, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 367.

ტორი მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების დამცველად გვევლინება და ყველაფერში დემნა უფლისწულსა და მის მომხრე ორბელებს ადანაშაულებს. ვარდან აღმოსავლელი ივანე ორბელს ბოროტს უწოდებს, ხოლო საერთოდ ორბელთა ამბოხებას – ბოროტებას.

სტეფანოს ორბელიანი ორბელთა საგვარეულოს ინტერესების დაცვის პოზიციიდან ცდილობს ამბოხებულთა საქციელის გამართლებას. ორბელთა ამბოხების ამსახველ სომხურ წყაროთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა აღნიშნული ამბოხების თანამედროვე და თვითმხილველის XII საუკუნის სომეხი მოღვაწის დავით ქობაირელის ანდერძ-მოსახსენებლი. დავითი სოფელ ქობერში დაიბადა, ხოლო მოღვაწეობდა ახპატში, რის გამოც იგი ახპატელადაც იწოდებოდა. ანდერძ-მოსახსენებელს მატენადარანში 1951 წელს მიაკვლიეს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში დავით ქობაირელი თავის ავტობიოგრაფიას აღწერს, მეორე ნაწილში კი გადმოცეულია ორბელთა ამბოხება. სამწუხაროდ მოსახსენებლის მეორე ნაწილს აკლია, თხრობა შეწყვეტილია ლორეს ციხიდან დემნა უფლისწულის გამოპარვის აღწერით. დავით ქობაირელის ანდერძ-მოსახსენებელი გამოაქვეყნა სომეხმა მკვლევარმა ვაზგენ ჰაკობიანმა,³⁷ მისი ქართული თარგმანი კი გამოაქვეყნეს ჯერ გ. მაისურაძემ,³⁸ შემდეგ კი ა. აბდალაძემ.³⁹ დავით ქობაირელის „მოსახსენებლის“ ტექსტის დასაწყისშივე აშკარად ჩანს ავტორის არაკეთილგანწყობილება ამბოხებულთა მიმართ, რომლებსაც იგი ბოროტგანმზრახველთა უწოდებს. სხვა წყაროთაგან განსხვავებით დავით ქობაირელი ბოროტთა სახელით იხსენიებს არა მარტო ორბელებს, არამედ ყველა მათ, რომლებიც გამოვიდნენ გიორგი III-ის წინააღმდეგ.

დავით ქობაირელის „მოსახსენებლის“ ქართული თარგმანის ორივე გამომცემლის (გ. მაისურაძე, ა. აბდალაძე) მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი აღნიშნული წყარო, განსაზღვრულია მისი ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა დემნა უფლისწულის ამბოხების ამსახველი სხვა წერილობითი ძეგლების მონაცემთა გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ დემნა უფლისწულის ამბოხება მრავალმხრივაა შესწავლილი ქართველ და სომეხ მეცნიერთა მიერ (მ. ბროსე, თ. ჟორდანი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. აბულაძე, გ. პოვსეფიანი, ვ. ჰაკობიანი, მ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია, ზ. ალექსიძე, ჯ. ოდიშე-

³⁷ Վ. Տակոբյան. Դավիթ Քոբայրեցու հիշարձարանը. Տեղեկագիր հայկական Գիտությունների ակադեմիայի. Երևան, 1952, ვ. Պაკობიანი, *დავით ქობაირელის ანდერძ-მოსახსენებელი*, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა մասնաժողով, Թ. 8, Երևան, 1952, გვ. 114, 120 (სომხურ ენაზე).

³⁸ გ. მაისურაძე, *ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ*, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბილისი, 1966, გვ. 153-166.

³⁹ ა. აბდალაძე, *სომხურ ხელნაწერთა X-XII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ*, თბილისი, 2005, გვ. 36-40, 90-104.

ლი, ჯ. სტეფნაძე, რ. მეტრეველი, თ. ბარნაველი, გ. მაისურაძე, ა. აბდალაძე, ქ. ქუთათელაძე).

6. ბერძენიშვილი ნაშრომში „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში“ ნათლად წარმოადგენს გაერთიანებულ საქართველოს დიდგვაროვანთა, მათ შორის, ამჯერად ჩვენთვის საინტერესო ორბელთა ამბოხების არსს და შემდეგნაირ შეფასებას აძლევს მას: *„კარზე აჯანყება ხშირი შექმნილა, რომ დიდგვარიანებს ჩვევად შემოსვლიათ (უფრო სწორად მათი კლასობრივი ბრძოლის ფორმად ქცეულა) ბრძოლა მეფის კარისათვის. ეს ბრძოლა ახლა არ დაწყებულა. ის ჯერ კიდევ XI საუკუნიდანვე მოდის, რაკი საქართველო გაერთიანდა. დიდმა აზნაურებმა იწყეს ბრძოლა გაერთიანებული ქვეყნის მეფის კარის დაუფლები-სათვის: საკუთარი კლასობრივ-წოდებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად ეს სრულიად აუცილებელი ჩანდა. ამისთვის იბრძოდა ლიპარიტი მისი მომხრეებით, ამისთვის იბრძოდნენ ლიპარიტისა და მის მომხრეთა მოწინააღმდეგენი ... და არა მარტო დიდგვარიანები ცდილობდნენ კარზე გავლენის მოპოვებას, არამედ წვრილ აზნაურთა თუ წვრილმოლაშქრეთა ფენებიც.“⁴⁰* დემნა უფლისწულისა და ორბელთა ამბოხება, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში სტეფანოს ორბელიანისა და ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეს ცნობაზე დაყრდნობით 1177 წლითაა დათარიღებული, როგორც ირკვევა, დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა.

1125 წელს, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟის დემეტრეს გამეფების პერიოდში, გამწვავდა ტახტისათვის ბრძოლა დემეტრესა და მის უფროს ვაჟს დავითს შორის. დემეტრე, როგორც ცნობილია, თავის უმცროს ვაჟს გიორგის სწყალობდა. ქართველმა დიდებულებმა მამა-შვილებს შორის ურთიერთობის გამწვავებით ისარგებლეს, დავით უფლისწულს დაუდგნენ მხარში და 1150 წელს მამის წინააღმდეგ აამხედრეს. დემეტრემ სძლია მემამბოხეებს, დასაჯა ისინი, მაგრამ ამით ბრძოლა არ შეწყვეტილა. 1155 წელს მემამბოხეები კვლავ აჯანყდნენ. დემეტრე კი იძულებული იყო ბერად აღკვეცილიყო.

დავით V-მ ექვსი თვე იმეფა. ზოგის ცნობით, იგი გარდაიცვალა, ზოგის ვარაუდით – იგი მოკლეს.

სომხურ წყაროთაგან ვარდან აღმოსავლელი „მსოფლიო ისტორიაში“ შემდეგნაირად გადმოგვცემს დავით დემეტრეს ძის მკვლელობის ფაქტს: *„ზოგი ამბობს, რომ [ის მოკლულ იქნა] სუმბატ და ივანე ორბელიანების მზაკრობის შედეგად, რადგან მათ ადგილას დააყენა თირქაში. ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმასთან გიორგისთან, რომ [ის] დანიშნავდა [მათ] მხედართმთავრად. გიორგიმ მიიღო სამეფო გვირგვინი 605/1156 წელს.“⁴¹* დავით V-ის შემდეგ სამეფო ტახტს

⁴⁰ 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 34-35.

⁴¹ ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, გვ. 145 (სომხურ ენაზე).

ისევ დემეტრე I დაუბრუნდა. მან მეფედ აკურთხა თავისი უმცროსი ვაჟი გიორგი. მისი გამეფება კანონიერად არ იყო მიჩნეული, ვინაიდან დავითს დარჩა ვაჟი დემეტრე (დემნა). დავითის დროინდელ აჯანყებასა და გიორგი III-ის წინააღმდეგ დემეტრე (დემნა) უფლისწულისა და ორბელთა შეთქმულებას შორის რალაც კავშირი უნდა არსებულებო. სტეფანოს ორბელიანის თანახმად:

მრავალი წარმატებისა და დიდი ვაჟკაცობის გამოჩენის შემდეგ გარდაიცვალა დემეტრე მეფე 607 (1158) წელს, ტახტს დაუფულა მისი ვაჟი, დავითი, მამის მსგავსად მხნე და ბრძენი კაცი. მან იცოცხლა ორი წელი და გარდაიცვალა. აღსრულების უამს დემეტრემ მოიხმო კათალიკოსი და დიდ-დიდნი დიდებულნი, თავისი ძმა გიორგი და თავისი მცირეწლოვანი ყრმა დემნა. მან წინ დაიდვა მაცხოვრის ხატი, ცხოველმყოფელი ჯვარი, წმინდა სახარება და თქვა: „ჰოი, დიდებულნო ქართველნო, თქვენ თავად მხნედ იცით, თუ როგორ იღვანა მამაჩემმა თქვენთვის და კვლავ განაახლა ეს სამეფო და სიკვდილის უამს დიდი აღთქმითა და ანდერძით მე მიბოძა ეს სამეფო. ხოლო ამჟამად მე მიახლოებული ვარ აღსასრულს და შენ, ძმაო ჩემო, გიორგი, არც წილი და არც სიტყვა არ გეკუთვნის ამ ტახტისთვის. ან, როგორც მამაჩემმა მე მიბოძა საკუთრად სამეფო ტახტი, მსგავსადვე მე ჩემ პირმშოს დემნას ვუწყალობებ მას ყველა თქვენთაგანის მოწმეობით. ხოლო შენ, გიორგი, ძმაო ჩემო, დადექ ჩემს ადგილზე და დაუფულე ქვეყნის ძალთმთავრობას და იყოს შენი ნაწილი მემკვიდრეობისა, რომელიც მამაჩემმა მოგცა, ვიდრე აღიზრდება ჩემი ყრმა“. [შემდეგ] მან მოიხმო [წინ დაიყენა] ივანე, სმბატ ორბელიანის ვაჟი, დააფიცა ყრმისათვის ანდერძის აღთქმის დაცვა, ყრმას ხელი შეახო, ივანეს ხელში მისცა, შევედრა მას და დააფიცა დიდებულნი, რომ არ ემზაკვრათ ყრმისათვის და როცა ასაკს მიაღწევდა, მეფედ ეკურთხათ. ყოველივე ეს რა აღასრულა, თვით აღესრულა. და დაეფლა მამათა თვისთა თანა გელათს.⁴²

ზემოთმოტანილი ცნობის ჭეშმარიტებაში ეჭვი ეპარებოდა ივ. ჯავახიშვილს, რადგან მას შეუძლებლად მიაჩნდა ძმებს შორის ასეთი დაძაბული ურთიერთობის დროს დავითს თავისი შვილის დემნას მზრუნველობა გიორგისათვის მიენდო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სტეფანოს ორბელიანმა ორბელთა შეთქმულების გასამართლებლად თვითონვე შეთხზა ანდერძი.⁴³ სავარაუდებელია, რომ თავდაპირველად ორბელებსა და გიორგის შორის კეთილგანწყობა არსებობდა, ორბელები გიორგის მხარეზე იყვნენ, მისგან ივანე ორბელმა ამირსპასალარობაც მიიღო. დემნა უფლისწული ივანე ორბელთან იზრდებოდა, რომლის სიძეც გახდა. ივანე ორბელმა მოინდომა ანისის მმართველობა, რადგან ანისი მის საგამგებლოს ლორე-ტაშირს ესაზღვრებოდა.

⁴² სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, გვ. 380-381 (სომხურ ენაზე).

⁴³ ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, II, თბილისი, 1983, გვ. 243.

ანისის საკითხთან დაკავშირებით გიორგი მეფესა და ივანე ორბელს შორის უთანხმოება წარმოიშვა. ანისის აღების შემდეგ გიორგი მეფემ ანისის გამგებლად ივანე ორბელი დანიშნა, რომელიც მაჰმადიან მფლობელებს დაუკავშირდა. გიორგიმ დაამარცხა სულთანი, ანისის მოქალაქეებმა ივანე ორბელს ხელი შეუშალეს მაჰმადიანებისათვის ქალაქის გადაცემაში. ამიერიდან მას ჩამოერთვა ანისის გამგებლობის უფლება. ივანე ორბელსა და გიორგი მეფეს შორის კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა ივანე ორბელის ოჯახში სიძედ დემნა უფლისწულის შესვლის შემდეგ. გიორგი III-ს ფეოდალთა დიდი ნაწილი დაუპირისპირდა იმის გამოც, რომ იგი შემოერთებულ და დაპყრობილ ქვეყნებში ქართველ დიდებულებს ხელისუფლებას არ აძლევდა. სწორედ ზემოთაღნიშნულ ვითარების გამო მეფის წინააღმდეგ დემნა უფლისწულისა და ორბელთა მიერ მოწყობილ აჯანყებაში ბევრი დიდებული მონაწილეობდა.

როგორც ქართულ ისე სომხურ წერილობით წყაროებში, ასევე ისტორიო-გრაფიაში დემნა უფლისწულისა და ორბელთა შეთქმულება სხვადასხვანაირად არის დათარიღებული. სტეფანოს ორბელიანს მითითებული აქვს: *„მამა სმბატი მოხუცებული მოკვდა. დაკრძალეს იგი მამათა [სამარხში], ხელისუფლებას კი დაუფლნენ მისი ვაჟები: ივანე და ლიპარიტი. ხოლო სომეხთა წელთაღრიცხვის 626 (626+551=1177) წელს ატყდა შფოთი და არეულობა ქართველთა სამეფოში, ძირფესვიანად აღმოიფხვრა და დაეცა ორბელიანთ სახლი გიორგის მეფობის 21-ე წელს.“*⁴⁴

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატრიანეც, სტეფანოს ორბელიანის მსგავსად დემნა-ორბელთა ამბოხებას 1177 წლით ათარიღებს: *„ოდეს ორბელნი გადაგეს, ქრონიკონი იყო სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი (397+780=1177).“*⁴⁵ დემნა-ორბელთა აჯანყებას 1177 წლით ათარიღებს გიორგი III-ის სიგელიც, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (Ad-15). გიორგი მეფის ბრძანების ტექსტი შესრულებულია XII საუკუნისათვის დამახასიათებელი მდივანმწიგნობრული ხელით. გიორგი III-ის სიგელის ტექსტი აღადგინა და გამოაქვეყნა თეიმურაზ ბარნაველი-მა.⁴⁶ აღნიშნული სიგელი ზუსტად დემნა უფლისწულისა და ორბელთა აჯანყების დროს ეკუთვნის. მის თანახმად, ამბოხება მომხდარა გიორგი III-ის მეფობის „კ“ წელს. გიორგი გამეფდა 1156 წელს, აქედან გამომდინარე ამბოხების თარიღია 1177 (1156+21) წელი. აჯანყება, როგორც თ. ბარნაველი მიიჩნევს, უნდა დაწყებულიყო 1177 წლის ივნის-ივლისში, სიგელი კი დაწერილია 1178 წლის პირველ ნახევარში. გიორგი III-ის სიგელი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში აღ-

⁴⁴ სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, გვ. 383 (სომხურ ენაზე).

⁴⁵ *ლაშა გიორგის დროინდელი მემატრიანე*, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I. გვ. 367.

⁴⁶ თ. ბარნაველი, *უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის*, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXI-XXI, თბილისი, 1957, გვ. 107-111.

წერილია ამბოხებულებზე გიორგი III-ის გამარჯვების შემდგომი პერიოდის ამბებიც.

დავით ქობაირელის „მოსახსენებლის“ სომხური ტექსტის გამომცემელი ვ. ჰაკობიანი დემნას ამბოხების დასაწყისად 1178 წლის აპრილის შემდგომ პერიოდს მიიჩნევს, დასასრულად – 1179 წლის თებერვლის 10-მდე, როდესაც გიორგი III აიღო ლორეს ციხე.

თედო უორდანიას მიერ „ქრონიკების“ I ტომში აღნიშნულია: *„ეს ბრძოლა დაიწყო ივნისს 1177 წელს და გათავდა თებერვალს 1178 წლისას: პირველ წელს უჩვენებს სტეფანოსი, ხოლო მეორეს – ჩვენი ქრონიკა (ე. ი. აფხაზთა ქრონიკა).“*

სომეხი მკვლევარები თ. ჰაკობიანი და ს. მელიქბახჩიანი თავის ნაშრომში სტეფანოს ორბელიანის ცნობაზე დაყრდნობით დემნა უფლისწულის აჯანყების თარიღად მიიჩნევენ 1177-1178 წლებს.⁴⁷

ა. აბდალაძის აზრით: *„არც ისაა გამორიცხული, რომ დავით ქობაირელი ამბოხების დასაწყისად გულისხმობდეს 1178 წელს, თუ მართლა ამ წელს დაიწყო ამბოხება, სხვა წყაროებში ამბოხების თარიღად 1177 წლის დადება უნდა ავხსნათ იმით, რომ განდგომილები ბრძოლას აგრძელებდნენ ამ წელსაც, როდესაც ისინი საბოლოოდ დამარცხდნენ.“*⁴⁸

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი სომხური წყაროების მონაცემებისა და ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით უფრო მისაღებად მიგვაჩნია ორბელთა ამბოხების თარიღად 1177-1178 წლების აღიარება. გიორგი III-ის მკაცრი ცენტრალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ორბელთა ამბოხება, რომელიც მიზნად ისახავდა ივანე ორბელის სიძის, დემნა უფლისწულის უფლებების დაცვას, მის გამეფებას, სერიოზულობითა და მასშტაბურობით განსხვავდებოდა საქართველოში XII საუკუნეში წარმოქმნილ შინაკლასობრივ სხვა ბრძოლებისაგან. ჯერ ერთი იგი თითქმის საქართველოს ყველა მხარეს მოედო და მასში ქვეყნის ფართო ფენები იღებდნენ მონაწილეობას აჯანყებულთა თუ მეფე გიორგი III-ის მხარეზე.

ცნობილია, რომ ორბელები განსაკუთრებით დემეტრე I-ის და დავით დემეტრეს ძის მეფობის პერიოდში დაწინაურდნენ. ორბელების სახლის მეთაური ივანე სუმბატის ძე ერთდროულად დაეუფლა ამირსპასალარობასა და მანდატურთუხუცესობას. იგი გიორგი III-ის დროს ანისის გამგებელიც იყო. მისი ძმა ლიპარიტი კი ჯერ ამირახორი, შემდეგ კი ქართლის ერისთავი გახდა. ორბელებმა

⁴⁷ ი.ქ. წაწყობას. ო.ს. სწიქე – ჩაჩუკას. სტეფანოს ორბელიანის. ნუსხის. 1960, ტ. 16-17 თ. ჰაკობიანი, ს. მელიქ-ბახჩიანი, სტეფანოს ორბელიანი, ერევანი, 1960, გვ. 16-17 (სომხურ ენაზე).

⁴⁸ ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა X-XII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 97.

გიორგი III-ის ნაცვლად მისი ძმისშვილის დემნა დავითის ძის გამეფებით მოინდომეს თავიანთი უფლებებისა და მდგომარეობის განმტკიცება სამეფო კარზე.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ორბელთა 1177-1178 წლის ამბოხება გიორგი III-ის წინააღმდეგ ერთბაშად არ დაწყებულა. იგი აღმოცენდა იმ საკმაოდ ხანგრძლივი ურთიერთდაპირისპირების შედეგად, რომელიც სამეფო ტახტის დაუფლებისათვის უთანხმოების დროიდან წარმოიშვა დემეტრე I-ის და მის შვილთა (დავით V, გიორგი III-ის) შორის.

როგორც სტეფანოს ორბელიანი აღნიშნავს, ივანე ორბელის კარზე დემნა უფლისწულის ყოფნის პერიოდში: „გიორგი მეფემ თავის მხარეს მიიმხრო დიდებული მთავარნი და კათალიკოსი და მოისურვა გამეფება. მაგრამ მან ვერ გაბედა თავისი განზრახვის გამხელა დიდი სუმბატ ორბელიანისა და მისი ვაჟებისათვის, ივანეს და ლიპარიტისათვის. ერთი თვის შემდეგ ყველა დიდებული და აზნაურნი შეიკრიბნენ გიორგისთან, მასთან მივიდა ივანეც თავისიანებითურთ. მაშინ განუცხადა გიორგიმ მათ თავისი განზრახვა და მრავალი მოსაფერბელი ტკბილი სიტყვით დააჯერა ისინი, რომ „როგორც კი ასაკს მიაღწევს ჩემი ძმისწული, არ გავანაწყენებ მას, არამედ ჩემი ძმის ანდერძის თანახმად სამეფო ტახტზე დავსვამ“. ასე ყველანი შეთანხმდნენ და დასვეს იგი მეფედ“.⁴⁹ სტეფანოს ორბელიანი თავის თხზულებაში „სისაკანის სახლის ისტორია“ ორბელთა ამბოხების გადმოცემამდე, საკმაოდ ვრცლად აღწერს გიორგი მეფის ქველ საქმეებს, წარმატებით ბრძოლებსა და ქვეყნის შინაურ ვითარებას და ყველა საგარეო თუ საშინაო საქმიანობაში მის მარჯვე თანამებრძოლად ასახელებს ამირსპასალარ ივანე სუმბატის ძე ორბელიანს. სტეფანოს ორბელიანის გადმოცემით, მართალია, ივანე ქვეყნისათვის მრავალ სასარგებლო საქმეს ეწეოდა და მუდამ უდიდესი პატივითა და დიდებით აღამაღლებდა მეფეს, მაგრამ ამავე დროს მუდმივად შიშობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ივანემ და მისმა ძმამ ლიპარიტმა დაიმკვიდრეს მთავრობა. როდესაც ჭაბუკობის ასაკს მიაღწია დემნა უფლისწულმა, ერთხელ ივანეს თავისიანებთან აგარაკში მყოფს, „ეახლენ დემნა და დიდებულნი და მოახსენეს: „გაიხსენე, ივანე, შენი აღთქმა და ფიცი, რომელიც შეჰფიცე მეფე დავითს, ნუ დაარღვევ აღთქმას. მოინია ჟამი ყრმა დემნას გამეფებისა. გიორგი ზის სახატეში მცირე ამალით, ჩვენ კი მტკიცედ ვდგავართ მამამისისათვის მიცემულ ფიცზე“. ივანემ კი განაცხადა: „ღმერთმა დაგვიფაროს, რომ განვიზრახოთ ცხებული მეფის მოკვლა, ჩვენი ფიცისა და აღთქმისათვის უნდა შევიპყრათ გიორგი, ვიდრე გავამეფებთ დემნას, შემდეგ კი ვთხოვოთ მას აღთქმა და ფიცი და ხელწერილი თავისი ძმისწულის მორჩილებისა. განდევნის შემდეგ კი იგი უნდა დადგეს და დამკვიდრდეს თავისი სამკვიდრებლის იმ ნაწილში,

⁴⁹ სტეფანოს ორბელიანი, *სისაკანის სახლის ისტორია*, გვ. 381 (სომხურ ენაზე).

რომელიც მას მამამისმა მისცა“. ეს თქმული ყველამ მოიწონა და დაუყოვნებლივ დაიწყო ჯარის შეკრება“.⁵⁰

მეფე გიორგის წინააღმდეგ, გარდა ორბელებისა, დემნა უფლისწულის სიმამრის ივანე ორბელის მეთაურობით გამოვიდნენ, როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორი უწოდებს „განზრახ-გამგებელნი და „შინათ-გამცემელნი“: ივანე ვარდანის ძე, შოთა – ართავაჩოს ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი, მხარგრძელები, თორელი, გამრეკელი, მემნა ჯაყელი, კაენის პატრონი ჰასანი, გრიგოლ ანელი აპირატის ძე, ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტი, სარგის მხარგრძელი შვილით და ძმისწულით, ქართლის ერისთავნი, ყორყორელნი, ჯავახნი, კახნი და სხვანი 30 000-ზე მეტი კაცი.

დავით ქობაირელის გადმოცემით: „თავდაპირველად [აჯანყებულებმა] მიუდგომელი კაენისა და კაენონის მხარეთმმართველები და მეციხოვნეები დაითანხმეს [მეფის] წინააღმდეგ [ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე], რათა მათთვის მოსახლეობასაც ხელი შეეწყოს. როცა პირობისამებრ შაქის, ჰერეთისა და კახეთის მხარეების მთავრები აჯანყდნენ, ესენიც [კაენისა და კაენონის მმართველები] თავიანთ ადგილებში გამაგრდნენ და მათი მოსაზღვრე მეფის მხარეები აიკლეს.“⁵¹ ამბობებულთა განზრახვა ერთი ყრმის მეშვეობით შეიტყო სახატეში მცირე ამალითურთ მშვიდად მყოფმა მეფემ, რომელიც სასწრაფოდ თბილისში წავიდა და ლაშქრის შეგროვება დაიწყო. შეთქმულები კოჯორში იმყოფებოდნენ. მეფე გიორგის ერთგულად მხარში ედგნენ მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი და ყივჩაყთა ლაშქრის მეთაური ყუბასარი 500 მეომრით.

დავით ქობაირელისივე ცნობით: „გიორგი მეფემ, რადგან ჯერ კიდევ ხელთ ეპყრა თავის საკუთარ სამეფოში ქალაქები და სიმაგრეები და სამეფო კარის განძეულობა, სასწრაფოდ ... მოიწვია სათათბიროდ თავისი ერთგულნი. მათთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა დამსახურების მიხედვით გაუყოს ოქროსა და ვერცხლის განძეული და საპატიო სამოსლები იმ ნარევი ქვეითი მეომრების ბრბოს, დვალეთსა და ქართლის მხარის საზღვრებში რომ არიან. შემდეგ ყველა ესენი, ქვეითი მეომრები ერთ ადგილას შეაგროვა და მხედართუფროსის მამულ მხარეში წავიდა. მან იავარჰქმნა, მოიალაფა და მათი სასახლეები გადაწვა. თვით კი აჯანყებულებისაკენ გაემართა. აჯანყებულებმა შორიდან რომ დაინახეს, გონებადაკარგულნი გაიქცნენ და სადაც მოუხერხდებოდათ, იქ გამაგრდნენ. მხედართუფროსმა ივანემ კი შვილებით, ცოლითა და მთელი სახლეულით თავი შეაფარა მიუდგომელ ლორეს. მისმა ძმამ ლიპარიტმა თავისი ხალხით წაიყვანა მეფის ძე დემეტრე და მიუვალ კაენის ციხეს მიმართა. მეფის ბრ-

⁵⁰ სტეფანოს ორბელიანი, სისაკანის სახლის ისტორია. გვ. 383-384 (სომხურ ენაზე).

⁵¹ გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, გვ. 263.

ძანებით მათ დაედევნა კეთილმსახური თბილისის ამირთმთავარი ქურდი, დაენი ვიწრო გზაზე თავის საკუთარ მხარეში, რომელსაც მაჰკაბერდი ეწოდება, დასცა მათ ბრძოლის ყიჟინა და უკანვე გამოაქცია, დაედევნა და წამოიღო იმ ჯარის დავლა და ალაფი. მხოლოდ ცხენოსნებმა დააღწიეს თავი და ლორეს სიმაგრეში მოვიდნენ. ყველა აჯანყებული ერთ ადგილას შეჰყარეს. ეს რომ კაენში გამაგრებულემა ნახეს, მეფეს დამორჩილდნენ. ასევე მოიქცნენ ... ციხის ახლომახლოს მცხოვრებნი.⁵² ბევრი მეამბოხე, მათ შორის მხარგრძელი, გამრეკელი, გრიგოლ ანელი გიორგი მეფის მხარეზე გადავიდნენ.⁵³ აჯანყებულები რამდენიმე თვე ალყაშემორტყმულნი ლორეში იმყოფებოდნენ და დახმარებას ელოდნენ შაჰ-არმენისა და აზერბაიჯანის ათაბაგის ელდიგუზის ძისაგან, რომელთანაც გააგზავნეს ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე და ანანია დვინელი, მაგრამ უშედეგოდ. სტეფანოს ორბელიანის გადმოცემით აზერბაიჯანის ათაბაგმა როდესაც შეიტყო გიორგი მეფის უპირატესობა ორბელებთან ბრძოლაში, მასთან ურთიერთობის გამწვავებას თავი აარიდა და არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა მათ. მეამბოხეებმა თანდათან იწყეს ორბელთაგან ჩამოცილება. ამათგან პირველნი იყვნენ გამრეკელი და გრიგოლ ანელი, რომლებიც გადაუდგნენ დემნას და მის მომხრეებს და გიორგის მხარეზე გადავიდნენ. ხოლო ივანე ორბელის მხარდამჭერმა დიდებულებმა ფარულად წერილი მისწერეს ივანეს, რომელსაც ურჩევდნენ დამორჩილებოდა მეფე გიორგის და გადაეცა მისთვის დავითის ძე დემნა, მათი აზრით, მიზეზი ბოროტებისა. ივანე ორბელმა წაიკითხა რა ორბელთა წერილი, მაშინვე გაუგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც უარჰყო მათი მოთხოვნის შესრულება. საბოლოოდ დემნა უფლისწული გამოცხადდა თავის ბიძასთან, გიორგი მეფეს შეწყალების თხოვნით ეახლა ივანე ორბელიც. მეფემ თავდაპირველად შეიწყნარა ისინი სიყვარულით და პატივისცემით, მაგრამ შემდეგ, როცა თითქმის ყველა განდგომილი თავიანთი ნათესავებითურთ ხელთ იგდო, დაარღვია ფიცი და აღთქმა, არ დაინდო და სასტიკად დასაჯა ისინი: დემნა უფლისწულს თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს, რის შემდეგაც იგი გარდაიცვალა. გიორგი მეფემ ასევე თვალები დასთხარა ივანე ორბელს, მისი ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს ივანე ორბელის უმცროსი ძმა ქავთარ ორბელი, მისი შვილი სუმბატი, დამნაშავეთა დიდი ნაწილი გააძევეს.

გიორგი მეფის მიერ დარბაზის გადაწყვეტილებით გამოტანილი და საეკლესიო შეჩვენებით დამტკიცებული ეს სასჯელი საკმაოდ მძიმე იყო ყველა მეამბოხისათვის, რადგან მას მამულის ფლობისა და ლაშქარში მონაწილეობის უფლება ერთმეოდა. მეამბოხეთა მამულები და თანამდებობები მეფე გიორგიმ თავის ერთგულ თანამებრძოლებს გადასცა. მან ნაყიფჩაყარ ყუბასარს ამირსპას-

⁵² გ. მაისურაძე, *ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ*, გვ. 263-264.

⁵³ *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III, თბილისი, 1979, გვ. 292-293.

ალარობა უბოძა, აზნაურის ნაყმევ აფრიდონს – ერისთავთერისთავობა და მსახურთუხუცესობა. დემნა უფლისწულის ამბოხების დამარცხების ძირითადი შედეგი სწორედ მეფის „უგვარო“ მსახურთა დანინაურება იყო. ფეოდალთა საერთო გამოსვლას, რომელიც მეფემ ჩაახშო, ეკლესიის წარმომადგენელთა გამოსვლაც მოჰყვა, რაც მან ეკლესიის მამულების საგადასახადო შეუფალობის საგანგებო სიგელით დამტკიცებით შეაჩერა. როგორც ცნობილია, 1178 წელს გიორგი III, სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა სასტიკად დასჯის შემდეგ, თავისი ასული თამარი სამეფო ტახტზე აიყვანა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ქართული და სომხური წყაროების მონაცემთა გათვალისწინებით გაზვიადებულად და სუბიექტურად არ მიგვაჩნია სტეფანოს ორბელიანის მიერ ორბელთა ამბოხების მთელი ისტორიის, განსაკუთრებით კი მისი შედეგების აღწერა – სასტიკი ზომები აჯანყებულთა წინააღმდეგ: დახოცვა, ექსორია, საგვარეულო პატივის აყრა, ორბელთა ისტორიის, საერთოდ მათი ხსენების ამოძირკვა მატიანეებისა და ეკლესიებიდან. ფაქტიურად ეს ძლიერი ქართული ფეოდალური საგვარეული, რომელიც XII-XIII საუკუნეებში ქვემო ქართლის ტერიტორიასა და მნიშვნელოვან სამოხელეო თანამდებობებს: (ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა, ათაბაგობა) ფლობდა, XIII საუკუნის შემდეგ ქრება ისტორიის სარბიელიდან.

ორბელთა საგვარეულოს უძველესი ისტორიის და განსაკუთრებით დემნა უფლისწულის ამბოხების აღწერის შემდეგ სტეფანოს ორბელიანი მომდევნო პერიოდის ამბების გადმოცემით ავსებს ორბელთა საგვარეულო ისტორიას. ისტორიკოსის გადმოცემით, ორბელთაგან ფიზიკურ სასჯელს გადაურჩნენ მხოლოდ აზერბაიჯანის ათაბაგთან შემწეობის სათხოვნელად გაგზავნილი ლიპარიტ სუმბატის ძე თავისი ვაჟებით. ამათგან თამარ მეფის დროს ივანე დაბრუნდა საქართველოში და დამკვიდრდა ორბეთის მამულში, მისგან წარმომავლობენ ქართველი ორბელიანები, ხოლო მეორე ძმა ელიგუმი დაეუფლა ერნჯაკის ციხესა და დაბა ჭაჭუკს. თამარის დროსვე საქართველოში დააბრუნეს ლიპარიტის შვილიშვილი ლიპარიტ ელიგუმის ძე, რომელსაც საგამგებლოდ სივნიეთი უბოძეს.

სომხურ ეთნიკურ და სარწმუნოებრივ გარემოცვაში მოქცევის გამო სივნიეთში დამკვიდრებული ორბელთა შტო გასომხდა, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელია სწორედ გამორჩეული საკლესიო და საზოგადო მოღვაწე, ცნობილი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი.

Elene Tsagareishvili

EVIDENCE OF STEPHANOS ORBELIANI ON GEORGIA

SUMMARY

The historiographic legacy of Stephanes Orbeliani, an Armenian historian, politician and cultural figure of the 13th-14th centuries, constitutes one of the major primary sources for the history of Armenia proper and adjacent countries, especially Georgia.

It should be emphasized especially that without the evidence recorded in the work of Stephanos Orbeliani, we would have known almost nothing about the mighty feudal house of the Orbelians, with which quite a few serious political developments in the socio-political history of Georgia in the 12th-13th centuries are linked.

Of the historical and literary legacy of Stephanos Orbeliani special mention should be made of his *History of the Sisakan House*. The author had set himself the task of writing the history of Sisakan whose last rulers were Orbelians, representatives of his house.

It becomes clear from Orbeliani's work that he knew Georgian and was acquainted well with the history of Georgia, was well-aware of a number of questions, and in writing his work he made use of the evidence of the History of Georgia.

The *History of the Sisakan House* contains much valuable evidence on Georgia on the internal and external life of the country.

The *History of the Sisakan House* conveys the same events connected with the 1177 conspiracy against Giorgi, the accomplices of which were his nephew Prince Demna and representative of the House of Orbelians.

Taking into consideration the evidence of Armenian and Georgian sources and the assumptions made in Armenian historiography, the author of the paper believes it more acceptable to date the rebellion to 1177-1178.

After the study of the above-discussed Georgian and Armenian sources, the picture of the whole story of the rebellion, described by Stephanos, does not seem exaggerated and subjective to the author – the severity of the punishment, reprisals against the rebels, right up to the expulsion of the representatives of the Orbeli house, as a result of which this mighty feudal house, in possession of territories in Lower Kartli in the 12th-13th centuries, disappears from the historical arena in the 13th century.

ჩაულ ჩაგუნავა

დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო ოთხნახევლის ქრონოლოგიისათვის

დავით IV აღმაშენებლის (1089-1124) საოცრად ენერგიულმა სახელმწიფო და სამხედრო საქმიანობამ თავის მწვერვალს მისი ცხოვრების ბოლო პერიოდში მიაღწია. ამ გარემოებაზე ყურადღება გაამახვილა დავითის ისტორიკოსმა, რომელმაც ისტორიულ თხზულებაში *„ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისი დავითისი“* საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო აღნიშნული პერიოდის დეტალურ აღწერას და ტექსტის შესაბამის მონაკვეთს ერთგვარ შესავლად შემდეგი სიტყვებიც კი წაუძღვარა: *„განიცადენით-ღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავლისაგან მცირედთა მეფულებს თქუმად“*¹.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით დავითის ისტორიკოსთან ტექსტის ბოლო მონაკვეთში მოყვანილი თარიღები თითქოს სრულ ნდობას იმსახურებენ, ვინაიდან მოცემული პერიოდის ამბები ფაქტობრივად ორი წესით არის დათარიღებული. აქედან პირველი – წლების რიგობრივ ათვლას ითვალისწინებს, ხოლო მეორე – ქორონიკონური წლებით აღრიცხვას. მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, ამ დათარიღებებში შეიმჩნევა გარკვეული შეუსაბამობები. ყოველივე ეს ტექსტში გაპარული გარკვეული შეცდომის შედეგი უნდა იყოს, რომელიც გამოვლენასა და შესწორებას მოითხოვს.

ცხოვრების ტექსტში ქორონიკონური დათარიღება რატომღაც მხოლოდ პირველი სამი წლის აღსანიშნავად არის მოყვანილი. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, მიზანშეწონილია დავითის გარდაცვალების თარიღის განხილვაც, რომელიც უშუალოდ ტექსტის საანალიზო მონაკვეთში არ არის მოყვანილი,

¹ *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955; *ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისი დავითისი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბილისი, 1992.

მაგრამ ფაქტობრივად განსახილველი პერიოდის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს წარმოადგენს.

ქორონიკონური აღრიცხვის კონკრეტული მაგალითის განხილვისას წინასწარ დაზუსტებას მოითხოვს ტექსტში ყოველი ახალი წელიწადის დასაწყისი. ამგვარი დაზუსტების საჭიროებას განაპირობებს ის გარემოება, რომ აქამდე, კ. კეკელიძის მონაცემებზე დაყრდნობით, ასეთ დასაწყისად 1 მარტი იყო მიღებული. ბოლო დროის გამოკვლევების თანახმად, ქორონიკონური წლის დასაწყისი 1 მარტის ნაცვლად 1 იანვარი იქნა მიჩნეული². ეს ნათლად ჩანს თუნდაც ტექსტის საანალიზო მონაკვეთიდან, სადაც ყოველწლიური ამბების გადმოცემა უპირატესად ზამთრით, ე. ი. იანვრით იწყება. ასე მაგალითად, პირველი წლის ამბების თხრობისას საწყის მოვლენათა მსვლელობას ადგილი აქვს ზამთრის, კონკრეტულად კი იანვარსა და თებერვლის პირველ ნახევარში, ვინაიდან მომდევნო მოვლენების თარიღად ჯერ 14 თებერვალი და მხოლოდ ამის შემდეგ მარტი არის დასახელებული. ასევე გამოკვეთილად იანვრის საწყისობა მითითებულია მეორე წლის ამბების გადმოცემისასაც. პირველ წელთან დაკავშირებული შემაჯამებელი წინადადების „ესე ერთისა წლისაჲს“ შემდეგ, მეორე წლის ამბების თხრობა იწყება სიტყვებით „მასვე ზამთარსა“, სადაც სიტყვა „მასვე“ იხმარება იმ გარემოების აღსანიშნავად, რომ მიმდინარე წლის იანვარი (თუ თებერვალი) იმავე სეზონს განეკუთვნება, რასაც წინა წლის დეკემბერი. ამ წლებისაგან განსხვავებით, ოთხწლეულის ბოლო წელს ამბების თხრობა მარტიდან იწყება დმანისის ალებით, რაც იმით არის განპირობებული, რომ იმ წელს აქტიური მოქმედებები დავითმა დასავლეთ საქართველოში გამოზამთრების შემდეგ, აღნიშნულ თვეში დაიწყო.

წლის საწყის თვედ იანვარზე მიუთითებს აგრეთვე დავითის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ქორონიკონური დათარიღებაც, რომლის თანახმადაც ეს მომხდარა 1125 წლის (780+345) 24 იანვარს, შაბათ დღეს. ქრონოლოგიურ-მათემატიკურმა გამოთვლებმა გვიჩვენეს, რომ დასახელებული კალენდარული და კვირის დღეების თანახვდენას მართლაც აქვს ადგილი, მხოლოდ იანვრის სტილის ქორონიკურ წელიწადი (მარტის შემთხვევაში იმავე ანვარიშით 1125 წელს 24 იანვარი კვირა დღეს თანხვდება).

დავითის გარდაცვალებასთან ერთად აღნიშნული თარიღი საშუალებას იძლევა დაზუსტდეს განსახილველი პერიოდის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. კერძოდ, ვინაიდან 1125 წლის ამბების თხრობა 24 იანვარზე წყდება, ცხადია, რომ სათვალავში ის ვერ მოხვდება. აქედან ჩანს, რომ თუ მემატთანე დავითის ცხოვრების ოთხწლიანი პერიოდის ამბებს გადმოსცემს, მაშინ თხრობის ამ მონაკვეთს შემადგენელ 1121-1124 წლების ფარგლებში იგულისხმებდა. ტექსტში

² Чагунава Р., *О начальном месяце летоисчисления по грузинскому короникону*, Caucasicca, vol. 6., 2003, с. 44-49.

მოყვანილი ქორონიკონური დათარიღებით კი ტექსტის მოცემული პერიოდის პირველი და მეორე წელი შეესაბამება 340 და 341 ქორონიკონს, ანუ 1120 (=340+780) და 1121 (341+780) წელს. ამ უკანასკნელი წლის ბოლო მოვლენად 12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლა არის დასახელებული, ხოლო მომდევნო წლების დათარიღება მხოლოდ ორი მონაცემით არის წარმოდგენილი: „ხოლო მეორესა წელსა აღიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა და დაუმკდრა შვილთა თვისთა საქურჭლედ და სახლად თვსად საუკუნოდ. ქორონიკონი იყო სამას ორმოცდაორი და მეორესა წელსა მივიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვანშა, აიღო შამახია...“³. ე. ი. დიდგორის ბრძოლიდან „მეორესა წელსა, 342 ქორონიკონს ანუ 1122 წელს დავითმა აიღო თბილისი, ხოლო შემდგომ „მეორესა წელსა“, რომელიც 342 ქორონიკონიდან ათვლით 1123 წელს უნდა გულისხმობდეს, შირვანში შემოვიდა სულტანი. თუმცა მომდევნო მოვლენები აღარ არის დათარიღებული, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ ტექსტის თხრობა ეხება 1123 წლის დანარჩენი თვეების და 1124 სრული წლის შესაბამისი ამბების აღწერას.

ქორონიკონური დათარიღებით, როგორც ვხედავთ, დავითის მოღვაწეობის ბოლო პერიოდი 1120 – 1124 წლებს და, მაშასადამე, ხუთ წელს მოიცავს. ე. ი. კონკრეტულად ავტორის მიერ განცხადებული ოთხი წლისაგან ის ერთი წლით განსხვავებული აღმოჩნდა, რის თაობაზეც ზოგადად უკვე აღვნიშნეთ. ამგვარი შეუსაბამობის მიუხედავად, ტექსტის შესაბამისი მონაკვეთის ქრონოლოგია თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც გაზიარებული იქნა – დღეისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში დავითის ცხოვრების ბოლო პერიოდის ანათვალის შესაბამისად ხუთი წლით არის წარმოდგენილი⁴.

თხზულების ქრონოლოგიური მონაცემებისადმი ამგვარ დამოკიდებულებას, როგორც ეტყობა, ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ უცხოენოვან ისტორიულ წყაროებში დიდგორის ბრძოლის და თბილისის აღების თარიღები უპირატესად თანხვედრა ან დიდად არ სცილდება ქორონიკონური დათარიღების მონაცემებს. მაგალითად, XII საუკუნის არაბი ისტორიკოსები აღ-აზიმი და იბნ-კალანისი თბილისის აღებას ჰიჯრის 515 წლით ათარიღებენ⁵. ვინაიდან ჩვენი წელთაღრიცხვით ეს თარიღი 1121 წლის 22 მარტს იწყება და 1122 წლის 11 მარტს მთავრდება⁶, თბილისის აღებას ისინი 1121 წლის ბოლოს ან 1122 წლის დასაწყისში გულისხმობენ. აღ-ფარისის (გარდ. 1181 წლის შემდგომ) თანახმად,

³ ქართლის ცხოვრება, გვ. 342-343; ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 193.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1965, გვ. 208-209; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, 1979, გვ. 237-244.

⁵ გ. ჯაფარიძე, როდის გაანთავისუფლა დავით აღმაშენებელმა თბილისი. ლიტერატურული საქართველო, 3 მაისი 1991, გვ. 5.

⁶ Цибульский В., *Современные календари стран Ближнего и Среднего Востока*, Москва, 1964, с. 54.

დიდგორის ბრძოლას ადგილი ჰქონდა ჰიჯრის 515 წელს, ხოლო თბილისის აღებას იმავე წლის მიწურულს, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვით დიდგორის ბრძოლა 1121 წლის აგვისტოში მოხდა, ხოლო თბილისი დავითმა 1122 წელს 10 მარტამდე აიღო.

ასევე ერთი წლით, მხოლოდ სომხური წელთაღრიცხვით, ათარიღებს ორივე მოვლენას XII საუკუნის I ნახევრის სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი. ვინაიდან მის მიერ დასახელებული 570 წელი 1121 წლის 19 თებერვალს იწყებოდა და 1122 წლის 18 თებერვალს მთავრდებოდა, ჩვენი დათარიღებით, დიდგორის ბრძოლას 1121 წლის აგვისტო შეესაბამება, ხოლო თბილისის აღებას 1122 წლის დასაწყისში, 18 თებერვლამდე ჰქონდა ადგილი⁷.

ქორონიკონური დათარიღების საიმედობის აღიარების მიუხედავად არ შეიძლება უყურადღებოდ იქნეს დატოვებული ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ის მოსაზრებები, რომლებიც ამ საიმედობას ერთგვარი ეჭვის ქვეშ აყენებენ. ამ მოსაზრების თანახმად, „დავითის ცხოვრების“ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ფრაგმენტის თარიღები ეკუთვნის არა თხზულების ავტორს, არამედ ადრეულ რედაქტორს, რომელმაც ეს თხზულება „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეიტანა⁸. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის რომ დათარიღებებში გარკვეული შეცდომებიც იყოს დაშვებული.

საანალიზო მონაკვეთის თარიღების სანდოობა შეიძლება შემოწმდეს ამ ტექსტშივე მოყვანილი ავტორისეული წლების რიგობრივი ანათვალით. თუმცა ყველა წელი იქ არ არის კონკრეტულად აღნიშნული, მაგრამ მათი წარმოჩენა ადვილად შეიძლება შესაბამისი თვეებით და სეზონების გათვალისწინებით, რომლებიც ტექსტში თარიღის ნაცვლადაა მოყვანილი.

აღნიშნული ანათვალის პირველი ორი წლის საწყისი მოვლენები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზამთრის სეზონს და, მაშასადამე, იანვარს შეესაბამება. ჩავლილი პირველი წლის დასასრულიც გამოკვეთილად შემოსაზღვრულია შემავამებელი ფრაზით „ესე ერთისა წლისაჲ.“ რაც შეეხება მეორე წლის ბოლო მოვლენას, მისი დაკონკრეტება, როგორც ირკვევა, „მეორე წელსას“ ნაკითხვებზე არის დამოკიდებული. თუ დავუშვებთ, რომ თვითოეული მათგანი წინა წლიდან ათვლას და, მაშასადამე, თითო-თითო წლის დამატებას გულისხმობს, მაშინ გამოდის, რომ ტექსტში რიგით მესამე წელი თბილისის აღებას, ხოლო მეოთხე წელი შირვანში სულტნის შემოჭრას უკავშირდება. ვინაიდან შირვანის ქალაქ შემახიაში დავითის მიერ გარემოცულ სულტანს საკმაოდ დიდხანს მოუხდა ყოფნა, ხოლო იქიდან სამარცხვინოდ გაქცევა მან მხოლოდ იენისის წინა თვეში, ე. ი. მაისში შეძლო, მის შემოსვლას ამ ქვეყანაში ადგილი უნდა ჰქონოდა გაზაფხულზე (ეს იქიდან ჩანს, რომ მის მიერ შირვანშას შეპყრობას, შემახის

⁷ გ. ჯაფარიძე, როდის გაანთავისუფლა დავით აღმაშებელმა თბილისი, გვ. 5.

⁸ ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 141-143.

ალებას, ლაშქრით ჯერ „ველთაჲთ“ დგომას და შემდეგ შემახიაში გამაგრებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა, მითუმეტეს, რომ სულტანმა შემახიაში „შეინრებულმან შიმშილითა და შენუხებულმან წყურილითა მრავალ დღე“ დაყო). რაც შეეხება მეოთხე წლის მინურულს, მისი ბოლო მოვლენები ემთხვევა შემოდგომას, როდესაც დავითი „გარდავიდა გეგუთს, ინადირა, განისუნა, განაგო მანდაური ყოველი“.

ტექსტში საანალიზო პერიოდის ბოლო წლად გამოდის მეხუთე წელი. ამ წლის საწყისი პერიოდი დმანისის ალებით აღინიშნა, რომელიც დასავლეთ საქართველოში გამოზამთრების შემდეგ, მარტის თვეში განახორციელა დავითმა. რაც შეეხება ამ წლის ბოლო მოვლენას, რომელიც ქართლში ყოვლანებისათვის ზამთრის სადგომის გამონახვას ითვალისწინებდა, ეს საქმე დავითს ჯერ კიდევ ზამთრის დაწყებამდე, ე. ი. შემოდგომაზე უნდა მოეგვარებინა.

ხუთი წლის საანალიზო პერიოდისათვის წლების სხვა რაოდენობა მიიღება, თუ პირველ „მეორესა წელსას“ წინა წელთან მიმართებაში არ ვიგულისხმებთ. არ არის გამორიცხული, რომ პერიოდის რიგით მეორე წელს ხუნანზე ლაშქრობის, ბარდავის დარბევის და დიდგორის ბრძოლის შემდგომ, დავითს თბილისიკ აელო, ხოლო მემატთანეს შესაბამისად ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ ამ ბოლო მოვლენასაც იმავე „მეორესა წელსა“ ჰქონდა ადგილი. ამ შემთხვევაში მეორე „მეორესა წელსა“ უკვე წინა წლიდან, ანუ ტექსტის მეორე წლიდან უნდა იქნეს ათვლილი და ის პერიოდის რიგით მესამე წელს უნდა გულისხმობდეს, რომელიც სულტანის შირვანში შემოჭრისა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს მოიცავს. ბოლო წელი, რომელშიც მოვლენების აღწერა მარტის თვით იწყება, მეოთხე წელს წარმოადგენს და აღნიშნულ პერიოდში უკვე მემატთანის მიერ თავიდანვე განცხადებულ ოთხწლეულს გულისხმობს.

მოცემულ მონაკვეთში წლების რიგობრივი ათვლის აქ წარმოდგენილი ორი ვარიანტიდან მეორე ვარიანტი თითქოს უფრო ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან შემდეგი მიზეზების გამო: ა) პირველი ვარიანტით საეჭვოდ ჩანს, რომ მოცემული პერიოდის რიგით მესამე წლის განმავლობაში დავითის ენერგიული საქმიანობა მხოლოდ ერთი (თუნდაც ძალზე მნიშვნელოვანი) ღონისძიებით – თბილისის ალებით შემოფარგლულიყო, მაშინ, როდესაც ფრაგმენტის შესავალშივე მემატთანე აღნიშნავს, რომ „მრავლისაგან მცირედთა მეგულეების თქუ-მადო“; ბ) მეორე ვარიანტით წლების რიგობრივი ათვლის შედეგად მიღებული ოთხწლიანი პერიოდი ზუსტად თანხვედება ავტორის წინასწარვე განცხადებულ წელთა რიცხვს, რაც ამ ათვლის მონაცემების სანდოობას კიდევ უფრო მეტად ზრდის.

ყოველივე ამის მიუხედავად, ერთმნიშვნელოვნად მეორე ვარიანტისადმი უპირატესობის მინიჭება მაინც არ იქნებოდა გამართლებული. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ პირველი ვარიანტის მონაცემები ზუსტად

ემთხვევა ქორონიკონური აღრიცხვის თარიღებს, რაც უდაოდ ანგარიშგასანვია, ეს თარიღები ავტორს კიდევაც რომ არ ეკუთვნოდეს.

ასეთ საორჭოფო ვითარებაში საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს მიერ საანალიზო ფრაგმენტის ტექსტშივე გამოვლენილ ცნობას, რომელიც აქამდე მკვლევართათვის რატომღაც შეუმჩნეველი რჩებოდა. ავტორი ტექსტში საკმაოდ ხშირად კალენდარულ დღეებს მათი შესაბამისი საეკლესიო დღესასანაულების სახელწოდებებით მოიხსენიებს: „*დღე ივანობისა*“, „*ბზობა*“, „*აღვსება*“ ან „*ზატიკი*“ და სხვ.⁹, რაც, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ დავითის ისტორიკოსი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო. სწორედ ერთ-ერთი ასეთი დღის დასახელება ქვემოთ მოყვანილ ტექსტში, ზოგიერთ მონაცემთან ერთად, საშუალებას იძლევა დავადგინოთ შესაბამისი წლის თარიღი. კერძოდ, ოთხწლეულად განცხადებული პერიოდის პირველ, ხოლო ქორონიკონური აღრიცხვით 1120 წელს, დავითის დასავლეთ საქართველოდან ქართლში მოულოდნელად გადასვლას და თურქმანებზე თავდასხმას მისი ისტორიკოსი ასე აღწერს: „*გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა..... აღიდეს ტყუე და ალაფი ურიცხვ, და მოვიდა ღანუქს და მასვე შკდეულსა პირმარხვასა დღესა აილო შარვანს ქალაქი ყაბალა*“¹⁰.

აღნიშნულ დღეს ციტირებულ ტექსტში „პირმარხვის დღე“ შეესაბამება, რომელიც „შკდეულთან“ ერთად წინასწარ განმარტებას მოითხოვს. „პირმარხვა“ ძველქართულ ტექსტებში არც თუ ისე ხშირად იხმარება და ის დიდმარხვის პირს ანუ დიდმარხვის დასაწყისს აღნიშნავს.¹¹ რაც შეეხება „შვიდეულს“ ის უპირატესად შვიდეულის, შვიდი დღის ანუ კვირის ცნებას გამოხატავს. ამასთან ერთად ის სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობით იხმარება ქრონოლოგიურ-მათემატიკურ ძეგლებში, რომლებშიც იმ კვირის დღეს აღნიშნავს, რომელიც მზის 28-წლიან ციკლში ნებისმიერი წლის დასაწყისის წინააღმდეგე მოდის.¹²

„შკდეულის“ პირველი მნიშვნელობისათვის, ციტირებული ტექსტი ისე უნდა გავიგოთ, რომ დავითს ქალაქი ყაბალა აუღია იმავე კვირაში („მასვე შკდეულსა“), რომელიც 14 თებერვალსაც შეიცავდა. ვინაიდან ამ შემთხვევაში კონკრეტული დღე „პირმარხვის დღე“ აღმოჩნდა, ის 14 თებერვალთან ერთად ერთი და იმავე კვირის ფარგლებში შემავალ დღეებად უნდა მივიჩნიოთ. თუ დავუშვებთ, რომ ტექსტში „შკდეული“ სიტყვა „დღესას“ გარეშე არის წარმოდგენილი, როგორც

⁹ *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, გვ. 159, 164, 181.

¹⁰ *ქართლის ცხოვრება*, გვ. 338-339.

¹¹ იქვე, გვ. 449; აბუსერისძე ტბელი, *თხზულებანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ, თბილისი, 1998. გვ. 444.

¹² აბუსერისძე ტბელი, გვ. 466.

ამას ადგილი აქვს ანა დედოფლისეულ (A) ნუსხაში, მაშინ ფრაზა „*მასვე შკდეულსა პირმარხვასა*“ 14 თებერვალს პირმარხვის შკდეულის შემადგენლობაში უნდა გულისხმობდეს. 14 თებერვალს მართლაც შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეს პირმარხვასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი პირველი დღის გარდა თებერვლის ნებისმიერ დღეზე მოდის. მაგრამ სრულიად სანინალმდეგო შედეგები გამოიღო 532 წლიანი პასქალური ცხრილით შემონმებამ, რომელიც ჩვენ კონკრეტული თარიღის, კერძოდ კი 1120 წლის შესაბამისი პირმარხვის დღის დასადგენად გამოვიყენეთ. აღმოჩნდა, რომ ამ წელს ეს დღე 1 მარტზე მოდის, რომელიც 14 თებერვლთან არც ჩვეულებრივი კვირის და არც პირმარხვის კვირის ფარგლებში არ შეიძლება გავაერთიანოთ. იგივე შედეგები მივიღეთ 1121 წლის მონაცემის შემონმებისას. ოთხწლეულის პირველ წლად სავარაუდებელი ამ წლის პირმარხვა 532-წლიანი ცხრილით 24 თებერვალს დაემთხვა, რომელიც ასევე არცერთი კვირის ფარგლებში 14 თებერვლთან არ ერთიანდება. ასე რომ, ციტირებულ ტექსტში „*შკდეულის*“ შვიდი დღის ანუ კვირის მნიშვნელობით ხმარება ქრონოლოგიური-მათემატიკური მონაცემებით ერთმნიშვნელოვნად გამოირიცხა.

„*შკდეულის*“ კვირის დღის ცნებასთან გაიგივებისას, ფრაზა „*მასვე შკდეულსა პირმარხვასა დღესა*“ იმ აზრს უნდა გამოხატავდეს, რომ ყაბალა დავითს იმავე კვირის დღეს აუღია, რა კვირის დღეც 14 თებერვალზე მოდიოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში კონკრეტული კალენდარული დღე, რომელსაც პირმარხვა დაემთხვა, ორშაბათის შესატყვისი დღე უნდა ყოფილიყო. ცხადია, რომ 14 თებერვალსაც ორშაბათი დღე იქნებოდა. რაც შეეხება პირმარხვას, მისი თარიღი 14 თებერვლიდან შვიდი ან შვიდის ჯერადი დღის რიცხვით დაცილებულ თებერვალის დღეს უნდა შეადგენდეს. ასეთი დღე კი თებერვლის თვეში ერთ-ერთი უნდა იყოს, 21 ან 28 თებერვლიდან ($14+7=21$; $14+2\times 7=28$).

1120 წლისათვის ამ თარიღებიდან არცერთი არ თანხვედება 1 მარტს, რომელიც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ამ წლის პირმარხვის დღეს შეესაბამება. სამაგიეროდ სრული თანხვედრა მივიღეთ 1121 წლისათვის. მის შესაბამის პირმარხვის დღეს – 21 თებერვალს, კვირის დღით (კერძოდ კი ორშაბათის შესატყვისობით) ზუსტად დაემთხვა 14 თებერვალი, რაც მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის უფლებას გვაძლევს.

აღნიშნული თანხვედრა ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ იმ გარემოებაზე შეიძლება მიუთითებდეს, რომ მემატიანე განცხადებული ოთხწლეულის პირველ წლად არა 1120 წელს, არამედ 1121 წელს გულისხმობს. რაც შეეხება ამ ახალი თარიღის სანდოობას, ამ მხრივ ის არავითარი დაეჭვების საბაზს არ იძლევა. ჯერ ერთი, ასეთი სახის თარიღები სამ კალენდარულ-მათემატიკურ მახასიათებელს ეფუძნება და გამოირიცხულია, რომ ნებისმიერი წლის ნებისმიერი დღისათვის მკაცრ კანონზომიერებაზე დამყარებული კალენდარული და კვირის დღეების მონაცემების თანხვედრის საფუძველზე მიღებული თარიღი შემთხვევითობის

შედეგი იყოს. თარიღის სანდოობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მისი შესაბამისი 1121 წელი ზუსტად თანხვედბა ოთხნლეული პერიოდის რიგით პირველ წელს.

ახალი თარიღის გამოვლენა საშუალებას გვაძლევს, რომ დავაზუსტოთ მთელი რიგი ქრონოლოგიური საკითხები. კერძოდ, სრული უფლება გვეძლევა, რომ დასახლებულ მონაკვეთში ფრაგმენტში მოხსენებულ პირველ წელთან ერთად, როგორც მისი უშუალო გაგრძელება, შემდეგი წელიც 1122 წლის ნაცვლად 1123 წლით გადავათარიღოთ. აქვე ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ, თუმცა ეს გადათარიღება მხოლოდ 2 წლით იფარგლება, მაგრამ მისი საშუალებით ზუსტდება ტექსტის მოცემულ ქრონოლოგიურ ფარგლებში მოთხრობილი გაცილებით მრავალრიცხოვანი მოვლენების მთელი სპექტრის ქრონოლოგია. კონკრეტულად, ოთხნლეულის პირველი წლით, ანუ 1121 წლით უნდა დათარიღდეს: ბოტორაში თურქმანთა განადგურება, შირვანის ქალაქ ყაბალას აღება, შირვანის დარბევა, აშორნიასა და სეგვემელეჯს თურქმანებზე თავდასხმა. ოთხნლეულის მეორე წლით, ანუ 1122 წლით უნდა დათარიღდეს: ხუნანზე თავდასხმა და თურქმანთა ამონყვეტა „*მთით მტკუარამდე და გავთაჲთ ბერდუჯამდე*“, ბარდავის დარბევა და, რაც მთავარია, დიდგორის დიდი ბრძოლა, რომელიც ზემოთხსენებულ მოვლენებთან ერთად აქამდე 1121 წლით თარიღდებოდა. რაც შეეხება თბილისის აღებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მოვლენას სიტყვების „*მეორესა წელსას*“ ნაკითხვის მიხედვით, ადგილი ჰქონდა ან დიდგორის ბრძოლის შესაბამის წელს, ე. ი. 1122 წელს, ან მომდევნო, ე. ი. 1123 წელს. ზუსტად ამ საკითხში გარკვევის საშუალებას იძლევა ერთი საინტერესო ისტორიული ჩანაწერი, რომელსაც ასევე აქამდე რატომღაც ყურადღება არ ექცეოდა. ეს ჩანაწერი, მ. თარხნიშვილის ცნობით მოყვანილია ვატიკანის ბიბლიოთეკის ბორჯას ფონდში დაცულ № 4 ქართულ ხელნაწერში – „*მამათა მოძღვრება*“. ხელნაწერის 59v-60r-ზე მოთავსებული „*მოთხრობაჲ სულმცირე ვასილოღრაფიისაგან რიცხვსათვის დასაბამითგან გარდასრულთა წელთაჲსა*“ იწყება „*ადამისითგან*“ და თავდება აღნიშნული ჩანაწერით: „*და ოდეს ესე დაიწერა, ქრონიკონი იყო სამას ორმოც და სამი. მას უამსა მოიწუა ტფილისი ქალაქი დავითის მიერ დიდისა მის ხელმწიფისა, რომლის სახსენებელი და კურთხევაჲ იყავნ ან და უკუნისამდე*“.¹³

ჩანაწერის ამ ქრონოლოგიური მონაცემის გათვალისწინებით გასაგები ხდება, თუ რას გულისხმობდა ტექსტისეული „*მეორესა წელსა*“ თბილისის აღებასთან დაკავშირებით. ირკვევა, რომ მისი საშუალებით მემატიაწე წინა, ე. ი. 1122 წლის მომდევნო წელზე მიუთითებდა და, მაშასადამე, ისიც თბილისის აღებას 1123 წლით ათარიღებდა. ორი აღწერილი მოვლენის ფაქტობრივად თანადროული მონაცემების თანხვედენა თავისთავად მათ საიმედოობაზე მეტყველებს.

¹³ მ. თარხნიშვილი, *წერილები*, თბილისი, 1994, გვ. 291-292.

ჩანაწერთან დაკავშირებით ამ საიმედობას ხაზს უსვამს მ. თარხნიშვილიც. მკვლევრის თანახმად, დავითს თბილისი მართლაც უნდა აეღო „1123წ., ვინაიდან ქალაქის ალების წელსვეა შეწყობილი ჩვენი ხელნაწერი და ამისათვის მის ცნობაში ეჭვის შეტანა დაუშვებელია, იმის და მიუხედავად, რომ ქალაქის მონვაზე ყველა სდუმს, როგორც ქართველი, ისე უცხოელი, თვინიერ ერთი არაბი ისტორიკოსისა – ელ-აინისა – მე-14 საუკუნითგან. ამიტომაც აქაც მართალი უნდა იყოს ჩვენი ხელნაწერი“¹⁴.

მ. თარხნიშვილის ამ ცნობას ჩვენის მხრივ უნდა დავუმატოთ, რომ ელ-აინი მარტო არ არის ვინც თბილისის დაწვა აღნიშნა. აღნიშნულ მოვლენას ასევე ადასტურებს ისეთი სანდო ისტორიკოსი როგორც იყო ალ-ფარიკი (გარდ. 1181წ. შემდგომ). ამ უკანასკნელის თანახმად, დიდგორის ბრძოლის შემდგომ დავითი თავის ლაშქრით „დაბანაკდა თბილისთან და ერთხანს ალყაში ჰყავდა, შემდეგ გაანგრია მისი კედელი დასავლეთის მხრიდან, შევიდა ქალაქში მახვილით, გადაწვა იგი და გაძარცვა“¹⁵. ისტორიკოსის მიერ ისეთი სპეციფიკური დეტალის ცოდნა, როგორცაა ქალაქის კედლის განგრევა დასავლეთის მხრიდან, იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ თბილისის აღებასთან დაკავშირებით ის რაღაც ზუსტ მონაცემებს ფლობდა. მეორე არაბულენოვანი თურქი ისტორიკოსი სიბტ იბნ ალ-ჯაუზის (XIII ს-ის I ნახ.) თანახმადაც დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ „დაეშვა დავითი თბილისს და დაიპყრო იგი მახვილით. მან გადაწვა და გაძარცვა იგი.“¹⁶

ალ-ჯაუზი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ მისი და მუჰამედ ალ-ჰამავის (XIII ს-ის. I ნახ.) ცნობების საშუალებით შეიძლება თბილისის ალების თარიღი უფრო ვიწროდ, თვეების ინტერვალით შემოვსაზღვროთ. ამ ავტორების მიხედვით დიდგორის ბრძოლას და თბილისი აღებას ჰიჯრის ერთსადაიმავე 516 წელს ჰქონია ადგილი.¹⁷ ვინაიდან ჰიჯრის აღნიშნული წელი ჩვენი წელთაღრიცხვით 1122 წლის 12 მარტიდან იწყება და 1123 წლის 28 თებერვალს მთავრდება,¹⁸ ამ მონაცემების გათვალისწინებით დიდგორის ომის თარიღი 1122 წლის 12 აგვისტოს შეადგენს, ხოლო თბილისის აღება 1123 წლის იანვარ-თებერვლის ინტერვალით უნდა დათარიღდეს.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არაბულენოვანი ისტორიკოსები ალ-ფარიკი, ალ-აზიმი (XII ს.), იბნ ალ-კალანისი (XII ს.), და სომეხი მემატიანე მათე ურჰაელი (XII ს-ის I ნახ.), დიდგორის ბრძოლას და თბილისის აღებას შესაბა-

¹⁴ მ. თარხნიშვილი, *წერილები*, თბილისი, 1994, გვ. 292.

¹⁵ ე. სიხარულიძე, *ალ-ფარიკი საქართველოში*. სემიტოლოგიური ძიებანი, ტ. II, 1976, გვ. 89.

¹⁶ ო. ცქიტიშვილი, *სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ*, თსუ შრომები, ტ. 118, 1967, გვ. 205.

¹⁷ გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

¹⁸ Цибульский В., *Современные календари стран Ближнего и Среднего Востока*, с. 54.

მისად 1121 და 1122 წლებით ათარილებენ. 1122-1123 წლებთან ამ თარიღების შეუთანხმებლობასთან დაკავშირებით უპირატესობა, ჩვენი აზრით, ისტორიული მოვლენების თანადროულ ქართულ პირველწყაროებს უნდა მიენიჭოს. თუმცა ასევე ადრეულ პირველწყაროს განეკუთვნება მათე ურჰაელის თხზულებაც, მაგრამ დავითთან დაკავშირებით ზოგიერთი მისი დათარიღება მთლად სანდო არ უნდა იყოს. კერძოდ, დიდგორის ბრძოლის თარიღად ის ასახელებს 13 აგვისტოს – „ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს“, სომხური წელთაღრიცხვით 570 წელს (ე.ი. 18/II. 1125.-17/II 1126 წლებს შორის შუალედში) ჰქონია ადგილი.¹⁹

პირველ შემთხვევაში აშკარად მცდარია აქ მოცემული კვირის დღე, ვინაიდან 1121 წელს ხუთშაბათი არა 13 აგვისტოზე, არამედ 11 აგვისტოზე მოდიოდა. რაც შეეხება მეორე დათარიღებას, თუ გავითვალისწინებთ, რომ დავითი 26 იანვარს გარდაიცვალა, მაშინ ერთად ეს დღე და სომხური 574 წელი ჩვენი წელთაღრიცხვის 1126 წლის 24 იანვარს მოგვცემს, რაც ასევე აშკარად მცდარია.

წლის დასაწყისშივე თბილისის აღება ერთგვარად თვალში საცემს ხდის შემდგომში ფაქტობრივად ერთწლიან დავითისეულ უმოქმედობას. მაგრამ თუ ტექსტისეულ მეორე „მეორე წელსას“ დაახლოებით „მეორესავე წელსას“ მნიშვნელობით წავიკითხავთ, მაშინ ის, როგორც იმავე წელზე მიმანიშნებელი გამოთქმა, რიგით სათვალავში წლის დამატებას არ ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში სულტანის შირვანში შემოსვლასთან დაკავშირებული და მისი მომდევნო მოვლენები 1123 წლით, თბილისის აღების შემდგომ დროით უნდა დათარიღდეს. ასეთ შესაძლებლობას ზოგიერთი ისტორიული ცნობაც ადასტურებს. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავითის ისტორიკოსის მიხედვით სულტანის შირვანში შემოჭრას და შემახაში გამაგრებას გაზაფხულზე (ე.ი. იანვარ-თებერვლის შემდგომ) უნდა ჰქონოდა ადგილი. დავითისგან „მრავალ დღე“ ალყაში მოქცეული სულთანის სამარცხვინო გაპარვას ისტორიკოსი აშკარად მაისის თვეში გულისხმობს, ვინაიდან მომდევნო თვედ ის ტექსტში პირდაპირ ასახელებს ივნისის თვეს²⁰. ამ მონაცემებს სავსებით ეთანხმება არაბულენოვანი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის (1160-1234) ცნობაც, რომლის თანახმადაც შირვანიდან წამოსულ სულთანს ჰამადანში ჰიჯრის 517 წლის ჯუმადა II თვეში, ანუ ჩვენი წელთაღრიცხვის 1123 წლის 27 ივლისისა და 24 აგვისტოს ინტერვალში მოუღწევია²¹. მაისის თვეში დაძრული სულთანი კი ჰამადანში მართლაც ჯუმადა II-ში უნდა ჩასულიყო. ქართული წყაროს მონაცემის დამადასტურებელი თვის დასახლებასთან ერთად იბნ-ალასირის ცნობა იმიტაც არის საინტერესო, რომ ის ზუსტად იმ 1123 წელს ასახელებს, რომელსაც არაპირდაპირი მონაცემებით „დავითის ცხო-

¹⁹ ლ. დავლიანიძე, *მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ*, კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბილისი, 1966, გვ. 242-252.

²⁰ *ქართლის ცხოვრება*, გვ. 344; *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, გვ. 195.

²¹ ჯ. სტეფანაძე, *დემეტრე პირველი*, თბილისი, 1990.

ვრებაც“ გულისხმობს. ასე, რომ ამ 1123 წლის ოთხწლეულის მესამე წელთან შესაბამისობა, ისევე როგორც ამ წელს ჯერ თბილისის აღება, შემდეგ შირვანში სულტანის დამარცხება და ბოლო შირვანის „თავადი სახლის“ – გულისტანის აღება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ბოლო 1124 წელი, ისევე როგორც ამ დროს განვითარებული მოვლენები (დმანისის აღება, დარუბანდელის დამარცხება, შირვანის და სომხეთის ციხეების აღება, ტაო-კლარჯეთში თურქების განადგურება, ანისის აღება და შირვანის მთლიანად დაპყრობა), ტექსტში საკმაოდ მკაფიოდ არის წარმოდგენილი და, როგორც დავითის გარდაცვალების წინა წელი, თარიღის კორექტივს არ მოითხოვს. მხოლოდ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აქამდე თუ ეს წელი დავითის ცხოვრების ბოლო პერიოდის მეხუთე წლად ითვლებოდა, სინამდვილეში ის მეოთხე წელს წარმოადგენს.

ქრონოლოგიური მონაცემების დაზუსტების შემდგომ არ შეიძლება საგანგებოდ არ შევეხოთ ტექსტში მოყვანილ ქორონიკონური დათარიღების წარმომავლობის საკითხს, რომელსაც ჩვენ ვაკვრით უკვე შევეხეთ. ამ წარმომავლობის საკითხი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს დააყენა თ. ჟორდანიამ. მკვლევარის აზრით, ქრონოლოგიური ცნობები „ქართლის ცხოვრებაში“ და მის შემადგენელ „დავითის ცხოვრებაში“ გვიან უნდა ყოფილიყო შეტანილი. ეს ეხებოდა დიდი თურქობის (1080 წ.), დავითის გამეფების (1089 წ.) და გარდაცვალების (1125 წ.) სამ თარიღს, რომელიც მოყვანილი იყო მარიამ დედოფლისეულ (M) ნუსხაში – იმ დროს ერთადერთ ცნობილ ნუსხაში ვახტანგის წინა რედაქციის ანუ „ძველი ჯგუფის“ ხელნაწერებიდან. მოგვიანებით აღმოჩენილ ძველი ჯგუფის კიდევ ერთ ხელნაწერში (ანა დედოფლისეულ (A) ნუსხაში) ქრონოლოგიური მონაცემების დაფიქსირებამ, ივ. ჯავახიშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „დავითის ცხოვრებაში“ თარიღები ვახტანგის ან მისი მეცნიერების მიერ არ უნდა ყოფილიყო შეტანილი. ამ საკვებით სწორი დასკვნის მიუხედავად მაინც უპასუხოდ დარჩა კითხვა იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნოდა „ძველი ჯგუფის“ ნუსხებში შეტანილი ქრონოლოგიური ცნობები – ავტორს, თუ შემდგომ რედაქტორებს.

მზ. შანიძემ, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა და გამოაქვეყნა „დავითის ცხოვრების“ ტექსტი, დანვრილებით განიხილა თარიღების წარმომავლობის საკითხი „ძველი ჯგუფის“ უკვე ხუთი ნუსხის (A და M; მაჩაბლისეული (m), ჭალაშვილისეული (C) და 1697 წლის (Q) ნუსხების) გათვალისწინებით. ამ შესწავლის საფუძველზე მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს და მასზე დამარწმუნებელი პასუხის გაცემა ამჯერად ძნელია“. მიუხედავად ამისა იგი შესაძლებლად თვლის გამოთქვას ვარაუდი, რომელიც მთელი რიგი მონაცემების ანალიზს ეფუძნება. კერძოდ, თარიღების არაავტორისეულ წარმომავლობაზე, მზ. შანიძის აზრით, შემდეგი ფაქტები უნდა მიუთითებდნენ: ა) „ძველი ჯგუფის“ ნუსხები არ შეიცავენ თარი-

ლების ერთნაირ რაოდენობას და შესაბამისად მათი რიცხვი A-ში – 12-ს, C-ში – 8-ს და Q, M, m-ში კი 3-3-ს შეადგენს; ბ) ავტორის თხრობის მანერასა და აღზევებულ სტილს ძნელად ეხამება ტექსტში მოცემული თარიღები, რომლებიც ხელოვნურად ჩასმულის შთაბეჭდილებას ტოვებს; გ) თარიღები საკმაოდ უსის-ტემოდაა მოყვანილი; მთელ რიგ შემთხვევებში დათარიღებულია არა უფრო დიდი, არამედ ნაკლები მნიშვნელობის მოვლენები. ერთგვარი გამონაკლისია დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენების – დიდგორის ბრძოლის და თბილისის ალების დათარიღებები, თუმცა თარიღის გარეშე აღმოჩნდა მათთან შედარებით მოკრძალებული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ისეთი მოვლენები, როგორიცაა რუის-ურბნისის კრება, ბაღვაშების განადგურება, გელათის მშენებლობა, ყივ-ჩალთა გადმოსახლება საქართველოში და სხვ. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მზ. შანიძემ დაასკვნა: „ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თარიღების ერთი ნაწილი თხზულებაში შეტანილია ადრეული რედაქტორის მიერ, რომელმაც ნაწარმოებს რედაქცია გაუკეთა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესატანად“²². „თარიღების ერთ ნაწილში“ აქ, როგორც ეტყობა, იგულისხმება ის კონკრეტული თარიღები, რომლებიც ყველა ნუსხაში არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, გამოცემაში ისინი ძირითადი ტექსტიდან სქოლიოში არიან გადატანილნი, ძირითად ტექსტში კი მხოლოდ ყველა ნუსხაში შესული სამი დათარიღება არის დატოვებული. თანაც ყოველი მათგანი ფრჩხილებშია ჩასმული სქოლიოში დართული შენიშვნით, რომლის თანახმადაც ისინი შესაძლოა ჩანართს წარმოადგენდნენ²³.

ზემოთგანხილული მონაცემების გათვალისწინებით, ოთხნლეულისათვის გამოვლენილი მცდარი ქორონიკონული დათარიღებები (1120-1124 წწ.) უფლებას გვაძლევს უფრო კატეგორიულად ვიმსჯელოთ მათ წარმომავლობაზე. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთ შეცდომებს დათარიღებული მოვლენების თანადროული მემატინე არ დაუშვებდა და ამიტომაც შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ 340, 341 და 342 ქორონიკონით დათარიღება ადრეულ რედაქტორს ეკუთვნის. შესაბამისად საწყის ტექსტში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიცაა ბოტორაზე თავდასხმა, ქ. ყაბალას ალება და შირვანის დარბევა, აშორნიის და ხუნანის ბრძოლები და ა. შ. თარიღების გარეშე არის წარმოდგენილი. კიდევ უფრო მეტი, არ არის დათარიღებული უმნიშვნელოვანესი მოვლენები – დიდგორის ბრძოლა და თბილისის ალება, რაც გარკვეული დასკვნის გამოტანის უფლებს იძლევა. ასეთი განსაკუთრებული მოვლენების დაუთარიღებლობა უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ ტექსტი არც თხზულების წინა ნაწილში მოყვანილ თარიღებს შეიცავდა. ასე რომ, დარწმუნებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ზედახნის, სამშვილდის და რუსთავის ალების, თურქთა ტაო-კლარჯეთში დამარცხების და

²² ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 142-143

²³ იქვე, გვ. 160, 166, 223.

სულთან მალიქის გარდაცვალების თარიღები²⁴ დავითის ცხოვრების ტექსტის რედაქტორს ეკუთვნის. რაც შეეხება დიდი თურქობის, დავითის გამეფებისა და გარდაცვალების თარიღებს, მათ შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანის საშუალებას პირველი თარიღისათვის დამახასიათებელი ერთი თავისებურება იძლევა. კერძოდ, დიდ თურქობასთან დაკავშირებით ფრაგმენტი იწყება სიტყვებით: „და დღესა ივანობისასა ასისფორი და კლარჯეთი აღივსო თურქითა“ და მხოლოდ ფრაგმენტის შუაში, დიდ თურქობაზე მითითების შემდეგ, მოყვანილია თარიღი: „და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა, რამეთუ ქორონიკონი იყო სამასი“²⁵. ფრაგმენტის დასაწყისშივე საეკლესიო დღის – „ივანობის“ დასახელება ფაქტობრივად კალენდარული თარიღის (ე. ი. დღის რიცხვისა და თვის, კონკრეტულად კი 24 ივნისის) დასახელების ტოლფასია და, როგორც წესით სრული თარიღი მოითხოვს, აქვე ქრონოგრაფიული თარიღიც (ე. ი. წელიწადიც) უნდა ყოფილიყო მოყვანილი. ამ უკანასკნელის განცალკევებით წარმოდგენა კი შეიძლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს რომ ის მოგვიანებით რედაქტორის მიერ არის ჩართული.

დიდი თურქობისაგან განსხვავებით, დავითის გარდაცვალების თარიღი სრულად არის მოყვანილი: „რამეთუ იყო მაშინ თვე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქორონიკონი იყო სამას ორმოცდახუთი, ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი ორმოცდაცამეტნი“²⁶ მაგრამ ეს სრული თარიღი კალენდარული და ქრონოგრაფიული თარიღების ჩვეულებრივი ერთობლიობით არ არის წარმოდგენილი. ქორონიკონთან დაკავშირებული მონაცემი ამჟამად ჩართული სიტყვების შთაბეჭდილებას ტოვებს. ასე რომ, ის თხზულების ავტორს ასევე არ უნდა ეკუთვნოდეს.

„ძველი ჯგუფის“ ნუსხებში მოყვანილი ორი თარიღის არაავტორისეული წარმომავლობის გამოვლენა უკვე თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დარჩენილი ერთი ქრონოლოგიური მონაცემიც ასევე რედაქტორის მიერ უნდა იყოს ჩართული ტექსტში. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ „დავითის ცხოვრების“ ტექსტში ყველა თარიღი ძირითადად იმ რედაქტორის მიერ უნდა იყოს ჩართული, რომელმაც ეს თხზულება „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეიტანა.

აღნიშნული თარიღების არაავტორისეული წარმომავლობის დადგენა, ცხადია, რომ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, როგორც „დავითის ცხოვრების“ თავდაპირველ ტექსტზე, ისე უცნობი რედაქტორის მიერ ჩატარებულ ქრონოლოგიური სახის რედაქციულ სამუშაოზე. ამ მხრივ რედაქტორს უდაოდ ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს შესრულებული. თუმცა, რედაქტორის მხრივ შეინიშნება თარიღების უსისტემო მოყვანა და ოთხნაწევრის დათარიღებაც ერთი

²⁴ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 169, 178-181.

²⁵ ქართლის ცხოვრება, გვ. 320.

²⁶ იქვე, გვ. 362.

წლით განსხვავებულია ჭეშმარიტებისაგან, მაგრამ ეს ნაკლოვანებები მაინც ვერ აკნინებენ აღნიშნული სამუშაოს ღირებულებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი მნიშვნელობა ძველი ქართული ქრონოლოგიის ისტორიის თვალსაზრისითაც. ვინაიდან აქ ფაქტობრივად საქმე გვაქვს ისტორიული თხზულების ქრონოლოგიურ ჩონჩხში ჩასმის მეტად საინტერესო რედაქტორულ ძალისხმევასთან. ცხადია, რომ ის დიდად სცილდება ჩვეულებრივი რედაქციისთვის ჩასატარებელ სამუშაოს ფარგლებს, ვინაიდან საჭირო თარიღების მოსაპოვებლად და დასადგენად საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქრონოლოგიური წყაროების გადახედვა-შეჯერებას ითვალისწინებს. მის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად ზრდის ის გარემოება, რომ აღნიშნული სამუშაო ძალზე ადრეულ პერიოდს განეკუთვნება და ის საგრძნობლად წინ უსწრებს ვახტანგისა და მისი კომისიის მიერ ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს.

ამრიგად, ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მემატინის მიერ ოთხნლეულად დასახელებული დავითის მოღვაწეობის ბოლო პერიოდი აქამდე მიღებული 1120-1124 წლების ნაცვლად სინამდვილეში 1121-1124 წლებს მოიცავს. აქედან გამომდინარე, დიდგორის ბრძოლისა და თბილისის აღების ტექსტისეული 1121 და 1122 წლები უნდა შეიცვალოს 1122 და 1123 წლებით. ამასთან – ერთად, აღნიშნული პერიოდის ამსახველი ფრაგმენტიდან და საერთოდ მთლიანად თხზულებიდან ამოღებული უნდა იქნეს ქორონიკონური თარიღები, ვინაიდან, როგორც გაირკვა, ისინი ეკუთვნიან არა ავტორს, არამედ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში „დავითის ცხოვრების“ ჩამრთველ ადრეულ რედაქტორს.

Raul Chagunava

TOWARDS THE CHRONOLOGY OF THE LAST FOUR YEARS OF THE LIFE AND ACTIVITY OF DAVID THE BUILDER

SUMMARY

The dates of the last four years of the life and activity of David the Builder (IV, 1089-1125) are ascertained in the paper. These dates were adduced with some errors in the *Life of the King of Kings David*. It is shown that these dates belonged not to the author but to an early redactor who entered the work in the Collection *Kartlis Tskhovreba*.

მანია კარანახა

ახალი ქრონოლოგიური ცნობა ბალვანთა ფეოდალური სახლის შესახებ

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში შიფრით Q-1376 ინახება ეტრატზე გადაწერილი საკმაოდ დაზიანებული 43 ფურცელი. მათი კოდიკოლოგიური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეს 43 ფურცელი წარმოადგენს ერთი საკმაოდ მოზრდილი ხელნაწერის ფრაგმენტებს. აქვე უნდა მივუთითოთ ამ ფრაგმენტთა ერთ პალეოგრაფიულ თავისებურებაზე: ძირითადი ტექსტის ფარგლებში ერთმანეთს ენაცვლება მრგვლოვანი და ნუსხური დამწერლობა. ტექსტოლოგიურმა ანალიზმა, რომელიც მომავალში მეტ სირღმისეულ დაკვირვებას მოითხოვს, გვაჩვენა, რომ შემორჩენილი ფურცლები შეიცავს სახარებისა და სამოციქულოს საკითხავებს. ეს კი გვაფარაუდებინებს, რომ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტები უნდა წარმოადგენდნენ ლიტურგიკული კრებულის, ვფიქრობთ, ლექციონარის ნაწილს.

ფურცელთა პალეოგრაფიული შესწავლა ადასტურებს, რომ აღნიშნული ფრაგმენტები ავლენს ადრეული ხელნაწერი წიგნისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს: ეტრატი მოყვითალო ფერისაა, საშუალო სისქის; ხელნაწერის გვერდი კარგადაა ორგანიზებული, ნაწერია მუქი ყავისფერი მელნით, ორ სვეტად. დაცულია საზედაო ასოებისა და სათაურების გამოყოფის ტრადიციული წესი – ისინი დაწერილია სინგურით.

ხელნაწერის გადაწერის ადგილი უცნობია, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ის ძალზე დაზიანებული და ნაკლულია. ჩვენამდე არ მოუღწევია კრებულის ბოლო ფურცლებს, რომლებზედაც, ჩვეულებისამებრ, ვხვდებით ხოლმე წიგნის შექმნასთან დაკავშირებულ ანდერძებს. თუმცა დღევანდელი პაგინაციით 8v-ზე სახარების საკითხავთა შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო მარგინალური ნიშანით გამოყოფილმა, ნუსხურით შესრულებულმა ტექსტმა. როგორც გაირკვა, ეს ტექსტი წარმოადგენს ანდერძს. სამწუხაროდ, ფურცელი ძლიერ დაზიანებულია. ამიტომაც წარმოვადგენთ ფრაგმენტულად ამოკითხულ ტექსტს:

*დიდება ღმერთსა, დაეს[რულა] [კა]ნონი წელიწად[ისაჲ] [განწე]სებულ
რიცხუ[სა] თუეთასა, რომელი განაწესეს სულისა მიერ [წმიდ]ისა სანატრელ-*

თა და ღმერთშემოსილთა ნმიდათა მოძღუართა ჩუნთა წესისაებრ წმიდისა ქალაქისა იზრუსალ(ი)მისა, რომელსა ზედა ჩუნ მიერცა შეი..... ებდეთ ყანუ... [კეთილად მსახურნი და მოღუანე... ებიელთა... საყუარელ] ღვეთისათ[ა] მე, გლახა[კი] ფრად ცოდვილი მ(ი)ქ(ა)ელ ინჩ[უხი] და ძმა ჩემი სულითა დეკ[ა]-ნოზი დოშლომ(sic) ლოცვასა... [თქუენსა მოგვსენენით [სიყუარ]ულისათვს ღმრთისა და [თქუენცა უფალმან ნაცვალი კეთილი მოგანიჭენ ზეცას ნი...

43v-ზე ვკითხულობთ მკაფიოდ გამოყოფილ, მთავრულით შესრულებულ იმავე პირის მინანერს: „ქრისტე, შეინყალე მიქაელ ი[ნ]ჩუხი მწერალი.“ ამ ორი კოლოფონის საფუძველზე შესაძლებელია არა მხოლოდ გადამწერის ზედწოდების აღდგენა, არამედ იმის დადასტურებაც, რომ ფურცელთა მთავრულითა და ნუსხურით ნაწერი ტექსტები სწორედ მიქაელ ინჩუხის მიერაა შესრულებული. ირკვევა ისიც, რომ ეს ლიტურგიკული კრებული იერუსალიმური ტრადიციისაა.

ვინ უნდა იყოს მიქაელ ინჩუხი ან რომელ სამნიგნობრო კერაში მოღვაწეობდა იგი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალზე რთულია, ვინაიდან ქართველ გადამწერთა შესახებ დღემდე ჩვენ ხელთ არსებული ცნობები არაფერს გვეუბნება ამ პირის შესახებ. ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ვერც დოშლომ დეკანოზის ვინაობის დამადასტურებელ ცნობებს, რაც სამომავლო ძიების საქმეა. ერთი კი ცხადია, რომ შემორჩენილი ფრაგმენტების შემქმნელი გამოცდილი მნიგნობარი უნდა ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ გადამწერი საკუთარ მინანერს გამოყოფს ძირითადი ტექსტისგან განსხვავებული მოხაზულობის მრგვლოვანით. თუ ძირითადი ტექსტი ნაწერია მწყობრი, მომრგვალებული მთავრულით, მინანერი შესრულებულია მოგრძო მოხაზულობის ყავისფერი მელნით დაწერილი ასოებით.

ხელნაწერის 8v-ზე იკითხება მრგვლოვანით შესრულებული კიდევ ერთი მინანერი: „ქრისტე, შეინყალე გაბრიელ სარქინჯი“. მინანერში ამ პიროვნების საქმიანობა არ არის ასახული, იგი არც გადამწერის ძირითად ანდერძში იხსენიება და ამდენად, მისი მოღვაწეობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. მინანერის ხელი არ განსხვავდება ტექსტის ძირითადი ხელისაგან, ის არ არის გამოყოფილი და არც მარცხენა სვეტის მთლიანობას არღვევს.

მიქაელ ინჩუხის, დოშლომ დეკანოზისა და თუნდაც გაბრიელ სარქინჯის მოღვაწეობის ადგილის განსაზღვრა ძალზე დაგვეხმარებოდა მეორე, ჩვენი თვალსაზრისით, საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის გაცილებით მნიშვნელოვან მინანერში დაცული ცნობების შეფასებაში. კერძოდ, იმავე 8v-ზე გადამწერის ნუსხურით დაწერილ ანდერძს ყოველგვარი სივრცული დაშორების გარეშე მოსდევს ტექსტის ხელით, მთავრულით შესრულებული შემდეგი ხასიათის სამსტრიქონიანი ტექსტი: „ოდეს ესე დაინერა, ქორონიკონი იყო სჲთ (1049). ლიპარიტ თურქთა ტყვეობით მოვიდა.“ ეს მინანერი ერთგვარად არღვევს კოლოფონების დართვის ჩვეულ წესს – ის პირდაპირ ებმის ძირითად ტექსტს. მაგრამ

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გადამწერი მას გამოყოფს სანყისი სიტყვების სინგურით შესრულების გზით.

რითაა მნიშვნელოვანი აღნიშნული მინაწერი? დღემდე ცნობილი წყაროების საფუძველზე ქართული ისტორიოგრაფია ლიპარიტ ბაღვაშის თურქთა ტყვეობაში ყოფნისა და გათავისუფლების შესახებ შემდეგს გვამცნობს: ბაგრატ IV-თან პოლიტიკურად მკვეთრად დაპირისპირებული ლიპარიტი ბიზანტიის იმპერიის ინტერესების დასაცავად იბრძოდა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ და 1048 წელს მათ ჩაუვარდა ტყვედ. ბაგრატის მოწინააღმდეგე ძლიერი მოკავშირის ტყვეობით შეწუხებულმა კეისარმა ამავე წელს სულთანს საგანგებო ძღვენიტა და ფულით აღჭურვილი პირი, გეორგი დროზი, მიუგზავნა ლიპარიტის გათავისუფლების თხოვნით.¹ მაგრამ, როგორც დღემდე იყო ცნობილი, ლიპარიტის გათავისუფლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1051 წელს.² ამ დათარიღების საფუძველად აღებულია ერთ სინურ ხელნაწერში, Sin. 38-ში კვირიკე ოკმელის მიერ შესრულებული მინაწერი: „მოვინიე ქორონიკონსა სოა (1051). მას ჟამსა დავწერე ესე, ოდეს ლიპარიტ თურქთა გაუშვეს.“

ამ ორ მინაწერს შორის არსებულმა შეუსაბამობამ Sin. 38-თან მიგვიყვანა. ვინაიდან ივ. ჯავახიშვილს სინური მინაწერი კუპიურებით აქვს გამოქვეყნებული, გვსურდა გვენახა მინაწერის სრული ტექსტი და გავრკვეულიყავით, რას მიემართება კვირიკე ოკმელის მიერ დასახელებული თარიღი. თავად ივანე ჯავახიშვილი ლიპარიტის ტყვეობიდან გათავისუფლების ფაქტის შესახებ მსჯელობისას ერთმანეთს ადარებს მის ხელთ არსებულ წყაროებს – სომეხი ისტორიკოსის, მათე ურჰაელის ცნობას, რომლის თანახმაც ლიპარიტმა ტყვეობაში გაატარა ორი წელი,³ და კვირიკეს მინაწერს. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სომხური წყაროს ჩვენება მხოლოდ უახლოვდება და ზუსტად არ შეესაბამება სინური ხელნაწერის მინაწერის ცნობას. მაშასადამე, შეიძლება ასეც გავიგოთ, რომ ამ ორი წყაროდან (ურჰაელისეული და სინური ნუსხისა) ერთ-ერთია ზუსტი. ჩვენს ძიებას ბიძგი მისცა სწორედ ურჰაელისეულმა მითითებამ ლიპარიტის ტყვეობის ორი წლის შესახებ. სავსებით დასაშვებია, რომ აქ არ უნდა ივარაუდებოდეს ასტრონომიულად სრული ორი წელიწადი და სომხური წყაროს ჩვენებას დიახვაც უპასუხებს აღნიშნული ვადის 1048-1049 წლებით შემოსაზღვრა. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ჩვენ მოვიძიეთ Sin. 38-ის მინაწერი. და აი როგორი სურათი წარმოგვიდგა:

¹ ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II, თბ., 1983, გვ. 147.

² იქვე; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III, თბ., გვ. 186; *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. VI თბ., 1966, გვ. 25. სქ. 2; ვ. სილოგავა, *ბაღვაშთა ფეოდელური სახლის მემორიალური წიგნები*, Dedicatio, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2001, 227-237, 255.

³ ივ. ჯავახიშვილი, იქვე.

979 წელს იოანე ზოსიმეს მიერ მთავრულით გადაწერილ ოთხთავს, ანუ Sin. 38-ს, გადამწერის ანდერძის შემდეგ, **ლთ** რვეულის დასასრულს, ახლავს სწორედ ჩვენთვის საინტერესო პირის ნუსხურით შესრულებული შემდეგი შინაარსის მინაწერი: „*მეცა სანყალობელი კვრიკე ოკმელი, სახელით ოდენ ხუცესი, უშრომელი, რომელ ამისი დაწერისა შემდგომად სამოცდაათი წლისა შემოვიწიე, ქორნიკონსა სოა (1051)*“. რაც შეეხება ლიპარიტთან დაკავშირებულ მინაწერს, იგი შესრულებულია XI საუკუნის კალიგრაფიული ნუსხურით, კვრიკეს მინაწერისაგან საგრძნობლად განსხვავებული ხელით, არ უზის თარიღი. მასში იკითხება შემდეგი: „*მას ჟამსა დაგწერე ესე, ოდეს ლიპარიტ თურქთა გაუშვეს. გევედრები არაღირსი, ლოცვა-ყავთ.*“ მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მინაწერი იკითხება ხელნაწერის საცავ ფურცლად გამოყენებულ პალიმფსესტურ ფრაგმენტზე. ეს კი სავსებით აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ ლიპარიტის მინაწერიანი ფურცელი არ მიეკუთვნება იოვანე ზოსიმეს მიერ 979 წელს გადაწერილ Sin. 38-ს.

ამდენად, ლიპარიტის ტყვეობიდან გათავისუფლების თარიღს გვანდის მხოლოდ Q-1376 და სწორედ ის უნდა მივიჩნიოთ ამ ისტორიული ფაქტის დათარიღების ერთადერთ წყაროდ.

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ გარემოებაზე. ორივე მინაწერი – ჩვენეულიცა და სინურიც – საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ლიპარიტის პიროვნებაზე. ეს, ერთი მხრივ, მიგვანიშნებს იმას, თუ როგორი გულისყურით ეპყრობოდნენ ქართველი საეკლესიო მოღვაწეები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს და, მეორე მხრივ, უდავოდ გამოკვეთს ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის მნიგნობრობისადმი დამოკიდებულების ფაქტს. ჩვენ მიერ აღწერილ ხელნაწერში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფეოდალის მოსახსენებელი მინაწერი შესრულებულია გადამწერის ხელით და ცალკე აშიაზე კი არ არის გატანილი, არამედ ჩართულია ძირითად ტექსტში, საკითხავთა შორის. ეს კი გვაგვარაუდებუნებს, რომ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი ამ წიგნის შექმნის ერთ-ერთი მონაწილე – დამკვეთიც კი შეიძლება ყოფილიყო. ამ ვარაუდის დაშვების საშუალებას გვაძლევს ამ ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მნიგნობრობისა და ეკლესიისადმი გამოვლენილი, უკვე უტყუარად მიჩნეული ფაქტები, რომლებმაც არაერთხელ მიიპყრეს მეცნიერთა ყურადღება.⁴ როგორც ირკვევა, ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის დაკვეთით 1047, 1048 და 1053 წლებში გადაწერიათ სამი საგანგებო ხელნაწერი. ბაგრატ IV-ის მიერ ლიპარიტის თხოვნით შეწყნარებული და საქართველოში დაბრუნებული ივანე ლიპარიტის ძე კაცხის ღვთისმშობლის ეკლესიას სწირავს კალიპოსის ლავრაში საგანგებოდ-

⁴ ამ საკითხის შესახებ დაწერილებით იხ.: ვ. სილოგავა, დასახ. შრ.

გადანერვილ ალავერდის ოთხთავს.⁵ ხოლო უკვე ბერად აღკვეცილი ლიპარიტი, ათონის მონასტრის 34-ე ალაპის მიხედვით, დიდ შეწირულობას – 156 დრაჰკანს გაიღებს ათონის ივერთა მონასტრისათვის.⁶ გიორგი მცირე კი აღნიშნავს: „ცნა ღმთისმსახურმან მეფემან ბაგრატ, ვითარმედ სრულ იქმნა თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ... რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაინერნეს, და უფროჲს ყოველთაჲსა დიდად იღუანა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ-ყოფილმან და თვისისა მონასტრისა ბარლაამნიდასათჳს დაანერინა.“⁷

ჩვენ მიერ აღნერილ Q-1376-ში დადასტურებული მინანერი თვალნათლივ გამოკვეთს საეკლესიო წიგნების მიმართ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის მიერ ერისკაცობაში გამოვლენილი მზრუნველობის კიდევ ერთ მაგალითს.

Maia Karanadze

NEW CHRONOLOGICAL DATA ABOUT THE BAGHVASHI FEUDAL FAMILY

SUMMARY

On the basis of the investigation of the codex Q-1376 kept at the National Centre of Manuscripts, some data unknown up to now has been revealed about the date of the release of a well-known person of the 11th century, the opponent of Bagrat IV, Lyparit Bagvashi, from Turkish captivity. The presently revealed colophon of the copyist *Michael Inchukhi* moves the commonly excepted date of the release of Lyparit Bagvashi in 1051 to the year 1049. The colophon as well proves the financial participation of the Baghvashi feudal family in the creation of the Georgian manuscripts.

⁵ A-484, 315r ; შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I. I (1), თბ., 1986, გვ. 214

⁶ ელ. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 211-212

⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, ტ. II, თბ., 1967, გვ. 155.

დარეჯან კლიაშვილი

უცნობი ნარნარები არტანუჯიდან

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა ელენე მეტრეველმა გასაშიფრად გადმომცა გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლის, ივანე გიგინეიშვილის მიერ მისთვის გადაცემული წარწერების ფოტოების საკმაოდ უხარისხო ქსეროასლები. ი. გიგინეიშვილისათვის ამ წარწერების ანაბეჭდები გამოუგზავნია თურქეთში, ქალაქ არტანუჯში (ამჟამინდელი Ardauç) მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს თხოვნით, დადგენილიყო მათი შინაარსი და მნიშვნელობა. როგორც გადმომცეს, წარწერები თავად არტანუჯიდან იყო, მაგრამ კონკრეტულად საიდან, ქალაქის ციხის ეკლესიიდან თუ ძველ უბანში მდგარი მეჩეთად გადაკეთებული ტაძრიდან, ცნობილი არ იყო. არტანუჯში მიკვლეული ერთი შეხედვით უმნიშვნელო წარწერები, მიუხედავად მათი ფრაგმენტულობისა, მაინც საგულისხმო წყაროდ შეიძლება ჩათვალოს საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციის ერთ-ერთი ძირძველი ქალაქის ქართული სიძველეების შესასწავლად. ამ მხრივ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს, 1902 წლის შავშეთ-კლარჯეთში ექსპედიციის დროს, ნ. მარის მიერ არტანუჯში მხოლოდ ერთი წარწერის ფრაგმენტი იქნა მიკვლეული (Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хатдзтийского, Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Я. Марра, с дневником поездки в Шавшию и Кларджию, СПб., 1911, с. 95), რომელიც ამჟამად დაკარგულია.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა თანამემამულემ არტანუჯიდან წარწერების ფოტოების ქსეროასლები გამოგზავნა თითქმის ორი ათეული წელი გავიდა, თუმცა ამის თაობაზე არაფერი დაწერილა. რაც შეეხება ფოტოების ქსეროასლებს, ისინი კვლავ ი. გიგინეიშვილს გადაეცემა წინამძღებარე წერილთან ერთად.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოდან ტაო-კლარჯეთის ქართული სიძველეების შესასწავლად თუ მოსახილავად არაერთი

სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო, მაგრამ არტანუჯიდან გამოგზავნილი წარწერების კვალი დაიკარგა. სწორედ ამ მიზეზით გადავწყვიტე უცნობი თანამეპულისათვის დაწერილი წერილის ფაქტობრივად უცვლელი სახით გამოქვეყნება.

ასწლეულების მანძილზე არტანუჯი საქართველოს მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს წარმოადგენდა. ძველი ქართული ტრადიციის მიხედვით, ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, მდინარე არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქალაქის დაარსება ვახტანგ გორგასალს († 502) უკავშირდება; მასვე დაუსვამს იქ ერისთავი. VIII საუკუნის პირველ ნახევარში არტანუჯი არაბმა სარდალმა მურვან-ყრუმ დაანგრია. IX საუკუნისათვის ქართლის პოლიტიკური ცენტრი სამხრეთში ინაცვლებს – ქართველმა ბაგრატიონებმა აქ ტაო-კლარჯეთის სამთავროს ჩაუყარეს საფუძველი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ხანას პირობითად ტაო-კლარჯეთის ანუ „ქართველთა სამეფოს“ პერიოდსაც უწოდებენ. ამ დროისათვის აშოტ I კურაპალატის († 826) მიერ განახლებული არტანუჯი ტაო-კლარჯეთის დედაქალაქს და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამარხს წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, არტანუჯი „აღაშენა და განახლა აშოტ კურაპალატმან, და აღაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი; მოკლეს მას შინავე და დაფლეს მუნვე. არს არტანუჯს ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდ-შვენიერ ნაგები. ეს იყო მონასტერი და აწ არს უქმი. კვალად აქვე არტანუჯს აღაშენა გორგასალმან მონასტერნი მერისა, შინდობისა და ახიზისა, ფრიად შვენიერნი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 681).

X საუკუნეში გამაგრებული და დიდი რაბათის მქონე არტანუჯი მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. XIII საუკუნის დამლევიდან არტანუჯი სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა, ვიდრე 1553 წლამდე, როცა იგი თურქეთმა დაიკავა.

არტანუჯის არქიტექტურულ ძეგლებზე მოთავსებული წარწერები უმნიშვნელოვანეს წერილობით წყაროს წარმოადგენს ამ მხარის პოლიტიკური ისტორიის, ეთნიკური შემადგენლობის, კულტურული ყოფისა და სულიერი ცხოვრების გასათვალისწინებლად. XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მონყობილი ექსპედიციების მასალებში მწირი ცნობები მოიპოვება არტანუჯის სიძველეების შესახებ, რაც კიდევ უფრო ფასეულს ხდის არტანუჯიდან გამოგზავნილ უცნობ წარწერებს. ჩვენი თანამემამულის მიერ გამოგზავნილი ხუთივე წარწერა ქართულია, შესრულებული ასომთავრული და ნუსხური დამწერლობით. ეს წარწერები შინაარსის მიხედვით ძირითადად მლოცველთა მოსახსენებლებს წარმოადგენს. სავარაუდოდ, ისინი

არტანუჯის ეკლესიას ეკუთვნოდნენ, რამდენადაც ერთ-ერთი წარწერის ფრაგმენტში საყდარზე უნდა ყოფილიყო საუბარი (წარწ. № 5).

1. ასომთავრული, ქარაგმის ნიშნად იხმარება სწორი განივი ხაზი. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XI-XII საუკუნეებით.

ქ~უ ყწ~უ ლ~ი

ქ(რისტ)ე, შ(ე)ნ(ყალ)ე გ(იორგ)ი.

2. წარწერის ფრაგმენტი, გვიანი ხანის უნიგნური ნუსხურით. წარმოდგენილი ქსეროასლის მიხედვით, ძნელია წარწერის წაკითხვა და ხელის მიხედვით მისი დათარიღება.

წჷთ ძა[-]წჷჸ

შლი და[-]მნ

3. წარწერის ფრაგმენტი, შესრულებულია ასომთავრულით. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XIII-XIV საუკუნეებით უნდა თარიღდებოდეს.

[ქ]ღუ-ღწ[ქ] [...]

ჰქა საჰღ[-] [...]

ღცჴ[-] [...]

ბღჸ[უ] [...]

[ი]ოვან[ე] [...] | მ(ი)ნ(ა)ჲ სჲმო[ნ] [...] | თაშ[-] [...] | ჭოდ[ვ] [...]

4. წარწერის ფრაგმენტი, შესრულებული უნიგნური ნუსხურით.

ჴ[-] ჴწჷთა(?)წჷ[-] [...]

ლ[-] ლ(ა)შ(ა)მა(?)რ[-] [...]

5. წარწერის ფრაგმენტი, შესრულებული ყოფილა ასომთავრულით.

სცჴ[...]

საყდ[არი]?

6. ეკლესიის რელიეფური დეკორის ფრაგმენტი (სავარაუდოდ X საუკუნისა); ქსეროასლის ზედა კიდეში შეინიშნება წარწერის კვალი, რომლის ტექსტის დადგენა შეუძლებელია.

წარმოდგენილი ქსეროასლების მიხედვით ძნელია წარწერების ტექსტების ზუსტად დადგენა და მათი პალეოგრაფიული დათარიღება. ამისთვის საჭიროა ხელთ გვეყონდეს წარწერებისა და იმ ძეგლის ფოტოები, რომელზედაც წარწერები იქნა მიკვლეული. სასურველია არტანუჯის სიძველეებით დაინტერესებულმა ჩვენმა თანამემამულემ გამოგზავნოს მიკვლეული წარწერების ფოტოები, აგრეთვე მოგვანოდოს დაწვრილებითი ცნობები ამ წარწერების მდებარეობის შესახებ (სად აღმოჩნდა წარწერები – ციხეზე, ეკლესიაზე, მეჩეთზე თუ საცხოვრებელ სახლზე, მისი ადგილმდებარეობის ზუსტი მინიშნებით. ეს ინფორმაცია აუცილებელია, რამდენადაც ხშირია შემთხვევები, როცა ძველი ეკლესიების წარწერიან ქვებს სხვა დანიშნულების ნაგებობათა სამშენებლო მასალად იყენებდნენ).

P. S. არტანუჯიდან გამოგზავნილი წარწერები გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ისტორიული სამხრეთ საქართველოს სიძველეების შესახებ. იმედია, ჩვენი უცნობი თანამემამულე არ დაიზარებს და კვლავ შეგვეკომიანება, რაზედაც წინასწარ მადლობას მოვასხენებთ.

Darejan Kldiashvili

UNKNOWN INSCRIPTIONS FROM ARTANUJI

SUMMARY

Copies of the inscriptions sent in the 1980s by a Georgian residing in the city of Artanuji (mod. Ardanuç, Nort-East Turkey), are being published for the first time. The inscriptions came from Artanuji proper, but it is uncertain whether from the church of the city fortress or a church in the old quarters, turned into a mosque. Notwithstanding its fragmentary state, the epigraphic material presented there is a noteworthy source for the study of the antiquities of one of the oldest cities of Georgia's southern historic province.



არტანუჯი. ქალაქის ეკლესია. ნიკო მარის ფოტოს მიხედვით (1904).

ნათია ფსუტური

**XVII საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ
საქართველოს შინაპოლიტიკური ისტორიიდან**

XVII საუკუნის მეორე ნახევრის კახეთის შინაპოლიტიკური ვითარების ამ-სახველ მოვლენებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კახთ ბატონ თეიმურაზ I-ის შვილიშვილის, ერეკლე დავითის ძისა და არჩილ ბაგრატიონს შორის წარმოებულ დინასტიურ ბრძოლებს უჭირავს. ამჯერად ამ ომების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენის საკითხზე შევჩერდებით.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის კახეთის სამეფოს შინაპოლიტიკური ვითარების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში.

აღნიშნული ფაქტის შესახებ საგულისხმო ცნობებია დაცული ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროებში (სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა,“ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ანონიმი ავტორის „ცხოვრება საქართველოსა“ (პარიზის ქრონიკა), ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“).

ერეკლე ბატონიშვილსა და ვახტანგ და არჩილ მეფეებს შორის კახეთის ტახტისთვის წარმოებული ბრძოლის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვანვდის შაჰ-ნავაზ I-ისა და მისი ძის, თანამედროვე პოეტის, ფეშანგი ფაშვიბერტყაძის პოემა „შაჰნავაზიანი“. ამ ლიტერატურულ-ისტორიული ძეგლის მონაცემების სანდოობის შემოწმება სხვა ისტორიულ წყაროთა საფუძველზე ადვილად ხერხდება.

ისტორიოგრაფიაში ამ საკითხს შეეხნენ: მარი ბროსე, ს. კაკაბაძე, ნ.ასათიანი, თ. ტივაძე. მ. ბროსე ნაშრომში „საქართველოს ისტორია“ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკს შორის გამართული ორი ომის შესახებ გვანვდის ცნობებს. მკვლევარი ორივე ბრძოლას 1662 წელს მომხდარად მიიჩნევს¹. ასევე ამ ორი ომის თაობაზე საუბრობს ს. კაკაბაძე ნიგნში „საქართველოს ისტორია (ახალი

¹ მარი ბროსე, *საქართველოს ისტორია. მეფეთა და მთავართა გენეალოგიითა და ქრონოლოგიით*, ნაწ. II, ტფილისი, 1900, გვ. 39-40.

საუკუნეების ეპოქა)². იგი ერეკლე ბატონიშვილის მიერ კახეთის სამეფოზე განხორციელებულ ორივე თავდასხმას 1664 წლით ათარიღებს.² ნ. ასათიანი კი ნაშრომში „კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675)“ აღნიშნავს, რომ: „ამ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკს შორის სამი დიდი ბრძოლა გაიმართა: 1664 წლის თებერვალსა და შემოდგომით და 1665 წლის გაზაფხულზე“³.

ერეკლე ბატონიშვილისა და ვახტანგ და არჩილ მეფეთა დაპირისპირების მიზეზების გარკვევის მიზნით სასურველია გავიხსენოთ წინა პერიოდის ზოგიერთი ისტორიული ფაქტი. XVII საუკუნეში ამიერკავკასიაში პირველობისათვის წარმოებულ ბრძოლაში სამი სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას: ირანი, ოსმალეთი და რუსეთი.

არჩილ ბატონიშვილი იყო შვილიშვილი თეიმურაზ მუხრანბატონისა, უფროსი ძე ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზისა. ეს უკანასკნელი ირანის შაჰის მიერ ქართლის ტახტზე დამტკიცებული სპარსეთის დიდმოხელე, მისი ვალი (მოადგილე) იყო. ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით, არჩილს ქართლის სამეფო ტახტი ეკუთვნოდა. რაც შეეხება ერეკლე ბატონიშვილს, იგი 1648 წელს ქართლის მეფე როსტომის წინააღმდეგ გამართულ ომში გარდაცვლილი თეიმურაზ I-ის ძის, დავითის შვილი და, ამდენად, კახთბატონის ერთადერთი მემკვიდრე იყო. მას კახეთში მეფობის იურიდიული უფლება ჰქონდა. ერეკლე ბატონიშვილი ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში, 1654 წელს თეიმურაზმა რუსეთისაგან ქმედითი დახმარების მიღების გარანტიად საიმპერატორო კარზე გააგზავნა. იგი რუსეთის სამეფო კარზე იზრდებოდა, სადაც პრორუსული ორიენტაციის მქონე პიროვნებად ჩამოყალიბდა. 1662 წელს ერეკლე ბატონიშვილი სამშობლოში დაბრუნდა, რათა პაპისეული ტახტი დაეკავებინა. ნიკოლოზ დავითის ძის⁴ კახეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლა შაჰმა აღმოსავლეთ საქართველოში ჩრდილოეთელი ქრისტიანი მეზობლის პოზიციების განმტკიცების საწინდრად მიიჩნია, რაც სპარსეთის ამიერკავკასიური პოლიტიკის აშკარა მარცხი იქნებოდა. ერეკლე ბატონიშვილის კახეთის მმართველობის სათავეში მოსვლა აგრეთვე ეწინააღმდეგებოდა ვახტანგ V-ის საშინაო პოლიტიკის ინტერესებსაც. უფროსი ძის კახეთში გამეფებით ქართლის მეფემ შეძლო მიეღწია აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტიური გაერთიანებისათვის. ერეკლე დავითის ძის პაპისეულ ტახტზე ასვლით ქართლ-კახეთის ერთიანობას მომლა

² ს. კაკაბაძე, *საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა)*, ტფილისი, 1922, გვ. 72-73.

³ ნ. ასათიანი, *კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675)*, საქართველო და აღმოსავლეთი, თბილისი, 1984, გვ. 115.

⁴ რუსეთის სამეფო კარზე ერეკლე დავითის ძე ნიკოლოზ დავითის ძედ იყო ცნობილი.

ემუქრებოდა. ამიტომ იყო, რომ მამა-შვილმა სპარსეთის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თეიმურაზ I-ის მემკვიდრეს.⁵

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროებში ამ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკს შორის გამართულ ბრძოლათა შესახებ რამდენადმე განსხვავებული ცნობებია დაცული. სეხნია ჩხეიძე მხოლოდ ერთი ბრძოლის შესახებ საუბრობს. ფარსადან გორგიჯანიძე და „პარიზის ქრონიკის“ ანონიმი ავტორი ერეკლე ბატონიშვილის მიერ კახეთის სამეფოზე თავდასხმის ორ ფაქტს ასახელებენ, ვახუშტი ბატონიშვილი კი ორი დიდი ომისა და ერთი მცირე მასშტაბიანი თავდასხმის შესახებ საუბრობს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ ყველაზე თანამიმდევრულ და ქრონოლოგიურად სრულყოფილ თხრობას ვახუშტი ბატონიშვილი იძლევა. ისტორიკოსი ერეკლე დავითის ძის კახეთის სამეფოზე რიგით პირველ თავდასხმად ურიათუბანთან (თელავის მახლობლად) მომხდარ ომს ასახელებს. მისი ცნობით:

მოვიდა ერეკლე კახთ სპითურთ ურიათუბანს ეწყუნენ მუნ ქართველნი და ბრძოლასა იძლიენენ კახნი, და ივლტოდა ერეკლე და შვიედა თორღის ციხესა შინა (მდებარეობდა თუშეთში შტორის ხეობაში – ნ. ფ.) შინა, ხოლო ქართველნი მოვიდნენ წინაშე მეფისა (იგულისხმება ვახტანგ V – ნ. ფ.) მასვე ჟამსა შემოიკრიბნა მეფემან სპანი თჳსნი სრულიად ხანებითურთ მოვიდა თორღას და მოადგა გარს. ხანსა რაოდენსამე შინა შემჭირდნენ ცოხოანნი. ამისათჳს დედამან ერეკლესამან მიუგზავნა მეფესა (ვახტანგ V-ს. – ნ. ფ.) ვედრება, რათა განუტევოს ფარულად... უსმინა მეფემან და განუტევა ფარულად და წარვიდა ერეკლე თუშეთს.⁶

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქვეთავში „ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა,“ ერეკლე ბატონიშვილსა და ვახტანგ და არჩილ მეფეთა შორის გამართულ ბრძოლებს ორგზის აღწერს. იგი ურიათუბანთან მომხდარ ამ ომს 1664 წლით (ქსა ჩქედ, ქართ ტწნბ) ათარილებს⁷ სხვა თავში – „აღმოჩენა და პყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისათა“ კი იმავე ბრძოლას 1663 წელს (ქსა ჩქედ, ქართ. ტწნა) მომხდარად მიიჩნევს.⁸

⁵ ნ. ფსუტური, *არჩილ მეფის (1647-1719წწ.) ბიოგრაფიიდან (მისი აღმსარებლობის საკითხისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, № 6, თბილისი, 2003, გვ 56-57.*

⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დაადგინა ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1973, გვ. 451.

⁷ იქვე, გვ. 451.

⁸ იქვე, გვ. 601.

აღნიშნული ისტორიული ფაქტის შესახებ ცნობას გვანვდის ფარსადან გორგიჯანიძეც, თუმცა ზუსტ თარიღს არ ასახელებს. იგი მხოლოდ მიუთითებს, რომ საომარი ოპერაცია გაზახულზე მოხდა, მაგრამ წელს არ აკონკრეტებს.⁹

„პარიზის ქრონიკის“ ანონიმი ავტორი კახეთის ტახტისათვის წარმოებულ ბრძოლაში დამარცხებული ერეკლე ბატონიშვილის დედის თორღას ციხეში გამოკეტვის ფაქტს 1612 წელს მომხდარად მიიჩნევს¹⁰. ეს თარიღი ერთი შეხედვითაც არასწორია, რამდენადაც 1612 წელს ერეკლე დავითის ძე და არჩილ ბაგრატიონი ჯერ კიდევ დაბადებულნიც არ იყვნენ (გამორიცხული არაა ტექსტში ადგილი ჰქონდეს კორექტურულ შეცდომას).

ამ ბრძოლის შესახებ საგულისხმო ცნობას გვანვდის სეხნია ჩხეიძე. მისი გადმოცემით: „წინათ ამისად ებრძანა (ირანის შაჰს – ნ. ფ.) მეფის შანაოზისათვის დაჭირვა ერეკლესი და გაგზავნა (სპარსეთს – ნ. ფ.) მიუხდა კახეთს. შემოადგა თორღას (იგულისხმება ვახტანგ V – ნ. ფ.) და გააპარეს კახთ ერეკლე და წარვიდა რუსეთს: რადგან კახეთი უბატონო იყო, აღარ მოეშვნენ მეფეს არჩილს, დამორჩილდა ბრძანებასა ხელმწიფისასა (იგულისხმება ირანის შაჰი – ნ. ფ.) უბოძა საბოძვარი მრავალი და გამოისტუმრა დიდის პატივით, მობრძანდა (არჩილ II – ნ. ფ.) კახეთს, შეიქმნა სიხარული დიდი და განსვენება“.¹¹

მართალია, აქ მოტანილ ცნობაში სეხნია ჩხეიძე არ ასახელებს ერეკლესა და შაჰნავაზ I-ს შორის გამართული ბრძოლის ზუსტ თარიღს, მაგრამ ამჟამად, რომ ისტორიკოსი ამ ომს არჩილის ისპაჰანიდან დაბრუნებამდე მიიჩნევს მომხდარად.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ამ ომის ორგზის აღწერის მიუხედავად, არ საუბრობს ურიათუბანთან გამართულ ბრძოლაში არჩილ მეფის მონაწილეობის შესახებ. მისი გადმოცემის თანახმად, საომარ ოპერაციებს ქართლის მეფე ვახტანგ V ხელმძღვანელობს. თორღას ციხეში გამომწყვდეული ერეკლე ბატონიშვილის მომხრეებიც მასთან აწარმოებენ საზავო მოლაპარაკებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერეკლე ბატონიშვილის ბრძოლის მიზანი პაპისეული ტახტის მოპოვება იყო. ამდენად, ერეკლე ხელისუფლებას არჩილ II-ს ეცილებოდა. უფრო გამართლებული იქნებოდა, თუ კახეთის მეფე უშუალოდ მიიღებდა მონაწილეობას საომარ ოპერაციაში.

⁹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფილისი, 1923, გვ. 273.

¹⁰ ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, 1980, გვ. 113

¹¹ სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეათცხრამეტე საუკუნამდის, ნაწ. II, გამოსცა უ. ჩუბინოვმა, სანკტპეტერბურლი, 1854, გვ. 308.

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ურიათუბანთან გამართული ბრძოლის აღწერის დროს არჩილ მეფის მოუხსენიებლობა გამონვეული უნდა იყოს კონკრეტული მიზეზით. ამ უკანასკნელის არსებობის შესახებ ცნობას „პარიზის ქრონიკის“ ანონიმი ავტორი და ვახუშტი ბატონიშვილი გვანვდიან. ორივე ისტორიკოსი ერთხმად აღნიშნავს, რომ 1663 წელს არჩილ II გივი ამილახორის თანხლებით ისპაჰანს გაემგზავრა¹². ამ ცნობას თუ დავეყრდნობით, ადვილი შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ერეკლე ბატონიშვილსა და ვახტანგ V-ს შორის მომხდარი ბრძოლის დროს არჩილ II და გივი ამილახვარი ჯერ არ იყვნენ ისპაჰანიდან სამშობლოში დაბრუნებულნი. ამგვარი მოსაზრების არსებობას მხარს უჭერს სენია ჩხეიძის ზემოთ მოტანილი ცნობაც.

ამ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკს შორის გამართულ ბრძოლათა შესახებ საინტერესო ცნობას გვანვდის ფეშანგი ფაშვიბერტყაძე. პოემა „შაჰნავაზიანში“ ვახტანგ და არჩილ მეფეების თანამედროვე და ქართლის სამეფო კართან დაახლოვებული პოეტი ერეკლე ბატონიშვილსა და მამა-შვილს შორის გამართული ორი ომის შესახებ საუბრობს. პირველ ბრძოლად ის თორღას ციხეში გამოკეტვის ცნობილი ფაქტით დასრულებულ ომს ასახელებს, თუმცა ბრძოლის ადგილის ზუსტ ლოკალიზებას არ ახდენს. ფეშანგი ასევე ეხება თორღას ციხის შაჰნავაზის ბრძანებით დანგრევის ამბავს. პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ: *„მეფემ ბრძანა: „თორღის ციხე ძირამდისინ მოასწორეთ;“ ცოტა ქვემოთ კი აღნიშნავს: „თორღა მოშალეს ან ნახეთ რა უყონ ჯანგაურასა! ... ველარ მაგრობენ ციხენი, არავინ მიაშუროსა“.*¹³

ვახტანგ მეფის ბრძანებით თორღას ციხის დანგრევა ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროებით არ დასტურდება. ადვილი შესაძლებელია, რომ საკარო, პანეგირიკული თხზულების ავტორს ამბის ამგვარად გადმოცემა ვახტანგ მეფის დახასიათებისთვის დასჭირდა. ფეშანგიმ ამ გზით გაუსვა ხაზი ვახტანგ V შაჰნავაზის ძლიერებასა და ურჩთა მიმართ უკომპრომისო დამოკიდებულებას.

ფეშანგი ფაშვიბერტყაძე პოემაში ბრძოლის ამ ეპიზოდს ცალკე თავს უძღვნის სათაურით: *„აქა ამა დიდმა ხელმწიფემან მეფემან თორღის ციხე აიღო, შემცოდენი გამოიყვანა, ციხე ძირამდი დააქცია და გამარჯვებული გამობრუნდა, შემცოდენი თან წამოასხა, თბილისს მობრძანდა“.* მიუხედავად ამისა, ფეშანგი არაფერს ამბობს თორღას ციხეში გამომწყვდეული ელენე დედოფლის ტყვეობიდან უვნებლად თავის დაღწევის შესახებ. ეს ცნობა დაცულია არაერთ ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროში (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ანონიმი ავტორის „პარიზის ქრონიკა“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამე-

¹² ცხოვრება საქართველოსა, (პარიზის ქრონიკა), გვ. 113; ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 450.

¹³ ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1933, გვ. 121.

ფოსა საქართველოსა“).¹⁴ ბუნებრივია, ვახტანგ V-ის ეს ნაბიჯი ქართველ წარჩინებულთა შორის აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა. ამგვარი საკითხების წინა პლანზე წამოწევა კი ფეშანგის ინტერესებში არ შედიოდა.

ვახტანგ და არჩილ მეფეების თანამედროვე პოეტი საგულისხმო ცნობას იძლევა ქართლის მეფესა და ერეკლე ბატონიშვილს შორის მომხდარი პირველი ომის დათარიღების საკითხის შესახებ. ფეშანგი ფაშვიბერტყაძე მას არჩილის ისპაჰანიდან სამშობლოში დაბრუნებამდე მომხდარად მიიჩნევს. ამაზე მეტყველებს თხზულებაში მოთხრობილ ისტორიულ ფაქტთა გადმოცემის თანამიმდევრობა, რამაც ასახვა ჰპოვა თავების დასათაურებაში. ასე მაგალითად, „შაჰნავაზიანი“ 38-ე თავის სათურია: „აქა ამა დიდმა ხელმწიფემ სახელოანი შვილი ყაენთან გაისტუმრა და ვით მართებდა წიგნი მისწერა არჩილის ადრე გამოშვებისა“;¹⁵ 39-ე თავისა – „აქა ამა ქვეყნის მპყრობელმა მეფემან შაჰნავაზ კახეთის მეფეთა შორის უწარჩინებულესმან პატრონმან შაჰნავაზ კახეთის დასაჭირავად გაემართა ყოვლისა ქუეყნისა ლაშქრითა“¹⁶. მას მოსდევს მე-40 თავი სათაურით: აქა ამა დიდმა ხელმწიფემან მეფემან შაჰნავაზ თორღის ციხე აიღო, შემცოდენი გამოიყვანა, ციხე ძირამდი დააქცია და გამარჯვებული გამობრუნდა. შემცოდენი თან წამოასხა თბილისს მობრძანდა¹⁷. ფეშანგი პოემის 51-ე თავში

¹⁴ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით: „ერთ ღამეს დედოფალმა თუშური ჩოხა ჩაიკვა და საფთე მშვილდ-ისარი შემოირტყა, ბოხობის თუშური ქუდი დაიბურა და ციხიდან ჩამოვიდა და მეფის ლაშქარშიც გაიარა და თუშეთს მივიდა (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 273). მის მონათხრობს ავსებს „პარიზის ქრონიკის“ მონაცემები. მასში ვკითხულობთ: „ციხეში მყოფნი რომ ჩამოვიდნენ მეფემ (იგულისხმება ვახტანგ V – ნ. ფ.) დედოფლისა იკითხა „სად არისო?“. მოახსენეს სამი დღე არის წასულიო. ტყვილი ეგონა აქეთ-იქით კაცები დააფრინეს, ეგების დაიჭირონ თუშეთით კახი კაცი ჩამოვიდა“: ბატონიშვილის დედა გუშინ თუშეთს მოვიდაო“ (პარიზის ქრონიკა, გვ. 113) ვახუშტი ბატონიშვილი კი, როგორც ზემოთ მოტანილი ცნობიდან ირკვევა, მიიჩნევს რომ ელენე დედოფალმა ვახტანგ მეფესთან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ დატოვა ციხე (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 451).

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ეს ნაწილი სპარსეთში დაინერა. ამდენად, ადვილი შესაძლებელია ისტორიკოსი ირანის სამეფო კარზე გავრცელებულ ვერსიას გვთავაზობდეს. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ირანის შაჰი დაჟინებით მოითხოვდა შაჰნავაზისაგან ერეკლეს სპარსეთში გაგზავნას. ვახტანგ V-ის მიერ მისი დედის სამშვიდობოს გაშვება ირანის მეფეს საამებლად არ უნდა დარჩებოდა. ამდენად, ისპაჰანში ამ ფაქტის სწორედ ასეთი სახით მიწოდება გამართლებული ჩანს. რაც შეეხება ვახუშტი ბატონიშვილისეულ ვერსიას, ელენე დედოფლის ვახტანგ მეფის თანხმობით გაშვების შესახებ, არც ეს უნდა იყოს ლოგიკას მოკლებული. შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაში ადვილი შესაძლებელია ვახტანგს ორმაგი პოლიტიკური სვლა გაეკეთებინა – არც შაჰის კარი გაერისებინა და არც რუსეთი მოემდურებინა.

¹⁵ ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, *შაჰნავაზიანი*, გვ.111.

¹⁶ იქვე, გვ. 115.

¹⁷ იქვე, გვ. 121.

საუბრობს არჩილის ისპაჰანიდან დაბრუნების შესახებ. ეს თავი შემდეგნაირადაა დასათაურებული: *„აქა ხელმწიფემ შაჰაბაზ ყაენმა, ესე ყოვლისა სამამაცო ზნით შემკობილი და სანახავად დიდად სატრფიალო მეფის შაჰნავაზის ძე, მეფე არჩილ გამოუშვა, მისცა ყოველი სახელმწიფო რიგი და სახელი დასდგა შაჰნავაზ ბან“*.¹⁸

ამ ომის დათარიღების საკითხს ნათელს ჰფენს ვახტანგ V შაჰნავაზის მიერ ხოსია ბარათაშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნი. საბუთი 1663 წლის 22 აპრილითაა დათარიღებული. მასში ვახტანგ V აღნიშნავს: *„ოდეს ბედნიერმა ყაენმან კახეთი ჩუენ გვიბოძა და კახთ დარბაისელთ თორღის ციხე გაგუმაგრეს და შეყრილნი ჩუენ იმის ასაღებლად მივედით და თქუენი განაყოფი თურაზაშვილი გიორგი ალავერდიდამე დაგვიბრუნდა და იმის თქუენი სამკვიდრო მამული ეჭირა თქუენ იმის წყალობას დაგუეაჯენით ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი შეგინყალეთ და გიბოძეთ ენაგეთს“*¹⁹ ტერტერაშვილი ოლუდა კუამლი ტერ ვართანა კუამლი ერთი“.²⁰

ამდენად, ზემოთ მოტანილი საბუთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერეკლე ბატონიშვილი კახეთის სამეფოს თავს უნდა დასხმოდა არა უგვიანეს 1663 წლის გაზაფხულისა.

ერეკლე ბატონიშვილი განცდილი მარცხის მიუხედავად ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებდა. ვახუშტი ბატონიშვილი საუბრობს თეიმურაზ I-ის შვილიშვილის კახეთის სამეფოზე მორიგი, მცირე მასშტაბიანი თავდასხმის შესახებ. ისტორიკოსი არჩილ მეფისა და გივი ამილახვარის ისპაჰანიდან დაბრუნების შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ: *„ამ ყამებთა (1664 წელს – ნ. ფ.) კუალად იწყო ერეკლემ კირთება კახეთისა. ხოლო ამისა მსმენელი შანაოზ მეფე შეკრებული სპითა მივიდა კახეთს და დადგა აწყუერს (ახმეტის რ-ნი – ნ. ფ.), მხილველი ერეკლე ივლტოდა თუშეთადვე“*.²¹

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობიდან ირკვევა, წინა ომისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონია ერეკლე ბატონიშვილის მიერ კახეთის სამეფოზე განხორციელებულ მცირე მასშტაბიან თავდასხმას. ეს სამხედრო ოპერაცია ერთის მხრივ დამარბეველ და მეორე მხრივ დაზვერვით ხასიათს ატარებდა და, ამდენად, ომში ვერ გადაიზრდებოდა. ერეკლე ბატონიშვილმა ქართლ-კახეთის გაერთიანებულ ლაშქართან შებმა და გადამწყვეტი ომის გამართვა ამჯერად ვერ გაბედა, მან გაქცევით უშველა თავს. ვახუშტი ბატონიშვილი ამ თავდასხმის თვისა და რიცხვს არ ასახელებს, მაგრამ ცხადია, რომ ისტორიკოსი მას არჩილ

¹⁸ ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, *შაჰნავაზიანი*, გვ. 162.

¹⁹ *ენაგეთი*, სოფელი ქვემო ქართლში.

²⁰ სცსსა, 1450-11/75, გვ. 80-81.

²¹ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 451.

II-ის ისპაჰანიდან დაბრუნების შემდეგ მოკლე ხანში მომხდარად მიიჩნევა. 1664 წლის იანვარში არჩილ II უკვე კახეთის მეფედ ჩანს²².

ამდენად, ჩვენი ვარაუდით, ერეკლე ბატონიშვილის მიერ კახეთის სამეფოზე განხორციელებული მცირე მასშტაბიანი დამარბეველ-დაზვერვითი თავდასხმა 1664 წლის გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო.

ვახუშტი ბატონიშვილი მომხდარი ფაქტის შემდეგ მართალია აღნიშნავს, რომ თეიმურაზ მეფის შვილიშვილი „დასცხრა კირთუბისაგან“²³, მაგრამ მომდევნო ხანებში განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში ერეკლემ მხოლოდ ტაქტიკურ ხერხს მიმართა. ბატონიშვილი გადამწყვეტი ომის გასამართავად არჩილ მეფესთან ხელსაყრელ მომენტს ელოდა. ვახუშტის გადმოცემით: „იხილა ესე შანაოზ და განუტევნა სპანი. ესე აცნობეს კახთა ერეკლეს და მოუწოდეს თავს დასხმად შაჰნაოზისად. ამისთვის ერეკლემ შეიკრიბნა თუშნი და წარმოსრულს მიერთუნენ კახნი, მომწვეველნი მისნი და დაესხნენ ბნელსა ღამესა შინა“.²⁴

ამ ომის შესახებ ცნობას იძლევა ფეშანგი ფაშვიბერტყაძეც, რომლის პოემაშიც გადმოცემულია ერეკლე დავითის ძის მიერ კახეთის სამეფოზე საგანგებოდ შერჩეულ დროს თავდასხმის ამბავი. ფეშანგისთან ვკითხულობთ:

*ლაშქარი ყველა გაუშვეს, სუბრად როგორმე დგებთან;
სჯობს ღამით თავსა დაესხათ, არა იქ არ ეგებთან.*²⁵

ვახტანგ და არჩილ მეფეების თანამედროვე პოეტის ცნობის სანდოობას ადასტურებს როგორც ფარსადან გორგიჯანიძისა და „პარიზის ქრონიკის“, ასევე ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოყვანილი მონათხრობი. ამ ისტორიკოსთა ერთსულოვანი მტკიცებით, ერეკლე ბატონიშვილის მიერ კახეთის სამეფოზე განხორციელებული თავდასხმისას არჩილ II-ისა და ვახტანგ V-ის მომხრეთა ერთი ნაწილი იძულებული გამხდარა ბრძოლის ველი მიეტოვებინა. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით: „ზოგნი გაიქცნენ და ზოგნი შაჰნაოზ მეფესა და მის შვილს ბატონს არჩილთან გათენებამდისინ იბრძოდეს.“²⁶ ამ მონათხრობს ავსებს „პარიზის ქრონიკის“ ცნობა, რომლის თანახმადაც: „გივი ამილახვარი და სხვა უფროსი ერთი გაიქცნენ“²⁷. რაც შეეხება ვახუშტი ბატონიშვილს, იგი ასახელებს როგორც გივი ამილახვარის გაქცევის მიზეზს, ასევე მასთან ერთად მყოფ ლტოლვილთა ვინაობასაც. მისი გადმოცემით: „მოვიდა ერეკლე თუშთ-კახთა და

²² სცსსა, 1448-2937; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი, 1991, გვ. 302-303.

²³ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 452.

²⁴ იქვე, გვ. 602

²⁵ ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, გვ.178 (სტრ. 1077).

²⁶ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 113.

²⁷ *ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა)*, გვ. 113.

დაესხა მეფესა ღამესა ბნელსა, არამედ შესცთენ მეფისა კარვისა დამსმენელნი და დაესხნენ ამილახორისასა. მაშინ გივი ივლტოდა შიდა ქართლით და განჰყვნენ საციციანონიცა და სულტანი ბაიდრისა“.²⁸ ამ ომში თავი უსახელებიათ; თამაზ თურქისტანიშვილს,²⁹ საბარათიანოს სპასპეტს ზაზა ციციცშვილს³⁰, მანუჩარ, ჯიმშიტა, ზურაბ და სულხან თუმანიშვილებს³¹ და სხვა მრავალ ღირსეულ ვაჟკაცს. ბრძოლა ვახტანგ და არჩილ მეფეების გამარჯვებით დასრულდა. ფარსადან გორგიჯანიძე და ვახუშტი ბატონიშვილი ერთხმად აღნიშნავენ გამარჯვებულთა მიერ დამარცხებული ერეკლე ბატონიშვილის მომხრეთა მოკვეთილი თავების ირანის შაჰისათვის გაგაზავნის ფაქტს.³²

ბრძოლის თარიღს ნათელს ჰყვენს ვახტანგ V-ის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული წყალობის სიგელი, ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთი დათარიღებულია 1664 წლით. მასში საუბარია მომხდარი ბრძოლის შესახებ: „მას ჟამსა ოდეს კახეთს, ჩუენს საბატონოში ვიყვენით, თუშეთიდამ კახის ბატონისშვილი მოვიდა და დიდის ჯარით ღამით თავს დაგვესხა. იმღამ ჩუენს წინ გაუყარად იყვენით და იომეთ, მანუჩარ დაიჭრა და ჯიმშიტა მოკლეს გაგვემარჯვა ზურაბ და სულხან ორთავ თუშის თავი მოგვართუა ამისად სამუქბოდ და საჯილდოთ“.³³

აღნიშნული ომის შესახებ ასევე საინტერესო ცნობას იძლევა მოსკოვის ცენტრალური საისტორიო არქივის ძველი აქტების ფონდში დაცული საბუთი, რომელიც 1666 წლით თარიღდება. დოკუმენტი წარმოადგენს რუსეთის საიმპერატორო კარის ელჩების, თ. წარბეკოვისა და ვინმე დიაკ უსაკოვის მიერ ირანიდან დაბრუნების შემდეგ „საელჩოში – პრიკაზში“ წარდგენილ ანგარიშის მუხლობრივ აღწერილობას. ეს მასალა 1982 წელს გამოაქვეყნა თ. ტივაძემ. საბუთში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნულია: „И шах велел сесть на правой стороне под ближними своими людьми тремя человеки на стулях. И как учело смеркатца, и в то время пронесли мимо шаховы полаты на копях человеческих голов со сто. А сказал нам, холопом твоим, магмендарь, будто де тифлиской

²⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 541-452.

²⁹ იქვე, გვ. 452; ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, გვ. 183 (სტრ. 115).

³⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 452; ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, გვ. 182 (სტრ. 1101).

³¹ ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, გვ. 114 (სტრ. 1112); ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955, გვ. 305-306; ხეც, Hd-1453.

³² ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 272-273; ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 452.

³³ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბილისი, 1955, გვ. 305-306; ხეც, Hd-14538.

*Шахнаваз хан побил грузинского царевича людей и тушинцов как они приходили на грузинскую землю. И те же головы послал для ведома к шаху“.*³⁴

გამარჯვება კვლავ არჩილ მეფეს დარჩა, „ხოლო ერეკლეს შესჭირდა მწირობა თუშეთს...“³⁵. ამ ომების შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ ბატონიშვილი დაარწმუნა, რომ რუსეთი მას არ დაეხმარებოდა, საკუთარი ძალებით კი მოწინააღმდეგეს ვერ დაამარცხებდა, ამიტომ იძულებული გახდა რუსეთში დაბრუნებაზე ეზრუნა. თ. ტივაძის ეს მოსაზრება სავსებით გასაზიარებელია. მისი თვალსაზრისით: „1665 წლის აპრილში მოსკოვში ჩავიდნენ ბატონიშვილის ელჩები, მიტროპოლიტი ეპიფანე და მღვდელი ვასილი, როგორც ჩანს ერეკლე დავითის ძე რუსეთში დაბრუნების ნებართვას ითხოვდა“.³⁶ სავარაუდოა, რომ ერეკლე დავითის ძესა და არჩილ მეფეს შორის მომხდარი ომის შესახებ რუსეთიდან წარგზავნილმა ელჩებმა, მილოსლავსკიმ და ნარბეკოვმა გვიან შეიტყვეს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერეკლე ბატონიშვილსა და ვახტანგ და არჩილ მეფეებს შორის ორი დიდი ომი და ერთი მცირემასშტაბიანი ბრძოლა გაიმართა: პირველი დიდი ომი 1663 წლის გაზაფხულზე ურიათუბანთან (.თელავის მახლობლად) მოხდა; მეორე მცირემასშტაბიანი დამარბეველი ლაშქრობა 1664 წლის ადრეულ გაზაფხულზე აწყურთან (სოფელი ახმეტის რაიონში) მოეწყო, ხოლო მესამე დიდი ომი 1664 წლის შემოდგომით კახეთში, აწყურთანვე უნდა გამართულიყო.

ქართლისა და კახეთის მეფეებთან ერეკლე ბატონიშვილი პაპისეული ტახტის დაკავებლად წარმოებულ ომში დამარცხდა. იგი იძულებული გახდა კვლავ რუსეთში დაბრუნებულიყო. რაც შეეხება არჩილს, მან არც თუ მცირე ხანს კახეთში იმეფა. ქართლში შაჰნავაზ V-ის (1658-1675), კახეთში კი მისი ძის, არჩილის (1664-1676) მეფობამ შესაძლებელი გახადა აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტობრივი გაერთიანება, რაც უთუოდ დადებითი მოვლენა იყო იმ დროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

³⁴ თ. ტივაძე, *მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის XVII საუკუნის მეორე ნახევარში*, საისტორიო მოამბე, № 45-46, 1982, გვ. 50-51; მისივე, *საქართველოს და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში*, თბილისი, 1977, გვ. 109.

³⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 603.

³⁶ თ. ტივაძე, *საქართველოს და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში*, გვ. 110.

Natia Psuturi

**FROM THE HISTORY OF INTERIOR POLICY OF EASTERN GEORGIA
IN THE SECONED HALF OF THE 17TH CENTURY**

SUMMARY

Among the historical facts representing the interior political situation of the Kingdom of Kakheti in the second half of the 7th century one of the most important are the dynasic wars.

The paper discusses the dating of the wars which took place between Prince Erekle, the son of the King of Kakheti, Teimuraz I and Archil Bagrationi (representative of the Mukhranbatoni branch, the eldest son of King Vakhtang V).

According to narrative and documentary sources it may be assumed that two battles and one small clash took place between these two opposing sides: a major war took place in the spring of 1663 at *Uriatubani* (near the town of Telavi); a small clash occurred early in the spring of 1664 at *Atsq'uri* (near Akhmeta) and a major battle in the autumn of 1664 again at *Atsq'uri*.

Kings Vakhtang and Archil won. This victory helped the actual unification of the kingdoms of Kartli and Kakheti.

გულიკო მჭედლიძე

ქვათახევის მონასტრის ისტორიიდან

XIX საუკუნის ქართული ისტორიული მასალების მიხედვით

ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი აგებულია XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე და თამარის ეპოქას განეკუთვნება. შიდა ქართლში, მდინარე კავთურას ხეობაში მდებარე ქვათახევის მონასტერი სამართლიანად ითვლება ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ შესანიშნავ და ულამაზეს ძეგლად.

ქვათახევის მონასტრის შესახებ არსებული ნარატიული და ეპიგრაფიკული მასალები მცირერიცხოვანია. არაფერი ვიცით როდის და ვის მიერ იქნა აგებული ეს მშვენიერი ტაძარი. საამშენებლო წარწერა შემორჩენილი არ არის. ძეგლის დათარიღების საფუძველი მისი არქიტექტურული ანალიზია. რაც შეეხება ქვათახევის მონასტრის ისტორიას, მის შესახებ მსჯელობა ძირითადად ქართული ისტორიული დოკუმენტების მეშვეობით გვიხდება.

ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი თამარის ეპოქაში, 1184-1210 წლებში უნდა აეგოთ. ლაშა-გიორგის მეფობისას ქვათახევი უკვე მოქმედი მონასტერია. ქვათახევი საკმაოდ მდიდარი და ძლიერი მონასტერია XV-XVI საუკუნეებშიც. XVIII საუკუნეში ყიზილბაშობამ და ოსმალობამ, ლეკთა გაუთავებელმა თარეშმა და შინაფეოდალურმა ომებმა მონასტრის ძველი ძლიერება დასცა. ამ პერიოდში მონასტერი ციხე-სიმაგრედ არის ქცეული. XVIII საუკუნის ერთი დოკუმენტის თანახმად, ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ათანასე თარხნიშვილი „*ებრძოლა ძლიერად ლეკთა ჯარს*“. ამ პერიოდში მონასტერს ძალიან გაუჭირდა, გახშირდა შემწირველის მიერ შეწირული მამულების უკან გამოწირვა. მონასტრის წინამძღვრები სასამართლოს მეშვეობით ცდილობენ დაკარგული ყმა-მამულის დაბრუნებას. XVIII საუკუნის ქვათახევის მონასტრის შესახებ არსებული დოკუმენტების დიდი ნაწილი სწორედ ამიტომ საჩივრის წიგნებს წარმოადგენს. მსგავსი ვითარებაა XIX საუკუნეშიც.

XVIII საუკუნის მიწურულის ერთ საინტერესო ისტორიულ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ქვათახევი სამეფო მონასტერია და სამეფო ხელისუფლება ზრუნავს მასზე. ეს არის 1797 წლის 4 თებერვალს ერეკლე მეფის მიერ გაცემული

ბრძანება ნაფარეულში მცხოვრები ქვათახევის ყმებისადმი¹. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1600 წლის ახლო ხანებში, როდესაც ოსმალებმა ქვეყანა დაიპყრეს, სოფელ ქვათახევიდან, როგორც ჩანს, ქვათახევის მონასტრის ყმები, სულ 214 სული ნაფარეულს, კავთისხევს, კურდღელაურს, თბილისს, ბებნისსა და რუისში გადაასახლეს.² როგორც ირკვევა, სხვადასხვა ადგილებში გადასახლებულებს ქვათახევის მონასტრის სამსახური კვლავინდებურად ევალეობოდათ, როგორც ქვათახევის მონასტრის ყმებს. ასე რომ, ნაფარეულში ქვათახევის მონასტრის ყმებს თითქმის ორი საუკუნე უცხოვრიათ და ძველებურად ევალეობოდათ მონასტრის სამსახური. ერეკლე მეფე მათ ისევ ქვათახევის მონასტრის სამსახურს აკისრებდა. ქვათახევი სამეფო მონასტერს რომ არ ყოფილიყო მეფეს არ ექნებოდა უფლება მათთვის მონასტრის სამსახური ებრძანებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში განკარგულებას კათალიკოს-პატრიარქი ან მონასტრის პატრონი ის თავადი გასცემდა, რომლის მფლობელობაშიც იქნებოდა აღნიშნული მონასტერი. ამ დოკუმენტით და კიდევ სხვა საბუთებითაც აშკარად ჩანს, რომ ქვათახევი კვლავინდებურად სამეფო მონასტერია.³ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერეკლე მეფის დაკრძალვის ცერემონიაზე ქვათახევის არქიმანდრიტი შუამთის არქიმანდრიტის წინ, კათალიკოსის მარჯვნივ და მიტროპოლიტის გვერდით იდგა, როგორც ღირსებით და პატივით მღვდელმთავრებში გამორჩეული⁴.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქვათახევი სამონასტრო ცხოვრება შეიცვალა. იგი სამეფო მონასტერი აღარ არის. 1801 წელს რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის მიზნით ინტენსიურად შეუდგა რუსული კოლონიური პოლიტიკის გატარებას. რუსეთის მიერ საეკლესიო მმართველობაში გატარებული ცვლილებები რუსიფიკატორული კოლონიური პოლიტიკის ნაწილი იყო. მათ ქართული ეკლესია-მონასტრები შეავიწროვეს და ბევრიც დახურეს, საეკლესიო ქონება აღწერეს, ხოლო მისი დიდი ნაწილი მიითვისეს. ქართულ ეკლესია-მონასტრებს, ეროვნული კულტურის ამ კერებს, დიდი საფრთხე დაემუქრათ. ქვათახევი XIX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ მდიდარ სამონასტრო კორპორაციას წარმოადგენდა, ბევრ ყმა-მამულს ფლობდა და რუსებმა თავიდანვე ვერ შესძლეს მისი დახურვა. ეს იყო დიდი ტრადიციების მონასტერი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და სამნიგნობრო ცენტრი, სადაც არაერთი ცნობილი ქართული სწავლული და მნიგნობარი მოღვაწეობდა. საყოველთაოდ იყო ცნობილი ქვათახევის ბიბლიოთეკა და მონასტერში არსებული კალიგრაფიული სკოლა.

¹ ხეც, Ad-3008.

² Д. Бакрадзе, *Кавказ В древних памятниках христианства*, Тбилиси, 1875, с. 71-78.

³ გ. მჭედლიძე, *ქართული ისტორიული დოკუმენტები ქვათახევის მონასტრის შესახებ*, მრავალთავი, XXI, 2005, გვ. 356-363.

⁴ ხეც, S-105.

ახლა კი გავეცნოთ XIX საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებს ქვათახევის მონასტრის შესახებ.

საინტერესოა 1801 წლის 24 აპრილით დათარიღებული ერთი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ქვათახევის მონასტრის ყმად თავშენიერვის წიგნს⁵. სვიმონ ხოლუაშვილი, რომელიც თავისუფალი გლეხი იყო, საკუთარი ნებით გახდა ქვათახევის მონასტრის ყმა. საზოგადოდ, საეკლესიო გლეხების (მათში შედიოდა სამონასტრო გლეხებიც) კატეგორიაში ყოფნა უფრო პრესტიჟული იყო, ვიდრე საბატონო და სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში, რადგან მათ მარტო ეკლესია-მონასტრების სამსახური ევალებოდათ და ფაქტობრივად განთავისუფლებულნი იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან. ჩვენამდე მოაღწია სვიმონ ხოლუაშვილის კიდევ ერთმა საბუთმა. ეს არის 1807 წელს სვიმონ ხოლუაშვილის მიერ დანერილი პირობის წიგნი ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტ დოსითეოსისადმი ვალის ვადაში გადახდის შესახებ⁶. სვიმონ ხოლუაშვილს ვალი აუღია ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტ დოსითეოსისგან, რომელსაც პირობას აძლევს, რომ აუცილებლად გადაიხდის ვალს ვადის გასვლისთანავე.

დოსითეოს ფიცხელაური არქიმანდრიტ ათანასე თარხნიშვილის შემდეგ გახდა ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი. იგი თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი მწიგნობარი და გადამწერი იყო. დოსითეოს ფიცხელაურის (1774-1830) საერო სახელი იყო დიმიტრი. მამამისი არჯევანი ქსნის ერისთავის აზნაური იყო, რომელიც 1794 წ. გარდაიცვალა, დედამისი – მარინე მაღალაშვილი.

დიმიტრი 1791 წელს ალიკვეცა ბერად და იწოდა დოსითეოსად. 1801 წელს იგი დაინიშნა ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტად, სადაც ფრიად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. არქიმანდრიტმა დოსითეოსმა აღადგინა ლეკთაგან დარბეული და განადგურებული ქვათახევის მონასტერი, ააღორძინა იქ საგანმანათლებლო მუშაობა. ქვათახევი ისევ კულტურისა და განათლების კერად იქცა. არქიმანდრიტ დოსითეოს ფიცხელაურს უთარგმნია რუსულიდან „სვინაქსარი ოთხშაბათსა განზოგებისასა“, ხოლო რუსულად „ი. გედევანიშვილის ანდერძი“. ი. ბაგრატიონის დახასიათებით იგი იყო: „წერილთა შინა გამოცდილი და უბნობათა შინა რიტორი“⁷.

1810 წელს რუსეთის საიმპერატორო კარმა გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გაიწვია. არქიმანდრიტი დოსითეოს ფიცხელაური თან გაყვა ანტონ კათალიკოსს პეტერბურგში. შემდეგ კათალიკოსი საცხოვრებლად გადაიყვანეს ნიჟნი-ნოვგოროდში, ხოლო დოსითეოს ფიცხელაური პეტერბურგში დატოვეს ქართული ენის მასწავლებლად და დაუნიშნეს 2000 მანეთი პენსია. მალე პირველ ეგზარხოსად დანიშნეს

⁵ ხეც, Ad-201.

⁶ ხეც, Ad-205.

⁷ ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. I, ნაკ. I, გვ. 240.

ვარლამ ქსნის ერისთავი, რომელსაც თან გამოჰყვა არქიმანდრიტი დოსითეოს ფიცხელაური. მალე იგი დანიშნეს გორის ქორეპისკოპოსად და დაავალეს საეკლესიო მმართველობის ახალი წესების შემუშავება.

1814 წელს დაარსდა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომლის წევრიც იყო დოსითეოს ფიცხელაური. ამავე დროს იგი დაინიშნა ოსეთის მართლმადიდებლობის აღმდგენელი კომისიის ხელმძღვანელად. დოსითეოსმა ათასობით ოსი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. მისი აქტიურობა შეუმჩნეველი არ დარჩა რუსეთის საიმპერატორო კარზე, სადაც ჩათვალეს, რომ ქართველებს ოსეთის (ვლადიკავკაზის მხარე, დღევანდელი ჩრდილო ოსეთი) საქართველოს სახელმწიფო შემადგენლობაში შემოყვანა სურდათ და ქართველი მისიონერები რუსებით შეცვალეს. ხოლო დოსითეოსი რუსეთში, მოსკოვში გაიწვიეს. მართალია, რუსეთის საიმპერატორო კარმა დოსითეოს ფიცხელაური დააჯილდოვა ძვირფასი პანაგეით, 1000 მანეთი (ქალაქის ფული) და 500 მანეთი ვერცხლით, მაგრამ მას სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცეს. დოსითეოსი გარდაიცვალა 1730 წელს, დასაფლავებულია წმინდა დარიას მონასტერში⁸.

ჩვენამდე მოღწეულია დოსითეოს ფიცხელაურის მიერ გაცემული რამდენიმე ისტორიული საბუთი, რომელიც მან გასცა ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტობის დროს. მაგალითად, 1809 წლის 21 აგვისტოს არქიმანდრიტმა დოსითეოსმა მამული უწყალობა გიორგი და დავით კოტეტიშვილებს⁹. საინტერესო ცნობებს შეიცავს 1810 წლის საბუთი, რომელშიც კათალიკოსი ანტონი ჩამოთვლის თუ რა წვლილი დასდო დოსითეოს ფიცხელაურმა ლეკთაგან აოხრებული ქვათახევის მონასტერს¹⁰, თუ როგორ აღადგინა და განაახლა ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი და რა დიდი მუშაობა გასწია, რათა ქვათახევეში აღორძინებულიყო სამონასტრო ცხოვრება და ლიტერატურული საქმიანობა. არქიმანდრიტი დოსითეოს ფიცხელაური, როგორც უკვე ითქვა, თან გაჰყვა რუსეთში 1810 წელს ანტონ II კათალიკოსს.

რუსებმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობისთანავე ქვათახევეში დაიწყეს საეკლესიო და სამონასტრო ქონების აღწერა. 1815 წელს სინოდალური კანტორის წევრი ათანასე დაინიშნა ქვათახევისა და შიომღვიმის მონასტრების მმართველად და დაევალა სამონასტრო ქონების აღწერა¹¹.

1815 წლის ბრძანებით, ქვათახევის ახლად დანიშნული წინამძღვარს, ათანასეს ფული გამოუყვეს¹². სულ მალე, 1817 წელს ათანასეს ქვათახევის მონასტერი

⁸ მ. ბერძნიშვილი, *მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის*, თბილისი, 1980, გვ. 217-220.

⁹ ხეც, Ad-1541.

¹⁰ ხეც, Ad-2572.

¹¹ სცსსა, ფ. 488-29.

¹² სცსსა, ფ. 489-61875.

ჩამოართვეს და მის წინამძღვრად დაამტკიცეს ანტონი¹³, რომელიც მალე გარდაიცვალა. 1818 წელს წინამძღვრად ისევ ათანასე აღადგინეს, მაგრამ ისევ მალე გაათავისუფლეს და ქვათახევის არქიმანდრიტად დანიშნეს ნათლისმცემლის არქიმანდრიტი ირინიოსი¹⁴. XIX საუკუნის დამდეგს ქვათახევის მონასტერში მოღვაწე ქართველ სწავლულთაგან გამოირჩეოდა ცნობილი მწიგნობარი იოანე ხელაშვილი.

1820 წელს რუსებმა ქვათახევის მონასტერი დახურეს და მონასტრის ინვენტარი თბილისში, ახლად დაარსებული ნათლისმცემლის მონასტერში გადაიტანეს. მანამდე, 1817 წელს მათ თბილისში მცხოვრებ საეკლესიო ყმათა სია შეადგინეს, რომლის 11-12-ე ფურცლებზე ჩამოწერილია ქვათახევის მონასტრის ყმების ნუსხა¹⁵. ქვათახევი უმოქმედო და მიტოვებული მონასტერი გახდა. სამონასტრო ცხოვრება ამ მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო კერაში ჩაკვდა. საბედნიეროდ, ეს იყო დროებით. 1845-1855 წლებში გიორგი XII-ის ასულის სოფიოს შვილმა, ივანე ლუარსაბის ძე თარხან-მოურავმა, თავისი საფასით განაახლა და შეაკეთა ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი ისე, რომ ტაძარს შეუნარჩუნეს თავდაპირველი პროპორციები და ზომები. ქვათახევის მონასტერში ისევ აღორძინდა ცხოვრება და მისი არქიმანდრიტი გახდა ცნობილი მწიგნობარი, კალიგრაფი და სასულიერო მოღვაწე ტარასი ალექსი-მესხიშვილი (1793-1874). მისი მამა სოლომონი – ანჩისხატის დეკანოზი, კალიგრაფი და მწიგნობარი იყო. ტარასი 15 წლისა აღიკვეცა ბერად. 1817 წელს იგი რუსეთში გაყვა საქართველოს პირველ ეგზარხოსს ვარლამს, რომელიც უკან გაიწვიეს რუსებმა. 1826-1830 წლებში იყო თეიმურაზ ბატონიშვილის კარის ეკლესიის მოძღვარი. 1820 წელს ტარასი ათონზე ქართული ბიბლიის გადმოსანერად უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ თურქეთში მომხდარი არეულობის გამო, ეს მისია ვერ განხორციელდა. 1830 წელს იგი თბილისში დაბრუნდა. ტარასი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის საბაბით დააპატიმრეს. იგი ჩათვალეს იმ კატეგორიის დამნაშავედ, რომელმაც იცოდა შეთქმულების მზადების ამბავი, მაგრამ არ მონაწილეობდა შეთქმულებაში, ამიტომ დატოვეს სამშობლოში მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. ტარასი 1854 წლიდან ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტია. მან ბევრი იღვანა ქვათახევის მონასტრის კეთილმოწყობისათვის და ისევ აღორძინა ეს დიდი სამწიგნობრო კერა, განაახლა მონასტრის შინაგანი მორთულობა, ააგო ახალი სენაკები ბერებისათვის, სასამართლოს მემწევობით დაუბრუნა ქვათახევის მონასტერს დაკარგული ყმა-მამული. მისი მსგავსი ენერგიული და აქტიური წინამძღვარი მონასტერს არ ჰყოლია.

¹³ სცსსა, ფ. 489-726.

¹⁴ სცსსა, ფ. 489-1122.

¹⁵ სცსსა, ფ. 488-127.

ქვათახევის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში ჩრდილო კედელთან არის ასეთი წარწერა¹⁶:

**მოიხსენე, უფალო, მონა შენი, არქიმანდრიტი ტარასი, ამან და-
უცხრომელმან მშრომელმან მალლითა მონაზონობითა, მოღვაწეო-
ბითა, მკაცრითა ზნეობითა და კრძალულებითა განვლო მონაზნო-
ბასა შინა 66 წელი, განისვენა 1874 წელს, მაისის 2-ს შობათაგან 81
წლისა. დიდმშვენიერი განახლება ქვათახევის მონასტრისა, შინაგანი
მორთულობა მისი და სიმრავლე გარშემო მისისა ახალთა შენობათა,
არს ნაყოფი ტარასის წინამძღვრობასა მის მონასტერსა შინა.**

მის საფლავს ამკობს შემდეგი შინაარსის ეპიტაფია:

**ლოდი ესე ფარავს მტვერსა არხიმანდრიტის ტარასისა, რომელი გარ-
დაიცვალა ჩყოდს წელს, მაისის 2-სა, დღესა, მქონე შობითაგან 3ა (81)
წლისა.**

ლ. მენაბდე ქვათახევის არქიმანდრიტის ტარასი ალექსი-მესხიშვილის შეს-
ახებ წერდა: „ტარასი ფრიად ნაყოფიერი შემოქმედი ყოფილა. მას დაუწერია
ორიგინალური შრომები, უთარგმნია არაერთი თხზულება, გადაუწერია მრავალი
ძეგლი.“

ტ. მესხიშვილმა თარგმნა: „წესი თანამდებობათათვის სამრევლოთა
მღუდელთასა“, ეფრემ ასურის „წერილი სულიერ-ყოფაქცევითი“, სახარებიდან
„ნეტარებათა“ განმარტება, ახალი აღთქმის გეოგრაფიული ლექსიკონი, ვრცელი
კატეხიზმო, იოანე ოქროპირის „სიტყუა მღუდელობისათვის“ და სხვა¹⁷.

არქიმანდრიტი ტარასი, არამარტო თარგმნიდა, არამედ წერდა კიდევ ორიგ-
ინალურ შრომებს. მაგალითად, 1864 წელს გამოაქვეყნა „მოკლე აღწერა საქა-
რთველოს მონასტერთა“ და ორიგინალური თხზულება „ქუჭყინიერი სამოთხე“. 1825
წელს მან დაბეჭდა: „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა“. ამავე
დროს ნაყოფიერად მუშაობდა ქართული ხელნაწერების გამრავლებაზე.

უნდა ითქვას, რომ არქიმანდრიტი ტარასი, არამარტო კარგი სწავლული
და სასულიერო მოღვაწე, არამედ კარგი ორგანიზატორი იყო. მან იზრუნა გა-
ნახლებულ ქვათახევის მონასტერში 1855 წელს ბიბლიოთეკის (ნიგნთსაცავის)
შექმნაზე.

ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკისათვის არქიმანდრიტ ტარასისათვის
ნიგნები გაუგზავნია იოანე თარხან-მოურავს, ნაწილი თავისი ნიგნები მიუმატე-
ბია, ზოგიც შეწირული ყოფილა მონასტრისთვის, ზოგიც იქ გადაწერილი. მან ეს
ნიგნები (სულ 189 ნიგნი) თახჩებზე დაალაგებინა, მცველად კი მიუჩინა იერო-

¹⁶ მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოებრიო-
ბის ისტორიისათვის, თბილისი, 1980, გვ. 119-121.

¹⁷ ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტომი I, ნაკვეთი I, თბილისი,
1962, გვ. 240.

მონახი გაიოზი, რომელიც განაგებდა ამ ნიგნოსაცავს. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ხელნაწერი Q-1438, სათაურით – „ქუათახევის მონასტრის ბიბლიოთეკა.“ მასში ჩამოთვლილია ის ნიგნები, რომლებიც ინახებოდა ამ ნიგნოსაცავში. ნუსხას აქვს ტარასი არქიმანდრიტის მინაწერი თავფურცელზე: „აქა აღწერილნი წერილნი რომელნიმე ჩემი საკუთარნი, სიყრმითგან მოგებულნი, რომელნიმე ჩემი სამშობლოს სახლისაგან გამოტანილნი, რომელნიმე ჩემი ხორციელის ძმათაგან მოსხმულნი და სხუანიცა. თავად იოანე თარხანოვისაგან ჩემდა წარმოგზავნილი პეტერბურგიდამ, დავხსნა აქა, ჩემსა ნაღვანსა ნიგნსა საცავსა შინა სახმარად ეკლესიისა და საკითხავად აქ მკვიდრთა მონაზონთა და ძმათათვის, რომელთაცა ენებოს წარკითხვა, რომელსამე წერილსა მოსთხოვდეს იგი მცველსა ამას ბიბლიოტიკისასა, მიიღებდეს სენაკსა შინა თვისისას, იხმარებდეს სიფრთხილითა და განურყვენელად და შემდგომად წარკითხვისა, იკითხვიდეს ყურადღებით და გულისხმითა ვინმემ იკადროს ამ მონასტრისაგან ერთი გატანა რომელსამე ნიგნისა, სოფლად თხოვება, ანუ ჩუქება ვისადმე უნებურად წინამძღვრისა, სიტყვისმგებელი იყოს იგი წინაშე საშინელთა ცოდვათა ჩემთა ნილ, ვინაითგან ქართველთა თვისებად სჭირდეთ, ითხოვონ და აღარ მისცემენ პატრონს, რომელსა შინა გამოცდილ ვარ მე, ვისაც ვათხოვე ჩემი საკუთარი ნიგნი წასაკითხავად, შეითვისა და აღარ დამიბრუნა.“¹⁸

ამ ბიბლიოთეკაში ტარასი არქიმანდრიტის კუთვნილი ყოფილა 74 ნიგნი, 24 ნიგნი ეკლესიის სახმარად ყოფილა გათვალისწინებული, 7 ნიგნი შეუწირავთ მონასტრისთვის, ხოლო იოანე თარხან-მოურავს, რომელმაც ისედაც დიდი ამაგი დასდო მონასტერს (მისი სახსრებით განახლდა მონასტერში ცხოვრება), 84 ნიგნი შეუმატებია. ასე რომ, ქვათახევის ბიბლიოთეკაში სულ 189 ნიგნი ყოფილა თავმოყრილი. ამდენად, ხელნაწერი Q-1438 საინტერესო ცნობებს შეიცავს XIX საუკუნის ქვათახევის მონასტრის ისტორიისათვის, ასევე მნიშვნელოვანია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ტარასი ალექსი-მესხიშვილის წერილები,¹⁹ სადაც სულ 67 წერილია თავმოყრილი; მათგან ორი რუსულ ენაზე დანერგილი, დანარჩენი – ქართულ ენაზე. ამ წერილებიდან ჩანს ტარასი ალექსი-მესხიშვილის ადამიანური, თბილი ბუნება და გულისხმიერება მოყვასისადმი. წერილები 1828 წლიდან 1874 წლამდე პერიოდს მოიცავს. იგი წერილებს უგზავნის იოანე თარხნიშვილს, ილუმენ ფილასტეს და სხვებს. წერილებს ასრულებს შემდეგნაირად: „უღირსი შენი ტარასი“, „თქვენი მსახური“, „შენი საკუთარი ორესტე“ და სხვა.

სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად, არქიმანდრიტი ტარასი ენერგიულად უძღვებოდა მონასტრის სამეურნეო საქმიანობას და იბრძოდა მონასტრის დაკარგული მამულების დასაბრუნებლად. ტარასი არქიმანდრიტის დაწერილმა

¹⁸ ხეც, Q-1438.

¹⁹ ხეც, Q-2399.

არაერთმა ისტორიულმა დოკუმენტმა მოაღწია ჩვენამდე, სადაც აღწერილია მისი საქმიანობა მონასტრის მეურნეობის გაძლიერების მიზნით. მაგალითად, 1856 წლის 13 ოქტომბერს ტარასი არქიმანდრიტმა წერილი გაუგზავნა გიორგი და სხვა ნიკლაურებს სახნავად მიწების გაკაფვის შესახებ²⁰. ნიკლაურები ქვათახევის მონასტრის ყმები იყვნენ, რომლებსაც მიწების გაკაფვის გზით უნდა გაეზარდათ ქვათახევის მონასტრის კუთვნილი სახნავი მიწების ფონდი. გიორგი ნიკლაური მონასტრის მოსაქმე კაცი ან მონასტრის სამეურნეო საქმიანობის გამგებელი უნდა ყოფილიყო. 1862 წელს ტარასი არქიმანდრიტმა ასევე წერილი გაუგზავნა წინალა და გიორგი ნიკლაურებს და დაავალა, გაგილაშვილები სოფელ საკუთხვისში არ შეეშვათ,²¹ ხოლო 1864 წელს წერილი გაუგზავნა წინალა ნიკლაურს და დაავალა თავისთან დაეყენებინა ჩოხელი²².

XIX საუკუნის ქვათახევის მონასტრის საბუთებში (რომელთა დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია) ხშირად გვხვდება ტარასი არქიმანდრიტის მიწერილობები, ხელწერილები, თხოვნები „ოკრუგის სუდისადმი“ სამამულე დავის თაობაზე და სხვა. მაგალითად, მიწერილობა ტარასი არქიმანდრიტისა წინალა ნიკლაურისადმი ათი კომლი კაცისათვის საკურთხისა და მახტის თანაბრად განაწილების შესახებ,²³ ხელწერილი ფულის გაცემის შესახებ, 1872 წელს მიცემული კონსტანტინე იუროლი კაშპაროვის მიერ ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტ ტარასისადმი.²⁴ ყველაზე ადრეული საბუთი, სადაც ტარასი აღექსი-მესხიშვილის სახელი გვხვდება, თარიღდება 1854 წლის 1 იანვრით. მასში ტარასი იერომონახად იწოდება, 1855 წლიდან იგი უკვე მონასტრის არქიმანდრიტია. ეს არის პირობის წიგნი მიწის სანაშენოდ გაცემის შესახებ მიცემული ქვათახევის იერომონახ ტარასის მიერ ივანე ხოხონაშვილისადმი.²⁵ ასევე არის თხოვნები გაგზავნილი ტარასი არქიმანდრიტის სახელზე. მაგალითად, თხოვნა ბოტისის (სოფელი შიდა ქართლში) მცხოვრებლებისა ქვათახევის არქიმანდრიტისადმი იჯარით მათი გაუცემლობის შესახებ. როგორც ჩანს, ქვათახევის მონასტრის კუთვნილ სოფლებს და ყმა-მამიულს არქიმანდრიტი იჯარით გასცემდა. ამ სოფლის მოსახლეობის თხოვნა ტარასი არქიმანდრიტმა დააკმაყოფილა და აღარ გასცა იჯარით.

ტარასი არქიმანდრიტი აქტიურად მონაწილეობდა საუკუნეების მანძილზე მიმდინარე იმ სამამულე დავაში, რომელიც წარმოებდა ქვათახევის მონასტერსა და მაღალაძეებს შორის. სამამულე დავა XV საუკუნეში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ქვათახევის მონასტერს ახალი მეზობლები გამოუჩნდნენ მაღალაძეების სახით, რომლებიც გადაშენებულ ივანისძეთა ნაოხარ მამულებზე დასახლდნენ

²⁰ ხეც, Ad-2147.

²¹ ხეც, Ad-2150.

²² ხეც, Ad-2178.

²³ ხეც, Ad-2149.

²⁴ ხეც, Ad-2170.

²⁵ ხეც, Ad-2145.

და მონასტრის კუთვნილ მამულებზედაც გაიწვინეს ხელი. მათ დავა ჰქონდათ სასაფლაოზე, ბოსტან-ნალკოტზე და სენაკებზე. 1663 წელს ნაწილობრივ მაღალაძეების სასარგებლოდ ეს სამამულე დავა გადაწყვიტა იოსებ თბილელმა²⁶. დავა შემდგომაც გაგრძელდა, 1871 წელს ტარასი წინამძღვარს „ოკრუგის გამომძიებლისათვის“ წარუდგენია სია და მოწმეთა ჩვენებანი მაღალაძეთა სამამულე დავაზე²⁷. ამას მოჰყვა თხოვნა ქვათახევის მონასტრის წინამძღვარ ტარასისა „ოკრუგის“ სუდისადმი მიხილ მაღალაძესთან მონასტრის დავის შესახებ²⁸. შემდეგ როგორც ჩანს, მაღალაძეებმა მოახერხეს მონასტრის დაკავება. ამის საპასუხოდ ტარასი არქიმანდრიტს კიდევ ერთი თხოვნა გაუგზავნია „ოკრუგის სუდისადმი“ მაღალაძეების მიერ უსამართლოდ დაკავებული მონასტრის გათავისუფლების თაობაზე²⁹. როგორც ჩანს, ეს სამამულე დავა ქვათახევის მონასტრის გამარჯვებით დამთავრდა, რადგან ამის შემდგომაც ქვათახევი კვლავ მოქმედი მონასტერია და ტარასი არქიმანდრიტის წყალობით ისევ მნიშვნელოვან კულტურის კერას წარმოადგენს. 1863 წელს ტარასი არქიმანდრიტის ინიციატივით შეაკეთეს ქვათახევის მონასტერი³⁰.

ასე რომ, არქიმანდრიტი ტარასი ალექსი-მესხიშვილი თავისი დროის მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. მან დიდი განსწავლულობითა და აქტიური მოღვაწეობით, მართლაც, ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ქვათახევის ღმრთისმშობლის მონასტერს, რომელიც დღესაც მოქმედია და არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე ჩუქურთმების მოტივებითა და შესრულების მაღალი ტექნიკით. ეს ტაძარი ჭეშმარიტად შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების „გუმბათიანი, შუენიერნაშენი“ ძეგლია.

²⁶ ხეც, Qd-8938.

²⁷ ხეც, Ad-1871.

²⁸ ხეც, Ad-2140.

²⁹ ხეც, Ad-2139.

³⁰ სცსსა, ფ. 488-70 49.

Guliko Mchedlidze

ON THE HISTORY OF THE KVATAKHEVI MONASTERY

(19TH CENTURY GEORGIAN HISTORICAL DOCUMENTS AND
OTHER MATERIALS ON THE MONASTERY)

SUMMARY

The Kvatakhevi monastic complex was built in Queen Tamar's epoch, at the turn of the 12th-13th centuries. It is situated in the Kavtura Valley, Shida (Inner) Kartli. The principal church of this complex of the Holy Virgin is correctly considered one of the most remarkable and brilliant monuments of Georgian architecture.

On the basis of historical documents, narrative evidence and epigraphic data, the present author has ascertained that Kvatakhevi was from the beginning a royal monastery.

In 1801 the Kingdom of Kartli-Kakheti was annexed by the Russian Empire, whose policy of colonization affected Georgian churches and monasteries as well. In 1801-1810, Dosiltheos Piskhelauri, a well-known calligrapher and man of letters of his time, was archimandrite of the Kvatakhevi monastery. During his abbacy, monastic life revived and the monastery turned into a powerful cultural and enlightenment seat.

In 1820 the Kvatakhevi monastery was closed down, but thanks to Ioane Tarkhan-Mouravi, it was repaired and monastic life revived. The monastery was especially prestigious under the well-known Georgian scholar and ecclesiastic, Archimandrite Taras Aleksaishvili (1797-1874), who ruled the Monastery in 1854-1874. He built new buildings and facilities in the monastic complex, embellished the interior of the church, and founded a library of the monastery. Historical documents show that he was actively and energetically engaged in the economic life of the monastery, and sought to regain, in legal form, the lost estates. Due to Archimandrite Taras, the Kvatakhevi monastery was a significant cultural centre in Shida Kartli. It has been functioning to the present day.

მანია კარანაძე

X საუკუნის კიდევ ერთი ხელნაწერის ყდა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან

ყდის ისტორიის კვლევა გულისხმობს არა წიგნთან დაკავშირებული ერთი ელემენტის დამოუკიდებელი განვითარების შესწავლას, არამედ ზოგადად სამწიგნობრო ტრადიციის ერთიანი კულტურულ-ისტორიული პროცესის რეკონსტრუქციას, რაც თვალნათლივ დაგვანახა კიდევ ამ პრობლემაზე მუშაობის ათწლიანმა გამოცდილებამ. ჩვენ მიერ უკვე შედგენილი ყდების კატალოგისა და მათი მონოგრაფიული გამოკვლევის¹ პირველ ეტაპზე გაირკვა, რომ ტყავის დამუშავება, წიგნის აკინძვა თუ ორნამენტული ტვიფრა (მხატვრულად გაფორმება) დამოკიდებულია არა მხოლოდ გარკვეულ ტექნოლოგიურ პროცესებზე, არამედ წიგნის დამკვეთთა და მმართველთა კულტურულ-ისტორიულ გარემოსა და განსწავლულობაზე.

სამწუხაროდ, IX-X საუკუნეებში გადანერილ ხელნაწერებს, მათი ხშირი გამოყენების გამო, არ შემორჩათ თავდაპირველი ყდები, რაზედაც მათზე დართული ანდერძ-მინაწერებიც მეტყველებენ. ამის გამოა, რომ ადრეული პერიოდის წიგნის ყდების შესახებ არსებული მასალა მეტად მწირია. ამ ფაქტს ადგილი აქვს არა მხოლოდ ჩვენს სინამდვილეში, არამედ ზოგადად ადრეული პერიოდის ხელნაწერი წიგნის, კერძოდ კი ბიზანტიური ყდების შესწავლისასაც. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ ყოველი ახლად გამოვლენილი ყდა ან თუნდაც მისი ფრაგმენტი, როგორც ყდის ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი საბუთი.

ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიქცია სინის მთაზე ახლად აღმოჩენილი ქართული კოლექციის ერთ-ერთი ხელნაწერის ყდამ (N/Sin. Geor. 26). საკმაოდ სქელტანიანი, ბოლონაკლული, მცირე ფორმატის ხელნაწერი IX-X საუკუნეებით დათარიღებულ ლიტურგიკულ კრებულს (ზომა: 12,5x14 სმ.; მოიცავს

¹ მ. კარანაძე, *ქართული წიგნის ყდის ისტორია*, თბილისი, 2002.

213 ფ. + 1 ფრაგმენტი ბოლოში) წარმოადგენს. გვინდა ამთავითვე აღვნიშნოთ, რომ განსახილველი ხელნაწერის ფორმატი საგანგებოდ იპყრობს ყურადღებას, ვინაიდან სწორედ ყდის ტექნოლოგიურ-მხატვრული გადანყვევება ასახავს გარკვეულწილად როგორც თავად კრებულის მნიშვნელობას, ასევე მის შემქმნელთა ოსტატობას. ისიც უდავოა, რომ მცირე არეზე ორნამენტული ტვიფრების განლაგება და გეომეტრიული სიმეტრიისა თუ მხატვრული ასიმეტრიის დაცვა გაცილებით რთულია და დიდ გამოცდილებას მოითხოვს, ვიდრე დიდი ფორმატის ხელნაწერის ყდაზე.

დავუბრუნდეთ კვლავ ხელნაწერის აღწერილობას: სქელი, უხეში, გაყვითლებული ეტრატის ბოლო ფურცლები ამჟამად დაზიანებულია, შემონახულია მხოლოდ ა – კზ რვეულები; ტექსტი შესრულებულია ასომთავრულით, აქა-იქ ნუსხურით; გამოყენებულია შავი მელანი, სათაურებისათვის – სინგური; მოღწეულ ტექსტს ანდერძ-მინაწერები არ ახლავს. ხელნაწერი ჩასმულია საკმაოდ სქელი ფიცრის ტყავგადაკრულ ყდაში, ზედ ამოტვიფრული ორნამენტით; ყდის საცავ ფურცლად სხვა ხელნაწერიდან გამოუყენებიათ ეტრატის ფურცელი ბერძნული ტექსტით, რომელიც პალეოგრაფიულად VIII საუკუნისად არის მიჩნეული.²

ყდის ხის დაფები მასიურია, ჩამოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე. ყდის მხარეს მთლიან სიგრძეზე (ვერტიკალურად), იქ, სადაც დაზიანებულია (გადახლეჩილია) ტყავი, შეიმჩნევა თოკებისგან გაკეთებული სამი ყულფი (ეს შეკერვის ადგილები უნდა იყოს), რომლითაც უკავშირდება ხის დაფები რვეულებად აკინძულ წიგნის ბლოკს (სურ. 1). სამწუხაროდ, ამჟერად არ მოგვეცა საშუალება ხელნაწერის ფოტოპირების მეშვეობით მაინც გავცნობოდით „ქართული აკინძვის“ იმ ტექნიკას, რომელსაც ეხება ბელგიელი მეცნიერი ბერტ ვან რეგემორტერი თავის ნაშრომში. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრში დამკვიდრებული ამ ტრადიციის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენაზე წიგნის აკინძვის იმ მეთოდთან (ტექნიკასთან) დაკავშირებით, რომელსაც იგი „ქართულ შეკერვას“ უწოდებს (*Couture géorgienne*).³

სინური ქართული ახალი კოლექციის ხელნაწერის ყდაზე ნახატს ქმნის მცირე ზომის, სხვადასხვა ორნამენტისაგან შემდგარი ყვავილოვანი და სამსჭვალეების მაგარი ტვიფრები (ოდნავ დახრილი, ჯვრის ფორმის ორნამენტი), რომლებიც ყდის თავისუფალ ადგილს ავსებენ. ყდას კიდზე არშიად მიჰყვება ერთი და იგივე გამოსახულების შემავსებელი ტვიფრები (ამდენად, ყდაზე სულ

² სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, ათენი, 2005, გვ. 271.

³ Regemorter B. van, *La reliure Byzantine*, Revue Belge d'Archéologie et d'Histoire de l'Art, vol. 36 (1967), Bruxelles, 1969, p. 122-124

ორი სახის ტვიფრია გამოყენებული) და არა საბორდიურე ტვიფრი, რაც, როგორც ცნობილია, ყდის ქრონოლოგიურ განვითარების ისტორიაში გვიანდელ მოვლენად ითვლება. შემავსებელი ტვიფრებისგან შედგენილი ნახატი ჩასმულია სპეციალური სახაზავით შესრულებულ თითო ხაზისაგან შემდგარ ჩარჩოში, იგივე ტექნიკითაა ამოტვიფრული ყუაზე ჰორიზონტალური, ვერტიკალური და დიაგონალური ხაზები, ყუაზე ასევე შემორჩენილია საკმაოდ სქელი ძაფებისაგან დანსული კაპტალი (სურ. 1).

ყდის ზედაპირზე ფარგლისა და სპეციალური წვერნამახვილებული, მაგრამ რამდენადმე ბლაგვი, ხელსაწყოს მეშვეობით ამოტვიფრულია სტილიზებული ტოლგვერდა ჯვარი, რომელსაც ახლავს წრე და კვადრატი (სურ. 2). ორნამენტული სიმბოლიკის განვითარების თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ იდეა წრის გათანაბრებისა კვადრატთან მომდინარეობს მბრუნავი კვადრატის ცნებიდან. წრის და კვადრატის ურთიერთმიმართება უკავშირდება ორი დიდი კოსმიური სიმბოლოს – მინისა და ცის ერთიანობას. კვადრატი მინას აღნიშნავს, ცა - წრეს.⁴

ქრისტიანული აღმოსავლეთის სინამდვილეში ამგვარი სიმბოლიკა ხშირად გვხვდება. ამას ადასტურებს არა მხოლოდ ე. ტესტას მიერ ადრე გამოცემული მასალა⁵, არამედ უახლესი პუბლიკაციები, რომლებშიც ასახულია თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე შემორჩენილი სირიული კულტურის ამსახველი ქვაჯვრები, ეკლესიათა ბარელიეფები და საპატრიარქო საყდარზე გამოსახული ორნამენტული შემკულობა⁶.

ქრისტიანული აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი წრეში ჩახატული ტოლგვერდა ჯვარი, რომლის ნახატს შეადგენს წრის სეგმენტი, ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე, ქართულ ხელნაწერებში ძირითადად გვხვდება სინის მთის ქართველი მოღვაწის იოანე-ზოსიმეს გადანერილ და შემოსილ ხელნაწერებში: Sin. Geor. 47, 1r-v, 81r, 91r; Sin. 26, 1r; პეტერბურგში დაცულ Sin. Geor. 34 ხელნაწერის ფრაგმენტებში (Gr. XLI 2r-v; Сир Н.С. 16/1 20r), N/Sin. Georg. 20, 1r⁷ (სურ. 3), მისივე ხელით გადანერილ პასქალიონებში: Sin. Georg. 38, f. 284; Sin. Georg. 34; პეტერბურგის ფრაგმენტები, Сир Н.С. 16/1 27v, ასევე ხელნაწერების ამოტვიფრული ყდებზე – Sin. 32-57-33 (იხ. სურ. 4), Sin. 46; N/Sin.Georg. 26. ერთი და იმავე მოხაზულობის ჯვრის ხელნაწერში რამდენჯერმე გამეორება სხვადასხვა ადგილას – არამარტო ყდაზე, არამედ თვით ხელნაწერის

⁴ J. Cirlot, *A Dictionary of Symbols*, London, 1973, p. 307.

⁵ E. Testa, *Il Simbolismo dei giudico-cristiani*, Jerusalem, 1981, p. 283-299 (წარმოდგენილია ბოლნური ჯვრის ტიპი, ასევე „კოსმიურ კვადრატში“ და „კოსმიურ მართკუთხედში“ ჩასმული ჯვრები.)

⁶ Sébastien de Courtois, *Les derniers Araméens*, Paris, 2004, p. 80, 107, 109.

⁷ ახალი კოლექციის ფრაგმენტები უნდა ეკუთვნოდეს ცაგარ. 93-92 ხელნაწერს, იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათენი, 2005 გვ. 266-267, 505

ფურცლებზე გარკვეულ ტენდენციად იკვეთება სწორედ იოანე-ზოსიმეს შემოქმედებაში.

როგორც გაირკვა, სინის ახალი კოლექციის N/Sin. Georg. 26 ხელნაწერის ყდა (სურ. 2) იდენტურია სინური მრავალთავის (Sin. Georg. 32-57-33) ყდის ქვედა ფრთისა (სურ. 4). ისინი ერთი შემსრულებლის ხელს უნდა მიუთითებდნენ, რომელთა ავტორად იოანე-ზოსიმე შეიძლება მივიჩნიოთ.⁸ საფიქრებელია, რომ 864 წელს გადაწერილი სინური მრავალთავისა და Sin. Georg. 46 ხელნაწერის მსგავსად, იოანე-ზოსიმემ ხელნაწერი – N/Sin. Georg. 26 X საუკუნის 80-იან წლებში მესამედ ან მეორედ შემოსა.

ცნობილია, რომ X საუკუნის ჩვენი მნიგნობრობის ეს თვალსაჩინო სინელი მოღვაწე, რომელიც ანდერძ-მინაწერებში გადამწერად, მჩხრეკელად და შემოსველად მოიხსენიებს საკუთარ თავს, ამავე დროს გვევლინება ამა თუ იმ ხელნაწერის გამფორმებლადაც. ისიც ცნობილია, რომ იოვანე-ზოსიმე თავის სამნიგნობრო საქმიანობაში ძირითადად აგრძელებდა იმ ტრადიციას, რომელიც სინის მთაზე დამკვიდრებულმა ქართველმა მნიგნობრებმა მემკვიდრეობით მიიღეს საბანშიდის მონასტრიდან.

რას უნდა მივანეროთ ყდის ორნამენტებზე არსებული ტვიფრების სირიულ ტრადიციასთან ამგვარი სიახლოვე? როგორც ჩანს, ამის ახსნა უპირველეს ყოვლისა უნდა ვეძიოთ სინის მონასტრის კულტურულ არეალში მყარად გამჯდარ იმ ადრეული კავშირის გამოძახილთან სირიულ ტრადიციასთან, რომელმაც თავად საქართველოში ფართო გავრცელება პოვა ბოლნური ჯვრის სახით.

სინური ყდის თავისებურებების განხილვისას ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ პირდაპირ კავშირს სირიულ ხელნაწერებთან, არამედ ამ შემთხვევაში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ჩვენს კულტურულ არეალში დაღექილ იმ უძველეს ურთიერთობებზე, რომელიც უკვე ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდან გვქონია ქრისტიანული აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან.

⁸ სინური მრავალთავის ყდასთან და ჯვრებთან დაკავშირებით იხ. მ. კარანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9-18, დამ.: 2-7

Maia Karanadze

**ANOTHER 10TH-CENTURY BOOK BINDING FROM THE NEW
COLLECTION OF THE GEORGIAN MSS ON MOUNT SINAI**


SUMMARY

Owing their frequent use, MSS lost their original covers. In this respect, material is very scanty in the 9th-11th cc. on bound MSS of the Byzantine period.

The present paper offers a typological analysis of only one MS book, on the basis of a newly-discovered Georgian MS (N/Sin. Georg. 26.) in St. Catherine's monastery on Mt. Sinai (Fig. 1; 2).

A stylized equilateral cross, with a circle and square, is stamped on the surface of the binding. In Georgian MSS an equilateral cross, a segment of a circle constituting part of the drawing, is attested in the MSS copied and bound by the outstanding Georgian man of letters Ioane Zosime, who flourished on Mt. Sinai, as well as in Paschalions copied in his hand, also stamped on MSS covers. Occurrence of crosses of the same outline several times, at different places – and not only on covers but on pages of MSS assumed the form of a tendency in Ioane-Zozime's work.


As it became clear from the description of the binding, the cover (Fig. 2) of the MS of the new collection of Sinaitic MSS (N/Sin. Georg. 26) is identical with the lower part (Fig. 4) of the cover of the Sinai Polycephalon (Sin. Georg. 32-57-33). They point to the hand of a single executor who, in the present writer's view, is Ioane-Zosime.




სურ. 1. Sin. Geo. N./26.



სურ. 2. Sin. Geo. N./26.



სურ. 3. Sin. Geo. N./20.



სურ. 4. სინური მრავალთავი (Sin. 32-57-33).
ყდის ქვედა ფრთა (ნ. მარის მიხედვით).

ელენე მაჭავარიანი

მხატვრულად გაფორმებული ქართული ხელნაწერი: შრომის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხისათვის

ხელნაწერი წიგნის შექმნას, ანუ როგორც ივ. ჯავახიშვილი უწოდებს წიგნის „შემზადებას“, თავისი შრომითი პროცესები გააჩნია. შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნი მეტად რთული ორგანიზაცია, რომელიც ერთმანეთზე დამოკიდებული, თანმიმდევრული შრომითი პროცესების შედეგად მიიღწევა. ხელნაწერი წიგნის ხელოვანება – განსწავლულ ოსტატთა პროფესიონალიზმი, მაღალი დონის დახელოვნება – საწინდარი იყო იმისა, რომ ქართველ ოსტატთა შემოქმედებას საუკუნეებისათვის უნდა გაეძლო.

XIV საუკუნის პარაკლიტონზე დართულ ავგაროზ ბანდაისძის ანდერძში დასახელებულია შრომითი პროცესები, რომელთაც იგი დაუფლებული ყოფილა. მითითებულია, რომ „წყალობითა ღვთისაჲთა“ ავგაროზმა იცოდა: „*წელი სწავაჲ ხუცობისაჲ, მწიგნობრობისაჲ, წერაჲ ხუცურისაჲ, შექმნაჲ ეტრატისაჲ, შეკრვაჲ წიგნისაჲ, მხატვრობისაჲ, მკერვალობისაჲ, ტყავის კერვისაჲ, ხუროვნობისაჲ*“ (A-575, 155r). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხელნაწერ წიგნებში იშვიათია ანდერძ-მინაწერები, სადაც მითითებულია იმის შესახებ, რომ გადამწერი და მომხატველი ერთი და იგივე პიროვნებაა. ამის დასტურს მხოლოდ ხელნაწერის კოდიკოლოგიურ-სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით შესწავლა იძლევა.

ანდერძ-მინაწერებში არის შემთხვევები, როცა ხელოვან-ოსტატები ეპითეტებით იხსენიებიან. მაგ. ცნობილია მხატვართა ეპითეტები: *მწერალი, მხატვარი, მოქმედი, ჯელოვანი*. XI საუკუნის ერთ-ერთი გადამწერი და მომხატველი ბასილი მალუშისძე, რომელიც მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში და ასრულებდა ზაქარია ვალაშკერტელი მამამთავრის დაკვეთით ხელნაწერებს, თავის თავს „ეტრატა“-ს უწოდებს. როგორც ჩანს, იგი თვითონ ამზადებდა საწერ მასალას, „აკანონებდა“ ანუ ხაზავდა ეტრატის ანუ ტყავის ფურცლებს. საინტერესოა, რომ მის მიერ გადამწერილ ხელნაწერებში სტრიქონებს შორის ერთნაირი მანძილია დაცული. რამდენიმე მაგალითი შეიძლება დავასახელოთ, როცა ეპითეტი

მხატვრის საქმიანობას განსაზღვრავს, მაგ. I ჯრუჭის ოთხთავის მომხატველი „კამარათამწერალია“ ანუ კამარების შემსრულებელი (H-1660, 1v), ვანის ოთხთავის (A-1335) მომხატველი მიქაელი „ოქრომწერალია,“ ანუ მოხატულობას ოქროს მეღვინით ასრულებს.

ხელნაწერი წიგნის შექმნისას შრომითი პროცესების თანმიმდევრობა – ეტრატის შექმნა, დაკანონვა, ტექსტის გადაწერა, მოხატვა, აკინძვა ანუ შემოსვა, ყდის მოჭედვა – განსაზღვრავდა წიგნის შემქმნელ ოსტატთა ურთიერთდამოკიდებულებას. ამ რთულ სამუშაო პროცესებში მხოლოდ გადამწერსა და მხატვარს შეეძლოთ შენაცვლება, დანარჩენი პროცესები კი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ შესაბამისად ერთმანეთის თანმიმდევრული იყო.

ჩვენამდე მოღწეული დასურათებული ხელნაწერებიდან გამოირჩევა ოთხთავის ნუსხები. შინაარსის მიხედვით ოთხთავის მხატვრული გაფორმების პრინციპები XI საუკუნიდან სავსებით ჩამოყალიბებულია. მისი არქიტექტონიკა განსხვავდება სვინაქსარის, ზატიკის, ფსალმუნის თუ სხვა საეკლესიო შინაარსის მქონე ხელნაწერთა გაფორმებისაგან. საუკუნეების მანძილზე სახარების ტექსტებს საფუძვლად ედო განსაზღვრული მხატვრული ელემენტები და ტექსტში მათი განაწილების თანმიმდევრობა. ზოგიერთი ხელნაწერი მხოლოდ მახარებელთა პორტრეტებს შეიცავს, ნაწილი კი ტექსტთან დაკავშირებული სხვა სიუჟეტებითაც არის დასურათებული.

მინიატიურები სრულდებოდა მთელ გვერდზე ან ჩართული იყო უშუალოდ ტექსტში, შინაარსის შესაბამის ადგილებში. როდესაც მინიატიურები ცალკე ფურცლებზე იყო წარმოდგენილი, ისინი შესაძლებელია დამოუკიდებლადაც შეესრულებინა მხატვარ-მინიატიურისტს. როგორც ანდერძ-მინაწერები გვამცნობენ, I ჯრუჭის ოთხთავი გადაწერა 936 წელს და მოხატა 940 წელს თევდორეს მიერ. ამ მხატვრის მიერ შესრულებული მოხატულობა ტექსტისაგან დამოუკიდებლად, ცალკე ფურცლებზეა მოთავსებული (განსხვავებულია ტყავის ფაქტურაც) და მოგვიანებით, ოთხი წლის წლის შემდეგ, არის ჩართული ტექსტში (განრღვეულის განკურნება და იოანე მახარებელი – H-1660, 228v). ქართულ ხელნაწერებში მთელი რიგი შემთხვევები აღინიშნება, როცა მინიატიურებს სპეციალურად უკვეთავდნენ ხელნაწერის შესამკობად, შესაძლოა მისი გადაწერისგან რამდენადმე მოგვიანებითაც. მაგალითად, X საუკუნის ტბეთის ოთხთავისათვის (ინახება პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში) სამოელ ეპისკოპოსმა XI საუკუნეში კონსტანტინოპოლში დაუკვეთა კამარები და მახარებელთა გამოსახულებანი. ოპიზის მოძღვარმა იოანემ, შესწირა რა ბერთის მონასტერს ბეშქენ ოპიზარის მიერ ჭედური ყდით შემკული სახარება (Q-906), სპეციალურად გაამშვენა ხელნაწერი მახარებელთა მინიატიურებით: „*მე ვიშუენ ხატნი წ(მიდა) თა მახარებელთანი და ჩაუსუწნენ ოთხთავე თავთა შინა*“ (340v-341v) – ვკითხულობთ ანდერძში; ხოლო XI საუკუნის ოთხთავში (A-845) მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ჩაურთავთ XV საუკუნის მინიატიურისტი-მხატვრის ანანისას მიერ შესრულებული მახარებელთა გამოსახულებანი.


ხელნაწერის ხელმეორედ შემოსვისას, მისი შექმნიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, როგორც ჩანს, სხვა ხელნაწერიდანაც გადმოჰქონდათ მინიატიურები. ამ შემთხვევაში მინიატიურების ფურცლები უხეშად არის ჩამოჭრილი გვერდებზე. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ X საუკუნის ოთხთავი (A-40), სადაც მახარებელთა შეწყვილებული უფრო დიდი ზომის მინიატიურა ხელნაწერის ფორმატივსათვის არის მისადაგებული, ხოლო მცხეთის დავითნის (A-38) თავფურცელი ჯვრის გამოსახულებით ასევე კიდებშემოჭრილია. არის შემთხვევა, როცა გადამწერი სარგებლობდა მოხატული დაზიანებული ორიგინალით, რომლის მოხატულობასაც იყენებდა ახალი ნუსხის მოსართავად. მაგალითად, ზაზასეული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერში (Q-1082) იოსებ თბილელის მიერ გადამწერილი ტექსტისათვის გამოყენებულია ადრეული ხანის მოხატული ნუსხიდან შოთა რუსთაველის პორტრეტი და ოქროთი დაფერილი აშიები. რაც შეეხება იოსებ ზილიხანიანის (Q-1283) ნუსხას, იგი შემკულია მინიატიურებით, რომელთა მეორე მხარეს ადრეული ხანის ხელნაწერის იმავე შინაარსის ტექსტია შესრულებული.

შრომის ორგანიზაციის საკითხების შესწავლის დროს პირველ პლანზე გადამწერისა და მხატვრის ურთიერთობანი წამოიწევა. გადამწერი ის პიროვნებაა, რომელიც ქმნის წიგნის მხატვრულ არქიტექტონიკას, ტექსტის შინაარსის შესაბამისად აყალიბებს წიგნის საერთო დეკორატიულ სისტემას, ტექსტში ცალკეული მხატვრული ელემენტებისათვის სტოვებს ადგილებს მოსახატავად. გადამწერი მუშაობის პროცესში განსაზღვრავს ორნამენტული დეკორის ფორმატს და იკონოგრაფიული სქემების შესაბამისად მინიატიურების ფორმატსაც. იგი ითვალისწინებს იმ გარემოებას, თუ როგორ იშლება სასურათო სიბრტყეზე მოქმედება – სიგანეზე (მაგ. ხარება, შობა) თუ სიმაღლეზე (მაგ. ამალეობა, ჯვარცმა). ცხადია ეს გადამწერისაგან მოითხოვდა იკონოგრაფიული ნორმების ცოდნას. სავსებით შესაძლებელია, რომ მას გარკვეული იკონოგრაფიული სქემებითაც ესარგებლა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სინამდვილეში სამხატვრო სახელმძღვანელოების არსებობა ცნობილი არ არის. მხოლოდ მასალაზე დაკვირვების შედეგადაა შესაძლებელი ვიმსჯელოთ მხატვართა მიერ მოხატული დედნების გამოყენების შესახებ.

ქართულ ხელნაწერებში ხშირია შემთხვევები, როცა ტექსტში დაუმთავრებელი მინიატიურები ან მოსახატავად განკუთვნილი თავისუფალი ადგილებია დატოვებული. ეს გარემოება მიანიშნებს იმაზე, რომ ხელნაწერში ჯერ ტექსტი სრულდებოდა, ხოლო შემდეგ იხატებოდა. მაგალითად, „ქილილა და დამანას“ ერთ-ერთ ნუსხაში ილუსტრაციებისათვის განკუთვნილ მრავალ ადგილას გადამწერის ხელით მიწერილია – „დასახატავი“. ხშირად გადამწერის ხელითვე წინასწარ ხდებოდა ტექსტში მინიატიურისათვის განმარტებითი წარწერები შესრულება. მაგალითად, შემოქმედის გულანში (Q-103) ვხვდებით მითითებებს: „დიდი ანდრია დახატე“ (510r), „ამაზედ მეზვერე და ფარისეველი დახატე“ (433v). ასეთ შემთხვევაში ორი მომენტი გასათვალისწინებელი: გადამწერი ან თვითონ



ბრმის განკურნება. ზატიკი. A-25, 120v.



ემბაკეულის განკურნება. ჯრუჭის I ოთხთავი, H-1660, 143v.



ჯვარცმა. გელათის ოთხთავი, Q-908 , 215v.

არჩევს კომპოზიციებს შინაარსის შესაბამისად ან ახდენს დედანში არსებული სცენების განმეორებას.

ჩვეულებრივ მინიატიურის საერთო ზომა, როცა მას მთელი გვერდი უკავია, ხელნაწერის ფორმატით განისაზღვრება (A-25, 120v). თხრობითი ციკლის შემთხვევაში, როცა ტექსტი მრავალი მინიატიურითაა დასურათებული, ე. ი. მინიატიურები ტექსტშია ჩართული, მათი განაწილება შემდეგი პრინციპით ხდება: როცა ტექსტი ორ სვეტადაა დაწერილი, მინიატიურის სიგანე შეესაბამება სვეტის სიგანეს (მაგ. II ჯრუჭისა და მოქვის ოთხთავები); იმ შემთხვევაში, როცა მინიატიურას უკავია ორ სვეტად ნაწერი ტექსტის მთელი სიგანე (H-1667, 10r), სავარაუდოა, რომ გადამწერი სარგებლობდა იმ მოხატული დედნით, სადაც ტექსტი და ამის შესაბამისად მინიატიურაც გვერდის მთელ სიგანეზე იყო გაშლილი. მინიატიურების ჩართვა სხვადასხვა გადამწერის მიერ სხვადასხვა ხელნაწერში განსხვავებულია. მაგალითად, მოქვის ოთხთავში (Q-902, 98v) მინიატიურა „ჯვარცმა“ უშუალოდ მისდევს ტექსტს, გელათის ოთხთავში, სადაც გვერდის მთელ სიგანეზეა ტექსტი დაწერილი, მინიატიურა „ქრისტეს ცდუნება მაღალ მთაზე“ (Q-908, 22v), შინაარსის შესაბამისად გილას, მარჯვნივ არის მოთავსებული. რაც შეეხება II ჯრუჭის ოთხთავს (H-1667) არის შემთხვევები, როცა ტექსტის დამასურათებელი მინიატიურა რამდენიმე ქვეთავის შემდეგ არის ჩართული.

შუა საუკუნეების წიგნის ხელოვნებაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა მხატვარი და გადამწერი ერთიდაიგივე პიროვნებაა. ხელნაწერი წიგნის მოხატულობის შესწავლამ ტექსტთან მიმართებით მრავალი მაგალითი გამოავლინა იმისა, რომ გადამწერი ხელნაწერის მომხატველიც იყო. ისიც ნიშანდობლივია, რომ ამგვარ ხელნაწერებში გადამწერი ძირითადად ორნამენტული მხატვრობის შემსრულებელია. ასეთ შემთხვევებს უმეტესად „ხალხური“ მიმართულების ხელნაწერებში ვხვდებით. ორნამენტული დეკორის ურთიეთმიმართება ტექსტთან, საზედაო ასოების სტილის მსგავსება ორნამენტულ მხატვრობასთან გადამწერისა და მხატვრის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. ეს კი თავის მხრივ შრომის განაწილების პრინციპებს უკავშირდება. მაგალითად, XI საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში, გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულში (A-87), საზედაო ასოების განსხვავებული სტილი პალეოგრაფიულად განსხვავებული ხელით შესრულებული ტექსტის ნაწილების დადგენის საშუალებას იძლევა, რამდენადაც თითოეული ოსტატი განსხვავებული საზედაო ასოებითა და თავსამკაულებით ამკობს თავის მიერ გადამწერილ მონაკვეთში ტექსტს. X საუკუნეში მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულში (S-425) მოხატული საზედაო ასოებისა და თავსამკაულების მხატვრულმა სტილმა გამოკვეთა ხელნაწერის შესრულებაში მონაწილე ორი გადამწერის – მიქაელ მოდრეკილისა და ეფთვიმეს ხელწერა. არ არის გამორიცხული, რომ გადამწერი მინიატიურების შემსრულებელიც იყო. II ჯრუჭის ოთხთავში (H-1667) გადამწერი მიქელი ხელნაწერის ერთ-ერთი მხატვარად გვევლინება. ივ. ჯავახიშვილი გადამწერთა შორის შრომის მონესრიგების

საკითხთთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ცალკეულ გადამწერელთა გარდა არსებობდა ჯგუფობრივი გადამწერებიც, როცა ერთი გადამწერი ხელნაწერის ტექსტის გადწერას ხელმძღვანელობდა და ჯგუფის უფროსად ითვლებოდა. გამორიცხული არაა, რომ II ჯრუჭის ოთხთავში ხელნაწერის მხატვრული კომპოზიცია მიქაელის ჩანაფიქრით შესრულდა. სავსებით დასაშვებია, რომ მას უხდებოდა ტექსტსა და მინიატიურებს შორის თანაფარდობის მიწესრიგება და მონაწილეობას ღებულობდა ხელნაწერის მოხატვაში.

ხელნაწერის მოხატულობაზე ზოგ შემთხვევაში ორი ოსტატი მუშაობდა: გადამწერ-დეკორატორი და მხატვარ-მინიატიურისტი. შეიძლება დავასახელოთ მაგალითები, როცა შრომის ამგვარი განაწილება შეინიშნება. მაგალითად, XIII საუკუნის იენაშის ოთხთავში (დაცულია სვანეთში, მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში) გადამწერი იონა ასრულებს თავსამკაულებს, საზედაო ასოებს, კამარებს, (შრომის ამგვარი განაწილება ანდერძ-მინაწერებმაც დაადასტურეს), ხოლო მახარებელთა მინიატიურები სტილისტურად განსხვავდებიან ორნამენტული ნახატისაგან და სხვა ოსტატის მიერაა შესრულებული. XIV საუკუნის ერთ-ერთ ოთხთავში (H-2125), სადაც გადამწერი გიორგი თაბაური ასრულებს ორნამენტულ ნახატობას, ანდერძის თანახმად, მინიატიურები და კამარები ავგაროზ ბანდაისძეს მიეკუთვნება. ასევე XIII საუკუნის ოთხთავში (H-1870), როცა თავსამკაულთა ნახატი გიორგი გადამწერს ეკუთვნის, მახარებელთა მინიატიურას კი (შემორჩენილია მხოლოდ იოანეს გამოსახულება) პროფესიონალი ოსტატი ასრულებს.

ქართული ხელნაწერის მხატვრობას ერთი და ზოგჯერ რამდენიმე მხატვარი ასრულებდა. I ჯრუჭის ოთხთავის (H-1660), ასტრონომიული ტრაქტატის (A-65), გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულების (A-109), ზატიკის (A-734) მოხატულობა ერთი ოსტატის მიერ შესრულებული ჩანს, ხოლო გელათის (Q-908), II ჯრუჭის (H-1667), შემოქმედის გულანის (Q-103), ყანჩაეთის ჟამნ-გულანის (H-1452), ნერეთლისეული ვეფხისტყაოსნის (S-5006) ხელნაწერებში რამდენიმე ოსტატის ხელი გამოირჩევა.

მრავალი მინიატიურით დასურათებულ ხელნაწერებში, როცა მინიატიურები ტექსტშია ჩართული და ისინი რამდენიმე ოსტატის მიერაა შესრულებული, აქ მხატვართა შორის შრომის განაწილების რთულ სისტემასთან გვაქვს საქმე.

შუა საუკუნეების ქართული მოხატული ხელნაწერი წიგნის მხატვრული ორგანიზმის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო გადამწერსა და მხატვარს შორის, არამედ მინიატიურისტ-მხატვართა შორის შრომის განაწილების საკითხის გათვალისწინებას. ამის საშუალებას კი ისევ და ისევ მხატვრული მასალა იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი მინიატიურით დასურათებულ ხელნაწერებში შრომის ორგანიზაცია, ოსტატთა შორის შრომის განაწილების პროცესების დადგენა, განსაკუთრებით კი მხატვარ-ოსტატთა ხელნაწერის გარჩევა უკავშირდება მთელ რიგ მხატვრულ და პალეოგრაფიულ თავისებურებებს. ხელნაწერის მთლიანი მხატვრული ორგანიზმის გასარკვევად საჭიროა არა მარ-



მიქაელ მოდრეკილის საგალობლები. S-425, 60r.

ტო შესრულების მანერისა და განსხვავებული მხატვრული სტილის დადგენა, არამედ უნდა ჩატარდეს ნიგნის დეკორაციული სისტემის საერთო ანალიზი, უნდა განისაზღვროს ტექსტის მხატვრულ-კომპოზიციური ურთიერთობა ორნამენტულ დეკორთან და მინიატიურებთან მიმართებაში, სიუჟეტური სცენების იდენტიფიკაცია, კომპოზიციების შინაარსობლივი ურთიერთობა ტექსტთან და ა. შ.

როგორც აღინიშნა, მრავალი მინიატიურით დასურათებულ ხელნაწერებში, თუ გავითვალისწინებთ გადამწერთა და მხატვართა ან მხატვართა შორის ურთიერთობებს, შრომის ორგანიზაციის საკითხის კვლევა რთულია. როცა ხელნაწერში 350 მინიატიურაა, ძნელია ამ სიუჟეტების დაჯგუფება, ცალკეული მხატვრის ხელნერის გამოჩენა. ეს მოითხოვს მკვლევარისაგან დიდ და დაძაბულ შრომას. ეკლესიაში მაცურებლის თვალწინ დაახლოებით 30-მდე სიუჟეტი იშლება, რომლის აღქმა არ არის ძნელი, რამდენადაც ეს სცენები ერთბაშად და ერთდროულად აღიქმება. დასურათებულ ხელნაწერში კი შლით ფურცლებს და თანდათანობით შედიხართ ტექსტის ამსახველ სამყაროში. გარდა ამისა, ცალკეული მხატვრის ხელნერის, სტილის, ფერადოვნების დასადგენად გადამოწმება ხდება ხელნაწერი ფურცლების ხელახალი გადაშლის საფუძველზე. აქ ხელნაწერის ხელშეუხებლობის ფაქტორსაც ვაწყდებით.

როგორ ნაწილდებოდა ხელნაწერი ნიგნის მომხატველთა შორის შრომითი პროცესი, ამის თაობაზე ვარაუდით შეიძლება მსჯელობა. ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება დაუმთავრებელი ორნამენტული ნახატობა და მინიატიურები. მაგალითად, XIII საუკუნის ლაფსყალდის ოთხთავში (ინახება სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ეროვნული მუზეუმი) სახარებათა თავების ჩამომთვლელი ნუსხების დასაწყისში თავსამკაულები შეუფერავია. ნახატობა მხოლოდ შინდისფერი კონტურითაა აღნიშნული. ვისრამიანის (S-3702) ხელნაწერში მთელ რიგ შემთხვევებში დაუმთავრებელი მინიატიურებია კონტურული ნახატით წარმოდგენილი. არ არის გამორიცხული, რომ ხელნაწერებში მინიატიურების კონტურულ მონახაზებს ერთდროულად ერთი მხატვარი ასრულებდა, ხოლო შემდეგ ფერმწერი ოსტატი ამთავრებდა. მასალიდან ასევე არ ჩანს, რომ მხოლოდ ერთი ოსტატი ასრულებდა ტექსტში თანმიმდევრულად განაწილებულ მინიატიურებს. რთულია თემატურად მხატვრის საქმიანობის განსაზღვრა. თემატურად მინიატიურების გაერთიანების რამდენიმე შემთხვევაა მხოლოდ შენიშნული II ჯრუჭის ოთხთავში (H-1667). მაგალითად, ერთმანეთის თანმიმდევრულად განლაგებული მინიატიურები „სწავლებანი ცხოვრების წესებზე“ (163r, 164r, 165v) ერთი მხატვრის მიერაა შესრულებული.

II ჯრუჭის ოთხთავში რ. შმერლინგი ოთხ ძირითად ოსტატს გამოარჩევს. აშკარად ჩანს, რომ აქ სხვადასხვა ოსტატის ხელი ერთმანეთს ენაცვლება, ძნელია მხატვრებს შორის მინიატიურების განაწილებაში რაიმე კანონზომიერების დადგენა. სტილისტურმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ მინიატიურების განაწილება არ ხდებოდა რვეულების მიხედვით. არც ის შეინიშნება, რომ



իգავի կեթիլ մինաზე ճաթեցիլ տեցլեղե. Ջրդեցիս II օտեթաղե, H-1667, 87v.



քրիստեց զեղեալօղեղե. Ջրդեցիս II օտեթաղե, H-1667, 10r.

გარკვეულ კომპოზიციური ციკლი ერთი ოსტატის მიერ იყოს შესრულებული. როგორც ჩანს არსებობდა მჭიდრო კონტაქტი, ერთიანი გარემო – მონასტერთან არსებული სამუშაო სენაკი. გადამწერი წერდა და იქვე აწვდიდა ხელნაწერ ფურცლებს მოსახატავად მხატვრებს. როგორც ჩანს დღის ხანგრძლივობა განსაზღვრავდა ოსტატთა საქმიანობას, ისინი უშურველად ასრულებდნენ მთელი დღის განმავლობაში სამუშაოს.

მხატვრებს შორის შრომის განაწილებას ადგილი ჰქონდა ქართული ეკლესიების კედლის მოხატულობაშიც, სადაც ზოგჯერ გამოარჩევენ ძირითად ოსტატს, რომელიც მოხატულობის ხელმძღვანელად ითვლებოდა. მაგალითად, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის შეგნით მდებარე „სვეტის“ კედლები გრიგოლ გულჯავარასშვილს თანამემწეების დახმარებით მოუხატავს. როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, საქართველოში ადრეული ხანიდანვე ცნობილია მხატვართა უფროსის თანამდებობა. 1939 წელს სამთავროს ნეკროპოლში ნაპოვნ ეპიტაფიაში მოხსენიებული ავრელი აქოლისი ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი იყო. ტერმინი „*მხატვართუხუცესი*“, თ. ყაუხჩიშვილის მითითებით, ბერძნულ წერილობით ძეგლებში არ არის ცნობილი და, როგორც ჩანს, ეს თანამდებობა სპეციალურად საქართველოში იყო შემოღებული. ფრესკების მომხატველებს შორის ამგვარი დიფერენციაცია აღინიშნება XI საუკუნის სვანეთის ფერწერულ ძეგლებში: თევდორე, რომელსაც ეკუთვნის იფარისა და ნაკიფარის მოხატულობა, ანდერძში თავის თავს „*მეფის მხატვარს*“ უწოდებს, ხოლო წვირმის, კვირიკესა და ივლიტას ეკლესიების მოხატულობა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, თევდორეს და მისი მოწაფეების მონაწილეობითაა შექმნილი.

მოხატული ხელნაწერი წიგნის შექმნას თავისი სპეციფიკა გააჩნია. განსხვავებით იმ საფერწერო საშუალებებისაგან, რომელსაც მონუმენტალისტი მხატვარი ფლობდა, მინიატიურულ მხატვრობას სხვა განსწავლულობა და ოსტატობა სჭირდებოდა. სწორედ ამიტომაც X საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში (A-19) კედლის მომხატველები სპეციალური ტერმინით – „*ტაძრის მწერალნი*“ მოიხსენიებიან.

ჩვენი მდიდარი ეროვნული საგანძური დასურათებული ხელნაწერების შექმნასთან დაკავშირებულ კიდევ მრავალ საკითხს წამოაჩენს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ალიბეგაშვილი, *XI-XII სს. ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათების მხატვრული პრინციპები*, თბილისი, 1966.
2. Ш. Амиранашвили, *Грузинская миниатюра*, Москва, 1966.
3. ს. ბარნაველი, *II ჯრუჭის კოდექსის ორი წარწერა*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXI, 5, 1958.
4. ვ. ბერიძე, *ძველი ქართველი ოსტატები*, თბილისი, 1967.
5. თ.ყაუხჩიშვილი, *ბერძნული წარწერები საქართველოში*, მიმომხილველი, ტ. II, თბილისი, 1951.
6. В. Лихачева, *Искусство книги (Константинополь XI в.)*, Москва, 1976.
7. ელ. მაჭავარიანი, *ასლისა და დედნის ურთიერთმიმართებისათვის ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით*, მრავალთავი, XX, 2003.
8. О. Подобедова, *Некоторые проблемы изучения древне-русского рукописной книги (Рукописная книга)*, Москва, 1972.
9. რ. შმერლინგი, *ე.წ. მეორე ჯრუჭის კოდექსის ოსტატები*, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1958.
10. Р. Шмерлинг, *Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв.*, Тбилиси, 1967.
11. ივ. ჯავახიშვილი, *ქართული პალეოგრაფია*, თბილისი, 1940.

Elene Machavariani

SOME QUESTIONS OF THE ORGANIZATION OF WORK IN PREPARING MEDIEVAL GEORGIAN MANUSCRIPTS

SUMMARY

Colophons of Georgian manuscripts have preserved terms denoting processes of preparing manuscript books. Study of the evidence will allow to determine the division of work between masters preparing books.

In lavishly illustrated manuscripts the presence of several copyist and master-miniaturists is noticeable. Apparently, one of the masters was engaged in distributing the miniatures in the text according to the content of the manuscript.

ცისანა გივილიაშვილი

ცნობები სოფიო ჭავჭავაძის ბარდაცვალების შესახებ

ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის ფრანგულენოვანი
არქივის მიხედვით

ცნობილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ჭავჭავაძის მეგვიდრეე-ბის – ეკატერინეს, ნინოსა და დავითის ცხოვრება კარგადაა ცნობილი. მისი უმცროსი ქალიშვილის, სოფიოს შესახებ კი ნაკლები რამ ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი დაიბადა 1833 წელს, მშობლები ადრე გარდაეცვალა და და-ძმა ზრდიდა. სოფიო წინანდალში იზრდებოდა, კარგი განათლება მიუღია, ფლობდა რუსულსა და ფრანგულ ენებს. 1850 წლის 24 ნოემბერს 17 წლის ასაკში იგი ცოლად გაჰყვა საქართველოში მოღვაწე რუს მოხელეს, ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის. ცხოვრობდნენ თბილისში. ექვსი წელი მათ შვილი არ შესძენიათ. 1855 წელს ნიკოლაების ოჯახს მიუგდეს ჩვილი, სახელით კოლია, რომელიც იშვილეს და საკუთარი შვილივით ზრდიდნენ. 1856 წელს შეეძინათ უფროსი ქალიშვილი ნინა, შემდეგ მაკა. 1861 წელს ბარონი ნიკოლაი კიევში გადაჰყავთ სასწავლო ოლქის მზრუნველად. იქ იგი ოჯახთან ერთად მიემგზავრება. მალე მათ მესამე ქალიშვილი, ოლგა შეეძინათ. ოლგას დაბადებიდან რამდენიმე დღეში, 1862 წლის 18 მარტს სოფიო ჭავჭავაძე გარდაიცვალა.

გაგაცნობთ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ დეტალებს ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის მიერ ძმისთვის, ლეონტი ნიკოლაისთვის გაგზავნილი წერილებიდან. წერილებს ვაქვეყნებთ კუბიურებით.



ბარონ ალექსანდრე ნიკოლაი



სოფიო ჭავჭავაძე



მარიამ (მაკა) ნიკოლაი-შერვაშიძისა

კიევი, 4 მარტი, 1862 წელი

... ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. სოფიო დიდი მოვლენის მოლოდინშია, რომელიც ალბათ მალე მოხდება. მთხვავს გადმოგცე, რომ მისი აზრით, შენთვის მონერილი წერილი ზევადი მოჰყვება, რადგან აქამდე უნდა მიგელო. თავს შესანიშნავად გრძნობს. არ მახსოვს, გითხარი თუ არა, გადავწყვიტეთ, თუ ბიჭი იქნება, ვიქტორი დავარქვათ, თუ გოგო – ოლგა, კიევის პატივსაცემად, თანაც ეს სახელი მომწონს...

კიევი, 7 მარტი, 1862 წელი

...ძვირფასო კეთილო მეგობარო, არ შემიძლია სასწრაფოდ არ გაცნობო სასიამოვნო ამბავი, ქალბატონ ოლგას დაბადება, რომელიც ამ ქვეყანას გუშინ დილას, თორმეტის ნახევარზე მოევლინა სრული სიკეთით. ისევ გოგოო, იტყვი და მონრეპოზე¹ გაიფიქრებ, სადაც ასე უნდოდათ ბიჭი. ჩემი მხრივ, სავსებით კმაყოფილი ვარ მშვენიერი სქესის ახალი წარმომადგენლით და ღვთისგან ბოძებულ ბედნიერებას დიდი მადლიერებით შევხვდი. მშობიარობამ კარგად ჩაიარა, თუმცა ცოტა უფრო მძიმე იყო, ვიდრე მაკაზე. მაგრამ დღეს კარგად გამოძინების შემდეგ ჩვენი ძვირფასი მშობიარე საკმაოდ გამოკეთდა და მშვენივრადაა. ახალშობილი უფროსებსა ჰგავს. მუქი ფერის თმა აქვს, უფრო სქელი, ვიდრე მაკას ჰქონდა. მომცრო ტანისაა, კარგი აღნაგობის. ცოტა ხმაურიანია, მაგრამ რას იზამ. გუშინ საღამოდან ძუძუს წოვს. ისლა დაგვრჩენია გავიხაროთ და საკუთარ თავს მიეულოცოთ ეს ბედნიერი მოვლენა, რაც ჩვენი აქ ყოფნის კულმინაცია იყო, რადგან ახლა აქედან ღუზის ასანევად ძალების აღდგენას და ამინდის გამოკეთებას ველოდებით. ვფიქრობ, ამისათვის ორი თვე საკმარისი იქნება. ძვირფასო მეგობარო, ეჭვი არ მეპარება, რომ შენც გაიზიარებ ჩვენს სიხარულსა და უფლის მიმართ მადლიერებას. ღმერთმა ქნას, პატარა გოგონას ისეთივე მშვიდობიანი ცხოვრება ჰქონდეს, როგორცაც ამ ქვეყანას მოევლინა ...

კიევი, 18 მარტი, 1862 წელი

ჩემო ძვირფასო, გულითადო მეგობარო, ეს რა დღე გამითენდა! თვალებს არ დაუჯერებ, რომ ნაიკითხავ. თუმცა, აგერ უკვე ორი საათია, ეს საზარელი სინამდვილეა. ჩემმა კეთილმა, ტკბილმა და ნაზმა სოფიომ თავისი მშვენიერი სული უფალს მიაბარა! ეულად დავრჩი ჩემს ოთხ ობოლთან კიევის ამ აუტანელ მარტოობაში. დაჯერება მიჭირს, თუმცა აქვე, გვერდით ოთახში მაგიდაზე ასვენია და გალობა მესმის. რა საშინელი რელობაა! მაგრამ უფალი ხედავს და ზრუნავს ჩემზეც და ობლებზეც! თორმეტი წლით სრული ბედნიერება მიბოძა. ვერ დავიჩივლებ, უკეთესი, გაცილებით უკეთესი ხვედრი მერგო, ვიდრე ვიმსახ-

¹ მონრეპო, ნიკოლაების მამული ვიბორგის მხარეში.

ურბელი. ნაიყვანა ანგელოზი, რომელიც თავად მიბოძა, იყოს ნება მისი! ყოველივე ისე სწრაფად, ისე სწრაფად მოხდა, რომ დროც კი არ მქონდა შევგუებოდი ან მსგავსი რამ დამეშვა. ჩემი უკანასკნელი წერილით პატარა ოლგას მშვიდობიანად დაბადება გამცნე. საბრალო ბავშვს დედა არც უნახავს. პირველი ოთხი დღე ყველაფერი კარგად იყო, მერე ძლიერი მასტიტი დაეწყო, მაგრამ საგანგაშო არაფერი ჩანდა. ძალიან დასუსტდა. [...] ორი აქაური საუკეთესო ექიმი დღეში რამდენჯერმე მოდიოდა. ერთადერთი შემამშფოთებელი უძილობა იყო, რაც ძალიან ასუსტებდა. გუშინ, ღამის თერთმეტ საათზე სპაზმები განუმეორდა, სიცხემ ძალიან აუნია და ასე გაგრძელდა დილის ექვს საათამდე. ძალა სულ გამოეცალა, მაშინ ქინაქინა და რალაც ტონუსის ამწევი მისცეს, პულსი რომ აეჩქარებინათ. სოფიო ვერც კი გრძობდა რა ხდებოდა. თერთმეტ საათზე პულსი კიდევ უფრო შეუწელდა. თვლემდა, თითქოს ბოდავდა და ოთხ საათზე აგონია დაეწყო. როცა აზიარეს, გრძნობაზე არ იყო და ცნობიერება აღარც დაბრუნებია. ისე რომ, ღმერთმა გულმონყალებით აარიდა საყვარელ ადამიანებთან გამომშვიდობების გულისტკივილი. მხოლოდ მე დავიტანჯე, რადგან დავემშვიდობე ავადმყოფს, რომელიც მცნობდა, მაგრამ არ ესმოდა თუ რა ელოდა. იმ დღეს, როცა წერვული შეტევა დაემართა, ცუდმა წინათგრძნობამ მოიცვა, მაგრამ ამან გაუარა და არ ეტყობოდა, რომ აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა. მისმა აგონიამ სამი საათი გასტანა. მინდა მონრეპოში წავასვენო და მამას ვთხოვო, თუ შეიძლება მეჩუჩთან აკლდამა გააკეთებინოს, აქ ვერ დავტოვებ. ახლა ვეცდები, რაც შეიძლება დავაჩქარო ჩემი აქედან წასვლა. ღმერთო ჩემო, რა მოგონება დამიტოვა კიევმა! ჩემზე ნუ იდარდებ, განადგურებული, მაგრამ ბედის მორჩილი ვარ. ღმერთმა იმხელა ბედნიერება მიბოძა თორმეტი წლის მანძილზე, უმადური უნდა ვიყო, რომ დავიჩივლო. იყოს ნება მისი! ყველაზე მეტად გოგონებზე ვწუხვარ. აღარა ჰყავთ დედა, რომელსაც ისინი ასე ნაზად და თავგანწირვით უყვარდა. მართალია დაობლდნენ, მაგრამ ოქტავია² დედობას გაუნევეს. ჩემი წერილი დავითს³ და ქ-ნ ბარბ[არას] გააცანი. მეტის წერა აღარ შემიძლია. ილოცე ჩემთვის. გულით გეხვევი.

კიევი, 25 მარტი, 1862 წელი

ძვირფასო მეგობარო, კარგად ვიცი წინა წერილის მიღების შემდეგ რამდენს ფიქრობ ჩემზე. წარმომიდგენია, რა გაოგნებული კითხულობდი მას. არ ელოდი, რომ ღმერთი ასეთ განსაცდელს მომივლენდა. მინდა შენს დასამშვიდებლად სასწრაფოდ გაცნობო ჩემი ამბები. ღმერთმა, რომელმაც დიდი დარტყმა მიაყენა ჩემს ფაქიზ გრძნობებს, მოულოდნელად შეწყვიტა ჩემი წყნარი და მშვიდი ბედნიერება, თან მოწყალებისა და დახმარების ხელიც გამომიწოდა. ძალა მომცა

² ოქტავია, ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის და.

³ დავითი, სოფიო ჭავჭავაძის ძმა – დავით ჭავჭავაძე.

ბოლომდე შევეგუებოდი მის წმინდა ნებას. უხმოდ ვემორჩილები. ფიქრი იმაზე, რომ ჩემი კეთილი და სათნო სოფიო, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ვარდებს იმკიდა, ახლა ზეცაში იმკის თავისი წმინდა, უცოდველი და ერთგულებით აღსავსე ცხოვრების ნაყოფს, ის რომ ღმერთმა თავისთან იხმო და ამით აარიდა მინიერ ტკივილს, მუდმივად თან მდევს, მიყურებს და მიამებს ტკივილს. ამ ათი დღის მანძილზე, მას აქეთ, რაც მისმა ავადმყოფობამ შემამშოთებელი სახე მიიღო, ჩემგან დაღვრილი არც ერთი წვეთი ცრემლი მწარე არ ყოფილა, მათ შვება და სულიერი სიმშვიდე მომგვარეს, რაც საოცარი იქნებოდა ამის წყარო რომ არ მცოდნოდა. კეთილო ძმაო, ჩემზე ნუ იდარდებ, თუ ფიზიკურად ცოტა დავიღალე, სულიერად სულაც არა ვარ დაღლილი. პირიქით, ღმერთთან ამდენი არასოდეს მისაუბრია, რამდენიც ამ დღეებში, როცა ეს ტკივილი მომადგა. ყველა სასულიერო ცერემონიას მშვიდად და მორჩილებით დავესწარი. სულ მამაზე ვფიქრობდი. როგორ დამინდო ღმერთმა, და-ძმა რომ მყავს. ის კი სულ მარტო იყო და ერთი სულიერიც არ გააჩნდა მისი გულისტკივილი რომ გაეზიარებინა. ღმერთმა ჩემი ტკივილის სიმძიმე იმითაც შემიმსუბუქა, რომ უმაღოქტავიასკენ მიმახედა, რომელშიც ეს საბრალო ბავშვები მზრუნველ დედას ჰპოვებენ, მე კი მათთან განშორება მომიწევს. ისინი ნაკლებად იგრძნობენ დანაკარგს, მე კი დამეხმარება მათ მიმართ ჩემი მოვალეობის აღსრულებაში. თუ ეს დარტყმა მელოდა, ღმერთი უკეთეს შემამსუბუქებელ და დამამშვიდებელ მიზეზს ვერ მომცემდა. იყოს ნება მისი! მხოლოდ მე ვიტანჯები და ამ ტანჯვას შეუძლია მიხსნას. როგორც გითხარი, ჩემი ძვირფასი ნეშტის მონრეპოში გადასვენება მინდა. ამის შესახებ მამას მივწერე და ვთხოვე ადგილი შეერჩია ლუდვიგშტეინში⁴, მეჩერთან. ნაალდგომევეს ვაპირებ პროცესიის გაგზავნას. რადგან ღამით ვერ ივლიან და ნელა მოუწევთ გადაადგილდება, ოცი დღე მაინც უნდა ვივარაუდო. ასე რომ, თითქმის ერთდროულად ჩავალთ. გოლოვინის⁵ მივწერე და ორი-სამი კვირა მონრეპოში დარჩენის ნებართვა ვთხოვე. ამ ხნის განმავლობაში, იმედია, ჩემი ძვირფასი თანამეცხედრის უკანასკნელ სამყოფელს მოვანყო, მერე კი ქვეყნის საქმეებს მივხედავ. ალბათ, გინდა გაცნობო იმ ავადმყოფობის დეტალები, ასე მოულოდნელად რომ დაიწყო და სწრაფად დასრულდა. ვერ გეტყვი, რა იყო ეს და, ვფიქრობ, ვერც ექიმები იტყვიან. მშობიარობამ წინანდებურად კარგად და ადვილად ჩაიარა. პირველი სამი დღე ყველაფერი მშვენივრად იყო. [...] მეოთხე დღეს საშინელი მასტიტი დაეწყო. სოფიო ბავშვს აწოვებდა, მაგრამ ეს საზარელ ტკივილს ჰგვრიდა და მის ნერვებზე მოქმედებდა. უნდოდა ტკივილი დაეძლია, მაგრამ პატარა სიცხემ და უძილობამ

⁴ ლუდვიგშტეინი, ადგილი მონრეპოში, სადაც ნიკოლაების საგვარეულო აკლდამა მდებარეობდა.

⁵ გოლოვინი ალექსანდრე ვასილის-ძე, პეტერბურგის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ალ. ნიკოლაის თანაკლასელი ცარსკოე სელოს ლიცეუმში.

ძალიან დაასუსტა. სამშაბათს, ცამეტში, ნაშუადღევს ოთხ საათზე, ბავშვს რომ ანოვებდა, ნერვული შეტევა დაემართა. ბევრი იტირა, თავს ვერ იკავებდა, მერე ძალა გამოეცალა, მთლად დასუსტდა, მკერდი გაუმაგრდა და იმ დღეს საშინელ ხასიათზე დადგა. სიკვდილზე მელაპარაკებოდა, მეკითხებოდა, გული თუ დაგნყდებო. ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავვარდებოდი. კიდევ უფრო მეტად რომ არ შემენუხებინა, არ უნდა მეჩვენებინა, რომ ვწუხდი. მის ასეთ მდგომარეობას ნერვებს ვაბრალებდი და ექიმებიც მიდასტურებდნენ. მეორე დღეს დამშვიდდა, თავს სუსტად, მაგრამ უკეთ გრძნობდა. ოთახში, საღაც ინვა, ძალიან ცხელოდა და სხვა ოთახში გადავიყვანეთ. ცუდი წინათგრძნობა თითქმის გაუქრა. ამაზე აღარ ლაპარაკობდა, უბრალოდ კითხულობდა, ექიმებს მისი მდგომარეობა სახიფათოდ ხომ არ მიაჩნდათ. ღამე თითქმის არ ეძინა და სიცხეც მთლად არ დანევიდა. ვწუხდი, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიყავი შემფოთებული. ხუთშაბათს, საღამოს ექვს საათზე მუცელში საშინელი სპაზმები დაენყო, რასაც ძლიერი კუჭის აშლილობა მოჰყვა, შეამცივნა და სიცხემაც აუნია. ვიმედოვნებდი, რომ ეს კარგის ნიშანი იყო, რადგან შენაცვლებითი ციებ-ციხელება ჰქონდა და მეგონა, უფრო დაექვემდებარებოდა მკურნალობას. სპაზმის სანინალმდეგო საშუალებები მისცეს; დიარეამ მთელი ღამე გასტანა და მხოლოდ პარასკევს შეუწყდა. სამწუხაროდ, სიცხე ჰქონდა და ქინაქინას ვერ აძლევდნენ. პარასკევმა უკეთ ჩაიარა. ის ღამე გავუთიე. მეორე ღამეც, შაბათი რომ თენდებოდა. სავსებით მშვიდად იყო, მეუბნებოდა, ნადიო. შიგა და შიგ ეძინა. შაბათს მთელი დღე უკეთესად იყო. სპაზმურმა ტკივილებმა უკლო და მდგომარეობა გაუუმჯობესდა. ისე რომ, საღამოს ათ საათზე, როცა ექიმები მის სანახავად მოვიდნენ, დამშვიდებულნი ჩანდნენ. უცებ, ღამის თერთმეტ საათზე ძლიერი სპაზმები დაენყო და სიცხემაც აუნია. გამოძახებული ექიმი მაშინვე მოვიდა. სპაზმების სანინალმდეგო საშუალება გაუკეთეს და მუცელი ზეთით დაუზილეს, მერე ძლიერი ოფლიანობა დაენყო, რამაც დილის ხუთ საათამდე გასტანა. ტკივილებმა უკლო, ხუთ საათზე მთლიანად შეუწყდა, სიცხეც დაუვარდა. უცებ პულსი წუთში 36-მდე შეუწელდა. ექიმმა სასწრაფოდ მოაყვანინა თავისი კოლეგა და გადანყვიტეს ქინაქინა და რალაც ტონუსის ამწევი მიეცათ კაფსულებში. ექიმმა პირველი კაფსულა ექვს საათზე მისცა და მითხრა, რომ ასეთი სისუსტე ძალიან შემაშფოთებელი იყო, მაგრამ თუ კუჭი წამალს მიიღებდა, იმედოვნებდა, რომ ძალები აღუდგებოდა. სოფიომ კაფსულა კარგად მიიღო. თითქოს თავს უკეთ გრძნობდა, რადგან თეთრეულიც გამოიცვალა და ისე მშვიდად ჩაიძინა, როგორც დიდი ხანია არ სძინებია. ცხრა საათზე ექიმი დაბრუნდა და მეორე კაფსულა მისცა. სოფიომ ორი ფინჯანი ჩაი დალია და ჩაიძინა. ექიმი კიდევ უფრო იმედიანი ჩანდა, რადგან პულსი ცოტა გამოუკეთდა. თუმცა, ისე სუსტად იყო, რომ მზერა დაუქვეითდა. თორმეტ საათზე მესამე კაფსულა მივეცით, ისევ ეძინა. დრო და დრო იღვიძებდა, მეც მცნობდა და სხვებსაც, თუმცა, მთლად კარგად არ ესმოდა რას ამბობდა, რადგან ერთხელ ქართულად დამელაპარაკა. პირველ და ორ საათს შორის როცა მივუახლოვდი, ხელები გამეყინაო, მითხრა.

შემეშინდა, კვლავ სიცხეს არ აენია, მისმა სიფერმკრთალემაც შემაშფოთა. სიცხეს არ აუნევია, მაგრამ მეტად დასუსტდა და გრძნობაზეც აღარ იყო. თუმცა, ორ საათზე ექიმები მიიღო და პასუხსაც სცემდა, მაგრამ აბნეულად. ექიმი ძალიან შეაშფოთა ასეთმა მდგომარეობამ და მითხრა სასწრაფოდ მღვდელი მოიყვანეთო. მღვდელი ნახევარ საათში მოვიდა. აგონია თითქმის დაწყებული იყო, რადგან სუნთქვა ძალიან უჭირდა, თუმცა მღვდლის კითხვებზე პასუხობდა და ზიარებაც მიიღო. იმედი აღარ იყო, სული ამოსდიოდა. ბავშვები მოვიყვანე, კიდევ ერთხელ რომ ეკოცნათ მისთვის. ვერ იცნო, გარდა მაკასი, რომელიც სანოლზე ჩამოვუსვი. მზერა მოავლო, ოდნავ გაიღიმა, „მაკული“-ო თქვა და ხელით მანიშნა, ბავშვი მომაშორეო. მერე აგონია გაგრძელდა. ყოველ წუთს ველოდი სულის ამოხდომას. მღვდელი მოვიდა და სულთმობრძავთა ლოცვა წაიკითხა. ცოტა ადრე მოსულ ქ-ნ ბაბექ გოლიცინს ეს ლოცვები უკვე წაეკითხა. სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლამ რვის ნახევრამდე გასტანა, ოღონდ სპაზმები არ განმეორებია. სავსებით მშვიდი სახე ჰქონდა, ხელები საბანზე ეწყო, მხოლოდ სუნთქვა იყო ხმაურიანი. სავარძელში ვიჯექი სანოლთან და შევცქეროდი, როგორ თანდათანობით ქრებოდა სიცოცხლე. ვერ აგინერ, რაც იმ სამი საათის განმავლობაში განვიცადე და მაშინაც, როცა სული ამოხდა. ყველაფერი სიჩუმეში ჩაიძირა, მგონი შემსუბუქება ვიგრძენი. წამოვდექი, ღიად დარჩენილი თვალები დავუხუჭე, ვემთხვიე, უკვე ცივი იყო. ერთ საათში თეთრებში ჩაცმული სასტუმრო ოთახის მაგიდაზე ესვენა. მარმარილოს ქანდაკებას ჰგავდა. სახეზე სრული სიმშვიდე აღბეჭდოდა. საღამოს პანაშვიდი გადაიხადეს. დავესწარი, მაგრამ ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. თეთრად გათენებულმა ღამემ და გადატანილმა ემოციებმა ფიზიკური ძალა გამომაცალა. თერთმეტ საათზე დაწოლილს მკვდარივით ჩამეძინა და დილის შვიდ საათამდე მეძინა. ძვირფასო მეგობარო, შეგიძლია წარმოიდგინო რა გრძნობა დამეუფლებოდა ორშაბათს რომ გავიღვიძე, რამხელა სიცარიელე, რა კაემანი გულისა. ფიქრი იმაზე, რომ ველარასოდეს ვნახავდი მის კეთილ და მშვიდ გამომეტყველებას, მუდამ მომლიმარ, ნაზ და ალერსიან სახეს, რომ ამიერიდან მარტომ უნდა ვზიდო ამ ცხოვრების, იმ საბრალო პატარა არსებების ტვირთი, რომლებიც ღმერთმა მიბოძა. ამავე დროს ისინი ჩემი დიდი ნუგეშია, მათი ღიმილი მზის შუქივით აღწევს ჩემს სულში, მახსენებს ჩემს ოჯახურ ბედნიერებას, ღმერთმა თავისი მფარველობა ნუ მოაკლოს მათ. ბავშვებმა დედის გარდაცვალება გააცნობიერეს. ნინოჩკამ, რომელიც ბუნებით ყველაზე მეტად ჰგავს დედამისს ცოტა იტირა და დილის ოთხ საათამდე არ დაუძინია. მისმა პატარა გულმა იგრძნო, რა დანაკარგიც განიცადა. მაკამაც ბევრი იტირა დაწოლისას და მეორე დღეს, როცა გაიღვიძა, დედა მოითხოვა და ატირდა. კოლიამაც ბევრი იტირა, მაგრამ ცოცხალი და მგრძნობიარე ბუნება ტირილს სწრაფად უქცევს სიცილად. თანაც, ვფიქრობ, სისხლის ყივილს მაინც თავისი უფლებები აქვს. არც ერთ მათგანს არ ესმის რა არის სიკვდილი და საწყალი პატარა მაკა დედის სადღეგრძელოს ამბობს. პატარა ოლგა კარგადაა. ძიძა უმოვნეს. იმედი მაქვს,

ივარგებს. რამხელა პრობლემაა ამ საბრალო, პატარა გოგონების გაზრდა. სამშაბათს პანაშვიდი იყო, ოთხშაბათს – დაკრძალვის ცერემონიალი. კუბო წმინდა გიორგის ეკლესიის აკლდამაში დაასვენეს.

აი, ძვირფასო მეგობარო, ასეთია ჩემი ცხოვრების სამწუხარო ფურცლის დეტალები. შენთვის მათი გაზიარებით შემსუბუქება ვიგრძენი, რადგან კარგად ვიცი, როგორ გაინტერესებს და როგორ თანამიგრძნობ ჩემს სატანჯველში. ეს ამბავი ქ-ნ ბარბ[არა]ს აცნობე. დავითს ვწერ, მაგრამ ყოველივე ამის გამეორება არ შემიძლია. ეგებ მოახერხო და ჩემი წერილის ასლი გადაუგზავნო. ძალიან ამიჩუყა გული იმ თანაგრძნობამ, რაც მთელმა საზოგადოებამ გამოიჩინა, თუმცა, სოფიო ხალხში ნაკლებად ჩნდებოდა. თავისი მოკრძალების მიუხედავად, მაინც შეძლო სიმპათიის დამსახურება. ჰქონდა რაღაც სინამდინითა და სინაზით სავსე და იმათაც კი იზიდავდა, შორიდან რომ იცნობდნენ. მის პროცესიას დიდძალი ხალხი მიჰყვებოდა. ეს იყო პატივის მიგება სათნოებისადმი. დაე, მშვიდად განისვენოს უფლის წიაღში მისმა წმინდა და მოყვარულმა სულმა, რომელსაც ამქვეყნიური მანკიერება ოდნავადაც არ შეხებია. კიდევ ისიც მანუგეშებს, რომ მუდამ ცვდილობდი ხელი შემეწყო და შემენარჩუნებინა მისი ბავშვური გულუბრყვილობა, სახეს რომ უცისკროვნებდა. მუდამ პატივს მივაგებდი იმ საგანძურს, სულში რომ ედო და ღალატი წამითაც არ გამივლია გულში. ვფიქრობ, შემიძლია ვთქვა, რომ კეთილშობილი ოჯახიდან გამოსული ბავშვი, როგორი წმინდაც გადმომცეს ჩვენი ქორწინების დღეს, ისეთივე წმინდა დავუბრუნე უფალს. ეს აზრი დიდად მანუგეშებს.

ძვირფასო მეგობარო, ამ დღეებში შენი 21 თებერვლის წერილი მივიღე. დანვრილებითი პასუხის გაცემა არ შემიძლია. მინდა მხოლოდ გითხრა, რომ სავსებით ვეთანხმები იმას, რაც იგნატ და ტრიფონ მალაკოვებთან⁶ დაკავშირებით მოიმოქმედე, რომლებიც ტყვეს ანადგურებდნენ. როგორც გინდა ისე მოიქეცი. გამოუსწორებელი ხალხია, რამდენს ვებრძოდი მათ ამ ტყის გამო. თხოვნა, მუქარა, არაფერი ჭრიდა. თანახმა ვარ ყველაფერზე, რასაც მოიმოქმედებ ...

კიევი, 7 აპრილი, 1862 წელი

ქრისტე აღსდგა, ძვირფასო მეგობარო. აღდგომის წინა შაბათ საღამოს ვინც ამ წერილის წერას და თუ აღდგომაზე ფიქრი მანუგეშებელია, ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ამქვეყნად გაეყრები და შეხვედრა მხოლოდ იმ ქვეყნადაა შესაძლებელი. წითელ პარასკევს ვეზიარე. შვება ვიგრძენი. ვილოცე, ცოდვები რომ მომეტევოს, მხოლოდ ასე შევძლებ მასთან მიახლოებას. გულდამშვიდებული წამოვდექი. მთელი ამ განსაცდელის ჟამს ღმერთმა ბევრი წყალობა მოიღო ჩემზე. მის გარეშე როგორ ვირწმუნებდი, რომ სოფიო ახლა უფრო ბედნიერია, ვიდრე ჩემთან იყო და ამაში შვებას როგორ ვნახავდი. ასე მგონია,

⁶ იგნატ და ტრიფონ მალაკოვები, ბეთანიის მკვიდრნი.

მსხვერპლს ვიღებ და უფლება არა მაქვს ვიდარდო. მან ხომ მთლიანად გაიღო თავი ჩემთვის, ჩემს ხასიათს, კაპრიზებს დაემორჩილა და სავსებით სამართლიანია, რომ ჩემი მხრივ, მეც გავიღო მსხვერპლი მისი ბედნიერებისთვის, თუმცა, ზოგჯერ კაცის სუსტი ბუნება მძლევს. ჩემი მარტოობა, უზარმაზარი პასუხისმგებლობა ბავშვების წინაშე ტვირთად მანვება და რაც უფრო მშვიდად ვუყურებ რეალობას, მით უფრო სავალალო მეჩვენება იგი. დროა საჭირო ამ ახალ ყოფას რომ შევეჩვიო. ღმერთზე ფიქრი, მასთან საუბარი ჭირს მიმსუბუქებს და მხნეობას ვიკრებ. ეს დიდი ნყალობაა. თუ არა იმედი, რომ ღმერთი დამეხმარება ბავშვების წინაშე ჩემი მოვალეობის შესრულებაში და სოფიოსაც კვლავ ვნახავ, რა მეშველებოდა? საშინელი სიცარიელე, ორმაგი ტანჯვა მის და ჩემს გამოც, მუდმივი დარდი ბავშვებზე... ოჰ, ნეტავ იმ ხალხს, რწმენა არაფრად რომ არ მიაჩნია, შეეძლოს ამის გამოცდა და გულგრილნი აღარ იქნებოდნენ. აი, ხვალ სამი კვირა სრულდება, რაც ჩემი ანგელოზი ზეცად ამალდა. მგონია მთელი საუკუნე გავიდა, თან თითქოს გუშინ იყო. რა სევდიანი აღდგომა გამითენდა. მხოლოდ ჩემს ეკლესიაში დავდივარ. საბედნიეროდ, იქ კარგი მოძღვარია, მისი ქადაგებები გულზე მხვდება. სამწუხარო ამბებთან დაკავშირებული პირველი გამომხაურებები მივიღე. ძვირფასი ოქტავია პირველი იყო, წერილში მთელი გული ჩააქსოვა, მატირა, თან დიდი სიამოვნებაც მომგვარა. გუშინ მამას წერილი მივიღე. [...] ერთი სულით ველი შენი თანაგრძნობის წერილს. ამ საშინელი მანძილის და ფოსტის ცუდი მომსახურების გამო კიდევ დიდხანს მომიწევს ლოდინი. შენი გულის გამოძახილი ძალიან მესაჭიროება. შენ ყველაზე უკეთ იცნობდი სოფიოს, ყველაზე მეტად დააფასე ის სავანძური, რაც მას გულში ჰქონდა და ერთი შეხედვით არ ჩანდა. ჩვენი დები მის სინაზეს იცნობდნენ, შენ კი ისიც იცოდი, რამხელა სიყვარული და ძალა იმალებოდა ამ სინაზის უკან. შენ ბევრჯერ ყოფილხარ ჩვენს გვერდით ან ჩვენთან ერთად, მისთვის ნამდვილი ძმა და ჩვენი პირადი ცხოვრების მესაიდუმლე იყავი. ყველაზე უკეთ შენ მოგეხსენება, რა დავკარგე. შენ კი ერთგული და დავაკლდა. თბილისს ძალიან გააოცებდა მისი სიკვდილი. მას ხომ ბავშვობიდან იცნობდნენ და უყვარდათ. იქ რომ გარდაცვლილიყო, ცხადია, იქვე დავკრძალავდი და მისი გადასვენება აზრადაც არ მომივიდოდა, მაგრამ აქ, კიევში სადაც დროებით ვიყავით და ერთი სული ჰქონდა, როდის დატოვებდა აქაურობას, სამუდამოდ როგორ დავტოვო. ეს იგივე იქნება, მისი ნეშტი ქარს რომ გავატანო. ჩემს თხოვნაზე მონრეპოში დავკრძალო, მამას პასუხი ჯერ არ მიმიღია, მაგრამ მჯერა სურვილს შემისრულებს. იქ ოჯახში მაინც იქნება და შენც ნახავ მის საფლავს. გოლოვნიმმა და ზეხმა მომწერეს, ზეხმა განსაკუთრებით თბილი წერილი. საუცხოო ადამიანია! გოლოვნიმმა შემომთავაზა ივნისამდე დავისვენო, მანყობს. ორი-სამი კვირა მონრეპოში დავრჩები და მერე შევუდგები პეტერბურგის გაყინულ ცხოვრებაში საქმიანობას. როცა ამ წერილს მიიღებ, მე უკვე მზად ვიქნები გასამგზავრებლად. ვფიქრობ, თუ დათბება, ამ თვის 25 – 30-ში წავალ. ახლა საკმაოდ ცივა და ნესტია. რა საშინელებაა ეს ჩრდილოეთი და მე მაინც მიჯაჭვული ვარ

მასთან. ამას წინათ წერილი გამოგვზავნე ვიერეგისთვის,⁷ ისიც გაიზიარებდა ჩემს დარდს. გაყიდვის შესაძლებლობაზე მივწერე, მაგრამ ლაჩინოსთან⁸ დაკავშირებით პრობლემები უნდა იყოს, ნაკვეთი, რომელზედაც სახლი და ბაღია და ისიც, სადაც სახდელია, სულ 59 დესიატინა სოფიოს საკუთრებაა და მის სახელზეა. 1850 წელს ძმისგან ცარიელი, დაუმუშავებელი მიწა მიიღო, არც სარწყავი არხი იყო, მხოლოდ ფოსტის სადგურის უბადრუკი შენობები იდგა. მინდოდა ამ ქონებისთვის მისი სახელი შემენარჩუნებინა და მთელი ჩემი შემოსავალი ჩავდე, რადგან ყველაფერი მე გავაკეთე. რას წარმოვიდგენდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს პრობლემები შემექმნებოდა. კანონის თანახმად დედის ქონება ბავშვებს ეკუთვნის, მამა კი მხოლოდ მეურვეა. მეურვედ „ოპეკამ“ უნდა გალიაროს და შენც ანგარიში უნდა ჩააბარო ხოლმე. სენატის ნებართვის გარეშე გაყიდვის უფლება არა მაქვს, ხელ-ფეხი შემეკრა. მეურვედ რომ დავინიშნო, აღწერაა გასაკეთებელი. რა ვქნა, როგორ აღვწერო ცალ-ცალკე მიწა და ყველაფერი, რაც იქაა და რაც ჩემი საკუთრებაა. გთხოვ, ამის შესახებ ორლოვსკის და ბარანოვსკის დაელაპარაკო ...

კიევი, 25 აპრილი, 1862

ძვირფასო მეგობარო, აი ჩემი უკანასკნელი წერილი კიევიდან. ვერ ვიტყვი, რომ ვნანობ, არც იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ აქაურობის დატოვებით. ასეთია კაცის გული. ერთი მხრივ, ერთი სული მაქვს როდის გავეცლები ამ ბინას, სადაც ყოველი ნივთი, ყოველი კუთხე ჩემს ბედნიერ წარსულს მაგონებს, მეორე მხრივ კი, ფიქრი იმაზე, რომ ჩემს პეტერბურგში დამკვიდრებას ჩემი ქვრივობის სამწუხარო მდგომარეობის ტკივილიც ახლავს... აქ რალაც ილუზიებით ვცხოვრობდი, ზოგჯერ ახლაც მგონია, რომ ეს დროებითი განშორებაა და მიჭირს იმის დაშვება, რომ აქ, მიწაზე ვარ. ვფიქრობ, კიევის დატოვება მაინც სევდიანი იქნება. სამუდამოდ დავემშვიდობები განვლილ ცხოვრებას, მე ის აქ დავმარხე. დღისით, როცა საქმეებში ვარ ჩაფლული და ამდენი ხალხი მიდი-მოდის, გაბრუებული და გათიშული ვარ. მაგრამ, სალამოს, როცა მარტო ვრჩები და ჩაის დრო დგება, მისი სათნო სახე, ბედნიერების საათები მაგონდება. შეურაცხყოფელად მარტოსული ვარ. კითხვა არ შემიძლია, დაბნეული ვარ და ფიქრით წარსულში გადავდივარ. მხოლოდ წერილების წერა შემიძლია, ისიც იმიტომ, რომ როცა ვწერ, თითქოს საკუთარ თავს ვესაუბრები. აჰ, ჩემო კეთილო მეგობარო, ახლალა შევიგრძენი ბოლომდე, რამხელა ადგილი ეჭირა ჩემს ცხოვრებაში ამ ძვირფას ქალსა და ოჯახურ ცხოვრებას. თუ მაშინაც

⁷ ვიერეგი, ლაჩინოს (ლოჭინის) მამულის ზედამხედველი.

⁸ ლაჩინო, იგულისხმება ლოჭინი (გარდაბნის რ-ნი). მამული, რომელიც სოფიომ მზითევში მიიღო, შემდეგ კი ალ. ნიკოლაიმ გააფართოვა და კეთილმოაწყო. ლოჭინში მათ ოჯახს მეურნეობა ჰქონდა.

ხშირად ვიყავი მარტო, ჩემს კაბინეტში, გულს მუდამ რალაც მითბობდა. ახლა ყველაფერი ისეთი ცივი და უხეშია. ვინ იცის, ეგებ შენ უფრო ბედნიერი ხარ, ქორწინების სიტყბო რომ არ განგიცდია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მტკივნეული მოგონებაა, მასთან განშორება არ მინდა. ბავშვები დიდი შვებაა, კიდევ უფრო მომეჯაჭვნენ, ვერ კი გაუგიათ რატომ. ამავე დროს დიდი საფიქრელი და საზრუნავიც არიან. ძალიან მანუხებს ფიქრი მათ მომავალ განათლებაზე, რა მოუვათ, მანამდე რომ მოვკვდე, ვიდრე ფეხზე დადგებიან. მას შემდეგ, რაც სოფიო ასე უეცრად გარდაიცვალა, ასე მგონია რომ სიცოცხლე ბენვზე ჰკიდია. რომ არა ღმერთზე ფიქრი, რა დამიბრუნებდა სიმშვიდეს. იგი არ მიატოვებს ამ უცოდველ, საბრალო ბავშვებს, რადგან მათი არც გამოცდა და არც დასჯა არ ჰქონია განზრახული. კეთილო მეგობარო, ყველაფერი რომ გითხრა რასაც ვფიქრობ, ქალაღი არ მეყოფა. მაშ, ვამთავრებ. დანარჩენს თავად მიხვდები. ღმერთი ყველაფერს იღონებს უკეთესობისათვის.

შენი 28 მარტის წერილი მივიღე, პატარა ოლგას დაბადების მოლოცვით. ხომ წარმოგიდგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე სიხარულითა და იმედებით სავსე შენი წერილი. ამ წერილს რომ წერდი, სოფიო უკვე ათი დღეა ამქვეყნად აღარ იყო. [...]მონრეპოში ყოფნა, ვფიქრობ, ერთი მხრივ დამასვენებს, მეორე მხრივ კი ბავშვების გამო ვნერვიულობ. ვშიშობ, მამას გააოცებს მათი მხიარულება და უზრუნველობა. მაგრამ, განა შეიძლება კი სხვაგვარად, ეს ხომ მათი ასაკის ბედნიერებაა. პასუხს რომ მომწერ, არ დაგავინყდეს, რომ მას მონრეპოში მივიღებ. იმედია, კარგად მოგზაურობ, იქნებ წინანდალშიც ჩახვიდე. მომწერე როგორ არიან, დავითი რას შვრება. მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო. გეხვევი შენდამი ერთგულებით სავსე გულით. აი, დასრულდა ჩემი ცხოვრების კიევიური ეპიზოდი, დასრულდა საკმაოდ სევდიანად. ღმერთი დამიფარავს მომავალში. მასზე ვარ მინდობილი. მოკითხვა [...], კოლაბოვს, ზადალინსკის და ყველას, ვისაც ვახსოვარ. ღმერთი გფარავდეს.

პეტერბურგი, 7 მაისი, 1862

ძვირფასო მეგობარო, გუშინ დილას 7 საათზე ჩამოვედი და ჩემი წვრილფეხობაც მშვიდობიანად ჩამოვიყვანე. გზაში ღმერთი გფარავდა, ისე სწრაფად და ადვილად ჩამოვედით, ვერც წარმოგიდგენდი. როსტოვში საგანგებოდ ჩავედით შაბათ საღამოს, შვიდის ნახევარზე, ცხრისნახევრიან მატარებელს რომ გამოვყოლოდით, რომელმაც აქ დილის შვიდი საათისთვის ჩამოგვიყვანა. ოქტავია სადგურში დაგვხვდა. ჩვენი ჩამოსვლის შესახებ ფსკოვიდან ტელეგრაფით ვაცნობე. კარგად წარმოგიდგენ, რა განცდაც გვექონდა შეხვედრისას. ჩემთვის ეს შეხვედრა მტანჯველი გრძნობებით სავსე ნამდვილი შვება იყო, ძვირფასი დის გვერდით რომ განვიცადე. იმ გულის ფეთქვა ვიგრძენი, ასე ძალუმად რომ ეხმიანება ჩემსას. მასთან შენი ორი, 11 და 18 აპრილის ამაღელვებელი და თბილი წერილები დამხვდა, შენი გულის პირველი გამოძახილი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რაც

მათი კითხვისას განვიცადე. ყველაფერი თვალწინ დამიდგა. ბედნიერი წარსული კავკასიაში, სამწუხარო ცვლილებები კიევში. ვკითხულობდი და ვტიროდი, კვლავ ვკითხულობ და ცრემლი მდის. ჩემი გულის ჭრილობა ჯერაც სისხლმდენია, ჯერაც მესაჭიროება ღვთის შეწევნა, გაღებულ მსხვერპლს ბოლომდე რომ შევეგუო. ყოველ ფიქრს, რომელიც იმ საშინელი წუთებისკენ, ნამდვილი ჯოჯოხეთისკენ მაბრუნებს, ჯერ კიდევ ღონემიხდილი და ისეთივე აღელვებული ვხვდები, როგორც პირველ წუთებში ვიყავი. შესაძლოა მეტადაც, რადგან მგონია, რომ დრო მხოლოდ აძლიერებს ჩემს ტკივილს. მაგრამ, რადგან ღმერთმა განსაცდელის უამს დამიფარა, კვლავაც არ მიმატოვებს და ჩემი მორჩილება მისი წმინდა ნების მიმართ არ შენელებს. ამ დღეებში დედას წერილებს ვკითხულობდი, სიკვდილის წინ რომ დანერა. ასე მგონია, ისინი ჩემთვისაა დანერილი, დიდ შვებას მგვრის. ძვირფასო მეგობარო, გმადლობთ შენი ძმური და დიდი თანაგრძნობისთვის. ამას არც გავუოცებია. წინდანინვე დარწმუნებული ვიყავი ამაში. მიუხედავად ამისა, მოუთმენლად ველოდი შენს პირველ წერილს. იგი ძალიან მესაჭიროებოდა. ძალიან მესიამოვნა თბილისლების თანაგრძნობა. ცხადია, ის განსვენებულ ანგელოზს ეკუთვნის, რომელმაც ყველგან უბინო სინაზის კვალი დატოვა, მაგრამ მეც ძალიან მესიამოვნა. გულითადი მადლობა გადაეცი ყველას, ვინც ასე თანამიგრძნო ჩემს მწუხარებაში. გადაეცი, რომ ჩემი გული სამუდამოდ დაუკავშირდა მაგ ქვეყანას, რომელმაც ცხოვრებაში ყველაზე დიდი ბედნიერება მომანიჭა. ეკატერინე] სივრიჩს გადაეცი, რომ მადლობელი ვარ მონრეპოდან გამოგზავნილი წერილისთვის. ამ დღეებში, სანამ ქალაქში ვიქნები, ისეთი დაკავებული ვარ, რომ მისაწერად დრო არ მექნება. ახლა სკოლაში ვარ, ოღონდ ხვალ დილაზე, რადგან ჩემი ეტლები და ბარგი ამ საღამოს ჩამოვა და ხვალ დენიჩთან გადავალ. ჩვენი მონრეპოში გამგზავრების დღე გადანყვეტილი არაა, საბრალო სოფიოს ნეშტის ჩამოსვენებაზე დამოკიდებული. კიევიდან 3-ში უნდა გამოსულიყვნენ. ვფიქრობ, 12-ში საღამოს აქ იქნებიან და მაშინ მონრეპოში 13-ში წავალთ, რომ ჩავასწროთ. ოქტავიას ვთხოვე ალექსანდროვსკისთვის⁹ სოფიოს ფოტოები შეეკვეთა ბოლო სურათის მიხედვით, შარშან რომ გადაიღო. ვფიქრობ, ყველაზე კარგი სურათია, მაგრამ ნეგატივი დაუკარგავთ, კვალაც არსად ჩანს, ძალიან ვწუხვარ. ჰქენი სიკეთე და მიდი თბილისელ ფოტოგრაფთან, რომელმაც შენი უკანასკნელი ფოტოები გადაიღო. ეგებ, სოფიოს ფოტოების ნეგატივი შემოინახა. წამოსვლის წინ გადაიღო სურათი. იმედი მაქვს, მოიძებნება. თუ არ დაუკარგავს, 24 ცალი გააკეთებინე და გამომიგზავნე. [...] ქ-ნ ბარბ[არა]ს უთხარი, რომ შევცდი, ოთხ ხელ სამოსს რომ დავპირდი წმ. დავითის ეკლესიისთვის სოფიოს გარდერობიდან. თბილისში სამს გამოვავზავნი, ოთხს კახეთში. თანახმა ვარ ერთი ხელი წმ. გიორგის ეკლესიას გადასცენ, მითუმეტეს, რომ განსასვენებელი წირვა იქ ჩატარდა. ჩემგან დიდი მადლობა მოახ-

⁹ ალექსანდროვსკი, პეტერბურგელი ფოტოგრაფი.

სენე ზრუნვისთვის, რომ ყოველგვარი ცერემონიალი ჩატარებულიყო. კიევის წმ. სოფიოს ტაძარში სოფიოს სამარადუამოდ მოიხსენიებენ ...

მონრეპო, 17 მაისი, 1862

ჩემო კარგო და ძვირფასო მეგობარო, აი, უკვე აქა ვარ და კარგად გაიგებ, რაც აქ ჩამოსვლით განვიცადე. ეს პირველი ადგილია, რომელმაც მძაფრად გამახსენა წარსული. აქ, სადაც არაფერი იცვლება, ვიგრძენი როგორ შეიცვალა ყველაფერი ჩემთვის. ვერ აგინერ როგორი სევდა მეუფლება. ასე მგონია, რომ აქ უფრო მეტად ვდარდობ, ვიდრე მაშინ, როცა კიევში სულს ლევდა. აქ ხომ მთელი ჩემი ცხოვრების მოგონებები დამხვდა. ოქტავიას ოთახებში ვცხოვრობ. თუ გახსოვს, 1853 წელს, პირველად რომ ჩამოვედით მონრეპოში, მე და სოფიო ამ ოთახებში ვცხოვრობდით. ეტლი, რომელმაც ჩამოგვიყვანა, ამ აპარტამენტის კიბეებთან შეჩერდა. გუშინნინაც, მისი კუბო ზუსტად იქვე შეჩერდა. თითქოს გუშინ იყო, მაგრამ ამ ორ დღეს მთელი საუკუნე ამორებს. მაშინ თავში ვიყავი, ახლა ბოლოში ვარ. იყოს ნება ღვთისა! თუ ეს შედარება კიდევ ერთხელ მაგონებს მის გარდაცვალებას, მეორე მხრივ, არის მასში რაღაც ტკიბილი. ეს ადგილები, რომლებიც ჩემი ბედნიერების მონმე იყო, თუ შეიძლება ითქვას, მის წარუშლელ კვალს ატარებენ. ისინი მრავლისმეტყველად მახსენებენ, რომ მართალია, ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია, მაგრამ რაღაც მაინც რჩება. ეს ღმერთი და მოგონებაა! ორშაბათ დილას ჩამოვედით; სამგლოვიარო პროცესიას პეტერბურგში ველოდი. შაბათ საღამოს ჩამოვიდა მშვიდობიანად. ორშაბათ დილას მონრეპოსკენ გზას გაუდგა. ცხენები აქ ვიქირავე და ჩემმა ივანემ¹⁰ თავად მთხოვა, ქალბატონის ნემსს მე გავყვებო. მან ბოლომდე გამირულად შეასრულა თავისი მოვალეობა. დანვრილებით არ აგინერ მამასა და სიმპლიციასთან¹¹ შეხვედრას, თავადაც წარმოიდგენ. მამასთან გულჩახვეული ვარ, რადგან ვგრძნობ და მესმის, რომ მისი სულის სიმშვიდე ღვთის წყალობაა და არ უნდა დაეუფლებო. მის ასაკს თავისი უპირატესობაც გააჩნია და კარგად მესმის, ქ-ნი ბაბეტ გოლიცინი თავის რძალზე რომ მეუბნებოდა, ასაკში განშორებას სიმძაფრე არ ახლავს, რადგან მალე უნდა შეხვდე და წასულებთან უფრო ახლოს გრძნობ თავს, ვიდრე მათთან, ვინც აქ რჩებაო. სიმპლიცია ჩემი მესაიდუმლეა და ხომ გესმის, როგორიც. იგი მზადაა გაიზიაროს და შეგიმსუბუქოს ტკივილი. ის ისე ახლოსაა ღმერთთან, რომ ჩვენც კიდევ უფრო გვაახლოებს მასთან.

საღამოს, ჩაის შემდეგ, მთელ საათს ერთად ვატარებთ და ეს საათი ჩემთვის მთელი დღის მანძილზე გამორჩეულია. კუბო სამშაბათს, დილის 7 საათზე ჩამოვიდა, მსახურებმა ბალის გავლით ლუდვიგშტეინში გადაიტანეს და დედას აკლდამაში პანაშვიდი გადაუხადეთ. ახლა, სანამ ის აკლდამა დასრულდება,

¹⁰ ივანე, ალ. ნიკოლაის ოჯახის მსახური.

¹¹ სიმპლიცია, ბარონ ალ. ნიკოლაის და.

რომელსაც მამა აკეთებინებს, ჩემი კარგი სოფიო იქ განისვენებს. ეს ადგილი იმ მეჩეჩთანაა, მის სახელს რომ ატარებს. ზღვას რომ უყურებ, ცოტა მარცხნივ. უკეთეს ადგილს ვერც შევარჩევდი; სწორედ ისეთია, როგორც მინდოდა. ჩამავალი მზე სხივებს ჰფენს და ძალიან მივარდნილი, თითქმის უხილავი კუთხეა. იმ ცხოვრების სახეა, რომელიც სხვების მზერას გაურბოდა და ბრწყინავდა არა მათთვის ან მათ გამო, არამედ მათ მიღმა და მათ გარეშე. ბავშვები დიდი სახლის აპარტამენტებში ცხოვრობენ, შესასვლელიდან მარჯვნივ. გოგონები ბაბუასთან შეხმატკბილებულები არიან. საოცარია, როგორ დაჭკვიანდა მამა. აქ ნ იენისამდე დავრჩები. [...] ალბათ, როცა ეს წერილი ჩამოვა მანგლისში იქნები; დავითისგან ჯერ არაფერი მიმიღია. ერთი სული მაქვს როდის მაცნობებ როგორ არიან. [...] მამა და სიმპლიცია მოკითხვას გითვლიან. ყველა ჯანმრთელადაა. ამინდიც კარგია. ღმერთი გფარავდეს, ჩემო ძვირფასო მეგობარო. გულით გეხვევი. ოჰ, ჩემო კეთილო მეგობარო, რა მძიმეა ჯვარი და რომ არა ღვთის შენევა, რა გვეშველებოდა! ნეტარ არიან მორწმუნენი.

მონრეპო, 31 მაისი, 1862

ძვირფასო მეგობარო, დღეს მე და მამა ვდგობდით, რომელს მოენერა; ბოლოს მე გავიმარჯვე. მამამ მთხოვა გაცნობო, რომ შემდეგი ფოსტით მოგწერს მადლობას ლაგოდებიდან და თბილისიდან გამოგზავნილი წერილებისთვის, რომელიც ამ დღით მიიღო. მე კი კმაყოფილი ვარ, რომ ასე მოეწყო და დღესვე შემიძლია გულითადი მადლობა გადაგიხადო ხან-კედიში დაწყებული 9 რიცხვის წერილისთვის, რომელიც 16-ში თბილისში დაგისრულებია და მეც დღეს მივიღე. ძალიან მესიამოვნა. ყველაფერი, რასაც შენგან ვღებულობ, ისეთი კეთილისმყოფელი და ქრისტიანული სიყვარულითაა სავსე, რომ მუდამ გულისფანცქალით ვკითხულობ. თანაც, შენ და ჩემი საბრალო სოფიო ისე ახლოს იყავით... თუ შენ მას აფასებდი და გიყვარდა, კარგად მოგეხსენება, როგორ უყვარდი მასაც. ნამდვილ ძმად მიაჩნდი და ჩვენი ქორწინებიდან მოყოლებული თქვენი ურთიერთობა სავსე იყო სიყვარულითა და გულითადობით. ეს კიდეც უფრო მაახლოებს შენთან, თუკი ასეთი რამ კიდეც შესაძლებელია, რადგან კარგად ვიცი, რომ არა მხოლოდ ჩემს გამო, მის გამოც სწუხხარ. აი, ჩემი აქ ყოფნის დრო იწურება. ერთ კვირაში პეტერბურგში ვიქნები, სრულიად მარტო, ჩემს ახალ თანამედებობაზე. ძალიან მაშინებს იმაზე ფიქრი, თუ რა მღელვარებით სავსე ცხოვრებაში მომიწევს მორჩილად გადაშვება. გაუთავებელი პრეზენტაციები, ვიზიტები, ქალაქები, რომლებიც ავსებენ დღეს და მაინც უზარმაზარ სიცარიელეს გიტოვებენ. მიუხედავად ამისა, ვგრძნობ, რომ სხვაგვარად არ შეიძლება და რომ ეს აუცილებელიცაა, რადგან არც უმოქმედობა ვარგა, არ მოგასვენებს. ყველაზე დიდ შვებას ლუდვიგშტეინში გასეირნება მანიჭებს. ვლოცულობ და მოკლე ლოცვებს ვკითხულობ ჩემი საბრალო, ძვირფასი მეგობრის აკლდამასთან. მერე ბავშვების ხილვა, რომელთა მხიარულება ერთდროულად ნუგეშსაც

მცემს და მალონებს კიდეც. ბოლოს, ძვირფასი სიმპლიცია, რომლის პატარა სენაკში, ზემოთ სრულდება ჩემი დღე. სხვა ყველაფერი უფრო მქანცავს, ვიდრე მასვენებს. რაღაც მუდმივი დაძაბულობაა. იძულებული ვარ მამას შეკითხვებზეთავი შევიკავო, მას ხომ პირადი, ყოველდღიური ინტერესების მეტი აღარაფერი აღელვებს. მეც იძულებული ვარ აქაური, ყოველდღიური ინტერესებით ვიცხოვრო. ეს ჩემგან ნამდვილი მსხვერპლის გაღება და სატანჯველია. [...].

დღეს დავითის წერილი მივიღე. ეს პირველი წერილია ჩვენი საერთო უბედურების შემდეგ. მართალია, გვიან მოვიდა, მაგრამ გულზე მომხვდა და ამალელვა თავისი მწვავე ტკივილით. ერთ ფაქტზე მწერს, რომელიც არ ვიცოდი. როგორი აღელვებული ყოფილა სოფიო, როცა მას დამშვიდობებია შარშან. თითქოს გრძნობდა, რომ უკანასკნელად მხედავდაო. ჩემთან ამაზე ხმა არასოდეს ამოუღია და არ დასცდენია რა უღირდა თავისი ქვეყნის დატოვება! სანყალი ქალი! ნეტა შემძლებოდა და ეს განშორება ამერიდებინა მისთვის! რასაც ქ-ნი ბარბ[არა]ს ავადმყოფობაზე მწერ, ძალიან მენყინა. საბრალო ქალი, რამდენი ტანჯვა და განსაცდელი გამოიარა. რა სწორია თავადი [...], როცა მწერს, რომ ზოგჯერ სიკვდილი სიცოცხლეზე ადვილია. სოფიოს წასვლამ სიკვდილი გამიადვილა. [...] ბავშვები კარგად არიან. რამდენადაც ცივი და ღრუბლიანი ამინდი ამის საშუალებას იძლევა, სუფთა ჰაერზე არიან და ბევრს მოძრაობენ. ბაბუასთან შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ, კოლიასაც კი, რასაც არ ველოდი. რადგან მალე უნდა გავემგზავრო, ერთ აქაურ ქალს მოველაპარაკე, ყოველ დილას მოვა და კოლიას 2 საათი ამეცადინებს, ამით ნინოჩკაც ისარგებლებს. ალბათ გესმის, როგორ მიჭირს ბავშვებთან განშორება, მაგრამ რადგან ეს მათსავე ინტერესებშია, საყოყმანო არაფერია. სანყალი ბავშვები პირველად რჩებიან უდემდამოდ, ღმერთი ჰფარავდეთ. ძვირფასო მეგობარო, გულით გეხვევი ჩემი და სიმპლიციას სახელით. ხომ იცი, როგორ გვიყვარხარ ორივეს. მოიკითხე სივრიჩი. კინალამ დამავინყდა მადლობა მეთქვა ლაგოდეხიდან გამოგზავნილი წერილისა და იმ დეტალებისთვის, წინანდალში ყოფნასთან დაკავშირებით რომ მატყობინებ. დავითი მწერს, რომ ესია მოვნა შენი სტუმრობა ...

პეტერბურგი, 8 ივნისი, 1862

... ახლა ჩემი დაბინავებით ვარ დაკავებული და მომავალშიც არ მექნება ბედნიერება, რომ ჩემს სანყალ სოფიოს ვასიამოვნო კონფორტული ინტერიერთ. რას იზამ, ღმერთმა ასე ინება. ძალიან მსიამოვნებდა ყოველდღიური სევდიანი გასეირნება ლუდვიგშტეინში. აქ ხმაურით გაბრუებული ვარ. სანყალი ბავშვები პირველად დარჩნენ მარტო უდემდამოდ, მაგრამ მათზე მშვიდად ვარ, რადგან სიმპლიციას ხელში მეგულებიან ...

Tsisana Bibileishvili

**EVIDENCE ON THE DEATH OF SOPIO CHAVCHAVADZE
(ACCORDING TO THE FRENCH-LANGUAGE ARCHIVE
OF BARON NICOLAI)**

SUMMARY

The Georgian translation of letters in the French-language archive of Baron Nicolai, preserved at the K. Kekelidze Institute of Manuscripts, dealing with the death of Alexandre Chavchavadze's youngest daughter Sopio on 18 March, 1862 in Kiev, is published in the paper.

მერი ფოფხაქი

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ქალები¹

ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისა

ალექსანდრა ორბელიანი დაიბადა 1836 წელს², ცნობილ ქართულ არისტოკრატიულ ოჯახში. მისი მამა – მამუკა (რუსული წყაროები მას მაკარ ფომინად მოიხსენიებენ – მ.ფ.) თამაზ ორბელიანისა და ქეთევან ქობულაშვილის მეორე ვაჟი იყო, ერეკლე მეორის დის, ბატონიშვილ ანას შვილთაშვილი, დედა კი სენატორ გიორგი ერისთავისა და გიორგი XII-ის ასულის, გაიანეს ქალიშვილი – ქეთევანი.

ალექსანდრა ორბელიანი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალბატონი იყო, ქართულ და ევროპულ ტრადიციებზე აღზრდილი, განათლებული, შესანიშნავი გარეგნობის. 1854 წელს იგი ცოლად გაჰყვა ცნობილ სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეს ლევან მელიქიშვილს. ქართველი საზოგადოება ლევან მელიქიშვილს იცნობს, უპირველეს ყოვლისა, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოეს მეგობარს, ულამაზესი და უკეთილშობილესი მაიკო ორბელიანის საქმროს.

თანამედროვეთა გადმოცემით, ალექსანდრა ორბელიანი საკმაოდ ლამაზი ქალბატონი ყოფილა. მასზე უზომოდ ყოფილა შეყვარებული ილიკო (ილია) ორბელიანი, თუმცა მათი ქორწინება არ შედგა. ნიკოლოზ ბარათაშვილი 1843 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში გრიგოლ ორბელიანს³ წერს, რომ „ილია კარგად არის, პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა და წარდგენილია არმიასი. ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სი-

¹ წინამდებარე პუბლიკაცია ნაწილია წერილთა სერიისა, რომელთაც ავტორი უძღვნის XIX საუკუნის ცნობილ ქართველ ქალებს.

² Станислав Думин, *Петрь Гребельский*, *Дворянские роды Россииской империи*, т. 4., с. 174.

³ ნიკოლოზ ბარათაშვილი, *თხზულებანი*, თბილისი, 1968, გვ. 183.



ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისა
(პ. წერეთლის კოლექცია, № 356)



ლევან მელიქიშვილი (პ. წერეთლის
კოლექცია, № 47)

ყვარული, დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს“. წერილის კომენტარების ავტორი გიორგი ლეონიძე შენიშნავს: „რაც შეეხება ილიას „სიყვარულს“, იგი იმხანად მამუკა ორბელიანის ქალის ალექსანდრას შერთვას აპირებდა“⁴. ვფიქრობთ, რომ გარკვეული შეუსაბამობაა ალექსანდრა ორბელიანის დაბადების თარიღსა და გიორგი ლეონიძის კომენტარში მოცემულ ცნობას შორის. თუ სწორია ის ვერსია, რომ ალექსანდრა ორბელიანი 1836 წელს დაიბადა, მაშინ 1843 წელს, როდესაც იგი მხოლოდ 7 წლის იქნებოდა, მას ილია ორბელიანი ცოლად ვერაფრით ვერ შეერთავდა. შეიძლება სწორი არ იყოს გიორგი ლეონიძის კომენტარში დაცული ცნობა.

ალექსანდრა ორბელიანსა და ლევან მელიქიშვილს შესანიშნავი, მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდათ, ჰყავდათ რვა შვილი, ხუთი ვაჟი და სამი ქალი. ლევან მელიქიშვილს ჰყავდა კიდევ ერთი ვაჟი მაიკო ორბელიანისაგან. მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის ვაჟი ივანე (ვანო) 1843 წლის 27 მარტს დაიბადა. იგი დედასთან არ იზრდებოდა, რადგან ბავშვის დაბადების შემდეგ მორალურად განადგურებული მაიკო ორბელიანი ტუბერკულოზით დაავადდა და 1851 წელს გარდაიცვალა.

დაქორწინების შემდეგ ლევან მელიქიშვილმა და ალექსანდრა ორბელიანმა მაიკოს ვაჟი იშვილეს და თავის პირმშოს, უფროსი ძმის სახელი – ვანო უწოდეს. ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი თავის „მოგონებებში ლევან მელიქიშვილზე“⁵ წერს: „ალექსანდრა მაკაროვნამ პატარა ვანო იშვილა და თავის შვილებში არ არჩევდა, თავის საკუთარ შვილსაც ვანო დაარქვა, თუმცა ბევრი განსხვავება იყო პირველ და მეორე ვანოში. პირველი მშვენიერი ყმაწვილი კაცი იყო, ხოლო მეორე უსახური, უხასიათო და მსმელი“. როგორც ირკვევა, მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის ვაჟი, მართლაც, ყოველმხრივ გამორჩეული ახალგაზრდა ყოფილა. იგი სამხედრო სამსახურში შევიდა და წარმატებებსაც მიაღწია. მის შესახებ უაღრესად საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ცნობილი რუსი სახელმწიფო მოღვაწე, არქეოგრაფი ევგენი გუსტავის ძე ვეიდენბაუმი⁶: მისი ცნობით, რუსეთ-თურქეთის ომის დროს ვანო მელიქიშვილი ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ ბატალიონს, რომელიც 1877 წელს ყარსის ალებაში მონაწილეობდა. მან ბრწყინვალედ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, აიღო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფორტი სუვარი, მაგრამ მეორე ფორტის, ჩიბუს ალებისას მძიმედ დაიჭრა და 1877 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა. ფორტ სუვარის ალებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყარსის ალებისათვის, რომ ვანო მელიქიშვილის საპატივცემულოდ შემდგომში მას „Князь Меликов“-ი უწოდეს. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა სხვა მა-

⁴ ნ. ბარათაშვილი, გვ. 211.

⁵ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი 13481-ბ.

⁶ ხეც, ე. გ. ვეიდენბაუმის კარტოთეკა.

სალა, რომელიც ასევე დაადასტურებდა ამ ფაქტის არსებობას, თუმცა ისეთი რანგის სახელმწიფო მოღვაწის ინფორმაცია, როგორც იყო ე. ვეიდენბაუმი, ჩვენში ეჭვს არ იწვევს. როგორც ჩანს, ვანო მელიქიშვილი ისეთივე ტრაგიკული ბედის აღმოჩნდა, როგორც მისი დედა, მაიკო ორბელიანი. ვანო მელიქიშვილი გარდაიცვალა 34 წლის ასაკში, არ ჰქონდა ოჯახი.

ალექსანდრა ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის ვაჟები ასევე სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ და საკმაო წარმატებებსაც მიაღწიეს. საზოგადოებაში დიდი წარმატებით სარგებლობდნენ მათი ქალიშვილებიც: მაია (მარია), ნინო და სოფიო.

ალექსანდრა ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის ოჯახი ერთ-ერთ თვალსაჩინო ოჯახს წარმოადგენდა საქართველოში არა მარტო წარმომავლობით, არამედ ამ უკანასკნელის მაღალი თანამდებობრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობითაც. ლევან მელიქიშვილი იყო კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი. მათ სახლში, ეს იქნებოდა თბილისში, თუ ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ თემირ-ხან-შურაში, სადაც ოჯახს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უხდებოდა ცხოვრება, თავს იყრიდა რჩეული საზოგადოება. ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი თავის „მოგონებებში“⁷ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ალექსანდრა მაკაროვნა დიდი მიძღები, დიდი კეთილი და პურმარილიანი ბრძანდებოდა“.

ალექსანდრა ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის ოჯახში, თემირ-ხან-შურაში, 1858 წელს სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი ფრანგი რომანისტი ალექსანდრე დიუმა. „კავკასიაში“ იგი აგვიწერს მელიქიშვილების ოჯახში სტუმრობას, შეხვედრას კავკასიურ სამოსში გამოწყობილ პატარა გიორგი მელიქიშვილთან⁸: *„Ему не было еще и двух лет, а он уже свободно вынимал кинжал, чтобы показать клинок с клеймом знаменитого Муртазада, имя которого ребенок произносил с гордостью. Французская мать упала бы в обморок, видя такое оружие в руках дитяти, которое едва способно произносить «папа» и «мама». Княгиня же Меликова улыбалась и сама говорила ему: покажи свой кинжал, Георгий“*.

ალექსანდრე დიუმა აქ ხაზგასმით საუბრობს ბავშვის აღზრდისადმი ფრანგი და ქართველი დედების, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ მიდგომაზე, ამკარად იკვეთება მისი სიმპათია ქართველი დედის მიმართ.

მიუხედავად უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველო თავისი ბუნებით, უძველესი ისტორიითა და კულტურით ყოველთვის იპყრობდა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის მიერ კავკასიის, კერძოდ, საქართველოს

⁷ გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, 13481-ბ.

⁸ Александр Дюма, *Кавказ*, Тбилиси, 1988, с. 144.



მია მელიქიშვილი-კრუზენშტერნისა,
სოფიო მელიქიშვილი-ერისთავისა,
ნინო მელიქიშვილი-თუმანიშვილისა
(ვ. გელოვანის კოლექცია, № 136;
№ 20; № 137).

დაპყრობის შემდეგ. საქართველოში გაიხსნა უცხო ქვეყნების საკონსულოები, გადმოასახლეს დეკაბრისტების ერთი ნაწილი. აქ ჩამოდიოდნენ იმ დროის რუსეთის საუკეთესო შვილები: ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი, ალ. გრიბოედოვი, გრ. გაგარინი და სხვები და სხვები, რომლებსაც ქართველი ხალხი უდიდესი პატივითა და წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა, რაც ბევრ მათგანს ასე აკლდა თავის სამშობლოში. მათთვის გაიღო ყველა საუკეთესო ქართული ოჯახის კარი. ინტერესი კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ ძალზედ ძლიერი იყო თვით რუსეთის საიმპერატორო სახლის წევრებს შორისაც. რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს არაერთი მონარქი ესტუმრა, კერძოდ, ნიკოლოზ I, ალექსანდრე II. ეს ინტერესი განსაკუთრებული აღმოჩნდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველოს რუსეთის საიმპერატორო სახლი თითქმის მთელი შემადგენლობით ესტუმრა: იმპერატორი ალექსანდრე III, იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნა, ტახტის მემკვიდრე, მომავალი იმპერატორი ნიკოლოზ II, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე და მათი ოჯახის ახლობლები დიდი ამალით. ეს იყო სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა თვით რუსეთის სამეფო სახლის ისტორიაში. ცნობილმა ისტორიკოსმა პოტტომ, რომელიც თან ახლდა საიმპერატორო სახლს, სპეციალური პუბლიკაციებიც კი გამოაქვეყნა⁹. ვფიქრობთ, ამ სტუმრობის ზოგიერთი დეტალის გაცნობა საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის.

რუსეთის საიმპერატორო სახლის საქართველოში სტუმრობა 1888 წლის 24 სექტემბერს აფხაზეთით დაიწყო, როცა სამეფო იახტა „Москва“ ნოვოროსიიდან ახალ ათონს მიადგა. იმპერატორსა და მის ოჯახს გენერალ-მაიორი გრიგოლ ალექსანდრეს ძე შერვაშიძე მეუღლესთან – ალათა ელიზბარის ასულ დადიანთან ერთად შეეგება. თავადის მეუღლემ ულამაზესი ყვავილების თაიგული მიართვა იმპერატრიცას და სტუმრებს აფხაზეთის ქალების სახელით ქართულად მიესალმა: *Позвольте Всемилостивейшая Государыня от лица абхазских и самурзаканских жень и матерей приветствовать Вашъ приездъ и подвергнуть къ стопамъ Вашего Величества чувства безпредельной преданности къ Вамъ и Вашему Августейшему семейству*¹⁰.

საყურადღებო ამ ინფორმაციაში არის ის, რომ რუსეთის იმპერატრიცას აფხაზი ქალბატონების სახელით მიმართავს ქართველი ქალი და მიმართავს ქართულად. კიდევ უფრო მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყოველივე ამას სრულიად ბუნებრივად იღებს საიმპერატორო ოჯახი და ასევე ისტორიკოსი, რომელიც საგანგებოდ ახლავს მაღალ სტუმრებს და სპეციალურ მასალას უძღვნის ამ მოგზაურობას. საინტერესო მასალებს გვანვდის პოტტო სამპერატორო ოჯახის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აფხაზეთი, აჭარა, კახეთი,

⁹ *Царская семья на Кавказе, 1888*, составлено полковником Потто, Тифлис, 1889

¹⁰ იქვე, 93.

ბორჯომის ხეობა და სხვ.) მოგზაურობის შესახებ, მაგრამ ჩვენ შევჩერდებით თბილისზე, რადგან ეს იყო თავისი დიდი მნიშვნელობითა და მაღალი კულტურით სრულიად გამორჩეული შეხვედრა, კერძოდ იმიტომაც, რომ ის უკავშირდება მელიქიშვილების ოჯახს.

იმპერატორი ალექსანდრე III და მისი ამაღლა თბილისში 1888 წლის 28 სექტემბერს, დილის 10 საათზე ჩამოვიდა, მათ საოცარი შეხვედრა მოუწყეს. მთელი ქალაქი საგანგებოდ იყო განათებული, ათასობით ადამიანი დილიდან საღამომდე იდგა ქუჩაში და ელოდა მათ გამოჩენას. თავადაზნაურობის წინამძღოლის, თავად ბაგრატიონ-მუხრანელის ფართო, სამსართულიანი სასახლე, სადაც მათი უდიდებულესობის საპატივცემულო მიღება იყო დანიშნული, შემდგენიარადაა აღწერილი: ... *весь дом был иллюминирован и представлял собою нечто в роде волшебного замка, ... где изящество прихотливого Востока и тончайшее искусство Запада, смешавшись в туалетах дам и мужчин, кажется, оспаривали первенство друг у друга. Художник с самым изысканным вкусом не сумел бы разобратся среди этой массы кружев, лент, золота и драгоценных камней*¹¹.

იმპერატორი მეფლისზე სენატორ გიორგი ერისთავისა და ბატონიშვილ გაიანეს (გიორგი XII-ის ასული) – ქეთევან ორბელიანთან, იმპერატრიცა – თავად ბაგრატიონ-მუხრანელთან, ხოლო ტახტის მემკვიდრე – ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილთან ერთად მივიდნენ. სუფრასთანაც ისინი ასეთივე შემადგენლობით იმყოფებოდნენ. თბილისის ცნობილმა ქალბატონებმა: მაღალაშვილმა, მელიქიშვილმა, ჭავჭავაძემ, ბაგრატიონ-მუხრანელმა და სხვებმა იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას ვერცხლის მაყალი და შამფურები მიართვეს, ხოლო ალექსანდრა მელიქიშვილის ქალიშვილმა ნინომ საქართველოში არსებული მცენარეების თესვებისაგან მისივე ხელით აწყობილი ულამაზესი მოზაიკის თაიგული, რომელმაც პოეტოს თქმით: ... *по своей оригинальности обратила на себя обшее внимание*¹².

ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა იონა მეუნარგიამ და გიორგი ქართველიშვილმა მათ უდიდებულესობას მ. ზიჩის ნახატებით დამშვენებული „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე შესრულებული ახალი გამოცემა მიართვეს¹³.

იმპერატორმა გულუხვად დააჯილდოვა რჩეული ქართული საზოგადოება, მათ შორის ქალბატონები. ქეთევან ჯამბაკურ-ორბელიანსა და ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისას გადაეცათ ნმინდა მთავარ-მონამის ეკატერინეს პატარა ჯვრის ორდენები, ხოლო თავადის ასულები: მარიამ სუმბათაშვილი, ნინო

¹¹ Царская семья на Кавказе, с. 135.

¹² იქვე, 137.

¹³ იქვე, с. 155.

მელიქიშვილი, ელენე, შერვაშიძე და ნინო ჩოლოყაშვილი გახდნენ იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას ფრეილინები.¹⁴

ჩვენი აზრით, ნინო ჩოლოყაშვილი უნდა იყოს, კახეთში ყველასათვის ცნობილი და პატივცემული იმ მოხუცი ქალბატონის, ჩოლოყაშვილის ოჯახის წევრი, რომელიც პარალიზებული, სავარძელზე მიჯაჭვული ჩამოიყვანეს ახმეტიდან წინანდალში, რათა საკუთარი თვალით ენახა იმპერატორი და მისი ოჯახი და რომელიც ... *целюя руки Императрицы, благословила Великих Князей, повторяя, что теперь умереть спокойно*¹⁵.

რაც შეეხება მარიამ მიხეილის ასულ სუმბათაშვილს, იგი ის ქართველი ქალბატონი იყო, რომელმაც იმპერატორ ნიკოლოზ II –ის მეფედ კურთხევის ცერემონიაზე თავისი სილამაზით გააოცა იქ დამსწრე ბრწყინვალე საზოგადოება¹⁶.

ასე ვრცლად იმიტომ ვისაუბრეთ იმპერატორ ალექსანდრე მესამისა და მისი ოჯახის საქართველოში ყოფნის შესახებ, მათი სტუმრობის დეტალებზე, რომ დაინტერესებულ მკითხველს, შეძლებისდაგვარად დავანახოთ ის განწყობა, რომელიც სუფევდა იმდროინდელ საქართველოში, რაოდენი სითბოთი და იმედიოთ ხვდებოდა რუსეთის საიმპერატორო კარის წარმომადგენლებს ქართველი ხალხი. ამავე დროს გვეჩვენებინა ის, რაც ასე იზიდავდა ქართველ არისტოკრატისა და რამაც ბევრ რამეზე ათქმევინა მათ უარი და რასაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისა, როგორც ეს იმ დროს იყო მიღებული მაღალ საზოგადოებაში, ჩაბმული იყო საქველმოქმედო საქმიანობაში. იგი იყო იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას მფარველობის ქვეშ მყოფი ალექსანდრეს სახელობის თბილისის ბავშვთა თავშესაფრის მზრუნველთა საბჭოს წევრი. ეს თავშესაფარი თბილისში 1882 წელს დაარსდა, იგი მდებარეობდა ეროლოვის ქუჩაზე, წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის გვერდით. როგორც ჩანს, ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისა უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქველმოქმედო საქმიანობას. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კირიონ საძაგლიშვილის ფონდში დაცულია ალექსანდრა მელიქიშვილის 1906 წლის 12 სექტემბრით დათარიღებული წერილი¹⁷ მისი უწმინდესობისადმი, რომელშიც იგი მთაწმინდის სკოლის სახელით მადლობას უხდის მას განუული დახმარებისათვის. მოვიყვანთ ამ წერილს სრულად: *„გთხოვთ მიიღოთ, კეთილო მწყემსთა მთავარო, ჩემგან, მასწავლებელთაგან, სკოლის მსახურთაგან გულითადი მადლობა და ბავშვებისაგან, რომელთაც მიეცათ დაწყებითი სწავლის მიღების საშუალება ამ თორმეტის წლის განმავლობაში და კვლავაც მიეცემათ. გთხოვთ თქვენს ლოც-*

¹⁴ *Кавказский Календарь на 1889 г.*, с. 53.

¹⁵ *Царская семья на Кавказе*, с. 169.

¹⁶ ნიკო ბაგრატიონი, *ბურებთან*, თბილისი, 1990, გვ. 60.

¹⁷ ხეც, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, № 832.

ვა-კურთხევას და დავშთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი. ქვრივი ღენერალ-ადიუტანტის, კნენა ალექსანდრა მამუკას ასული მელიქიშვილისა¹⁸. იმ პერიოდში, როდესაც ლევან მელიქიშვილი კასპიის მხარეთა მმართველად მუშაობდა, მას თან ახლდნენ ცოლი და შვილები. ალექსანდრა ორბელიანი აქაც განაგრძობდა საქველმოქმედო საქმიანობას. იგი იყო თემირ-ხან-შურას ქალთა პროგიმნაზიის საპატიო მზრუნველი¹⁸. ასე გრძელდებოდა შემდგომშიც, ლევან მელიქიშვილის გარდაცვალების შემდეგაც.

ალექსანდრა ორბელიანს შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ რჩეულ ქართულ საზოგადოებასთან: გრიგოლ ორბელიანთან, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და სხვ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ილია ჭავჭავაძის ფონდში დაცულია ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილის სავიზიტო ბარათი¹⁹. იგი რუსულ ენაზეა შედგენილი: *Княгиня Александра Макаровна Меликова, рожденная княжна Джамбакурянъ-Орбелиани*. სავიზიტო ბარათის არსებობა ილია ჭავჭავაძის არქივში თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია. გრიგოლ ორბელიანის ფონდში დაცულია მისი 1855 წლის 28 აგვისტოთი დათარიღებული წერილი, რომელშიც იგი ლევან მელიქიშვილს სთხოვს: „... შენი და და პატარა ცოლი (ალექსანდრა ორბელიანი – მ.ფ.) სიყუარულით მომიკითხე“²⁰. აქვეა დაცული გრიგოლ ორბელიანის 1859 წლის 16 თებერვლით დათარიღებული წერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი.²¹ წერილში გრიგოლ ორბელიანი მას ატყობინებს, რომ „სამას, ლევან მელიქიშვილის ცოლსა, ეყოლა ქალი, დედოფლის წყაროზედ არიან“. წერილში მოყვანილი ცნობა სწორია, რადგანაც ალექსანდრა ორბელიანს 1859 წელს, მართლაც შეეძინა ქალიშვილი სოფიო²². ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ვ. გელოვანის ფონდში დაცულია სოფიო მელიქიშვილი-ერისთავის ფოტო, პასპორტი და საპენსიო ნიგნაკი²³.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისა და აკაკი წერეთლის ურთიერთობა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრა ორბელიანი თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული, მწიგნობარი ქალბატონი იყო. მას შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ საინტერესო პიროვნებებთან, არამედ მის გარეთაც. იმ პერიოდში რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა ილია ბატონიშვილის ასული ოლგა გრუზინსკაია. იგი დაიბადა და გაიზარდა რუსეთში. ცხრამეტი წლის ასაკში, 1865 წელს, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ მას იმპერატრიცა მარია ალექსანდროვნას ფრელინობა უბოძა. ოლგა გრუზინსკაიამ, თა-

¹⁸ *Кавказский Календарь на 1879 г.*, с. 128.

¹⁹ ხეც, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 700.

²⁰ გრიგოლ ორბელიანი, *წერილები* II, № 267.

²¹ იქვე, № 374.

²² *Дворянские роды Российской империи*, IV, с. 174.

²³ ხეც, ვ. გელოვანის ფონდი, № 136.

ვისი გამზრდელის მონათხრობების მიხედვით, შექმნა მთელი რიგი ქართული ლეგენდებისა, რომელთაც იგი სანქტ-პეტერბურგში „გულბათის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა. ეს ლეგენდები ქართულ ენაზე ალექსანდრა ორბელიანმა-მელიქიშვილისამ თარგმნა, რომელსაც, როგორც ირკვევა, რუსულიდან ქართულად თარგმნის გამოცდილება ადრეც ჰქონია. ამ თარგმანს სპეციალური წერილი მიუძღვნა აკაკი წერეთელმა. იგი დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“²⁴. მისი გადმოცემით, *„ეს ლეგენდები დაიბეჭდებიან ჩვენ კრებულში დრო-გამოშვებით. ამის გადმოქართულება იკისრა პატივცემულმა ალექსანდრა მაკარის ასულმა მელიქოვისამ, რომლის მშვენიერი ნათარგმნი დრუჟინინის მოთხრობა „პოლინკა საკსი“ ერთხელ კიდევაც იყო ქართულ ჟურნალში დაბეჭდილი“*. წერილში აკაკი წერეთელი ოლგა გრუზინსკაიას და ალექსანდრა ორბელიანს მოიხსენიებს როგორც პატრიოტ ქალბატონებს. რომელთაგან ერთს (ო.გრუზინსკაიას – მ. ფ.) *„იმ სიშორიდან კაეშირი არ გაუსხლეთია და ქართულად უძგერია მას, მის გულს, მეორე (ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისა – მ. ფ.) ... მაღალ საფეხურზე ასულა, მაგრამ აქაც კიდევ დაუჯდომელად გაუხდია ის დედა ენა, რომლითაც ღალადებდნენ ნინო, თამარ, ქეთევან და ჩვენ ძველ დედათა გუნდი“*.

წერილში აკაკი წერეთელი მისთვის ჩვეული სიმწვავეთ აყენებს დედაენისადმი დამოკიდებულების საკითხს, რაც, რასაკვირველია, შემთხვევითობით არ იყო გამოწვეული. ქართველთა გარუსებისა და ასიმილაციის უმძიმესმა პოლიტიკამ, რომელსაც ატარებდა რუსეთი, განსაკუთრებით დააზიანა უმაღლესი ქართული არისტოკრატია. რუსულმა ენამ თითქმის მთლიანად შეცვალა მშობლიური ენა, ახალგაზრდობა განათლებას როგორც სასწავლებელში, ასევე ოჯახში, რუსულ ენაზე ლებულობდა, წირვა-ლოცვას რუსულ ენაზე ისმენდა, არისტოკრატიულ სალონებსა და საღამოებზე მხოლოდ რუსულ ენაზე მეტყველებდნენ და ა. შ. ყველაზე მეტად სავალალო კი იყო ის, რომ შეირყა ქართველობის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენი, ქართული ოჯახი. ჩვენს ერთ-ერთ ადრინდელ სტატიაში²⁵ საუბარი გვქონდა იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ამ მიმართებით ატარებდნენ ქართველების დიდ მეგობრად შერაცხული კავკასიის მთავარმართებელი მ. ვორონცოვი და მისი მეუღლე, ელისაბედ ქსავიერის ასული ვორონცოვა. ეს უკანასკნელი კარდაკარ დადიოდა იმ ქართველი არისტოკრატების ოჯახებში, სადაც მას ახალგაზრდა ქართველი თავადის ქალები ეგულებოდა და მათ რუს სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებზე ათხოვებდა. იქმნებოდა რუსული ოჯახები, რომლებიც ცხოვრობდნენ რუსული ცხოვრების წესითა და მენტალიტეტით, გარკვეული წლების შემდეგ კი საცხოვრებლად უცხოეთში მიდიოდნენ, რაც უდიდეს ზიანს აყენებდა ქართულ საზოგადოებას. ამ პოლიტიკის მსხვერპლი

²⁴ აკაკის კრებული, 1899 წლის თებერვალი, № 2, გვ. 110.

²⁵ მ. ფოფხაძე, XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ქალები. ანატასია (ტასო) ორბელიანი-გაგარინისა, არტანუჯი, 12 (იბეჭდება).

ალექსანდრა ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის ოჯახიც აღმოჩნდა. მათი უმშვენიერესი ქალიშვილი მაია ცოლად გაჰყვა მთავარმართებლის კანცელარიის ჩინოვნიკს ა. კრუზენშტერნს. ამ უკანასკნელის სამუშაოდან განთავისუფლების შემდეგ, ისინი ჯერ იტალიაში, შემდეგ კი შვეიცარიაში დასახლდნენ. მაია გარდაიცვალა და დასაფლავებულია იტალიაში სან-რემოში. არაქართული ოჯახები შექმნეს მათმა ვაჟებმაც: მიხეილმა, პეტრემ, ნიკოლოზმა, უცხოეთში დაასრულა სიცოცხლე, ასევე მათმა უმცროსმა ქალიშვილმა – ნინომ.²⁶

ალექსანდრა ორბელიანი-მელიქიშვილისა გარდაიცვალა 1914 წლის 22 ივნისს თბილისში. სამგლოვიარო განცხადებები მისი გარდაცვალების შესახებ დაკრძალვამდე ყოველდღიურად ქვეყნდებოდა გაზეთ „Кавказ“-ში²⁷. პანაშვიდები ოჯახმა ჯერ ბინაში (პეტრე დიდის ქ. № 13), შემდეგ კი ანჩისხატის ეკლესიაში გადაიხადა. 29 ივნისს მისი ცხედარი დიდი პატივით დაკრძალეს მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში, მეუღლის, ლევან მელიქიშვილის გვერდით. დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. მათ შორის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი კოტე აფხაზი, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის ხელმძღვანელი ჩინოვნიკები და მრავალი სხვ. უამრავ გვირგვინებს შორის იყო კავკასიის მთავარმართებლის, გრაფ ი. ვორონცოვ-დაშკოვისა და მისი მეუღლის ვერცხლის გვირგვინიც²⁸.

საზოგადოებამ სათანადო პატივი მიაგო XIX საუკუნის ქართული არისტოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს – ალექსანდრა ორბელიან-მელიქიშვილისას.

²⁶ *Дворянские роды Российской империи*, IV, с. 174.

²⁷ *Кавказ*, с. 25, 26, 27, 28, VI, 1914, № 141-145.

²⁸ იქვე, 29, VI, 1914, № 146.

Mary Popkhadze

**FAMOUS GEORGIAN WOMEN OF THE 19TH CENTURY
ALEXANDRA ORBELIANI-MELIKISHVILI**

SUMMARY

Among the prominent women of the 19th century Georgia one of the most outstanding persons was Alexandra Orbeliani-Melikishvili. Both on her mother's and father's sides she was a descendant of the royal family – of Kings Erekle II and Giorgi XII.

She was quite young when she married a famous military person and statesman Levan Melikishvili, who was a close friend of the poet Nikoloz Baratashvili and had been a fiancé of Maiko Orbeliani, one of the most beautiful women in Georgia.

Alexandra Orbeliani-Melikishvili was a very beautiful and highly educated lady of that time, she was actively engaged in charity work and maintained friendly relations with prominent Georgian public figures and ecclesiastics such as Catholicos-Patriarch of Georgia Kyrion II, Georgian writers: Grigol Orbeliani, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli and many others. She also did translating work. Akaki Tsereteli dedicated a special article to her translations.

Alexandra Orbeliani-Melikishvili took an active part in the preparation for the visit of Emperor Alexander III and his family to Georgia and accompanied them everywhere. The Emperor awarded Alexandra Orbeliani-Melikishvili and Ketevan Orbeliani the Order of St. Catherine, Alexandra's daughter Nino was granted the position of a Maid of Honour.

Alexandra Orbeliani-Melikishvili died in 1914; she was buried with great honours at Mtatsminda, in St David's church next to her husband Levan Melikishvili.

ნანა ყანჩაველი

გიორგი წერეთელი – დაღესტნური არაბულენოვანი ქაბლავის მკვლევარი

დაღესტნური წარმოშობის არაბულენოვანი ძეგლების შესწავლას ჩვენში სათავე აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა დაუდო. მის მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებული შამილის წერილები ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იმუშაოს მკვლევარმა ისტორიული დოკუმენტების გამოცემაზე.

როგორც ცნობილია, არაბული ენა ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, დაღესტანში, ტრადიციით ცოცხლობდა. მოგვიანებით არაბული ენა ჩრდილო კავკასიაში კულტივირდება უკვე ადგილობრივი ძალებით და ავლენს არაბული დამწერლობის დამოუკიდებელ ნიშნებს.¹

დაღესტნური არაბულისთვის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს გრაფიკული გამოსახულებების, ე. წ. *ზამირ იშარას* ანუ *ამხსნელი ნიშნების* არსებობა იქაურ წერილობით ძეგლებში. ეს გრაფიკული გამოსახულებები ინერება სიტყვებთან სტრიქონს ზემოთ და სტრიქონს ქვემოთ და იხმარება აზრობრივი თვალსაზრისით ერთი ან რამდენიმე წინადადების წევრის დასაკავშირებლად. ეს ნიშნები შემოღებული იქნა რთული არაბული სინტაქსის დასაძლევად, რაც მოგვიანებით გაირკვა. მანამდე მათი ფუნქცია აუხსნელი იყო. პირველმა ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ი. კრაჩკოვსკიმ. იგი აღნიშნავდა, რომ ეს ნიშნები ერთი შეხედვით გაუგებარია და სპეციალურ პალეოგრაფიულ ანალიზს მოითხოვს.² ასეთივე ნიშნების შემცველი აღმოჩნდა გიორგი წერეთლის მიერ გამოცემული შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი. „ცალკე ასოებს ხშირად თან ახლავს თავისებური ნიშნები, რომლების დანიშნულება ჯერჯერობით გაუგებარია“, – აღნიშნავდა მკვლევარი.³

¹ И. Ю. Крачковский, *Арабская литература на Северном Кавказе*, Избр. соч., М.-Л., 1960, т. VI, с. 614.

² И. Ю. Крачковский, *Арабская рукопись воспоминаний о Шамиле*, Избр. соч., М.-Л., 1960, т. VI, с. 569.

³ გ. წერეთელი, *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, IX B (1), 1936, გვ. 120.

ი. კრაჩკოვსკის შენიშვნით, ამ ნიშნების მნიშვნელობის ახსნაზე დიდხანს ფიქრობდნენ სერიოზული არაბისტები, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ისინი წარმატებით გაშიფრა პეტერბურგელმა ახალგაზრდა არაბისტმა ა. მ. ბარაბანოვმა⁴ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში (თვითონ ამ ომში დაიღუპა). შემდგომში ეს საკითხი საფუძვლიანად შეისწავლა და გააანალიზა გიორგი წერეთლის მონაფემ, თინათინ მარგველაშვილმა.⁵ როგორც სამართლიანად აღნიშნავდა გ. წერეთელი, ეს გაუგებარი ნიშნები ყველაზე უპრიანია გაირკვეს ადგილზე, სადაც ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ არაბული ენა დღემდე შემორჩენილია და ერთადერთ ლიტერატურულ ენას წარმოადგენს.⁶

ზამირ იშარას წარმომავლობის თაობაზე არსებობს დაღესტნელი მეცნიერის, მაგომედ საიდ საიდოვის მოსაზრება, რომელიც არის კლასიკური არაბული ენისა და ჩრდილოკავკასიური არაბულენოვანი ლიტერატურის ჩინებული მცოდნე. მისი აზრით, *ზამირ იშარა* წარმოიშვა არაბეთში და შემდეგში გავრცელდა დაღესტანში, სადაც ბევრად სრულყოფილი გახდა.⁷

განსხვავებული აზრისაა ი. კრაჩკოვსკი. მისი შენიშვნით, არსად არაბულ ქვეყნებსა და იმ მხარეებში, სადაც არაბული ენა იყო გავრცელებული, ნიშანკვალი ამ ნიშნებისა აქამდე (იგულისხმება 1948 წ.) არ შეინიშნება.⁸ არადა კრაჩკოვსკის ხელში გაიარა უამრავმა, ათასობით არაბულმა ხელნაწერმა პეტერბურგის, ხედივის (შემდგომში ეგვიპტის), ალ-აზჰარის, ბეირუთის, ალექსანდრიის და სხვა ბიბლიოთეკებსა თუ მუზეუმებში დაცული კოლექციებიდან. მის მახვილ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ამ ნიშნების არსებობა არაბულ ხელნაწერებში. მოგვიანებით ი. კრაჩკოვსკიმ თავისი მოსაზრება გაიმეორა წერილში – „Образчик арабского канцелярского стиля 80-х годов XIX века на Северном Кавказе“, რომელიც თბილისში გამოქვეყნდა,⁹ და კვლავ აღნიშნა, რომ ნიშანთა ეს სისტემა არ არის აღმოჩენილი არც ერთ ქვეყანაში, სადაც კი არაბული დამწერლობაა გავრცელებული.¹⁰

⁴ А.М. Барабанов, *Пояснительные значки в арабских рукописях и документах Северного Кавказа*, Советское востоковедение, 1945, с. 183-214.

⁵ თ. მარგველაშვილი, *ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბულენოვან ძეგლთა ენობრივი თავისებურებანი*, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, I, 1945, გვ. 209-240.

⁶ Г. В. Церетели, *Письмо Шамиля из Калуги*, ЗИВ АН СССР, V, М.-Л., 1936, с. 114.

⁷ მ. ს. საიდოვის გამოხმაურებიდან ნ. ყანჩაველის საკანდიდატო დისერტაციაზე.

⁸ И. Ю. Крачковский, *Арабская литература на Северном Кавказе*, с. 613.

⁹ И. Ю. Крачковский, *Образчик арабского канцелярского стиля 80-х годов XIX века на Северном Кавказе*, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, I, 1945, გვ. 241-247.

¹⁰ И. Ю. Крачковский, *Образчик арабского канцелярского стиля 80-х годов XIX века на Северном Кавказе*, გვ. 247.

როდესაც გ. წერეთელი საუბრობს იმხანად ჯერ კიდევ გაუგებარ ნიშნებზე, იგი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ზოგიერთი ასოს თავისებურ მოხაზულობასა და დიაკრიტიკულ ნიშნებზე და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მათი შედარება შუააზიური წარმოშობის არაბულ-სპარსულ ძეგლებთან გვაფიქრებინებს, რომ ტრადიცია შუა აზიიდან მომდინარეობს.¹¹ აღსანიშნავია, რომ შუააზიური წარმოშობის არაბულ ხელნაწერებშიც გვხვდება სიტყვების ზემოთ თუ ქვემოთ დაწერილი ნიშნები, რომელთაგან ზოგიერთი მოხაზულობით ზუსტად ისეთივეა, როგორც დაღესტნურ არაბულ ხელნაწერებში. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ შუააზიურ ხელნაწერებში ამ ნიშნების ხმარების კანონზომიერების დადგენა ცოტა ჭირს.¹²

ახლა უშუალოდ შამილის წერილებსა და მათ ადრესატებზე მოკლედ. შამილის არაბული წერილები, რომლებიც გიორგი წერეთელმა გამოაქვეყნა 1935-1936 წლებში, დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ბარონ ნიკოლაის ფონდში. შამილის ორი არაბული წერილის ადრესატია ბარონი ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაი. პირველ წერილში (№ 170), რომლის თარიღია 1855 წლის 20 აპრილი, ამირალ-მუმინინა შამუილი მიმართავს ბარონს, ხასავ-იურთის ციხის უფროსს, რომ მან ხელი შეუწყოს ამ ბარათის მომტანს, მავან მოხუცს, რათა იგი წავიდეს და შეხვდეს თავის დატყვევებულ ქალიშვილს. წერილს ახლავს მირზა ფათალი ახუნდოვის მიერ შესრულებული თავისუფალი თარგმანი რუსულ ენაზე.¹³

მეორე წერილის (№ 169) თარიღია 1855 წლის 10 მაისი. შამილს შეუტყვია, რომ რუსებს შეუპყრიათ და დაუკავებიათ მთიელნი ანტლრატილიდან ჭარის ვილაიეთში. *„ლტოლვილნი, წინათ წარტყვევნილნი, ახლა ციმბირს გაგიგზავნიათ. ეს უსინდისობაა თქვენი და სირცხვილი“*, – წერს შამილი და განაგრძობს: *„ან გაათავისუფლეთ წარტყვევნილნი დაწყებული ბაშირით, ან გვითხარით, რომ თქვენ არ ზრუნავთ თქვენს ხელქვეითებზე ... ახლა მე თქვენი პასუხის მოლოდინში ვარ ... მხოლოდ პასუხი დაუყოვნებლივ და დაუგვიანებლივ“*.¹⁴

წერილების ადრესატია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გენერალი ბარონი ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაი (1820-1891).¹⁵ მართალია, პირველი წერილის მიმართვაში ადრესატის გვარ-სახელი მოხსენიებული არ არის, მაგრამ უეჭვოდ ბარონი ლეონტი ნიკოლაია: სწორედ ამ დროისათვის მას უკავია ხასავ-იურთის ციხის

¹¹ გ. წერეთელი, *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, გვ. 120.

¹² *ზამირ იშარას* ორი სახეობა აღმოჩნდა თურქულ წერილობით ძეგლშიც, გურჯიზადეს „თბილისის დაპყრობის წიგნში“, რომელიც ცისანა აბულაძემ გამოსცა 1975 წელს. ერთი ნიშანი წინადადების დაწყებაზე მიუთითებს. ეს გრაფიკული გამოსახულება იმავე ფუნქციით დასტურდება დაღესტნურ არაბულენოვან ხელნაწერებსა თუ დოკუმენტებში. როგორც ჩანს, იგი საერთო მოვლენაა აღმოსავლური ხელნაწერი ძეგლებისათვის.

¹³ გ. წერეთელი, *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, გვ. 107.

¹⁴ იქვე, გვ. 114-115.

¹⁵ იქვე, გვ. 108.

უფროსის პოსტი. იგი იყო შვილი რუსეთის ელჩისა კოპენჰაგენში და შვილიშვილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა ანდრია ნიკოლაისა. ლეონტი ნიკოლაიმ დაამთავრა სამხედრო აკადემია 1847 წელს, რის შემდეგ ჩამოვიდა კავკასიაში და მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში. პირველი წერილი დაწერილია შამილსა და ბარონ ნიკოლაის შორის გულითადი თანხმობის პერიოდში.¹⁶ გულითადი თანხმობის მიზეზი ის არის, რომ ლეონტი ნიკოლაიმ მხურვალე მონაწილეობა მიიღო გრიგოლ ორბელიანთან და დავით ჭავჭავაძესთან ერთად ტყვეთა გაცვლის საქმეში: გაიცვლებოდნენ დავით ჭავჭავაძისა და ილიკო ორბელიანის ოჯახის წევრები, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ წინანდლიდან ლაზი-მუჰამედის მიერ, შამილის უფროს ვაჟზე, ჯემალედინზე. ეს უკანასკნელი რუსებს მძევლად ჰყავდათ აყვანილი აპულგოს ალებისას. შამილის ნდობა რომ დაემსახურებინა, ბარონი ნიკოლაი მზად იყო ამ რიგის სამსახური გაენია შამილისათვის.¹⁷

შამილის მეორე წერილი ბარონ ნიკოლაისადმი წინა წერილისაგან განსხვავდება თავისი მკაცრი და კატეგორიული ტონით. საქმე ისაა, რომ ბარონ ნიკოლაიმ მანამდე შამილისაგან მიიღო გასათავისუფლებელ მთიელთა სია, რომელიც მან გადაუგზავნა გენერალ ბარიათინსკის. ამის შემდეგ ლეონტი ნიკოლაის აცყობინებენ, რომ გაცემულია განკარგულება 270 მთიელის განთავისუფლების შესახებ. დანარჩენებიც თანდათანობით განთავისუფლებოდნენ, როცა მათი ადგილსამყოფელი გაირკვეოდა.¹⁸ საქმე ჭიანურდებოდა. შამილი ეჭვებმა შეიპყრო, რომ რუსებს არ სურთ ტყვეთა გაცვლა. ამით აიხსნება მისი წერილის მკაცრი ტონი. ბარონ ნიკოლაიმ უპასუხა შამილს იმავე 1855 წლის 15 მაისს.¹⁹ ლეონტი ნიკოლაი წერს შამილს, რომ მისმა წერილმა გააოცა და გაანაწყენა კიდევ.

თქვენ, – წერს ბარონი ნიკოლაი, – თქვენს სამფლობელოში სრულუფლებიანი ხართ. თქვენ შეგიძლიათ ბრძანოთ, გაათავისუფლოთ ტყვეები, ან გაანადგუროთ ისინი. მე ამის უფლება არა მაქვს. მე მყავს უფროსები და კანონის წინააღმდეგ არ წავალ. მე არ შემიძლია ასე სწრაფად მოქმედება. მე თქვენ გთხოვთ სია თქვენი ტყვეების. ის სია მივიღე თუ არა, მაშინვე გავგზავნე გროზნოსა და თბილისში ... რაც შეეხება ჭარებებს, ისინი მე არ დამიტყვევებია. ისინი დავა-

¹⁶ გ. წერეთელი, *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, გვ. 110.

¹⁷ იქვე, გვ. 110.

¹⁸ იქვე, გვ. 119.

¹⁹ ლ. პ. ნიკოლაის წერილი-პასუხი გამოქვეყნებული იყო Русская старина-ში, XXXVI, 1882, გვ. 278-280. იხ. გ. წერეთელი, *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, გვ. 116-118.

კავე მხოლოდ გრიგოლ ორბელიანის თხოვნით, რომელიც ელოდება თქვენგან პასუხს მათ გაცვლასთან დაკავშირებით.²⁰

შემდგომში, როცა გენერალი ბარიატინსკი 1857 წლის გაზაფხულზე დანიშნეს კავკასიის არმიის სარდლად და მეფისნაცვლად, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და ტყვეთა დაბრუნების საკითხი ჩაიშალა.²¹

„Письмо Шамиля из Калуги“ გიორგი წერეთელმა გამოაქვეყნა 1935 წელს.²² ფაქტობრივად ეს არის შამილის პასუხები (სულ ხუთი პასუხია) აპოლონ რუნოვსკის მიერ დასმულ შეკითხვებზე.²³ დოკუმენტის თარიღია 1864 წლის 22 აგვისტო. წერილებში საუბარია ამა თუ იმ სოფლებს შორის მდებარე მთების კუთვნილების თაობაზე – სად უნდა გავიდეს საზღვარი მთასთან, საძოვრებზე, განხილულია აგრეთვე საკითხი სახნავ მიწებზე დავის გამო.

წერილის ადრესატი აპოლონ რუნოვსკი (1823-1874) იყო შამილის პრისტავი – ზედამხედველი 1859-1861 წლებში. მათ შორის ძალზე კარგი ურთიერთობა დამყარდა. 1859 წლის 25 აგვისტოს შამილის დანებების შემდეგ იგი წაიყვანეს პეტერბურგში და წარუდგინეს იმპერატორ ალექსანდრე II-ს. შემდეგ შამილი გადაასახლეს ქ. კალუგაში, სადაც მას ზედამხედველად მიუჩინეს პოლკოვნიკი დ. ნ. ბოგუსლავსკი, რომელმაც კარგად იცოდა არაბული.²⁴ წერილის დაწერის დროისთვის შამილის ზედამხედველი იყო პოლკოვნიკი პ. გ. პრჟეცლავსკი. 1861 წელს რუნოვსკი დანიშნეს კავკასიის მეფისნაცვალთან განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად. მან დაწერა მოგონებები შამილზე.²⁵ არაბული ენა მან არ იცოდა და შამილთან ურთიერთობას ამყარებდა თარჯიმნის საშუალებით. იმდენად შეეჩვია შამილი რუნოვსკის, რომ როცა ზედამხედველი პრჟეცლავსკი გადააყენეს თანამდებობიდან, შამილს უნდოდა ეთხოვა მინისტრისათვის, რომ ისევ რუნოვსკი მიეჩინათ მისთვის.²⁶

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ შამილის წერილები გ. წერეთლის მიერ სამაგალითოდ და დამუშავებული და გაანალიზებული, პირდაპირ ყოველმხრივ სანიმუშოდ. ყოველ წერილს თან ახლავს არქეოგრაფიული ხასიათის ზუსტი მონაცემები. წარმოდგენილია არაბული ტექსტი მათი თანდართული რუსული თარგმანებით, ხშირ შემთხვევაში არაზუსტით და ხარვეზებიანით. ამიტომ გ. წერეთელი საჭიროდ მიიჩნევს, პარალელურად წარმოადგინოს მისეული ზუსტი

²⁰ გ. წერეთელს ბარონ ნიკოლაის პასუხი მოჰყავს სრულად, რადგან იგი ბიბლიო-გრაფიულ იშვიათობად იქცა. იხ. *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, გვ. 115.

²¹ გ. წერეთელი, *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, გვ. 119.

²² Г. В. Церетели, Письмо Шамиля из Калуги, ЗИВ, V, М.-Л., 1935, с. 97-114.

²³ გ. წერეთელი, *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, გვ. 110-111.

²⁴ დ. ნ. ბოგუსლავსკის ეკუთვნის არაბულიდან ყურანის თარგმანი რუსულ ენაზე.

²⁵ გ. წერეთელი, *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, გვ. 110.

²⁶ იქვე, გვ. 110

თარგმანი. წერილებს ერთვის უამრავი ისტორიული თუ ფილოლოგიური ხასიათის კომენტარი. ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი წერილში ასახული არც ერთი სიტუაციური მოვლენა, რომელიც არ ეყრდნობოდა რეალურ, დოკუმენტურ მასალას. ამიტომაც უამრავი ისტორიული ექსკურსია წარმოდგენილი. ნააწყდა რა გ. წერეთელი დაღესტნურ არაბულ ტექსტებზე მუშაობისას რიგ ენობრივ და პალეოგრაფიულ თავისებურებებს, მათ შორის *ზამირ იშარას* ნიშნებს, იგი დაასკვნის: „ამ თავისებურებათა შესასწავლად, რომლითაც ვითარდებოდა არაბული ენა კავკასიის მთიანეთის პირობებში, საყურადღებოა ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ყოველი არაბული ძეგლი, დამოუკიდებლად მისი შინაარსისა“.²⁷

საინტერესოა გ. წერეთლის დაკვირვება, თუ როგორ აწერდა ხელს შამილი თავის წერილებს დატყვევებამდე და დატყვევების შემდეგ. იგი ჩვეულებრივ თავის ბეჭედს სვამდა ხოლმე დოკუმენტზე. დატყვევების შემდეგ შამილი – ყოფილი იმამი და ნაკუმბანდიეთა მეთაური, როგორც დერვიში, თავმდაბლობას იჩენს და ასე აწერს ხელს: *მონა ალაჰისა, საბრალო მოხუცი, მე გლახაკი მოხუცი, მიხრწნილი შამული*.²⁸ შამილი ატარებდა ამირ ალ-მუ'მინინას ტიტულს. გ. წერეთელი იძლევა ვრცელ კომენტარს, რომ ეს ტიტული პირველად შემოიღო ომარ II ხალიფამ. შემდეგში მას ატარებდნენ ომაიანთა და აბასიანთა ხალიფები. აღნიშნული არის, აგრეთვე, თუ რომელი ქვეყნის მეთაურები ხმარობდნენ ამ ტიტულს²⁹ და სხვ. „ხსენებული ტიტულის ხმარებით შამილი ხაზს უსვამს, რომ ის არავის უზენაეს უფლებას არა სცნობს“, – აღნიშნავს გ. წერეთელი.³⁰

შამილის წერილებში და მის თანამედროვე ძეგლებში სახელი *შამილ* გვხვდება ფორმით *შამული*. გ. წერეთელი გარსინ დე ტასსიზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ეს არის სახელი *სამუელი*. სან-ის მაგივრად ხმარებული *შინი* ჰმონმოზს, რომ ეს სახელი მთაში ებრაულ-არაბული ფორმით ყოფილა გავრცელებული; *უი* კომპლექსის *ი*-დ შეცვლის შედეგად მიღებულია *შამილ* ფორმა.³¹

გ. წერეთელი შენიშნავს, რომ შამილს საფუძვლიანად შეუთვისებია არაბული ენა. ხოლო მისი სტილი მოგვაგონებს კლასიკური ეპოქის ძლევა მოსილ არაბთა სარდლების სტილს.³²

²⁷ გ. წერეთელი, *შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი*, გვ. 103.

²⁸ იქვე, გვ. 111.

²⁹ იქვე, გვ. 112.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე, გვ. 112-113.

³² იქვე, გვ. 120.

Nana Kanchaveli

**GIORGI TSERETELI: RESEARCHES OF DAGESTANIAN ARABIC-
LANGUAGE SOURCES**

SUMMARY

Acad. G. Tsereteli was the initiator of the study of Arabic-language texts of Dagestania provenance in Georgia. He authored a number of works edited by him in 1935-36, such as “Shamyl’s Letters to Baron Nicolai”, “Shamyl’s letter from Kaluga”, “Newly Discovered Letters of Shamyl”. These letters mainly deal with the exchange of prisoners, and so on. The originals of Shamyl’s letters are preserved in the fonds of Baron Nicolai (Nos 161, 169, 170) at the Kekelidze Institute of Manuscripts.

In the above mentioned publications the Arabic letters are given with earlier Russian translations – largely unprecise and occasionally with errors. Therefore, Tsereteli found it necessary to supply the Arabic text of Shamyl’s letters with his own precise translation.

The author of the present paper has made a comprehensive analysis of the documents; extensive commentaries of historico-philological and codicological character are presented.

Neither are the so-called “diacritical marks” left without attention. The author comes to the conclusion that Shamyl had mastered the Arabic language thoroughly, his style resembling that of victorious Arab commanders of the Classic period.

ნუგზარ ჰაპუაშვილი

ჰუბერტ კაუფჰოლდი გეორგ გრაფისა და მისი ქართველოლოგიური შტუდიების შესახებ

იმ უცხოელ სწავლულთა შორის, რომლებსაც ქართული ენისა და კულტურის საკითხებზე უმუშავიათ, გერმანელი მეცნიერის გეორგ გრაფის სახელს საზოგადოება ყველაზე ნაკლებად იცნობს. ამ ხარვეზის ამოვსებას ცდილობს მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის ისტორიისა და ფილოლოგიის დოქტორი ჰუბერტ კაუფჰოლდი. სპეციალობით იგი იურისტი და ასირიოლოგია, მაგრამ ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის საკითხებზეც მუშაობს; არის ცნობილი აღმოსავლეთმცოდნისა და ქართველოლოგის იულიუს ასფალგის მოწაფე; ჟურნალ Oriens Christianus-ის თანაგამომცემელი და რედაქტორი; დასავლეთ ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის უანგარო მოღვაწე.

ჰუბერტ კაუფჰოლდი იკვლევს გეორგ გრაფის ბიოგრაფიის, სამეცნიერო მოღვაწეობისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის დეტალებს; ეცნობა საარქივო მასალებს, რომლებშიც, როგორც ირკვევა, ქართველოლოგიის ისტორიისათვის საყურადღებო ცნობებია შემონახული.

გეორგ გრაფი დაიბადა 1875 წლის 15 მარტს გერმანიაში, სოფელ მუნცინგენში, დურგლის ოჯახში; მოინათლა კათოლიკედ. 1888-1894 წლებს შორის იგი დილინგენში, ეპარქიალურ სემინარიასა და, პარალელურად, ჰუმანიტარულ გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო 1894-1898 წლებში – იმავე ქალაქის სამეფო ლიცეუმში – ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ინსტიტუტში. გეორგ გრაფმა საფუძვლიანად შეისწავლა კლასიკური ენები, მათ შორის – ებრაული და არაბული. იგი მაღალი კვალიფიკაციის სემიტოლოგად ჩამოყალიბდა. 1898 წლის 23 ივლისს გეორგ გრაფი მღვდლად ეკურთხა და ინტენსიურ სამოძღვრო, პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას შეუდგა. მისი პროფესიული ინტერესების სფეროში ძველი ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხების ენები, დამწერლობა და მწერლობა შემოდის, მაგრამ მეტ დროს იგი არაბულენოვანი საეკლესიო წარსულის კვლევა-ძიებას უთმობს. 1904 წელს მან მიუნხენის უნივერსიტეტში წარადგინა ნაშრომი „Die christlich-arabische Literatur bis zum Ende des 11. Jahrhunderts und

ihr Sprachgebrauch“ („ქრისტიანულ-არაბული ლიტერატურა მე-11 საუკუნის და-სასრულამდე და მისი ენობრივი ტრადიცია“), რის საფუძველზეც მას ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. 1909-1911, 1926-1927 და 1932 წლებში გეორგ გრაფმა საზოგადოების Görres-Gesellschaft-ის ფინანსური დახმარებით ეგვიპტეში, პალესტინაში, არაბეთსა და კონსტანტინოპოლში იმოგზაურა, სადაც მას სხვადასხვაენოვანი წერილობითი ძეგლების ნახვისა და გაცნობის, კერძოდ, ორასამდე ხელნაწერი წიგნის ფოტოგრაფირების შესაძლებლობა მიეცა. შთაბეჭდილება, რომელიც მასზე იერუსალიმმა მოახდინა, იმდენად დიდი იყო, რომ თავის ექსლიბრისზე ამ ქალაქის ხედი და ამ ქალაქის ზეგავლენით შექმნილი ფსევდონიმი – Georg Sionophilos (სიონის მეგობარი) ამოტივფრა. გეორგ გრაფის სახელთანაა დაკავშირებული ვატიკანის ბიბლიოთეკის არაბული ხელნაწერების კატალოგის შედგენა და გამოცემა, რაც მისი კაპიტალური ნაშრომის „Geschichte der christlichen arabischen Literatur“ და სერიის „Corpus Scriptorum Christianorum Orientalium“ (VI, VII, VIII) საფუძველი გახდა. გეორგ გრაფი 1955 წლის 18 სექტემბერს ქალაქ დილინგენში გარდაიცვალა.

გეორგ გრაფი ძირითადად ქრისტიანულ-არაბული ლიტერატურის ისტორიას იკვლევდა, მაგრამ ის ქრისტიანული აღმოსავლეთის ჩინებული მცოდნეც გახლდათ. მიუნხენის უნივერსიტეტში იგი „ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურის“ საპატიო პროფესორად იყო აღიარებული.¹ გეორგ გრაფი 1903-1904 წლებში მიუნხენის უნივერსიტეტში ორიენტალისტიკისა და ბიზანტინისტიკის კურსებს ისმენდა, რამაც იგი ქართული ენის შესწავლის საჭიროებაში დაარწმუნა. ქართული, ბევრი სხვა აღმოსავლური ენის მსგავსად, მან დამოუკიდებლად შეისწავლა. ამისათვის კი, სავარაუდოდ, ბროსეს, კლაპროთისა და ყიფშიძის სახელმძღვანელოებს იყენებდა. აი, რას ამბობს იგი 1915 წელს: „მე უკვე შევისწავლე ქართული... ასე რომ, მალე [ამ ენაზე] ლიტერატურის გამოყენებასაც შევძლებ. ჩემს ცნობისნაძილს განსაკუთრებით იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ერთი ქართული ხელნაწერი აღძრავს. იგი ადრე ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა და სიძველის გამო მაღალ შეფასებას იმსახურებს“.²

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების საერთაშორისო მნიშვნელობა მას სრულყოფილად ჰქონდა გააზრებული: „ქართულ ენაზე ისეთი მნიშვნელოვანი თხზულებებია შემონახული, რომლებიც სხვა ენების საშუალებით მხოლოდ ფრაგმენტულადაა ჩვენამდე მოღწეული და რომლებიც აღმოსავლეთზე დასავლეთ ევროპის გავლენას ადასტურებს. ამის მაგალითია იპოლიტე რომაელის კო-

¹ H. Kauffhold, *Georg Graf und die georgischen Studien*, Oriens Christianus, Bd. 86, 2002, S. 145.

² Ibid., S. 147-149.

მენტარები სოლომონის „ქებათა ქებაზე“ და ანტიოქე სტრატეგის „იერუსალიმის ნარტყვევნი“.³

ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, რომლებიც გეორგ გრაფის მეცნიერული ინტერესების სფეროში მოექცნენ და რომლებზეც მან ტექსტოლოგიური დაკვირვებები აწარმოა, ზოგიერთი კი თარგმნა, არის: „ქებათა-ქების“ ქართული ვერსია, „იერუსალიმის ნარტყვევნი სპარსთაგან 614 წელს“, „ფიზიოლოგი“, იოსებ არიმათიელის მოთხრობა ლუდიის ეკლესიის აშენების შესახებ, იერუსალიმის განწინება (Das georgisches Kanonarium; მან ჩაასწორა კლუგეს თარგმანი და გააუმჯობესა. შდრ. კ. კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, 1, 1941, გვ. 25), „სამღვდელმთავრო კონდაკი“ (Das georgische Archieratikon), საიდანაც მას 1925-1930 წლებში კურთხევათა ტექსტები გადაუთარგმნია,⁴ აგრეთვე: მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანი, რომლის ხელნაწერი მეცნიერმა იერუსალიმში ნახა. იქ მან მისი ფოტოგრაფირება მოახდინა, გაშიფრა და თარგმანის წარმომავლობის გარკვევასაც შეეცადა.⁵

აღსანიშნავია გეორგ გრაფის სალექსიკონო სტატიები Lexikon für Theologie und Kirche-სათვის (1930-1938) და, განსაკუთრებით, სალექციო კურსი Einführung in die Grammatik Lektüre der altgeorgischen Sprache, რომელიც მას მიუნხენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე მიჰყავდა 1931 წლიდან 1938 წლამდე, ნაცისტების მიერ ამ ფაკულტეტის გაუქმებამდე.⁶ გეორგ გრაფს ნაითხული აქვს რამდენიმე მოხსენება თურქეთსა და მცირე აზიის სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველების წარსულისა და თანამედროვე ყოფის შესახებ, რითაც მან ქართული კულტურის საერთაშორისო მასშტაბით წარმოჩენის საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანა. აღსანიშნავია გეორგ გრაფის მჭიდრო კონტაქტი „გერმანულ-ქართულ საზოგადოებასთან“, რომელიც ბერლინში 1916 წელს დაარსდა.⁷

იმ მკვლევართა რიცხვი, რომლებიც გეორგ გრაფის ქართველოლოგიურ შტუდიებს ასე თუ ისე იცნობდნენ, ძალზე მცირეა: კეკელიძე, თარხნიშვილი, ასფალგი, რორობახერი. ირკვევა, რომ იულიუს ასფალგს ამ მიმართულებით ბევრი უშუშავია; მას შეუკრებია ყველა გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალა, რომელიც გეორგ გრაფის ქართველოლოგიურ საკითხებთან მიმართებას წარმოაჩენს. მაგრამ იულიუს ასფალგს ამ მასალას დამუშავება და პუბლიკაცია ვერ მოუხსნია. ასფალგის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილებმა ეს საარქივო დოკუმენტები ჰუბერტ კაუფჰოლდს გადასცეს.

³ H. Kaufhold, *Georg Graf und die georgischen Studien*, S. 152.

⁴ Ibid., S. 165.

⁵ Ibid., S. 156-159; 165-166.

⁶ Ibid., S. 167-169.

⁷ Ibid., S. 151-153.

როგორც აღვნიშნეთ, გეორგ გრაფის სამეცნიერო მემკვიდრეობას ამჟამად ჰუბერტ კაუფჰოლდი იკვლევს. მან მეცნიერის გარდაცვალების 50 წლისთავს მიუძღვნა შემდეგი პუბლიკაციები:

Christlicher Orient und schwäbische Heimat. Leben und Werk von Prälat Professor Dr. theol. Dr. Phil. G e o r r g G r a f (15. März 1875 – 18. September 1955). Katalog der Ausstellung in Rathaus Dillingen a. d. Donau anlässlich der Gedenkveranstaltungen zum fünfzigsten Todestag Georg Grafs am 17. und 18. September 2005 in Dillingen, Zusammengestellt von Hubert Kaufhold, 2005, Orient-Institut;

Georg Graf, Christlicher Orient und schwäbische Heimat. Kleine Schriften. Anlässlich des 50. Todestags des Verfassers nun herausgegeben und eingeleitet von Hubert Kaufhold, Bd. I, Bd. II, Beirut, 2005 – ორტომეული, რომელშიც გეორგ გრაფის წერილები და საგაზეთო სტატიებია გაერთიანებული.

ეს წიგნები ავტორმა, გამომცემელმა და რედაქტორმა, პროფ. ჰუბერტ კაუფჰოლდმა 2007 წლის 19 იანვარს კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გამოუგზავნა. ამ ლიტერატურის წყალობით ჩვენ გვექმნება წარმოდგენა გეორგ გრაფის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, კერძოდ, მის ამაგზე ქართველოლოგიის სფეროში. აღნიშნული წიგნების გამოგზავნისათვის ბატონი ჰუბერტ კაუფჰოლდი მადლობის და დაფასების ღირსია.

Nugzar Papuashvili

HUBERT KAUFHOLD ABOUT GEORG GRAF AND HIS KARTVELOLOGICAL STUDIES

SUMMARY

The article reveals a role of the German scholar Georg Graf in promotion of Kartvelological studies in Europe.

გამოფენები

საქართველო საუკუნეების გასაყარზე

2006 წლის 16-20 მაისს კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ინიციატივითა და TBC ბანკის ფინანსური მხარდაჭერით თბილისში, TBC ბანკის საგამოფენო დარბაზში, მოეწყო ხელნაწერთა ინსტიტუტის საზოგადო მოღვაწეთა (ექვთიმე თაყაიშვილის, ანასტასია ხოშტარია-ერისთავის, პაპუნა წერეთლის, გრიგოლ წერეთლის, მიხეილ თამარაშვილის, ნიკო მარის და სხვ.) პირად არქივებში დაცული უნიკალური ფოტონამუშევრების პირველი საჯარო გამოფენა – „საქართველო საუკუნეების გასაყარზე“ (ხელმძღვანელები – ქეთევან ასათიანი, დარეჯან გოგაშვილი, დალი ჩიტუნაშვილი). გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XIX-XX საუკუნეების ქართველი და უცხოელი ფოტოგრაფის (ალექსანდრე როინაშვილის, დიმიტრი ერმაკოვის, ვ. ბარკანოვის, ა. მიხაილოვის, მ. კაჩხოევის...) 120-მდე ნამუშევარი, აგრეთვე უცნობი ფოტოგრაფების მიერ გადაღებული 300-მდე ფოტო. საექსპოზიციოდ გამოფენილი ნიმუშების უდიდესი ნაწილი სრულიად უცნობი იყო როგორც ფართო საზოგადოების, ისე ფოტომოყვარულთა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფოტოები, რომლებზედაც ასახულია XIX-XX საუკუნეების საქართველოსა და კავკასიის ქალაქური ყოფა, ძველი თბილისის უბნები, საეკლესიო მოღვაწეთა პორტრეტები, თავადაზნაურების, ვაჭარ-ხელოსნებისა და გლეხთა ტიპაჟები, მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული კოსტიუმები, არქიტექტურული ძეგლები და სხვ.

ქეთევან ასათიანი

ქართული კალიგრაფიები

2006 წლის 26 მაისს კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის საგამოფენო დარბაზში მოეწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა – „ქართველი კალიგრაფები“ (ხელმძღვანელები – ბუბა კუდავა, ლამარა ქაჯაია). გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა

თვალსაზრისით საინტერესო კალიგრაფიული ნიმუშები ქართული ხელნაწერებიდან: გამორჩეულად ლამაზი კალიგრაფია, პალეოგრაფიული და შინაარსობრივი თვალსაზრისით საინტერესო დამწერლობის ნიმუშები, ქართული დამწერლობის ცნობილი ძეგლები, ცნობილი მოღვაწეების ავტოგრაფები, ქალი კალიგრაფების გადანერილი ხელნაწერები, ორიგინალური მინაწერები...

ექსპონირებული 50-მდე ნიმუშიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ცნობილი და მნიშვნელოვანი ხელნაწერები, როგორებიცაა: V-VIII საუკუნეების პალიმფსესტები (H-2065, A-89, A-999, A-146); ხანმეტი ლექციონარი (მულაჟი), მაკარი ლეთეთელის მიერ 864 წელს პალესტინაში, საბანშიდის ლავრაში გადანერილი სინური მრავალთავი (მულაჟი); იოანე ბერაის მიერ 973 წელს გადანუსხული პარხლის მრავალთავი (A-95); 973-976 წლებით დათარიღებული შატბერდის კრებული (S-1141); ჭილ-ეტრატის იადგარი (X ს., H-2123); ჯრუჭის I სახარება (X ს., H-1660); ქსნის სახარება (X ს., A-509); X საუკუნის სახარება (S-405); იაკობ მოციქულის ჟამისწირვა (X ს., A-86); სვანური მრავალთავი (X ს., A-19); ნყაროსთავის სახარება (X-XI სს., A-98); X-XI საუკუნეების დავითნი (A-38); მარტილის სახარება (1050 წ., S-391); სვიმეონ, გიორგი და იოანე დვალეების მიერ 1054 წელს სირიაში, შავ მთაზე გადანერილი ალავერდის სახარება (1054 წ., A-484) და სხვ. მათი დიდი ნაწილი კალიგრაფიული ხელოვნების მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენს.

გამოფენის სამუშაო ჯგუფი შეეცადა ქართული კულტურის ისტორიის გამორჩეული პერიოდის (X-XIII სს.) ძეგლების გარდა წარმოედგინა ასომთავრული, ნუსხური და მხედრული დამწერლობის განვითარების სხვა მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური მონაკვეთებიც, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანო საუკუნეების ხელნაწერები ხშირად დახვეწილი კალიგრაფიით არ გამოირჩევა, თუმცა ძალზე საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს, მაგალითად, არჩილ მეფის თხზულებათა კრებული (1701-1705 წწ., S-424), დათუნა ქვარიანის „წმ. გიორგის წამება“ (XVIII ს., S-1285), სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (XVIII ს., S-1211)...

აქვე გამოფენილი იყო ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიისათვის ძალზე საინტერესო და სპეციფიკური მასალა – ძველი ქართული სიგელ-გუჯრები, რომელთა ნაწილს ქართველი მეფეების დამტკიცება-ხელრთვებიც ახლავს.

ექსპონირებული იყო აგრეთვე თვალსაჩინო ქართველი მეცნიერების, პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეების ავტოგრაფები: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი (1716 წ., H-1658); დავით გურამიშვილი, დავითიანი (1787 წ., S-1598), ვახუშტი ბატონიშვილი, გეოგრაფია (1752 წ., A-717), თეიმურაზ II, „განზრახვანი და ვედრებანი“ (1753 წ., S-135); გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, ნოე ჟორდანიას, ივანე ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა ავტოგრაფები...

შუა საუკუნეებში კალიგრაფია მამაკაცური პროფესია იყო. მიუხედავად ამისა, ქალი გადამწერების არსებობა საქართველოში XVI საუკუნიდან დასტურდება (ცხადია, მანამდეც იქნებოდა ასეთი შემთხვევები). გასაგებია, რომ მათი ხელწერა აშკარად ჩამოუვარდებოდა მამაკაცებისას. ქალი გადამწერების მიერ შესრულებულ უხეშ კალიგრაფიულ ნიმუშებს „დედაბრულ“ ხელსაც უწოდებენ. მრავალფეროვნებისთვის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქალი კალიგრაფების – ეკატერინე აბაშიძის, ანნა ამილახვრისა და სხვათა მიერ შესრულებული ხელნაწერები; ელისაბედ ჯორჯაძის მიერ გადწერილი საკმაოდ სქელტანიანი (2000 გვერდზე მეტი) ხელნაწერი – „ყარამანიანი“, 1831 წ., A-1129, Q-172 (საინტერესოა, რომ ხელნაწერის გადამწერი ამ დროს 17 წლისა ყოფილა); ბარბარე მაჭავარიანის მიერ გადწერილი, პრიმიტიული დეკორაციული ელემენტებით გაფორმებული მინიატიურული ხელნაწერი (XIX ს., H-500)...

ვინაიდან, განსხვავებით კულტურული მემკვიდრეობის სხვა ნიმუშებისაგან, ხელნაწერის ექსპონირება შეუძლებელია ისე, რომ დამთვალიერებელმა იგი სრულად აღიქვას. ამიტომ გამოფენისთვის დამზადდა ბანერები, რომლებზეც განთავსდა გამოფენილი ხელნაწერების ფოტოები: კალიგრაფიული ნიმუშები, სახედაო ასოები, მინაწერები და ჩანახატები ხელნაწერთა არშიებზე, მინიატიურები, ყდები... ცალკე ბანერებზე წარმოდგენილი იყო ჩვენთვის ცნობილი კალიგრაფი ქალების სია და ამონარიდები ანდერძ-მინაწერებიდან. ერთ-ერთი ასეთი მინაწერი – „ხელი საბრალო მწერლისა მინათა შინა ლპების, ხოლო ნაწერი ჰგიეს უკუნისამდე!“ – გამოფენის მთავარ ბანერზეც იყო ეპიგრაფად გამოტანილი.

საგამოფენო პროექტი დააფინანსა გამომცემლობა „არტანუჯმა“. მისივე სპონსორობით, საგანგებოდ ამ გამოფენისთვის, გამოიცა ღია ბარათები, რომლებზეც წარმოდგენილი იყო კალიგრაფიული ნიმუშები და მინიატიურები ქართული ხელნაწერებიდან. გამოფენამ რამდენიმე დღე გასტანა.

ბუბა კუდავა

ძველი კავკასია იტალიურ და ქართულ ფოტოგრაფიაში

2006 წლის 18-24 ივლისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში („ქარვასლა“) ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროსა და საქართველოში იტალიის საელჩოს ინიციატივით მოეწყო ფოტოგამოფენა – „ძველი კავკასია იტალიურ და ქართულ ფოტოგრაფიაში“ (ხელმძღვანელები – ქეთევან ასათიანი, დარეჯან გოგაშვილი, დალი ჩიტუნაშვილი). გამოფენასთან დაკავშირებული ხარჯები გაიღო იტალიის საელჩომ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XIX-XX საუკუნეების ცნობილი იტალიელი მეცნიერის, ალბინისტიისა და ფოტოგრაფის ვიტორიო სელას მიერ 1889, 1890 და 1896 წლებში კავკასიის თემაზე შექმნილი ფოტონამუშევრები; აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის საარქივო ფონდებში (ექვთიმე თაყაიშვილის, პაპუნა წერეთლის, მიხეილ თამარაშვილის, ნიკო მარის და ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას პირად არქივებში) დაცული XIX-XX საუკუნეების ქართველი და უცხოელი ფოტოგრაფების – ალექსანდრე როინაშვილის, დიმიტრი ერმაკოვისა და სხვათა ორიგინალური ფოტოები. ექსპონირებული იყო ფოტონამუშევრები, რომლებზეც ასახულია საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ბუნება, ადგილობრივი მოსახლეობის ტიპაჟები და მათი ტრადიციული ყოფა, მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ელემენტებით, როგორც საერო, ისე საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები და სხვ.

ქეთევან ასათიანი

ჩვენებები

2006 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში („ქარვასლა“), III საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების“ ფარგლებში, გაიხსნა ფოტოგამოფენა „ჩვენებურები“ (ხელმძღვანელი – ბუბა კუდავა). გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ფოტოები ხელნაწერთა ინსტიტუტის მდიდარი საარქივო კოლექციიდან (ევგენი ვეიდენბაუმის, ექვთიმე თაყაიშვილის, ვასილ კარბელაშვილისა და ალექსანდრე ხახანაშვილის პირადი არქივები). ფოტომასალა ასახავდა თანამედროვე საქართველოს ფარგლებს გარეთ – თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველთა („გურჯები“, ლაზები, ფერეიდნელები, ჰერები) ტიპაჟებს, მათი თავყრილობებსა (რელიგიური რიტუალი, ნადიმი) და საცხოვრებელ გარემოს (ქალაქი, სოფელი, ბუნება, ყოფა-ცხოვრება).

სოლომონ ასლანიშვილის (ბავრელის) პირადი არქივიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე გვერდის ფოტოასლი მის მიერ გამაჰმადიანებული ქართველებისათვის შედგენილი საკითხავი წიგნიდან.

ექსპოზიციაში შევიდა აგრეთვე კავკასიაში გადაღებული პირველი ფერადი ფოტოების ავტორის – სერგეი პროკუდინ-გორსკის ნამუშევრებიც, რომლებიც მან ტაო-კლარჯეთში, ართვინის მხარეში გადაიღო 1910-იან წლებში. აღნიშნული ფერადი ფოტოების დედნები ინახება აშშ-ში, კონგრესის ბიბლიოთეკაში. წარმოდგენილი იყო ნიმუშები ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმისა და კერძო პირთა კოლექციებიდანაც.

ფოტოგამოფენისთვის გამოიცა მცირე კატალოგი და ღია ბარათები. გამოფენა, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა, მოინახულეს თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში მცხოვრებმა ქართველებმაც, რომლებიც ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ საქართველოში.

პროექტი დააფინანსა საერთაშორისო ფესტივალმა „ჩვენებურები“.

ბუბა კუდავა

დასაწყისი: ბიბლია 1000 წლამდე

2006 წლის 21 ოქტომბერს ვაშინგტონში, ართურ საკლერის გალერეაში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „დასაწყისი: ბიბლია 1000 წლამდე (*In the Beginning: Bibles Before the Year 1000*)“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში შექმნილი ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) ხელნაწერები ბერძნულ, ლათინურ, ებრაულ, სირიულ, ეთიოპურ, კოპტურ, არაბულ, ქართულ, სომხურ, სლავურ და სხვა ენებზე მსოფლიოს მრავალი მუზეუმიდან და საცავიდან (ფლორენცია, პარიზი, ოქსფორდი, ლონდონი, კემბრიჯი, დუბლინი, ვაშინგტონი, ლოს-ანჯელესი, სინა, თბილისი, სანქტ-პეტერბურგი, ნიუ-იორკი, ბალტიმორი, ვენა, სტოკჰოლმი, იერუსალიმი, ენ არბორი). გამოფენილი იყო XI საუკუნის რამდენიმე ხელნაწერიც.

დამთვალიერებელთა ინტერესი გამოფენისადმი ძალიან დიდი იყო. ისინი შესაშური ყურადღებით ათვალიერებდნენ სხვადასხვა მასალაზე (პაპირუსი, პერგამენტი, ხე, ქალაღი) და დამწერლობით შესრულებულ ტექსტებს, ხელნაწერი წიგნების ყდებს, მინიატიურებს, გრაგნილებს მკვდარი ზღვიდან, პალიმფსესტებს, ორენოვან – ბერძნულ და არაბულ ენებზე დაწერილ წიგნს, არაბული დამწერლობით შესრულებულ ებრაულენოვანი ხელნაწერის ტექსტს და ა. შ. უაღრესად ზუტად და ეკონომიურად იყო მოფიქრებული საგამოფენო ექსპოზიცია – დიზაინი, ხელნაწერთა განლაგება, განათება, იმდენად, რომ იქ მისულ დამთვარებელს საშუალება ეძლეოდა დაენახა და სწორად აღექვა ის, რის სახაზავადაც მივიდა.

ქართული ხელნაწერები გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოდან – ხელნაწერთა ინსტიტუტის (ჯრუჭის პირველი ოთხთავი – 936-940 წწ.), რუსეთიდან – სანქტ-პეტერბურგისა (პაპირუსის ფსალმუნი – VIII ს.) და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის (ახალი კოლექციის ოთხთავი – 1075 წ.) სამი ხელნაწერით.

გამოფენაზე წარმოდგენილი ხელნაწერები (ვრცელი კომენტარებით, ფერადი და შავ-თეთრი ფოტოებით, რუკებით, ბიბლიოგრაფიით და საძიებლით) შევიდა ბრწინვალედ გამოცემულ კატალოგში (*In the Beginning: Bibles Before the Year 1000. Edited by Mitchell P. Brown, Smithsonian Freer Gallery of Art and Ar-*

thur M. Sackler Gallery, 2006, 360 p.). კატალოგს წინ უძღვის რამდენადმე პოპულარულად დაწერილი, მაგრამ ღრმა შინაარსის მიმოხილვა, მაგალითად: „ბიბლია: ტექსტის მოგზაურობა“, „ევროპა და ახლო აღმოსავლეთი“, „ბიბლია და ნიგნი“, „ქრისტიანული აღმოსავლეთი“, „უფლის სიტყვის გავრცელება“, „ნიგნი, როგორც ხატი“, „ბიბლიის აღმოჩენა“. გამოფენაზეც და კატალოგშიც ხელნაწერები განთავსებული იყო თემატურად. კატალოგში თითოეულ თემას უძღვის ვრცელი კულტურულ-ისტორიული მიმოხილვა და გამოსაფენად გამოტანილი ხელნაწერის აღწერილობა. თემები ასეთია: „გრაგნილი და კოდექსი – უადრესი ებრაული და ქრისტიანული დამწერლობები“, „ფორმირება და კოდიფიცირება: ბიბლიის ევოლუცია“, „ადრექრისტიანული ბიბლია“, „ბაბილონის გოდლიდან პენტეკოსტამდე: წმიდა და ნაციონალური ენები“ და სხვ.

ჯრუჭის პირველი ოთხთავი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-1660) როგორც გამოფენაზე, ისე კატალოგში შეტანილი იყო სექციაში „ხელნაწერი, როგორც ხატი“. დამთვალეიერებელის წინაშე ის წარმოდგენილი იყო გადამლილი იმ გვერდზე, რომელზედაც ღვთისმშობელია ყრმა იესოთი გამოსახული. X საუკუნის ქართული ლექციონარი (Sin. Georg. 37, ეს ხელნაწერი ექსპონირებული არ ყოფილა, შეტანილია მხოლოდ კატალოგში) და ახლად აღმოჩენილი X საუკუნის ქართული ოთხთავი სინას მთის ქართული კოლექციიდან (Sin. Georg. N. 12) წარმოდგენილი იყო სექციაში „აღმოსავლეთის უდაბნოებიდან დასავლეთის კუნძულებამდე“; VIII საუკუნის პაპირუსზე ნაწერი ქართული ფსალმუნი (Gruz. New series 10) შეტანილი იყო სექციაში „ბაბილონის გოდლიდან პენტეკოსტამდე“.

20-21 ოქტომბერს გაიმართა გამოფენისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი.

ზაზა ალექსიძე

მე. ექვთიმე აღმსარებლისადმი (კერესელიძე) მიძღვნილი გამოფენა

2007 წლის 2 თებერვალს, წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენების დღეს, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ინიციატივით, ხელნაწერთა ინსტიტუტის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა (ხელმძღვანელი – საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის თანამშრომელი ლუარსაბ ტოგონიძე).

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული საგალობლების უნიკალური სანოტო ხელნაწერები, რომლებიც გადარჩენილი და გადაწერილია ექვთიმე კერესელიძის მიერ; მის მიერ შედგენილი „საუკუნო კალენდარი“ ანუ „სამარადისო პასქალიონი“; ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორიის ამსახველი მასალა; ილუმენ ექვთიმე კერესელ-

იძის, XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ქართული გალობის მოამაგეთა, სასულიერო პირთა, სამგალობლო კერების ფოტოსურათები; დოკუმენტები, პუბლიკაციები და წერილები, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩინენ ექვთიმე აღმსარებლისა და მის თანამოაზრეთა თავდაუზოგავ შრომას, რისი წყალობითაც მოაღწია დღემდე ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური კულტურის საგანძურმა.

გამოფენა ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრმა და ხელნაწერთა ინსტიტუტმა, აზბა ალავერდელი მიტროპოლიტის დავითის ლოცვა-კურთხევით, გამოფენასთან დაკავშირებით გამოსცა ბროშურა „წმიდა ექვთიმე აღმსარებელი“ (ავტორი – ლუარსაბ ტოგონიძე), რომელიც მოკლედ მოგვითხრობს წმინდანის მოღვაწეობასა და ქართული გალობის მდგომარეობის შესახებ XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის I ნახევარში. ღია ბარათებად დაიბეჭდა აგრეთვე ექვთიმე კერესელიძის ფოტო და მისი ახლად შექმნილი ხატი. გამოფენა და გამოცემები დააფინანსა ლუარსაბ ტოგონიძემ.

წმ. ექვთიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილმა გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველ მგალობელთა და ქართული გალობის მოყვარულთა შორის. გამოფენის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვეს კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბუბა კუდავამ, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის წევრმა ლუარსაბ ტოგონიძემ და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა რუსუდან წურწუშიამ.

ლუარსაბ ტოგონიძე

საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და გამოფენა

2007 წლის 23 მარტს სამების საკათედრო ტაძართან არსებული ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში ჩატარდა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და მოენყო გამოფენა (გამოფენის ხელმძღვანელები – ქეთევან ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე).

კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მასალებიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვასთან დაკავშირებული, ისე მისი აღდგენისთვის ბრძოლისა და ავტოკეფალიის მოპოვების ამსახველი დოკუმენტური მასალა: გეორგიევსკის ტრაქტატი (H-2073ა,ბ), სხვადასხვა ისტორიული საბუთი, კათოლიკოს-პატრიარქების – კირიონ II-ის (საძაგლიშვილი), ლეონიდეს (ოქროპირიძე), ამბროსის (ხელაია), ქრისტეფორეს (ციციქიშვილი), კალისტრატეს (ცინცაძე), მელქისედეკის (ფხა-

ლაძე), ეფრემის (სიდამონიძე), ასევე სხვადასხვა მოღვაწეთა – ვასილ კარბელა-შივილის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა საარქივო მასალა. გამოფენაზე ექსპონირებული იყო აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტში, სხვა დაწესებულებებსა თუ კერძო კოლექციებში დაცული უნიკალური ფოტოები.

გამოფენაში, გარდა ხელნაწერთა ინსტიტუტისა, მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეროვნული არქივი და საქართველოს საპატრიარქოს არქივი. ღონისძიებები დააფინანსა თბილისის მერიამ.

ქეთევან ასათიანი

აღდგომა

2007 წლის 11 აპრილს სამების საკათედრო ტაძარში, ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ინიციატივითა და საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერით გაიმართა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენა „აღდგომა“ (ხელმძღვანელები – თამარ გეგია, ბუბა კუდავა). გამოფენაზე, რომელმაც 1 კვირას გასტანა, წარმოდგენილი იყო გამორჩეული პერიოდის – XI-XIII საუკუნეების 5 ქართული ხელნაწერის მინიატიურათა ფოტოები. ეს ხელნაწერებია: ექვთიმე მთაწმინდელის სვინაქსარი (1030 წ., A-648), გელათის სახარება (XII ს., Q-908), ჯრუჭის II სახარება (XII ს., H-1667), მოქვის სახარება (1300 წ., Q-902), ფსალმუნი (XIII ს., H-1665).

ქართულმა ხელნაწერებმა მინიატიურული ფერწერის მრავალი უნიკალური ნიმუში შემოინახა. როგორც წესი, წიგნის მინიატიურა სიუჟეტურად გაცილებით მდიდარია, ვიდრე ფრესკული მხატვრობა, რელიეფი ან ხატწერა. მინიატიურული მხატვრობით განსაკუთრებით უხვადაა შემკული სახარების ტექსტები. ქრისტეს აღდგომა ფრესკებსა თუ ხატებში სულ რამდენიმე სცენით არის წარმოდგენილი, ქართულ მინიატიურებში კი აღდგომასთან დაკავშირებული 30-მდე სიუჟეტი გვხვდება.

გამოფენაზე წარმოდგენილი 50 ნიმუშის ფოტო განთავსებული იყო სიუჟეტური თანმიმდევრობით და ასახავდა ქრისტეს მიერ განვლილ გზას გოლგოთის მთიდან ამალეობამდე: გზა გოლგოთისკენ; ჯვარცმა; იოსებ არიმათიელის თხოვნა პილატესათვის ქრისტეს დასაფლავების შესახებ; გარდამოხსნა; ქრისტეს დატირება; საფლავად დადება; აღდგომა. მენელსაცხებლე დედები მაცხოვრის საფლავთან; მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე; ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა (ჯრუჭის სახარება); მაცხოვრის გამოცხადება მარიამ მაგდალინელის წინაშე; მაცხოვრის გამოცხადება მენელსაცხებლე დედების წინაშე; მღვდელმთავრების მიერ მცველების მოსყიდვა; მოსყიდული მცველები ქრისტეს საფლავთან; მენელსაცხებლე დედები და მოციქულები მაცხოვრის საფლავთან; მოციქული პე-

ტრე ქრისტეს საფლავთან; მაცხოვრის შეხვედრა ემაოსელ მგზავრებთან; პურის გატეხვა ემაოსელ მგზავრებთან; მაცხოვრის გამოცხადება მოციქულების წინაშე; მაცხოვრის გამოცხადება მოციქულების წინაშე დახშულ კარში; თომას დარწმუნება; მაცხოვრის გამოცხადება მოციქულების წინაშე ტიბერიის ზღვასთან; პეტრეს მიერ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს შეცნობა და ტიბერიის ზღვაში თავის შთაგდება; მაცხოვრის გამოცხადება პეტრეს წინაშე; მაცხოვრის გამოცხადება მონაფეების წინაშე სადილობის ჟამს; მაცხოვრის გამოცხადება მოციქულების წინაშე და მათი გაგზავნა საქადაგებლად; ამაღლება. ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იგივე სიუჟეტი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ხელნაწერიდან.

გახსნის დღეს გამოფენა დაათვალიერა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

ფონდ „გეოსკრიპტისა“ და გამომცემლობა „არტანუჯის“ სპონსორობით გამოფენის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა ალბომი – აღდგომა (აღდგომის ციკლი ქართულ მინიატიურაში. XI-XIII სს.). თბ. 2007. მასში შევიდა გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოების უმრავლესობა; გამომცემლობა „არტანუჯის“ დაფინანსებით გამოიცა ასევე ღია ბარათების კრებული „12 საუფლო დღესასწაული“, რომელშიც თავი მოიყარა საუფლო დღესასწაულების ამსახველმა მინიატიურებმა XI-XVIII საუკუნეების ქართული ხელნაწერებიდან.

თამარ გეგია

პოლონური ხელნაწერების გამოფენა

2007 წლის 17 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პოლონურ-ქართული საერთაშორისო სამეცნიერო სესია, რომლის ფარგლებშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში გამოიფინა კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული პოლონური ხელნაწერების რამდენიმე ნიმუში (ინსტიტუტის ფონდებში დაცულ ხელნაწერთა ძირითადი ნაწილი საქართველოში პოლონური დიასპორის მეშვეობით უნდა მოხვედრილიყო) – მორალური ღმრთისმეტყველების კომპენდიუმი, რიტორიკის სახელმძღვანელო, პოლონური ლექსები, კრებული ლუთერანების წინააღმდეგ; პოლონეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერისა და სასულიერო პირის – გრიგოლ ფერაძის ხელნაწერები და ფოტოები (გამოფენის ხელმძღვანელები – ქეთევან ასათიანი, დალი ჩიტუნაშვილი).

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო პოლონელ მაგალობელთა გუნდმა „Ktoich“-მაც. პროექტი განხორციელდა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

„თამარს ვაქებდეთ მეფესა“

2007 წლის 14 მაისს, თამარობა დღეს, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში გაიხსნა გამოფენა „თამარს ვაქებდეთ მეფესა“ (გამოფენის ხელმძღვანელები – თამარ გეგია, გიორგი კალანდია). ხელნაწერთა ინსტიტუტის უმდიდრესი კოლექციიდან ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო თამარ მეფესთან სხვადასხვა ფორმით დაკავშირებული მრავალფეროვანი მასალა, „ოქროს ხანის“ პერიოდის უნიკალური ხელნაწერები – კალიგრაფიის, მინიატიურული მხატვრობისა და ოქრომჭედლობის ნიმუშები: გელათის სახარება (Q-908), ჯრუჭის II სახარება (H-1667), ასტრონომიური ტრაქტატი (A-65), ტბეთის სახარება (Q-929), ვარძიის სახარება (Q-928), ზატიკი (A-734), გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი (A-109), ბექა და ბეშქენ ოპიზრების მიერ მოჭედილი წყაროსთავისა (Q-907) და ბერთის (Q-906) სახარებები და სხვ.; ოქრომელნით გადწერილი და უმდიდრესი მინიატიურებით გაფორმებული ვანის სახარება (A-1335), რომელიც კონსტანტინოპოლში, რომანას ქართველთა მონასტერში, საგანგებოდ თამარისათვის დაინერა.

გამოფენის ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპონატი კი ის უნიკალური სიგელი იყო (დაწერილი ჭიაბერისა მღვიმისადმი, Ad 2), რომელსაც ორ სტრიქონად მეფე-წმინდანის დამტკიცება ახლავს: „ქ. ესე მანდატურთუხუცესისაგან შეწერიულ განაჩენი ჩემგანცა მტკიცება“. ეს დედოფლის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ავტოგრაფია.

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების საუკეთესო ნიმუშები ინსტიტუტის კოლექციიდან: თავაქარაშვილისეული ნუსხა (1646 წ., H-599), გიორგი XI-ისეული ნუსხა (1680 წ., H-54), წერეთლისეული ნუსხა (XVIII ს., S-5006).

უნიკალურ ხელნაწერთა გვერდით დამთვალეიერებელმა იხილა ფოტოორიგინალები, რომლებიც უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე მუშაობისას საქართველოში არის გადაღებული. მხატვარი საგანგებოდ შერჩეული, კოსტიუმირებული ტიპაჟების მონაწილეობით დგამდა სცენებს, რომელთა ფოტოების მიხედვით შემდგომში ქმნიდა ილუსტრაციებს. აქვე იყო გამოფენილი ინსტიტუტში დაცული მიხაი ზიჩის (S-1617), ლადო გუდიაშვილის, თამარ აბაკელიას „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები და სხვ.

გამოფენა ერთ კვირას გაგრძელდა.

ქეთევან ასათიანი, თამარ გეგია

დიდი ავტობრაფები

2007 წლის 30 მაისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა გამოფენა „დიდი ავტობრაფები“ (ხელმძღვანელები – თამარ გეგია, გიორგი კალანდია). ექსპოზიციით საზოგადოებას პირველად მიეცა შესაძლებლობა ეხილა ისეთი გამორჩეული ქართველი მეფეების ხელრთვები თუ ავტობრაფული ნუსხები, როგორებიცაა: ბაგრატ IV, თამარ მეფე, დავით ულუ, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ VI, სოლომონ I და სხვ.

გარდა მეფეთა ავტობრაფებისა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ხელნაწერებიც, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის (ლექსიკონი, 1716 წ., H-1658), დავით გურამიშვილის (დავითიანი, 1787 წ., S-1598), ვახუშტი ბატონიშვილის (გეოგრაფია, 1752 წ., A-717) ავტობრაფული ნუსხები. დამთვალეირებელმა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ნაწარმოებების ხელნაწერი ორიგინალებიც იხილა. ექსპოზიციის ნარმოდგენილ დოკუმენტთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლდათ გეორგიევსკის ტრაქტატი (H-2073), რომელსაც ერეკლე მეფის ორიგინალური ხელრთვის გარდა სპეციალური საბეჭდავებიც ამშვენებს.

გარდა საინტერესო ქართულენოვანი მასალისა, დამთვალეირებელს საშუალება ჰქონდა ეხილა სხვადასხვა უცხოურ ენაზე შესრულებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთაც სხვადასხვა ქვეყნის მმართველთა თუ გავლენიან პირთა ხელრთვები ახლავს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოქრომელნითა და ნატიფი ოსტატობით შესრულებული ოსმალური და სპარსული ფირმანები, რომელთა შორის გამოირჩევა ირანის შაჰის აბას II-ისა და ოსმალთა სულთნის მურად IV-ის მიერ დამონმებული დოკუმენტები. ამ უკანასკნელს სულთნის სპეციალური ხელრთვა, ოქრომელნით შესრულებული „თუღრა“ ამშვენებს. ასევე გამოიფინა ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ისა და პრუსიის მეფე ვილჰელმის წყალობის სიგელები, რომლებსაც საიმპერატორო ძალაუფლების აღმნიშვნელი ბეჭდები ახლავს.

ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებული მასალა საშუალებას იძლეოდა დამთვალეირებელს თვალი გაედევნებინა ქართველ მეფეთა ხელრთვებისა და საბეჭდავების ცვლილება-განვითარების ხაზისათვის. გამოფენაზე წარმოდგენილმა მნიშვნელოვანმა ხელნაწერებმა თუ საისტორიო დოკუმენტებმა მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ექსპოზიციამ 2 კვირას გასტანა.

თამარ გეგია

ქმეზი რაზიკაშვილჲის გჲჲღვითი დჲ ხელნაწერი მემკვიდრეობჲ

2007 წლის 19-23 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის III კორპუსის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა გამოფენა სახელწოდებით „ქმეზი რაზიკაშვილჲის ბეჭდვითი დჲ ხელნაწერი მემკვიდრეობჲ“.

ლონისძიებჲ წარმოადგენდა ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა დჲ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივ პროექტს. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო დიდი პოეტის ავტოგრაფები – „ბახტრიონი“, „ზვიადაური“, „ქებათა ქება“, „კიდევაც ვნახავთ გაზაფხულს“, ლექსთა კრებულები დჲ სხვ.; ლუკა რაზიკაშვილისადმი მიძღვნილი აკაკი წერეთლის ავტოგრაფი – „ვაჟა-ფშაველას“; პავლე რაზიკაშვილის (ვაჟას მამის) საეკლესიო მოძღვრების კრებული.

თურქულენოვანი ხელნაწერების გამოფენა

2007 წლის 26 ნოემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა თურქულენოვანი წერილობითი ძეგლების გამოფენა (ხელმძღვანელები – ცისანა აბულაძე, გიორგი კალანდია), რომელიც ცენტრში დაცული მრავალფეროვანი მასალის საფუძველზე მომზადდა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დაახლოებით 300 თურქულენოვანი ხელნაწერი წიგნი, რომლებიც შეიცავს 423 თხზულებას ოსმალურ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ დჲ თურქმენულ ენებზე. აქვეა ერთი მონღოლური ხელნაწერიც, შესრულებული ძველი უიღურული დამწერლობით.

კოლექცია გამოირჩევა როგორც დარგობრივი მრავალფეროვნებით (ლიტერატურა, ისტორია, გრამატიკა, ლექსიკოგრაფია, ასტროლოგია, მედიცინა, რელიგია, სამართალი, ფილოსოფია...), ისე ნუსხათა სიძველით. უძველესი თარიღიანი ხელნაწერი 1483 წელს გადწერილი სპარსულ-თურქული ლექსიკონია (შედგენილია 1446-87 წლებში). სიძველით გამოირჩევა ალაიშერ ნავოის „მუნშაათიც“, გადწერილი პოეტის გარდაცვალებიდან 18 წლის შემდეგ (1519 წ.).

გამოფენაზე ფართო საზოგადოებამ პირველად იხილა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XV-XX საუკუნეების აზერბაიჯანული, თურქმენული, ოსმალური დჲ უზბეკური კლასიკური ლიტერატურის ნიმუშების შემცველი ხელნაწერები, განმარტებითი დჲ თარგმნითი ლექსიკონები, ისტორიული, ფილოსოფიური, დოგმატიკური, მისტიკურ-რელიგიური, საეტლო დჲ სამედიცინო წიგნები, მუსლიმური სამართლის ძეგლები, სერგი ჯიქიას პუბლიკაციების წყალობით საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი

დავთარი“, ასევე ძველი უილურული დამწერლობით შესრულებული მონღოლური ხელნაწერი.

ხელნაწერები განლაგებული იყო თემატურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. წარმოჩნდა ორიგინალური და თარგმნილი (მეტწილად არაბულიდან და სპარსულიდან) ძეგლების მხატვრული გაფორმების ტრადიცია და დონე.

ხელნაწერი წიგნების გვერდით გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XVI-XIX საუკუნეების ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ისტორიული დოკუმენტები: ოსმალთა სულთნების სიგელები (ფირმანი, ნამე, ბერათი, ჰუქმი), ფაშების ბრძანებები (ბუიურულდი) და წერილები, არხები და ჰუჯათები – შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილებები. საქმიანი წერილებისა და რელაციების ადრესატები ძირითადად არიან ჩილდირის ვილაიეთის (სამცხის) დიდგვაროვნები და მოლაშქრეები, ოსმალთა ხანის ქართლის თავადები და აზნაურები, საერთოდ ოსმალურ სამხედრო-ლენურ სისტემას დროებით დაქვემდებარებული მოსახლეობა და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი თურქულენოვანი ძეგლები უცხოელი სპეციალისტების დიდ ინტერესს იწვევს. რამდენიმე ხელნაწერი სამეცნიერო მიმოქცევაში თბილისური ნუსხის სახელითაა დამკვიდრებული.

გამოფენის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა სპეციალური ბუკლეტი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თურქულენოვანი კოლექციის შესახებ და ღია ბარათების ნაკრები „თურქული ხელნაწერები“.

გამოფენა, რომელიც ორ კვირას გაგრძელდა, მომზადდა თურქეთის თანამშრომლობისა და აღორძინების სააგენტოს (TIKA) მატერიალური მხარდაჭერით.

ცისანა აბულაძე

ქართული მედიცინის ფოტოგატიანი

2007 წლის 28-30 ნოემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმმა („ქარვასლამ“) უმასპინძლა წმ. ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილ ქართული მედიცინის ისტორიის ამსახველ ფოტოგამოფენას (გამოფენის ხელმძღვანელი – ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის დირექტორი რამაზ შენგელია).

პროექტის მონაწილეები იყვნენ მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

გამოფენაზე თავი მოიყარა ქართულ მედიცინასთან დაკავშირებულმა მრავალფეროვანმა ფოტოგამაგალითმა (უძველესი სამედიცინო ხელსაწყოები და მასალები, მედიცინის ისტორიის ფუძემდებლები, ცნობილი ექიმები...).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერი გვერდები ქართული სამედიცინო ხასიათის ნუსხებიდან – ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (Q-877); იადგარ დაუდი, სამკურნალო კრებული (Q-270); კარაბადინი (Q-26); ასევე X-XII საუკუნეების ხელნაწერებში – ჯრუჭის I სახარება (H-1660), სვინაქსარი (A-648), გელათის სახარება (Q-908), ჯრუჭის II სახარება (H-1667) – დაცული განკურნების სცენების, მკურნალ წმინდანთა მინიატიურებისა (ლუკა მახარებელი, კოზმა და დამიანე) და სხვადასხვა სიუჟეტური ეპიზოდების (შობა, ლაზარეს აღდგინება) ამსახველი ფოტოები.

ლელა ქურდაძე

ბელაბურის ხელნაწერები

2007 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში განხორციელდა გელათის 900 წლის იუბილესთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი: გელათის ბიბლიის (Q-1152) რესტავრაცია-კონსერვაცია (I ეტაპი); ალბომი „გელათური ხელნაწერები“, ღია ბარათების ნაკრები „გელათის სახარება“ (მაკეტის მომზადება).

2007 წლის 17-22 დეკემბერს, საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა გამოფენა „გელათური ხელნაწერები“.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო ერთ დროს გელათის მონასტერში და ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური მასალა: გელათის სახარება (XII ს., Q-908), ბექა ოპიზარის მიერ მოჭედილი წყაროსთავის სახარება (1195 წ., Q-907), ვანისა (XII-XIII სს., A-1335) და ვარძიის (XII-XIII სს., Q-899) სახარებები, „კატენებიანი ბიბლია“ (XII ს., A-1108); გელათის მონასტერთან სხვადასხვა ნიშნით დაკავშირებული ხელნაწერები: იოსებ ფლავიოსი, იუდეველთა ისტორია (XIII ს., A-675); დიდი სჯულისკანონი (თარგმანი ეკუთვნის არსენ იყალთოელს. XIII ს., A-76); საალაპე წიგნი (გაცემულია ბაგრატ იმერთა მეფის მიერ გაენათის ეკლესიისათვის. საბუთს ხელს ურთავენ ბაგრატ მეფე და ელენე დედოფალი. 1545 წ., Hd-11201); იმერეთის მეფე სოლომონ I-ის კუთვნილი სახარება (XVII-XVIII სს., Q-901); ანდერძი დავით აღმაშენებლისა (გადმოწერილია ძველი წიგნიდან, რომელიც ინახებოდა გელათის მონასტერში, XIX ს., S-3052) და სხვ.

წარმოდგენილი იყო აგრეთვე გელათთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტები და საარქივო მასალა: სიგელი ლაშა-გიორგისა გელათისთვის სოფელ დერჩის ბოძების შესახებ (საბუთს ახლავს ლაშა-გიორგის ხელრთვა. 1207/1208 წ., Qd-8511); გელათის მონასტრისა და მისი კუთვნილი საეკლესიო

ნივთების ექვთიმე თაყაიშვილისეული აღწერილობა, გელათიდან გატაცებული ნივთების ჩამონათვალი, კონსტანტინე ყიფიანის ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერილობა და სხვ.

გამოფენაზე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა რესტავრირებული გელათის ბიბლიის ფრაგმენტებს. რესტავრაცია გაუკეთდა 162 ფურცელს. დაიშალა წიგნის ბლოკი, ფურცლებს მოსცილდა აკინძვის დროს გამოყენებული ხის ნებო, ყუაში და კიდევში ჩადგმული სარესტავრაციო ქალაღდისა და მიკალენტის ფრაგმენტები, ძველი კონსერვაციისათვის გამოყენებული მუქი ფერის ქალაღდი. ხელნაწერი გაინმინდა, გამაგრდა დამჩვარული ფურცლები, აღდგა ფორმატი. საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები გაკეთდა ხელნაწერისთვის შესაფერისი ახალი მასალით.

გელათის 900 წლის იუბილესთან დაკავშირებით მომზადდა აგრეთვე სპეციალური ალბომი-კატალოგის – „გელათური ხელნაწერები“ – მაკეტი. ალბომში წარმოდგენილია გელათთან დაკავშირებული ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები და საარქივო მასალა. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები თავბოლონაკლულია, დაკარგული ან დაზიანებულია ის ადგილები, სადაც, როგორც წესი, ანდერძ-მინაწერების სახით გარკვეული ინფორმაციაა თავმოყრილი ხელნაწერის შექმნის, გადაადგილებისა თუ დაცულობის ადგილის შესახებ. ამის გამო ალბომში მოხვდა მხოლოდ იმ ხელნაწერების „რჩეული“ ნაწილი, რომლებიც ბოლო მონაცემებით გელათის მონასტერში ინახებოდა. მათი გარკვეული ნაწილი სხვადასხვა ცენტრშია შექმნილი და შემდეგაა მოხვედრილი გელათში. სწორედ ინფორმაციის დეფიციტის გამოა, რომ გელათის მონასტრიდან დაკარგული თუ გაფანტული მრავალი ხელნაწერის შესახებ არაფერი ვიცით და შესაბამისად, ვერ აისახა ალბომში. ეს უხვად ილუსტრირებული გამოცემა გათვალისწინებულია როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისათვის.

თამარ გეგია, ლელა ქურდაძე

სივარძიუმი, კონფერენცია

V საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი

2006 წლის 22-26 მაისს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა V საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი, რომელიც რამდენიმე წელიწადში ერთხელ ეწყობა (I – 1987 წ.; II – 1988 წ.; III – 1994 წ.; IV – 2002 წ.). სიმპოზიუმის მასალებს სისტემატურად გამოსცემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი. სიმპოზიუმი მუშაობდა რამდენიმე სექციად: 1. ქართული ენა (სექციის ხელმძღვანელი გ. გოგლაშვილი); 2. საქართველოს ისტორია (სექციის ხელმძღვანელი ნ. ჩიქოვანი); 3. შუა საუკუნეების ლიტერატურა (სექციის ხელმძღვანელი ე. ხინთიბიძე); 4. XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურა (სექციის ხელმძღვანელი ი. რატიანი); 5. ქართული ხელოვნება (სექციის ხელმძღვანელი ი. არსენიშვილი). პლენარულ სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს გერმანელმა ქართველოლოგებმა – შტეფი ხოტივარი-იუნგერმა („ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის, მარია პრიტივიცის შესახებ) და ვინფრიდ ბოედერმა (ანტონ I-ის გრამატიკისა და თანამედროვე ლინგვისტიკის საერთო პრობლემატიკის შესახებ).

სიმპოზიუმში აგრეთვე მონაწილეობდნენ: რუვენ ენოხი (ისრაელი), ბერტ ბეინენი (აშშ), მარია საუნა (იტალია), ლუიჯი მაგაროტო (იტალია), პარუირ მურადიანი (სომხეთი), გერმონ ბერ ორელი (ისრაელი), კონსტანტინე ლერნერი (ისრაელი), გაგა შურღია (იტალია), დენიელ ჰამფრისი (აშშ), კოჯიმა იასუჰირო (იაპონია), ანტონ სტობარტი (ინგლისი).

ქართველმა მეცნიერებმა წარმოადგინეს მოხსენებები ქართული ენის საკითხებთან დაკავშირებით (დ. მელიქიშვილი, გ. ბურჭულაძე, ზ. ჭუმბურიძე, თ. ბოლქვაძე, ელ. გიუნაშვილი, რ. გორდეზიანი, ა. არაბული, ა. ხარანაული), მ. ელბაქიძე, ნ. სულავა, ნ. გონჯილაშვილი, ხ. ზარიძე, ზ. ხინთიბიძე, ლ. გრიგოლაშვილი, ე. ხინთიბიძე), ძველი ქართული ლიტერატურის ცალკეული საკითხები (ნ. მრევლიშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ზ. კიკნაძე), ქართული ლიტერატურა უცხოური ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის კონტექსტში (ნ. ორლოვსკაია, მ. თხინვალი, თ. ქურდოვანიძე, ლ. მინაშვილი, ი. ევგენიძე, რ. მიშველაძე, ი. რატიანი), საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების საკითხები (თ. დუნდუა, გ. ბერაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. სანიკიძე, გ. ჯაფარიძე, ნ. ჯავახიშვილი, გ. ოთხმეზური, მ. მარსაგიშივილი; ი. არსენიშვილი, ნ. ჯაბუა, ი. კომორიძე, ზ. სხირტლაძე, თ. ხუნდაძე), ქართველოლოგიური პრობლემატიკის კვლევა უცხოეთში (ნ. მარსაგიშვილი).

კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტიდან სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ: მ. შანიძე („ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური შესწავლის ზოგიერთი საკითხის შესახებ) და ქ. ბეზარაშვილი („საკრალურ სივრცეთა პარალელები: წმ. ნინოს „მაცვლოვანი“ და სინას მთის ეკლიანი ბუჩქი“).

ქეთევან ბეზარაშვილი

ბიზანტინისტთა XXI საერთაშორისო კონგრესი ლონდონში

ბიზანტიის წარმოჩენა ('Display' Byzantium) – ამ ნიშნით წარიმართა 2006 წლის 21-26 აგვისტოს ინგლისში, ლონდონის უნივერსიტეტთან არსებულ განათლების ინსტიტუტში გამართული ბიზანტინისტთა XXI კონგრესი, რომელიც ტრადიციულად ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება. კონგრესის ქრონოლოგიური და თემატური არეალი სრულად მოიცავდა ბიზანტიის იმპერიას, მისი გავლენის ქვეშ მყოფი და მეზობელი ხალხების ისტორიის და კულტურის სხვადასხვა ასპექტებს.

კონგრესზე, რომელიც პრინც ჩარლზის პატრონაჟით ჩატარდა, ლონდონში თავმოყრილმა ოცდაათი ქვეყნის დაახლოებით ათასამდე მეცნიერმა ერთმანეთს გაუზიარა თავისი კვლევის შედეგები. კონგრესის სამუშაო განრიგი საკმაოდ დატვირთული იყო და ბიზანტიასთან დაკავშირებული რვა დიდი თემის (იმპერია, სამუშაოები და დღეები, ინფრასტრუქტურები, სიტყვები, ტექსტები, მართლმადიდებლობა, ბიზანტიის წარმოჩენა, წარსულის მომავალი) გარშემო აერთიანებდა რვა ქვეთემისადმი მიძღვნილ სესიებს: (1) პლენარულ სხდომებს, (2) პანელებს („მრგვალი მაგიდა“); (3) კომუნიკაციებს და (4) პოსტერებს. კონგრესზე წარმოდგენილი მოხსენებების მოკლე შინაარსები და რეზიუმეები გამოქვეყნდა გამომცემლობა Ashgate-ის მიერ სამ ტომად დაბეჭდილ კონგრესის მასალებში – *Proceedings of the 21st International Congress of Byzantine Studies*, London, 21-26, August, 2006, vol. I (Plenary Papers); vol. II (Abstracts of Panel Papers); vol. III (Abstracts of Communications).

ლონდონის კონგრესზე ქართული თემა საკმაოდ აქტუალური იყო – მას პანელსა და კომუნიკაციაში (VIII. წარსულის მომავალი) ორი სპეციალური სექცია (აღმოსავლეთ ანატოლია და კავკასია) დაეთმო, სადაც ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა ტაო-კლარჯეთს ცხრა მოხსენება და ექვსი პოსტერი მიუძღვნეს. შესაძლოა, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ განსხვავებით პარიზში გამართული XX კონგრესისაგან, ლონდონის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ქართველ ფილოლოგთა, ისტორიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია: ქეთევან ბეზარაშვილი, ეკატერინე გედევანიშვილი, ირინე გივიაშვილი, მარიამ დიდებულიძე, ნიკოლოზ ვაჩიშვილი, ნათელა ვაჩნაძე, მაია მაჭავარიანი, თამილა მგალობლიშვილი, ერეკლე ჟორდანია, ზაზა სხირტლაძე, ნინო ქავთარია, გიორგი ჭეიშვილი, ელგუჯა ხინთიბიძე, დავით ხოშტარია, თამარ ხუნდაძე. ქართულ ძეგლებს მიეძღვნა, აგრეთვე, უცხოელ მკვლევართა – ბრუნო ბაუმგარტნერის (ავსტრია), მინენ კადროგლუს (თურქეთი), ბრიგიტა შრადეს (გერმანია) მოხსენებები. ქართველ მეცნიერთა მოხსენებები, ძირითადად, პანელებსა და კომუნიკაციებში იყო განაწილებული. მათ მიერ კონგრესზე წაკითხული მოხსენებების შესახებ ინფორმაცია სრულად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს სიძველენი“ (2006, 9, გვ. 237-246).

კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტიდან კონგრესზე წარდგენილი იყო რამდენიმე მოხსენება.

დარეჯან კლდიაშვილისა და ზაზა სხირტლადის ერთობლივი მოხსენება „ბანელი მთავარეპისკოპოსი ზაქარია და მხატვრული ურთიერთმიმართებები საქართველოსდა ბიზანტიას შორის“ წარმოადგინა ზ. სხირტლადემ მრგვალი მაგიდის (VII. ბიზანტიის წარმოჩენა) მე-5 სექციაზე (მოძრაობაში: გადაადგილებადაი საგნები, თავჯდომარე ე. ისტმონდი). მოხსენება ეხებოდა ხელოვნების ძეგლთა იმ ჯგუფს, რომელიც შეიქმნა ვალაშკერტელი, შემდგომში ბანელი მთავარეპისკოპოს ზაქარიას უშუალო პატრონაჟით XI საუკუნის 20-30-იან წლებში. ახალი მონაცემების საფუძველზე, ზაქარია მიჩნეულ იქნა იმპერატორ ბასილი II-ის მიერ ტაოდან ბიზანტიაში წაყვანილი და პატრიკიოსის ხარისხში აყვანილი ძმები ჯოჯიკისძეებიდან ერთ-ერთის, სამოსის სტრატეგის ბაკურის ვაჟად, დავით კურაპალატისა და არსენი ნინოწმინდელის გაზრდილად. ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის მომხდარი კონფლიქტის დროს (1022 წ.), ჯოჯიკისძეთა სახლის სხვა წარმომადგენლებთან ერთად კონსტანტინოპოლში გადასახლებული ვალაშკერტის ეპისკოპოსი ზაქარია სამშობლოში მხოლოდ 1031 წლის შემდგომ უნდა დაბრუნებულიყო, როგორც ბანელი მთავარეპისკოპოსი. ზაქარია ვალაშკერტელის ქტიტორობით გადანერილ ექვს მდიდრულად დეკორირებულ ხელნაწერთაგან უმეტესობა კონსტანტინოპოლში, პილურისა და აგიაპანტის, აგრეთვე ათონისა და ბითვინის ქართულ კერებშია შექმნილი ზაქარიას ბიზანტიაში ექსორიობის პერიოდში. მოხსენებაში წარმოდგენილ იქნა ნიმუშები – მდიდრულად დეკორირებული და მინიატურებით შემკული ქართული და ბერძნული ხელნაწერები მათზე დართული კოლოფონებით, ტაოში ზაქარიას საეპისკოპოსო კათედრის, ბანას ეკლესიის გამოსახულება ოშკის ეკლესიის ფრესკაზე (რომელიც 1036 წელს ბიზანტიიდან ახლად დაბრუნებულ ზაქარიას ერთ-ერთ ნათესავს – ჯოჯიკ ერისთავთ-ერისთავის ქტიტორობითაა შესრულებული), ბროლის ჭადი სან-მარკოს საგანძურისა და ზაქარიასეული ბერძნული წარწერით, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს ბიზანტიურ სამყაროში კულტურულ მიღწევათა გაცვლა-გამოცვლის, იდეათა გავრცელების ურთიერთგადაკვეთის გზებს.

თამილა მგალობლიშვილმა კომუნიკაციის (VIII. წარსულის მომავალი) მე-7 სექციაზე – აღმოსავლეთ ანატოლია და კავკასია (თავჯდომარეები ბ. ბაუმგარტნერი, თ. მგალობლიშვილი) წაიკითხა მოხსენება: „იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი (ლეგენდები და სინამდვილე)“. ქართული და უცხოენოვანი წყაროების კვლევის საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის ადგილზე ჯერ კიდევ V საუკუნეში პეტრე იბერის და მისი მოწაფის, იოანე ლაზის, მიერ ქართული მონასტრის აშენების თაობაზე, რომელიც არაბობის პერიოდში უნდა განადგურებულიყო. მოგვიანებით, XI საუკუნეში, ქართული კოლონიის ამ კუთვნილ მიწაზე გიორგი-პროხორე შავშელს უნდა აეგო ახალი მონასტერი წმ. ჯვრის სახელზე. მოხსენების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა მო-

ნასტრის სიძველეთა დღევანდელი მდგომარეობისა და მათი დაზიანების ამსახველი ვიზუალური მასალა.

ამავე სექციაზე ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელს, ეკა დულაშვილს წარდგენილი ჰქონდა მოხსენება, რომლის თეზისებიც დაიბეჭდა, მაგრამ კონგრესში მონაწილეობის მისაღებად ინგლისში გამგზავრება მან ვერ მოახერხა. მისი მოხსენება: „ადრებიზანტიური ჰიმნოგრაფიის უძველესი ქართული თარგმანები“ ეხებოდა ადრებიზანტიური, კერძოდ პალესტინური ჰიმნოგრაფიის (იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელის, სტეფანე საბანმინდელის ჰიმნოგრაფიულ კანონთა და სტიქარონთა) უძველეს ქართულ თარგმანებს. ეს ხელნაწერებია მიქაელ მოდრეკილის იადგარი და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ნუსხები. მოხსენებაში განხილულია ქართული თარგმანების თავისებურებები ტექსტობრივი და ფორმის თვალსაზრისით და მათი მნიშვნელობა ადრებიზანტიური ჰიმნოგრაფიის კვლევისას.

კონგრესში მონაწილე ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის ორი, ქ. ბეზარაშვილი და მ. მაჭავარიანი, გრიგოლ ღვთისმეტყველის შემსწავლელი საერთაშორისო ქართული ჯგუფის წევრები არიან. მათი მონაწილეობა კონგრესში დააფინანსა ინგლისურმა ორგანიზაცია FaRiG-მა (Friends of Academic Research in Georgia), რომელიც ეხმარება აკადემიურ კვლევებს საქართველოში.

ქეთევან ბეზარაშვილის მოხსენება „გრამატიკის უცნობი განმარტება ბიზანტიურ და ძველ ქართულ წყაროებში“, რომელიც წარმოდგენილი იყო კომუნიკაციის (V. ტექსტები) მე-7 სექციაზე – „ცოდნის წარმოჩენა“ (თავჯდომარე ე. აფენტულიძე) ეხებოდა ჰერმენევტიკული გრამატიკის უცნობი განმარტებას. იგი უნდა მომდინარეობდეს უცნობი ელინისტური წყაროდან და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა და მის X–XI საუკუნეების კომენტატორების (ბასილი მინიმუსისა და ნიკიტა ჰერაკლისის) ტექსტებშია შემონახული; ეს ტექსტები დადასტურებულია ამ ავტორების თხზულებათა ქართულ თარგმანებშიც, რომლებიც ეფრემ მცირეს (XI ს.) და გელათის თეოლოგიური სკოლის ანონიმ მოღვაწეს (XII ს.) ეკუთვნის. ჰერმენევტიკული გრამატიკის განმარტება ტრივიუმის საგნებთან (რიტორიკა და ფილოსოფია) ერთად აქტუალური თემა უნდა ყოფილიყო გელათის სკოლისათვის, როგორც ელემენტი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემისა, რაც ამ ქართულ სკოლაში უნდა შემუშავებულიყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქო სკოლის მიხედვით.

მაია მაჭავარიანი კომუნიკაციის (V. ტექსტები) მე-2 სექციაზე – შეთხზული „ჭეშმარიტი ამბები“ (თავჯდომარე ე. ბორატი) წარმოდგენილ მოხსენებაში „წმ. დიმიტრის შესხმის უცნობი ქართული ვერსია“ შეეხო გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების შემცველ ქართულ ხელნაწერებში შესულ უცნობი წარმომავლობის ტექსტს „შესხმა დიდებულისა მონამისა დიმიტრისი“, რომლის ავტორად, ქართულ ხელნაწერთა ტრადიციით, აქამდე გრიგოლ ღვთისმეტყველი იყო მიჩნეული, ხოლო მთარგმნელად – X საუკუნის მოღვაწე დავით ტბელი.

თხზულების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი გრიგოლ ნაზიანზელის 24-ე ჰომილიის „სიტყუა მღვდელმონაშისა კპრიანესათვის“ (PG 35. col 1169-1194) ტექსტის მთლიან პარაფრაზირებას წარმოადგენს, რომლის წყაროდაც გამოყენებულია წმ. ეფთვიმე ათონელის მიერ X საუკუნის მინურულს შესრულებული წმ. დიმიტრის „წამების“ ბერძნული შუალედური რედაქციის ქართული თარგმანი. თხზულება უნდა წარმოადგენდეს არა დღეისთვის დაკარგული ბერძნული ტექსტის თარგმანს, არამედ წმ. ეფთვიმე ათონელის ორიგინალური შემოქმედების ნიმუშს, რომელიც მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს წმ. დიმიტრის კულტის ჩამოყალიბების ისტორიისათვის.

კონგრესზე წარმოდგენილი იყო წიგნების გამოფენა-გაყიდვები, ცალკეული გამოფენები, მაგ., ბიზანტიური და აღმოსავლური ხელნაწერი წიგნის, ასევე ბიზანტიური ხატების გამოფენა ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში და ა. შ.

კონგრესის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა ენტონი ისტმონდმა კონგრესის ქართველ მონაწილეებს გამოუგზავნა ინფორმაცია ქართული მასალების საფუძველზე ქართველოლოგიური კვლევების სერიის – Georgian Studies Series დაარსების პერსპექტივის შესახებ.

ბიზანტინისტთა მომავალი XXII კონგრესი ჩატარდება ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში, 2011 წლის 22-27 აგვისტოს. სრული ინფორმაცია ამის შესახებ შეიძლება იხილოთ – www.byzantinecongress.org.uk.

ქეთევან ბეზარაშვილი, დარეჯან კლდიაშვილი

ბიზანტინოლოგია საქართველოში: წარსული, აწმყო, მომავალი

2006 წლის 19-21 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტმა და აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინისტიკის განყოფილებამ მოაწყო აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ბიზანტინოლოგია საქართველოში: წარსული, აწმყო, მომავალი. კონფერენცია მიზანად ისახავდა, მოესმინა შემაჯამებელი მოხსენებები ბიზანტინოლოგიის საკითხების კვლევისა და განვითარების შესახებ საქართველოს სამეცნიერო ცენტრებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილებაში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლიტერატურის ინსტიტუტში და ა. შ. მიუხედავად ამ წინაპირობისა, კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები ბიზანტინოლოგიის ცალკეულ საკითხებზეც.

კონფერენცია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შესავალი სიტყვით გახსნა ნელი მახარაძემ. მანვე წაიკითხა მოხსენება ბიზანტინოლოგიის განყო-

ფილების 46 წლის მუშაობის შესახებ; ნოდარ ლომოურმა ისაუბრა აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მოღვაწეობის შესახებ. თამარ ნუცუბიძემ ისაუბრა შალვა ნუცუბიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის თანამოღვაწეობაზე. ლიანა კვიციანიშვილმა წარმოადგინა სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ წამოწყებული დიდი ლექსიკოლოგიური საქმის, ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის, ბეჭდვის ირგვლივ მიმდინარე სამუშაოები, რომელიც დასასრულს უახლოვდება. ერეკლე ჟორდანამ წაიკითხა ბიზანტინისტთა საერთაშორისო ასოციაციის ეროვნული კომიტეტის ანგარიში (პარიზიდან ლონდონამდე). თამარ მესხმა ისაუბრა ბერძნული კულტურისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის მუშაობაზე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, რომლის თავმჯდომარეც თვითონ იყო წლების განმავლობაში. დენიზა ზუმბაძემ ისაუბრა არეოპაგიტულ პრობლემათა შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის მუშაობის შესახებ სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის თავმჯდომარეც თავად არის. ნესტან სულავამ წარმოადგინა მოხსენება ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის შესახებ შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. თინა დოლიძემ წაიკითხა მოხსენება ბიზანტინისტიკის საკითხების სწავლებისა და კვლევის შესახებ სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. ირინე დარჩიამ წარმოადგინა ბერძნული ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის კვლევა ქართულ მეცნიერებაში. ქეთევან სალაღიამ ისაუბრა ბიზანტინოლოგიური კვლევა-ძიების შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში (ახალციხე). ქეთევან აბესაძემ წარმოადგინა ინფორმაცია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული გრიგოლ წერეთლის არქივის შესწავლის შესახებ. ქეთევან ბეზარაშვილმა და თამარ ოთხმეზურმა ისაუბრეს ბიზანტინოლოგიური კვლევის შესახებ ხელნაწერთა ინსტიტუტში. მათვე ცალკე წარმოადგინეს ამავე ინსტიტუტში წლების განმავლობაში მიმდინარე კვლევა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა პუბლიკაციის შესახებ საერთაშორისო პროგრამით. ამ ორი მოხსენებით აშკარა გახდა ხელნაწერთა ინსტიტუტში წარმოებული ნათარგმნი ძეგლების პუბლიკაციისა და კვლევის დიდი მნიშვნელობა დარგის განვითარების საქმეში.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ისეთი განმაზოგადებელი თემები, როგორცაა ქართველოლოგია მედიევსტიკის კონტექსტში (დამანა მელიქიშვილი); უახლესი ტენდენციები ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის მიმართულებით (ელგუჯა ხინთიბიძე); ხალხური ენების ემანსიპაცია აღმოსავლეთის ქრისტიანობაში (ნინო დობორჯგინიძე); ძველი ქართული პოლემიკური ძეგლები (მაია რაფაეა); ძველი ბერძნული აპოლოგეტიკა და ძველი ქართული მწერლობა (მარინე გიორგაძე); იოანე პეტრიწის კომენტარი XI-XII სს-ის ბიზანტიური ფილოსოფიის კონტექსტში (ლელა ალექსიძე); ბიზანტიური ლიტურგიის ქართული თარგმანები (ნინო ქაჯაია); ბასილი დიდი ქართულ მწერლობაში (გვანცა კოპლატაძე); გრიგოლ ნოსელის შექმედების კვ-

ლევა საქართველოში (თინა დოლიძე, ექვთიმე კოჭლამაზაშვილი); პეტრე იბერის ნაკვალევზე (თამილა მაგალობლიშვილი); ანტიკურისა და ქრისტიანულის სინთეზი თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიაში“ და მისი ასახვა ეფრემ მცირის თარგმანის მიხედვით (ვიქტორია ჯუღელი); ბიზანტიურ-ქართული ხელოვნების საკითხები (კიტი მაჩაბელი, ნინო ჭიჭინაძე) და სხვ.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები ქუთაისიდან – მ. პაიკიძე და ზ. ზვიადაძე, ბათუმიდან – მ. გიორგაძე, ახალციხიდან – ქ. სალაღაია.

დასკვნითი სხდომა გაიმართა თბილისის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. მოენყო პრეზენტაცია ვალერი ასათიანის წიგნისა „ბიზანტიური ცივილიზაცია“. მადლიერება გამოითქვა და გაკეთდა განცხადება, რომ პროგრამა დიონისიოს ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის დახმარებას უწევს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბიზანტინისტიკის მუშაობას. კონფერენციის სადღესასწაულო დახურვას ესწრებოდა საბერძნეთის ელჩი საქართველოში. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების მასთან გასაუბრებას მოჰყვა ერთი კვირის შემდეგ მისი ვიზიტი ჩვენს ინსტიტუტში და სამომავლოდ ინსტიტუტის ბერძნულ ხელნაწერთა კატალოგის პუბლიკაციის პროგრამის დაგეგმვა.

ქეთევან ბეზარაშვილი, თამარ ოთხმეზური

გელათი – 900

2007 წლის 8-10 თებერვალს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა გელათის 900 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელზეც მოხსენებები წარადგინეს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმაც. კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. გიორგი ხუბუამ. კონფერენციაზე წაკითხულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მისასალმებელი სიტყვა. პირველ დღეს მოხსენებები წაკითხეს აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ („გელათის როლი საქართველოს ისტორიაში“) და პროფ. დამანა მელიქიშვილმა („გელათი – სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“).

კონფერენციის მეორე დღეს (თავმჯდომარეები – მარიამ ლორთქიფანიძე და მზექალა შანიძე) წარმოდგენილი იყო 10 მოხსენება. ლაურა გრიგოლაშვილმა წაკითხა მოხსენება „ეკლესია გაენათისა იხარებს დღეს ჩუენ თანა“. ნელი მახარაძე შეეხო სახელწოდება „გელათის“ წარმომავლობას. მაია რაფაევამ წარმოადგინა მოხსენება „არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის“ კოლოფონები, როგორც

ისტორიულ-ლიტერატურული წყარო“. ნანა ჩიკვატიამ ილაპარაკა იმავე „დოგმატიკონში“ დაცული ერთი პოლემიკური თხზულების – „შეკრებაჲ შჯულთაჲ“-ს აქამდე უცნობი ქართული თარგმანის შესახებ. მზექალა შანიძის მოხსენება მიეძღვნა რუის-ურბნისის კრების დადგენილებათა ერთი დეტალის დაზუსტებას. გელათის ტაძრის ხელოვნებასთან დაკავშირებით მოისმინეს ორი მოხსენება: ლეილა ხუსკივაძის „გელათის «განძი დიდებული»“ და ირინე მამაიაშვილის „გელათის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მხატვრობა“. ჩამოსულმა სტუმარმა მერაბ კეზევაძემ მსმენელებს გააცნო „გელათის მონასტრის ისტორიის შესახებ არსებული დოკუმენტები ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში“.

გელათის სკოლის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევის შედეგებზე ისაუბრეს: ენრიკო გაბიაშვილმა („14-ტიტლოვანი ნომოკანონის ქართული თარგმანი – «დიდი სჯულისკანონი»“), ანა ხარანაულმა („გელათის კატენებიანი ბიბლიის შედგენილობისათვის“), ლელა ხოფერიამ და ანი ჩანტლაძემ („მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა გელათური კრებულის შესახებ“), ვიქტორია ჯუღელმა („გელათის სკოლის როლი თეოდორიტე კვირელის თხზულებათა თარგმანში“), ნანა მრეველიშვილმა („«ეკლესიასტეს» თარგმანებათა გელათური ვერსია“), ეკატერინე ჩიკვაძემ („მთარგმნელის პრობლემისათვის გელათის სკოლაში“). ქეთევან ბეზარაშვილმა წაიკითხა მოხსენება „რიტორიკისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების ლიტერატურულ-თეორიული ასპექტი ქართველ ელინოფილთა ნააზრევში (ეფრემ მცირე, იოანე პეტრინი)“. წაკითხულ მოხსენებებში გამოიკვეთა გელათის ლიტერატურული სკოლის როლი ქართულ მწერლობაში ელინოფილური მიმდინარეობის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში.

კონფერენციის მესამე დღეს (თავმჯდომარეები – ელგუჯა ხინთიბიძე, დამანა მელიქიშვილი) მოსმენილ იქმნა მოხსენებები: ელგუჯა ხინთიბიძის „ვეფხისტყაოსნის ზოგი ფილოსოფიური ტერმინის მიმართებისათვის გელათის საღვთისმეტყველო სკოლასთან“, მაგდა მჭედლიძის „საღვთისმეტყველო საუბრის სახეები იოანე პეტრინის «განმარტებაში»“ და ლევან გიგინეიშვილის „განათლების იდეა იოანე პეტრინთან“. მოხსენებებში წარმოდგენილი იყო იოანე პეტრინის მოძღვრების კონკრეტული ასპექტები. მოისმინეს ხელოვნებათმცოდნე თამაზ სანიკიძის „გელათის ხუროთმოძღვრების თავისებურებანი“ და მუსიკათმცოდნე მაგდა სუხიაშვილის „ზოგიერთი ძველი ქართული სამუსიკო ტერმინის განმარტებისათვის“. ვალერი სილოგავას მოხსენება შეეხო გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის დასავლეთის ნართექსის მოხატულობის წარწერებს. რამდენიმე მოხსენება მიეძღვნა იოანე პეტრინის ფილოსოფიური მოძღვრების კვლევა-ძიებას: ლერი მჭედლიშვილი, „იოანე პეტრინის «განმარტებაში» წარმოდგენილი სქემის განმარტებისათვის“; ლელა ალექსიძე, „პლოტინის კვალი პეტრინთან“; გიორგი რუსიაშვილი, „მატერიისა და ერთის მიმართება იოანე პეტრინის «განმარტებაში»“; მიხეილ მირაშვილი, „სული მიზეზ-შედეგობრივ მიმართებაში იო-

ანე პეტრინთან“; მსმენელებმა ინტერესით მოისმინეს თინათინ ცქიტიშვილის მოხსენება „მარიამ დედოფალი ქართულ სათვისტომოში XI ს. ბიზანტიაში და გელათის აკადემია“. დამანა მელიქიშვილის მოხსენება – „ნამდვილმყოფის ადგილი იოანე „პლატონური ფილოსოფოსის“ – პეტრინის ღვთისმეტყველებაში“ – ეხებოდა ნეოპლატონური ონტოლოგიის პრობლემების კვლევას პეტრინის ფილოსოფიურ ნააზრევში.

წარმოდგენილ მოხსენებათა ანოტაციები გამოქვეყნდა სათაურით: გელათი – 900, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2007.

2007 წლის 13-14 თებერვალს ხელნაწერთა ინსტიტუტშიც მოეწყო გელათის 900 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლებმა სხვა სამეცნიერო ცენტრების მეცნიერებთან ერთად წარმოადგინეს მოხსენებები, რომლებიც ეხებოდა გელათის აკადემიის დაარსებას, მის ადგილსა და როლს ქართული კულტურის ისტორიაში, გელათელი მწიგნობრების მთარგმნელობით მოღვაწეობას, გელათის სამწიგნობრო ცენტრთან დაკავშირებულ ხელნაწერებსა და სხვა სიძველეებს.

კონფერენციის პირველ დღეს მოისმინეს: ქეთევან ბეზარაშვილის მოხსენება „ქართული ელინოფილური სკოლები: შავი მთა, გელათი“, ია გაჩეჩილაძის „გელათის სამონასტრო ნიგნსაცავი“, ლია წერეთლის „გელათი – «კარიბჭე სასუფევლისა»“. ანა ხარანაულმა მსმენელებს გააცნო გელათის კატენებიანი ბიბლიის ბერძნულ პროტოტიპთან შედარების შედეგები. მაია რაფავამ მოხსენებაში („არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძის მიმართ, როგორც გელათური სკოლის ეპისტოლოგრაფიის ნიმუში“) გამოავლინა, რომ ეპისტოლე შესრულებულია გელათის ლიტერატურული სკოლისთვის ნიშანდობლივი ენობრივ-სტილისტური მახასიათებლებით. თემო ჯოჯუამ წარმოადგინა მოხსენება – „1851 წელს მოწყვედილ „გარეჯელ მამათა მარტვილობის“ გელათური და გარეჯული რედაქციები“.

კონფერენციის მეორე დღეს მოისმინეს 5 მოხსენება: თამარ ოთხმეზური („შავი მთიდან გელათამდე: ეფრემ მცირის ერთი სქოლიოს ინტერპრეტაციისათვის“) შეეხო ეფრემ მცირის ღვანლს ელინოფილური ლიტერატურული მიმდინარეობის განვითარების საქმეში. დავით შენგელიამ („ისევ „დოგმატიკონის“ ნუსხების, „გამოკრებანი წამებათანის“ ავტორისა და არსენ იყალთოელის შესახებ“) წარმოადგინა თავისი დაკვირვებები „დოგმატიკონის“ ერთ-ერთი თხზულების ატრიბუციასთან დაკავშირებით. გელათის სკოლის იუბილეს თავიანთი მოხსენებები უძღვნეს ხელოვნებათმცოდნეებმა: ელენე მაჭავარიანმა ისაუბრა ვანისა და გელათის ოთხთავების მოხატულობის სპეციფიკის, ბიზანტიურ ხელნაწერებთან მათი მიმართების შესახებ („გელათის მონასტრის სიძველეთსაცავში XIX საუკუნეში დაცული ორი უნიკალური მოხატული ხელნაწერის შესახებ“); ირინე მამაიაშვილის მოხსენება ეხებოდა გელათის სამონასტრო კომპლექსის

ფერწერულ დეკორს; ნინო ქავთარიამ წარმოადგინა მოხსენება – „ავგაროზის ციკლის დასურათება გელათის ოთხთავში“.

დაგეგმილია ხელნაწერთა ინსტიტუტის კონფერენციაზე მოსმენილი მოხსენებების ცალკე წიგნად გამოცემა.

მაია რაფავა

ვახტანგ ჯობაძე – 90

2007 წლის 29-30 მარტს ხელნაწერთა ინსტიტუტში მოენყო ვახტანგ ჯობაძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე, ცხრა ათეულ წელს მიტანებული ქართველი ხელოვნებათმცოდნე და არქეოლოგი, ტაო-კლარჯეთისა და ანტიოქიის ქართული ეკლესია-მონასტრების მკვლევარი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი იუბილემდე სულ ცოტა ხნით ადრე – 10 თებერვალს გარდაიცვალა ამერიკაში, ქ. კარლსბადში.

ვახტანგ ჯობაძე იყო ერთადერთი ქართველი მკვლევარი, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ საშუალება ჰქონდა ემოგზაურა და შეესწავლა ტაო-კლარჯეთის ძეგლები. ის არის მრავალი ნაშრომის ავტორი ქართული სიძველეების შესახებ, რომელიც ძირითადად უცხოეთში იბეჭდებოდა. ვახტანგ ჯობაძემ უდიდესი შრომა გასწია საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული არქიტექტურული ძეგლებისა და ხელოვნების ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის. ის მოღვაწეობდა გერმანიაში, ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. თანამშრომლობდა ჰარვარდისა და იუტას უნივერსიტეტებთან, ბოლოს კი ლოს-ანჯელესში, კალიფორნიის უნივერსიტეტში განაგებდა ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტს.

ვახტანგ ჯობაძისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ისე მოწვეულმა სტუმრებმა. მოხსენებათა ერთი ნაწილი ეხებოდა ვახტანგ ჯობაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის მჭიდრო კავშირს ხელნაწერთა ინსტიტუტთან, მეცნიერის მიმონერას სამშობლოში მცხოვრებ კოლეგებთან და ახლობლებთან: ვახტანგ ჯობაძის ცხოვრება და მოღვაწეობა (ზაზა სხირტლაძე), ვახტანგ ჯობაძე – ანტიოქიაში ქართულ სიძველეთა მკვლევარი (თამილა მგალობლიშვილი), ვახტანგ ჯობაძე და ხელნაწერთა ინსტიტუტი (მაია მამაცაშვილი), ვახტანგ ჯობაძის წერილები გიორგი მელიქიშვილისადმი (სოფიო სარჯველძე).

კონფერენციის მეორე ნაწილი დაკავშირებული იყო ტაო-კლარჯეთის, ანტიოქიისა და კვიპროსის ქართულ სიძველეებთან, იმ თემატიკასთან, რომელზედაც წლების მანძილზე მუშაობდა მეცნიერი:

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა (მაია რაფავა), ქართულ-ბიზანტიური მიმართებანი ტაო-კლარჯეთის სკულპტურული ძეგლების მაგალითზე

(ლეილა ხუსკივაძე) ტაოს საეკლესიო და გეოგრაფიული პოლიტიკის საკითხები ადრე შუა საუკუნეებში (გიორგი ჭიშვილი), „ალექსანდრე დიდის ამალღების“ კომპოზიცია ხახულში (თამარ ხუნდაძე), შავი მთის მნიგნობრული სკოლის შესწავლისათვის – ეფრემ მცირის ანდერძ-მინაწერები (ქეთევან ბეზარაშვილი, თამარ ოთხმეზური);

რამდენიმე მოხსენება შეეხებოდა ბოლო წლებში ქართველ ისტორიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა მიერ ტაო-კლარჯეთში ჩატარებული ექსპედიციების შედეგად ახლად გამოვლენილ ძეგლებს. სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრმა 2005 წლის სამეცნიერო ექსპედიციის შედეგების ერთი ნაწილი სამი მოხსენებით წარმოადგინა – თუხარისის ძიებაში (ბუბა კუდავა, ბონდო კუპატაძე), „წვევი ყუელისაჲ“ (გოჩა საითიძე, ნესტან ჯიოევი, თემო ჯოჯუა), ოხურის ხევი (თამარ გეგია); სამეცნიერო ექსპედიციათა შედეგად გამოვლენილ დღემდე უცნობ თუ ნაკლებად შესწავლილ ძეგლებს შეეხებოდა სხვა მოხსენებებიც – ფარნაკის ციხის ეკლესია (გიორგი ბაგრატიონი), მღვიმის ეკლესია სოლომონყალაში. წინასწარი მონაცემები (დარეჯან კლდიაშვილი), ეფფრატი – უახლესი მასალა მაჭახლის ხეობიდან (ირინე გივიაშვილი);

ბოლო პერიოდში კვიპროსში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების საინტერესო ანგარიში წარმოადგინა ექსპედიციის ხელმძღვანელმა იულონ გაგომიძემ: გათხრები კვიპროსზე – ღალიას მონასტერი. აღსანიშნავია, რომ კვიპროსის ქართულ მონასტერში პირველი გათხრები სწორედ ვახტანგ ჯობაძემ აწარმოა.

კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ვახტანგ ჯობაძის წიგნის – „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“ – ქართული ვერსიის პრეზენტაცია.

დარეჯან კლდიაშვილი

ქველი ქრისტიანობის მკვლევართა 36-ე შეხვედრა

ნმ. ავგუსტინეს პატრისტიკულ ინსტიტუტში (ვატიკანი) თემაზე „ქველი ქრისტიანული პოეზიის მოტივები და ფორმები წმინდა ნარილსა და კლასიკურ ტრადიციას შორის“

2007 წლის 3-5 მაისს ვატიკანში, ლატერანენსის პაპის უნივერსიტეტში გაიმართა ნმ. ავგუსტინეს სახელობის ძველი ქრისტიანობის მკვლევართა მორიგი შეხვედრა, რომელიც ყოველ წელიწადს იმართება სხვადასხვა თემატიკით. ამჯერად შეხვედრის თემა იყო ადრეული ქრისტიანული პოეზია, მისი კლასიკური და ბიბლიური ტრადიციები. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა 80-მდე მეცნიერი სხვადასხვა ქვეყნიდან. მასში მონაწილეობდა აგრეთვე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი ქ. ბეზარაშვილი.

შეხვედრაზე ცალკე სექციებად მუშაობდა ბერძნული და ლათინური პოეზიის განყოფილებები. ასევე ცალკე სექციები ჰქონდა დათმობილი ადრეული ქრისტიანული პოეზიის უდიდეს წარმომადგენლებს – გრიგოლ ნაზიანზელს (ღვთისმეტყველს) და რომანოზ მელიოდოსს. გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის შესახებ მოხსენებები ნაიკითხეს ცნობილმა მკვლევარებმა: კარმელო კრიმიმ, ქრისტოფელ დემონმა და სხვ. განსაკუთრებით დიდი იყო ყურადღება გრიგოლ ნაზიანზელის ე. წ. საპროგრამო ლექსისადმი, როგორც პოეტური ხელოვნების „ტრაქტატისადმი“. მას მიეძღვნა სამი მოხსენება: კ. დემონის, ფ. ფატისა და ქ. ბეზარაშვილის.

ქ. ბეზარაშვილის მოხსენება „კლასიკური ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის ურთიერთმიმართების გრიგოლ ღვთისმეტყველისეული ინტერპრეტაცია თხზულებაში „საკუთარი ლექსების შესახებ“ ნაიკითხულ იქნა გრიგოლ ნაზიანზელის სექციისაში. მოხსენებაში პირველად იქნა გაანალიზებული რიტორიკის თეორიისა და პოეტიკის საკითხების წმ. გრიგოლისეული ინტერპრეტაცია ელინისტური და ბიზანტიური თეორიების ცნებებისა და ტერმინების მიხედვით. ქ. ბეზარაშვილს ამგვარი კვლევის საფუძველს აძლევდა მის მიერ ადრე შესრულებული შრომები იმავე საკითხებზე მიქაელ ფსელოსის ტრაქტატების მიხედვით და ამ შრომებში გამოყენებული მეთოდოლოგია.

ქეთევან ბეზარაშვილი

ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები:

ქართული კულტურული თვითმყოფადობის ფორმირება

2007 წლის 10-11 ივლისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა (თბილისი) და ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის (ლუვენ-ლა-ნევი, ბელგია) ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია – „ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები: ქართული კულტურული თვითმყოფადობის ფორმირება“ (საორგანიზაციო კომიტეტი: ანდრეა შმიდტი (ლუვენი), ჯუსტო ტრაინა (ლეჩე), ბუბა კუდავა (თბილისი), ქეთევან ბეზარაშვილი (თბილისი). კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა ოთხი სხდომა: I. გრიგოლ ნაზიანზელი და ქართული ლიტერატურის ისტორიული საფუძველი; II. გრიგოლ ნაზიანზელის შრომებზე დართული კომენტარები და ანტიოქიური ტრადიცია; III. ძველი ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია; IV. ძველი ქართული ტრადიციის იკონოგრაფიული და დოკუმენტური ასპექტები.

კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა უმრავლესობაში მთავარ საკითხად გამოკვეთილი იყო ადრე ბიზანტიური მწერლობის ცნობილი წარმომადგენლის, გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევა, რომელიც უკვე ოცი წელია მიმდინარეობს საერთაშორისო პროექტით (კვლევას

უძღვება ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტი) და რომელშიც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩართულია ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების მრავალმხრივი კვლევის შედეგები თავიანთ მოხსენებებში წარმოადგინეს ამ ჯგუფის წევრებმა – ნინო მელიქიშვილმა და მაია რაფაევამ („გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიები უძველეს ქართულ მრავალთავებში“), ციალა ქურციკიძემ („გრიგოლ ღვთისმეტყველის სამი თეოლოგიური ჰომილიის ქართული ვერსია“), თამარ მარგიანმა („სოფრონ იერუსალიმელი ქართულ მწერლობაში“), თამარ ოთხმეზურმა („XII-XIII საუკუნეების ელინიზებული ქართული ხელნაწერი – A-109“), ქეთევან ბეზარაშვილმა და მაია მაჭავარიანმა („კლასიკური რიტორიკის თეორიის ზოგიერთი კონცეფცია შუა საუკუნეების თეორიულ აზროვნებაში“). ამავე თემატიკას დაუკავშირდა მაგდა მჭედლიძის (ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მოხსენება – „გრიგოლ ღვთისმეტყველის X ჰომილიის მიქაელ ფსელოსისეული კომენტარის ქართული თარგმანი“, ასევე უცხოელი მკვლევრების, თომას შმიდტის (კანადა, „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარების ქართული ვერსიის ბერძნული ორიგინალის საკითხი“) და ანა ბუნენის (ბელგია, „გრიგოლ ნაზიანზელის იკონოგრაფია“) გამოსვლები.

გარდა გრიგოლ ღვთისმეტყველის კვლევისადმი მიძღვნილი მოხსენებებისა, კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემატიკა ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული თუ ისტორიულ-კულტურული ურთიერთობებიდან, როგორიცაა: „ძველი ქართული თარგმანები, მათი ტიპოლოგიური თავისებურებები და მნიშვნელობა ბერძნული ორიგინალის შესწავლისათვის“ (მომხსენებელი ანა ხარანაული, გ. წერეთლის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმანი და ქართული ენის ემანსიპაციის ზოგიერთი პრობლემა შუა საუკუნეებში“ (მომხსენებელი ნინო დობორჯგინიძე, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „იოანე საბანისძე გვიანბიზანტიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის მიჯნაზე“ (მომხსენებელი გაგა შურღაია, ვენეციის უნივერსიტეტი, იტალია), „ანტიოქიისა და საქართველოს სამეფოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა შუა საუკუნეებში“ (მომხსენებელი პიტერ ჰალფტერი, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, ბელგია / მარბახი, გერმანია), „ხატების თაყვანისცემისათვის შუა საუკუნეების საქართველოში“ (მომხსენებელი ნინო ჭიჭინაძე, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და რესტავრაციის ცენტრი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „ქართული სიძველეები ვატიკანის არქივში“ (მომხსენებელი სერგო ფარულავა, რომის პაპის ნმ. გრიგოლის სახელობის უნივერსიტეტი, იტალია). ფრანგულენოვანი გამოსვლების სინქრონული ქართული თარგმანი შესრულებული იყო ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტის დოქტორანტის, თამარ პატარიძის მიერ.

შემაჯამებელ სხდომაზე კონფერენციის ორგანიზატორებმა ვრცლად ისაუბრეს ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კავშირის შესახებ, რომელიც სათავეს ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებლის, ილია აბულაძისა და ცნობილი ორიენტალისტის, ჟერარ გარიტის სამეცნიერო ურთიერთობებიდან იღებს. უცხოელმა მეცნიერებმა ხაზგასმით გამოკვეთეს ქართული ჯგუფისა და, განსაკუთრებით, ჯგუფის ხელმძღვანლის, აკად. ელენე მეტრეველის როლი გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევისა და გამოცემის საერთაშორისო პროექტში, აგრეთვე იმ პუბლიკაციათა მნიშვნელობა, რომლებიც ქართულმა ჯგუფმა განახორციელა პროექტის ფარგლებში (დღეისათვის გამოცემულია გრიგოლ ღვთისმეტყველისა და მისი თხზულებების კომენტართა ქართული თარგმანების ექვსი ტომი ცნობილი სერიით *Corpus Christianorum*).

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ბიზანტინისტთა ეროვნული კავშირის პრეზიდენტი, პროფ. ნ. ლომოური (გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), პროფ. მზექალა შანიძე (ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ნელი მახარაძე (გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), რომლებმაც სათანადოდ შეაფასეს საერთაშორისო კონფერენციის მეცნიერული დონე და ისაუბრეს ხელნაწერთა ინსტიტუტის განსაკუთრებული როლის შესახებ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში.

სხდომაზე წაიკითხეს ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის, გრიგოლ ნაზიანზელის პროექტის ბელგიური ჯგუფის ხელმძღვანლის, ჟუსტინ მოსეის წერილი, რომელშიც ხაზგასმული იყო ქართველ და ბელგიელ მეცნიერთა თანამშრომლობის, აგრეთვე გრიგოლის თხზულებათა ქართული თარგმანების გამოცემის უდიდესი მნიშვნელობა ამ ავტორის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევის საქმეში. კონფერენციის მსვლელობისას გაიმართა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების გამოცემის მორიგი ტომის პრეზენტაცია: S. Gregorii Nazianzeni opera. Versio Iberica, V. Orationes XXXIX, XL, edita a B. Coulie et H. Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, M. Rapava (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 58. *Corpus Nazianzenum*, 20), Turnhout-Leuven, Brepols Publishers, Leuven University Press, 2007.

ქეთევან ბეზარაშვილი, თამარ ოთხმეზური

პატრისტიკის XV საერთაშორისო კონფერენცია ოქსფორდში

2007 წლის 6-11 აგვისტოს ოქსფორდის უნივერსიტეტში გაიმართა მორიგი XV პატრისტიკული კონფერენცია, რომელიც ტრადიციულად ყოველ ოთხ წელს იმართება ოქსფორდში. გასულ წლებში ამ კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ცალკეული ქართველი მეცნიერები. წელს კონფერენციაში სამი ქართველი მეცნიერი მონაწილეობდა, სამივე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან: ქეთევან ბეზარაშვილი, ლელა ხოფერია და თინა ცერაძე. მათი მონაწილეობა ნაწილობრივ დააფინანსა ინგლისურმა ორგანიზაციამ FaRiG-მა (Friends of Academic Research in Georgia), რომელიც ხელს უწყობს აკადემიურ კვლევებს საქართველოში, ნაწილობრივ – საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, ნაწილობრივ კი სხვადასხვა ბრიტანულმა ორგანიზაციამ.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ცნობილი ბიზანტინისტიები, მათ შორის ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. ავერილ კამერონი და სხვ. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა 700-მდე მომხსენებელი. კონფერენციაზე მუშაობდა თემატურად შერჩეული ლექციები, სემინარები, მოკლე მოხსენებების განყოფილება. შესაძლებელი იყო ცნობილი მეცნიერების მოხსენებების მოსმენა, მაგ., პროფ. კლაუდიო მორესკინისა – გრიგოლ ნაზიანზელის ტრიტიეზმის შესახებ, პროფ. სებასტიან ბროკისა – ბიბლიურ თემებზე შექმნილი სირიული დრამატული პოეზიის შესახებ, პროფ. ენდრიუ ლოუთისა – მაქსიმე აღმსარებლის ღვთისმეტყველების შესახებ, პროფ. პაულინ ალენისა – ღვთისმშობლის შესახებ არსებული ადრეული ჰომილეტიკის შესახებ და სხვ. იყო დიდი შესაძლებლობა ახალი კონტაქტებისა და ურთიერთობების დამყარებისა სხვადასხვა მეცნიერებთან, მეცნიერთა ჯგუფებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან, სამეცნიერო ჟურნალებთან. მაგ., დამყარდა კონტაქტი რუსეთის ბიზანტინისტიკებთან, რომლებიც გამოსცემენ სამეცნიერო კრებულს *Scrinium. Revue de patrologie, d'hagiographie critique et d'histoire ecclésiastique* (Société des études byzantines et slaves, St. Pétersbourg) ვ. ლურიესა და ვ. მურავიოვის რედაქციით. მათ სურთ, რომ ამ ჟურნალში წარმოდგენილი იყოს ქართული მასალებიც, რომლებიც ქართველ მეცნიერთა მიერ იქნება დამუშავებული. მათ მიერ გამოცემულ სამ ტომში ქართული მასალები წარმოდგენილია მხოლოდ უცხოელ მეცნიერთა პუბლიკაციების მიხედვით. ასე რომ, ქართველი მეცნიერებისათვის კონფერენციაში მონაწილეობა ნაყოფიერი იყო როგორც სამეცნიერო ურთიერთობების დასამყარებლად, ისე ჩვენი სამუშაო თემატიკის გასაცნობად ფართო საზოგადოებისათვის.

ქ. ბეზარაშვილის მოხსენება „მიქაელ ფსელოსი – გრიგოლ ღვთისმეტყველის სტილის ინტერპრეტატორი და ბიზანტიური რიტორიკის ცნებების ახალი ასპექტები“ ნაკითხულ იქნა გვიანდელი ბიზანტიური თეოლოგიის განყოფილებაში. მიქაელ ფსელოსის, XI საუკუნის უდიდესი ბიზანტიელი განმანათლებლის ტრაქტატები რიტორიკის თეორიის საკითხებზე, რომელთა პუბლიკაციიდან თითქმის მთელი საუკუნე გავიდა, ფაქტობრივად შეუსწავლელია. ქ. ბეზარაშვილი

შეეცადა, მოეხდინა ამ ტრაქტატებში გამოყენებული რიტორიკის თეორიის ცნებებისა და ტერმინების სისტემატიზაცია ელინისტურ თეორიებთან მიმართებაში და გამოეყო ახალი, ბიზანტიური თეორიის მახასიათებლები.

ლ. ხოფერიას მოხსენება „ერთი ქართული წყარო და იოანე ქსიფილინოსის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ წაკითხულ იქნა წმ. მამათა რეცეფციის სექციაში. მოხსენება ეხებოდა მეტაფორასტიკის მეთოდების შესწავლას, რაშიაც ქართულ მასალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ, რადგან იოანე ქსიფილინოსის შესახებ ცნობები მხოლოდ ქართული წყაროებით არის ცნობილი. საკითხი განხილული იყო „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების“ კიმენური და მეტაფორასული ვერსიების შედარების საფუძველზე.

თ. ცერაძის მოხსენება „ქართული კელიოტური კრებულები“ წაკითხულ იქნა ასკეტიზმის სექციაში. მოხსენებაში მკვლევარს გაანალიზებული ჰქონდა ბერთა სენაკებში საკითხავი კრებულების ტიპები იერუსალიმური ქართული ხელნაწერების მიხედვით. ამგვარი კრებულების კლასიფიკაცია თ. ცერაძეს ეკუთვნის. ამდენად, ამ მასალის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ პრობლემის ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვისათვის. მოხსენებამ სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

კონფერენციის მიმდინარეობის პროცესში ოქსფორდის უნივერსიტეტში მოეწყო სპეციალური სამეცნიერო წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

ქეთევან ბეზარაშვილი

ნმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო საღვთისმეტყველო-სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენცია ჩატარდა **2007 წლის 10-11 ოქტომბერს** სამების საკათედრო ტაძარში. სამეცნიერო სესია გაიხსნა ვებ-გვერდის პრეზენტაციით (www.st-maximus.org), რომელიც ეძღვნება წმ. მაქსიმე აღმსარებლის საერთაშორისო თეოლოგიურ-სამეცნიერო ცენტრს.

წაკითხულ იქნა მოხსენებები მაქსიმე აღმსარებელთან დაკავშირებულ ისტორიულ საკითხებზე (მანგლელი მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე, არქიეპისკოპოსი მარკ-ანტუან კოსტა დე ბიურეგარდი – რუმინეთი, დიმიტრი ლეთოდანი – საქართველო, ია მელნიკოვა, ნატალია გოლოვინა – რუსეთი), მაქსიმე აღმსარებლის შემოქმედების საღვთისმეტყველო პრობლემასტიკის შესახებ (პროფ. ჟან-კლოდ ლარშე – საფრანგეთი, პეტრე მალკოვი – რუსეთი), მაქსიმე აღმსარებელი სირიულ და არაბულ წყაროებში (მამა ელია ხალიფე – ანტიოქიის საპატრიარქო, ოქსფორდის უნივერსიტეტი), მაქსიმე აღმსარებლის იკონოგრაფია (ბრიგიტა შრადე – გერმანია),

მაქსიმე აღმსარებელი ქართულ ტრადიციაში (ლელა ხოფერია, მაია რაფავა, თამარ ოთხმეზური, ქეთევან ბეზარაშვილი – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).

12-13 ოქტომბერს კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა ქართული თარგმანების შემცველი ხელნაწერები ქუთაისის საისტორიო მუზეუმში და მოინახულეს წმ. მაქსიმეს სახელობის ეკლესია ცაგერში, სადაც განისვენებს მისი წმინდა ნაწილები.

ქეთევან ბეზარაშვილი

საერთაშორისო კონფერენცია „ბიზანტინოლოგია საქართველოში-2“

კონფერენცია 2007 წლის 26-28 ოქტომბერს ქ. ბათუმში ჩაატარა ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნულმა კავშირმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა, ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. კონფერენცია დააფინანსა საბერძნეთის საელჩომ საქართველოში. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში შედიოდნენ: ელფეთერიოს ანგელოპულოსი (საბერძნეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში), მარინე გიორგაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი), რამაზ ხალვაში (ამავე უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი), თინა დოლიძე (თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი), ნელი მახარაძე (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების გამგე), თამარ მესხი (ამავე ინსტიტუტის ბერძნული კულტურისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი), გიორგი თამამაიშვილი, ნინო ინაიშვილი (ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).

კონფერენცია გაიხსნა პლენარული სექციით, სადაც პალესტინისა და სინას მთის ქართული ეკლესიების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს თ. მგალობლიშვილმა და თ. მესხმა, მაქსიმე აღმსარებლის შესახებ არსებული სირიული და არაბული წყაროების შესახებ – ელი ხალიფემ ოქსფორდის უნივერსიტეტიდან, გრიგოლ ნოსელის თეოლოგიის შესახებ – თ. დოლიძემ, ბერძნულ-ქართული ლექსიკური ურთიერთმიმართების შესახებ – ნ. მახარაძემ, პეტრას საეპისკოპოსო კათედრის შესახებ – ნ. ინაიშვილმა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბერძნული კოლექციის შესახებ – ქ. ბეზარაშვილმა და თ. ოთხმეზურმა.

კონფერენციაზე მუშაობდა რამდენიმე სექცია: ბიზანტიური და ქართული ხელოვნება, საეკლესიო გალობა (თავმჯდომარეები: ზ. სხირტლაძე, მ. ჭიჭილეიშვილი); ენისა და ლიტერატურის პრობლემები, თარგმანი, ტერმინოლოგია, სტილისტიკა (თავმჯდომარეები: მ. რაფავა, ა. ხარანაული; თ. ოთხმეზური, რ. ხალვაში); ისტორია, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობები (თავმჯდომარეები: ნ. ინაიშვილი, გ. თავამაიშვილი); თეოლოგია-ფილოსოფია (თავმჯდომარეები: ნ. სულავა, ლ. გიგინეიშვილი). კონფერენციაში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ახალქალაქის მეცნიერები, აგრეთვე უცხოელი მეცნიერები ათენიდან, პარიზიდან, ოქსფორდიდან და სხვ.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხებოდა ბიზანტიური და ქართული არქიტექტურისა და იკონოგრაფიის საკითხებს (გ. ყიფიანი, ზ. სხირტლაძე, ნ. ჭიჭინაძე, მ. ჭიჭილეიშვილი), გონიო-აფსაროსის ისტორიას ბიზანტიურ ხანაში (შ. მამულაძე, ე. კახიძე, მ. ხალვაში, ი. ვარშალომიძე), იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიას (ბ. ჯავახია), კონსტანტინოპოლის ქართული არისტოკრატიის ისტორიას (დ. კლდიაშვილი), ბიზანტია-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობებს (თ. ბერაძე, გ. გრიგოლია, ვ. გოილაძე, ო. ბერიძე, ბ. დიასამიძე, კ. სურგულაძე, მ. მიქელაძე, ვ. შამილაძე, მ. ლორია, ნ. ძნელაძე), ქართული საეკლესიო გალობის საკითხებს (მ. სუხიაშვილი, ხ. მანაგაძე, ე. ონიანი), ელინოფილური სკოლის ენის, სტილისა და ტერმინოლოგიის საკითხებს (დ. მელიქიშვილი, მ. რაფავა, ა. ხარანაული, ნ. მელიქიშვილი, ნ. ჩიკვატია, ნ. მრეველიშვილი, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე და სხვ.), ბიზანტიურ-ქართული სასულიერო მწერლობის დარგებს: აპოლოგეტიკას (მ. გიორგაძე), ჰაგიოგრაფიას (ს. მახარაშვილი, თ. ბაკაშვილი), ფილოსოფია-ეგზეგეტიკას (მ. მჭედლიძე, რ. ხალვაში), ისტორიოგრაფიას (ჯ. შოშიაშვილი, ნ. ამირანაშვილი), ბიზანტიურ რომანს (მ. პაიკიძე, მ. კაკაშვილი), თეოლოგია-ფილოსოფიას (ნ. სულავა, დ. სუმბაძე, თ. ცოფურაშვილი, ე. კოჭლამაზაშვილი, ე. ჩიკვაიძე, დ. ნადიბაიძე, ლ. გიგინეიშვილი) და სხვ.

კონფერენციაზე მოენყო ბიზანტინოლოგთა I კონფერენციის მასალების პრეზენტაცია, რომელიც წიგნად გამოიცა სათაურით „ბიზანტინოლოგია საქართველოში“ (ეძღვნება აკად. ს. ყაუხჩიშვილს, რედაქტორები: ნ. მახარაძე, თ. დოლიძე, პროგრამა „ლოგოსი“, თბ., 2007 [603 გვ.]). კრებული გამოქვეყნდა პროგრამის „დიონისოს ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის“ მხარდაჭერით. კრებულის პრეზენტაციას ესწრებოდა საბერძნეთის ელჩი ელეფთერიოს ანგელოპულოსი.

29 ოქტომბერს კონფერენციის მონაწილეები ეწვივნენ ქ. ტრაპიზონს, დაათვალიერეს ბიზანტიური ძეგლები: ტრაპიზონის აია-სოფიის ტაძარი და სუმელას სამონასტრო კომპლექსი.

ქეთევან ბეზარაშვილი

ელენე მეტრეველი – 90

2007 წლის 13-14 დეკემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარდა ცნობილი ქართველი მეცნიერის, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ელენე მეტრეველის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციის დღეებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში ოფიციალურად გაიხსნა ელენე მეტრეველის მემორიალური კაბინეტი. მოწესრიგდა მეცნიერის პირადი ბიბლიოთეკა, აღირიცხა მემორიალური ნივთები. დასრულდა ელენე მეტრეველის საკმაოდ საინტერესო პირადი არქივის დამუშავება. ჩატარდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ საგანგებოდ ელენე მეტრეველის იუბილესათვის მომზადებული და გამოცემული 3 ნიგნის პრეზენტაცია: ელენე მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, რედაქტორები თამარ ოთხმეზური, თინათინ ცერაძე, თბ., 2007; ელენე მეტრეველი (1917-2003). ბიობიბლიოგრაფია, შეადგინა გაგა შურლაიამ, თბ., 2007; პირადი არქივების აღწერილობა, 1, ელენე მეტრეველი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს მაია მამაცაშვილმა და ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2007 (გამოცემები დააფინანსა გამომცემლობა „არტანუჯმა“).

კონფერენციის პირველ დღეს მომხსენებლებმა – ელენე მეტრეველის კოლეგებმა და მოსწავლეებმა – ისაუბრეს ელენე მეტრეველზე, როგორც პიროვნებასა და მასწავლებელზე (ქეთევან ბეზარაშვილი), მიმოიხილეს მისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობა – ელენე მეტრეველის არქეოგრაფიული ხასიათის შრომები (ვალერი სოლიგავა), მისი წვლილი ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლაში (ლილი ხევსურიანი), აგრეთვე, საერთაშორისო პროგრამით გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების შესწავლასა და გამოცემაში (თამარ ოთხმეზური). წაკითხულ იქნა ელენე მეტრეველის უცხოელი კოლეგების, შარლ რენუსა (საფრანგეთი) და ჟუსტინ მოსეის, ანდრეა შმიდტის, ბასტიენ კინტის (ბელგია, ლუვენის ორიენტალისტიკის სკოლა) ადრესები. ეთერ ქავთარაძის, ცისანა ბიბილეიშვილისა და თამარ ჭუმბურიძის მოხსენებები ეხებოდა ელენე მეტრეველის პირად არქივს, იქ დაცულ ფრანგულ და გერმანულენოვან მასალას.

კონფერენციის მეორე დღეს წაკითხულ მოხსენებათა უმეტესობა უკავშირდებოდა იმ თემატიკას, რომელზეც მუშაობდა ელენე მეტრეველი: ქართული სამწერლობო კერები და ქართველი მოღვაწენი საქართველოსა და უცხოეთში – შატბერდის, ოშკისა და ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული საკითხები (ნესტან სულავა), იოანე მთავარაასძე – შავი მთის ქართველი მოღვაწე (მაია რაფავა), X-XI საუკუნეების უცნობი სვიმეონწმიდური ოთხთავი ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან (თემურ ჯოჯუა), წმინდა მინის ქართული სამონასტრო თემის ისტორიის ოსმალური დოკუმენტები ფრანცისკელთა სამეურვეო არქივიდან

(ცისანა აბულაძე), ზაქარია ბანელი (დარეჯან კლდიაშვილი); ძველი ქართული ლიტურგიკული პოეზია – ქართული ლიტურგიკული მწერლობის ისტორიიდან: იოანე ბოლნელი და იოანე მინჩხი (ლელა ხაჩიძე), ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი“ (ლაურა გრიგოლაშვილი), ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის უძველესი ქართული თარგანები X საუკუნის იადგარებში (ეკა დულაშვილი); არქეოგრაფია – უძველესი ქართულ-სომხური რვეული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხური ფონდიდან (ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი). კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო უცხოელი მეცნიერების მოხსენებები: ერთი დოგმატიკური კრებულის ქართული ფრაგმენტის შესახებ (ბერნარ უტიე), ვახტანგ VI-ის „ქმნულების“ წიგნი და მისი ადგილი ასტროლოგიურ ტრადიციაში (ტიმოთი გრუვი), „ნმ. ნინოს ცხოვრება“ (პოლ კრეგო).

თამარ ოთხმეზური

პროექტები, ექსპედიციები

პატრა იბერის ნაკვალევი

2006 წლის 12 ივნისიდან 11 ივლისამდე ისრაელსა და იორდანიაში იმუშავა ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის სამეცნიერო ექსპედიციამ სახელწოდებით „პეტრე იბერის ნაკვალევი“ (ექსპედიციის ხელმძღვანელი: პროფ. თამილა მგალობლიშვილი). ექსპედიცია მიზნად ისახავდა წმინდა მიწის იმ ადგილების ლოკალიზებასა და ფიქსირებას, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით უკავშირდება ცნობილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს, პეტრე იბერს (V ს.). ამ მიზნით, პეტრე იბერის „ცხოვრების“ ქართული და სირიული ვერსიების ტექსტების სპეციალური შესწავლის შედეგად, მომზადდა ე. წ. პეტრე იბერის მარშრუტი – ჩამონათვალი ისრაელსა და იორდანიაში მდებარე იმ ადგილებისა, რომლებიც თავის დროზე მოინახულა პეტრე იბერმა. ექსპედიციამ მოინახულა მარშრუტში შესული ყველა ადგილი (როგორც იდენტიფიცირებული, ისე სავარაუდო) და მოახდინა მათი ფიქსაცია. ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია ადგილებზე მუშაობდა ისრაელელ და იორდანიელ, აგრეთვე ისრაელსა და იორდანიაში მომუშავე ევროპელ არქეოლოგებთან ერთად. სამეცნიერო ექსპედიციის „პეტრე იბერის ნაკვალევი“ მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ „ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის“ წევრები: თამილა მგალობლიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოლოგი; თინა ცერაძე – კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგი; გიორგი გაგომიძე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის უფროსი მცველი, ხელოვნებათმცოდნე; მზია ჯანჯალია – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნე; თეონა კერესელიძე – ექსპედიციის მენეჯერი. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ელენე იანოვსკიმ, ისრაელის ეროვნული მუზეუმის ფოტოგრაფმა.

თინა ცერაძე

ოქსფორდის კოლეჯების სამეცნიერო პროექტი

(Oxford Colleges Hospitality Scheme)

ყოველ წელიწადს ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, სართაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი და ოქსფორდის უნივერსიტეტის კოლეჯები აწყობენ კონკურსს სამეცნიერო გრანტისათვის ოქსფორდის უნი-

ვერსიტეტში გასამგზავრებლად, ბიბლიოთეკებში სამუშაოდ და კონსულტაციის მისაღებად იქაურ სპეციალისტთაგან. 2004 წელს ეს დიდი კონკურსი გავიარეთ და გრანტი მივიღეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ორმა თანამშრომელმა ერთდროულად, მე და ლელა ხოფერია, რაც ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სკოლის კიდევ ერთი წარმატებაა. ლ. ხოფერია 2005 წლის სექტემბერში იმყოფებოდა ამ პროგრამით ოქსფორდში, ვოლფსონის კოლეჯში და მუშაობდა პროფ. სებასტიან ბროკის ხელმძღვანელობით; მისი კვლევის საგანი იყო იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასული მოსახსენებელი, რომელიც მაქსიმე აღმსარებელს ეძღვნება და მხოლოდ ქართულადაა შემორჩენილი. ოქსფორდის ბიბლიოთეკებში მუშაობამ მისცა ლ. ხოფერიას შესაძლებლობა, შეისწავლა ეს თხზულება ბიზანტიური მეტაფრასტიკის კონტექსტში. მე 2006 წლის აგვისტო-სექტემბერში ვმუშაობდი ექსეტერის კოლეჯში პროფ. ელიზაბეტ ჯეფერის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ 1998 წელს იგივე გრანტი მოიპოვა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა თ. ოთხმეზურმა. მან ბოდლეს ბიბლიოთეკაში მუშაობისას ბერძნულ ხელნაწერებში მიაკვლია ნიკიტა ჰერაკლიელის ტექსტს, რომელიც იოანე პეტრინისეულად მიჩნეული ე. წ. ბოლოსიტყვაობის ბერძნული დედანი აღმოჩნდა. თ. ოთხმეზურმა შეისწავლა და გამოაქვეყნა ეს ბერძნული ტექსტი ქართულთან ერთად.

ოქსფორდის უნივერსიტეტისა და კოლეჯების მშვენიერება, არაჩვეულებრივი სასწავლო-შემეცნებითი და დასასვენებელი გარემო, რომელიც იქ სუფევს, მრავალი სტუდენტისა თუ მეცნიერის ოცნების საგანია. ბუნებრივია, რომ იქ ერთი თვით მოხვედრილი ყოველი უცხოელი ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ეს დრო და მუშაობას შეუფარდოს კოლეჯების დათვალიერება და ოქსფორდის ისტორიული ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების მოხილვა. ბოდლეს ბიბლიოთეკა და აშმოლეონის მუზეუმი ამ სანახაობათა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ბოდლეს ბიბლიოთეკა ქართველი მეცნიერებისათვის საყურადღებოა ოლივერ და მარჯორი უორდროპების ცნობილი ფონდის გამოც. ამ ფონდის ქართული ხელნაწერების მშვენებაა „ვეფხისტყაოსნის“ ორი მოხატული ხელნაწერი, XI საუკუნის ჰაგიოგრაფიული კრებული Bodl. 1 და სხვ.

მარჯორი უორდროპის ფონდზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ინფორმაციამ, რომელიც მარჯორის ჩანაწერებშია მოთავსებული და ეხება გიორგი მთაწმინდელის საგალობლებს. ცხადი გახდა, რომ ქართულ სამეცნიერო წრეებში ერთ დროს გავრელებული ინფორმაცია თომას მურის ცნობილი ლექსის, „მნუხრის ზარების“ გიორგი ათონელის ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებასთან მცდარად დაკავშირების შესახებ უნდა მომდინარეობდეს მარჯორის რომანტიკული ჩანაწერიდან ან ამ ჩანაწერს წყაროდან.

ჩემი ძირითადი სამუშაო ოქსფორდში იყო მიქაელ ფსელოსის ტრაქტატების მნიშვნელობის კვლევა ბიზანტიური ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების ფონზე. პროფ. ე. ჯეფერის მითითებით, ბოდლეს ბიბლიოთეკაში გავეცანი 9 ტომს სერიიდან „The Cambridge History of Literary Criticism“. II ტომი ეძღვნება

ლიტერატურულ-თეორიულ აზროვნებას შუა საუკუნეებში (შედგენილია პროფ. ა. მინისის მიერ). როგორც წინასწარ იყო მოსალოდნელი, მასში მხოლოდ რამდენიმე გვერდი ეძღვნება ბიზანტიურ ლიტერატურულ-თეორიულ აზროვნებას. იგივე ვითარებაა ამ საკითხზე დაწერილ სხვა ცნობილ მონოგრაფიებშიც. ასე რომ, ბოდლეს ბიბლიოთეკაში მუშაობა ნაყოფიერი იყო ბიზანტიური რიტორიკის თეორიის საკითხების კომპარატივისტული შესწავლისათვის.

ოქსფორდში მუშაობა ნაყოფიერი იყო აგრეთვე ანტიოქიის ბერძნული და ქართული მნივნილოვანი სკოლების შესწავლის თვალსაზრისით, რაზედა დიდი ხანია ვმუშაობ თ. ოთხმეზურთან ერთად. პროფ. ე. ჯეფერის რჩევები საჭირო აღმოჩნდა თვალსაწიერის გასაფართოებლად ამ სფეროშიც. აღსანიშნავია, რომ ოქსფორდში ამ მიმართულებით მუშაობა ნაყოფიერი აღმოჩნდა სამეცნიერო კონტაქტების დასამყარებლადაც. ამ საკითხით დაინტერესდა ანტიოქიის კვლევის ცენტრი, რომელიც ოქსფორდშია (Center of Antiochean Studies in Oxford) და რომელსაც ხელმძღვანელობს პროფ. ს. ბროკი და აბუნა (მამა) ელია.

ქეთევან ბეზარაშვილი

XI-XVI საუკუნეების ქართული საისტორიო საბუთების დიგიტალიზაცია და ტექსტურ მონაცემთა ბაზის შექმნა

2007 წლის 26 მაისს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის დარბაზში ჩატარდა 2005-2006 წლებში აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ფინანსური დახმარებით განხორციელებული პროექტის „XI-XVI საუკუნეების ქართული საისტორიო საბუთების დიგიტალიზაცია და ტექსტურ მონაცემთა ბაზის შექმნა“ პრეზენტაცია (პროექტის ხელმძღვანელი – მზია სურგულაძე; შემსრულებლები – დარეჯან კლდიაშვილი, ლელა ნებიერიძე, გიორგი ალექსიძე, გიორგი მელაძე). პროექტი ქართული საისტორიო დოკუმენტების დიგიტალიზაციის პირველ ცდაა. მის ფარგლებში შესრულებული 300-მდე დოკუმენტის დიგიტალიზაცია საშუალებას მისცემს შუა საუკუნეების დოკუმენტური წყაროებით დაინტერესებულ მეცნიერებისა და სტუდენტების ფართო წრეს ერთდროულად ისარგებლონ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დოკუმენტების ორიგინალების ელექტრონული ვერსიით, მათი არქეოგრაფიული აღწერილობითა და ტექსტების ბეჭდური ასლებით.

მზია სურგულაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროექტის შედეგები. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ, სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელმა ზაზა ალექსიძემ, აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ალექ-

ქსანდრე დიდებულიძემ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩიეშვილმა და სხვ.

საგანგებოდ პრეზენტაციისათვის კორნელი კეკელიძის დარბაზში გამოიფინა XI-XVI საუკუნეების ქართული საისტორიო საბუთების დედნები.

დარეჯან კლდიაშვილი

ათონი: უცნობი ქართული სიკვლეები


2006 წლის ივლისის მეორე ნახევარი საბერძნეთში გავატარე და სიმონოპეტრას მონასტრის მიწვევით ერთი კვირით ვესტუმრე ათონსაც.

მოკლედ დღევანდელი ათონის შესახებ: აგიონ ოროსზე (წმიდა მთა) დღეს ოცი დასახლებული მონასტერია. ეს რიცხვი მუდმივია და დაშვებული არაა რომელიმე მონასტრის გაუქმება, ან ახლის დაარსება. თუ ბერთა რაოდენობამ რომელიმე მონასტერში დასაშვებს გადააჭარბა, მაშინ მათი ნაწილი მონასტრიდან გავა და კელიასა ან სკიტეში იცხოვრებს. ოცივე მონასტერი ავტონომიურია და მონაწილეობას იღებს მთელი ათონის ნახევარკუნძულის მართვაში. მხოლოდ კარიესი, რომელიც არის მონასტრების მმართველთა რეზიდენცია, ან უხეშად რომ ვთქვათ, ათონის დედაქალაქი, არ ექვემდებარება ამ მმართველობას. სასულიერო მმართველობასთან ერთად ათონს ჰყავს სამოქალაქო მმართველობაც მთელი თავისი სისტემით. ცხოვრების წესის მიხედვით ათონის მონასტრები ორ ჯგუფად იყოფა – კენობიტური და იდიორითმული. კენობიტურ მონასტრებში ყველაფერი საერთოა – საცხოვრებელი, საკვები, ლოცვა; ხოლო იდიორითმულში ყველა ბერი უფლებამოსილია საკუთარი საკვები და საცხოვრებელი თავად განისაზღვროს. კენობიტურ მონასტრებში საკანონმდებლო ხელისუფლება არის უხუცესთა საბჭოს ხელში, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება აქვს ილუმენს. ის უვადოდაა არჩეული იმ ბერების მიერ, რომელთა ბერად აღკვეციდან გასულია ექვსი წელი მაინც. იდიორითმულ მონასტერში საკანონმდებლო ხელისუფლება აქვს სინაქსისს, ანუ უვადოდ არჩეულ საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, ერთი წლის ვადით ირჩევს ორ ან სამ მეთვალყურეს. ასეთ მონასტრებში ბერები მცირე ხელფასსაც იღებენ და უფლება, აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადო საქმიანობაში. ათონის მმართველობა დაფუძნებულია შვიდ ტიპიკონზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია 971, 1046, 1394 და 1810 წლების ტიპიკონები. დღეს ათონი იმართება 1924 წლის კონსტიტუციით, რომელის თანახმად უმაღლესი ხელისუფლება უპყრია ოცი წევრისაგან შემდგარ წმინდა კრებას (თითო წევრი თითო მონასტრიდან). ისინი წელიწადში ორჯერ იკრიბებიან კარიესში. აღმასრულებელი ხელისუფლება წმინდა ეპისტასიის ხელთაა. წმინდა ეპისტასია შედგება ოთხი ბერისგან ოთხი მონასტრიდან: დიდი ლავრა, ვატოპედი, ივირონი და ხილანდარი. ეს ოთხეული ყოველ წელიწადს იცვლება. პროტოეპისტატი,

ახლად მიკვლეულ ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტების
ნიშუები ათონის სიმონ-პეტრას მონასტრიდან



თვენი, XI ს. № 151.



ფსალმუნი, XI ს. № 152.

იგივე პროტოსი, არჩეულია მხოლოდ ამ ოთხი უმთავრესი მონასტრიდან. კარიესშივეა ათონის სამოქალაქო მმართველის რეზიდენცია, რომლის ფუნქციებიც საგარეო საქმეთა მინისტრისას უტოლდება. იგი ამასთანავე ვალდებულია, უზრუნველყოს კონსტიტუციის აღსრულება და დაიცვას ნესრიგი. მას ჰყავს თავისი ადმინისტრაცია და პოლიცია. ბერძნული კონსტიტუციის თანახმად, დღეს ათონი ავტონომიური სამონასტრო რესპუბლიკაა.

ათონზე მცირე დროით ყოფნისას მხოლოდ სამი მონასტრის მონახულება მოვასწარი. ვინაიდან ჩემი მასპინძელი იყო სიმონო-პეტრას მონასტრის ბერი და ათონის ერთ-ერთი პროტოსი, მამა იუსტინე, ამიტომ პირველად სწორედ მის მონასტერში მომიწია მისვლა. მამა იუსტინეს ცნობით, მონასტერში დაცული უნდა ყოფილიყო ქართული ხელნაწერები. სიმონო-პეტრაში სამი დღე დავყავი. სამწუხაროდ მამა იუსტინეს სწორედ იმ ხანებში ათენში მოუწია წასვლა, ხოლო ადგილობრივი ბერები მონასტერში ქართული სიძველეების არსებობის შესახებ ინფორმაციას არა ფლობდნენ. მონასტერში ყოფნის ბოლო დღის მიწურულს მაინც მოვახერხე ბიბლიოთეკაში შესვლა. აღმოჩნდა, რომ ქართული მასალა ხუთი ნომრით იყო გატარებული. ბიბლიოთეკის დაკეტვამდე ნახევარი საათიღა რჩებოდა, დილით კი გემით უნდა გავმგზავრებულიყავი დაფნიში, იქიდან – ივირონში, ამიტომ ხელნაწერების გადაღება მთლიანად ვერ შევძელი. რაც გადავიღე, მათ ხარისხზეც მაინცდამაინც პასუხს ვერ ვაგებ სათანადო განათებისა და სხვა პირობების არარსებობის გამო.

სიმონო-პეტრადან გემით დაფნიში ჩავედი, რომელიც ათონის ერთგვარი კარიბჭეა და იქიდან ავტობუსით გავემგზავრე ივირონში. იქაც სამი დღე დავყავი, თუმცა ილუმენმა, გამონაკლისის სახით, დამართო ნება იმდენ ხანს დავრჩენილიყავი, რამდენიც მჭირდებოდა. მუშაობა ივირონში უკვე ყველანაირი პრობლემის გარეშე შევძელი და ხელნაწერების საცავიც ჩემთვის ღია იყო. ივირონში მე დიდ სიახლეებს არც მოველოდი. ამ მონასტერთან სრულიად განსაკუთრებული და სხვა დონის ურთიერთობის დაჭერაა საჭირო, რასაც გაცილებით მეტი დრო სჭირდება. გარკვეული წყაროების თანახმად, იქ კიდევ უნდა იყოს ჩვენთვის საინტერესო და ჯერ კიდევ უცნობი მასალა. მთავარი, რაც ივირონში შევძელი, ეს იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა დავალებით ზოგიერთი ხელნაწერის ტექნიკური მდგომარეობის აღწერა და წაკითხვების დაზუსტება.

ივირონიდან ისევ საზღვაო გზით ვატოპედის დიდ მონასტერში გავემგზავრე. ვატოპედი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა და საოცრად შთამბეჭდავია თავისი გრანდიოზულობით. აქ ცხოვრება დიდი სისწრაფით ჩქეფს. მონასტრული სიმშვიდე დარღვეულია სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ფუსფუსით. ყველა მუდამ დაკავებულია, რადგან ყველას, ბერსა თუ მუშას, აქვს თავისი კონკრეტული საქმე, რომელსაც ის ზუსტად ასრულებს. ვატოპედი ერთ-ერთი უმდიდრესი მონასტერია თავისი საგანძურითა და ბიბლიოთეკებით. აქ მიმდინარეობს დიდი სარესტავრაციო, სამხატვრო და საგამომცემლო საქმიანობა. 2003 წელს ათონზე ყოფნიდან მახსოვდა, რომ აქაც უნდა ყოფილიყო ქართული

ხელნაწერები, თუმცა როგორც აღმოჩნდა ეს ინფორმაცია არასწორი იყო. სამაგიეროდ, ვატოპედში დაცულია ქართველი ფეოდალების მიერ შეწერილი საეკლესიო დანიშნულების ნივთები, მაგალითად, ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ შეწერილი ოლარი მისი მინაწერით, ენქერი, საბუხრეები, რამდენიმე ხატი და, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე ნივთი. შევეთანხმდით, რომ ამ ნივთების მაღალი ხარისხის ფოტოებს გამოგვიგზავნიან.

ივირონში უკვე მეორედ ყოფნის შემდეგ (პირველად 2003 წელს ვიყავი), გადაჭარბებულად მეჩვენება ის შეფასებები, რომლებიც მესმის ხოლმე ივერთა მონასტერში ქართველებისადმი არამეგობრული დამოკიდებულების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ისეთი სიტუბო და სტუმარმასპინძლობა, როგორც ივირონში ვნახე, სხვა მონასტერში არასოდეს შემხვედრია. ივირონელი ბერები ამაცობენ ქართული წარსულით, ისინი ამაცობენ საკუთარი ქტიტორებით, თორნიკეთი, მისი აბჯრით. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს არის მათთვის ერთ-ერთი საშუალება სხვა მონასტრებისგან გამორჩევისა. ადგილობრივი ბერები იკვლევენ და სწავლობენ ყველაფერს, რაც ქართულია.

არც ისაა მართალი, თითქოს ქართულ სიძველეებს არავის აკარებდნენ. სხვა შემთხვევებისა არ ვიცი, მაგრამ მე ხელნაწერთა საცავში ვიჯექი იმდენი ხანი, რამდენიც მინდოდა და მჭირდებოდა. ერთადერთი, ფოტოებთან დაკავშირებით იყო თხოვნა, რომ ინფორმაციისა და ფოტოების გაცვლის სისტემა შემოგველო – ანუ ჩვენ მივცემდით მათ ივირონის ხელნაწერთა იმ მიკროფირების ასლებს, რომლებიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, ხოლო ისინი დაგვრთავდნენ ნებას, გადაგველო ყველაფერი, რაც კი დაგვჭირდებოდა.

იქ ჩასულს ბევრს გეკითხებიან საქართველოზე და უნდათ, მეტი იცოდნენ იმ ქვეყნის შესახებ, რომლის სახელსაც მათი დიდი მონასტერი ატარებს. ქართული კვალი არათუ ნაშლილია, არამედ ამ კვალს ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობ. როგორც მონასტრის ბიბლიოთეკარმა მითხრა, ათონურ კლიმატს „ჯორჯანას“ ვეძახით, რადგან ძალიან ჰგავს ქართულს, და ყურძენიც აქ თქვენნაირი იწურებაო.

კიდევ ერთი მაგალითი: თუ ბერძნული ქრისტიანული მითოლოგიის თანახმად, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა არის კვიპროსი და ქარიშხლის ამოვარდნის შედეგად მისი გემი ათონის ნახევარკუნძულს მიადგა, მე ერთ-ერთი ბერისაგან მოვისმინე გადმოცემა, რომლის თანახმად, ღვთისმშობლის წილხვედრია არა კვიპროსი, არამედ საქართველო და სწორედ იქ მიემგზავრებოდა მარიამი, როცა ათონზე მოხვდა. ივირონელებს არც იმაში ეპარებათ ეჭვი, რომ გაბრიელი, რომელმაც ზღვიდან პორტაიტისას ხატი გამოიტანა, ქართველი უნდა ყოფილიყო. და ეს არ არის ყველაფერი. ივირონელები ძალიან გულშემატკივრობენ დღევანდელ საქართველოსაც. როდესაც ერთ-ერთმა ბერმა გაიგო, რომ ქართველი ვარ, წამიყვანა თავისთან და ამაცად გადმომილო საქართველოს ხედების ფოტოები, მომაცოლა თითოეული მხარისა თუ ძეგლის შესახებ, გამომკითხა, როგორი ღვინო და თაფლი გვაქვს და მერე მთხოვა, ქართულად შენი

სახელი და გვარი დამინერეო. დავუნერე. დიდხანს უყურა და მერე საპატიო ადგილას შეინახა, ალბათ კიდევ რომ მივა ვინმე ქართველი, მასთან თავის მოსაწონებლად. მერე მომიყვა, რაც კი ვახტანგ გორგასლის შესახებ გაეგო – ეს ინფორმაცია, ძირითადად, შემოიფარგლებოდა იმით, რომ ვახტანგი იყო სიმაღლით ორი მეტრი და ორმოცი სანტიმეტრი და ომში საოცრად ძლიერი. მერე გამომიცხადა: ნიკოლოზი რა სახელია, ეგ ბერძნულია, შენ კი უნდა გერქვას რაიმე ქართული სახელი, მაგალითად, ვახტანგიო. ამის მერე სულ ვახტანგს მეძახდა და სხვებს უყვებოდა ვახტანგ გორგასლის შესახებ, თუ რა საოცრად დიდი იყო და ძლიერი იყო „ამის“ (ანუ ჩემი) მეფე.

კიდევ ერთი მითი, რომელიც ათონის შესახებ არსებობს, არის მისი მკაცრი და ფანატიზმში გადასული ორთოდოქსულობა. მე ბევრ მონასტერში მომინია ყოფნა საქართველოშიც და მის გარეთაც, და ჯერ არსად მინახავს სულის ისეთი თავისუფლება, როგორც ათონზეა. ეს ჩანს ყველა დონეზე: ბერებთან ურთიერთობაში – მე მილაპარაკია ათონელ ბერებთან ნელსაც და სამი წლის წინათაც და მომისმენია სანიშნოდ ტოლერანტული მსჯელობა; ეს ჩანს ადგილობრივი მითო-სიმბოლიკის დონეზეც. რაც უნდა ვთქვათ, ბერძნები მაინც ძველი ელინების ჩამომავალნი არიან ეთნოფსიქიკის დონეზე, რაც, პირადად ჩემთვის, გონების თავისუფლების ნიშანია. ამ ტიპის აზროვნება აისახა მშვენიერ ადგილობრივ ლეგენდებში და მითებში. ერთი ასეთი ლეგენდა მოვისმინე ღვთისმშობლის ხატზე, თუ როგორ გადაარჩინა ღვთისმშობელმა „თავისი ბალის“ – ათონის მაცხოვრებლები: მონასტერს მეკობრეები უნდა დასხმოდნენ თავს. ღვთისმშობელმა მოისურვა ბერების გაეფრთხილება და გადარჩენა, თუმცა იესო ქრისტემ ეს აუკრძალა, მინდა, ათონზე ჩემი სახელით მოწამეები მყავდესო. იმდენად დიდი იყო ღვთისმშობლის სიყვარული ათონელი ბერებისადმი, რომ, მიუხედავად აკრძალვისა, ჩამოიხსნა რიდე და ბერები გააფრთხილა. მე რომ ეს ამბავი ერთ რუს პილიგრიმს ვუამბე, მიპასუხა, ეგ რა სისულელეა, როგორ თუ ღმერთს არ დაემორჩილაო.

ძველი ბერძნული აგონისტური სული, რომელმაც შექმნა კლასიკა, ათონის მონასტრულ ცხოვრებაშიც ისახება – მონასტრები სულ ერთმანეთთან შეჯიბრში არიან. მაგალითად, ივირონში ვერაფრით ინელებენ იმ ფაქტს, რომ ვატოპედმა მათ დიდი ლავრის შემდეგ მეორე ადგილი ჩამოართვა და მუდამ ხუმრობანარევი ქილიკით იხსენებენ ვატოპედელებს. ეჯიბრებიან ერთმანეთს შრომაში, თუ ვის უკეთესი ღვინო აქვს, ვინ უკეთ უვლის ბალებს, ვინ უკეთ ინარჩუნებს სისუფთავეს მონასტერში, ვის უფრო დიდი წარსული აქვს.

დიდი ლავრის ეზოში მდგარი ორი კვიპაროსის შესახებ ასეთი ლეგენდაა შემორჩენილი: ერთი თითქოს ათანასე დიდს დაურგავს, მეორე – ექვთიმე ივერს. მათი გარდაცვალების შემდეგ კვიპაროსებმა ერთდროულად დაიწყეს ზრდა. ამ ზრდასთან ერთად დანყებულა შეჯიბრი ივირონელებსა და ლავრელებს შორის, თუ ვინ უფრო დიდი წმინდანია – ექვთიმე თუ ათანასე – ვისი კვიპაროსიც სიმალლეში გაასწრებდა, ის უფრო დიდად უნდა მიჩნეულიყო. თურმე ექვთიმეს

კვიპაროსს გაუსწრია ათანასეს კვიპაროსისთვის და ივირონელებმსაც გამარჯვების ზეიმი გაუმართავთ. მაგრამ უეცრად ექვთიმეს კვიპაროსს მეხი დაცა და შუაზე გააპო, რითაც დადასტურდა ათანასეს უპირატესობა. მაგრამ ამ ლეგენდას გაგრძელებაც აქვს – ექვთიმეს კვიპაროსმა ხელახლა ამოიყარა და ბერები, განსაკუთრებით, ივირონელები, დარწმუნებულები არიან, რომ ის სადაცაა დაენევა ათანასესას.

ათონზე ყველაფერი – ყველა ხე, გორაკი თუ წყარო რაღაც მითით ცხოვრობს. ეს ბუნებრივიცაა, ამ ერთმა ბენო ტერიტორიამ ამხელა რამ იტვირთა და აქ ასეთი დიდი ემოციის აკუმულირება მოხდა. ამ თვალსაზრისით, ცალკე შესწავლის საგანია ათონური ხატისა და მხატვრობის სემიოტიკა.

ბოლოს შეიძლება დავამთავროთ მამა იუსტინეს სიტყვებით: „ახლა სხვა დროა, ახლა თანამშრომლობის დროა“. რადგან სხვა დროა, ჩვენც ალბათ მზად უნდა შევხვდეთ ამ „სხვა დროს“. წმინდა მთასთან თანამშრომლობის ძალიან დიდი პერსპექტივები გვაქვს და ალბათ არა ღირს ამ პერსპექტივების ხელიდან გაშვება.

ნიკოლოზ ალექსიძე

სტამბოლი: თანამშრომლობის პერსპექტივები

2007 წლის მარტში თურქეთში, ქ. სტამბოლში, ვიზიტით იმყოფებოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი ბუბა კუდავა. 9 მარტს ის ქართული კულტურის ცნობილ კერას – ქართველთა კათოლიკურ მონასტერს ეწვია. ქართული ეკლესიის დათვალეირების შემდეგ მან მოინახულა საცავი, რომელშიც მონასტრის კუთვნილი უმდიდრესი არქივის, ბიბლიოთეკისა და ფერწერული ტილოების მნიშვნელოვანი ნაწილი ინახება. სიძველეები შეფუთულია მოზრდილ ყუთებში, რომელთა საერთო რაოდენობა რამდენიმე ათეულია. ქართულ სიძველეთა წინასწარი დამუშავებისა და დახარისხების რთულ სამუშაოს ბ-ნი სიმონ ზაზაძის მხარდაჭერით წლების მანძილზე ახორციელებს პროფესორი შუშანა ფუტკარაძე.

შემდეგ გაიმართა შეხვედრა თურქეთში მცხოვრებ ცნობილ ქართველ ბიზნესმენტან და ქველმოქმედთან, სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის მეურვესთან სიმონ ზაზაძესთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ბუბა კუდავა, ფონდ „გეოსკრიპტის“ წარმომადგენელი საქართველოში ლიკა მამაცაშვილი, თუფან შაქან იუქსელი (სულხან ლომინაძე) და თურქეთში მცხოვრები ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები – მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ფარნა ჩილაშვილი) და მომღერალი ბაიარ შაჰინი (გუნდარიძე). საუბარი შეეხო სტამბოლის ქართველთა კათოლიკური მონასტრის წიგნთსაცავისა და არქივის მდგომარეობას, მისი დამუშავებისა და კატალოგიზაციის პრო-

ბლემებს. ისაუბრეს მომავალ გეგმებზე, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სტამბოლის ქართული კათოლიკური საგანის თანამშრომლობის საკითხებზე, კერძოდ, მონასტრის არქივის დიგიტალიზაციის შესაძლებლობებზე.

იმავე დღეს ბუბა კუდავა და ლიკა მამაცაშვილი ეწვივნენ თურქეთში ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვის ძირითად ცენტრს – სულეიმანიეს ბიბლიოთეკას. დაათვალიერეს ბიბლიოთეკის ისტორიული შენობა, სარესტავრაციო ლაბორატორია, იხილეს ქაღალდზე შესრულებული თურქული ხელნაწერების ფურცლების კონსერვაციის პროცესი, მოინახულეს საექსპოზიციო დარბაზი. შემდეგ სტუმრები შეხვდნენ ბიბლიოთეკის დირექტორს ემირ ეშს. მხარეებმა ისაუბრეს ხელნაწერთა ინსტიტუტსა და სულეიმანიეს ბიბლიოთეკას შორის ურთიერთობის თაობაზე, ხელნაწერთა კონსერვაციის, კატალოგიზაციისა და კვლევის სფეროებში თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

ვიზიტი დააფინანსა ფონდმა „გეოსკრიპტმა“.

ბუბა კუდავა

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და EMEL-ის თანამშრომლობა

2007 წლის ივნისში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ამერიკელი და ბრიტანელი სპეციალისტების ჯგუფი ესტუმრა. ჯგუფში შედიოდნენ: მაიკლ ფელფსი (აშშ, EMEL-ის დირექტორი), დევიდ კუპერი (დიდი ბრიტანეთი, ოქსფორდის უნივერსიტეტი) და ჯონ სთოუქსი (აშშ, გაერთიანება „Stokes Software“-ის პრეზიდენტი). ვიზიტის მიზანი იყო ცენტრში დაცული სინური წარმომავლობის ხელნაწერების დიგიტალიზება.

ეს გახლდათ ნაწილი იმ ფართომასშტაბიანი პროექტისა, რომელსაც ადრეულ ხელნაწერთა ელექტრონული ბიბლიოთეკა (EMEL) ახორციელებს წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა ელექტრონული ბიბლიოთეკის შესაქმნელად. პროექტის მიზანია დამზადდეს ყველა იმ ხელნაწერის ციფრული ასლი, რომელიც ოდესღაც წმ. ეკატერინეს მონასტრის კუთვნილება იყო და ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა სიძველეთსაცავშია დაცული.

უცხოელმა პარტნიორებმა ჩამოიტანეს სპეციალური აპარატურა, რომლის მეშვეობითაც დაამზადეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სინური წარმომავლობის ორი ქართული ხელნაწერის (იოანე ოქროპირის ცხოვრება, 968 წ., H-2124; და მეორე) მაღალტექნოლოგიური ციფრული ასლები და მოამზადეს შესაბამისი მონაცემთა ბაზა. ციფრული ასლები დაცული იქნება როგორც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ისე ადრეულ ხელნაწერთა ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაში.

EMEL-თან თანამშრომლობა მხოლოდ ამ პროექტით არ შემოფარგლულა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დიგიტალი-

ზაციის ლაბორატორიის აღჭურვისა და განვითარებისათვის. მომზადდა სპეციალური პროექტი, რომლის მიზანია ცენტრისათვის შესაბამისი აპარატურის შეძენა, მისი ინსტალაცია დიგიტალიზაციის ლაბორატორიაში, აპარატურის უზრუნველყოფა შესაბამისი პროგრამით და ტრენინგების ჩატარება ცენტრის თანამშრომელთათვის.

პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ტრანსკავკასიურ პროექტზე, რომლის მიზანია ქართული, სომხური და ალბანური პალიმფსესტების დიგიტალიზება და შესწავლა მულტისპექტრული ანალიზის მეშვეობით.

თამარ გეგია

ვიზიტი საზრანგეთსა და ჩეხეთში

2007 წლის 28 ივნისიდან 12 ივლისამდე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა, დირექტორის მოადგილე თამარ გეგია და ფონდ „გეოსკრიპტის“ წარმომადგენელი საქართველოში ლიკა მამაცაშვილი მივილინებთ იმყოფებოდნენ საფრანგეთსა და ჩეხეთში.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა საინტერესო შეხვედრები და საუბრები პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (BNF).

აღმოსავლურ ხელნაწერთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტიერი დელკომ და დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქართველ კოლეგებს დაათვალიერებინეს რამდენიმე ნიმუში ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციიდან (ქართულ ხელნაწერთა ფონდი სულ 32 ერთეულისგან შედგება); გააცნეს ბიბლიოთეკაში დაცულ აღმოსავლურ ხელნაწერთა ელექტრონული კატალოგების შედგენისა და მოხმარების პრინციპები; ისაუბრეს ბიბლიოთეკასა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის თანამშრომლობაზე: ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ელექტრონული კატალოგის მომზადება, ბიბლიოთეკაში ქართულ ხელნაწერთა გამოფენის მოწყობის შესაძლებლობა... ქართულ ხელნაწერთა უკანასკნელი კატალოგი შეადგინა ექვთიმე თაყაიშვილმა პარიზში ყოფნისას და იქვე გამოსცა 1933 წელს ქართულ ენაზე. ცხადია, მას შემდეგ ბევრი რამ დაზუსტდა და შეიცვალა მეცნიერებაში. ასე რომ, დღეს ბიბლიოთეკა დგას ახალი კატალოგის შედგენის აუცილებლობის წინაშე.

ბატონმა ტიერემ ქართველ სტუმრებს დაათვალიერებინა სარესტავრაციო ლაბორატორია; რესტავრატორმა ჟაკ სიკრიმ სტუმრებს გააცნო ქართული ხელნაწერის (Geo-3) რესტავრაციის შედეგები. აღსანიშნავია, რომ ეს ბიბლიოთეკაში დაცული ერთადერთი ქართული ხელნაწერია, რომელსაც სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაკეთდება აღნიშნული სამუშაოების სამეცნიერო ანგარიში და დაიბეჭდება საქართველოში; დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ქართველ კოლეგებს დიგიტალიზაციის ლაბორატორიის მუშა-

ობაც გააცნო. ლაბორატორიის თანამშრომლებმა სტუმრებს მიაწოდეს ინფორმაცია ხელნაწერთა დიגיტალიზების მეთოდების, პრიორიტეტების განსაზღვრის კრიტერიუმების, აპარატურის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან – ლუსიენ სკოტთან შეხვედრისას საუბარი შეეხო თანამშრომლობის რამდენიმე მიმართულებას: ქართულ ხელნაწერთა გამოფენა ბიბლიოთეკაში, ლიტერატურის გაცვლა, ქართულ ხელნაწერთა ელექტრონული კატალოგის მომზადება. გადაწყდა, რომ ამ მიზნით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მიავლენს მეცნიერ თანამშრომელს. სამუშაოს დასრულების შემდეგ გაკეთდება ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა ელექტრონული კატალოგი ფრანგულ ენაზე. ამის შემდეგ მხარეები ეცდებიან მოამზადონ და გამოსცენ კატალოგის ბეჭდური ვარიანტიც, ქართულ და ფრანგულ ენებზე, სათანადო საილუსტრაციო მასალით.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ფონდ „გეოსკრიპტის“ წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ საფრანგეთის მუზეუმთა კვლევისა და რესტავრაციის ცენტრში, რომელიც საფრანგეთის მუზეუმთა გაერთიანებისასთან არსებობს. აღნიშნული ცენტრის ოფისი მდებარეობს ლუვრში, იგი საფრანგეთის 1300-მდე მუზეუმს ემსახურება. ლუვრში მდებარე ლაბორატორიის გარდა გაერთიანებას რეგიონებში 20 ლაბორატორია აქვს. გაერთიანების დირექტორთან – კრისტინა ნაფასთან შეხვედრისა და სარესტავრაციო სფეროში თანამშრომლობის გზებზე საუბრის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ცენტრის ლაბორატორია. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მოლეკულური აქსელერატორი, რომელიც ურთულესი აპარატურაა. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება უმცირესი ნაწილაკების ანალიზი და ამ გზით სიძველეთა ნივთიერი შემადგენლობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება.

საფრანგეთის ეროვნულ საარქივო დეპარტამენტში ქართველი კოლეგები შეხვდნენ დეპარტამენტის გენერალურ ინსპექტორს ფილიპ როსეს. აღნიშნული უწყება ექვემდებარება კულტურის სამინისტროს და აერთიანებს საისტორიო არქივს, სახელმწიფო უწყებების, პროფკავშირების, ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების არქივებს, აგრეთვე საფრანგეთის ძველი კოლონიების არქივებს. საუბარში ბატონმა როსემ სტუმრებს გააცნო დეპარტამენტის სტრუქტურა და პოლიტიკა. ცენტრის წარმომადგენლებს საინტერესოდ ეჩვენათ დეპარტამენტის სტაჟირების პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა ხანგრძლივობისაა. გამოცდილების გაცნობის თვალსაზრისით ალბათ სასურველი იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის შესაბამისი მიმართულების წარმომადგენელთა სტაჟირება საფრანგეთის ეროვნულ საარქივო დეპარტამენტში.

განსაკუთრებულად ნაყოფიერი იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა შეხვედრები საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან თუ მათ შთამომავლებთან. მათ გაიცნეს ქართული დიასპორის არაერთი ცნო-

ბილი წარმომადგენელი: მამა არჩილი (დავრიშაშვილი), კარლო ინასარიძე, თეო კედეა, ნანო კვინიტაძე, გიორგი და მარინე მარჯანიშვილები, ნათელა ნიკოლაძე, ნოდარ ოდიშელიძე, ნათელა ჟორდანია, დავით ფავლენიშვილი, ქრისტინე ფალავა, ეთერ შენგელია-წერეთელი, ქეთევან ჯინჭარაძე... შეხვედრებისას, რომლებიც შედგა ლევილში, პარიზის წმ. ნინოს ეკლესიასა თუ საქართველოს საელჩოში, საუბარი შეეხებოდა ქართველ ემიგრანტთა საარქივო მემკვიდრეობასა და მათ საქართველოში ცატანის შესაძლებლობებს.

ემიგრანტული ოჯახის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ინტერესით შეხვდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის დირექტორის – ბუბა კუდავას შეთავაზებას, რომ, სხვა ქართველ ემიგრანტთა არქივების მსგავსად, მათ ოჯახებში დაცულ მასალებსაც ცენტრში მოეყარა თავი. მაგალითად, ქართული ემიგრაციის ცნობილ წარმომადგენელთან – კარლო ინასარიძესთან შეხვედრისას, რომელიც 2 ივლისს გაიმართა პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში (იგი უკვე საკმაოდ ცუდად იყო), ბატონმა კარლომ სიტყვიერი დასტური მისცა ბუბა კუდავას, რომ მზადაა მისი არქივიცა და ბიბლიოთეკაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცეს. სამწუხაროდ, კარლო ინასარიძე რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა. მისი სიტყვიერი თანხმობის საფუძველზე ოჯახის წევრებმა ოფიციალურად გააფორმეს ანდერძი არქივისა და ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის გადმოცემის თაობაზე.

ემიგრანტული ოჯახების წარმომადგენლებმა საინტერესო ცნობები მიანოდეს ცენტრის თანამშრომლებს მათ ოჯახებსა თუ სხვა ქართველებთან დაცული არქივების შესახებ. მათ მოინახულეს ლევილის ქართველთა მამული, შატო და სასაფლაო; პარიზის წმ. ნინოს ქართული ეკლესია; პარიზთან ახლომდებარე ქალაქ შატუში ესტუმრნენ გენერალ გიორგი კვინიტაძის ქალიშვილს – ნანო კვინიტაძეს, იქვე მოინახულეს გენერლის საფლავიც.

ამის შემდეგ, 6-12 ივლისს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა, დირექტორის მოადგილე თამარ გეგია და ფონდ „გეოსკრიპტის“ წარმომადგენელი საქართველოში ლიკა მამაცაშვილი მივლინებით ჩეხეთში იყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში საინტერესო შეხვედრები გაიმართა ჩეხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სტრაჰოვის მონასტრის ბიბლიოთეკაში.

ჩეხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გარდა ბეჭდური გამოცემებისა, 5000-მდე ხელნაწერი წიგნი ინახება. ბიბლიოთეკის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას ამ მასალის სისტემატიზება, კატალოგიზაცია და დიგიტალიზაცია წარმოადგენს. ქართველი სტუმრები შეხვდნენ ხელნაწერთა ელექტრონული ბიბლიოთეკის – „მანუსკრიპტორიუმის“ ხელმძღვანელსა და დიგიტალიზაციის ცენტრის მენეჯერს ულრიჰ ზდენეკს. „მანუსკრიპტორიუმი“ სპეციალური ბაზაა, რომელიც ხელნაწერების, ბეჭდური გამოცემებისა და დოკუმენტების ვირტუალურ ბიბლიოთეკას წარმოადგენს. იგი UNESCO-ს ინიციატივით 1992 წლიდან

ფუნქციონირებს და ამ დროისთვის აერთიანებს სრულად დიגיტალიზებულ 1000-ზე მეტ ხელნაწერს.

ქართულმა ჯგუფმა დაათვალიერა დიგიტალიზაციის ლაბორატორია, გაეცნო მის მუშაობასა და მონაცემთა ბაზების მომზადების მეთოდოლოგიას. საუბარი შეეხო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და „მანუსკრიპტორიუმის“ მომავალი თანამშრომლობის თემასაც, რაც ითვალისწინებს ერთი მხრივ ხელშეწყობასა და კონსულტირებას დიგიტალიზაციის ცენტრის ფორმირებაში, მეორე მხრივ კი – თანამშრომლობას მონაცემთა ბაზების მიმართულებით.

ჩეხეთში ვიზიტად მყოფი ჯგუფი ეროვნული ბიბლიოთეკის გარდა ეწვია სტრაჰოვის მონასტერსაც. აქ დაცულია მდიდარი ბიბლიოთეკა ხელნაწერთა მნიშვნელოვანი კოლექციით. ქართველმა სპეციალისტებმა საგამოფენო დარბაზებში სხვა სიძველეებთან ერთად მოინახულეს ექსპონირებული ხელნაწერებიც. ეწვივნენ მონასტრის დიგიტალიზაციის ცენტრსაც.

ვიზიტის ფარგლებში მოხერხდა სტუმრობა რადიო „თავისუფლების“ მთავარ ოფისში, სადაც ქართული რედაქციის ხელმძღვანელმა დავით კაკაბაძემ ჩაიწერა ინტერვიუ ბუბა კუდავასთან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საქმიანობისა და ევროპაში მივლინების შესახებ. შედგა საინტერესო საუბარი შემდგომი თანამშრომლობის თაობაზე.

ვიზიტი ფონდ „გეოსკრიპტის“ მხარდაჭერით განხორციელდა.

თამარ გეგია, ბუბა კუდავა

ტელექსპედიცია ბულგარეთში

2007 წლის 30 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე ბულგარეთში მოენყო გადაცემა „ჩვენებურებისა“ და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი ტელექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი (ავტორი და ხელმძღვანელი – გიორგი კალანდია, ტელეოპერატორი ლევან ლეკიაშვილი), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები (ბუბა კუდავა, გიორგი კალანდია, თამარ გეგია, თამარ ნატროშვილი) და ფონდ „გეოსკრიპტის“ წარმომადგენელი საქართველოში ლიკა მამაცაშვილი.

ვიზიტი ტელეკომპანია „იმედისა“ და ფონდ „გეოსკრიპტის“ მხარდაჭერით განხორციელდა.

ტელექსპედიციის მიზანი ბულგარეთში ქართველთა კვალის მოძიება და ამ თემაზე ფილმის გადაღება იყო. ამას გარდა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ერთი კონკრეტული მიზანიც ჰქონდა: სოფიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერის – პეტრინონის ტიპიკონის – დიგიტალიზაცია.

ექსპედიციის წევრები შეხვდნენ კირილესა და მეთოდეს სახელობის სოფიის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას. ბიბლიოთეკის დირექტორთან ბო-


რიანა ხრისტოვასა და ხელნაწერებისა და ძველნაბეჭდ წიგნთა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ელიზავეტა მუსაკოვასთან მოლაპარაკების შედეგად, ექსპედიციის წევრებმა მოიპოვეს ქართული ხელნაწერის – პეტრინონის მონასტრის ტიპიკონის XVIII საუკუნის ნუსხის ციფრული ვერსიის დამზადების უფლება. ისაუბრეს აგრეთვე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და სოფიის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლობის შესაძლებლობებზე (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სლავურ ხელნაწერთა კატალოგის მომზადება, ლიტერატურის გაცვლა...).

ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს და გადაიღეს გრიგოლ და აბას ბაკურიანისძეების დაარსებული პეტრინონის მონასტერი; შეხვდნენ ბულგარელ პროფესორს ელკა ბაკალოვას, რომელმაც შეისწავლა პეტრინონის (ბაჩკოვოს) მონასტრის ისტორია და ამ თემას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა; მოინახულეს ქალაქ შიპკაში მდებარე მემორიალური ტაძარი, რომელიც ბულგარეთის გათავისუფლებისათვის გამართულ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში დაღუპული ბულგარელი, რუსი და უკრაინელი ჯარისკაცების ხსოვნისათვის აიგო. ეკლესიის მემორიალურ სტელებზე რამდენიმე ქართველის გვარიც არის ამოტვიფრული; ესტუმრნენ სოფელ ცერეტელევოს, რომელსაც სახელი ქართველი დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწის – ალექსი წერეთლის პატივსაცემად ეწოდა...

ტელეექსპედიციისას გადაღებული მასალები საფუძვლად დაედო გიორგი კალანდიას ორსერიან ფილმს – „ბალკანეთის გმირები“. პეტრინონის ტიპიკონის დიგიტალიზებული ვერსია კი დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

თამარ გევია

ედიშერ ხომტარია-ბროსე



მიმდინარე წელს ედიშერ ხომტარია-ბროსეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ედიშერ ხომტარია-ბროსე იყო უფაქიზესი პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით. მან აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა. მუდამ მრავალ პრობლემაში ჩართული, ის არ ეძებდა იაფფასიან პოპულარობას და დაფნის გვირგვინებს. იგი იყო მაგალითის მიმცემი სამშობლოს სიყვარულში, მეცნიერულ პრობლემათა კვლევაში, საზოგადო საკითხების განხილვა-გაანალიზებაში, სამსახურებრივ-სამოქალაქო

საქმეების აღსრულებაში, უპრეტენზიო, არაამბიციური, მართალი და გულთაძი. ამიტომაც ედიშერ ხომტარია-ბროსეს მოღვაწეობის ნათელი კვალი სამაგალითო იქნება ყველასათვის. თავისი ცხოვრების წესით გამორჩეულმა, მეგობართა და ახლობელთა წრეში გულწრფელი ტკივილი და მონატრების გრძნობა დატოვა.

ბატონი ედიშერი საყოველთაოდ ცნობილი ადამიანების შთამომავალი იყო. მამის მხრიდან გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტის, მარი ფელისიტე ბროსეს, ხოლო დედის მხრიდან პოეტ დუტუ მეგრელის და მწერალ ანასტასია ერისთავ-ხომტარიას შვილიშვილი, ცხოვრების უკუღმართობის გამო წლების განმავლობაში მხოლოდ დედის გვარს ატარებდა, ხოლო მამის გვარი – ბროსე – მხოლოდ სიცოცხლის ბოლო ათწლეულში დაიბრუნა.

ედიშერ ხომტარია-ბროსემ 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1949-1956 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე, 1956-1972 წლებში – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1972 წლიდან გარდაცვალებამდე იგი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში მოღვაწეობდა, სადაც იყო ჯერ დიპლომატიკის განყოფილების გამგე, ხოლო 1983 წლიდან – დირექტორის მოადგილე სამეცნიერო

დარგში. ედიშერ ხომტარია-ბროსე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში ახალგაზრდა კადრების აღზრდას.

ედიშერ ხომტარია-ბროსეს საკანდიდატო დისერტაციამ – „დაქირავებული შრომა საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში“ (1955 წ.) იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მოხაზულმა ფართო მასშტაბის სამეცნიერო გეგმამ განსაზღვრა ბატონი ედიშერის ნაშრომის წარმატება. ამ ნაშრომით იგი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საკითხების ერთ-ერთ საუკეთესო მკვლევარად იქნა აღიარებული. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ინტერესების სფერო არ ყოფილა რაიმე შტამპით შეზღუდულ-განსაზღვრული, იგი წვედებოდა საქართველოს ძველი ხანის, შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის პრობლემებს. ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების პერიოდიზაცია, საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემეტიკა, ფეოდალიზმის რღვევა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარება, მუშათა კლასის ჩამოყალიბება და რევოლუციური მოძრაობა იყო ის ძირითადი პრობლემები, რომელთაც ბატონი ედიშერი ბეჯითად ჩაჰკირკიტებდა. 1966 წელს დაისტამბა მისი მონოგრაფია „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში“. ამ ნაშრომის მეორე ნიგნი გამოიცა რუსულ ენაზე 1968 წელს. ისინი საფუძვლად დაედო ე. ხომტარია-ბროსეს სადოქტორო დისერტაციას (1969). 1974 წელს ასევე რუსულ ენაზე გამოქვეყნდა შემაჯამებელი ნაშრომი: „Очерки социально-экономической истории Грузии, (XIX в. – начало XX века)“. დასახელებულ ნაშრომებში გამოკვლეულია საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გენეზისი, კაპიტალური მრეწველობის განვითარება, ქალაქების სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები. ედიშერ ხომტარია-ბროსეს კვლევის შედეგები ამ სფეროში შესულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ V ტომში.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ედიშერ ხომტარია-ბროსე ინტენსიურად ჩაება საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემეტიკაში. მისი კვლევის მთავარი მიმართულება ამ დროიდან წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაა. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი რედაქტორობით დაიწყო გამოცემა სერიისა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“ (პირველი ტომი გამოიცა 1984 წ.). ამავე პეროდში იგი დიდი ინტერესით სწავლობდა მთისა და ბარის ურთიერთობის ამსახველ წყაროებს, რამაც მას შესაძლებლობა მისცა რამდენადმე განსხვავებულად დაენახა ეს პრობლემა და იგი ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების ზოგად პროცესთან დაეკავშირებინა. მთელი ეს სამუშაო მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა 1984 წელს: „ფეოდალური საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები“. ნიგნმა ჩვენი ისტორიკოსების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ედიშერ ხოშტარია-ბროსე საგანგებოდ იკვლევდა ქართული წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხებს, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას – ქართულიდან რუსულად თარგმნიდა მატრიანებსა და სამართლის ძეგლებს. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული სამართლის წიგნების მიმართ. მკვლევარმა ფართო პლანში განიხილა ბექასა და ალბულას სამართლის წიგნების ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთობისა და დათარიღების საკითხები, საგანგებოდ შეინსავლა ბაგრატ კურაპალატის სამართალი (ბექასა და ალბულას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთმიმართებისა და ზოგიერთი მუხლის განმარტებისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 1985, № 4; ე.წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესწავლის საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 1987, № 1; „ნესი“ და „სამართალი“ ფეოდალური ხანის საქართველოში, მრავალთავი, XVII, 2001).

წლების განმავლობაში ედიშერ ხოშტარია-ბროსე თანამშრომლობდა მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან. ამ თანამშრომლობის შედეგია გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა ბიბლიოგრაფიული ხასიათის შრომები. ამ პერიოდში გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ვ. ხაჭაპურიძის, შ. მესხიას ცხოვრებისა და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ მეტად საინტერესო გამოკვლევები.

ბოლო წლებში ედიშერ ხოშტარია-ბროსე შეუდგა „ქართლის ცხოვრების“ და მასთან დაკავშირებული საკითხების ინტენსიურ კვლევას. მან ამ საკითხზე საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა რამდენიმე მოხსენება, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნესა“ და რამდენიმე სამეცნიერო კრებულში, მათ შორის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მრავალთავში“, გამოაქვეყნა ცალკეული სტატიები. დასასრულს, მთელ ამ მასალას თავი მოუყარა წიგნში – „ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება““ (თბილისი, 1996).

საგანგებოდ უნდა ითქვას ედიშერ ხოშტარია-ბროსეს ღვაწლის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამართვისა და შესწავლის საქმეში, რაც უძველესი ნუსხების მიხედვით ამ ძეგლის აკადემიურ გამოცემას უკავშირდებოდა. როგორც ცნობილია, დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს განსხვავებული შეხედულებები ამ კრებულის (ზოგი მოსაზრებით, ერთიანი ნაწარმოების) შედგენილობის, მისი ცალკეული ნაწილების ურთიერთმიმართების, ქრონოლოგიური ფენებისა და ა.შ. შესახებ. ეს შეხედულებები, ცალკეული გამონაკლისის გარდა, ძირითადად სამი დიდი მეცნიერის (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა) მიერ გამოთქმული მოსაზრებების გარშემო ჯგუფდება. ედიშერ ხოშტარია-ბროსე „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შედგენილობის (თხზულებები „მატიანე ქართლისაჲ“-მდე) საკითხში, ტრადიციულ, ივ. ჯავახიშვილისეულ სქემას ემხრობოდა, თუმცა ზოგიერთი არსებითი ხასიათის კორექტივის შეტანით. მას ეკუთვნის თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის ნაწილში ძველი, VII საუკუნის მატრიანიდან ცალკეული ჩანართების არსებობის შესახებ (მან კრე-

ბულის დასაწყის ნაწილში გამოყო კიდევ ორი ასეთი ჩანართი). „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. დასაწყის ციკლში ედიშერ ხოშტარია-ბროსემ ექვსი თხზულება გამოყო: 1. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“; 2. „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“; 3. ჩანართი VII ს-ის მათიანიდან; 4. ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“; 5. ჩანართი VII ს-ის მათიანიდან; 6. „არჩილის ცხოვრება“.

„ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის ძეგლების მთელ რიგ საკითხს მიუძღვნა ედიშერ ხოშტარია-ბროსემ რამდენიმე სტატია და მოხსენება: „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემები, ძეგლის კომპოზიცია (მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1987, № 4), „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შესწავლის შედეგები და ტექსტში არსებული მინაწერების ინტერპრეტაციის ცდა, ამოსავალი დებულებები და არგუმენტები (ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, 1993), VII საუკუნის ქართველთა მათიანე და მისი კვალი „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და „ქართლის ცხოვრებაში“ (მოხსენება III საერთაშორისო ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე, 1993), „ლეონტი მროველი და „არჩილის ნამება“ (მოხსენება ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, 1994), „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემისათვის (ანამკი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 2002), „Терминологическая основа источниковедческого изучения начального цикла „Картлис Цховреба“ და სხვ. „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ მომდევნო ხანის თხზულებების მხატვრულ სპეციფიკას და ჟანრობრივი კუთვნილების საკითხებს ედიშერ ხოშტარია-ბროსე შეეხო სპეციალურ წერილში „ქართული საისტორიო მწერლობის ჟანრული კუთვნილებისა და თავისებურებების საკითხისათვის“ (ლიტერატურა და ხელოვნება, 1992, № 1-2).

ედიშერ ხოშტარია-ბროსე აქტიურ მონაწილეობას იღებდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გამწვავებული ეთნოკონფლიქტების პრობლემების განხილვაში. იგი იყო რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1999 წელს გამოცემული კრებულისა „Разыскания по истории Абхазии/Грузия“, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეხება უძველესი დროიდან XIX საუკუნის 80-იან წლებამდე. ამ პრობლემას მან მიუძღვნა რამდენიმე ნარკვევი (აფხაზური სიტყვა „არ“-ის და ქართული „ერის“ ურთიერთმიმართებისათვის – აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, მრავალთავი, XXI, 2005 და სხვ.).

ედიშერ ხოშტარია-ბროსემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის როგორც წერილობითი წყაროების, ისე თეორიული საკითხების კვლევის საქმეში. მან გამორჩეული ადგილი დაიკავა XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. მომავალში მის ნაშრომებს ვერც ერთი ისტორიკოსი-მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს, ისევე როგორც მისი დიდი დიდი წინაპრის, მარი ბროსეს მემკვიდრეობას.

მიხეილ ქავთარია

ნიკო ხუციშვილი

ადამიანის ცხოვრება ღირსეულად განვლილი წლებით იზომება. ნიკო ხუციშვილის სიცოცხლე მხოლოდ ასეთი წლებისაგან შედგებოდა. ეს იყო ცხოვრებისეული შინაარსით – ოჯახის, შვილების, მეგობრების, თავისი საქმის სიყვარულით სავსე წლები, რომლებსაც ნიკოს მდიდარი სულიერი სამყარო ათბობდა და ასაზრდოებდა. იგი ყველგან და ყველაფერში ცხოვრების საზრისს და სიღრმეს ეძებდა – ადამიანებში, საყვარელ საქმეში, საკუთარ თავში.

ნიკო ხუციშვილის ინტერესები ღრმა და მრავალმხრივი იყო. იგი სწავლობდა აღმოსავლურ კულტურას და კეთილხმოვან სპარსულ პოეზიას, საქართველოსა და კავკასიის ისტორიას, კულტურულ ურთიერთობებს, ქართულ და სპარსულ წერილობით ძეგლებს და მათ თავგადასავალს, აღმოსავლურ ეპიგრაფიკას; წლების განმავლობაში მუშაობდა ისტორიული დოკუმენტების დამუშავებაზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით; იკვლევდა ქართული ეკლესია-მონასტრების ისტორიას საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ. მან ფართო განათლება შეიძინა, ამასთან, იმ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლებიც მუდმივად იმდიდრებენ .ცოდნას, ეუფლებიან სრულიად უცნობ სფეროებს, იფართოებენ თვალსაწიერს.

ისტორიულ-ფილოლოგიური განათლება ნიკო ხუციშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე იგი სპარსულ ენასა და ლიტერატურას სწავლობდა; ტაშკენტში სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ავღანელებთან თარჯიმნად მუშაობდა. სამეცნიერო საქმიანობა მან 1984 წლიდან დაიწყო, როდესაც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში აკადემიკოს ელენე მეტრეველის ინიციატივით ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა ისტორიულ წყაროებსა და პრესაში დაცული ცნობების საფუძველზე საქართველოში ხელნაწერების მოძიებისა და შესწავლის



პროცესისათვის თვალის გადავინებთ. ამ მიმართულებით ნიკო ხუციშვილმა დაამუშავა ექვთიმე თაყაიშვილის წერილობითი მემკვიდრეობა, გაზეთი „კავკაზი“ და XX საუკუნის 20-იანი წლების პერიოდიკა, რის შედეგადაც ქართული ხელნაწერების თავგადასავლისა და, ზოგადად, მეცნიერებისა და კულტურის ისტორიის ბევრი საყურადღებო დეტალი წარმოჩნდა. ასევე დიდია მისი წვლილი აღნიშნული ჯგუფის მიერ მოძიებული მასალის კატალოგიზაციის საქმეში.

ნიკო ხუციშვილი ნაყოფიერად მუშაობდა აღმოსავლური ეპიგრაფიკის განხრით. იგი 80-იანი წლების შუა ხანებიდან მოკიდებული იყო ხელნაწერთა ინსტიტუტთან არსებული დავით გარეჯის მონასტრების ეპიგრაფიკული ძეგლების შემსწავლელი ექსპედიციის მუდმივი მონაწილე, აგრეთვე *გარეჯის კვლევის ცენტრის* ერთ-ერთი დამფუძნებელი და უცვლელი წევრი. მისი დამსახურებაა გარეჯის მრავალმთის რამდენიმე მონასტერში ორ ათეულზე მეტი სპარსულ, არაბულ, უიღურულ და თურქულ ენებზე შესრულებული ნაკანრი წარწერის გამოვლენა. მოხსენებამ გარეჯის აღმოსავლური გრაფიტიების შესახებ, რომელიც მან 2000 წელს საერთაშორისო სიმპოზიუმზე „სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში: გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი“ წარმოადგინა, დიდი ინტერესი გამოიწვია (იხ. *ჯერისა და ნახევარმთვარის ნიშნით? აღმოსავლური გრაფიტიები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსიდან*, სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში: გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი, თბილისი, 2001). იგი არის ერთ-ერთი ავტორი *გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსის* იმ ნაკვეთისა, რომელიც გარეჯის უცხოენოვან წარწერებს მოიცავს და მზად არის გამოსაცემად.

ნიკო ხუციშვილმა ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ დაიწყო წერილობითი ძეგლების კომპიუტერული ტექნოლოგიებით დამუშავება. მან დიდი სამუშაო ჩაატარა საისტორიო დოკუმენტების კომპიუტერული მოდელირებისა და მონაცემთა ბაზების შექმნის მიმართულებით. ასეთი ბაზების შექმნა, როგორც ცნობილია, უზრუნველყოფს ინფორმაციის შენახვას, მოძიებასა და კვლევითი ამოცანების შესრულებას, ზრდის ინფორმაციის ათვისების შესაძლებლობებს, იძლევა საშუალებას, ცალკეული პარამეტრების მიხედვით ვიკვლიოთ ქრონოლოგიის, ონომასტიკის, პერსონალიისა და სხვა საკითხები. ამდენად, ისტორიული ინფორმაციის მეთოდების დამუშავებასა და დანერგვას მაღალი ინფორმაციული ღირებულების მქონე ქართული ისტორიული დოკუმენტების შესწავლისა და მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რაც ჩვენს ინსტიტუტში ნიკოს სახელთან არის დაკავშირებული. მან შექმნა ქართული სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ქართული კულტურისა და ლიტერატურის ცენტრების, XVIII საუკუნის ქართული ისტორიული საბუთების მონაცემთა ბაზები; ნიკო წლების მანძილზე იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელი. მან კომპიუტერული მოდელირების მეთოდით დაამუშავა ქართული ისტორიული საბუთების თემატური კომპონენტი, რომელიც „ბრალგადამხდელობითი“ აქტების სახელითაა ცნო-

ბილი; მის მიერ წარმოდგენილი სქემების საშუალებით დღეს უკვე შესაძლებელი ხდება აღნიშნული ნაკვეთის ცალკეული კომპონენტის თვალსაჩინოდ წარმოდგენა და მათი გამოყენება სოციალურ-პოლიტიკური რეალების წარმოსაჩენად.

ნიკო ხუციშვილმა ინსტიტუტის ირანისტებთან ერთად შექმნა სპარსული ისტორიული დოკუმენტებისა და ხელნაწერების კომპიუტერული კატალოგების მოდელი; სპარსული ისტორიული დოკუმენტების მონაცემთა ბაზა, შესაბამისი ვებ-გვერდი ვრცელი შესავლითა და მოხატული საბუთების ფოტოებით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს პროექტი განხორციელდა *Iran Heritage Foundation*-ის გრანტის ფარგლებში, 2004 წელს. იგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ 2005-2006 წლებში დაფინანსებული პროექტის – „XI-XVI საუკუნეების ქართული ისტორიული დოკუმენტების დიგიტალიზაცია და ტექსტურ მონაცემთა ბაზა“ ავტორი, რომელიც უკვე მის გარეშე განხორციელდა.

ნიკო საგანგებოდ იკვლევდა ქართულ-სპარსულ პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებს; სწავლობდა ამ სფეროსთან დაკავშირებულ ისტორიულ დოკუმენტებს, ადგენდა ტექსტებს, განმარტავდა აღმოსავლურ ლექსიკას. ამგვარი შრომის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მისი წერილი: „საბუთი ვახტანგ VI-ისათვის ირანის სპასალარისა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგის წოდების მინიჭების შესახებ“ (მრავალთავი XVI, 1996).

2002 წელს ნიკომ გამოაქვეყნა მონოგრაფია *დაღესტანი* (თბილისი) – სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, რომელშიც ჩრდილოეთ კავკასიის ამ საინტერესო და რთული ისტორიის მქონე ქვეყნისა და მისი ხალხების პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული, რელიგიური ცხოვრების სურათია მოცემული. წიგნი მრავალმხრივია საინტერესო. მასში თავმოყრილია დაღესტნის რუსეთსა და საქართველოსთან ურთიერთობის, აგრეთვე კავკასიის ზოგადი ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალა – თქმულებები და პოეზია, საინტერესო ცნობები ისტორიული პირების შესახებ, უძველესი და თანამედროვე ისტორიის დეტალები.

ნიკო ხუციშვილი წლების მანძილზე მუშაობდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიის საკითხებზე; იკვლევდა მონასტრის მინათმფლობელობას – იერუსალიმის კუთვნილ ყმა-მამულებსა და მათი მართვის ფორმებს საქართველოში. ეს იყო ნიკო ხუციშვილის სადისერტაციო ნაშრომის თემა. დოკუმენტური მასალის შესწავლის საფუძველზე მან განსაზღვრა ამ მფლობელობის წარმოქმნისა და განვითარების ქრონოლოგია, მეცნიერულად დაამუშავა ჯვრის მონასტრის მეტოქე ეკლესიების ფუნქციასთან, ისტორიასა და მართვის ორგანიზაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, დაადგინა იერუსალიმის ყმა-მამულების მმართველების, ჯვარის მამების რიგი XVII-XIX საუკუნეებში, შეადგინა საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო ყმა-მამულების მფლობელობის სქემები სამეფო-სამთავროების მიხედვით. 2006 წელს მისი შრომა – „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა საქართველოში“ – ნიგ-

ნად გამოიცა, რითაც საფუძველი დაედო გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ დაარსებულ სერიას „საქართველოს ეკლესიის ისტორია“.

ნიკო ხუციშვილმა გამოავლინა და გამოსცა XVI საუკუნის პირველ ნახევარში სამცხე-საათაბაგოში ათონის სამონასტრო მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული სამი უცნობი დოკუმენტი (ათონის ქართველთა მონასტრისა და სამცხე-საათაბაგოს ურთიერთობის ისტორიიდან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, I (ისტორიის სერია), 2001).

აღსანიშნავია ნიკო ხუციშვილის პედაგოგიური საქმიანობაც. 1990-1991 წლებში იგი პედაგოგთა გადამზადების კურსებზე კითხულობდა ლექციების კურსს: „თვითშემეცნების აღმოსავლური სისტემები და ზოროასტრიზმი“, ბოლო ხანს კი – „საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორია“ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



ნიკო ხუციშვილის ერუდიცია და შემოქმედებითი უნარი მის პირველხარისხოვან თარგმანებშიც გამოვლინდა, რომელთაგან მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული. ესენია სპარსული, რუსული და ინგლისური ენიდან ნათარგმნი აღმოსავლური და ევროპული პოეზიის ნიმუშები თუ კულტურის ისტორიისა და ეკლესიოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომები. მის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნია ნ. იკონომოპულოსის ნარკვევი, რომელიც იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებულ ახალ მონაცემებს ეხება (იერუსალიმის ჯვრის მონასტერი: ტაძრის ისტორიის ადრეული ეტაპი არქეოლოგიური აღმოჩენების

შუქზე, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 328 (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა). ეს ნაშრომი მანამდე მიუწვდომელი იყო ქართული საზოგადოებისათვის.


ნიკოს მეცნიერული შრომები გამოირჩევა ჩაღრმავებული კვლევით, მასალის დეტალური ცოდნითა და დასაბუთებული დასკვნებით, დიდი ინტერესით ყველა იმ საკითხის მიმართ, რომელსაც იგი იკვლევდა. მისი მაძიებელი ბუნება ადვილად და, ამასთანავე, შემოქმედებითად ითვისებდა სიახლეებს, ნერგავდა მათ სამეცნიერო მუშაობაში. მან მეცნიერებაში ბევრი რამის გაკეთება მოასწრო, თუმცა მისი ინტერესები მარტო მეცნიერებით არ შემოიფარგლებოდა. იგი გატაცებული იყო ალპინიზმით, ინდური ფილოსოფიითა და იოგათი, უყვარდა მეგობრების წრეში თავისი საყვარელი პოეტების ლექსების ზეპირად კითხვა, იყო საინტერესო მოსაუბრე.

ნიკო ხუციშვილი უანგარო და გამორჩეულად კეთილშობილი, უაღრესად თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი იყო. ხშირად ბავშვივით უხერხულად გრძნობდა თავს, თუ შეაქებდნენ, ან თუ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებოდა. მისი უმთავრესი ნიჭი ადამიანებთან ურთიერთობის გასაოცარ უნარში გამოიხატებოდა – იგი სიკეთეს თესდა და იმკიდა. სწორედ ამიტომაც მისი წასვლა ამქვეყნიდან ასეთი მტკივნეული ყველა მისი ახლობლისა თუ კოლეგისათვის, მისი ხსოვნა კი – თბილი და ნათელი.

თამარ აბულაძე
დარეჯან კლდიაშვილი
თამარ ოთხმეზური
ნუგზარ პაპუაშვილი

პედი მოლვანისა

პასტანგ ჯობაძე



ოცდაათი წლის წინ, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმის მრავალრიცხოვან სტუმართა შორის არავის გამოუწვევია ქართველი საზოგადოების ისეთი ინტერესი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული მკვლევარის, ვახტანგ ჯობაძის მოხსენებას. სექცია, სადაც მოხსენება უნდა წაკითხულიყო, უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში ტარდებოდა – მოხსენების დროისათვის დარბაზი სავსე იყო. ეს ინტერესი წინდანინ იყო განპირობებული, რამდენადაც იმხანად ვახტანგ ჯობაძის სახელი უკვე მოარულ ლეგენდად გაისმოდა. ლეგენდებს ყოველთვის აქვთ საფუძველი და წინაპირობა; ამ ლეგენდას მრავალი წინაპირობა ჰქონდა – უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე იმხანად უკვე ფართოდ იყო ცნობილი, როგორც მკვლევარი უცხოეთის ქართული სავანეებისა, მათ შორის – ტაო-კლარჯეთისა, ანტიოქიის სანახებისა და კვიპროსის ქართული მონასტრებისა. თუმცა იყო კიდევ ერთიც – ვახტანგ ჯობაძე სიცოცხლეშივე გახდა სიმბოლო მრავალ ძნელბედობა გამოვლილი და უცხოეთში გადახვენილი ქართველისა, რომელიც უშურველად იღვწოდა თავისი ქვეყნისათვის, ჩვენ ისტორიულ მინა-წყალზე თუ უცხოეთში შემორჩენილი ქართული სიძველეების საკვლევად, მათი შეძლებისდაგვარი სიღრმე-სივრცით, საყოველთაოდ წარმოსაჩენად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ვახტანგ ჯობაძე ქართული სახელოვნებათმცოდნეო სკოლის პირველ ასპირანტთა შორის იყო, მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა მათ შორის, რომელთა ცხოვრებაც მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ სრულიად სხვაგვარად წარმართა. ომი იმისაა, რომ ადამიანთა ბედი შეცვალოს. ვახტანგ ჯობაძე სწორედ ამგვარ ბედშეცვლილთა შორის აღმოჩნდა; თუმცა, ურიცხვთაგან განსხვავებით, მრავალ სირთულენანახი, არც კი შეცვლილა – იგივე დარჩა ბუნებით და არც ცხოვრების უმთავრესი მიზანი შეუცვლია. ქართული სიძველეების შეცნობა და კვლევა – ეს იყო მისი ამქვეყნად არსებობის საზრისი.

ბრძოლაში ტყვედ მოხვედრილს, მას ჯერ გერმანიაში მოუხდა ცხოვრება, სადაც გეტინგენის, ფრაიბურგისა და ერლანგენის უნივერსიტეტებში გადიოდა კურსს კლასიკურ არქეოლოგიასა და ხელოვნების ისტორიაში, შემდეგ ესპანეთში და, ბოლოს, – ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ იგი თავდაპირველად მუშაობდა ჰარვარდისა და იუტას უნივერსიტეტებში, კალიფორნიაში დამკვიდრების შემდგომ კი ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში განაგებდა ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტს.

საგულისხმო და ნიშანდობლივია ვახტანგ ჯობაძის სამეცნიერო ინტერესების სფეროები და კვლევის გეზი – 1940-1941 წლებში, ჯერ კიდევ საქართველოში, სრულიად ახალგაზრდამ, გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით, სამეცნიერო საქმიანობა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მმართველთა, სამცხის ათაბაგთა ფრესკული სახეების შესწავლით დაიწყო; ომით მოტანილი სირთულეებითა და ცვლილებებით გამოწვეული იძულებითი დაყოვნების მიუხედავად, მან 1949 წელს წარადგინა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, მენინავე სასულირო კერაში – ხახულის მონასტერში შექმნილი ღმრთისმშობლის ხატის მინანქრებს ეხებოდა (კვლევის შედეგები 1952 წელს ცალკე ნარკვევის სახით გამოქვეყნდა – *Los esmaltes del icono Jajuli*, *Archivo Espanol del Arte*, 97, 1952); იმხანადვე, მოკლე დროის მონაკვეთში, 1949-1953 წლებში, მადრიდის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტის ხელშეწყობით, შექმნა პოსტ-სადოქტორო გამოკვლევა, რომელიც ჩრდილოეთ ესპანეთის ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურასა და დეკორს ეძღვნებოდა. მოგვიანებით, 1962-1966 წლებში ვახტანგ ჯობაძემ შეძლო, ერთი შეხედვით, შეუძღვებლის განხორციელება – სისტემატიური არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ანტიოქიასა და მის დასავლეთით მდებარე მონასტრებში, სადაც მან ქართველთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული თოთხმეტამდე სამონასტრო კერა დაადასტურა, მათ შორის: წმინდა ბარლაამის მონასტერი კასიუსის მთაზე, წმინდა სვიმეონ მესვეტე უმცროსისა და ძელი ცხოვლისას მონასტრები შავ მთაზე; თანადროულადვე იკვლევდა ადრექრისტიანულ ეკლესიებს ჩრდილოეთ სირიაში (1963 წ. – ჯებელ სიმან, ჯებელ ილ ‘ადა, ელ ბარა), აგრეთვე მაკედონიაში (1964 წ. – სტობი და ფილიპისი).

1965 წელს ვახტანგ ჯობაძე თითო თვიანი ვიზიტით ორჯერ იმყოფებოდა ათონის მთაზე, სადაც იქ დაცული XI საუკუნის ქართულ ხელნაწერებიდან იკვლევდა საქართველოსა და ანტიოქიასთან დაკავშირებულ პირველწყაროებს: წმ. სვიმეონ მესვეტის, პანკრატეოს ტაურომანიელისა და წმ. მართას ცხოვრებებს. იმ პერიოდში ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები საფუძვლად დაედო ორ საეტაპო ნაშრომს, რომლებიც ანტიოქიისა და შავი მთის ქართულ სიძველეებს, აგრეთვე მათ შესახებ არსებულ ლიტერატურულ წყაროებს ეხება. ეს ნაშრომები (*Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on-the-Orontes*, *Corpus Scriptorum Orientalium*, Subsidia 48, Louvain, 1976; *Archaeological Investigations in the Region West of Antioch on the Orontes*, Wies-



ვახტანგ ჯობაძე ექსპედიციაში

baden-Stuttgart, 1988) კიდევ დიდხანს დარჩება სამაგიდო წიგნებად ფილოლოგიაში, ისტორიასა თუ ხელოვნების ისტორიაში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

გავიდა მცირე ხანი და ამას მოჰყვა ეტაპი საქართველოს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში – შავშეთ-კლარჯეთსა და ტაოში სისტემატიური მუშაობისა. 1965 წელს, როცა ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, 1921 წლიდან მოყოლებული, თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი კვლავ მისაღვამი გახდა უცხოელთათვის, ვახტანგ ჯობაძე უმალ გაეშურა იქ. ტაოში, შავშეთსა და კლარჯეთში პირველი მოგზაურობის შემდგომ, 1967 წლიდან დაწყებული, ვიდრე 1983 წლამდე, იგი, გრძელვადიანი სამუშაო გეგმის

შესაბამისად, გამუდმებით მოგზაურობდა ჩვენთვის იმხანად ასე შორ და მიუწვდომელ, უცხოელთათვის კი იმხანად ჯერ კიდევ არცთუ უსაფრთხო რეგიონში. სავლელ ექსპედიციების ჩატარება რისკთან, ზოგჯერ კი თავგანწირვასთანაც კი იყო დაკავშირებული – მისი ახლობლებისათვის კარგადაა ცნობილი, თუ რა სირთულეების გადალახვა უხდებოდა ვახტანგ ჯობაძეს, რამდენჯერ გადაურჩა იგი სიკვდილს.

არ უნდა დაგვაზინყდეს ისიც, თუ რა დროს უხდებოდა ვახტანგ ჯობაძეს ტაო-კლარჯეთში მუშაობა – ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში მკვლევარებს საშუალება არ ჰქონდა ადგილზე შეესწავლათ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული კუთხის კულტურული მემკვიდრეობის სწორუპოვარი ძეგლები. არც დასავლელ მკვლევართათვის იყო იოლი იქ მოგზაურობა, განსაკუთრებით კი სავლელ სამუშაოების განხორციელება. შესაბამისად, ვახტანგ ჯობაძის პუბლიკაციები იმ დროისათვის რჩებოდა სიახლეებით დატვირთულ პირველწყაროებად, რომელთა საფუძველზეც ქართული და დასავლური სამეცნიერო წრეები ეცნობოდნენ ახალ, ხშირ შემთხვევაში უნიკალურ მასალებს ტაო-კლარჯეთის ძეგლთა თაობაზე, იგებდნენ მათი იმჟამინდელი მდგომარეობისა და ბედის შესახებ.

ვახტანგ ჯობაძის მრავალრიცხოვანი, გეგმაზომიერი და სისტემატიური ექსპედიციების შედეგი იყო ის გამოკვლევები, რომლებიც სისტემატიურად ქვეყნდებოდა ევროპულ პერიოდიკაში. მათ შორის უთუოდ გამორჩეული და უაღრესად მნიშვნელოვანია ნარკვევები ოშკის ტაძრის საქტიტორო გამოსახულებების თაობაზე; ამ პულიკაციებში, კარგად ცნობილი, ან მანამდე სრულიად უცნობი მასალების – სამეფო რელიეფური თუ ფერწერული გამოსახულებებისა და ნარწერების შესწავლის საფუძველზე გაირკვა ტაო-კლარჯეთისა და საზოგადოდ საქართველოს X-XI საუკუნეების ისტორიასთან, საეკლესიო აღმშენებლობასთან დაკავშირებული არსებითი ხასიათის საკითხები (*The Donor Reliefs and the Date of the Church at Oski*, *Byzantinische Zeitschrift*, Bd. 69, 1976, p. 39-62; *Four Deesis Themes in the Church of Oski*, *Oriens Christianus*, Bd. 72, 1988, p. 172-182; ეს ორი ნარკვევი მოგვიანოდ ქართულადაც ითარგმნა და ცალკე წიგნად გამოქვეყნდა – *ოშკის ტაძარი*, თბილისი, 1991; ჩემს ხელთ არის წიგნის პირადად ვახტანგ ჯობაძის მიერ ჩასწორებული ცალი, მისთვის ჩვეული მახვილი თვალით დანახული ხარვეზების თაობაზე გაკეთებული, მკაცრი პრინციპულობით აღბეჭდილი, შენიშვნებით). საქტიტორო გამოსახულებების განხილვისას ყურადღება გამახვილებულია როგორც გამოსახულებათა ზოგად იკონოგრაფიასა და მათში გამჟღავნებულ, მეუფებასთან დაკავშირებულ, საღვთისმეტყველო საზრისზე, ისე რეგალიებზე; ყოველივე ეს განხილება ბიზანტიური კულტურული არეალისა და აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების ვრცელ კონტექსტში. აქვეა მოცემული სრულიად უნიკალური მასალაც, რომელიც ეხება ოშკის ტაძრის სამხრეთ აფსიდში მიკვლეული ფერწერულ კომპოზიციას. ეს კომპოზიცია საქართველოს სამეფო კარზე 1030-იანი წლებისთვის მიმდინარე მოვლენებს უნდა ასახავდეს, ამასთან ფრესკაზე წარმოდგენილი საზეიმო პროცესია ტაო-კლარჯეთის უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრთა გამოსახულებების ფონზე წარმართება (შემორჩა ბანას გამოსახულების ნაწილი, აგრეთვე ოთხთა ეკლესიის გამოსახულების ნაშთები თანმხლები ნარწერებით).

ვახტანგ ჯობაძე, იმავდროულად, ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ისტორიული სამხრეთი პროვინციების არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებულ ზოგად პრობლემებზეც, იქნება ეს სამონასტრო კომპლექსებისათვის ადგილის შერჩევა, მათი გეგმარებითი ტიპოლოგია, შიდა სივრცისა და საფასადო დეკორის გადაწყვეტა, სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები, პოლიქრომია, როგორც არქიტექტურულ ძეგლთა მხატვრული გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე, საფასადო რელიეფები და მრავალი სხვა (*The Georgian Churches at Tao-Klarjet'i: Construction Methods and Materials*, *Oriens Christianus*, Bd. 62, 1978, p. 114-134; *Observation on the Architectural Sculpture of Tao-Klarjeti Churches Around One Thousand A.D.*, *Studien für Spätantiken und byzantinischen Kunst*, Bd. 10, Mainz, 1986; *The Animal Representations in Early Medieval Georgian Churches in North Eastern Turkey and their Ideology*, *Festschrift F. W. Deichmann*, II, 1986, p. 81-108).

ტაო-კლარჯეთში კვლევის დაწყებიდან ოცდახუთი წლის შემდეგ, 1992 წელს, შტუტგარტში გამოქვეყნებული ფუნდამენტური, შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომი „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“, ექვთიმე თაყაიშვილის შემდგომ, ფაქტობრივად პირველ კორპუსულ გამოცემად შეიძლება ჩაითვალოს ისტორიული საქართველოს ამ ძირძველი მხარის არქიტექტურის, ფერწერის, ეპიგრაფიკის ძეგლებისა, სადაც მოცემულია მათი ამომწურავი აღწერა და დახასიათება, აგრეთვე ილუსტრაციები – გრაფიკული ნახაზები და ფოტოები (*Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti, Wiesbaden-Stuttgart, 1992*). ამ სქელტანიანი, შეძლებისდაგვარად სრულად დოკუმენტირებული და უზვად ილუსტრირებული წიგნის მნიშვნელობას დიდად ზრდის ისიც, რომ მასში თავმოყრილია ახალი მასალები, ამასთანავე კარგად ცნობილთა ახლებურად გაშუქების კვალად, მათ შესახებ დამატებით ვიგებთ ახალსაც, სახელდობრ ვეცნობით ძეგლების ბოლოდროინდელ მდგომარეობას. ეს წიგნი, ექვთიმე თაყაიშვილის ტაო-შავშეთ-კლარჯეთთან დაკავშირებულ ადრეულ პუბლიკაციებთან ერთად, უკვე პირველწყაროს ღირებულებისაა და არასდროს დაკარგავს ამ მნიშვნელობას.

წიგნის ქართული თარგმანი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა, მიმდინარე წლის დასაწყისში გამოიცა. ვახტანგ ჯობაძემ, მართალია, მოასწრო მისი ნახვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ მოახერხა შეფასება მისთვის ჩვეული მანერით – საკუთარი პუბლიკაციის ოლეებზე შემდგომი შენიშვნებისა და შესწორებების გაკეთებით.

ვახტანგ ჯობაძის ინტერესთა ასეთი ფართო თვალსაწიერის პირობებში, საკვლევი თემების რიგს მოგვიანოდ, 1981 წელს, დაემატა კუნძული კვიპროსი – იქ ვახტანგ ჯობაძემ მიაკვლია საისტორიო წყაროებით კარგად ცნობილ ღალიას მონასტერს, სადაც მის მიერ ქართული წარწერები იქნა აღმოჩენილი (*Observations on the Georgian Monastery of Yalia (Galia) in Cyprus, Oriens Christianus, Bd. 68, 1984, p. 196-206*; გამოკვლევის ქართული თარგმანი გამოქვეყნდა – იხ. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, 4, გვ. 167-179*). ვახტანგ ჯობაძემ ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინ განსაზღვრა ღალიას მონასტრის, როგორც სამართლმადიდებლოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული სასულიერო კერისა და სკრიპტორიუმის მნიშვნელობა.


ცხადია ამით არ ამოიწურება ვახტანგ ჯობაძის სამეცნიერო ინტერესთა თვალსაწიერი; რად ღირს თუნდაც გამოკვლევა მცხეთის ჯვარის საქტიტორო რელიეფების თაობაზე (*The Sculptures on the Eastern façade of the Holy Cross of Mtskheta, Oriens Christianus, Bd. 44, 1960, p. 112-135; Bd. 45, 1961, p. 70-77*), ნარკვევი ხობის ტაძრის ბიზანტიური მარმარილოს ამბიონის ფრაგმენტების

შესახებ (Fragments of a Byzantine Ambo in the Church of Hobi, *Archaeologischer Anzeiger*, 1984, p. 627-639), სტატიები, რომლებშიც სეფისკვერის ქართული ტვიფარებია თავმოყრილ-განხილული (Medieval Bread Stamps from Antioch and Georgia, *Oriens Christianus*, Bd. 63, 1979, p. 162-176; სეფისკვერის ქართული ტვიფარი, *მრავალთავი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*, VII, 1980, გვ. 20-22).

არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ძეგლთა ზედმიწევნით დოკუმენტირებასა და მათ სახელოვნებათმცოდნეო ანალიზთან ერთად, ვახტანგ ჯობაძის ფაქტობრივად ყველა ნაშრომს გამოარჩევს ქართული თუ უცხოური პირველწყაროების, ხელნაწერების მრავალრიცხოვანი კოლოფონებისა და თავად ძეგლებზე შემონახული ეპიგრაფიკული ძეგლების მოხმობა, განხილვა და ფაქტობრივ მასალასთან მათი მისადაგება. ამგვარი, კომპლექსური მიდგომა, საზოგადოდ იშვიათია, ამასთან ასე ფასეული სახელოვნებათმცოდნეო ნაშრომებში – ესაა ლიტერატურული და ისტორიული წყაროების, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკის, არქეოლოგიური მონაცემების, არქიტექტურული და მხატვრული თავისებურებების თანაფარდად გათვალისწინება. ამიტომაც ვახტანგ ჯობაძის ყოველი გამოკვლევა არამარტო ზედმიწევნით დოკუმენტირებული, არამედ სხვადასხვა არგუმენტით შემტკიცებული.

ყოველივე, რასაც ვახტანგ ჯობაძე ქმნიდა, ქართველ მეგობრებთან და კოლეგებთან განუყოფელი ერთიანობით ხორციელდებოდა. მათ შორის განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ჯავახიშვილთან, პარმენ ზაქარაიასთან, ყველასაგან გამორჩეული კი ელენე მეტრეველთან – ეს იყო იდეების, დაკვირვებებისა და მიგნებების ურთიერთგაზიარების საუკეთესო მაგალითი, დაფუძნებული მეგობრობასა და თანადგომაზე. სწორედ ამიტომაც ვახტანგ ჯობაძის ნაშრომები ასე დატვირთულია საქართველოში გამოქვეყნებული უახლესი ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებით თუ სიძველეთასაცავებსა და არქივებში დაუნჯებული ხელნაწერების, დოკუმენტებისა და მატერიალური ძეგლების გათვალისწინებით.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ თანადგომის თაობაზე, რომელსაც ვახტანგ ჯობაძის ცხოვრების თანამგზავრი, გერმანელი ქალბატონი ირინე ბიბერი იჩენდა მეუღლის მიმართ. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სამშობლო-



ელენე მეტრეველი და
ვახტანგ ჯობაძე

დან გადახვენილ ქართველ მეცნიერს შეძლებოდა კვლევა-ძიების გაგრძელება, ამასთან სწორედ იმ სფეროში, იმ რეგიონში, მისი სამშობლოსათვის ასე ფასეული და მნიშვნელოვანი რომ იყო. ამ თანადგომის – როგორც მორალურის, ისე მატერიალურის – გარეშე ვახტანგ ჯობაძე ძნელად თუ შეძლებდა ამდენი ექსპედიციების მოწყობას, შესაბამისად – ასეთი მნიშვნელოვანი პუბლიკაციების განხორციელებას.

ვახტანგ ჯობაძის განსაკუთრებული დამოკიდებულება უნივერსიტეტისადმი სავსებით გასაგებია – აქ ემზადებოდა იგი იმისათვის, რასაც მთელი ცხოვრება დაუკავშირა. უნივერსიტეტში მიიღო მან ის, რაც მრავალი ათწლეულის მანძილზე დაედო საფუძვლად მისი, როგორც მკვლევარის გზას. მრავალ მიზეზთა შორის ეს იყო ერთ-ერთი არსებითი, რომ სწორედ უნივერსიტეტისათვის სურდა დაეტოვებინა მას თავისი ბიბლიოთეკა და საექსპედიციო მასალები. რამდენიმე წლის წინ მან გამოგზავნა კიდევ წიგნების ნაწილი, ისევე როგორც სლაიდების მთელი წყება – უნიკალური და მნიშვნელოვანი მასალა სწავლის პროცესში ხელოვნებათმცოდნეთა მოსამზადებლად. თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულების კაბინეტში ერთ-ერთი ოთახს კარგახანია აქვს აბრა – „ვახტანგ ჯობაძის ბიბლიოთეკა“.

იშვიათია უცხოეთში მკვიდრი ჩვენი თანამემამულე, ვახტანგ ჯობაძის დარი გაფაციცებით რომ ედევნებინდა თვალი ყოველივესადმი, რაც კი სამშობლოში ხდებოდა, ასე მძაფრად აღექვა ყოველივე. ამაზე მეტყველებს არამარტო მისი რეცენზიები, არამედ მის მიერ სხვადასხვა პირთათვის გამოგზავნილი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენითა და ხელწერით შედგენილი წერილები. ვახტანგ ჯობაძე მანძილით ძალზე შორს იყო საქართველოსაგან, მაგრამ მუდამ საქართველოს განუყოფელ ნაწილად, მის ჭეშმარიტ მოქალაქედ რჩებოდა და მოქალაქობდა კიდევ ქვეყნისათვის.

ათწლეულების მანძილზე უცხოეთში ცხოვრებამ ვერაფერი შეცვალა მის ხასიათში – სულით ხორცამდე ქართველი, იგი პირუთენელი და პირდაპირი იყო, როგორც მოვლენის, ისე პიროვნებათა შეფასებაშიც – მისგან ქართლური სინრფელით მოისმენდით მტრისა თუ მოყვარისეულ დახასიათებას.

ვახტანგ ჯობაძე აღარ არის ჩვენს შორის. დარჩა მისი ნაშრომები, დარჩნენ ადამიანები, ვისთანაც მას ჰქონია ურთიერთობა. დარჩა მისი ნაღვანი – სანინდარი მისი სახელის ამ ქვეყნად მარად მყოფობისა.

ზაზა სხირტლაძე

ახალი მასალა

2006-2007 წლებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციას შექმნისა და ჩუქება-შემონირულობის გზით შეემატა შემდეგი ახალი მასალა:¹

ხელნაწერები

ქართული

1. ფსალმუნის ტექსტი და საგალობლები (ფრაგმენტი, 1 ფ.). XIV-XV სს. (შეძენილი)
2. კონდაკი (ნაბეჭდი, ნაწილობრივ ხელნაწერი). 1710 წ.
3. კრებული. XVIII ს. (შეძენილი)
4. კარაბადინი. 1865 წ. (კომპანია „ავერსი“)
5. სწავლანი (ფრაგმენტი, 2 ფ.). XIX ს. (ზაზა ალექსიძე)
6. „დანყებანი საქრისტიანოსა ჰსწავისანი ანუ მოკლე სამღუდლო ისტორია და მოკლე კატეხიზმო“. XIX ს. (ვ. ჯანელიძე)
7. ავგაროზი. XIX ს. (ლუარსაბ ტოგონიძე)
8. „მარიამის წაღკოტი“. XIX ს. (შეძენილი)
9. ლოცვანი (ეტრატი, გრაგნილი). ირანში, ქ. ისპაჰანში, ჯულფის სომხურ საკათედრო ტაძართან არსებულ მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერის ასლი. (ნოდარ ნონიაშვილი)

რუსული

1. ძველი ალთქმა. 1759 წ. (შეძენილი)

სომხური

1. ესაიას წინასწარმეტყველება (ფრაგმენტი 1687 წლის სომხური ნაბეჭდი სახარებიდან, 2 ფ.). XI ს. (შეძენილი)
2. სახარება (ფრაგმენტი, 1 ფ.). XIII-XIV სს. (ზაზა ალექსიძე)

1 მარჯვენა მხარეს, ფრჩხილებში, მოცემულია შემომწირველის ვინაობა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მასალის შექმნის შემთხვევაში კი გაკეთებულია შესაბამისი მითითება.

3. სვინაქსარი (ფრაგმენტი, 1 ფ.). XVII-XVIII სს.

(ზაზა ალექსიძე)

სპარსული

1. დივანი. XVIII ს.

ისტორიული დოკუმენტები

ქართული

1. მამია ბარათაშვილის საგვარეულო სიგელი. 1809 წ.

(ქეთევან ბარათაშვილი)

2. დოკუმენტები სოფ. ჯვარისაში (რაჭა) მცხოვრებ ვახტანგაძეებისა და წერეთლების შესახებ. XIX-XX სს.

(ვლადიმერ ვახტანგაძე)

თურქული

1. დოკუმენტები, 4 ერთეული. XVIII-XIX სს.

(კომპანია „ჯეოსელი“)

რუსული

1. დოკუმენტები, 6 ერთეული. XVIII-XIX სს.

(ლიკა მამაცაშვილი)

2. დოკუმენტები: ზუგდიდის, სოფ. ქვალონის მცხოვრებთა საბუთები. XX ს. (18 ერთეული); გურია-სამეგრელოს ეპარქიის მეორე და მესამე ქვალონის წმ. გიორგის ეკლესიის დავთრები. XX ს. (5 ერთეული); ქვედა ქვალონის წმ. გიორგის ეკლესიის ქონების წიგნი. 1899 წ.

(გიორგი კეკელიძე)

საარქივო მასალა

1. ყაზბეგების საგვარეულო მასალა

(ზეინაზ ლომჯვარია)

2. მასალები მიქელ პატარიძის შესახებ და მისი ლექსები

(რამაზ პატარიძე)

3. ქალაქის ჯვრები ანჩისხატის ბაზილიკიდან, 2 ერთეული. 1746 წ.

(რ. გვერნითელი)

4. გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი იმერეთის სამწყსოსადმი.

(დურმიშხან ცინცაძე)

5. ი.კ. ვიხმანის წერილები (გრიგოლ წერეთლის პირადი არქივისთვის), 15 ერთეული.

(ნანა ყანჩაველი)

6. ელენე მეტრეველის პირადი არქივი

(ქეთევან მეტრეველი)

7. მასალები გრიგოლ წერეთლისა და ქეთევან მაღალაშვილის პირადი არქივებისათვის, 5 ერთეული.

(ნანა ყანჩაველი)

8. პეტრე კონჭოშვილის პირადი არქივის მასალები

(ვაჟა კიკნაძე)

9. ელისე პატარიძის არქივი

(ოთარ პატარიძე)

10. ნიკო სამადაშვილის ლექსი „ბაგინეთი“

(შოთა სამადაშვილი)

11. გიორგი კვინიტაძის პირადი არქივის ნაწილი (ნანო დ'აპო კვინიტაძე)
12. კარლო ინასარიძის პირადი არქივი და ბიბლიოთეკა
(კარლო ინასარიძე, თინათინ პატარიძე-ინასარიძისა,
ეთერ ინასარიძე, თამარ ინასარიძე-ლოხბილერისა)
13. ძველი ღია ბარათები, 19 ერთეული. (მარინე გურგენიძე)
14. ფოტოები ოლა ჭავჭავანიძისა და გიგო ბახტაძის ოჯახიდან, 6 ერთეული.
(ლამარა ქაჯაია)
15. ფოტო, სადაც აღბეჭდილია სალომე მიურატი (ცისანა ბიბილეიშვილი)
16. ძველი ფოტოები, 14 ერთეული. (შეძენილი)
17. ძველი ფოტოები, 27 ერთეული. (ცისანა ბიბილეიშვილი)
18. კონსტანტინე გამსახურდია ხევისურებთან ერთად, ფოტო გადაღებული
ხევისურეთში. 1934 წ. (გიორგი კალანდია)
19. აკაკი ჭანტურიას პირადი არქივი (არიანე ჭანტურია)

ბეჭდური გამოცემები ²

1. კონდაკი (ნაბეჭდი, ნაწილობრივ ხელნაწერი). 1710 წ. (ვახტანგ VI-ის
სტამბა). 210 გვ. (ნელი ჩიტაური)
2. სახარება. ტფილისი. 1786 (ერეკლე II-ის სტამბა). 392 გვ.
(ლიკა მამაცაშვილი)
3. ყურანი (მინიატურული გამოცემა). თავრიზი. XIX ს.
(ლიკა მამაცაშვილი)
4. კარლო ინასარიძის ბიბლიოთეკის ნაწილი
(კარლო ინასარიძე, თინათინ პატარიძე-ინასარიძისა,
ეთერ ინასარიძე, თამარ ინასარიძე-ლოხბილერისა)
5. ელისე პატარიძის ბიბლიოთეკის ნაწილი (ოთარ პატარიძე)
6. ემიგრანტული ჟურნალი „თავისუფლების ტრიბუნა“. სრული კომპლექტი
(№№ 1-42, 1974-1984 წწ.). (ეთერ შენგელია-წერეთელი)
7. Библия, или книги Священного писания Ветхого и Нового Завета.
Москва. 1878. 850 с. (ბიბლიის ინსტიტუტი. რომი)
8. Follieri Henrica. Initia hymnorum Ecclesiae Graecae. Vol. 1. Citta del
Vaticano. Bibl. Apostolica Vaticana. 1960. XXVIII. 590 p.
(თინა დოლიძე)
9. Follieri Henrica. Initia hymnorum Ecclesiae Graecae. Vol. 2. Citta del
Vaticano. Bibl. Apostolica Vaticana. 1961. XXII. 570 p.
(თინა დოლიძე)
10. Follieri Henrica. Initia hymnorum Ecclesiae Graecae. Vol. 3. Citta del
Vaticano. Bibl. Apostolica Vaticana. 1962. XXII. 618 p.
(თინა დოლიძე)

² მოცემულია მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოცემები.

ახალი გამოცემები

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემები (2006-2007 წწ.)

2006

1. აბუბეკრ ბინ აბდულაჰი – გამარჯვებათა წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა მარინა ილურიძემ. „არტანუჯი“. 268 გვ. [სერია - არტანუჯის წყაროები, 6].
2. ენრიკო **გაბიძაშვილი**. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია II. ასკეტიკა და მისტიკა. თბ.: „არტანუჯი“. 389 გვ.
3. ლოცვანი და დაუჯდომელი ღვთისმშობლისაჲ. ახალი, შესწორებული გამოცემა მოამზადა ედიშერ ჭელიძემ. მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია. „ახალი ივირონი“ 332 გვ.
4. მანანა **მაისურაძე**. ქართულად თარგმნილი უცხოური ჰომილეტიკური ლიტერატურის კატალოგი. „არტანუჯი“. 85 გვ.
5. სამოციქულოს განმარტება. ამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის მიერ). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა. 686 გვ.
6. მზია **სურგულაძე**. ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს. „არტანუჯი“. 309 გვ.
7. ფსალმუნნი. ახალი შესწორებული გამოცემა. მოამზადა ედიშერ ჭელიძემ. მოსკოვის წმ. გორგის სახელობის ქართული ეკლესია. „ახალი ივირონი“. 263 გვ.
8. წმინდა გრიგოლ ნოსელი. სწავლაჲ ლოცვისაჲ და თარგმანებაჲ „მამაო ჩუენოჲსაჲ“. ძველი ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. ქირიამ. 79 გვ.
9. ედიშერ **ჭელიძე**. „ლოცვათა“ და „ღმრთისმშობლის დაუჯდომლის“ ახალი გამოცემის გამო. „ახალი ივირონი“. 112 გვ.

10. ნიკო **ხუციშვილი**. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა საქართველოში. [სერია საქართველოს ეკლესიის ისტორია - 1]. „არტანუჯი“. 154 გვ. [მეორედ გამოიცა 2007 წელს].

2007

11. „ავგაროზის ეპისტოლეს“ ძველი ქართული რედაქციები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ნესტან ჩხიკვაძემ. „არტანუჯი“. 178 გვ.
12. აღდგომის ციკლი ქართულ მინიატურაში XI-XIII სს. [ალბომი]. „არტანუჯი“. 37 გვ.
13. განძთა ქვაბი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ც. ქურციკიძემ. 223 გვ.
14. გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი). გამოსცა, გამოკვლევა, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაია. 562 გვ. (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები IX).
15. ელენე მეტრეველი (1917-2003). ბიობიბლიოგრაფია. შეადგინა გაგა შურლაია. „არტანუჯი“. 222 გვ.
16. ელენე მეტრეველის პირადი არქივების აღწერილობა. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს მათა მამაცაშვილმა და ეთერ ქავთარაძემ. [სერია - პირადი არქივების აღწერილობა, 1]. „არტანუჯი“. 431 გვ. [მეორედ შესწორებული გამოცემა გამოიცა 2007 წელს].
17. ელენე **მეტრეველი**. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. [კრებული]. ეძღვნება ელენე მეტრეველის დაბადებიდან 90 წლისთავს. [რედაქტორები: თ. ოთხმეზური, თ. ცერაძე]. „არტანუჯი“. 322 გვ.
18. მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. [კრებული]. ეძღვნება ელენე მეტრეველის დაბადებიდან 90 წლისთავს. ტ. 22. 478 გვ.
19. ნუგზარ **ჰაპუაშვილი**. ახალი აღთქმა და მისი ქართული თარგმანი. „ქართული წიგნი“. 272 გვ.
20. პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. IV. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით ფლენტმა, ანა ბაქრაძემ, თინა ენუქიძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. ტომი შეადგინეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. „არტანუჯი“. 416 გვ.
21. საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ავტორ-შემდგენელი ენრიკო გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მათა მამაცაშვილი, ანა ლამბაშიძე. 1016 გვ.

22. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია ლექსიკონი. II. მ-რ. ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით. „არტანუჯი“. 418 გვ.
23. წმინდა ეფთვიმე მთაწმიდელი – წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. ჩიკვატიამ. „არტანუჯი“. 360 გვ.

ხელნაერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა მიერ

2006-2007 წლებში გამოცემული ნიბნები

1. ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი. წერილები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ნინო ქაჯაიამ. 272 გვ.
2. გიორგი **კალანდია**. გაძარცული საგანძური. „არტანუჯი“. 433 გვ.
3. ნუგზარ **პაპუაშვილი**. გრიგოლ ფერაძე სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ. 212 გვ.
4. ვალერი **სილოგავა**. ოშკი, X საუკუნის მემორიალური ტაძარი. 372 გვ.
5. ვალერი **სილოგავა**, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. 372 გვ.
6. ვალერი **სილოგავა**, კახა **შენგელია**. ტაო-კლარჯეთი. „კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 891 გვ. 477
7. წმინდა მღვდელმონაშე გრიგოლ ფერაძე. ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, თამარ ჭუმბურიძის გამოკვლევითა და რედაქციით. „ნეკერი“. 150 გვ.
8. დოდო **ლომიძე**. ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში. „არტანუჯი“. 177 გვ.
9. მოქცევაჲ ქართლისაჲ. ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. [გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ]. დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით. ეძღვნება მცხეთის ჯვრის 1400 წლისთავს. 60 გვ.
10. თეა **ქართველიშვილი**. გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX საუკუნეები). [სერია – საქართველოს ეკლესიის ისტორია, 2] „არტანუჯი“. 163 გვ.
11. თინა **ცერაძე**, გიორგი **გაგოშიძე**. იერუსალიმი, სააღდგომო მეგზური. 46 გვ.

გამოცემის კოორდინატორი
თამარ გეგია

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიოლა ტულუში

გარეკანის დიზაინი
თამარ გეგია, ბუბა კუდავა, ნინო სიბოშვილი



სელნანართა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მ. ალექსიძის 1/3. 36-41-85.
www.manuscript.ge

NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
0193 Tbilisi, 1/3, M. Alexidze street. 36-41-85.